114
1977/2

# მნათობი

3

1977

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე | № 3 | მარტი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გივი გეგეჭკორი — ლექსები . . . . . . . . . . . . 8
გრიგოლ ჩიქოვანი — მიწა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . 9
ემენ დავითაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 49
ვახტანგ ღლონტი — ლექსები . . . . . . . . . . . 51
თამაზ გოდერძიშვილი — ავტოპორტრეტი გამხმარი ყვავილებით. მოთხრობა . 53
ოთარ კუპრავა — სირიაჩქონის ტყის სიზმარი. რომანი. გაგრძელება . . . 69
ეთერ სახვაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 100
დოდო ჭუმბურიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 103
ნაზი ჭედია — ლექსები . . . . . . . . . . . . 106
ნათელა მამარდაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 107
ნიკო კეცხოველი — კიდევაც დაიზრდებიან... მოთხრობა. დასასრული . . . 109
იაროსლავ ივაშკევიჩი — მოხუცი პოეტი. ლექსი. თარგმ. მიხეილ ქვლივიძემ . 122
სარმენი — ჰაოსი და ქართლოსი — პოემა. თარგმ. ალ. ბეგაშვილმა . . . 124

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჯანსუღ ღვინჯილია — წინაპარი და შთამომავალი . . . . . 130
მამია დუდუჩავა — „ხელოვნება სინდისის ტაძარიც არის“ . . . . 140
ვალერი სილოგავა — ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში . . . . . . . . 146
ალექსანდრე სიგუა — ილია ჭავჭავაძის პირველი იუბილე . . . . 153
ჯემალ აფციაური — იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი მომენტი უძველეს ქართულ მწერლობაში . . . . . . . . . 158

### ფაქტები, მოგონებანი

ალექსანდრე ბარამიძე — მოგონებათა ფურცლები . . . . . . 170
ოთარ ჩხეიძე — ჰაინე, შილერი, გოეთე ქართულად . . . . . . 180
ვეფხო აკობაშვილი — მოგონებანი ილო მოსაშვილზე . . . . . . 185

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

13466
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთ...

## წიგნების მიმოხილვა

ვახტანგ ხარჩილავა — ზღაპრები ლექსებად . . . . . . . 190

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 31/I-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III-77 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108/^1_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 00012. ტირაჟი 13.900. შეკვ. 365.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

## სოფლის ავტობუსი

ჩვენ მოვედით წყვდიადიდან,
გზებზე სოფლის ავტობუსი
ციმციმებდა, როგორც შუქი
ძველი ციხის სათოფურში.

ჯერ თვალები მოვიფშვნიტეთ,
მგზავრობაში ჩაგვექინდრა
და მიწაზე დავდგით ფეხი,
თენდებოდა უკვე მინდვრად.

ავტობუსმა ჩაიქროლა
და მინდორში მიგვატოვა,
ღაღანებდნენ გვირილები
და გალობდა ჩიტბატონა.

ეს არ იყო გათენება
პირველი და ბოლო ღამის,
დასასრულის დასაწყისი
ან მგზავრობის დასაბამი.

ჩვენ შევჩერდით სულ მცირე ხნით,
ხვალ ვიქნებით სხვაგან ამ დროს,
სველ ბალახში გავიშოტეთ
და იონჯას სუნი გვათრობს.

ვიხტუნოთ და ვითამაშოთ,
დავურბინოთ მწვანე მინდვრებს,
ილუზიის ტყვეობაში
ვიცინოთ და ავქვითინდეთ.

თორემ ალბათ სანატრელი
გაგვიხდება მწვანე მოლი,
ავტობუსის ფანჯარაში
თავს გადმოყოფს მალე მძღოლი.

და მიგვიხმობს... მერე ბნელში
ჩვენი სოფლის ავტობუსი
იციმციმებს გზებზე, როგორც
შუქი ციხის სათოფურში.

დროებითი არის მხოლოდ
წყვდიადიდან ჩვენი მოსვლა,
შევისვენებთ და გზას მალე
გავუდგებით პატიოსნად.

წავალთ, ისევ უსასრულო
სამყაროში რომ ვიქროლოთ,
ჩვენი მოსვლა წუთიერი
შესვენება არის მხოლოდ...

## დილის ათი საათი

ოთახში დადის და ლაპარაკობს,
მერე იმისი ხელი ჩაიდანს
დასწვდა და ასხამს ფინჯანში ჩაის
და სანამ ფინჯანს ლოჯში გაიტანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთრთის ხელი და მეც უკან მივდევ,
სკამს მაგიდასთან ვიდგამ და ვჯდები.
(„გინდა ლიმონი?“)
მისი ტუჩები უფერულია,
შეჭრილი თმებით
უფრო მკაცრია სახის ოვალი.
(„მაინც რა მოხდა, მთელი ქალაქი
რომ ამ სულელურ რომანს კითხულობს...
მაცივარშია ალბათ კარაქი...“)
მე ვდგები ისევ.
სკამი ჭრიალებს.
ყველაზე ადრე ძველდება სკამი.
ქალი მიყურებს და იღიმება.
ასე უსხლტება გაბზარულ კრამიტს
სინათლის სხივი.
(„შენ არ გცალია, კინოში უნდა ვიარო მარტომ...“)
საწოლ ოთახში გასწია ფარდა.
(„მე რომ მაცვია ,ასეთი პალტო
ვიღას აცვია!..“)
მე ჩაი მოვსვი.
(„დღეს მოიტანდე იქნებ ბილეთებს...
კავკასიური ცარცის წრე ბრეხტის...“)
მიახლოვდება.
(„ძლივს რომ იმეტებს
სალამს, ვინ არის, რას წარმოადგენს?..“)
თავზე დამადგა.
მე ისევ დინჯად
კოვზს დაუშაქრავ ჩაიში ვურევ
და დაფანტული დავყურებ ფინჯანს.
წვიმს.
მოღრუბლული დღე არის გარეთ.
მოწყენილია სახლში ავეჯი.
(„უბრალოებით ფასდება კაცი...
სხვა კულტურაა სისადავეში...“)
მე ვდგები.
(„ქუდი არ დაგავიწყდეს...“)
ოთახის სითბო ქუჩაში მიმაქვს
და მანქანებში გადასასვლელზე
ცელქი ბიჭივით გადარბის წვიმა...

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას

ასე ცხოვრობდით სამშობლოს ბედით,
კიდევ რუსეთით,
კიდევ ევროპით,
მიდიხართ ჩვენგან მუდამ უდროოდ
და მუდამ რაღაც თანმიმდევრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ცოცხლობდით,
ისევ ბავშვები ვიყავით მაინც თითქოს ყველანი,
თქვენი სიკვდილით ჩვენი ბავშვობა
ისე იმსხვრევა, ვით პორცელანი...

## ნოველა

დაიღუპე!
ყველა მიხვდა შენს სიყვარულს, —
ბავშვს რომ ქალი შეგიყვარდა...
ალბათ სტუმრებს
ამ საღამოს ახარხარებს ვინმე, როცა
შენს უცოდველ სიყვარულზე გაიხუმრებს.
ყველას ეტყვის,
იმ ქალს ეტყვის,
არ დაგინდობს
თუ გინდ ისე დაუჩოქო, როგორც ქრისტეს.
ოღონდ არ თქვას,
მაგიდასთან ოღონდ არ თქვას,
გირჩევნია, ჩაგქოლოს და გაგირისხდეს.
მაგრამ, არა!
იტყვის, როცა მოგიჯდება
გვერდით ქალი ძველებური გრავიურის,
კორსეტიან კაბას ალბათ ამოჭრილი
გულისპირი მოუხდება,
ხოლო ყური
თმით ექნება დაფარული და ლანგარზე
დაიჭრება შოკოლადის დიდი ტორტი,
მისი ქმარი საქმიანად ჩაახველებს,
რომ გაყიდოს ხავსიანი ანეგდოტი.
ჩუმი დარდით,
მხოლოდ ავის წინათგრძნობით,
ჩუმი დღესასწაულით და ჩუმი გლოვით
ჩამოჯდები დაბნეული სკამზე ქალის
მეზობლობით და იმისი სიახლოვით.
და როდესაც აბაჟურის წრეში მისი
თავი შენსკენ დაიხრება მაგიდაზე
და წყალს მოგთხოვს და მიაწვდი,
ის ღიმილით
შემოგხედავს და სამსახურს დაგიფასებს,
სწორედ მაშინ
შენ უმანკო სიყვარულზე
ყველას ეტყვის კაცი უღვთო და რეგვენი,
არ დაგინდობს,
შენს მუდარას არ შეისმენს,
თუმცა მზერით იმ კაცს ფეხქვეშ გაეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძრება კედელი და იატაკი
და გონებას დაგიბნელებს იმის შიში,
რომ ვაი თუ, სწორედ დღეს და სწორედ ახლა
გაითიშოს სული ხორცთან გასათიში.
და შენს ბავშვურ სახეს ცეცხლი მოედება,
მოედება ცეცხლი მხრებში ჩასულ კისერს
და ვინც გიყვარს,
მოგეხვევა და გაკოცებს
და ულმობლად მერე დიდხანს იკისკისებს.
შენ კი მწარედ ატირდები და ნაჭერი
უხალისოდ წაიქცევა თეფშზე ტორტის
და კედელზე ქალის სიცილს აიტაცებს
გახლეჩილი ბროწეულის ნატურმორტი...

## ელეგია

თქვენ მანქანაში ჩუმად ისხედით,
როცა ზღვის ქალაქს ზურგიდან ეპარებოდით.
სახლებზე სახურავები იდო
გადაშლილი და პირქვე დამხობილი წიგნებივით.
გახსოვს, ფოსტის ეზო და პალმის თმიანი ტანი,
სადაც ოთახი იქირავეთ ბოლოს მიგნებული?
გახსოვს, იატაკზე მზის ცვალებადი მოზაიკა
ან ის, მან როგორ შემოგხედა ფოსტის ხმაურში,
როცა პატარა ენა გამოყავი
და მერე კონვერტს ისე გაუსვი?
კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზში
თქვენს სკამებამდე რომ მიგეღწიათ ,
უხალისოდ დგებოდნენ ფეხზე.
რომს აღვიძებდა სან-პიეტრო ზარების რეკვით.
პატარა ქვეყნის დედოფალი (ოდრი ჰეპბერნი)
ჰკოცნიდა ვიღაც რეპორტიორს (გრეგორი პეკი).
გახსოვს, მერე როგორ ყვიროდა პარკში პელიკანი?
ცელულოიდის თეთრი ბურთი
როგორ დახტოდა მწვანე მაგიდაზე
და ალეწილი ბოლოს იმ პარკიდან
იმისმა მკლავებმა როგორ გაგიტაცეს?
როგორც ქალმა აბორიგენმა,
ისე მოიშორე ნიჟარები
(რომელიც დილით ყელზე შეიბი),
გახსოვს, რა ცხელი იყო აგვისტოში მატყლის ლეიბი?..
მთვარის შუქზე ბრწყინავდა
ბროკჰაუზის და ეფრონის ტომები
და ჭიქაში გამხმარი და მტვრიანი
ბზის ტოტი დაინახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე კიოდა მატარებელი.
თითქოს თავები გედოთ ლიანდაგზე
და მატარებელი გადადიოდა ზედ უთვალავჯერ.
ის მოწყურებულ ტუჩებს ნელა გიახლოვებდა
შენი თვალების ჩუმ მუდარაზე
და ბნელში ერთმანეთს ეჯახებოდნენ
ხავერდოვანი ღამის პეპლები...
გული გაგისკდება,
მოგონება ფრჩხილებით ისე ჩაგაფრინდა.
ეზოში ბავშვები თამაშობენ,
გადი აივანზე თვალებდანისლული,
გამშრალი სარეცხი ისე ჩამოხსენი,
რომ ძირს ჩაგივარდეს ერთი მაისური.
რომელიმე დასწვდება და კიბეს ამოირბენს,
დახვდი კიბეზე და გაუბი საუბარი,
იქნებ დაგიბრუნდეს მცირე ხნით სიმშვიდე,
როცა ამოგხედავს ორი ალუბალი...

## ერთაწმინდა

ერთხელ ჩასვლა სოფელში
კარგი წიგნის მეორედ
გადაკითხვას უდრის,
როცა დამარცხებული
ხელმეორედ იღვიძებს
გრძნობა მესაკუთრის.

მაგრამ არის ის წიგნი
ფურცლებამოხეული,
მოხვედრილი ქარში,
კაცი დაბრუნებული
დგას და ვეღარ გამოაქვს
ძველი შინაარსი.

მზერა დახარბებული
შემორჩენილ გვერდებზე
სწრაფად გადაივლის,
წიგნში ისე ხარხარებ,
როგორც ტომის ბელადი,
და ქანაობს ნივრის

აცმა შიშველ კისერზე...
ჯამზე კოვზის ბრახუნით
დახვალ, თითქოს ლეკი
დადიოდეს მკალავი,
ანდა თითქოს ეზოდან
გყავდეს გასარეკი

შემოსული ღორები.
დავლურს უვლი ყიჟინით
და ზანზარებს სახლი,
დედაბერი იცინის,
თავშალს ცრემლით იმშრალებს
და ქოქოლას გაყრის.

ისე შენახულია
იმის ბებრულ მზერაში
და გაბზარულ ხმაში
სული დაუჟანგავი,
ვით კარადის უჯრაში —
დანა-ჩანგლის ფრაჟი.

ისე ტკბილი ენა აქვს,
აწყდებიან ზუზუნით
გამოღებულ ფანჯრებს
შუა ქართლის ფუტკრები...
მერე მოგენატრება,
სად მიდიხარ, დაჯექ!..

დგას და გეპოტინება
უკანასკნელ იმედად
გულუბრყვილო ყმაწვილს,
მისი მჟიღი ბებრული
მოკრუნჩხული ზამთარში
ნაყოფია ანწლის.

ჩუმად შედი ოთახში,
ის გაცრეცილ პერანგზე
დაატარებს უთოს,
მიეპარე ზურგიდან,
ის უნდა, რომ ალერსით
სული შეუხუთო!..

ყველა სადღაც წავიდა...
შენ ხარ, ის და მამალი,
ეზოს შერჩით სამნი.
ისმის შენი ხარხარი,
მისი ჩუმი სიცილი
და ყივილი მამლის...

კედლისაკენ სარკეებს
მერე შეაბრუნებენ...
ჯერ კი ძლიერ მოგწონს,
როცა ბრწყინავს ოქროსფრად
გაგლესილი ფოთოლზე
ლოკოკინის ლორწო.

როცა ბინდში ფანჯრებთან
ისმის თხების კიკინი
და იძინებს ველი,
როცა მოჭუტული აქვს
მზესუმზირას თვალები,
როგორც იუველირს.

იქვე სოფლის წყაროა.
ზევით არის ტაძარი
და იქ სააკაძის
შვილის თავი მარხია.
აფარია ფარდაგი,
ხოლო ღამით კაცი,

პირქუში და გოროზი
ჩურჩულებს და გამოდის
აჩრდილების ბრბოდან.
მან თუ საბედისწერო
ერთხელ ხრამში ნაბიჯი
გადადგა და სცოდა,

თუკი სცოდა... საბრალო
შვილმა გამოისყიდა...
ყალყზე მდგომი სული
ჭიხვინებს და ღამეში
მისი მზერა გიზგიზებს,
როგორც ორლესული...

შენი მაცოცხლებელი
და კეთილი გამზრდელი
წარსულია შენი,
ისევ მუხლზე დაუჯექ,
იქნებ ძუძუ ჩაგიდოს,
ღილი შეუხსენი,

იქნებ დღეს ხელმეორედ
ერთხელ გადავიწყებულ
უმიჯნო და უძლებ,
მაგრამ გაუმჟღავნებელ,
გადანახულ სიხარულს
შენთან შემოუძღვეს.

და თუ თავბრუ დაგესხა,
წყალი ხელის კანკალით
დაისხი და მოსვი,
მეტავ ხვალ ვინ გაივლის
შენი ცხადი სიზმრების
გაუკვალავ თოვლში?..

**გრიგოლ ჩიქოვანი**

# მ ი წ ა

რ ო მ ა ნ ი

ხალხი ნელა დაიშალა.

სოფლებიდან მოსულები გზას გაუდგნენ, დაიმედებულები და გახარებულები, რომ მალე სხვა მანქანებსაც მიიღებდა მშენებლობა და დაჩქარდებოდა ჭაობების დაშრობა.

მშენებლები თავიანთ მასივებისაკენ გაეშურნენ.

რამდენიმე დრაგერი, ტრაქტორისტი, სამუშაოთა მწარმოებელი ვერ მოშორდა „კომსომოლეცს". დარჩნენ შოფრებიც, მექანიზატორებიც, გარს უვლიდნენ მანქანას, კაბინაში იხედებოდნენ, მუხლუხებს უსინჯავდნენ. „კომსომოლეცი" „პრისტმანისა" და „კოპელისაგან" განსხვავდებოდა, უფრო პატარა იყო, მაგრამ ღონიერი, მის ციცხვს თითქმის იმდენივე მიწა ამოჰქონდა, უფრო იოლი სამართავი იყო.

მიკიტა ლიაშკო კაბინაში შევიდა;

— ერთი მიმიშვი, — თხოვა უჩას,— მეც ამოვიღო მიწა სამამულო ექსკავატორით. გესმით, ბიჭებო, რას ნიშნავს, სამამულო, ჩვენი ხელით გაკეთებული! — ვერ ფარავდა აღტაცებას. მოშინჯა ბერკეტები, მერე ერთბაშად დაუშვა ციცხვი, ამოსდო მიწას, აიტაცა ,სწრაფად გადასწია დამბისაკენ. — მანქანა კი არა, ცეცხლია. რომ მიუშვა, თავისით იმუშავებს. ეს პირველი მოდელია. რა იქნება მეორე და მესამე. მალე დავეწევით „პრისტმანსა" და „ლუბეკს".

— დავეწევით და კიდევაც გავუსწრებთ, — თქვა ქვალონის მასივის დრაგერმა ვიტალი სომოვმა.

— გასწრებას მე ვერ მოვესწრები, ბაბაია, — უთხრა ვიტალი სომოვს ძველმა დრაგერმა აფრასიონ ჭელიძემ, — მაგრამ დაწევას კი უნდა მოვესწრო.

— რატომ აფრასიონ პავლოვიჩ? ორ ხუთწლედს თუ ოთხ-ოთხ წელიწადში დავამთავრებთ, გასწრებასაც უნდა მოესწრო.

აფრასიონ ჭელიძემ თვალი მოიჩრდილა დიდი, მზისაგან გარუჯული ხელით და ისე შეხედა ვიტალი სომოვს.

— ბაღანა ხომ არ გგონივარ შენ, ბაბაია?! სამოცდახუთმეტ წელიწადს მივადგი ფეხი.

— აფხაზები თურმე ასოცდაათ, ასორმოც წელიწადს ცხოვრობენ, — უთხრა ბაჩილომ.

— აფხაზები აგარაკზე ცხოვრობენ მე კოღომ და ჭაობმა შემჭამა, ამ დასაქცევში, აქამდე რაფერ მოვიტანე სული, არ გიკვირს?!

— ამ „დასაქცევს" ისეთ ბაღნარად

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი", № 2.

ვაქცევთ, აფრასიონ, ორას წელიწადს იცოცხლებ, — გვერდში ამოუდგა აფრასიონს მისი თანაშემწე რასულ მამედოვი.

ჭელიძემ გაიცინა:

— ორას წელიწადს კაცი კი არა, ყვავი და ძერა ვერ ცხოვრობს. მაინც შაქარი შენს პირს, ბაბაია, კარგი სიტყვისათვის.

ცისანა ნატანებიდან ისე ჩამოიყვანა უჩამ, ანტონ ბაჩილოსათვის არ უთქვამს. ცისანამ წუხელ ციას ოთახში გაათია ღამე. ნახევარ ღამე საუბარში გაატარეს. უცებ მოეწონათ ერთმანეთი. ციამ უამბო, როგორ ჩამოჰყვა ფოთში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვითომ ნერგების წასაღებად და უჩასთან დარჩა. როგორ ჩამოვიდნენ მეორე დღეს მის წასაყვანად დედა და ბაბა და რა ნახეს, უჩა და ცია ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, აღარ წაიყვანეს, არც გაწყრომიან, პირიქით, — მოუწონეს, რომ ასე მოიქცა.

— შენც დარჩი, ცისანა, — უთხრა ბოლოს ციამ. — არც შენ გაგიწყრებიან მშობლები. ისინიც ალბათ ჩვენსავით იყვნენ შეყვარებული. აი, ოთახი, აი, საწოლი. შენც სანერგეში იმუშავებ. დებივით ვიცხოვრებთ. თურმე ანტონს ისე უყვარხარ, რომ ძილშიაც აბოდებს.

— შენ საიდან იცი, რომ ძილშიაც აბოდებს?! — გაუკვირდა ცისანას.

— უჩამ მითხრა. ისინი ხომ ერთ ოთახში ცხოვრობენ. ერთად ჭამენ და სვამენ. ერთ ექსკავატორზე მუშაობენ. ისე არიან ერთმანეთთან, როგორც ძმები. ჩვენც ასე ვიქნებით. ერთად ვიმუშავებთ, ერთად ვიცხოვრებთ. ცოდვაა, ანტონი.

— ცოდვაა?! რატომაა ცოდვა!

— უჩას ბედს შენატრის. შენც ხომ გიყვარს.

— როგორ არ მიყვარს. ქართველი არ არის, მაგრამ ბევრ ქართველს ჯობია.

— ადამიანი კარგი უნდა იყოს თვარა, ქართველი იქნება თუ რუსი, ან ბელორუსი, მაგას მნიშვნელობა არ აქვს.

— ეგ კი ასეა, მაგრამ დედ-მამის დაუკითხავად მაინც ვერ დავრჩები, — თქვა ცისანამ.

ციამ შეატყო, რომ გულით უნდოდა დარჩენა.

— მე თუ დავრჩი დედასა და ბაბას დაუკითხავად?

ცისანამ უცებ ვერ უპასუხა. თავი ფანჯრისაკენ მიაბრუნა. ღამეს მიაჩერდა. უნდოდა დარჩენა და ვერ ბედავდა.

— ალბათ, ისე არ გიყვარს, ანტონი, როგორც მე უჩა, — წააქეზა ციამ.

— რას ამბობ, ცია?! ანტონი ქვეყანას მირჩევნია, მაგრამ ხომ იცი ჩვენი წეს-ადათი.

— წეს-ადათი სიყვარულს ვერ აკავებს თურმე. ხომ ხედავ, მე ვერ შემაკავა.

— შენ ალბათ, უფრო თამამი ხარ.

— სითამამე რა შუაშია?! მე უფრო მიყვარს და იმიტომ დავრჩი, — ისევ წასაქეზებლად უთხრა ციამ.

— მაგის გაზომვა ძნელია, ვის უფრო უყვარს. დავფიქრდები და ხვალ გეტყვი პასუხს.

და აი, ახლა დედაარხზე გაახსენა ციამ პასუხის გაცემა. დამბაზე მიაბიჯებდნენ. „კომსომოლეცის“ ხმაური უკან მოიტოვეს.

— დაფიქრდი, ცისანა? — ჰკითხა ციამ.

— დავფიქრდი.

— რა გადაწყვიტე?

— დავრჩები, მაგრამ დარჩიო თვითონ ანტონმა უნდა მითხრას. შენც ხომ უჩამ გითხრა.

— გეტყვის, როგორ არ გეტყვის. კალთას ჩამოგახევს, — გადაეხვია ცისანას. — რომ იცოდე, რა კარგი ხარ, ცისანა. ოქრო გოგო ხარ, — ციას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. — შენ მეჩაიე ხარ, მე მეციტრუსე. როგორ გაეხარდება ჩვენს დირექტორს. სანთლით დაეძებს კარგ მეჩაიეს. სალდელ სადგურში იაპონური ჯიშის ჩაის ნერგები გამოჰყავთ. შენ გეცოდინება, რა ძვირფასი ჯიშია და თითქმის სულ არ გვაქვს საქართველოში იაპონური ჯიშის პლან-

ტაციები. ბევრს მცირემოსავლიანი ჰგონია, ამიტომ არ აშენებენ.

— მოვლა არ იციან და იმიტომ ჰგონიათ, — უთხრა ცისანამ. — ჩვენს კოლმეურნეობაში გვაქვს იაპონური ჯიშის პლანტაცია. მოსავალსაც უხვს იძლევა და იმის ჩაის გემოს ნუ იტყვი. არც ერთი ჯიშის ჩაი არ შეედრება. არც ინდური, არც ცეილონისა და არც ჩინეთის...

ცია და ცისანა დილით ადრე დგებოდნენ, ერთად მიდიოდნენ სამუშაოდ. ცია ციტრუსების ნერგების სათბურში, ცისანა — ჩაის ნერგებისა. სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ ერთად ალაგებდნენ ოთახს, ერთად იმზადებდნენ საჭმელს, ერთად რეცხავდნენ და აუთოებდნენ. არც ისე დიდი დრო იყო გასული ცისანა საცდელ სადგურში რომ დარჩა, მაგრამ ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, ცალ-ცალკე ცხოვრება აღარ წარმოედგინათ.

ცისანას მშობლებიც მეორე დღესვე ჩამოვიდნენ. უფრო განრისხებულები და აღშფოთებულები, მაგრამ რა ნახეს, ქალიშვილი ციასთან ცხოვრობდა და ბაჩილო ყულევში, აღარ დააძალეს შინ დაბრუნება. ცისანა ბავშვი აღარ არის, ეუბნებოდა ცოლი ქმარს, დროა თავისი გულითა და ჭკუით იცხოვროს. ასე გეუბნებოდი მეც აქ მოსვლამდეო, საყვედურობდა ქმარი.

ციასა და ცისანას მშობლები ხშირად აკითხავდნენ. ხელცარიელები არასოდეს არ ჩამოდიოდნენ. იცოდნენ, რა საჭმელები უყვარდათ, ენატრებოდათ და სწორედ იმას ჩამოუტანდნენ.

ზოგჯერ ორივე ქალიშვილის მშობლები ერთად ჩამოვიდოდნენ. მაშინ უჩასა და ანტონსაც მოიწვევდნენ ვახშმად. ბელორუსს ისე მოსწონდა მეგრული და გურული კერძები, ჭამით ვერ ძღებოდა. მას ცისანას მშობლების ჩამოტანილი საჭმელები უფრო მოსწონდა, მაგრამ ამას ვერ ამხელდა. ორივეს ერთნაირი მადით ჭამდა.

ანტონ ბაჩილოს ცისანა დანიშნული ჰყავდა და ახლა შვილი საცდელ სადგურში იცხოვრებდა თუ მათთან, ამას ცისანას დედ-მამისათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამაყობდნენ კიდეც, რომ მათ ქალიშვილს იაპონური ჯიშის ჩაის ნერგები გამოჰყავდა აქ.

თუ წინათ ანტონ ბაჩილო ცისანას სანახავად თვეში ერთხელ ჩადიოდა ნატანებში, ახლა ცისანა და ანტონი, როგორც უჩა და ცია, ყოველ კვირა დღეს ნახულობდნენ ერთმანეთს.

სამი დღე გადაუღებლად წვიმდა.

გუდუია ესვანჯია თავის საწოლიდან ხედავდა კარის ჩარჩოს სიმაღლეზე და სიგანეზე ისლის სახურავიდან დაშვებულ წვიმის შავ ფარდას.

თქეში არც ისე მაღალ სახურავიდან დიდი ხმაურითა და სიძლიერით ეცემოდა წყალზე. მიწა დაფარული იყო, მეტს ვეღარ იღებდა. წყალი კარვის მიწურ აივანს ადგა.

გუდუია პირაღმა იწვა, თავქვეშ ხელებამოდებული. წვიმის ფარდას უყურებდა. ფარდის მიღმა არაფერი ჩანდა, შავი სიბნელე იდგა. სიბნელიდან წვიმის ზათქი და ექსკავატორის ღრჭიალ-ხრიალი ისმოდა.

უჩა შამუგიას „კომსომოლეცის" ხმა იყო. გუდუიამ ერთი თვის წინათ პირველად გაიგონა ექსკავატორის ხმა. მაშინ „კომსომოლეცი" კარვიდან შორს იყო. ჩვეულებრივი ყური ვერ გაიგონებდა მის ღრჭიალ-ხრიალს. გუდუიას ნადირის ყური ჰქონდა.

ახლა მანქანა ისე მოუახლოვდა კარავს, წვიმის ზათქშიც გარკვევით ესმოდა მისი ხმა. დედაარხს გუდუიას კარავზე უნდა გაევლო. ეს არ აწუხებდა გუდუიას. ამას მაშინ შეურიგდა, სეროვამ რომ უთხრა, ახალი ტრასით დედაარხი ზედ თქვენს კარავზე გაივლისო. ახლაც არ იცოდა გუდუიამ, რატომ შეურიგდა ამ ამბავს. ეს ხომ კარვის მიტოვებას ნიშნავდა. რად ერწმუნა იმ უცხო ქალს, რომ ეს საჭირო იყო? რა-

-ში ენაღვლებოდა მათი საქმე, რისთვის?! არ იცოდა, რისთვის.

ამ გადაუღებელ წვიმაში მთელი მასივის სიგრძე-სიგანეზე მხოლოდ უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო მუშაობდნენ. სვანებიც კი, წვიმას არასოდეს რომ არ ერიდებოდნენ, ეს სამი დღე ბარაკიდან არ გამოსულან.

ღრჭიალებდა, ხრიალებდა ექსკავატორი. უჩას მეწყვილე არ ჰყავდა და ღლისითაც მუშაობდა და ღამითაც. — „მუშაობს, რომ მალე მიიღოს მიწა, — ეს ფიქრი თავის ახალგაზრდობას აგონებდა გუდუიას. — უჩა თავის ბედნიერებასთან შრომითა და ჯაფით თვითონ მივა. მე წელებზე ფეხს ვიდგამდი, მაგრამ ჩემი ბედნიერების გზა მოჭრილი იყო. ჩემმა გზამ ამ ულრანში მომიყვანა და ცოცხლად დამმარხა. აქ წელიწადში ორას სამოცი დღე ასხამდა წვიმა გუდუიას კარავს. ხედავდა კარის ჩარჩოდან წვიმის შავ ფარდას. ორას სამოცი დღე ვერ გამოდიოდა კარვიდან.

გუდუია თორმეტი წლისა დაობლდა. არ ჰყავდა ნათესავი და ახლობელი, არ ჰყავდა საქონელი, არ ჰქონდა მიწა, ერთ თვალიანი ჯარვლის მეტი არაფერი ებადა ქვეყანაზე. არავინ შეივრდომა, არავინ შეიკედლა.

უპატრონო ბავშვი მოჯამაგირედ აიყვანა თავადმა დიმიტრი ჩიჩუამ. მისი სამი ვაჟი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. შინ მხოლოდ უმცროსი ქალიშვილი ჯუნა ჰყავდა დიმიტრის. ჯუნამ სკოლაში შესვლა არ ინდომა და მშობლებმაც არ დააძალეს, შინ იღებდა განათლებას და ოთხი კლასის ცოდნა შეიძინა.

დედ-მამიდან დაწყებული მთელი სახლი თავზე ევლებოდა. ლამაზი იყო, ზედმეტი პატივითა და ყურადღებით გაამაყებული და გათამამებული. მეზობლების ბავშვებთან თამაშს არ კადრულობდა. არც უშვებდნენ მათთან სათამაშოდ. თავის ტოლებიდან მხოლოდ გუდუიას შეხედა კარგი თვალით.

თავის ხანთან შედარებით მოწიფული გოგო იყო და ამიტომ გუდუია პირველ ხანებში მორიდებითა და შიშით ექცეოდა თავადის ქალიშვილს, მაგრამ მისი სილამაზით ბავშურად მოხიბლული თანდათან მოუთვინიერდა. ყოველგვარ წადილს დიდი მონდომებით უსრულებდა: ცხენზე ჯდომას ასწავლიდა, სათევზაოდ დაჰყავდა, დაჰყავდა სანადიროდაც. კარგი ხმა ჰქონდა, შესანიშნავად მღეროდა და გუდუიაც, ეს გულჩათხრობილი, ობოლი ბავშვიც აამღერა.

უერთმანეთოდ ერთი დღე ვერ ძლებდნენ.

ჯუნას დედა ივლიტა უკმაყოფილო იყო ქალიშვილისა და გუდუიას მეგობრობით. ჯერ ბავშვები არიან, სამიოთხი წლის შემდეგ ეს მეგობრობა ახლა რომ წმინდაა, უმწიკვლოა, სხვა მეგობრობად გადაიქცევაო.

ყოველნაირად ცდილობდა ჯუნა და გუდუია ერთმანეთისათვის დაეშორებია. ამიტომ თოთხმეტი წლის გუდუიას იმდენ საქმეს ავალებდა, რომ თავის მოსაფხანად არ ეცალა ბიჭს.

ჯუნა ლანდივით თან დაჰყვებოდა. დროზე ადრე მომწიფებულ გოგოს მისი ჩასხმული ტანი, ღონე, ზომიერი დაჯერებული მოძრაობა და შავი, ბრდღვიალა თვალები უზომოდ ხიბლავდა.

გადიოდა წლები. თექვსმეტი წლის ჯუნა ცხრამეტი წლის ქალიშვილივით გაივსო და გასრულდა. გუდუიასთან ერთად საბანაოდ აღარ დადიოდა. სულითა და გულით უნდოდა, მაგრამ აღარ დადიოდა, ეშინოდა თავის თავის, ეშინოდა გუდუიასიც. რომც არ შინებოდა, დედა მაინც არ გაუშვებდა. არც გუდუია წაყვებოდა. გუდუიასაც ეშინოდა. ჯუნას სავსე მკერდს, მოქნილ, ვიწრო, წელს და თეძოებს რომ შეხედავდა, გული ბაგაბუგს უწყებდა.

ჯუნა ხედავდა ამას. გუდუიაც ხედავდა, რომ მის დანახვაზე ქალიშვილს ფერი-ფური მისდიოდა, თვალები ალტაცებით უფართოვდებოდა.

ერთხელაც იქნებოდა, თავს ვერ შეიკავებდნენ და ეტყოდნენ ერთმანეთს, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ გულში და აი, ნელ-ნელა შენიშნეს, რომ თავს არი-

დებდნენ ერთმანეთს. მაგრამ როგორც კი ეს იგრძნეს, იმ დღიდან უფრო მოუნდათ ერთმანეთი.

შემოდგომის ერთ სიცხიან დღეს დედ-მამა სატირალში წავიდნენ. მოახლე ქალი თან გაიყოლეს. მოჯამაგირეები ზოგი ყანაში იყო, ზოგი ვენახში. შინ მარტო ჯუნა დარჩა. გუდუია ეზოს უკან თხმელნარში იზაბელას კრეფდა.

ჯუნა აივანზე იწვა. ტანზე პერანგი არ ეცვა, სიცხისაგან მკერდამოღეღილი ჩითის ჭრელი კაბა ზედ ეკვროდა. იწვა და გუდუიაზე ფიქრობდა. იცოდა, გუდუ იზაბელას კრეფდა. არ უნდოდა გუდუზე ფიქრი, მაგრამ თვალწინ ედგა იგი. ტანში ჟრჟოლა უვლიდა. გრძნობდა, თავს ვერ შეიკავებდა, წამოდგებოდა, გუდუსთან წავიდოდა და წამოდგა კიდეც, კიბე ჩაირბინა, ეზო გაირბინა, ჭიშკრიდან თხმელნარში შევიდა.

როგორც კი ჭიშკარმა გაიჭრიალა, გუდუიამ მაშინვე გაიგონა მისი ხმა. სული განაბა, ტოტებს ამოეფარა. ვერ შეიკავებდა თავს ვერც ჯუნა, ვერც თვითონ.

ჯუნა მიმორბოდა თხმელებს ქვეშ თავაწეული, ეძებდა იზაბელას მტევნებით შეხუნძლულ ტოტებში გუდუიას. ყურძნის საამო, დამათრობელი სურნელი იდგა ჰაერში. ესეც ჟინს ჰგვრიდა ისედაც ვნებამორეულ ქალსა და ვაჟს.

ჯუნა ხიდან ხესთან გადარბოდა. ბოლოს რომ ვერ იპოვნა გუდუია, ნელი ხმით დაუძახა:

— გუდუ!

გუდუიამ არ უპასუხა.

— გუდუ! — დაუძახა ისევ. შეშფოთდა, ვაითუ გუდუ სადმე წავიდაო. — გუდუ!

გუდუია გალურსული, სუნთქვა შეკრული იდგა ტოტზე.

შეირბინა ჯუნამ იმ თხმელის ქვეშ, გუდუია რომ იდგა ტოტზე.

ვიდრე ჯუნა თხმელის ქვეშ შეირბენდა, გუდუიამ გიდელი ზედა ტოტზე დაკიდა და ორივე ხელით ჩაეჭიდა ხეს. გული ისე უცემდა, ეშინოდა არ გადმოვარდნილიყო ხიდან. ტოტებსა და ფოთლებს შორის ხედავდა ხის ქვეშ მდგარ ჯუნას. ხედავდა მის შიშველ მკლავებს, მხრებს, ხედავდა მის მკვრივ მკერდს, მწიფე ბროწეულის ფორმისას, ნახევრად რომ მოუჩანდა მოღეღილ კაბიდან. თვალი აუჭრელდა.

— გუდუ!

— აა! — აღმოხდა გუდუიას.

დაინახა ჯუნამ.

— რამდენი ხანია გეძახი. რატომ არ მცემდი ხმას?!

— არ ვიცი, — წაილუღლუღა გუდუიამ.

— მაინც რატომ არ მცემდი ხმას?!

— არ მინდოდა, — რაც შეეძლო ცივად უთხრა გუდუიამ.

— რატომ არ გინდოდა?! — არ ეშვებოდა ჯუნა.

— იმიტომ, — უფრო ცივად უთხრა გუდუიამ.

— რა დაგემართა, გუდუ?!

— არ ვიცი.

— გუდუ...

ასძახა თრთოლვით ჯუნამ. ამ ერთმა სიტყვამ მთლად აურია გონება გუდუიას. თვალს ვერ აშორებდა ქალის მკლავებს, მხრებს, მკერდს. ხელები მოუდუნდა, მოეჭრა მუხლი, მოწყდა ტოტიდან. გაისმა ტოტებში ლაწალუწი და ზღართანი გაადინა მიწაზე.

ჯუნამ შეჰკივლა. მიირბინა გუდუიასთან და ჩაიმუხლა.

— რა დაგემართა, გუდუ?!

— არაფერი.

— იტკინე რამე?

— არა.

— წამოჯექი, — უთხრა. მხრებში ხელი ამოსდო, წამოსწია.

გუდუია წამოჯდა.

— რა დაგემართა? პირველად ხომ არ ასულხარ ხეზე?!

— არ ვიცი, რა დამემართა, — უთხრა გუდუიამ. — შენ გიყურებდი.

— მე პირველად ხომ არ მიყურებდი?!

— ასეთი არასოდეს არ მინახიხარ, ჯუნა.

თვალი მოარიდა. ჯუნას მკერდი ახ-

ლოს იყო მის სახესთან, ჯუნას მკლავი მხარზე ედო, მხარზე ეფინა მისი თმა, ესმოდა მისი ცხელი სუნთქვა, მისი ტანის სურნელი.

— რანაირი „ისეთი გუდუ"?!

გუდუიამ ვერ უპასუხა.

— გუდუ... — მეორე მკლავიც მოხვია. — შემომხედე, გუდუ.

გუდუიამ შეხედა.

— სანამ ვიყოთ ასე, გუდუ?!

— არ ვიცი.

— ჩვენები შინ არ არიან, გუდუ. სატირალში წავიდნენ. ფაჩა თან წაიყვანეს. სულ მარტონი ვართ, გუდუ.

— ვიცი.

— სულ მარტონი ვართ, გუდუ, — გაიმეორა ჯუნამ.

— ხელი გამიშვი, — უთხრა გუდუმ.

— რამ შეგაშინა, გუდუ?!

— მე მოჯამაგირე ვარ, ჯუნა.

ჯუნას არ ესმოდა გუდუიას ხმა. მთელი მკერდით ეკვროდა მის განიერ მკერდს, მის ღონიერ კისერს მკლავებით ეხვევოდა, ეძებდა მის ტუჩებს, მაგრამ გუდუიას სახე განზე მიჰქონდა.

— მე მოჯამაგირე ვარ, ჯუნა.

— დედა და ბაბა შინ არ არიან, — ხელები თავზე მოჰკიდა, თავისაკენ მიაბრუნა გუდუიას სახე. — შინ არავინაა, გუდუ, — ტუჩები გაეხსნა.

გუდუიას უნდოდა სახე მიებრუნებია. ჯუნას ტუჩი მის ტუჩს შეეხო.

— მე არ მეშინია, გუდუ.

— ჯუნა.

— მაკოცე, გუდუ. მაგრად მაკოცე.

იმ დღიდან, როგორც კი ღროს იხელთებდნენ, მშობლებისა და შინაურების მალულად, ალერსს მოწყურებულები ერთმანეთს იპოვნიდნენ, ისეთ ადგილას განცალკავდებოდნენ, ეშმაკი ვერ მიაგნებდათ. ქალ-ვაჟის ტრფობა მხოლოდ კოცნა-ხვევით თავდებოდა... ერთხელ ღამით ჯუნამ გუდუია თავის საძინებელ ოთახში დაიბარა. გუდუია დიდხანს ყოყმანობდა.

შუაღამისას, მთელ სახლს რომ ეძინა, გუდუია ჩუმად შეიპარა ჯუნას ოთახში. ქალიშვილი ლოგინზე წამომჯდარი დახვდა. პერანგისამარა, მისი მომლოდინე ვნებისაგან თრთოდა. ძლივს წამოდგა ტანდამძიმებული, კარი ფრთხილად ჩაკეტა და ფანჯარა გააღო. თუ დედა მოაკითხავდა, გუდუია ფანჯრიდან გადახტებოდა. გააღო თუ არა ფანჯარა, ლოგინში ჩაწვა.

— მოდი, გუდუ, რას უცდი?! — ჰკითხა შუა ოთახში გახევებულ გუდუიას. მხოლოდ ჯუნა ეძახდა გუდუს, სხვები შინ და გარეთ გუდუიას ეძახდნენ. — მოდი, გუდუ, — საბანი გვერდზე გადააგდო. ნახევრად გაშიშვლებული უცდიდა ხელებგაწვდილი. ფანჯრიდან შემოჭრილი სავსე მთვარე ანათებდა მის ტანს. — რას უდგეხარ, გუდუ?!

— არა, ჯუნა, — ძლივს ამოიღო ხმა გუდუიამ. — ვიდრე ჩემი ცოლი არ გახდები, ვერ დავწვები შენთან, — ოფლმა დაასხა, ცივმა, სიმწრისამ.

ჯუნას შეურაცხყოფისაგან თითქოს სილა გააწნესო. გაწბილებული, გაოგნებული იწვა. გაწვდილი ხელები ლოგინზე დაუვარდა, პერანგი ჩამოიწია, წამოჯდა, გააფთრებული შეჰყურებდა გუდუიას. შავი თმა მხრებზე ეფინა. თვალები მთვარის შუქზე მრისხანედ უელავდა.

გუდუიას კიდევ უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა ვნებით შემართული ქალი. უნდოდა დაცემულიყო მის წინ, ჩაერგო სახე მის მუხლებში.

— ჩემი ცოლი, — დაცინვით გაეხსნა ტუჩები ჯუნას. გამოუჩნდა თეთრი, მჭიდროდ ჩამწკრივებული კბილები. თვალებში რისხვასთან ერთად ჩაუმქრალი ვნება ეჯდა, გონებაში — გუდუიას თქმული შეურაცხმყოფელი სიტყვა. — მე, თავადის ქალი, უკურთო მოჯამაგირის ცოლი?! ჰმ! — კი არ წამოდგა, წამოფრინდა, კართან მივიდა, ფრთხილად გადაატრიალა გასაღები, ისე, როგორც დაკეტა, ფართოდ გააღო: — გაეთრიე. მეტი აღარ დაგინახოს ჩემმა თვალმა. ამალამვე გადაიკარგე ჩემი სახლიდან.

იმღამესვე გადაიკარგა გუდუია ჯუნას სახლიდან. სოფელშიაც აღარ გაჩერდა. ყურში ედგა „უკურთო მოჯამაგირის

ცოლი." რა გააჩერებდა სოფელში, ტყეს მისცა თავი.

ერთნი ამბობდნენ, ყოველმხრივ შემკულმა ვაჟმა ვერ აიტანა მოჯამაგირეობა. მეორენი ამბობდნენ, უმიწობამ, უსახლ-კარობამ, სხვისი ლუკმის შემყურეობამ მიატოვებინა სოფელიო. მესამენი ამბობდნენ, ალბათ, ქალი უყვარდა და უარი უთხრა ქალმა ცარიელტარიელსო.

არავინ იცოდა, სად წავიდა, სად გადაიხვეწა, სად დიდო ბინა. იმ ზამთარს ახლის მთიდან კოლხიდის ზღვისპირა ტყეებში საქონლის დასაზამთრებლად ჩამოსულმა მეჯოგე კვარაცხელიებმა ნახეს ყორათის ტყეში მისი კარავი.

გუდუია ფიქრიდან გამოერკვა.

აღარა წვიმდა. აღარ ეკიდა მის კარვის წინ წვიმის ფარდა.

უფრო ხმამაღლა ისმოდა ექსკავატორის ღრჭიალ-ხრიალი.

ცა მოწმენდილი იყო. მზე იდგა კარვის კართან.

გუდუია ვერ წამოდგა. მწარე მოგონებამ ხელ-ფეხი შეუკრა. თვალდახუჭული იწვა. უნდოდა, გაქცეოდა მოგონებას, ყურს უგდებდა უჩას „კომსომოლეცს". ახლა სიწყნარეში, წვიმით განბანილ გამჭვირვალე ჰაერში მისი ღრჭიალ-ხრიალი უფრო გარკვევით ისმოდა. ამ ხმამ კვლავ აღუძრა მოგონება. — აი, რას შვრება უჩა ქალისათვის. მე კი ჯუნას ერთ სიტყვას გავექეცი. შემეძლო მომენტაცა იმ ღამეს და მასთან ერთად გავქცეულიყავი. მაგრამ ჯუნას არ ვუყვარდი. — „თავადის ქალი უკურთო მოჯამაგირის ცოლი", — განმეორდა მის გონებაში. — გაეთრიეო, ძაღლს არ ეტყვიან ასე".

ძლივს წამოდგა. ერთი კარგი თვისება ჰქონდა — მუშაობისას მოგონებები არ აწუხებდა. მხოლოდ მუშაობაზე ფიქრობდა. გარეთ გავიდა, რომ არხზე წასულიყო.

აივანზე წყალი აღარ იდგა, აღარც ეზოში იდგა. დიდი ხანი გასულიყო. შვლები აქეთ-იქით იდგნენ კართან სველები, ყელმოღერებულები და პატრონს შესცქეროდნენ. წაბლისფერი ბალანი მზეზე უბრწყინავდათ.

კარი მიხურა. აივნის კედელზე მიყუდებული ბარი აიღო და ის იყო ეზოში გააბიჯა, „კომსომოლეცის" ღრჭიალხრიალი შეწყდა. — ალბათ, უჩამ საუზმის საჭმელად შეისვენა". — კილომეტრი არ ჰქონდა გავლილი, რომ წინ სიორდია შემოეფეთა. გაწუწული, წელამდე ტალახში ამოსვრილი მორბოდა, სული ძლივს მოჰქონდა. ფეხის ყოველ დაკვრაზე რეზინის ჩექმების ყელიდან ამოტყორცნილი მღვრიე წყალი სახეზე სცემდა, თვალს უბრმავებდა. ქუდი არ ეხურა, სველი თმა სახეზე ეკრა... მკლავები ბრეზენტის ლაბადაში შეხვეული რაღაც ნივთისათვის შემოეხვია და მკერდზე მიეკრა. დაინახა თუ არა გუდუია, შედგა.

— სად გარბიხარ ისიდორე, ვინ მოგდევს?! — ჰკითხა გუდუიამ.

— შენთან მოვრბივარ.

— რა გაგჭირებია?!

— შენს კეთილ მყოფს გაუჭრდეს სე, როგორც მე მჭრს, — ბრეზენტის ერთი კუთხე ასწია. გამოჩნდა ტყავგადაკრული, ტალახით გასვრილი ქოთნის თავი. ისიდორემ პირი გადახადა.

ქოთნიდან ოქროს სხივი ამოიჭრა.

— ჩახედე, გუდუა, — უთხრა ისიდორემ. ქოთანი ასწია, ახლო მიუტანა თვალთან.

ქოთანი ოქროს მონეტებით იყო სავსე.

მონეტებზე დაცემულმა მზის სხივმა თვალი მოსჭრა გუდუიას. ვერ მიხვდა რა იყო. ოქროს ჯვარი მხოლოდ ჯუნას კისერზე ჰქონდა ნახული.

— რა არის?

— ოქროა.

— ოქრო?!

— ჰო, ოქროს მონეტებ.

— რაა?!

— ოქროს ფულს გუდა. გავკეთდით.

— ვინ გაკეთდა?!

— მე და შენ.

— მე რატომ?

— შუაზე გავყოფთ მე და შენ.

— მე რატომ გამიყოფ შენს ოქროს?!

— გაგყოფ. კეთლ გულ მაქვს.

— ვინ მოქცა ოქრო?!

— მაღალმა ღმერთმა, — უთხრა სიორდიამ.

— ღმერთი არ არიგებს ოქროს, — შუბლი შეიკრა გუდუიამ. იფიქრა დამცინისო.

— ვპოვნე ოქრო, გუდა, — უთხრა სიორდიამ. — შუაზე გავყოფთ.

— თუ ნაპოვნია, მე რად მიყოფ?! — დაეჭვდა გუდუია.

— აკ გთხარ, კეთლ გულ მაქვს-მეთქ.

— არა გაქვს კეთილი გული, — უთხრა პირდაპირ გუდუიამ.

— მსთვს გაგყოფ რომ შეჰნახო.

— ნაპარავია? — არ მოეწონა მისი დაცეცებული, შიშით სავსე თვალები.

— როგორ მაკადრე?! — ვითომ ეწყინა სიორდიას. — ამდენ ოქრო ვს აქვს ჩვენს დროშ. კარგად დახედე. სულ მთლად ბაჯაღლოა.

— რა არის ბაჯაღლო?

— წმნდა ოქრო.. თთხმოცდათექვსმეტ პროცენტ.. უძველს დროს, — შიშით უკან იხედებოდა.

— მოგდევს ვინმე?

— ამდენ ოქროს პატრონს ჩამომართმევენ.

— ვინ ჩამოგართმევს თუ შენია?!

— მთავრობა, — წამოცდა სიორდიას.

— რატომ?!

— მტომ... — დაიბნა ისიდორე. მეტი ვერაფერი თქვა. ისევ მიიხედა უკან.

— მაშ, მთავრობის ყოფილა ოქრო

— არა. ჩემ ოქრო-მეთქ.. შენთან შევნახოთ.

— ჩემთან რატომ შეინახავ, თუ შენია?!

— ჩემა.

— თუ შენია, რატომ მალავ?!

— ჩემ ოქროა, მე ვპოვე, — მაგრად მიიკრა მკერდზე ქოთანი. ტყავი გადააფარა, მერე ბრეზენტის კუთხე. — არვს დავანებებ ჩემს ოქროს. მთავრობამ არ უნდა შეტყოს, რომ ვპოვე.

— ჩემს კარავში გინდა მთავრობას დაუმალო?!

ისიდორემ თავი დაუქნია.

— ქურდობაში გინდა გამრიო?! — რისხვას ვერ იკავებდა გუდუია.

სიორდია განცვიფრებული უყურებდა. ნახევარ ქოთან ოქროს ვთავაზობ შენახვაში და არ უნდა ამ ნადრს.

— შემცდარხარ, ისიდორე.

— როგორ?! — ისიდორეს თვალები დაუწვრილდა.

— დაგავიწყდა რომ გითხარი, მამაშენივით, საფურთხებლად არ გაიხადო პირი-მეთქი?

— მახსოვს... მაგრამ რას ვაკეთებთ სეთს?!

— კი არ ვაკეთებთ, შენ აკეთებ. იპარავ. მთავრობას უნდა ჩააბარო ოქრო.

— ჩემა ოქრო. არ ჩავაბარებ.. მე ვპოვე.

— ვის მიწაზე იპოვნე?

სიორდიამ ვერ უპასუხა. იდგა და თხოვნით შეჰყურებდა გუდუიას მუქარით შეკრულ სახეს. დაინახა, რომ გუდუია არ გახდებოდა ოქროს მონაწილე, დაინახა, რომ მწარედ შეცდა.

— წადი და ჩააბარე მთავრობას ოქრო, — უბრძანა გუდუიამ.

— არ ჩავაბარებ, — შეჰყვირა სიორდიამ დიაცური, გამკივნავი ხმით. შეტრიალდა და გაქუსლა.

გუდუია არ დაედევნა, იცოდა არაქათგამოლეული კაცი შორს ვერ წავიდოდა, ვერ გაექცეოდა. უკან გაჰყვა. მიდიოდა თავისი გრძელი ნაბიჯით მხარზე ბარგადებული, რისხვით სახეშეკრული.

უჩას ახალი ტრასით არხი ნახევარ კილომეტრზე ჰქონდა გათხრილი. მისი და ბაჩილოს ექსკავატორები „კომსომოლეცი“ და „კოპელი“ ერთად თხრიდნენ ღედაარხს. ბაჩილოს „კოპელი“ ქვევით მუშაობდა, „კომსომოლეცი“ ზევით. ერთმანეთისაგან ოთხი კილომეტრით იყვნენ დაშორებულები.

არხზე სვანები ხშირად ხუმრობდნენ— უჩა შამუგია წინ ისე სწრაფად იმიტომ მიიწევს, ეშინია ბაჩილომ კუდზე ფეხი არ დამადგასო.

სიორდია თავს დასტრიალებდა უჩას.

ვერ აპატია შეურაცხყოფა. მიზეზს ეძებდა რაიმე შარი მოედო, დაეწუნებია მისი მუშაობა და, რომ ვერ ახერხებდა, დასაწუნს უჩას მუშაობაში ვერაფერს რომ ვერ ხედავდა, გულზე სკდებოდა, ბოღმა აღრჩობდა.

დღესაც თავსხმაში მის ექსკავატორს არ შორდებოდა. ასეთი წვიმაში გათხრილი არ ივარგებსო, მიწას ახლო ჰყრი ნაპირზეო, საჭირო მანძილს არ იცავო და დამბა ჩამოშვავდებაო. უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ უბედავდა. თავსხმაშიაც კარგად თხრიდა უჩა, მიწასაც საჭირო მანძილზე ჰყრიდა.

წვიმა ახალი გადაღებული იყო, „კომსომოლეცის" ციცხვის კბილებმა რაღაც მაგარზე ხრიწინი რომ გაიღო. არც ხის ფესვი იყო, არც რაიმე ნაგებობის ქვა. ეს ხმაზე შეატყო უჩამ. მაშინვე შეაჩერა ციცხვი. კაბინის კარი გააღო და მიწაზე ჩამოხტა. მივიდა ციცხვთან. მიწიდან იმ ადგილას, სადაც ხრიწინი გაისმა, ქოთნის კედელი მოჩანდა. ტალახით გასვრილ ქოთანზე გასრიალებული ციცხვის კბილებს მხოლოდ გაეფხაჭნა იგი. ის იყო ხელი ფრთხილად მოუსვა, რომ გაესინჯა, ხომ არ გაიბზარაო, ზურგიდან სიორდიას მბრძანებული ხმა შეესმა:

— ჰაპ, ხელ არ ახლო.

დიდი და პატარა არხების გათხრისას არაერთხელ უნახავთ მშენებლებს საომარი და სამუშაო იარაღები. ხმლები ჩაჩქნები, ფარები, ქოთნები, დოქები, დანგრეული ნაგებობების ჩუქურთმები, აკალდამები, წყალსადენი მილები. ამიტომ მოუსვა უჩამ ქოთანს ხელი.

— შეაჩერე ექსკავატორ, — სიორდია თვალს არ აშორებდა ქოთანს.

ექსკავატორი შეჩერებული იყო, მაგრამ გონება აებნა. თითქოს იგრძნო, რომ ქოთანში ფული იყო, ოქრო იყო. თვითონაც არ იცოდა, რატომ უთხრა გაჩერებულ ექსკავატორზე შეაჩერეო.

იმ ქოთნის ცოტა მოშორებით მეორე ქოთნის შაურიანის ოდენა ნაწილი მოჩანდა. უჩამაც დაინახა იგი. სიორდიამ პირველმა შეჰკიდა თვალი, მაგრამ იმას კი ვერ შეასწრო მზერა, რომ უჩამაც დაინახა მეორე ქოთანი.

— კანტორაშ წად, — უთხრა უჩას. — ლონგნოზ ლომჯარ ნახე. ფოთშ წავდეს და ეთნოგრაფულ მუზეუმს დროქტორ, პეტრე გერსამა ჩამოყვანოს. მე აქ დავრჩებ. ქოთანს უყარაულებენ. ვნ ცს შგ რა დევს.

უჩა ყოყმანობდა — ვინ იცის ქოთანში რა დევსო. არ უნდოდა სიორდიას ქოთნებთან დატოვება.

— წად, რას უდგეხარ?! მე აქ ვქნებ.

უჩა კარგად დააკვირდა, როგორ იდო მიწაში ქოთნები და თუ სიორდია ხელს ახლებდა, შეეტყო.

ისიდორე გულის ფანცქალით ფიქრობდა, მეორე ქოთანიც ხომ არ შეამჩნია უჩამო. მღელვარებას ვერ ფარავდა და ამან კიდევ უფრო დააეჭვა უჩა. რას იზამდა, სიორდია სამუშაოთა მწარმოებელი იყო და უნდა დამორჩილებოდა.

— ჩვენს მოსვლამდე ხელი არ ახლო, — უთხრა ბოლოს უჩამ.

— შენ რომ არ მთხრა, თვთონ არ ვც — ვითომ ეწყინა სიორდიას.

უჩა წავიდა. ჯერ ნელა მიდიოდა. მერე იმის შიშმა, რომ სიორდია თავს მოხსნიდა ქოთანს, ცეცხლი შეუნთო. თავქუდგადაგლეჯილი გაიქცა.

ლონგინოზ ლომჯარია არქეოლოგიისა და ისტორიული ძეგლების დიდი თაყვანისმცემელი იყო. ყოველი ნაპოვნი ძველი ნივთი, კერამიკული ნაკეთობაც კი დიდ შენაძენად, ჩვენი წარსული კულტურის ნაწილად მიაჩნდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ზედ დაკანკალებდა. კაცს მოკლავდა რაიმე ისტორიული ძეგლის მოპარვის ან დაკარგვისათვის.

ლონგინოზი პეტრე გერსამიას მარჯვენა ხელად თვლიდა თავს. ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების ერთი მეოთხედი მისი ნაპოვნი და მოტანილი იყო. მუზეუმის შტატგარეშე თანამშრომლად ითვლებოდა. მუზეუმისათვის იმდენს აკეთებდა და ზრუნავდა, რამდენსაც შტატის თანამშრომელი ვერ აკე-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

თებდა და ვერ ზრუნავდა. მშენებლობაზე ვინმე სტუმარი რომ ჩამოვიდოდა, ლონგინოზს პირველ რიგში მუზეუმში მიჰყავდა, ის არის ძველი კოლხიდის კულტურის მღაღადებელიო.

უჩა კანტორაში გაიქცა თუ არა, ისიდორე იმ მეორე ქოთანთან მივიდა და საჩვენებელი თითით მიაკაკუნა. ქოთანმა ყრუ ხმა გამოსცა. სიორდია მიხვდა ქოთანი რაღაცით სავსეაო, იმ მხარეს მიიხედა, უჩა რომ ბუჩქებს მიეფარა, თითქოს უჩას ქოთანზე მიკაკუნების ხმის გაგონება შეეძლო.

ერთხანს კიდევ დაიცადა და რომ დარწმუნდა, უჩა უკვე შორს იქნებოდა წასული, სწრაფად შემოაცალა მიწა ქოთანს. მოზრდილი, თავზე ტყავგადაკრული ქოთანი იყო.

ქამარზე ჩამოკიდებული სანადირო დანა იძრო ქარქაშიდან, თასმა გაჭრა და ქოთანს თავი გადახადა. გაოცებისაგან შეჰყვირა, შიშით პირზე ხელი დაიფარა. თვალი უფრო ფართოდ გაახილა, ხომ არ მეჩვენებაო. დახუჭა, ისევ გაახილა.

— ოქროა... ოქროს მონეტებით გატენილ, — დაიჩურჩულა ისე ხმადაბლა, თვითონ ვერ გაიგონა თავისი ხმა. ეს იყო სიხარულის, სიხარბის, გაოგნების ჩურჩული, ადამიანს ყელს რომ გაუშრობს, ხმას წაართმევს, გონებას დაუბნელებს.

წვიმისაგან დარბილებულ მიწაში ხელები ადვილად შეჰყო. ქოთანს გარშემო მოსდო, ფრთხილად მოსწია. ქოთანი უცებ გამოსრიალდა თავის გალუმპული, სველი ბუდიდან. ძლივს შეიმაგრა მისმა გაფსხრიკულმა ხელებმა. მიწაზე დადგა, თან აქეთ-იქით აცეცებდა ყულაბის ჭრილივით ვიწრო თვალებს. ქოთნის ბუდე მოანგრია, გაასწორა. ექსკავატორის კბილების სიფართით მუშტი იმდენჯერ აუსვ-დაუსვა, რამდენი კბილი ჰქონდა ციცხვს, რომ ის ადგილი ციცხვის ანათალისათვის დაემსგავსებინა. ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და შეხედა. ვერავინ შენიშნავდა მიწა ციცხვით ანათალი რომ არ იყო. გაეხარდა. ამას მორჩა, თუ არა, ლაბადა გაიხადა, ქოთანს შემოახვია, მკერდზე მიიკრა.

— ოქრო... ოქრო... ამდენი ოქრო! — არხს აჰყვა. ყოველ ნაბიჯზე უკან იხედებოდა და თავის ნაკვალევს ფეხით შლიდა. ნაპირზე ავიდა. თვალი იქით გაექცა, საითაც უჩა წავიდა. — არა, ასე მალე ვერ მოვლენ, — ბუჩქებისაკენ გაიქცა. იქ უნდოდა ქოთანი დაემალა. — არა, არა, — ერთ ადგილზე ტრიალებდა. ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. — აქ რომ მომაგნონ! — ვერ გაბედა ბუჩქებში დამალვა. — გუდუია ესვანჯთან, — გაუელვა აზრმა. — მასთან დავმალავ, — გუდუიას კარვისაკენ მოუსვა.

უჩამ შორიდან დაინახა ყორათის მასივის კანტორის წინ მდგარი ვაჟა ჯაფარიძე და ლონგინოზ ლომჯარია. მთავარი ინჟინერი რაღაც დავალებას აძლევდა მომარაგებელს.

ეს შორიდან შეატყო. იცოდა, როცა ლონგინოზი მშენებლობის სამმართველოს უფროსისაგან და მთავარ ინჟინრისაგან დავალებას იღებდა, ყოველთვის ჯარისკაცივით გაჭიმული იდგა. — „მადლობა ღმერთს, ერთი ფეხით მოვუსწარი“, — ოფლი ასკდებოდა, მუხლი ეკვეთებოდა.

მომმარაგებელმა დავალება მიიღო, ვაჟას დაემშვიდობა და მოტოციკლისაკენ გაეშურა.

— ვერ მივუსწრებ, — წამოიძახა უჩამ.

კანტორამდე ასორმოცდაათი ნაბიჯი იქნებოდა.

უჩამ პირზე ხელები მოიფარა.

— ლონგინოზ, ეეუუი!

მთავარი ინჟინერი და მომმარაგებელი ერთდროულად მობრუნდნენ უჩასკენ.

— დამიცადე, ლონგინოზ.

უჩა მირბოდა, ბორძიკობდა, წაიქცა, წამოდგა, ფერდები ხელებით ეჭირა, ხრიალებდა.

ვაჟამ და ლონგინოზმა დაინახეს, რომ უჩას რაღაც სასწრაფო ამბავი მოჰქონდა. ნაპირი ხომ არ ჩამოშვავდაო, გაიფიქრეს და უჩას მიეგებნენ.

უჩა შედგა. ირწეოდა, სულს ძლივს იბრუნებდა.

— არხში ქოთანია... — ამოიხრიალა, მეტი ვერაფერი თქვა.

— რა ქოთანი?! — მთავარმა ინჟინერმა და მომმარაგებელმა უჩასთან მიირბინეს, ხელი მოკიდეს, რომ არ წაქცეულიყო.

— არ ვიცი... ორი მეტრის სიღრმეზე დევს.

— ხელი ხომ არ მოკიდე?! — შეშინდა ლომჯარია.

— არა. სიორდიამ დამაბარა, ლონგინოზი გაფრინდეს გერსამიასთანო.

— კარგად უთქვამს.

— ისეთი თვალით უყურებდა ქოთანს... არ მომეწონა.

— ფოთში წასვლის დრო არაა, — უთხრა ვაჟამ მომმარაგებელს. სიორდია სანდო არ არის. არხზე წავიდეთ, — უჩას მიუბრუნდა: — შენ დარჩი უჩა. არაქათი აღარა გაქვს.

— მეც წამოვალ. სული მოვითქვი.

— სამნი ვერ დავეტევით მოტოციკლეტზე.

— მე ფეხით წამოვალ.

— თქვენ უკან დაჯექით, — უთხრა ლონგინოზმა მთავარ ინჟინერს. — უჩას წინ დავისვამ.

გაიქცნენ მოტოციკლისაკენ...

ჩავიდნენ თუ არა არხში, უჩამ მაშინვე მეორე ქოთნისაკენ გაიხედა.

— რას უყურებ, აგერაა ქოთანი, — უთხრა ვაჟამ.

— აქ მეორე ქოთანიც იყო, — ხელი მიადო უჩამ იმ ადგილზე, სადაც მეორე ქოთანი იდო.

— ზედ ციცხვის კბილების კვალია, — ლონგინოზი დააკვირდა ისიდორეს მიერ მუშტით გავლებულ კვალს. — არა. ციცხვის კვალი არ არის. სადაა სიორდია? — მიმოიხედა.

— ქოთანი გამოუღია მიწიდან და მერე მუშტით დაუსვია ციცხვის კბილებივით კვალი, — თქვა უჩამ.

— ციცხვის კბილებს არა ჰგავს, — დაეთანხმა ვაჟა.

— წაუღია იმ სულძაღლს ქოთანი, — შეშფოთდა უჩა, — დავაგვიანეთ.

— სად წაიღებს. ნუ გეშინია, უჩა. ვერ გაგვექცევა, — დაამშვიდა უჩა ლონგინოზმა.

— ისიდორეს ჰგონია, მე მეორე ქოთანი არ დამინახავს. ამიტომ მოიპარა. გადამალავს და იტყვის, არ ყოფილაო. რით დავუმტკიცოთ?

— ვერ იტყვის. შენ პირში დაუდგები, — უთხრა ვაჟამ, თვალწინ დაუდგა სიორდია ქოთნით ხელში, ვირთხასავით დაცეცებული.

— კვალში ჩავუდგეთ, — უთხრა მომარაგებელმა მთავარ ინჟინერსა და უჩას. — ახლო მივიდა ქოთანთან, მიუკაკუნა. — სავსეა. ალბათ, ოქროა. თუ ის ქოთანიც ასეთია, ტყვიასავით მძიმე იქნება, შორს ვერ წაიღებს, — ნაფეხურებს დახედა. — ხედავთ, ნაკვალევი წაუშლია, — დაიხარა ლონგინოზი, დააკვირდა, — ფეხით აქვს წაშლილი.

ისიდორეს ძლივს მიჰქონდა სული და ოქრო არხისაკენ. „გუდა გამცემს... თავს ადგილზე ჩავდგამ ქოთანს... სანამ პეტრე გერსამ და უჩა მოვლენ... უნდა დავასწრო მათ. უნდა დავასწრო დედაგულეტილებს, — ზურგიდან გუდუის მძიმე და ყრუ ნაბიჯის ხმა შეესმა. მიწა წყლით იყო გაჟღენთილი და ამიტომ ისმოდა ყრუდ გუდუის მძიმე ნაბიჯები. — დამწევა, — ქოთნის სიმძიმით წინ დახრილი მილასლასებდა. ცდილობდა ქოთანი არ დავარდნოდა. ბრეზენტი სხლტებოდა ტალახიან ქოთანზე. მიწა სველი იყო, მაგრამ მაინც დაიმტვრეოდა, საუკუნეებით მიწაში ნადები ქოთანი რომ დავარდნოდა... — დაცვვდება ოქრო და ზედ წამადგება გუდუ ესვანჯ, წამართმევს ოქროს... მერე ცხეშ მკრავენ თავს... რატომ ბუჩქეშ არ დავმალე? შევცდ, — ნანობდა, ტიროდა. ეგონა, ყოველმხრიდან მოსდევდა მდევარი. გუდუის ყრუ და მძიმე ნაბიჯებთან ერთად სხვა ათასი ასევე მძიმე და ყრუ ნაბიჯი ესმოდა ირგვლივ. ესმოდა ზურგიდან, წინიდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან. ოფლში ცურავდა. სახიდან დადენილი ოფლი ბრე-

ზენტზე ეცემოდა და ეჩვენებოდა, ეს წვეთებიც ამძიმებდა ქოთანს. მკლავები მისი აღარ იყო, ქოთანი მკერდიდან მუცელზე ჩამოუცურდა. სულ უფრო ხრიდა მიწისაკენ მისი სიმძიმე. — ამან დამღუპა, — მუცელს წვავდა ქოთანი, ოქრო ნაღვერდლებად ექცა. ისედაც შეხუთულ სულს კიდევ უფრო უხუთავდა. — ამან გამომჭრა ყელ, უნდა მვტანო არხამდე... — ხრიალით სუნთქავდა. — უნდა მვტანო არხამდე... ჩავდგა თავს აღგლას, — წინ ის ბილიკი იყო, იმ ჭაობზე გადიოდა, მამამისი ტატაჩია რომ ჩაიტაცა. მამამისის საფლავი იყო. ისიდორეს ტანში გაბურძგლა. ეს გზა უფრო მოკლე იყო არხამდე. ამ ბილიკით თუ მივიდოდა ადრე არხამდე. მხოლოდ ამ ბილიკით, ამ ბეწვის ხიდით. ცხელი ოფლი შეაცივდა ტანზე. — როგორ გავალ დედაგაღლეტლ ჭაობზე?!. ბეწვის ხიდზე?!.. — თავბრუ ესხმოდა. — როგორ გავალ ბეწვს ხიდზე?! — მიწა, ტყე, ბუჩქები ყირავდებოდა, ტრიალებდა, ირწეოდა, ქანაობდა მარილიანი ოფლით სავსე თვალებში. ძალისაგან დაცლილი, შიშს მიჰყავდა წინ. — არა... სორდ ასე ადვილად არ წახდება... — იმაგრებდა გულს, უფეთქავდა მუცელი, უფეთქავდა მკერდი, ისე ძლიერად, ეჩვენებოდა, ქოთანს ურტყამდა და გამაგდებინებსო.

გამოჩნდა ჭაობზე გამავალი „ბეწვის ხიდი“. გამოჩნდა მთელი ჭაობი. მის ზედაპირზე ნაწვიმარი წყალი მღვრიედ, პირქუშად ლივლივებდა. ისიდორემ თვალი დახუჭა. ბრმად მირბოდა მისკენ. გზას ხომ არ ავცდიო, გაიფიქრა და შედგა. თვალდახუჭული იდგა და ეჩვენებოდა ჩაძირული იყო ჭაობში, იხრჩობოდა, სული შეეხუთა და თვალი გაახილა. — „არა ვარ ჩაძრულ, არ ვხრჩვებ.“ უნდოდა გზა განეგრძო და ვარ ბედავდა ჭაობთან მიახლოვებას. იდგა და ყურს უგდებდა ჭაობის ბუყბუყს.

მის ზურგს უკან გუდუიას ხველება გაისმა. სუფთა, კრიალა ჰაერში მჭახედ გაბმაინდა შეძახებაცის ხრინწიანი ხმა. თითქოს უბიძგაო ამ ხმამ ისიდორეს. გამოერკვა. ქოთანი მკერდამდე ასწია. არ იცოდა, საიდან აღუდგა დაკარგული ძალა. ფეხი გადადგა. წინ გაემართა. უახლოვდებოდა ჭაობს. არ იცოდა, საიდან გაუჩნდა ამდენი გამბედაობა. სულ ახლოს ესმოდა ჭაობის ბუყბუყი.

ქოთანი მაგრად, რაც შეეძლო მაგრად მიიკრა მკერდზე, ჩაიხუტა და ნაბიჯს აუჩქარა. ამისთვისაც ეყო ძალა, ოღონდ ქოთანი არ წაერთმია გუდუიას, დედაგაღლეტილ გუდუ ესვანჯიას.

შედგა ფეხი ბილიკზე. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. აღარ ქანაობდა, აღარ ირწეოდა. მიწა, ტყე, ბუჩქები არ ყირავდებოდა, არ ტრიალებდა მარილიანი ოფლით სავსე თვალებში. მიდიოდა ბილიკზე, როგორც ჯამბაზი. ვავიდა შუა ბილიკამდე და უცებ დაინახა მისკენ სირბილით მომავალი ვაჟა ჯაფარიძე, ლონგინოზ ლომჯარია და უჩა შამუგია.

— აა! — შესძახა დიაცური, გამკინავი ხმით. მკვეთრად შეტრიალდა, ისე მკვეთრად და სწრაფად, რომ მუხლმაც უმტყუნა, თვალმაც უმტყუნა და ფეხმაც. გადავარდა ჭაობში. მაშინვე იგრძნო აღსასრული. თავის თავზე არ ფიქრობდა. ოქროზე ფიქრობდა. მისი დაკარგვის შიშმა დასცა თავზარი. მაღლა ასწია ქოთანი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ წელში ხრიდა, ვერ იმაგრებდა, ხელიდან უსხლტებოდა.

მოადგნენ ჭაობს ერთ მხრიდან მთავარი ინჟინერი, მომმარაგებელი, უჩა შამუგია და მეორე მხრიდან დინჯად, აუჩქარებლად გუდუია.

სიორდია წელამდე ჭაობში იყო ჩაძირული. სწრაფად იწოვდა ჭაობის სტომაქი მის მსუბუქ ტანს, დამძიმებულს ოქროს წონით. ქოთანს მაინც არ უშვებდა აძაგძაგებულ ხელებს. ორმა ხაფანგმა ერთდროულად დაიჭირა ისიდორე — ჭაობმა და მდევარმა.

— ვხრჩობ... რას უყურებთ?!

— ბარი გაუწოდე, გუდუია, — დაუძახა გაღმიდან ჯაფარიძემ. — ბარზე დადებს ქოთანს.

გუდუია შუა ბილიკზე გავიდა. იქა-

მდე, სადაც სიორდია გადავარდა. ბარი გაუწოდა.

— არ დავდებ ქოთანს, — დაიკნავლა ისიდორემ. — ჯერ მე ამომიყვანეთ.

— ამოგიყვანთ, — უთხრა ვაჟამ. — ქოთანი დადე.

უჩა გუდუიასთან მივიდა. ხელი შეაშველა ბარის ტარს, რომ შეემაგრებიათ ქოთნის სიმძიმე.

სიორდიას ჭაობი სწრაფად იწოვდა.

— არ მომატყუოთ... ვღუპებ, — ისევ დაიკნავლა.

ჭაობი მკერდამდე მისწვდა.

— არ მოგატყუებთ. დადე ქოთანი, — ისევ დაუძახა ვაჟამ.

ისიდორემ გადაწყვიტა დაედო ქოთანი, მაგრამ ვერ ახერხებდა. ირწეოდა ჭაობში, ხელები არ ემორჩილებოდა.

ნაპირიდან შიშით შეჰყურებდნენ, ვაითუ გაუვარდეს ქოთანიო.

ბოლოს, როგორც იქნა, დადო ბარზე ქოთანი და უნდოდა თვითონაც წატანებოდა ბარს. გუდუიამ და უჩამ დროზე გასწიეს განზე ბარი, ნელა, ფრთხილად წაიღეს ბილიკისაკენ. როგორც კი ქოთანი მოახლოვდა, უჩამ ხელი შეუშვა ბარს, გადაიხარა და აიღო ბარიდან. გაუკვირდა ამსიმძიმე როგორ ეკავა სიორდიას მილეულ ხელებსო.

გუდუიამ მაშინვე მიაბრუნა ბარი და ისიდორეს გაუწოდა. სიორდია ბარს ჩააფრინდა. ჭაობი იღლიაში ეჯდა. რამდენიმე წამი და მკლავებს ვეღარ ამოიღებდა. ბარს ისე ჩააფრინდა, ეგონა ხელები დაემტვრა. ჩააფრინდა განწირული ადამიანის სასოწარკვეთილებით.

უჩამ და გუდუიამ მაგრა მოიკიდეს ფეხი ბილიკზე და ნელა მოიზიდეს ბარი, რომ სიორდიას არ გასხლტომოდა წებოვანი ჭაობით გალუმპულ ხელებიდან. ნელა ამოდიოდა მისი ტანი. ნელა ეწეოდნენ უჩა და გუდუია ნაპირისაკენ იმ მხარეს, ვაჟა და ლონგინოზი რომ იდგნენ.

სიორდიას ტანი ჭაობიდან ამოვიდა და წყლის ზედაპირზე მოცურავდა ლიანებსა და ხავსს შორის. მოცურავდა თავაწეული გველივით.

გამოიყვანეს ნაპირზე.

იქ ბარს ხელი უშვა სიორდიამ და ლაქაშს ჩაავლო. მკვდარივით იწვა.

მთავარი ინჟინერი, მომმარაგებელი და უჩა თავზე დაადგნენ.

ისიდორემ ვერ შეხედა მათ. ლაქაშში თავჩაქინდრული იწვა.

— ადექი, — უთხრა გუდუიამ.

სიორდია ვერ ადგა.

— ააყენეთ, — უთხრა ვაჟამ უჩასა და გუდუიას.

აქეთ-იქიდან მოკიდეს ხელი და წამოაყენეს.

სიორდია შექანდა, თავი ვერ შეიკავა, ლაქაშში ჩაჯდა.

— რა დევს ქოთანში? — ჰკითხა მთავარმა ინჟინერმა.

— ოქრო, — სიორდიამ თავი მუხლებში ჩარგო. ხელები მუხლებზე შემოიჭდო.

— საღ მიგქონდა?

— მომქონდა, — ისიდორე შვილდივით მოიხარა.

— საიდან?

სიორდიამ პასუხი ვერ იპოვნა.

პასუხი გუდუიამ გასცა მთავარ ინჟინერს.

— ჩემს კარავში მოჰქონდა ოქრო. დამალე და შუაზე გაგიყოფო.

— ვის პარავდი ოქროს, სიორდია? — ჰკითხა მკაცრად მთავარმა ინჟინერმა. — თავი ასწიე. შემოგვხედე.

ისიდორე თავს ვერ სწევდა. ერჩივნა მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა. მთლად მოიკაკვა, დაპატარავდა, დაილია. უცებ უბის წიგნაკი მაინც გაახსენდა, ჯიბეზე იტაცა ხელი. ჭაობში ჩარჩენილიყო უბის წიგნაკი.

მთავარ ინჟინერს გაეცინა.

— რათ გინდა, სიორდია. აწი მაინც ვერ გამოიყენებ.

ვაჟა ჯაფარიძემ მილიციაში რომ გაიტანა ლონგინოზ ლომჯარიას სიორდია, კანტორაში აღარ დაბრუნდა. ისე წაუხდა ხასიათი, ისეთ გუნებაზე დადგა, აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. უნდოდა, მარტო დარჩენილიყო, გული

რამე ისეთი საქმისათვის გადაეყოლება, რაც სიორდიას დაავიწყებდა. მაგრამ ვერც ეს მოახერხა და ვერც ისიდორეს ზმანება მოიშორა. ხან ისეთი დაუდგებოდა თვალწინ, როგორიც წინათ იყო, ხან კი ჭაობში ამოვლებული, მოკაკვული, დაპატარავებული, დალეული.

„ყველა წინააღმდეგი იყო სიორდიას მშენებლობაზე მიღების. მე დავუჭირე მხარი. მწარედ შევცდი... რაც უნდა იყოს ადამიანია, ცოლ-შვილის პატრონი. მუშაობა იცის... დავაწინაურე, ბინა მივაცემინე. მე არა მქონდა ბინა და მისთვის მივაცემინე. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ კაცი გამხდარიყო. პარტიაში მისაღები რეკომენდაციაც კი მივეცი. იქნებ კომუნისტის სახელმა დააფიქროსმეთქი... ვერაფერმა უშველა. რაც გინდა ხეხო ყორანიო, ტყუილად არ უთქვამს ხალხს. შხამით სავსე გული არ დაეწმინდა, — ადანაშაულებდა თავის თავს ვაჟა. — ჩემს ხანში მეტი დაფიქრება იყო საჭირო. ვის ვეხმარებოდი, ვისზე შემტკიოდა გული! ვის ხარჯზე?! კოლექტივის, ამხანაგების. შევცდი... მწარედ შევცდი. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა. როგორ არ უნდა დავხმარებოდი ადამიანს?!. გალინა მალე მიხვდა, რა სულიც იყო. მე ვერ მივხვდი. არ დავუჯერე გალინას. რა პირით შევხედო ახლა? — ტკივილისაგან გული ეკუმშებოდა. — ადამიანმა საძაგლობა ჩაიდინა. სახელმწიფოს მოპარა. კოლექტივი შეარცხვინა. საქვეყნოდ თავი მოგვჭრა... ჩემს ხანში მეტი დაფიქრება იყო საჭირო“.

ამ დილით ცოლს შეპირდა, სადილად შინ მოვალო. დიდი ხანია გალინასთან ერთად არ უსადილია. მონატრებული ჰქონდა ერთად ეჭამათ სადილი.

უჭირდა შინ მისვლა, მაგრამ სიტყვის გატეხვა არ უნდოდა. ბინდდებოდა შინ რომ მივიდა, ჩუმად შეაღო კარი, თავისი საძინებელი ოთახისაკენ გაემართა ფეხაკრეფით.

სასადილოში გალინა არკადიევნა სუფრას შლიდა. რუსუდანი ეხმარებოდა. არ გაუგიათ ვაჟას მოსვლა. საუბრით იყვნენ გართული.

— სიორდიასთანა კაცისაგან ყველაფერს უნდა ელოდე, — ეუბნებოდა რძალს რუსუდანი.

— მადლობა ღმერთს, თავისი ადგილი მიუჩინეს.

— ბევრს უთმენდით, შვილო იმ გარეწარს. მთელმა მშენებლობამ იცოდა, რა სულიც იყო.

— ხომ იცით, დეიდა რუსუდან, ვაჟას გულკეთილობის ამბავი. ეცოდებოდა.

— ასეთი კაცი არ უნდა შეიცოდო, შვილო.

ვაჟამ კარი მიიხურა. მას უსაყვედურებდა რუსუდანი. სააბაზანოში რომ შევიდა, მაშინ გაიგეს გალინა არკადიევნამ და რუსუდანმა მისი მოსვლა.

— ვაჟასთან არაფერი თქვათ, დეიდა რუსუდან სიორდიაზე, — თხოვა სეროვამ.

სააბაზანოში შეესმა ვაჟას ცოლის სიტყვები. დიდხანს იბანდა თავპირს, ტანს. ასევე დიდხანს იმშრალებდა, რომ სასადილოში შესვლა დაეხანებია. — ხომ იცით, დეიდა რუსუდან, ვაჟას გულკეთილობის ამბავი. ეცოდებოდა, — გაიმეორა გონებაში ცოლის სიტყვები და მწარედ გაეღიმა. — არ იყო შესაცოდი ეგ ბინძური კაცი, — ტანსაცმელი გამოიცვალა. სასადილოში ისე შევიდა, ვითომ კარგ ხასიათზე და მადაზე იყო.

— ბაჟას სუნი ქუჩაში მეცა, — უთხრა მხიარულად დეიდას. — ოჰო, კეფალიც გქონიათ. უმოწყალოდ იჭერენ ქორმეთევზეები. მალე სულ გაწყდება კეფალი პალიასტომში. ალბათ, ბაზარში იყიდე, — საყვედურის კილოთი უნდოდა ამის თქმა, მაგრამ ვერ შესძლო.

— ყველა ბაზარში ყიდულობს, ვაჟა — უთხრა რუსუდანმა. — მაგ ქორმეთევზეებს უნდა აეკრძალოთ კეფალის დაჭერა. მე რომ არ ვიყიდო, ამით საქმეს არ ეშველება.

სუფრას მიუსხდნენ. ვაჟამ ყველი და ცხელი მჭადი გადაიღო.

— კარგი ყველია.

— მეჯოგისაგან უყიდია დეიდა რუსუდანს, — უთხრა სეროჟამ.

— კვარაცხელია იქნებოდა მეჯოგე.

— აბა ვინ იქნებოდა. მხოლოდ კვარაცხელიები დარჩნენ მეჯოგეებად.

— აი, დავაშრობთ, დეიდა ჭაობს და იმდენი საძოვრები გვექნება. ბევრი დაუბრუნდება მეჯოგეობას. ფოთის გარშემო სულ მეჯოგეობის ფერმები გაშენდება. ქალაქს ბევრი რძე და ხორცი ექნება. ჩვენ თვითონ გადავზელავთ სულუგუნს. ხომ, დეიდა რუსუდან? — უთხრა სეროჟამ რუსუდანს. — ბიძია პეტრემ დარეკა, დამაგვიანდებაო. ამიტომ დღეს თამადად მე ვიქნები. ამირჩევთ თამადად? — შეხედა რუსუდანსა და ვაჟას.

— პეტრე ალბათ, ოქროს მონეტებს ითვლის და იბარებს, გალინა, — თქვა ვაჟამ.

— ჰო, მართლა, კარგი განძი უპოვნია უჩა შამუგიას.

— ვის მონეტებს იბარებს, პეტრე?! — თითქოს არ იცისო ეს ამბავი, ისე ჰკითხა რუსუდანმა.

— რომელიღაც კეისრის, თუ იმპერატორის.

— სად უპოვნია? — რუსუდანმა თავი ვერ შეიკავა. უნდოდა დაწვრილებით გაეგო მონეტების პოვნის ამბავი. ქმარივით ისიც შეშლილი იყო კოლხიდის მიწაზე ნაპოვნ ყოველ განძზე, ძეგლზე, ჩუქურთმის ნატეხზე.

— დედაარხის გათხრისას.

— რამდენი მონეტაა?

— ყელამდე სავსე ორი ქოთანი.

— რა გადმოგიღო, ვაჟა? — ჰკითხა ქმარს სეროჟამ, რომ სიტყვა ბანზე აეგდო და რუსუდანს ანიშნა მაპატიეო.

ვაჟა ჭამის მადაზე არ იყო. მოსაწყენებლად, ძალით ჭამდა. რუსუდანი არა, მაგრამ სეროჟა ადვილად ამჩნევდა, რომ ვაჟას არც ლაპარაკი უნდოდა და არც ჭამა.

— დღეს მმართველმა დეპეშა მიიღო. კიდევ გვიგზავნიან ორ ექსკავატორს, — ცდილობდა ქმრის გართობას გალინა არკადიევნა.

— დიდენკოს ვაჟი შესძენია, — თქვა რუსუდანმა.

— კარგი კაცი გაუზარდოს ღმერთმა, — გაეხარდა ვაჟას და ბავშვი ადღეგრძელა.

— შენ არაფერს ჭამ, ვაჟა. დილით არ გისაუზმია.

— არ მისაუზმია.

— ღომი გაგიცივდა.

— არა, ცხელია.

— ყველი არ ჩაგიხარშია ღომში.

— ჩავხარშავ.

სეროჟამ და რუსუდანმა მაინც ვერ შესძლეს ვაჟას ფიქრიდან გამოყვანა. ხვდებოდნენ, რომ ვაჟა გრძნობდა, რატომ იქცეოდნენ ასე და ეს უფრო აღიზიანებდა. ამიტომ გაჩუმება არჩიეს.

კინოთეატრიდან უკანასკნელი სეანსის მაყურებლები გამოდიოდნენ. ქალაქის ყველა ეკრანზე სერგეი გერასიმოვის ფილმს „კომსომოლსკს“ უჩვენებდნენ. მაყურებელთა უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო.

ხმამაღლა საუბრობდნენ, მხიარულად, გატაცებით. ქალიშვილები და ვაჟები წყვილ-წყვილად და ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ.

ახლომახლო ქუჩები, როგორც ერთბაშად გაივსო და ახმაურდა, ასევე ერთბაშად დაცარიელდა და მიყუჩდა.

მხოლოდ ორი წყვილი დარჩა ქუჩაში. მათ შინ არ მიეჩქარებოდათ. ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ მთვარით განათებულ ჭადრების ქვეშ. ტროტუარი აჭრელებული იყო ჩრდილითა და ნათელით.

ქალაქის თავზე მრგვალი მთვარე იდგა. ზღვიდან ნელი, სულ ნელი ნიავი მოდიოდა.

წინ ანტონ ბაჩილო და ცისანა ცინცაძე მიდიოდნენ. ათიოდე ნაბიჯის მანძილზე მათ უკან — უჩა შამუგია და ცია ცანა.

— ის ახალგაზრდებიც საერთო საქმეს აკეთებენ „კომსომოლსკში“, — განაგრძობდა ანტონ ბაჩილო დაწყებულ საუბარს. — ისინიც ჩვენსავით ტყესა და

ჭაობს სტაცებენ მიწას, რომ იქ მერე თავისი ბუდე დაიდონ.

— თავისი ბუდე, — გაიმეორა ცისანამ.

— ჰო, თავისი ბუდე. საერთო საქმე კარგია. პირველ რიგში ადამიანი საზოგადო საქმისათვის უნდა ილვწოდეს, მაგრამ თუ იგი თავის თავზეც არ ზრუნავს, ვერც საერთო საქმისათვის ივარგებს. აი, მე დღეში იმიტომ ვასრულებ ორი კაცის ნორმას, რომ მალე დავიდოთ ჩვენი ბუდე, — ხელკავი გამოსდო ცისანას.

— ციამ მითხრა, უჩა ამიტომ იდგამს წელებზე ფეხსო, — უთხრა ცისანამ და მკლავით მისი ხელი გვერდზე მიიკრა. — რომ იცოდე, ანტონ, როგორ ეჩქარებათ ამ დღის დადგომა.

— როგორც ჩვენ, არა ცისანა?

— როგორც ჩვენ, ანტონ.

ანტონ ბაჩილო და ცისანა შედგნენ. სამმართველოდან მომავალი ვაჟა ჯაფარიძე შემოხვდათ.

— აი, კიდევ ვინ იდგამს წელებზე ფეხს, — თქვა ბელორუსმა.

— ვინ, ანტონ?

— მთავარი ინჟინერი ვაჟა ჯაფარიძე. მას უკვე აქვს თავისი ბუდე, ჰყავს ცოლი, მაგრამ საერთო საქმისათვის მაინც იდგამს წელებზე ფეხს.

— გამარჯობათ, — მიესალმა მთავარი ინჟინერი ანტონსა და ცისანას.

— გაგიმარჯოთ.

— კინოში იყავით?

— დიახ, ძალიან კარგი ფილმია, — უთხრა ცისანამ.

— რა მოგეწონათ?

— როგორ გითხრათ. ყველაფერი კარგია. მსახიობები. რეჟისორის დადგმა, მაგრამ ყველაზე უფრო შინაარსი მომეწონა.

— რა სიყვარულით მუშაობენ კომკავშირელები იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, — დაუმატა ცისანას ნათქვამს ანტონ ბაჩილომ.

— ვისაც საქმე უყვარს, ის ჯოჯოხეთურ პირობებს არ შეუშინდება, ანტონ, — უთხრა ვაჟამ.

— მართალი ბრძანეთ, ვაჟა ვასილევიჩ. არც ჩვენ ვუშინდებით ჩვენი ჭაობების ჯოჯოხეთს.

— ჩვენც სიყვარულით ვმუშაობთ, — წამოსცდა ცისანას და მაშინვე დაუმატა: — ასე ამბობს ანტონი.

შემოუერთდათ უჩა და ცია. მიესალმნენ ვაჟას.

— აი, უჩა, ანტონი ამბობს, კარგად ვმუშაობთ მე და უჩაო, — უთხრა ვაჟამ, — მაგრამ მე თქვენს ადგილზე კიდევ უფრო უკეთ ვიმუშავებდი.

— ორ-ორ ნორმას ვასრულებთ დღეში. მეტი რა ვქნათ, ბატონო ვაჟა? — გაიკვირვა უჩამ.

— ვიცი, უჩა. ქების მეტი რა გვეთქმის. თქვენ გბაძავენ, თქვენგან იღებენ მაგალითს სხვები. ვიმეორებ — კიდევ უფრო უკეთ შეგიძლიათ იმუშაოთ.

— რანაირად?! — დაინტერესდა ანტონ ბაჩილო.

— მე და ჩემმა ცოლმაც ვნახეთ „კომსომოლსკი".

— მერე?!

— ამ ფილმში დამატებით ალექსეი სტახანოვზე კინონარკვევი გვიჩვენეს. როგორ მუშაობს იგი, როგორ ცხოვრობს.

— ჩვენც ვნახეთ, ეგ ნარკვევი, ბატონო ვაჟა, — უთხრა ციამ.

— ცია ჩვენ ვერ ვმუშაობთ და ვცხოვრობთ ალექსი სტახანოვივით.

— ეგ მართალია, — დაეთანხმა მთავარ ინჟინერს ანტონ ბაჩილო.

— ხომ შეგიძლიათ სტახანოვურად იმუშაოთ.

— რატომ არ შეგვიძლია.

— მიმიხვდი, უჩა?

— მთლად ვერა.

— რატომ არ გამოიწვევ სოციალისტურ შეჯიბრებაში ანტონ ბაჩილოს.

— მე?! მისმა შეგირდმა ჩემი ოსტატი გამოვიწვიო?!

— უნდა გამოიწვიო.

— ვერა. ამას ვერ ვიზამ, — შორს დაიჭირა უჩამ.

— რატომ?! — მიუბრუნდა ბაჩილო უჩას. — რა მოხდა მერე?! დიდებული

აზრია, ვაჟა ვასილევიჩ. თუ უჩა არ გამომიწვევს, მე თვითონ გამოვიწვევ.

— ეს კიდევ უფრო უკეთესი იქნება, — მოუწონა მთავარმა ინჟინერმა. — ოსტატი იწვევს შეგირდს. დიდებულია, — ხელი ჩამოართვა ბაჩილოს. — დილით ადრე ჩამოვალ კანტორაში. იქ დამხვდით. შევიმუშაოთ შეჯიბრების პირობები. ათასობით ადამიანი გამოეხმაურა სტახანოვურ მოძრაობას. მარტო მემაღაროეები და მეშახტეები კი არა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მშენებლები და მეცნიერებიც. სტახანოვური მეთოდი მასობრივ მოძრაობად იქცა.

ბინის კარი ფრთხილად შეაღო. ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და საძინებელ ოთახში შევიდა. გალინას ეძინა. ტუმბოზე ღამის ნათურა ენთო. მკრთალად ანათებდა მისი შუქი ცოლის სახეს. — „ისევ გვიან დაბრუნებულა, გალინა“, — გაიფიქრა. ჩექმები კართან გაიხადა, რომ ცოლი არ გაეღვიძებია და საწოლთან მიიტანა, იქ დააწყო. ფრთხილად ჩამოჯდა თავის ლოგინზე.

თმა ბალიშზე ეფინა სეროვას. დაღლილი, მაგრამ მშვიდი სახე ჰქონდა. იქვე, საწოლთან სამუშაო ტანსაცმელი ეწყო და გვერდით იატაკზე რეზინის ჩექმები ეყარა. რეზინის ჩექმებს მხოლოდ ჭაობიანში იცვამდა. სხვა დროს წაღებით დადიოდა მშენებლობაზე.

როცა სეროვა მშენებლობიდან ძალიან დაქანცული ბრუნდებოდა, პირდაპირ საძინებელ ოთახს მიაშურებდა, ძლივს მიჰქონდა ტანი საწოლამდე, ასევე ფეხაკრეფით, რომ რუსუდანი და პეტრე არ გაეღვიძებია. გაწყობილ ვახშამს არც გადახედავდა, არ ჰქონდა ჭამის თავი, არც ტანსაცმელის გამოცვლის, არც ხელ-პირის დაბანის.

ჩვეულებრივად კი, ადრე რომ ბრუნდებოდა მშენებლობიდან, ჯერ იბანავებდა, ტანისამოსს გამოიცვლიდა და საბაზანოში ტოვებდა, იქ ტოვებდა ჩექმებსაც. მერე ვახშმობდა, ცოტახანს რუსუდანთან და პეტრესთან საუბრობდა, მერე იძინებდა. თუ ვაჟა დაურეკავდა, ამ საღამოს დროზე მოვალო, რუსუდანთან და პეტრესთან ერთად უცდიდა ვახშამზე.

ვაჟა საწოლზე იჯდა და თვალს არ აშორებდა ცოლს, მის ლამაზ პროფილს, ასე რომამშვენებდა პატარა ნოლა ცხვირი, პატარა, ოდნავ სქელი ტუჩები და სახის ნამზეური ფერი. უყურებდა ცოლს და ფიქრობდა: — „მე არ ვმუშაობდი, არ ვფიქრობდი და ვცხოვრობდი ისე, როგორც ანდრო განგია და გალინა. გული მომდიოდა, გალინა რომ ანდროს უჭერდა მხარს... მგონი კიდევაც ვეჭვიანობდი. ისე უყვარდა გალინას ანდრო, ფანატიკურად იყო შეყვარებული მის ოცნებაზე, მის ფიქრზე, მის ცხოვრებაზე, — შერცხვა მაშინდელი ეჭვის, თუმცა იცოდა, ეს ეჭვი არ იყო მამაკაცის ეჭვი ქალზე. ეჭვიანობდა იმიტომ, უნდოდა რომ გალინას სიყვარული მხოლოდ მისი ყოფილიყო, სხვას არ განაწილებოდა. არა. ეს ეჭვი არ იყო. ეს დიდი სიყვარულის, დიდი გრძნობის სიხარბე იყო.

ცოლის საწოლზე გადაჯდომა დააპირა, რომ გადაეწია ლოყაზე დაფენილი რბილი თმა, შეხებოდა, ეკოცნა ფრთხილად, ისე ფრთხილად, რომ არ გაღვიძებოდა გალინას.

თავი შეიკავა. სეროვა ისეთი დაფიქრებული ჩანდა, ისეთ გულისძილში იყო, შეეცოდა გაღვიძება. — „გალინას ანდროს ხასიათი გადაედო. ანდროსავით გაიტაცებს საქმე, ანდროსავით წვავს შრომის ღადარი. გალინას არსებაში რაღაც ანდრო განგიასი დარჩა. არა, რაღაც კი არა, რაღაცაზე მეტი. მარტო გალინას არ გადადებია ანდროს ხასიათი, მეც, მეც გადამედო, — ამას დღითიდღე სულ უფრო შესამჩნევად გრძნობდა. — ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. არ შეიძლებოდა ანდროს ხასიათი არ გადაგვდებოდა იმათ, ვინც მის გვერდით ვმუშაობდით, ვცხოვრობდით. ანდროს დაღუპვამ ყველას მოგვცა ბიძგი, რომ მუშაობისათვის, ცხოვრებისათვის ცოტა სხვანაირად შეგ-

ვეხედა. თურმე, კაცი, როცა დიდ საქმეს ეწირება, სიკვდილითაც აკეთებს რაღაცას... ანდრო ცხოვრებას უფრო დიდი მასშტაბით უყურებდა, ჩვენგანაც უფრო მეტს მოითხოვდა...“

ტარიელ ქარდა, მთავარი ინჟინერი, პარტორგი და სეროვა მდინარე ცივის დამბების მშენებლობაზე მიდიოდნენ.

მთელი ღამის ნაწვიმარი გზა წყლით იყო დაფარული. „ემკა“ ალალბედზე მიდიოდა. წყალი თითქმის ძრავამდე ედგა.

დილით მშენებლობის სამმართველოს უფროსს შეატყობინეს, რომ ცივმა ოლოროლოჯესთან დამბა გაარღვია და კოლმეურნეობის ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციები გადარეცხა, დატბორა მიწა, წაიღო მიტროფანე ჯიჯას ოდა და ეზო-კარი. ეს ამბავი სწრაფად მოედო მშენებლობას. ყველა გაოცებული იყო, რანაირად შეეძლო მდინარეს დამბის მორღვევა.

მდინარეებზე — რიონზე, ხობისწყალზე, ტეხურზე, აბაშასა და ნოღელაზე დამბები მდინარის კალაპოტიდან ასიასორმოცდაათი მეტრის მოშორებით იყრებოდა და რანაირად მოარღვევდა მას წყალი, რაც უნდა ადიდებულიყო.

ისიდორე სიორდია დედაარხთან ერთად ცივის დამბასაც აშენებდა. მდინარის მარცხენა დამბა მიტროფანე ჯიჯას ეზოს წინ უნდა გაეყვანათ.

მიტროფანე ჯიჯა ცალი ფეხით კოჭლი იყო. კოლმეურნეობაში არ მუშაობდა. მენშევიკურ გვარდიაში ყოფნისას დაიჭრა ფეხში. კოჭლობა მოიდო მიზეზად — სად შემიძლია ცალფეხა კაცმა კოლმეურნეობის ჭაპანი ვზიდოო. შინ, თავის საკარმიდამოში ეს ცალფეხა კაცი ჯარასავით ტრიალებდა. სოფელში შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. ჰქონდა ფორთოხლისა და მანდარინის პლანტაცია, ჰყავდა ბევრი ღორი, სამი ფურკამეჩი, ბევრი ქათამი. ცოლი წელიწადი და თორმეტი თვე ფოთის ბაზრის გზაზე იყო გაბმული. ქონება ბანში ამოსდიოდათ, მაგრამ ისეთი ხარბები იყვნენ, მაინც არ ყოფნიდათ. ღორს რომ რქები ჰქონდეს, ქვეყანას გადათხრიდაო. სწორედ მიტროფანესა და მის ცოლზე იყო ნათქვამი.

ცივის დამბა მის ეზოს რომ მიუახლოვდა და ჭიშკრის წინ უნდა გაევლო, მიტროფანემ ერთი სიკვდილი გაათავა. იმ საღამოსვე ისიდორე სიორდია დაპატიჟა ვახშმად. ისიდორეს კარგად იცნობდა, მისი მამის ტატაჩიას ოცეულში მსახურობდა. სწორედ მასთან მოიტეხა ფეხი, მეთერთმეტე არმიამ რომ დაიფრინა სოხუმთან და უკან გარბოდა, ცხენიდან გადავარდა და ერთ აფხაზს რომ არ შეეფარებია და არ ეწამლა, ახლა მისი ხსენება არ იქნებოდა ქვეყანაზე. შუა ვახშამზე მიტროფანემ, როცა ისიდორეს ტყემლის არაყი ოდნავ მოეკიდა, სიტყვა შორიდან ჩამოუგდო:

— ხომ იცი, ისიდორეს ჭირიმე, გაჭირვებულ კაცს, ნაბდის სიფართე ეზო რომ მაქვს.

— ახლა ყველას ნაბდს სფართე მწა აქვს, შესულყავ კოლმეურნეობაშ, — უთხრა ისიდორემ. — ძალან შეღავათ მოუცათ, ამოდენა საკარმდამო რომ მოგცეს.

— მომცეს იმიტომ, რომ მეც მივეცი, — შეკავებული ღვარძლით უპასუხა მიტროფანემ და კერაზე შამფურზე აცმული ღორის მწვადი შეატრიალა.

— შენ მეც რას ჰქვა?! — ვითომ ვერ მიხვდა ისიდორე.

— იმას ჰქვია, ისიდორეს ჭირიმე, რომ ხელი ხელს ბანს...

— აჰა, უყურე შენ!

— რას იზამ, ასეა ჯერ კიდევ ქვეყანა მოწყობილი, — უთხრა მიტროფანემ და თლილი ჭიქა პირამდე გაავსო არყით.

ისიდორეს არაყი უკვე თავში ურტყამდა, მაგრამ მიხვდა მასპინძელი რაზე უარაკებდა.

— შენ ძალან შორდან დაწყე, მტროფანე, მოკლედ მოჭერ.

— მართალს ბრძანებ, ისიდორეს ჭირიმე. შორიდან დავიწყე. მოკლედ ჯობია, — ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა: — ეს შენს ცოლ-შვილს გაუმარჯოს...

ისიდორემ ჭიქა არ აიღო.

— ცოლს ნუ მხსენებ მე შენ. სათქმელ ბრძანე, — ყურები ცქვიტა სიორდიამ.

— შენ ხომ იცი, ისიდორე, ის თქვენი დამბა, დღეს თუ ხვალ ჭიშკარზე რომ მომადგება.

— რავა არ ვცი. სტახანოვურად რომ ვმუშაობთ მტომ, — თავმომწონედ უთხრა ისიდორემ და ვირთხის ულვაშზე ხელი გადაისვა.

— ჩემი ეზოს დასაქცევად მუშაობთ სტახანოურად? ტატაჩია სიორდიას შვილი ამას მიშვები?! მამაშენი ჩემი ოცმეთაური რომ იყო, დაგავიწყდა? ძმასავით მექცეოდა ცხონებული ტატაჩია. (ეს იცრუა მიტროფანემ. ტატაჩიას ჯვარზე გაკრული ჰყავდა). შენ მისი შვილი, იმის მაგივრად მამაშენის მეგობარს მეგობრულად მოექცე, შენი ხელით მჭრი ყელს?!

— მოკლედ მოჭერ-მეთქ.

— იმ თქვენმა წყეულმა დამბამ ჩემი ეზოს წინ უნდა გაიაროს.

— დამბას სხვა გზა არ აქვს.

— სული გინდა დამიბნელო, ისიდორეს ჭირიმე?

— სულ რატომ?!

— ჩემი პლანტაციის დაჩრდილვა, ჩემი სულის დაბნელება არ იქნება?!

— მერე მე რა ვქნა?

— მაგ პლანტაციით ვშოულობ ორ გროშს, იმით მიდგია სული, — ჭაღარა წვერზე ღორის ქონით დასვრილი ხელი ჩამოისვა, მერე ხელის თითები გაილოკა და ისევ აიღო არყით სავსე ჭიქა. — საუკუნო ხსნება მამაშენს.

— ნურც მამას მხსენებ მე შენ, — აენთო სიორდია. — მან გადამიჭრა გზა. გვარდელს შვლ ხარო, მენშევიკს შვლ ხარო, თორემ ახლა დდ კაც ქნებოდა სდორე სორდა.

— სახალხო გვარდიელის შვილი, ისიდორეს ჭირიმე, — გაუსწორა მიტროფანემ. — მენშევიკი არ იყო მამაშენი, სახალხო გვარდიელი იყო. თავის სამშობლოს იცავდა.

— სახალხო არ ვც მე.

— შენ თუ არ დალევ მამაშენის შესანდობარს, მე დავლევ, — თქვა მიტროფანემ და ჭიქა დაცალა. — ბოლშევიკებს რომ ებრძოდა, იმიტომ არ იყო სახალხო? მეთერთმეტე არმიას რომ ვებრძოდით, იმიტომ არ ვიყავით სახალხო?! ასე ამბობთ კომუნისტები, არა?

— ვამბობთ, აბა რა?!

— არაყი კი არა, ცეცხლია, ისიდორეს ჭირიმე. ხორგული ტყემალი ხომ გაგიგონია? — შეხედე, უთხრა და ჭიქის ფსკერზე დარჩენილი არაყი ცეცხლში შეასხა. არაყი აბრიალდა. — სპირტია.

— სპრტს არ ვსვამ მე, — უთხრა ისიდორემ.

— მამაშენისათვის სპირტს კი არა, შხამს დავლევ, ისიდორეს ჭირიმე. გვარდიელის შვილი რომ ხარ, ეს გიფუჭებს საქმეს, ამან გადაგიჭრა გზა?! სადაა ღმერთი?! — ზეცისაკენ სახე ალაპყრო მიტროფანემ.

— ღმერთ არ მწამს მე. კომუნსტ ვარ. ნურცს ღმერთს მხსენებ.

მიტროფანემ შამფური აიღო კერიდან, მწვადი ტაბაკზე დაჰყარა.

— კეთილი და პატიოსანი, ისიდორეს ჭირიმე. არც ცოლს გიხსენებ, არც მამაშენსა და არც ღმერთს, — ისევ გაავსო ჭიქები. — დამბამ ჩემს ეზოს ცოტა უნდა აუქციოს გზა.

— რაფერ?! — გაიკვირვა ისიდორემ. — დამბა გეგმით შენდება.

— დამბა შენ გაგყავს, ისიდორე.

— ვც მე რომ გამყავს, — ამაყად თქვა ისიდორემ. — სორდა გახლავარ, სდორე.

— დიდი კაცი ხარ, ისიდორე, — მოულაქუცა, გაითაფლა ენა მიტროფანემ.

— მერე რა ქნას დდ კაცმა?! — ვითომ ვერ მიხვდა ისიდორე, რას ნიშნავდა, „დამბა შენ გაგყავსო.

— დიდმა კაცმა ის უნდა ქნას, რომ პატარა კაცს მოეხმაროს.

— რაფერ?!

— იმფერ, ისიდორეს ჭირიმე, რომ დამბა ორმოცდაათი მეტრით მდინარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ უნდა შეწიო და ჩემს ჭიშკარს დააშორო.

— რაფერ?! — ისევ ჰკითხა სიორდიამ.

— ნახევარი სტაქანი მაინც დალიე და გაიგებ რაფერ, — ბრაზისაგან მიწის ფერი დაედო მიტროფანეს. — მე ცეცხლი მეკიდება არაყისაგან. შენ არც კი შეხურებულხარ.

— მე ლოთი არ ვარ. შეხურება არ მნდა.

— სუფრაზე ნუ დამიფურთხე, ისიდორეს ჭირიმე, — უთხრა განაწყენებული ხმით მიტროფანემ. — რაფერ და იმფერ, ექსკევატორით ორმოცდაათი მეტრით უკან, მდინარისაკენ დაჰყრი დამბას.

— პროექტ შევცვალო?!

— მექოთნე, ისიდორეს ჭირიმე, საითაც უნდა, იქით გამოაბამს ქოთანს ყურს.

— მე მექოთნე არ გახლავარ. სამუშაოთა მწარმოებელ ვარ, — კიდევ უფრო აენთო სიორდია.

— ხელმწიფის ოდენა კაცი ხარ. დედაარხს შენ თხრი, ცივის დამბას შენ აშენებ. ამხელა საქმე გაქვს მონდობილი...

— ნდობა გავტეხო?!

— ნდობას კი არა, ფიცს ტეხდნენ წინათ, ხატთან დადებულს.

— ნდობა ფიცზე უფრო დდა.

— ცოტათი უნდა გატეხო. გაბზარულ ქოთანს არ აგდებენ.

— მაგ არაკ არ გამაგონო, — ცხვირწინ ხელი აუქნია ისიდორემ.

— მამაშენის სულს გაეხარდება, ისიდორეს ჭირიმე.

— ხომ გთხარ მამაჩემს ნუ მხსენებმეთქ. ნურც სოდორეს ჭრმეს მეუბნებ.

— ადამიანის გული არ გაქვს შე კაცო?!

— მე კომუნსტს გულ მაქვს.

— იცოდე, ვალში არ დაგრჩები, ისიდორე.

სიორდიამ ქონიანი ტუჩები გაილოკა და ვითომ გაწყრა:

— ჰატ, ქრთამს მთავაზობ, ყაძახო?!

— არა. ქრთამს არა.

— აბა, რას?

მიტროფანე თავს ძლივს იმაგრებდა, რომ სახეში შამფური არ ეტაკებია.

— ხელს გიმართავ, ისიდორეს ჭირიმე, — მაინც ისიდორეს ჭირიმე უთხრა. ყველას ასე მიმართავდა მიტროფანე.

გაუმართა ხელი ჯიჯამ და სიორდიამ დამბა ორმოცდაათი მეტრით არა, მაგრამ ოცდაათი მეტრით მაინც გადასწია ჭიშკრიდან მდინარისაკენ. ცივი პირველი წყალდიდობისთანავე დაეტაკა შეწეულ დამბას, მოარღვია და თან წაიღო.

ისიდორე სიორდიასა და მიტროფანე ჯიჯას გარიგების ამბავი სამმართველოში და მშენებლობაზე გვიან გაიგეს.

სიორდიას დაპატიმრების შემდეგ იგი მისმა დამქაშებმა — კირილე ებრალიძემ და თენგიზ ქერქაძემ გასცეს. ოქროს ქურდობას ეს ამბავიც დაემატა და სიორდიას საქმე მთლად უკუღმა დატრიალდა.

სამმართველოში გაოცებული იყვნენ. ცივის დამბის მშენებლობაზე ერთი ხანია არ ყოფილან ტარიელ ქარდა და მთავარი ინჟინერი. ვინ იფიქრებდა დღისით მზისით სიორდია თვითნებურად შეცვლიდა პროექტს.

ისიდორეს, მისი ჭკუით, ერთი გასამართლებელი პასუხი ჰქონდა: ჭიშკარზე დამბას ხომ ვერ მივაყენებდი გაჭირვებულ კაცს და სულს ხომ არ დავუბნელებდიო. თან არ ეგონა, ეს წყნარი მდინარე ასე თუ გადაირეოდა ოდესმე. ისიდორე ისე დააბრმავა იმ დღეს მიტროფანეს მიცემულმა პირობამ და ისე დაუბნია გონება, რომ ვერ მიხვდა, ასეთი უჭკუო მოტივებით თავს ვერ გაიმართლებდა.

— საოცარია, ვასო ბრეგვაძეს უნდოდა დახმარებოდა ასეთ კაცს! — დაარღვია დუმილი პარტორგმა.

მანქანა ძლივს მიიწევდა წყალში.

— ვასო ბრეგვაძეს რომ ცოდნოდა ამ გარიგების ამბავი, თავისი ხელით დაახრჩობდა ისიდორეს, — უთხრა ვაჟა

ჯაფარიძემ პარტორგს. — ბრეგვაძე იმიტომ წუხდა მაგ ავაზაკზე, რომ მისი ცოლ-შვილი ებრალებოდა. არც ის ჯეროდა, თუ სიორდიამ ის ოქრო მართლა მოიპარა. ასეთი წმინდა კაცია ჩვენი ვასო.

— მარტო ცოლ-შვილზე არ უნდა ეფიქრა ვასოს, — არ დაეთანხმა ჯაფარიძეს პარტორგი. — ჯერ ისიდორეზე უნდა დაფიქრებულიყო.

— ჩვენ ადრე უნდა დავფიქრებულვიყავით სიორდიაზე, კოჩა, — ჩაერია ლაპარაკში აქამდე გაჩუმებული სამმართველოს უფროსი. — ვასოსთან ერთად ჩვენც შევცდით. ჩვენ არ გვეპატიება. ჩვენ არ უნდა შევმცდარიყავით. კარგად თქვა ვაჟამ, წმინდა კაცია ჩვენი ვასო. საოცრად კეთილი გულის.

— ვასო ფულითაც კი დაეხმარა სიორდიას ცოლ-შვილს, — თქვა ვაჟა ჯაფარიძემ. — მე ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი სიორდიას... მას თავისას მიუზღავს მართლმსაჯულება.

ტარიელ ქარდას განკარგულებით დამბა ისევ ძველი გზით გაიყვანეს მიტროფანე ჯიჯას ჰიშკრის წინ და მიტროფანეს ეზო კი არა, სულიც დაუბნელეს.

უჩა შამუგიას „კომსომოლეცი" ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ ტყის მკაფავი ბრიგადა, გუდუია ესვანჯიას მეთაურობით, ორ ცვლაზე მუშაობდა და მაინც ვერ ასწრებდა ტრასის გაწმენდას. ტრასა ხობისწყლამდე მთელ მანძილზე ნაკლებ ტყიანი, ეკალ-ბარდიანი იყო. მაგრამ მხოლოდ ერთი ადგილი, რომელსაც უჩა შამუგიას ექსკავატორი უახლოვდებოდა, ჯოჯოხეთად ქცეულიყო.

ყორათელთა გადმოცემით ეს ადგილი ოჩოკოჩის დოხორე იყო. ამბობდნენ, ამ დოხორეს შემოგარენში ოჩოკოჩის შიშით არც ნადირი შედიოდა და არც მონადირეს შეუდგამს ფეხიო.

ოჩოკოჩს ამ დოხორეში მოჰყავდა მოტაცებული ოქროსთმიანი ტყაშმაფა და აქ იკლავდა თურმე ჟინს. ამ დროს ქალის კივილი შორს ისმოდა დოხორედან და ახლო-მახლო ყველა სულდგმული შიშით ძრწოდა. ტყის დედოფალი დახმარებისათვის ნადირთ და მონადირეებს უხმობდა. თუმცა იცოდა, ვერავინ გაბედავდა და ვერც შესძლებდა დახმარებას.

დოხორეს ისეთი დევწიფლები და რცხილები ჰქონია შემოვლებული, რომ მათი კენწეროები ცას სწვდებოდა. წიფლებსა და რცხილებს ფართო, უძირო ჭაობი ერტყა გარს, გველებითა და სხვა მრავალი ქვეწარმავალით სავსე.

პირველი კაცი, ვინც ამ შემოგარენში ფეხი შედგა, გუდუია ესვანჯია იყო. როცა დედაარხის ახალ ტრასას იკვლევდნენ, გალინა არკადიევნასა და მისი პარტიის წევრებს უკვე იმდენი ჰქონდათ გაგონილი ამ შემოგარენზე, აზრადაც არ მოუვიდოდათ იქ შესვლა, რომ გუდუიას არ დაერწმუნებია, არც ისეთი ჭაობია იქ, არც ისეთი გაუვალი ტყე და ოჩოკოჩის დოხორეაო.

მართლაც არც ისეთი ჭაობი აღმოჩნდა და არც გაუვალი ტყე. დოხორეს ადგილზე ხავსისაგან შეჭმული დანგრეული შენობის ნათალი ქვები ეყარა, სიმძიმით მიწაში ნახევრად წასული. ეტყობოდა, შენობა ტაძარი უნდა ყოფილიყო. ერთი შეხედვით დარწმუნდებოდი, რომ ასეთი ქვებით ნაშენი ტაძარი თავისით არ დაინგრეოდა, არც ჟამი დაანგრევდა, იგი ადამიანის ხელით იყო იავარქმნილი.

მხოლოდ წიფელი და რცხილა იდგა ახლოს ერთმანეთთან, ისეთი ტანჯმუხები, ორი კაცი მკლავს ვერ შემოაწვდენდა. წიფლებსა და რცხილებს ეკალბარდი მწვანე ნაბდებივით ემოსა. არც ნადირი ჭაჭანებდა გარეთა და შიგნით და არც ფრინველი. არავინ იცოდა ოჩოკოჩისა და ტყაშმაფის ლეგენდა რატომ შეიქმნა ამ ადგილზე, ან ნადირ-ფრინველი რატომ არ ჭაჭანებდა.

ნანგრევებს ახლა ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი პეტრე გერსამია იკვლევდა. თბილისიდან არქეოლოგები ჰყავდა ჩამოყვანილი და გათხრებს ატარებდა.

ტყეს კი გუდუია ესვანჯიას ბრიგადა კაფავდა და წმენდდა. ძალიან უჭირდათ მიწაში ღრმად წასული წიფლისა და რცხილის ამოძირკვა. ამიტომ ვერ ასწრებდნენ ტყის გაწმენდას.

მოჭრილი ხეების ძირკვებს აფეთქებდნენ, ან ტრაქტორით ამოჰქონდათ მიწიდან, ტოტებს ასხეპდნენ, მორავდნენ და ჯოლა კამეჩებით გაჰქონდათ. კამეჩებს კი არა, ტრაქტორებსაც კი უჭირდათ მათი გაზიდვა. თუხთუხებდა, თახთახებდა ძრავები. კამეჩებს ჰიპი მოწყვეტილი ჰქონდათ და კისერი გადალეტილი. მეკამეჩეები მათი ცოდვით იწვოდნენ.

ტოტებსა და ეკალ-ბარდებს ცეცხლს უკიდებდნენ. ნაჯახების ხათქახუთქი, ხერხების წივილი და აფეთქებების ხმა ერთმანეთში ირეოდა. ამას ალის ბრიალი, ცეცხლის ტკაცატკუცი და მოახლოებული ექსკავატორის ღრჭიალ-რახრახი ერთვოდა.

კვამლი ნისლივით იდგა. ჰაერი გავარვარებული იყო. მუშებს ოფლი ასკდებოდათ. სიცხისა და კვამლისაგან სული ეხუთებოდათ. წყალი სწყუროდათ, პირი უშრებოდათ.

წყალი კასრებით მოჰქონდათ ტრასაზე, მაგრამ მზისა და ცეცხლისაგან გამთბარი ყელში არ გადასდიოდათ მუშებს.

უჩას ექსკავატორის ხმა თანდათან უახლოვდებოდა, კვალდაკვალ მისდევდა გუდუია ესვანჯიას ბრიგადას. გუდუიას ბრიგადაში უმთავრესად მისი სოფლის გლეხები იყვნენ: ყორშიები, ბუკიები, ქირიები, ჯგერენაიები, ჩოკორაიები, პერტიები და არაჰამიები.

გუდუიას ხალხში დაბრუნებით გახარებულები ისინი მეტი მონდომებით მუშაობდნენ, მხარში ედგნენ ბრიგადირს. გუდუიას ქვალონის მასივის მკაფავების ბრიგადა ჰყავდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული და მისი სოფლელები თავს არ ზოგავდნენ ოღონდ კი მათ ბრიგადირს გაემარჯვა შეჯიბრებაში.

გუდუიამ იცოდა, რომ უჩა შამუგია სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავდა გამოწვეული თავის ოსტატს ანტონ ბაჩილოს, რომ ანტონის „კოპელი" უკან მოჰყვებოდა უჩას „კომსომოლეცს" და დღითი-დღე მოკლდებოდა მათ შორის მანძილი. საკმარისი იყო ოდნავ დაეყოვნებია გუდუიას ბრიგადას ოჩოკოჩის დოხორის ტყის გაკაფვა და გაწმენდა, უჩა შამუგია შეხანდებოდა.

ანტონ ბაჩილოს ტრასაზე არ იყო ხშირი ტყე და ჭაობი. იქ არ ჩქარობდნენ მკაფავები, დროზე იკაფებოდა და იწმინდებოდა ტრასა, დარწმუნებულნი იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვითონაც გაიმარჯვებდნენ და ანტონ ბაჩილოც გაიმარჯვებდა.

გუდუიას მთელი სულით უნდოდა არ შერცხვენილიყო ახალგაზრდა ბრიგადირი, არ დამარცხებულიყო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ტყეში დაბერებულმა კაცმა გასაოცარი სიზუსტით შეიგნო სოციალისტური შეჯიბრების აზრი და არსი, შეიგნო, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი შეჯიბრება ადამიანთა, როგორც მას სიჭაბუკეში უნახავს თავის სოფელში. შეჯიბრება ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ლელოში, ცეკვა-თამაშში, სიმღერაში, ღვინის სმაში.

გუდუია წარამარა უკან იხედებოდა, ხომ არ გამოჩნდა უჩა შამუგიას ექსკავატორიო. იმდენად ახლო ესმოდა მისი ღრჭიალ-რახრახი, შიშისაგან აღარ იყო. „კომსომოლეცი" ჯერ შორს მუშაობდა, მაგრამ ბერიკაცის გულს ახლო ეჩვენებოდა. ამიტომ შეჯიბრების ეშხში შესული გუდუია ოჩოკოჩის დოხორის ტყეს გაშმაგებით უტევდა. ტყე იწვოდა, ილეწებოდა, სასოწარკვეთით გუგუნებდა მრავალი ხმით, თითქოს თვით ოჩოკოჩს ეკიდა ცეცხლი, ელეწებოდა ტანი.

— ოჰოჰო! — ისმოდა გუდუიას წამქეზებელი ხმა. — ასე ჰო, ბიჭებო, ვადოღურათ, ვამორჯგინან შხვაქ! [1]

განაკაფზე ვაჟა ჯაფარიძე და სპირი-

1. არ შემარცხვინოთ, სხვამ არ გვაჯობოს.

დონ გუნია იდგნენ. ჭალადიდის უბნის მშენებლობის უფროსი სპირიდონ გუნია და მთავარი ინჟინერი ორი კვირაა სხვა მასივებში არ მისულან. მათი მთელი გულისყური დედაარხის ახალ ტრასაზე იყო მიპყრობილი. უჩა შამუგიას და ანტონ ბაჩილოს მონაკვეთებზე ერთხელაც არ ჩამოშვავებულა არხის კედლები.

— ახალი ტრასა შეუცდომლადაა შესწავლილი და ამორჩეული. ოქრო ცოლი გყავს, ვაჟა. მე კი იმ ღამეს თათბირზე მეგონა, რისკზე მივდიოდით, — უთხრა სპირიდონ გუნიამ მთავარ ინჟინერს.

— საქმისათვის რისკი საჭიროა, სპირიდონ, — კმაყოფილებით მიუგო ვაჟა ჯაფარიძემ. — ჩვენ რომ „გლავვოდხოზისათვის“ დაგვეცადა, ახლა რამდენად უკან ვიქნებოდით. პასუხი ჯერაც არ მოსულა.

— მართალია. ჩვენ ზოგჯერ გვეშინია რისკის. ზევიდან მითითებებსა და ბრძანებებს ვუცდით. ამით საქმე ყოვნდება, ხშირად ფუჭდება.

— სოციალისტურმა შეჯიბრებამ ძალიან წასწია საქმე წინ.

— მასივებში ახლა კვირა ისე არ გავა, ბრიგადებმა ერთმანეთი არ გამოიწვიონ.

— ჩვენი წახედვით, ჩვენი მაგალითით სტახანოვური მოძრაობა მთელ საქართველოს მოედო.

ზურგიდან ლონგინოზ ლომჯარიას მოტოციკლეტის ტკაცატკუცი შეესმათ. მიხედვა ვერ მოასწრეს, რომ ლონგინოზმა ზედ მიაგდო თავისი რაში. ჩააქრო ძრავა, გადაალაჯა მოტოციკლეტიდან, წაიძრო ტყავის უზარმაზარი ხელთათმანები, სიცივეში და სიცხეში განუყრელად რომ ეცვა, მხედრულად, მარდად მიიდო ხელი საფეთქელთან, მიესალმა მთავარ ინჟინერს და უპატაკა:

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ საველე სამზარეულო უკან მომყვება და ოც წუთში აქ იქნება.

ვაჟამ მაჯის საათს დახედა.

— ყოჩაღ, ლონგინოზ. სწორედ სამხრის დროა. რა მოგაქვს?

— პირველი და მეორე კერძი. ორივე ხორცისაგანაა დამზადებული. გულიაში და ბორში. აგრეთვე ცივი ლიმონათი.

— დიდებულია, — მიბრუნდა ვაჟა მკაფავებისაკენ: — ხედავ, როგორ მუშაობს ხალხი?

— სტახანოვურად, ამხანაგო მთავარო ინჟინერო, — მხედრული სისხარტით უთხრა ლომჯარიამ. — მეც სტახანოვურად ვმუშაობ.

— შესანიშნავად მუშაობ, ლონგინოზ, — შეაქო სპირიდონ გუნიამ. იცოდა, ლონგინოზის სისუსტე — შექება უყვარდა.

— მზადა ვარ სამშობლოს ვემსახურო, — ისევ მიიდო მარჯვენა ხელი საფეთქელთან და გაიცინა, მერე ხელთათმანით სახეზე ოფლი შეიწმინდა.

უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო ისევ ყულევში ცხოვრობდნენ, ესმასა და იაკობ არაჰამიების ოჯახში. ვერ მიატოვეს მათი თბილი კერა. არხზე უჩა და ანტონი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. მხოლოდ გვიან საღამოს ვახშამზე თუ შეიკრიფებოდნენ ერთად და ისიც იშვიათად. დედაარხიდან სხვადასხვა დროს ბრუნდებოდნენ ისეთი მშივრები და დაქანცულები, ერთმანეთისათვის ლოდინის თავი აღარ ჰქონდათ, დანაყრდებოდნენ თუ არა, მაშინვე ლოგინს მიაშურებდნენ.

ორივეს კარგად მიუდიოდათ საქმე. მშენებლობაზე მათი ექსკავატორები მიწას რომ იღებდნენ არხიდან, იმდენს არც ერთი დრაგერის ექსკავატორი არ იღებდა. ორივე გადაჭარბებით ასრულებდნენ შეჯიბრებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაგრამ უჩასა და ანტონს ერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. უჩა შეწუხდა, მე რომ ჩემს ოსტატს ვაჯობო, ეს უმადურობა იქნებაო. ანტონმა შემასწავლა დრაგერობა, მისი რეკომენდაციით დამაწინაურეს შეგირდობიდან დრაგერად, მისი რჩევით

მომცეს „კომსომოლეცი", პირველი საბჭოთა ექსკავატორი და რანაირად ვაჯობო ასეთ კაცსო. ზოგჯერ ასეთი ფიქრის შემდეგ გარკვეული დროით ანელებდა მუშაობას, რომ ბაჩილოს ჩამორჩენოდა, მაგრამ მალე ისევ უბიძგებდა შეჯიბრების ჟინი.

ასევე ყოყმანობდა ანტონიც: უჩა ჩემი შეგირდი იყო, მე შევასწავლე დრაგერობა, მე მივაცემინე „კომსომოლეცი" და ახლა რანაირად უნდა ვაჯობო ჩემს ნაშეგირდალსო. ანტონიც ასეთი ფიქრის შემდეგ გარკვეული დროით ანელებდა მუშაობას, მაგრამ მალე იმასაც უბიძგებდა შეჯიბრების ჟინი.

ასე ფიქრობდა ორივე, შეჯიბრება კი გრძელდებოდა. მთელი მშენებლობა ადევნებდა თვალს მათ შეჯიბრებას. დღის ბოლოს სამმართველოში სისტემატურად იგზავნებოდა მათ მიერ ამოღებული მიწის კუბმეტრების ცნობა.

ვახშამზე უჩა და ანტონი არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ვინ რამდენი კუბმეტრი მიწა ამოიღო ცვლაში, რამდენი მეტრით წაიწია წინ მათმა ექსკავატორმა. ერიდებოდათ ამისი თქმა — ეშინოდათ, ტრაბახად არ ჩაეთვალათ. არა და არ იცოდნენ, ვის რა წარმატება ჰქონდა. არც სხვებს ეკითხებოდნენ. უყვარდათ ერთმანეთი, იცოდნენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება არ იყო ორი მოქიშპე ადამიანის შეჯიბრება. ერთის თუ მეორის წარმატებას ერთნაირი სარგებლობა მოჰქონდა მშენებლობისათვის — ორივე ერთ საქმეს აკეთებდა.

ისინი მხოლოდ ციასა და ცისანას უმხელდნენ, როცა მათ ესტუმრებოდნენ კვირა დღეს საცდელ სადგურში, ან ქალიშვილები თვითონ რომ ჩააკითხავდნენ ყულევში, ექვსი დღის მუშაობის ამბავს მოუყვებოდნენ. რამდენი კუბმეტრი მიწა ამოიღეს და რამდენი მეტრით წაიწიეს წინ. მერე უჩა და ანტონი თავისი საცოლეებისაგან გებულობდნენ, ვინ რა გააკეთა, ვინ უსწრებდა, თუ ჩამორჩებოდა და მეორე კვირის მთელ მანძილზე კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობდნენ.

დედაარხი სწრაფად მიიწევდა წინ.

უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს წარმატებაზე მთელი მშენებლობა ლაპარაკობდა, ლაპარაკობდნენ სამმართველოში, ფოთში წერდნენ კედლისა და რაიონის გაზეთში, ცენტრალურ პრესაში.

ტარიელ ქარდა თითქმის ყოველ დღე დადიოდა მასივებში. ნათლად ხედავდა უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს სოციალისტურ შეჯიბრების მაგალითზე სტახანოვურ მოძრაობის დიდ ძალასა და მნიშვნელობას.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი ავალებდა ინჟინრებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, ათისთავებს, ბრიგადირებს, დრაგერებს, ტრაქტორისტებს, მუშებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოეწვიათ ერთმანეთი. მალე სტახანოვურ მოძრაობაში მთელი მშენებლობა ჩაება. არ დარჩა მასივი, რომ სხვა მასივი არ გამოეწვია, არ დარჩა კაცი, შეჯიბრებაში რომ არ ჩაბმულიყო.

— მე ვის შევეჯიბრო, ამხანაგო ტარიელ? — შესჩივლა ქარდას მომმარაგებელმა.

— სხვა მომმარაგებელი ჩვენ არა გვყავს, ლონგინოზ.

— ჰო, მაგრამ მე არ მინდა განზე ვიდგე, ამხანაგო ტარიელ, — როგორც ყოველთვის ცოტა პათეტიკურად უთხრა ლომჯარიამ ტარიელს.

— განა შენ განზე დგახარ, ლონგინოზ?!

— ასე გამოდის. ყველა ერთმანეთს ეჯიბრება. მე იაქესავით დავრჩი. მეც მერჩის ძალა.

— მოდი, მე და შენ შევეჯიბროთ ერთმანეთს, ლონგინოზ, — შესთავაზა ქარდამ.

— სათქვენოდ ძალა არ მეყოფა, ამხანაგო მშენებლობის უფროსო.

— აკი ძალა მერჩისო.

— იმდენი არა, თქვენ რომ შეგეჯიბროთ.

— მაშ მოდი, უკეთ ვიმუშაოთ.

ყველა უკეთ მუშაობდა. ლონგინოზ ლომჯარიას მოტოციკლეტის ტკაცატკუ-

ცი ახლა უფრო ხშირად ისმოდა მასივებში, მოტოციკლეტი უფრო სწრაფად დაჰქროდა. ყოველი მისი ვამოჩენა რაღაც კარგს მოასწავებდა, — ან ახალი ტრაქტორის მიღებას, ან ბულდოზერის, გზის სატკეპნი მანქანის, ელექტრონის ხერხის, თუ მავთულის და ტელეფონის ბოძების.

თანდათან წესრიგდებოდა სასმელი წყლის მოტანაც, მაღაზიებში და ფარდულებში მეტი სურსათი გაჩნდა, სასადილოებში და სასაუზმეებში ხორცის კერძებმა იმატა. ისინიც კი, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებაში არ იყვნენ ჩაბმულნი, უკეთ ამუშავდნენ.

ერთ შაბათ საღამოს სვანები ჩვეულებრივზე ადრე ბრუნდებოდნენ დედაარხიდან. მხარზე ბარგადადებულები ზღვისპირას მიაბიჯებდნენ დაღლილები, ტალახიანები და მშივრები.

მზე ზღვაში ჩადიოდა და მათ გაუპარსავ, ჭუჭყიან, ოფლშემშრალ სახეს წითლად ეფინებოდა მისი სხივები. ყველას ერთნაირად ეცვა: მოკლე ახალუხები, ქამარზე დანა და სათუთუნე ქისა ეკიდათ. ბარიც ყველას ერთნაირი ჰქონდა. ბარს არასოდეს არ ტოვებდნენ არხზე, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ჩვეულებრივად სიმღერით ბრუნდებოდნენ ბარაკებში, მაგრამ დღეს სიცხისაგან მოთენთილები იყვნენ და სიმღერის თავი არ ჰქონდათ.

— კაცო, ეს რანაირი სოციალისტური შეჯიბრებაა, — დაარღვია დუმილი და ჰკითხა პირხმელ სვანს, კიჯი გარდაფხაძეს ყოველთვის მოუსვენარმა ციოყ ავალიანმა. — შენ იმას ეჯიბრები და ის შენ გეხმარება. წინათ კაცი კაცს რომ ეჯიბრებოდა, მხოლოდ იმის დამარცხებაზე ფიქრობდა და ამისათვის არაფერს ზოგავდა.

— ცუდი იყო, რომ არაფერს ზოგავდა, — უთხრა კიჯი გარდაფხაძემ.

— აბა, როგორ უნდა ეჯობნა სხვისთვის?! — გაუკვირდა ადილ ჩეგიანს.



— პატიოსანი გზით, — დინჯად მიუგო კიჯი გარდაფხაძემ.

— ზოგი პატიოსანი გზით ეჯიბრებოდა და ზოგი უპატიოსნო გზით, ოღონდ კი ეჯობნა.

— ახლა სოციალისტურ შეჯიბრებაში მხოლოდ პატიოსანი გზით ეჯიბრება კაცი კაცს.

— ეს კარგია, მაგრამ იმას რომ ეხმარები, ხელს უწყობ, ვისაც ეჯიბრები, ეს მეტისმეტია, — თქვა ადილ ჩეგიანმა.

— არ არის მეტისმეტი. ამას ჰქვია სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრება საერთო საქმის დასაჩქარებლად. ჩვენ ერთმანეთს იმიტომ კი არ ვეჯიბრებით, რომ მოწინააღმდეგე დავამარცხოთ.

— მოწინააღმდეგე აღარ ეთქმის, თუკი გეხმარება, ხელს გიწყობს, — თქვა ადილ ჩეგიანმა.

— მართალია, არ ეთქმის, — დაეთანხმა კიჯი გარდაფხაძე. — სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია მოწინააღმდეგის მაგივრად. ერთი სიტყვით, სოციალისტური შეჯიბრებისათვის ბრძოლაში ორივე მხარე ერთ საქმეს აკეთებს, ამიტომ ეხმარებიან ერთმანეთს.

— მაგი კარგად თქვი შენ, კიჯი, — მოუწონა გარდაფხაძეს მის გვერდით მომავალმა სვანმა ჯანსულ გუჯეჯიანმა.

მზე ზღვაში ჩაჯდა. მხოლოდ თავი მოუჩანდა წყლიდან, თითქმის უძრავ, წითლად შეღებილი წყლის ზედაპირიდან. მთელი ზღვა გალაქულივით კრიალებდა, თითქოს მზის ნაპერწკლებს ისროდა.

— აი, ახლა ჩაყვინთავს, — თქვა ციოყმა.

ვერ მოასწრეს სვანებმა მიხედვა, რომ მზემ მართლა ჩაყვინთა. სინათლე მაინც იდგა ზღვაზე და მიწაზე.

— მე ოდა პირით ზღვისაკენ უნდა დავდგა, — თქვა გიორგი ჩართოლანმა, — რომ ყოველ საღამოს ვუყურო მზის ჩასვლას. შეხედეთ, თითქოს ზღვა ანთიაო.

— თუ ასე ვიმუშავებთ ყველა მასივში, შორს აღარ იქნება ის დღე, გიორგი, — უთხრა კიჯი გარდაფხაძემ.

— მთავარი ინჟინერი ამბობს, ერთ წელიწადში ჩავაბარებთ თქვენს მასივსო, — თქვა ბრიგადაში ყველაზე ახალგაზრდა სვანმა გეგენ მარგიანმა. იგი სხვებზე ადრე იგებდა მშენებლობაზე ყველაფერს.

— რანაირადო?! — გაიკვირვა ადილ ჩეგიანმა.

— რანაირადო და, თუ სტახანოვურ შრომას თქვენს მონდომებაზე გაამრავლებთ, იმნაირადო.

— მთავარი ინჟინერი არ შეცდება,— გაეხარდა ციოყ ავალიანს.

— ამას თქვენი იქ დასახლების სურვილიც მიუმატეთ და ზუსტად ერთი წელიწადი გამოვაო, — თქვა გეგენ მარგიანმა.

— რა კარგად უანგარიშებია, — მოუწონა გიორგი ჩართოლანმა.

— მთავარი ინჟინერი ანგარიშში არ შეცდება, — გაიმეორა ციოყ ავალიანმა.

— უგზოობა რომ არ გვიშლიდეს ხელს, საქმე უფრო გაიწაფებოდა, — ჩაერია საუბარში შუა ხნის, გრძელულვაშიანი ათბილ ხერგიანი.

მშენებლობას არ ყოფნიდა ბულდოზერები, ავტოგრეიდერები, გზის სატკეპნი მანქანები, გამოცდილი მშენებლები.

ტარიელ ქარდა ნახევარი დღე გზებისა და ხიდების მშენებლობაზე იყო. თავის კაბინეტში კვირაობით ვერ ნახავდი. ხან ერთ მასივში ამოჰყოფდა თავს, ხან მეორეში, თან დაჰყვებოდა გზის მშენებლობის უფროსი ხარიტონ ხაბეიშვილი. იგი თავდაუზოგავად მუშაობდა მცირე მანქანებითა და მუშებით — მომმარაგებელთან სულ დავა ჰქონდა. ლონგინოზი თვითონ იყო გზების დიდი ქომაგი. ჯერ გზა და მერე დანარჩენიო, იყო მისი ლოზუნგი, მაგრამ ლოზუნგი არ შველოდა საქმეს, ამით ვერ იგებდა ხარიტონ ხაბეიშვილის გულს. ტყავიდან ძვრებოდა, რომ არაფერი მოკლებოდა გზებისა და ხიდების მშენებლობას, მაგრამ რა ექნა, გაუჩინარს ვერ გააჩენდა. ხარიტონ ხაბეიშვილს არ ემდუროდა, არ იყო მისით უკმაყოფილო. ხარიტონი იმიტომ მიმწარებს სიცოცხლეს, რომ საქმისათვის მეტი უნდა და რაჲ ვერჩი ხალხისათვის ამ თავგადადებულ კაცსო.

უგზოობის გამო მშენებლობაზე ბევრი რამ ფერხდებოდა. ძველი გზები უვარგისი იყო, არ ჰქონდა წყალსადინარები, ირეცხებოდა, იტბორებოდა.

ხიდების მშენებლობას ხშირი წყალდიდობა აფერხებდა. არავინ იცოდა, როდის გაავდრდებოდა. ზამთრის გარდა წელიწადის სამივე დრო თითქმის ერთნაირად წვიმიანი იყო. ღრუბლიანში თუ მზიანში უცებ, მოულოდნელად დაუშვებდა დელგმას. ასევე უცებ, მოულოდნელად ადიდდებოდა მდინარეები და მათი შენაკადი ღელეები, ნაკადულები. ახლა დამბების არტახებში რომ ჩაჯდნენ, მთლად აიწყვიტეს თავი, ნაპირებიდან ველარ გადადიოდნენ და გაცოფებულები მიედინებოდნენ ზღვისაკენ და რაც კი გზად ხვდებოდათ, თან მიჰქონდათ.

ლონგინოზს ხიდებისათვის ხე-ტყე ციმბირიდან ჩამოჰქონდა, კოლხიდის დაბლობების ტყეებში საამშენებლოდ გამოსადეგი მასალა ცოტა იყო და არ ყოფნიდათ. რკინას რუსეთიდან და უკრაინიდან ეზიდებოდა, ცემენტს — ნოვოროსიისკიდან. იმის გამო, რკინის დიდი გასაჭირი იყო, ყველა ხიდი რიონზე, ხობისწყალზე, ტეხურზე, აბაშაზე ბეტონით შენდებოდა.

ჭალადიდიდან ხორგაში და ხობში გამავალ გზაზე ხობისწყლის ხიდის მშენებლობა პირველი რიგის სამუშაოდ ითვლებოდა, ამიტომ გზებისა და ხიდის მშენებელთა უმთავრესი ძალა აქ იყო თავმოყრილი. აქ იყო განლაგებული ჭალადიდისა და ყორათის მასივები. ეს ადგილები ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული და დაჭაობებულია ჭალადიდის უბანში.

აქ დედაარხთან ერთად სხვა დიდი და პატარა არხებიც გადის. გზები ჭანჭყობზეა გაჭრილი. ხრეშის მოსაზიდად სატვირთო მანქანები და ურმები არ ყოფნიდათ. ჭანჭყობებზე ხრეშის ნაც-

ვლად თხმელის ტოტებს ჰყრიდნენ. იქ, სადაც ჭანჭყობი უფრო ღრმა იყო, ხეებს აწვენდნენ. ხეები ჯოლით მოჰქონდათ. ხარი ასეთ გზებზე ვერ ზიდავდა ჯოლას. არც ჰყავდათ ხარები. მხოლოდ კამეჩები იტანდნენ აქაურ ჰავას.

ჭალადიდელი და ყორათელი მეურმეები მთელს სამეგრელოში განთქმულები იყვნენ. ისინი კოლხიდის დაბლობების დაშრობის დაწყებამდე ადლერში და ნოვორასიისკში დადიოდნენ სამუშაოდ. მათი კამეჩების ურემი ხარის ორ ურმის ტვირთს იტევდა.

ამ გრძელ გზაზე ბევრი ხიფათი და გაჭირვება ხვდებოდათ მეურმეებს, მაგრამ რა ექნათ! სიღარიბე ერეკებოდა ამ გზაზე. ზოგნი იმ შორეულ ქალაქებიდან ვეღარ ბრუნდებოდნენ. აბრაგები ფულს ართმევდნენ, ქურდები ხარ-კამეჩებს პარავდნენ. ამას სიკვდილი ერჩივნათ მეურმეებს და სიკვდილით ამთავრებდნენ გაჭირვებულ, გატანჯულ ცხოვრებას.

დიდი ხანია მიატოვეს ადლერში და ნოვორასიისკში სამუშაოს საძებნად სიარული და ახლა ყორათელი, ხორგელი, ჭალადიდელი და ყულეველი მეურმეები გზებისა და ხიდების მშენებლობაზე მუშაობდნენ.

ლონგინოზ ლომჯარია სალოცავ ხატად ჰყავდათ მეურმეებს, მუშებს. მან აალებინა ხელი ადლერში და ნოვორასიისკში სამუშაოდ სიარულზე, მან გამოიყვანა გზებისა და ხიდებას მშენებლობაზე.

აქ მეტ ფულს აკეთებდნენ. თავის მიწას აცოცხლებდნენ, თავის კერასთან ახლოს იყვნენ. არც ხიფათი ელოდათ და არც გაჭირვება, თავის ბედის ბატონ-პატრონი თვითონ იყვნენ.

რკინით, ხე-ტყით და ცემენტით დატვირთული ვაგონები ჭალადიდის სადგურში იცლებოდა. მთელი ეს მასალა აქედან მიჰქონდათ მშენებლობაზე. გზებზე დღე და ღამე ურმების ჭრიალი, მეკამეჩეების შეძახილები და სიმღერა ისმოდა.

მეურმეების სიმღერაში აღარ ჟღერდა სევდა და მწუხარება.

აშო, ჩელა, სი ჩერჩელა,
სი მონობას გეგაფილი,
სი უჩონჩხე, სი უგურე,
სი კისერი ელაფილი.

აშო, ჩელა, ვიშო ბუსკა,
ჯაბით ვორექ ნდღულაფილი,
ღარიბ ვორექ, მდიდარს მეუნს
ჩქიმი სქვამი ყოროფილი.[1]

ამას ახლა მეურმეები მართალია, იგივე სიტყვებით მღეროდნენ, მაგრამ სიმხნევითა, რწმენისა და კარგი მომავლის ჟღერადობით. „მონობას დაჩვეულს“ მორიდებით გამოთქვამდნენ, „შე უგულოსა და შე უძარღვოსაც“, არც „დარდითა ვარ დალეული“ გამოუდიოდათ სევდიანი და არც „ღარიბი ვარ“. ყველა ამ სიტყვას ისეთ ინტონაციასა და კილოს აძლევდნენ, აღარ ჰგავდა სიმღერა მოთქმა გოდებას.

ვინც არ იცოდა ვინ იყვნენ, სადაური იყვნენ ეს მეურმეები, გაუკვირდებოდა ურმულის ასეთი შესრულება. მეურმეები აღარ იყვნენ სიმწრით, სიღარიბით გაავებულები. არ ამცირებდნენ, არ დასცინოდნენ ერთგულ კამეჩებს, აღარ იყრიდნენ მათზე სიმწრის ჯავრს, აღარ ურტყამდნენ სახრეს. აბა, როგორ ეთქმოდათ, შე ულვიძლო, შე უგულო, როცა ასეთ გაუვალში გაჰქონდათ მძიმე ურმები და ჯოლები. კამეჩებზე ისე შეტკიოდათ გული, როგორც ადამიანზე.

ლონგინოზ ლომჯარია დიდად აფასებდა მეურმეების შრომას. მათი ჯაფა აუტანლად მიაჩნდა. რამდენჯერ უნახავს ღვართქაფში, მუხლამდე ჭყანტობში მეურმე, ურემს მხრით შემდგარი

---

1. აქეთ, ჩელა, შე ზანტო, შე მონობას დაჩვეულო, შე ულვიძლო, შე უგულო, შე კისერდაშავებულო. აქეთ ჩელა, იქით ბუსკა, დარდითა ვარ დალეული, ღარიბი ვარ, მდიდარს მიჰყავს, ჩემი ლამაზი შეყვარებული.

სიყვარულით რომ ეუბნებოდა მეტისმეტი ჭაპანწყვეტით აძიგძიგებულ კამეჩებს, არიქათ, კიდევ ცოტა გასწით და თვითონაც კამეჩივით ეწეოდა ურემს.

ხობისწყლის ხიდი ერთ-ერთი დიდი ხიდი იყო რაიონის შემდეგ. მდინარეზე მშენებლები და მგზავრები ფონით გადიოდნენ. ფონით გადიოდა ურემი, სატვირთო და მსუბუქი მანქანა, ეტლი და დილიჟანი.

მდინარე ხშირად ადიდდებოდა და მაშინ ურემი, მანქანა, ეტლი და დილიჟანი კი არა, ეშმაკი ვერ გააღწევდა გაღმა. ამიტომ ვერ აწოდებდნენ მშენებლებს საჭირო მასალებს დროზე, ამიტომ ყველას გულისყური ხობისწყლის ხიდის მშენებლობაზე იყო მიპყრობილი.

ხიდის მშენებლობისათვის მთავარი იყო ცემენტი. მისი შოვნა ისე ჭირდა, როგორც ძველად მარილის, რომელიც აღზევანიდან ურმით, ცხენითა და საზედრით მოჰქონდა ქართველ გლეხს. მაგრამ ლონგინოზ ლომჯარიამ გაჭირვება რა იყო არ იცოდა. მისთვის გადაულახავი დაბრკოლება არ არსებობდა. ტვირთს სადგურზე ერთი დღე არ გააჩერებდა. ადიდებულ მდინარეს არ დაერიდებოდა, არც დელგმასა და არც აუტანელ სიცხეს.

ახლაც ნოვოროსიისკიდან მოსული ცემენტით დატვირთული ვაგონი ჭალადიდის სადგურში ჩამოაყენეს თუ არა, ლონგინოზმა ოცი ურემი ზედ მიაყენა.

მზიანი დღე იდგა. მთელი კვირა არ უწვიმია და გზები მშრალი იყო. მომმარაგებლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — უხიფათოდ გადავიტან ცემენტსო. არ უნდოდა ასეთი დღის დაკარგვა. ხიდის მშენებლები დიდი ხანი იყო ელოდნენ ცემენტს. ვინ იცოდა, რომ ხვალ ცა ფეხად არ ჩამოვიდოდა. მაგრამ ურმების ერთი ნაწილი დატვირთეს თუ არა, ზღვიდან უცებ შავი ღრუბლები წამოიშალა. ღრუბლები მძიმედ, ზოზინით მოდიოდა, წყლით იყვნენ გატიკულები, სულ დაბლა ეშვებოდნენ სიმძიმისაგან.

მომმარაგებელმა მაშინვე შეიტყო რომ ღრუბლები ამ სიმძიმეს დიდხანს ვერ ატარებდნენ. ამოათავებდნენ თუ არა ზღვიდან აღმართს, დაუშვებდნენ ღვართქაფს, დაიღუპებოდა წვითა და დაგვით ნაშოვნი ცემენტი, საიდან მოტანილი, სულზე მოსწრებული.

— წყეულები, — დამღეღრილივით მიმორბოდა სადგურის ბაქანზე ლონგინოზი, სახეზე სიმწრის ოფლი ასკდებოდა. შედგა, მუშტი მოუღერა ღრუბლებს. — საიდან მოეთრევით ამ პაპანაქებაში თქვე სულძაღლებო! ყელი არ გამომჭრათ, არ დამისველოთ ცემენტი! — მუქარითა და გინებით ვერ დააყოლიებდა ღრუბლებს, გაშალა მუშტი და ხელები ზეალაპყრო: — მიქამგარიო, დარავდრის გამგებელო, შემივრდომე, ნუ ჩავარდები ჩემს ცოდვაში, ნუ ჩამოღვრი წვიმას, შორს გადარეკე ღრუბლები, მტრის კარს, მოუსავლეთში! — შეღაღადა მიქამგარიოს, მუხლზე დაეცა: — მუხლმოყრილი გევედრები, გადამირჩინე ცემენტი. მე მომკალი და ცემენტი გადამირჩინე! — იგრძნო, დატვირთვას მომლოდინე მეურმეები და მტვირთავები გაოცებული რომ შეჰყურებდნენ. შერცხვა, ზეზე წამოიჭრა, მუხლის თავები შეიბერტყა: — ასე ევედრებოდა ცხონებული ბაბუაჩემი, მიქამგარიოს, მაგრამ იმ უსინდისოს ერთხელ არ შეუწყნარებია ადამიანის ვედრება, — უთხრა მეურმეებსა და მტვირთავებს, მერე ზიზღით ააფურთხა ზეცას: — ფუი, მაგ მიქამგარიოს მომგონს! — საწყობში შევარდა: — რამდენი ბრეზენტი გაქვს? — ჰკითხა საწყობის გამგეს. იცოდა, რომ მხოლოდ ერთი ბრეზენტი ჰქონდა, მაგრამ ისე იყო აღელვებული და თავგზააბნეული, რომ თავს ანგარიშს ვერ უწევდა.

— ერთი ბრეზენტი მაქვს, — უთხრა საწყობის გამგემ ბუხუ დარასელიამ.

— რამსიფართეა?

— ოცი კვადრატული მეტრია.

— უნდა დავჭრა და ცემენტით დატვირთულ ურმებს გადავაფარო.

— დავჭრათ?! — იყვირა დარასელიამ. — ხომ არ გადაირიე, ლონგინოზ?!

— ჰო, უნდა დავჭრა ნაწილ-ნაწილად, რომ ურმებს გადავაფარო, — გაუმეორა ისევ, — რომ ცემენტი არ დამისველდეს.

— შენი ცემენტისათვის ჩემი ბრეზენტი უნდა დაჭრა?! — არ დაიჯერა ბუხუ დარასელიამ.

გაიელვა და მისმა შუქმა გაანათა საწყობის გამგის განცვიფრებული სახე.

— ეხ, ტი ოლუხ! — შესძახა ჯარში სამსახურის დროს გაგონილი რუსული სიტყვა მომმარაგებელმა.

— რაით?! — ვერ გაიგო საწყობის გამგემ, რა უთხრა ლონგინოზმა.

— რათ და შე შტერო. არც ცემენტია ჩემი და არც ბრეზენტია შენი.

— ეს მაგრეა, მაგრამ პასუხს ბრეზენტზე მე ვაგებ, — მიუგო საწყობის გამგემ და „შტერო“ გადაყლაპა ,არ შეიმჩნია.

— ცემენტზე პასუხს ვინ აგებს?!

— ცემენტზე შენ აგებ და ბრეზენტზე მე ვაგებ.

— ვერ თქვი შენ მაგი კარგად, ბუხუტია შტერო!

— ბუხუტია კი არა, ბუხუ მქვია მე, — თავზე ცეცხლი წაეკიდა დარასელიამ. — ნუ მაყენებ შეურაცხყოფას, თვარა ბუხუ თუ გადაირია, ჩემს მტერს მერე, — ხმას აუწია საწყობის გამგემ.

— ვერ თქვი მაგი კარგად, ბუხუტია ჩერჩეტო, — ყურადღება არ მიაქცია დარასელიას მუქარას მომმარაგებელმა — არც შენია ბრეზენტი და არც ჩემია ცემენტი...

— უყურე შენ ამას! აბა ვისია?!

— ხალხისაა, სახელმწიფოსია. გარდა ამისა, ბრეზენტი რაღაც კაპიკები ღირს. ცემენტი კი ახლა მილიონი უღირს მშენებლობას. დაფიქრდი, გაანძრიე ჭკუა, ბუხუია!

— ხომ გითხარი, ბუხუია არ მქვია მე, — თავს ძლივს იკავებდა დარასელია, დამუშტული ხელები ზურგზე შემოიწყო, რომ ლონგინოზისათვის არ შემოეკრა.

მომმარაგებელმა შეატყო ძალით ვერ წაართმევდა ბრეზენტს, ვერც ჭკუის სწავლებითა და დარიგებით.

— ბუხუ... ჩემო ბუთხუზა ბუხუ, ესაა ჩვენი მეგობრობა. ტყუილად გადგას ჭკუით გატენილი ამხელა თავი?! ვერ ხედავ, რამხელა ქონება მეღუპება?! — მოეფერა ლომჯარია.

ისევ გაიელვა. მეხი გავარდა.

— დიდუ! მომკალით ვინცხამ! — გველნაკბენივით შეხტა ლონგინოზი. — დაუშვებს ახლა. სადაა ბრეზენტი?

— აი, მანდ კუთხეშია, — მოლბა, ხელი გაიშვირა კუთხისაკენ დარასელიამ.

მომმარაგებელმა საწყობში ორი მეურმე შეიყვანა. ორივეს ქამარზე დანა ეკიდა, როგორც აქაურ ყველა მეურმეს. გაშალეს ბრეზენტი და სწრაფად დაჭრეს იმ ზომაზე, ურმის გადასაფარებლად რომ კმაროდა. დაკეცეს და ზურგზე წამოიკიდეს.

— მოტოციკლეტზე დააწყვეთ.

— ეს ათ ურემს ეყოფა, — უთხრა ბუხუ დარასელიამ, — დანარჩენ ურმებს რას უზამ?!

— ნაბდებს დავაფარებ, — სწრაფად მიუგო მომმარაგებელმა.

— მეურმეებს მოხდი და ცემენტს დააფარებ?! — არ დაიჯერა, დარასელიამ.

— ნაბდები თუ არ მეყო, ტყავს გავიძრობ და გადავაფარებ, ბუხუ. ახლა მაინც თუ მიხვდი, რა არის ჩვენთვის ცემენტი?

კვლავ იელვა. უფრო ახლოს. მისმა შუქმა კვლავ გაანათა ბუხუ დარასელიას სახე, ახლა უკვე ლონგინოზ ლომჯარიასაკენ კმაყოფილებითა და მადლიერებით მიპყრობილი.

— შენდენი ჭკუა რომ მქონდეს, ლონგინოზ ჩემო, მე ვიქნებოდი შენს ადგილზე. — უთხრა დარასელიამ და დაუმატა: — არიქა, ნუ აყოვნებ, დაეწიე ურმებს, საცაა მერეხი დაუშვებს...

ყორათის მასივის მშენებლობის კანტორაში სპირიდონ გუნია თავის სამუშაო მაგიდას უჯდა. მაგიდის მეორე მხარეს დემობილიზებული ჯარისკაცი იდგა, ქუდი ხელში ეჭირა და უხერხულად ჰმუჭნიდა. ეტყობოდა, მოქალაქურ ცხოვრებას გადაჩვეული იყო და არ იცოდა თავი როგორ დაეჭირა, მხედრულად, თუ უბრალოდ. მზით გაშავებულ ისედაც შავგვრემან სახეს, ცოცხალს, ენერგიულს, მაგრამ ახლა ცოტა დამორცხვებულს, ნავთის ლამპის შუქი ანათებდა.

— სატანკო ნაწილში მსახურობდით? — ჰკითხა სპირიდონ გუნიამ.

— დიახ, სატანკოში.

— კარგია, — გაეხარდა გუნიას. — სწორედ დრაგერის თანაშემწე გვჭირდება.

— საჩემო ადგილია.

— გვარი?

— ნოდია.

— სახელი?

— ბონდო იოსების-ძე.

— ხვალ დილიდანვე შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა. მეექვსე ბარაკში მიდით. ფარნა ჯოხაძე იკითხეთ. ის მოგაწყობთ. მეექვსე ბარაკი საერთო საცხოვრებელია.—ქაღალდზე მიმართვა დაუწერა. — ეს ჯოხაძეს მიეცით. სამუშაოზე წასვლამდე დილით აქ მოდით კადრების განყოფილებაში. აქვე გეტყვიან, ვისთან, იმუშავებთ. იმ დრაგერს, ვისთანაც გაგაგზავნიან, სხვა დრაგერი ჰყავს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული. ხომ იცით, რა არის სოციალისტური შეჯიბრება.

— მთელმა ქვეყანამ იცის, — უთხრა ბონდო ნოდიამ.

— ჯარშიაც ეჯიბრებოდით ერთმანეთს.

— ვეჯიბრებოდით.

— კარგი ბიჭია ის დრაგერი, — უთხრა გუნიამ, — კარგად მუშაობს, აბა, თქვენ იცით, როგორ შეუწყობთ ხელს.

— ვეცდები უფროსო, — უთხრა ბონდო ნოდიამ, მადლობა გადაუხადა, მიმართვა გამოართვა, დაემშვიდობა და კანტორიდან გავიდა.

დილით ბონდო კანტორაში მოსულ გუდუია ესვანჯიას გააყოლეს დედაარხზე. ნოდიამ შორიდანვე დაინახა ექსკავატორის კაბინაში მჯდარი დრაგერი. დააკვირდა და იცნო. გაბრუნება დააპირა, მაგრამ შეამჩნია, რომ დრაგერმაც იცნო. შედგა. ერთწამს ყოყმანობდა. არ ივარგებდა გაბრუნება. — „რას იფიქრებს? შეშინდაო“. — სწრაფად გასწია ექსკავატორისაკენ. ისე სწრაფად, რომ გაკვირვებული გუდუია უკან ჩამორჩა.

დრაგერმა ასე ჯიქურ მომავალი რომ დაინახა ბონდო ნოდია, ძრავა გამორთო. კაბინიდან ჩამოხტა და თვითონაც ჯიქურად გასწია მისკენ. შორიახლო შედგნენ პირისპირ. ერთმანეთი აათვალიერ-ჩაათვალიერეს, თითქოს ერთმანეთის ძალას ზომავდნენ. გუდუიამ მაშინვე დაინახა ეს. მზად იყო შუაში ჩადგომოდა, თუ ერთმანეთისაკენ გაიწევდნენ. ერთი წამი იდგნენ ასე, სამტროდ არ უყურებდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა, — პირველმა ბონდომ დაარღვია დუმილი.

— გაგიმარჯოს, — უთხრა დრაგერმა. გუდუიამ შვებით ამოისუნთქა.

— მე ბონდო ნოდია ვარ.

— მე უჩა შამუგია. რისთვის გარჯილხარ?! — მაინც ვერ დაფარა ეჭვი და შეკავებული მღელვარებით ჰკითხა უჩამ.

— შენთან გამომგზავნეს.

— ჩემთან?!

— ჰო.

— ვინ?!

— სპირიდონ გუნიამ.

— გუნიამ?! ჩემთან?!

— რატომ გაგიკვირდა? — ჰკითხა ბონდომ.

— ვინ გითხრა, რომ გამიკვირდა? მაინც რისთვის გამოგგზავნა, სპირიდონ გუნიამ.

— დრაგერის თანაშემწედ იმუშავებო.

— რომელი დრაგერისო?!

— კადრების განყოფილებაში მითხრეს, უჩა შამუგიასიო.

— და შენ დათანხმდი?!

— როგორც ხედავ.

უჩა გაკვირვებას ვერ ფარავდა. ეს რომ ბონდოს არ შეემჩნია, ხელი ჩამოართვა.

— ჩვენ მგონი ერთმანეთი გვინახავს.

— მგონი, — უთხრა ბონდომ.

— და მაინც მოდი ჩემს თანაშემწედ სამუშაოდ?!

— აბა სხვა რისთვის მოვიდოდი.

— სხვა არაფრისთვის?!

— არაფრისთვის, — ბონდომ თვალი გაუსწორა და პირდაპირ ჰკითხა: — დაქორწინდით?

— ჯერ არა. დავაშრობთ ჭაობს და დავქორწინდებით.

კვლავ აათვალიერ-ჩაათვალიერეს ერთმანეთი.

— უჩა... თუ დამიჯერებ, რომ მე მხოლოდ სამუშაოდ ვარ მოსული დავრჩები, თუ არა და ახლავე გავბრუნდები — გულწრფელად უთხრა ბონდომ.

— დაგიჯერებ, — უჩამ ბონდოს თვალებში დაინახა, რა წრფელი იყო მისი სიტყვები.

ბონდო ნოდია სკოლის ამხანაგი იყო ციასი. უკანასკნელ კლასში ერთ მერხზე ისხდნენ, ერთი გზა ჰქონდათ შინიდან სკოლამდე, ერთად მიდიოდნენ სკოლაში და ერთად ბრუნდებოდნენ სკოლიდან. უყვარდათ ერთმანეთი.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბონდო თბილისში წავიდა. იქ ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ გამოცდებზე საკმარისი ქულები ვერ შეაგროვა. მეორე წელიწადს კი ჯარში გაიწვიეს.

დაშორდნენ თუ არა ერთმანეთს, ციამ იგრძნო, რომ ბონდო არ ჰყვარებია. არ ახსენდებოდა, არ ფიქრობდა ბონდოზე. იგრძნო, ის სიყვარული კი არა, მხოლოდ ყმაწვილური გატაცება იყო. ბონდოს გამოგზავნილი წერილის პასუხად, გულახდილად მიწერა ეს.

ციას პასუხით შეშფოთებულმა ბონდომ ისეთი მავედრებელი ბარათი მოწერა, ადამიანს გულის მაგივრად ქვა რომ დებოდა მკერდში, მოჟღბობდა, ციამ მაინც ვერ შესძლო თანაგრძნობის გაწევა. ეცოდებოდა ბონდო, გული შეტკიოდა, მაგრამ ბარათზე არ უპასუხა, არ უპასუხა არც მეორე ბარათზე.

ბონდოს იმედი ჰქონდა, შვებულებით რომ ჩავალ შინ, ცია გულს უსათუოდ მოიბრუნებსო. არ გაუმართლდა იმედი. ქალის გული უკვე სხვას ეკუთვნოდა. ხობში ხალხური შემოქმედების დათვალიერებაზე, ციას სოფლის გუნდიც მონაწილეობდა, უჩა შამუგიას იქ შეხვდა ცია და ერთი დანახვით შეუვარდა გული ვაჟზე.

ბონდო რომ ჩამოვიდა, ცია ემალებოდა, ერიდებოდა პირისპირ შეხვედრას. პლანტაციიდან დაბრუნებული შინ სხვა გზით მოდიოდა, რომ ბონდოს არ შეხვედროდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, ეზოშიც იშვიათად გამოდიოდა. ასე იყო, ვიდრე ბონდოს შვებულება არ დაუმთავრდა.

დემობილიზაციის შემდეგ ბონდომ პირდაპირ თავის სახლს მიაშურა. ცია და უჩა ჭიშკართან რომ დაინახა, მაშინ დარწმუნდა, იმ ვაჟს ეკუთვნოდა ციას გული, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. ცია კოლხიდის დაბლობების მშენებლობაზე წასული რომ დახვდა, სამუდამოდ გაუტყდა იმედი. შინ მაინც ვერ მოისვენა. თვითონაც მშენებლობაზე წავიდა, რომ ახლოს მაინც ყოფილიყო მასთან.

ერთ კვირა საღამოს ზღვიდან გამოსული ცია და უჩა სილაზე იწვნენ. ცოტა მოშორებით ანტონ პაჩილო და ცისანა ისხდნენ.

ყულევილი ქალიშვილები ისე ხშირად აღარ გამოდიოდნენ საბანაოდ და როცა გამოდიოდნენ, უჩასა და პაჩილოსაკენ არ იხედებოდნენ. პლაჟი თითქმის ცარიელი იყო. არც დელფინები მოდიოდნენ ხშირად ნაპირთან. აღარ ეგულებოდათ იქ ქალიშვილები, აღარ უხმობდნენ, აღარ ხტებოდნენ მაღლა.

უჩა და ცია სილისაგან სახლს აშე-

ნებდნენ. ცია „მასალას“ აწვდიდა, უჩა აშენებდა. მასალები — ქვები, ნიჟარები, ხის ქერქები იყო, ყველაფერი ზღვიდან გამოტანილი, რაც ხელში მოხვდებოდა ციას. უჩას ოსტატობით აღტაცებული ცია მხიარულად იცინოდა, აქნევდა ლამაზ ფეხებს.

— უჩა, შენ დოხორეს აშენებ და არა ოდას.

— ასეთი დოხორე უნდა იყოს ჩვენი სახლი, ცია!

— ასეთი დოხორე დადიანს არ ექნებოდა, უჩა!

— დადიანს არ ექნებოდა, ჩვენ კი გვექნება. მოგწონს?

— მომწონს, მაგრამ ოდიშის მთავრის დოხორეზე უკეთესი სახლი ჩვენ რანაირად გვექნება?!

— ჩვენი ხელით, ჩვენი ოფლით აშენებული რომ იქნება, იმიტომ იქნება ოდიშის მთავრის დოხორეზე უკეთესი.

— მერე რა დავდგათ ჩვენს დოხორეში, უჩა?

— ოღონდ მიწა და ოდა გვეღირსოს და ავეჯს თანდათან შევიძენთ.

— კი შევიძენთ, უჩა. მე კარგი მზითევი მექნება. დედა და ბაბა ჩემი შრომადღის ფულიდან ერთ გროშს არ მახარჯინებდნენ, მზითევისათვის ჰინახავდნენ.

— მეც ვაგროვებ ჩემი გამომუშავების ფულს, ცია.

— როდის ვეღირსებით იმ დღეს, უჩა? როდემდე ვიყოთ ცალ-ცალკე? — მოულოდნელი სევდით ჰკითხა ციამ, — მეტი აღარ შემიძლია.

უჩამ „დოხორის“ შენება მიატოვა, ციასაკენ მიბრუნდა. წინ ეწვა იგი პირაღმა, სიყვარულით შესცქეროდა.

— ცია, — დაიჩურჩულა უჩამ.

— როდის ვიცხოვრებთ ერთად? — ციამ კისერზე მკლავები მოხვია და მისი სახე მკერდზე მიიკრა.

— დაგვინახავენ, ცია.

— იცი, უჩა, ანტონ ბაჩილოს ჯერ არ უკოცნია ცისანასთვის.

— ვიცი.

— საიდან იცი? — გაუკვირდა ციას.

— ანტონმა მითხრა.

— შენ უთხარი, რომ მე გკოცნი?

— ვუთხარი.

— აბა ახლა თავისი თვალით დაინახოს, — უთხრა ციამ და აკოცა.

— მართლა დაგვინახავენ, ცია, — შეშინდა უჩა.

— დაგვინახონ. იქნებ თვითონაც გაბედონ ჩვენი წაბაძვით. ასე როდემდე იქნებიან ბერ-მონაზონივით, — უთხრა ციამ და კიდევ აკოცა.

— იცი, ცია, ჩემს თანაშემწედ ვინ მუშაობს ექსკავატორზე? — ჰკითხა უჩამ, როცა ციამ ბაგე აართვა მის ბაგეს და სიყვარულით თვალებში ჩახედა.

— ვინ მუშაობს?

— შენი მეზობელი.

— ვინა?!

— ის ტანკისტი.

ციამ არ დაიჯერა.

— ტანკისტი?!

— ჰო, ბონდო ნოდია.

— საიდან იცი მისი სახელი და გვარი?!

— აკი გითხარი ჩემს თანაშემწედ მუშაობს-მეთქი.

— შენს თანაშემწედ? — ციამ მკლავები ჩამოიღო უჩას კისრიდან.

— ჩემს თანაშემწედ, ცია.

— საიდან, როგორ?

— ჯარიდან დაბრუნებულა. სპირიდონ გუნიამ გამომიგზავნა.

— დიდი ხანია? — არ იცოდა, რატომ ჰკითხა ეს. რა მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ხანია მუშაობდა, თუ ცოტა ხანი.

— ერთი თვეა.

— რატომ აქამდე არ მითხარი? — არც ეს იცოდა, რატომ ჰკითხა.

— არ უთხრაო ციას.

— რატომაო?!

— არ იფიქროსო, რომ მისთვის ჩამოვედი. მაგრამ განა მე არ ვიცი, ცია, რომ შენთვის ჩამოვიდა.

— რა იცი, რომ ჩემთვის ჩამოვიდა?

— მაგას რა ცოდნა უნდა.

— ჩვენ მხოლოდ სკოლის მეგობრები ვიყავით, — უთხრა ციამ.

— ბონდომაც ასე თქვა.

— მართალი უთქვამს, — მოუწონა

ბონდოს ნათქვამი, მაგრამ მაინც გრძნობდა, დარწმუნებული იყო, რომ ბონდო მისთვის ჩამოვიდა. ოღონდ ვერ ერკვეოდა, უნდოდა ეს ასე ყოფილიყო თუ არ უნდოდა. იცოდა, რომ ეს მხოლოდ ქალური პატივმოყვარეობა იყო და სხვა არაფერი, და რათა არ ეფიქრა ამაზე, წამოდგა, ტანიდან სილა ჩამოიფერთხა. — წავიდეთ, უჩა, კიდევ გავცუროთ, — არ დაუცადა უჩას, შეირბინა ზღვაში და გაცურა. — „კარგია, რომ უჩა არ გამომყვა. — მარტო ყოფნა უნდოდა. — აქ მოვიდა სამუშაოდ. ჩემთან მოვიდა, ჩემი გულისათვის მოვიდა, ჩემი გულისათვის მიატოვა ფიქრი ინსტიტუტზე და უჩას დაუდგა თანაშემწედ. რა კარგი გული ჰქონია, რა კეთილი... მე კი... — არ დაასრულა ფიქრი. — უჩას კიდევ უფრო კარგი გული აქვს, უფრო კეთილი გული აქვს. სხვა მის ადგილზე არ ამუშავებდა თავისთან, უკან გააბრუნებდა, დაეჭვდებოდა. ერთი თვეა თურმე მასთან მუშაობს და არ მეუბნებოდა, — ფიქრში გართული ნელა მიცურავდა. ზღვა მშვიდი იყო, არ ირხეოდა. — მაინც რატომ მოვიდა. რატომ მაინცდამაინც უჩას დაუდგა თანაშემწედ? ხომ იცოდა, რატომ ვარ აქ, ვისთვის მოვედი აქ, ვისთან მოვედი? — დაინახა, რომ ძალიან შორს გაცურა. უჩა ნაპირიდან ძლივს მოჩანდა. მიტრიალდა და მისკენ გაეშურა. აღარ უნდოდა ბონდოზე ფიქრი. მიცურავდა სწრაფად, უნდოდა მალე მისულიყო უჩასთან და ბონდოზე აღარ ეფიქრა.

კიდევ ორი-სამი კვირა და „კომსომოლეცი“ გუდუია ესვანჯიას კარავს მიადგება.

გუდუიამ იცოდა ეს. იცოდა, რომ კარავი უნდა მიეტოვებია, სადაც ამდენი წელიწადი გაატარა, მაგრამ ხალხისაგან, ქვეყნისაგან მოწყვეტილი. ტყეში და ჭაობში ჩაკარგული კარავი მაინც ისეთი ახლობელი, ძვირფასი იყო მისთვის ფიქრიც კი უჭირდა მის მიტოვებაზე, იმაზედაც უჭირდა ფიქრი, რომ ექსკავატორი, რომელსაც თვითონ ემსახურებოდა, უვლიდა პირწმინდად აღგვიდგა მის კარავს მიწიდან. მართალია, გალინა არკადიევნას და სპირიდონ გუნიას კი უთხრა, არ მენაღვლება ჩემი კარვის დანგრევაო, მაგრამ თურმე თავს იტყუებდა. კარავი კი არ ინგრეოდა, მისი კერა ჩაქრობოდა, რომლის პირას მჯდარი თავის დარდსა და მწუხარებას ცეცხლს უყვებოდა. ძაღლს, კამეჩს, თხასა და შვლებს არ უმხელდა. ისინი სულიერნი იყვნენ. სულიერს ვერ გაუმხელდა, თვალში ვერ შეხედავდა. მარტო ცეცხლის ალს ელაპარაკებოდა ფიქრით, უხმოდ, ტკივილით. ცეცხლის ალის ბრიალი იყო მისი ტკივილისა და ვარამის დამამშვიდებელი და არა ნუგეშის მიმცემი. ნუგეშს ვერავითარი განგება ვერ მისცემდა, იმ ჯავრსა და ვარამს ვერაფერი გაუქარვებდა. ახლა სხვა გზა გაუჩნდა, სხვა გზას დაადგა. იმ გზით მოდის მისი კარვისაკენ „კომსომოლეცი“. უნდა დაანგრიოს იგი, გაიყვანოს გუდუია აქედან, სადაც იგი ცოცხლად იყო დამარხული, დაუბრუნოს ხალხს, ადამიანებს.

როგორ არ აქეზებდა ისიდორე სიორდია, ის კაცის ჭირი, გალინა არკადიევნასა და მისი ქმრის, ვაჟა ჯაფარიძის წინააღმდეგ, დედაარხი შეეძლოთ შენი კარვის გვერდზე ჩავლით გაეყვანათო, მაგრამ მათ განგებ არ აუქციეს კარავს და შენს კარავზე გაიყვანესო.

გუდუიამ არ დაუჯერა სიორდიას. კინაღამ თავში დაჰკრა ხელკეტი, არ დაუჯერა მის შხამით სავსე გულსა და მოწამლულ ენას. მართალია, უჭირდა კარვის მიტოვება, მაგრამ არხს ანაცვალა კარავი; არხს ხალხში გაჰყავდა, ადამიანებს უბრუნებდა. რა გააჩერებდა აქ, როცა ხალხი თვითონ მოვიდა მასთან, გაიხსენა, საქვეყნო საქმის გაკეთებაში გვერდში ამოიყენა, ტოლსწორად გაიხადა. ენა უნდა ჩაეჭრა ისიდორე სიორდიასათვის მაშინ, კეტის დარტყმა ცოტა იქნებოდა და არც ის დაარტყა. ცოდვამ მაინც უწია იმ კაცის ჭირს.

ახლა კერაზე ცეცხლი არ ენთო. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. გუდუია იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა,

თავის თავს ელაპარაკებოდა. გარედან „კომსომოლეცის“ ხრჭიალ-რახრახი ისმოდა.

უჩა შამუგიას ექსკავატორი ორ ცვლაზე მუშაობდა. ბონდო ნოდია დღისით უჯდა ბერკეტებს, უჩა შამუგია — ღამით.

გუდუია ორივე ცვლაზე ემსახურებოდა მანქანას. უჩა ადრე ათავისუფლებდა, ღამე არხზე არ ტოვებდა, მამასავით ექცეოდა. — „რა ჭრელი ხალხია, როგორ არ გვანან ადამიანები ერთმანეთს და თანაც გვანან. უჩა შამუგიასაც კაცი ეთქმის და ისიდორე სიორდიასაც კაცი ეთქმის? მას მხოლოდ სამარე გაასწორებს. ასე თუ იმუშავებენ უჩა და ბონდო, სამ კვირაზე უფრო ადრე მოადგებიან ჩემს კარავს. ჯობია დროზე წავიდე აქედან და ბარაკში გადავსახლდე. იმ რუსის ქალმა ადრე მირჩია — ბარაკში გადადიო. კამეჩსა და თხას ვერ შევეშლიე, ვერც შვლებს, პირუტყვმაც იცის შეჩვევა, დარდიც იცის პირუტყვმა. მე ჩემი დარდი ვერ მოვინელე... კამეჩის ცოდვის დადებას ვერიდებოდი. კამეჩი ადამიანივითაა, ცოტა გაეხარდება, ცოტაზე იდარდებს. შვლებს გავუშვებ, ძაღლს თან წავიყვან, კამეჩს კოლმეურნეობას ჩავაბარებ, ხშირად მივაკითხავ. თხას უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს მივცემ. ესმა და იაკობი მოუწველიან. ხიბაკს რა ვუყო? ხიბაკსაც ცოდნია შეჩვევა. რამდენი ხანი ვიყავი ამ ხიბაკთან, — კარავში ბნელოდა. კერა ჩამქრალი იყო. მეტს აღარ დაანთებდა შუაცეცხლს. ხვალ დილით მიატოვებს კარავს. გარეთ წვიმდა. ყრუ დგაფუნით ეცემოდა ისლის სახურავს კაკლის სიმსხო წვეთები. კარავში ბნელოდა, მაგრამ გონების თვალით ნათლად ხედავდა შუაცეცხლთან მდგარ კვეთას, იქვე ჯირკზე მიყუდებულ კეცს, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ კოკას, დოქს, ყველის დერგს, საწველ ნიგას, კედელზე ჩამოკიდებულ ტაბაკს, კარდალას თავისი ჩოგნითა და კირზით. როგორ შეელიოს მათ? როგორ დატოვოს ექსკავატორის დასალეწად? უნდა დატოვოს. აბა, თან ხომ ვერ წაიღებს. — იგრძნო, დაინახა, არა მარტო მათ ტოვებდა, ტოვებდა თავისი წარსულის შავ დღეებს, თვეებს, წლებს, მაგრამ არ იცოდა, უხაროდა ეს, თუ შეჩვეული იყო თავის ხვედრს და აღარ უხაროდა. ამ ფიქრში შემოათენდა.

აღარ წვიმდა, აღარ ეცემოდა ყრუ დგაფუნით წვიმა ისლის სახურავს. წამოდგა. ძლივს აითრია მთელი ღამის უძინარი ტანი. კარი გააღო. ტყის იქით მაღლა მდგარმა მზემ შეანათა სახეში. რამდენჯერ შეგებებია მზეს ასე. ოდნავ, სულ ოდნავ გაუნათებია მისი დახურული გული, მისი დახურული სული. მხოლოდ ერთი წამით, მხოლოდ ერთი შემოხედვით.

გაწუწული ძაღლი სიცივისაგან ძაგძაგებდა. ძაღლმა კარავში შეიხედა. არ ენთო კერა. ცუდად ენიშნა, აწმუკუნდა. გუდუიამ თავზე ხელი გადაუსვა. პირველად მოეფერა. გუდუიას ხელზე მეტად ცეცხლი ვერ გაათბობდა და მაინც წკმუტუნებდა. წკმუტუნებდა იმიტომ, რომ გრძნობდა, იმ კერაზე ცეცხლი აღარასდროს აღარ დაინთებოდა.

გადაწყვიტა ახლავე წაეყვანა კამეჩი კოლმეურნეობის ფერმაში. მიეყვანა თხა უჩასა და ანტონისათვის, გაერეკა შვლები. თან მხოლოდ დოქი წაეღო.

ხელ-პირი არ დაუბანია, არ უსაუზმია. ეგონა, თუ ახლავე არ გაეცლებოდა იქაურობას, მერე ვეღარ მიატოვებდა.

წამოდიო, უთხრა ძაღლს და აგავაისაკენ გაემართა. ნელა წავიდა, ისე ნელა, თითქოს ფეხები მისი არ იყო. სამუდამოდ ტოვებდა კარავს, მის შემოგარენს. აღარასოდეს მობრუნდება აქეთ. გადაწყვიტა წასვლა და მიდიოდა. ძაღლი გვერდით მიჰყვებოდა, თავდახრილი, კუდამოძუებული, იქნებ მიხვდა, რომ პატრონი აღარ მოუბრუნდებოდა კარავს და არც თვითონ მობრუნდებოდა. საწველი ნიგაც არ მიჰქონდა კამეჩთან, არც თხასთან. თხა ახსნა, აგვარიდან გამორეკა. პირუტყვმა გაკვირვებით შეხე-

და — ნიგა რატომ არ მოიტანა და არ მწველისო.

კამეჩსაც გაუკვირდა, შეყოყინა — ნიგები რატომ არ მოიტანეო. გუდუიას დოქი გაახსენდა, კარავში შებრუნდა, დოქი აიღო, უკანასკნელად მიმოავლო თვალი კარავს, მერე სწრაფად გამოვიდა და კარი მიხურა. ხელკეტს დიდი ხანია აღარ ატარებდა. კამეჩს, თხასა და შვლებს დოქი აუქნია და წინ გაიგდო. შვლები შუა გზაზე უნდა გაერეკა ღრმა ტყეში, მაგრამ იცოდა ისინი ისევ დაბრუნდებოდნენ კარავში. შეებრალა შვლები. დიდხანს იქნებიან მის მოლოდინში, ვიდრე მოშინაურებულებს მგლები არ შეჭამენ.

ძაღლმა კარვიდან მოშორებით უკან მოიხედა. პატრონმა არ მოიხედა. ძაღლი თვალს არ აშორებდა, არ ჯეროდა, გუდუია რომ სამუდამოდ ტოვებდა კარავს. არც თხასა და კამეჩს ჯეროდათ, რომ პატრონი სამუდამოდ ტოვებდა კარავს. აბა სად მიერეკება, არასოდეს მოუწველავი არ დაუტოვებია, არასოდეს აქეთ არ გაურეკია. სად მიჰყავს? თხა და კამეჩი ძაღლთან ერთად ჩერდებოდნენ, იქნებ პატრონიც შეჩერდესო. ძაღლი წკმუტუნებდა, თხა კიკინებდა, კამეჩი ყოყინებდა. მაგრამ გუდუია არ ჩერდებოდა, იქნევდა დოქს და მიერეკებოდა თხასა და კამეჩს. თან გული უჩვილდებოდა, შეეშინდა, არ მოებრუნებოა თხა და კამეჩი. ნაბიჯს აუჩქარა. გაჯავრებით დაუყვირა პირუტყვებს; რატომ ჩერდებითო.

მიეფარნენ ბუჩქნარს. უკან დარჩა ორმოცი წლის კარმიდამო. უკან დარჩა დარდი და ფიქრი. უკან დარჩა მთელი მისი წარსული...

ლონგინოზ ლომჯარიამ სეროვას თხოვნით მეექვსე ბარაკში გამოუყო ოთახი. იმ ბარაკის ერთ თავში კლუბი იყო, მეორე თავში — საცხოვრებელი ოთახები. სხვა ბარაკებში ორ მწკრივად მთელს სიგრძეზე ტახტები იდგა და ორმოცდაათი კაცი ცხოვრობდა. ოთახებში კი ორ-ორი ტახტი, მაგიდა და სკამები იდგა. აქ სამუშაოთა მწარმოებლები და კანტორის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. გუდუია ესვანჯია იმ ოთახში დააბინავა ლონგინოზმა, სპირიდონ გუნიას გამოგზავნილი დემობილიზებული ტანკისტი რომ ცხოვრობდა.

გუდუიას ერთი შეხედვით მოეწონა ბონდო ნოდია და ძალიან გაეხარდა, რომ იგი მასთან შეასახლეს. ორმოცი წელიწადი ადამიანთან ერთ ჭერქვეშ არ უცხოვრია, უცებ შეეჩვია. დღისით ერთად მუშაობდნენ, ერთად ჭამდნენ, ღამით ერთ ოთახში ეძინათ. მამის გრძნობა რა იყო, არ იცოდა, მაგრამ რაღაც ამდაგვარი გრძნობით ექცეოდა ბონდოსა და უჩას. ორივეს თვალში შესციცინებდა. „კომსომოლეცისათვის“ ყოველთვის დროზე მოჰქონდა საწვავი. სამხრის სუფრას თვითონ შლიდა და თვითონ ალაგებდა, მაღაზიიდან პაპიროსსა და ასანთს მოუტანდა. ოთახს თვითონ ალაგებდა და გვიდა. ჯერ ჩიტი არ იყო გალვიძებული, უკვე ამდგარი იყო. ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდოდა, ხელპირს დაიბანდა და არხზე წავიდოდა, ბონდოსათვის ექსკავატორი მომზადებული უნდა დაეხვედრებია.

ვასო ბრეგვაძე ფოთიდან, თავისი მშვენიერი ერთ ოთახიანი ბინიდან ყორათის მასივში გადასახლდა და მეექვსე ბარაკში ერთ-ერთი ოთახი დაიკავა.

ყველა გააკვირვა ამ ამბავმა. თვითონ ბრეგვაძე საკვირველს არაფერს ხედავდა. დედაარხი მისთვის მთავარი მშენებლობა იყო და უნდოდა მასთან ახლო ყოფილიყო, რომ დღე და ღამე თავზე დგომოდა მშენებლებს.

დედაარხის ყორათის მასივის მონაკვეთზე ორი ექსკავატორი და ორასამდე მბარავი და მკაფავი მუშაობდა ორ ცვლაზე, მაგრამ ეს მაინც არ აკმაყოფილებდა ძველ ინჟინერს. აჩქარებდა, მოსვენებას არ აძლევდა მუშებს.

დედაარხს შეჰყურებდა ყველა — ყორათის მასივში მომუშავე მუშა-მოსამსახურე და ახლო-მახლო სოფლელები. დედაარხის გაყვანით მთავრდებოდა ყორათის მიწების მთავარი სამუ-

შაოები და მაშინვე დაიწყებოდა დამრალ ფართობებზე დასახლება.

სვანები აქ პირველად მხოლოდ ხელფასისათვის ჩამოვიდნენ მთებიდან, აზრადაც არ მოსვლიათ კოლხიდის დაბლობებზე დასახლება, მაგრამ როცა დაინახეს, რა იხარებდა ამ მიწაზე, როცა თავისი თვალით იხილეს საცდელ სადგურში და ზოგიერთ ნაკლებად დაჭაობებულ სოფელში ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიფრუტის ნაყოფით დახუნძლული ხეები, სიმინდის სამი-ოთხი ტაროთი დაჯოგრილი ყანები, კამეჩები, ორი სვანური ძროხის ოდენა რძეს რომ იწველიდნენ, ღორებითა და ქათმებით სავსე ეზოები, გადაწყვიტეს, ფეხი არ მოეცვალათ აქედან და ამომშრალ მიწაზე დასახლებულიყვნენ.

ერთ დღეს ბონდო ნოდია სამუშაოდ არ გამოვიდა. ოდიშის ლაკადაში დაბადებულსა და გაზრდილს ჭაობის შხამმა და კოღომ ციება შეჰყარა. იმ ღამეს ექსკავატორზე უჩა შამუგია მუშაობდა. გათენებული არ იყო, გუდუია რომ მოვიდა და უთხრა, ბონდოს გააცია და მთელი ღამე ბორგავდაო.

უჩა მაშინვე გადმოხტა ექსკავატორიდან და ის იყო აფთიაქში უნდა წასულიყო ქინაქინისათვის, რომ ვასო ბრეგვაძე მოვიდა. უჩას გაუკვირდა, ასე უთენია რამ მოიყვანა ინჟინერიო. უნდოდა ექსკავატორზე ასულიყო და მუშაობა განეგრძო, რადგან იცოდა, ბრეგვაძე გულის გაჩერებას უფრო შეურიგდებოდა, ვიდრე ექსკავატორის გაჩერებას. ბრეგვაძემ შეატყო ეს.

— შენ წადი, უჩა, შენს მეგობარს მიხედე!

—როგორ, ექსკავატორი?!

— აი, როგორ! — უთხრა ბრეგვაძემ, ექსკავატორზე ავიდა და ბერკეტებს მიუჯდა. უჩას ზევიდან გადმოხედა: — წადი, რას უდგახარ?

— ქინაქინას მივუტან ბონდოს და ახლავე დავბრუნდები.

— შენს ცვლამდე არ დაბრუნდე, — უბრძანა ბრეგვაძემ.

უჩა უხმოდ შეტრიალდა და წავიდა. პირდაპირ აფთიაქში გაეშურა.

პროვიზორ მაქსიმე ხვინგიას სარკმელთან რიგი იდგა. აქ იყვნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ქალები და ბავშვები. ზოგი თავისი წამლისათვის იყო მოსული, ზოგი თავისი ავადმყოფის.

მშენებლობაზე მომუშავე ხალხის ერთ მეოთხედს აციებდა. მაქსიმე ხვინგია ვერ აუდიოდა ქინაქინის გაცემას. დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდა. გარდა შინ მწოლარე ავადმყოფებისა, ყორათის სტაციონარი სავსე იყო ციებით დაავადებულებით. ყველაზე მეტად რუსები და უკრაინელები ვერ იტანდნენ ციებას და სიკვდილის შემთხვევები მათში უფრო მეტი იყო.

პროვიზორმა უჩა დაინახა თუ არა, შეცბა. შესაცბუნებელი არაფერი ჰქონდა. იმ დღიდან უჩამ რომ საქვეყნოდ გამოაჭენა, ქინაქინის ამპულებს არავის უმალავდა, მაგრამ უჩა შამუგიას შიში კვლავ ტანში ეჯდა.

—მობრძანდით, რა გნებავთ? — თავაზიანად ჰკითხა უჩას და წამოდგა.

— ქინაქინის ამპულები მინდა, მაგრამ მე მაშინ მოვალ, როცა ჩემი რიგი მოაღწევს.

უჩა აფთიაქიდან ექთანთან ვაიქცა და ახლა ისინი ერთად მიდიოდნენ მეექვსე ბარაკში.

— ნუ გეშინია, უჩა, — ამშვიდებდა ექთანი, — სამი ნემსის შემდეგ ფეხზე დადგება შენი ამხანაგი.

— სამი დღე არ მეყოლება მეწყვილე, ეთერ, — წუხდა უჩა და ამ წუხილმა მოულოდნელად ერთ აზრამდე მიიყვანა და ეს აზრი ისე მოეწონა, რომ უნდოდა ექთანისათვის გაეზიარებია, მაგრამ გზაზე ვაჟა ჯაფარიძე და პარტორგი კოჩა ყორშია შემოხვდათ.

მათ ბონდო ნოდიას ავადმყოფობა გაეგოთ, და ეგონათ, ექსკავატორი გაჩერებული იყო.

— ეს კარგია, რომ ექთანი მიგყავს და წამალი მიგაქვს, მაგრამ ექსკავატორი რომ გაჩერებულია, ამას რა ეშვე-

ლება? — ჰკითხა მთავარმა ინჟინერმა.

— ექსკავატორი არ გაჩერებულა.

— აბა?!

— ჯერჯერობით ექსკავატორზე ვასო ბრეგვაძე მუშაობს:

— რაო?! — ერთხმად წამოიძახეს მთავარმა ინჟინერმა და პარტორგმა.

— ვასო ბრეგვაძე მუშაობს ექსკავატორზე. ძალით გამომაგდო, ავადმყოფს მიხედეო.

— კარგად მოქცეულა. წავიდეთ ავადმყოფთან, — უთხრა კოჩა ყორშიამ.

— ვასო ბრეგვაძე დიდი-დიდი ერთი ან ორი დღე იმუშავებს, მერე ვინ დავსვათ „კომსომოლეცზე“? — თქვა დაფიქრებით ვაჟამ. — შენ კვლავ ორ ცვლაზე მოგიწევს მუშაობა, უჩა.

— ვიმუშავებ ორ ცვლას, — უთხრა მთავარ ინჟინერს უჩამ, მაგრამ იგი ისევ იმ აზრით იყო დაფიქრებული, წელან რომ დაებადა. — ოღონდ ხვალ მეც რომ გამაციოს, მაშინ რა ვქნათ? ამას წინათ ანტონ ბაჩილო იყო ავად. ასევე შეიძლება სხვა დრაგერებიც ავად გახდნენ. ვინა გვყავს მათი შემცვლელი?

— არავინ, — მიუგო ვაჟა ჯაფარიძემ: იგი გრძნობდა, რომ უჩა შამუგიას რაღაც ჰქონდა მოფიქრებული.

— მოვამზადოთ შემცვლელები, — უთხრა უჩამ.

— როგორ?!

— როგორც მე ბონდო ნოდიამ მომამზადა.

— ბონდო ნოდია ტანკისტი იყო და არ გაუჭირდა, — უთხრა პარტორგმა.

— მე ტანკისტი არ ვიყავი, მაგრამ ანტონ ბაჩილომ სამ თვეში დამსვა ბერკეტებთან.

— შენ ტრაქტორისტი იყავი, უჩა!

— შევასწავლოთ ტრაქტორისტებს. ჩვენ ახლა ტყის გაკაფვა და გაწმენდა ისე არ გვიჭირს. უტრაქტოროდ იოლად გავალთ. ახალ ტრასაზე არსად აღარ გვხვდება დიდი ხეები.

— კარგი აზრია, — მოუწონა მთავარმა ინჟინერმა.

— თუ ამას გავაკეთებთ, ორი ცვლა კი არა, შეიძლება ოთხ ცვლაზე ვამუშაოთ ექსკავატორები, — თქვა უჩამ და დაუმატა: — დღეღამეში ოცდაოთხი საათი ვამუშაოთ.

— შენ მოიფიქრე ეს?! — ჰკითხა გაკვირვებულმა პარტორგმა.

— საქმემ მომაფიქრებინა, — მიუგო უჩამ. კმაყოფილი იყო, გაეხარდა, რომ აზრი მოუწონა პარტორგმა.

— მაშინ დრაგერთა ბრიგადა უნდა შევადგინოთ, — თქვა მთავარმა ინჟინერმა. — თითო ექსკავატორზე ოთხი დრაგერი იმუშავებს. ასეა არა, უჩა?

— დიახ, ასეა. ბრიგადა შევადგინოთ. ეს თქვენ კარგად ბრძანეთ. ბრიგადა ბრიგადას შეეჯიბრება.

ვაჟა ჯაფარიძე და პარტორგი აღტაცებით შეჰყურებდნენ უჩას.

— შენ ხვდები, უჩა, რა დიდებული აზრი დაგებადა? — ჰკითხა კოჩა ყორშიამ. შეხედა ვაჟას: — გესმის, ვაჟა, ოთხი ცვლა!

ექთანი განცვიფრებას ვერ ფარავდა — ეს ვინ ყოფილა უჩა შამუგიაო.

— შენ თქვი, საქმემ მომაფიქრებიაო, — უთხრა უჩას მთავარმა ინჟინერმა. — მართალი ხარ, კარგი საქმე დიდი სტიმულია ადამიანისათვის.

უჩამ ვერ გაიგო რას ნიშნავდა „სტიმული“, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც კარგს ნიშნავდა. დაიმორცხვა მთავარი ინჟინრისა და პარტორგის ქსოდენი შექება. არ ეგონა, თუ ისინი მის წინადადებას ასე დიდ საქმედ მიიჩნევდნენ და წახალისებულმა განაგრძო:

— დიდი დრო გვეკარგება ბარაკებიდან და ყულევიდან არხზე მისვლაში. ექსკავატორებთან მოძრავი საცხოვრებელი ვაგონები რომ მოვაწყოთ, ბევრ დროს მოვიგებთ. მოძრავ კოლონის ვაგონში ორი დრაგერი იცხოვრებს თავისი თანაშემწეებით. მეორე ოთხეული ამ დროს ბარაკებში იქნება, ან შინ წავა. გაივლის თუ არა ერთი კვირა, მათი როლები შეიცვლება. დრაგერები, რომლებიც ცვლაზე დადგებიან, ორ ცვლას იმუშავებენ, ექვს საათს ბერკეტებთან, შემდეგ ისევ ის დასვენება განმეორდე-

ბა იმავე დროთი და მერე კვლავ ზერკეტებთან.

— ტექნიკური რემონტი როდის გაკეთდება? — ჰკითხა პარტორგმა.

— ექსკავატორისათვის დღეღამეში ერთი ან ორი საათი კმარა.

— ამაღამვე განვიხილავთ ამ საკითხს სამმართველოში, — უთხრა ვაჟა ჯაფარიძემ.

— ჩვენ ბონდო ნოდიასთან გავიქცევით, — მოკიდა ხელი ხელზე ექთანს უჩამ.

— ჩვენც წამოვალთ ნოდიას სანახავად, — თქვა ვაჟამ.

გაჰყვნენ უჩას მთავარი ინჟინერი და პარტორგი.

სამმართველოში თათბირის დაწყებამდე ერთი საათით ადრე უჩამ ციასთან შეირბინა საცდელ სადგურში. ქალიშვილები თავის ოთახში დახვდნენ. სამუშაოდან ახალი მოსულები იყვნენ და ის იყო ვახშამს უსხდებოდნენ.

უჩას ასეთ დროს მოულოდნელი სტუმრობით გახარებულები, მივარდნენ, აქეთ-იქით სტაცეს ხელი მკლავებში და სუფრასთან დასვეს.

— დასაჯდომად არ მცალია, — წამოდგა უჩა.

— რატომ? — ჰკითხა ციამ.

— სამმართველოში თათბირზე ვარ დაბარებული.

— ოჰო, შენ არ ხუმრობ, უჩა, — წამოიძახა ცისანამ, — სამმართველოში თათბირზე გიწვევენ. დიდი კაცი გამხდარხარ.

— აბა, როგორ! — გაიღიმა უჩამ. ის კი არ თქვა, მის მიერ დასმულ საკითხზე რომ იმართებოდა ასე ფიცხლავ თათბირი.

— ერთი წუთით მაინც დაჯექი, — შეეხვეწა ცია. შეატყო, რომ მშიერი იყო.

უჩა დაჯდა.

პურით მაწონი დაუდგა ცისანამ, მჭადი მოუტეხა.

— არა მშია, ცისანა, — ციას მიუბრუნდა: — შენთან ერთი პატარა სათხოვარი მაქვს.

— სათხოვარი?! — გაუკვირდა ციას, — მითხარი უჩა.

— ბონდოს გააცია. ჩემს მეტი წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავს. მე თათბირზე უნდა წავიდე. სიცხისაგან იწვის საწყალი ბიჭი.

— მერე მე რა ვქნა?!

— ვიდრე დედამისი ჩამოვა, თავზე უნდა დაადგე.

— მეე?!

— ჰო შენ, ცია.

— გადაირიე, უჩა?!

— რატომ გადავირიე?! კაცი სიკვდილის პირზეა. სიცხისაგან იწვის-მეთქი, — უჩამ განგებ გაამუქა ბონდოს მდგომარეობა, რათა ცია დაეჯერებია, რომ მისი წასვლა აუცილებელი იყო.

— ექთანი მიგეყვანა, უჩა, — უთხრა ციამ ცოტახნის დუმილის შემდეგ.

— ექთანს იმდენი ავადმყოფი ჰყავს, ნემსის გაკეთებას ვერ აუდის.

— მე ვერ წამოვალ, — უთხრა ციამ. — შენ ხომ იცი, რატომ ჩამოვიდა ბონდო.

— ვიცი, მაგრამ ხომ გითხარი, ამდენი ხანია ჩამოვიდა და ერთხელ არ უკითხიხარ.

— მაინც ვერ წამოვალ.

— ცია... უპატრონოთ დავტოვო ამხანაგი?!

— ამხანაგი?!

— ჰო, ამხანაგი და თუ გინდა, მეგობარიც.

ცია გაოცებითა და სიყვარულით შესცქეროდა:

— შენ ლაპარაკობ ამას, უჩა?!

— მე, ცია. არა მაქვს უფლება ასე არ ვილაპარაკო. ძმასავით მექცევა. როგორ შევაქციო ზურგი იმის გამო, რომ შენ უყვარხარ. მე ვარ დამნაშავე მის წინაშე. მე წავართვი მას შენი თავი. ბონდოს თავისი ჯავრი ეყოფა.

— თავის ჯავრი?!

— დიდი ჯავრი, ცია, — უთხრა უჩამ.

— არა, უჩა, ციას წასვლა არ შეიძლება, — ჩაერია ლაპარაკში აქამდე გაჩუმებული ცისანა. — კარგად თქვი შენ,

ბონდოს თავისი ჯავრი ეყოფა. დიდი ჯავრი. მიმხვდარხარ შენ. ერთხელ რომ არ უკითხავს, ეგ არაფერს არ ნიშნავს. ჯავრს გულში იკლავს. ციას ნახვა უფრო ცუდად გახდის ავადმყოფს.

— აბა, რა ვქნათ? — ჰკითხა სასოწარკვეთილებით უჩამ.

— მე წავალ ბონდოსთან.

— შენი ჭირიმე ცისანა, — წამოიძახა სიხარულით უჩამ, წამოხტა, გადაეხვია ცისანას და ლოყაზე აკოცა. — ოქრო გული გქონია, მაგრამ ანტონს რომ ეწყინოს.

— რატომ ეწყინება ანტონს?! ყველა მოვალეა ავადმყოფს მიხედოს.

— წავიდეთ, ცისანა, — აჩქარდა უჩა. — გარეთ მთავარი ინჟინრის მანქანა გვიცდის. ის წაგიყვანს ყორათში.

ცისანა სწრაფად მოემზადა წასასვლელად და უჩამ თითქმის გაიტაცა ოთახიდან.

ცია მაგიდასთან იდგა და ესმოდა, რა თავპირისმტვრევით ჩარბოდნენ კიბეზე უჩა და ცისანა...

ვასო ბრეგვაძე შეუსვენებლად მუშაობდა ექსკავატორზე. მხოლოდ სამხრისას შეისვენა. გუდუიამ ცხელი კერძი მოუტანა სასადილოდან. გაზეთი გაშალეს დამბაზე და სუფრა გააწყვეს. დაღლილები იყვნენ, და არც ისე გემრიელად შეექცეოდნენ ლობიოს სუფს.

— ჩვენ ორივე შეჩვეულები ვართ, გუდუია, უგემურ კერძებს, — იხუმრა ვასო ბრეგვაძემ.

— მე არა ვარ შეჩვეული, — უთხრა გუდუიამ. — თვითონ ვაკეთებდი საჭმელს.

— რისი გაკეთება იცი, გუდუია?

— ამოლესილი ლობიოსი, თევზის შეწვა და მოხარშვა, ჭვიშტარის, სულუგუნის, მაწვნის შეყენება...

— ოჰო, შენ ნამდვილი კულინარი ყოფილხარ.

— რა ვყოფილვარ?

— რამდენი რამის გაკეთება გცოდნია. მე კი ჩაის დაყენებისა და ერბოკვერცხის გაკეთების მეტი არაფერი ვიცი. ცოლის შესართავად ვერ მოვიცალე, — უთხრა ბრეგვაძემ. განგებ დაუმალა, რომ ქვრივი იყო, რომ გუდუიას სიბერეში მაინც ეფიქრა ქალის შერთვა. — — აი, დავამთავრებთ ჭაობს და მოვიცლით ჩვენი თავისათვის. შევირთოთ ქალი. რას იტყვი, გუდუია?

— თქვენთვის ახლაც არ არის გვიან.

— შენთვის?

— მე?.. მე არ მიფიქრია ქალის შერთვაზე.

ბრეგვაძემ არ ჰკითხა, რატომო, არც თვითონ აპირებდა ქალის შერთვას. რაღა დროს ცოლის შერთვააო ჩემი ხნის კაცისათვის. ვასომ არ იცოდა, რატომ არ ჰყავდა გუდუიას ცოლი, არც გუდუიამ იცოდა ვასოს რატომ არ ჰყავდა და ორივეს უადგილოდ ეჩვენა ეკითხათ ერთმანეთისათვის ამის მიზეზი.

ბრეგვაძემ ჩუმად, გუდუიასათვის შეუმჩნევლად ამოიოხრა, ხელები შეიწმინდა, გუდუიას მადლობა გადაუხადა და ექსკავატორზე ავიდა. ნელა მუშაობდა, მაგრამ ზედმიწევნით იცავდა არხის გვერდობებისა და ფსკერის ზომებს. ამას ასე ზუსტად ბევრი გამოცდილი დრაგერი ვერ ახერხებდა და ხელახლა უხდებოდათ ფსკერისა და კედლების გასწორება. გვერდობის პროფილების დარღვევას ნაპირის ჩამოშვავება მოჰყვება, ფსკერის პროფილის დარღვევას კი წყლის დინების შეფერხება. დიდი ოსტატობა ჭირდება დრაგერს ასეთი ღრმა და განიერი არხის გაყვანისათვის.

ბრეგვაძემ მეორე ცვლაზე ვერ შესძლო მუშაობა. ძალა აღარ ეყო. ანტონ ბაჩილოს ექსკავატორი მუშაობდა, შამუგიას „კომსომოლეცი“ გაჩერებული იყო. შეწუხდა ბრეგვაძე. ჩამორჩება უჩა. რა ექნა არ იცოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ინჟინერს. დიდი ხანი იყო არ ემუშავა ექსკავატორზე. იმ ღამის წყალდიდობის შემდეგ არ გაკარებია ბერკეტებს. მაშინ დაშავებული და დაშინებული ტანი ახლაც ახსენებდა თავს ხელ-ფეხი ძველებურად აღარ ემორჩილებოდა, ძალა არ მოჰყვებოდა.

ბარაკში წავიდა. უნდოდა გაეგო, როგორ იყო ბონდო, უჩა გამოეშვა და

თვითონ დარჩენილიყო ავადმყოფთან. ბარაკში რომ უჩა შამუგიას ნაცვლად უცნობი ქალიშვილი დახვდა, გაუკვირდა. ცისანამ უამბო, უჩა თათბირზე დაიბარეს სამმართველოში და ბონდოსთან მე გამომგზავნაო. ისიც უთხრა, თუ ვინ იყო.

მოხუცს გაეხარდა უჩას ასეთი ყურადღება. ბონდო დაამშვიდა, რომ მეორე ცვლაზეც თვითონ იმუშავებდა. მერე ცისანას ჰკითხა, ხომ არ იცი, რა საკითხზეა სამმართველოში თათბირი მოწვეულიო. ჩვეულებრივად თათბირის მოწვევის შესახებ ერთი დღით ადრე ღებულობენ გადაწყვეტილებას და ატყობინებენ თათბირზე მოწვეულებს. რაღაც სასწრაფო საკითხია ალბათ, გაიფიქრა ვასო ბრეგვაძემ, უნდოდა ახლავე წასულიყო ფოთში, მაგრამ ექსკავატორი? სახელდახელოდ წაიხემსა, ცოტა დაისვენა, სული მოითქვა და გუდუია ესვანჯიასთან ერთად ისევ არხისაკენ გაუდგა გზას. გუდუიას გაკვირვება რომ შეატყო, ასე უთხრა:

— ექსკავატორის გაჩერება არ შეიძლება. ცოტა უნდა გავიჭირვოთ გუდუია.

— უნდა გავიჭირვოთ, — დაეთანხმა გუდუია. თუმცა არ იცოდა, რა ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთი ცვლის გაცდენას, რომ ეს მთელი დღის ნაჯაფარი კაცი, ისევ სამუშაოდ მიდიოდა და ძლივს მიჰქონდა ტანი.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემენ დავითაძე

## შენ მოხვალ როცა

შენ არ იქნები, — მოვა შენდობით
და სხვა გამიგებს, რაც სულს მიწვალებს,
სიტყვა, რომელსაც ახლა ვენდობი
თუ არ ირწმუნე, ვერ შეიყვარებ.
რამ გაჰყო ერთურთს ჩვენი ფიქრები,
ან სიხარული,
ან მწუხარება.
შენ მოხვალ, როცა მე არ ვიქნები,
ჩემსავით, ვიცი, მზე გეყვარება.
შენც აგიჩქროლებს სისხლს დაუდუღარს
ნახვა მზენაყარ მთების, კორდების,
და ჩემი კუთხის მოყვარე თუ ხარ,
მეც უსათუოდ მოგაგონდები.
აქ მაწამებდა სიცოცხლის განცდა,
ყვავილთა ფერი და მიწის სუნთქვა,
აქ ყველა კლდესთან და ყველა კართან
წარსულმა ბევრჯერ ცრემლით დამთუთქა.
გადაეხადა ხავსი და ლოდი
რაც სააქაოს არ ჰგავს გოდებას,
ყველა სათქმელი გულიდან მოდის,
ყველა სათქმელი გულში გროვდება.
აქ ავყოლივარ თავდავიწყებას,
და გამითლია სტვირი მზისყელა,
ყველა სიმღერა გულში იწყება,
გულში თავდება ყველა სიმღერა.
შენ მოხვალ და თუ შემოგეყრება,
ჩემს სიმღერასაც უხმოდ დალოცავ,
მე კი ეს მიწა მკერდზე მეყრება
სიცოცხლის რწმენად და ავგაროზად.

* * *

არდასრულება ბედნიერ დღეებს,
რომელსაც ჩუმი ოცნებით ღვიძავს.
შენ მაპატიე, რაც ვერ გიმღერე,
უსაყვარლესო სამშობლოს მიწავ!

არდამწუხრება, თოვლისფერ ხელებს
ვინც შენს ყვავილებს კონებად დაწნავს,
რომ სიყვარული სიკვდილის მერეც
ჭრილობისათვის სტკიოდეს საფლავს.

როგორც ფოთლებში სიცოცხლის თრთოლა,
და როგორც კვირტი, ცრემლის
მფრქვეველი, —
შინ დამრჩა გოგო ყვავილის ტოლა,
გოგო, მთლად გულზე დასაბნეველი.

არდასრულება ბედნიერ დღეებს,
მზე იყოს თქვენი სილაღის აფრა,
რომ სიყვარული სიკვდილის მერეც
გადაეფაროს ჩემს ობოლ საფლავს.

ცაო, ნუ მოშლი ნათებას კეთილს,
ცაო, დილამდე ცოტაც იცადე.
ცაო, წყალობა არ მინდა მეტი,
მის ტკბილ მოლოდინს ნუ გამიმწარებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წუხელის მთვარე არ იყო ცაზე
და მე რატომღაც ძლიერ მიჭირდა...
რამ მომანატრა არ ვიცი ასე
მწვანე კონცხი და მწვანე ბიჭვინთა.
მესიზმრა, — თეთრი იდგა ხომალდი,
რომელიც მხოლოდ ნიშანს ელოდა,
ქვეყნად ქართველის თუ გინდა მადლი,
შორს ნუ დაკარგავ საქართველოდან.
თორემ წაჰყვება მამულის ლანდი,
ლანდი მყინვართა,
ლანდი მდელოთა,
სხვაგან ქართველი ლერწამს ვერ გათლის
და ვერ იმღერებს როგორც მღეროდა.
მისთვის სხვა არსად არ ჰყვავის ვარდი,
თუ მამულს მარტო არ რთავს პეპლებად,
იგი დაჭკნება თბილისზე დარდით,
თბილისზე ფიქრით დაიფერფლება.

მისთვის ყველა ცა არ არის ერთი,
ყველა ზღვის ფერში უჭირს გაძლება,
იგი დაიწვის ბათუმის სევდით,
ბათუმის ნატვრით დაინაცრება.
როგორც ყარიბი, თავს ობლად თვლიდა,
თუ არ დალოცა რთველში რთველობა,
ქართველისათვის გაჩენის დღიდან
ერთია მიწა და ქართველობა.
და ისევ მისთვის,
და სწორედ მისთვის,
ქართველი ბაძავს ხორუმშიც ვაზებს,
ქართველში ვაზის მდუღარებს სისხლი,
ქართველში ვაზის დგას სილამაზე.
სად მარტვილობდა, ვგონებ იქ კლდისაც
ლერწამი რაა, ხავსიც მღეროდა,
ქართველი მშვიდად იძმობს სიკვდილსაც,
ოღონდ ნუ გაჰყრი საქართველოდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ღლონტი

# ფოთლები

ქარები ხიყვარულს უხსნიან ფოთლებს და
ოქროს კოშკს ჰპირდებიან ცაში,
ნაღვლობს დედა ხე, ვაითუ მიენდოს და
ვაითუ დამეღუპოს ბავშვი!
იცის დედა ხემ ქარების ეშმაკობა,
მაგრამ ეს არ ესმით შვილებს,
შორდებიან დედას და ქარებს ანდობენ
თავიანთ სიყმაწვილეს.
სურვილი არის ოქროს კოშკისკენ და
ფარფატით ეშვებიან, აზიზ,
არა უშავსო — ამშვიდებენ ქარები,
ეს არის ცხოვრების ფასი.
რა ტკბილი იყო და სიცოცხლის მწამლავი,
მანძილი ზეციდან მიწამდე,
მერე კი რა მოდის — ტალახის საფლავი,
ეხ, დედის რატომ არ ვიწამეთ?!

* * *

ქალი მეზობლის ბავშვებს ათამაშებს,
აწვალებს, კოცნის.
ბავშვი წლისაა დაახლოებით,
ქალი კი — ოცის.
ხელიდან ხელში გადადის ბავშვი,
თამაშ-თამაშით,
ერთი შეხედვით, არაფერია ცუდი ამაში,
ბავშვი ვარდების კრეფაშია,
არ სჩხვლეტს ეკალი.
გაიზრდება და — მე გავზარდეო, —
— იტყვის ეს ქალი.
ჩემო ძვირფასო,
შენ ძალიან ნუ დაღონდები,
ჩემში დღეს უფრო ღიმილს იწვევს
ამგვარი მცნება,
თუ დაეცემი, უფრო ნაკლებს
მოაგონდები,
თუ კაცი გახდი, მთელი ქვეყნის ვალი
გექნება.

* * *

მას, ჯერ არ შობილს, ჯერ უსახელოს,
წაართვეს სუნთქვა თავისი წილი,
გამოღვიძებაც ველარ მოასწრო,
ისე არგუნეს სალათას ძილი.
მას მზის სინათლეც არ დაუნახავს
და ღმერთით, როცა მოსვლა ინება...

თუკი შეგნებით ჩავდივართ ცოდვას,
რად გინდა ყალბი მონანიება.
დამაკლეს სისხლი, დამაკლეს ცრემლი
და მახრჩობს სევდის ზღვა უნაპირო,
ო, ღმერთო ჩემო, ამგვარი მსხვერპლი
ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო!

* * *

„ამ სახლში ცხოვრობდა“...
ამ სახლში ცხოვრობდა“...
იმ სახლში იცხოვრებს ვიღაც, ნაღდია,
სულ მალე, ძვირფასო, სულ მალე, სიცოცხლევ,
სულ მალე ამ ქალაქს მუზეუმს გახდიან!
ჩვენზე რას იტყვიან,
ჩვენზედ რას დასწერენ,
გზადა ვართ — არა გვაქვს ბინა და საფარი,
მივაგდე, სწავლა და სწავლულთა ტომები,
დღეს ჩემი მაგიდის წიგნია — ზღაპარი.
ზღაპარში, ძვირფასო, ზღაპარში სიცოცხლევ,
იმარჯვებს ბოროტზე სიკეთის დიდება,
მე ვიტყვი, კარგებო, ასე სჯობს, ზღაპრები,
ბავშვებმა კი არა, ვიკითხოთ დიდებმა.
„ამ სახლში ცხოვრობდა“...
„ამ სახლში ცხოვრობდა“
იმ სახლშიც იცხოვრებს იმათი სადარი,
გიყვარდეს ყმაწვილო, გიყვარდეს ცხოვრება,
ნუ სცოდავ ღმერთს, თორემ ეშმაკი მზად არი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ გოდერძიშვილი

# ავტოპორტრეტი გამხმარი ყვავილებით

მოთხრობა

„ —გაიღვიძე?

— არა, მძინავს.

— ადექი, სამსახურში დაგაგვიანდება. — მეუბნება დედა და თბილ ხელს თავზე მისვამს, — ადექი, შვილო.“

ნაცრისფერი დილაა. მზე არა ჩანს. როცა მზე ღრუბლებს ეფარება, ვერ ვხვდები, რომელი საათი იქნება: თუმცა რაც ახალგაზრდულ ასაკს გადავაბიჯე, ყოველთვის ერთიდაიგივე დროს მეღვიძება — ზუსტად რვის ნახევარზე. მზე თუ ანათებს, საგნების ჩრდილის მიხედვით ზუსტად შემიძლია ჟამის აღრიცხვა და ამ ჟამთაღრიცხვაში წელიწადის დროების და თვეების მიხედვით შესწორების შეტანა. დიდად არ ვცდები: ასე, ორა-სამი წუთი შეიძლება დამაკლდეს, ან მოვუმატო. ფიზიკოსები ამაზე ამბობენ: სიზუსტე პლუს-მინუს ორი-სამი წუთიაო. ეს სიზუსტე, როგორც აღვნიშნე, იშვიათად ირღვევა, რადგან უკვე ორმოცი წელია, ერთი და იგივე ადგილზე ვწევარ ჩემს ოთახში და ავეჯიც ასევე დგას. ოთახი პატარაა და ავეჯიც ერთადერთი ვარიანტით არის განაწილებული. სხვანაირად რომ დაიდგას, ან არ დაეტევა, ან დიდად მოუხერხებელი იქნება მოსახმარებლად.

„— ადექი, შვილო. — დედას წესრიგი უყვარს“.

ორმოცი წელია, ამ საწოლში ვწევარ. ყოველ ბზარსა თუ ხაზს კედლებსა და ჭერზე დიდი ხანია თავისი მნიშვნელობა აქვს. ამ ორმოცი წლის მანძილზე, იშვიათი გარემონტების შემდეგ, ჭერსაც და კედლებსაც ზუსტად იმავე ადგილზე უჩნდება ხაზებიცა და ბზარებიც. ასე რომ, ჩრდილის მდებარეობა ამ ხაზებთან და ბზარებთან შეფარდებით ზუსტ დროს აღნუსხავს. საათი არც არის საჭირო.

დღეს ოთხშაბათია, ცამეტი აგვისტო, ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წელი. ახლა შვიდი საათი და ორმოცდახუთი წუთი იქნება.

— დილა მშვიდობისა, დედი...

„—აი ამ ბეჭდით საწყალმა მამაშენმა ხუთი ქალი დანიშნა. მეხუთე მე ვიყავი. ამასწინათ წავიღე და ოქრომჭედელს გავაწევინე. ბაჯაღლოა, თორმეტი გრამი. ეგებ, შენც გაღმოგესხას იმისი წყალი. დაჩაჩანაკდი და შემომაბერდი ხელში უცოლოდ. მე რა... ზეცას ხომ არ გამოვეკერები? რას მიყურებ? გამომართვი. მოგწონს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან. გმადლობთ.

— რამე ხომ უნდა დაგრჩეს საწყალი მამიშენისაგან.

— გმადლობთ, დედიკო.

— ალუ, ნეკზე არ მიკბინო.

საპირფარეშოში რომ შევედი, ხელი უხერხულად დავიქნიე. ბეჭედი მომძვრა, კაფელზე დაეცა, საამური წკარუნი გაიღო და კანალიზაციის ხვრელის ირგვლივ რამოდენიმე წრე შემოხაზა. წრე ნელ-ნელა პატარავდებოდა და ახლადგაღვიძებული ვიდრე რაიმეს მოვიფიქრებდი, ნიშნობის ბეჭედი ხვრელში გაუჩინარდა...“

კალენდარს გუშინდელი ფურცელი ავაგლიჯე. კედლის, ჯიბისა და მაჯის საათები მოვმართე და რადიო ჩავრთე: თბილისში უნალექო ამინდი იქნება. ტემპერატურა ღამით — ოცდაერთიოცდასამი, დღისით — ოცდაცამეტიოცდათუთხმეტი გრადუსი. დღეს დილის შვიდ საათზე თბილისში იყო ცხრამეტი გრადუსი.

გაზქურა ავანთე და ჩაიდანი დავდგი. ჩაიდანს გვერდით უჯრედზე ტაფა მივუდგი და ორი კვერცხი ჩავახალე მოთუხთუხე ერბოში. ვიდრე ერბოკვერცხი შევჭამე, ჩაიდანში წყალი ადუღდა. მიყვარს ქაფქაფა ჩაი თბილისურ სიცხეში, წყურვილსაც ჰკლავს და ოცდათერთმეტი-ოცდათხუთმეტი გრადუსიც ადვილად ასატანია.

წუხელ არ უწვიმია და გაქათქათებული მანქანა თეთრად პრიალებს ეზოში. ეზო პატარაა, მაგრამ მეზობლებს ისე ვუყვარვარ, არც ერთი არ მიშლის „ჟიგული“ დავაყენო. მანქანა, როგორც მოგახსენეთ, თეთრია. ამ ფერს კონსტრუქტორებმა თუ არ ვიცი ვინ, „თეთრი ღამე“ შეარქვეს. ჩემმა ძმისშვილებმა კი ჩემი „ჟიგული“ რატომღაც „თეთრ მარგალიტად“ მონათლეს. გთხოვთ, ოკეანის შუაგულიდან ამოღებულ მარგალიტში ნუ აურევთ. ამ ძვირფასი ქვის ფასი ჯერ არ იციან ბავშვებმა. თეთრი მარგალიტა ქალის სახელია! მარგალიტას მტვერი გადავწმინდე და დავქოქე.

„— წავედი, დედი.

— ჭკვიანად იარე!

— თუ მოვიცალე, სადილად ამოვალ.“

ქალაქში იმდენი მანქანაა, ფეხით უფრო სწრაფად მივა კაცი სამსახურში. ჩვენი დაწესებულების სამიათასკაციანი კოლექტივი ერთი ეგრეთწოდებული „გონიერი“ მანქანის პროგრამას ადგენს. პროგრამა ორიათას წელს უნდა იყოს მზად. მაგრამ მანქანას ისეთი მეხსიერება აქვს, რომ დაპროგრამებას, ალბათ, ორიათას ას წელსაც ვერ მოვრჩებით, თუ შემხვედრი გეგმა არ დავუპირისპირეთ არსებულ „სიბეჯითეს.“ ჩემი განყოფილება (რადგან ასე ვთქვი, ესე იგი, განყოფილების უფროსი ვარ.) მშობლიური, ორიგინალური დრამატურგიის პროგრამას ადგენს. განყოფილება სამ ნაწილად იყოფა: თეატრის, რადიოს და ტელედრამატურგია. რადგან ჩვენს მრავალმილიონიან ქალაქში ყოველი მეორე თუ არა (ყოველი მეორე ლექსს სწერს!), მესამე კაცი მაინც სწერს პიესას, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ვიქნებით მე, ჩემი სამი მოადგილე და მრავალრიცხოვანი რედაქტორ-ინჟინრები. ორიათას წელს დრამატურგია ისე უნდა წარმოჩნდეს, რომ ჩრდილი არ მიაყენოს იმ დიდებულ ტრადიციებს, რაიც ამ დარგში გაგვაჩნია. საბოლოოდ რომ გაერკვეთ ჩემს უიმედო მდგომარეობაში, აქვე, პირშივე გეტყვით: ჩვენს ენაზე არ არსებობს ასე თუ ისე კარგი ორიგინალური პიესა; რადიოპიესაზე და ტელეპიესაზე მოგახსენებთ. ის, რაც აქამდე დიდებულ რადიო ან ტელეპიესად მიაჩნიათ — ერევათ დიდებულ რადიო ან ტელესპექტაკლში, რომელიც ან დიდებულმა მსახიობმა, ან დიდებულმა რეჟისორმა შექმნეს და მემკვიდრეობას შემოუნახეს. ძალიან გთხოვთ, ნურც გაიკვირვებთ და ნურც შემომაკვდებით პატრიოტის აბჯრით შემოსილნი. არა მგონია, ჩემზე მეტად შეგტკიოდეთ გული, წაიკითხეთ ეს პიესები და მერე ვიკამათოთ...

ახლა, დაახლოებით უკვე წარმოგიდ-

დგენიათ რა განყოფილებასაც ვხელმძღვანელობ და რა დღეშიც ვარ. ამას დავუმატოთ ისიც, რომ თვეში ერთხელ საჯაროდ უნდა განვიხილოთ პროექტი, მანქანას რომ ვთავაზობთ. ამ საჯარო განხილვას ესწრება ყველა, ვისაც არ ეზარება და ისინიც, ვინც მანქანის დაპროგრამებას ხელმძღვანელობენ. დღეს სწორედ ასეთი დღეა. დღეს, ოთხშაბათს, ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლის ცამეტ აგვისტოს პროექტის განხილვაა.

სპეციფიკის მოთხოვნით ჩვენი დაწესებულება ქალაქგარეთ ააშენეს. ქალაქის ფარგლებში მოძრავი ტრანსპორტი ასე თუ ისე მაინც აზანზარებს შენობას. მანქანის ზუსტ დაპროგრამებას ეს ხელს უშლის. სპეციფიკის მოთხოვნითვე ჩვენი დაწესებულების კორიდორებსა და კაბინეტებშიც რბილი იატაკია დაგებული. ასე, რომ განხილვა დამთავრდა თუ არა დარბაზი ისე ჩუმად დაიშალა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

მეთვრამეტე სართულის ათას რვაას ორმოცდამეორე ოთახში ჩემი სამუშაო მაგიდა და პულტი დგას. აქედან მთელი ქალაქი მოჩანს. ოთხსაათიანი „ცხარე“ კამათით დაღლილს ძალიან მესიამოვნა სიჩუმე და სიმყუდროვე. ყრუ ზუილი გაისმა. ბავშვთა ბაგისა არ იყოს, ეს ჩვენთანაც შესვენების დაწყებას ნიშნავს. ოთახის კარი ჩავკეტე, ღრმა სავარძელში ჩავჯექი და დიდი ფანჯრისაკენ შევბრუნდი; მერე სავარძელი ოდნავ გადავაწვინე და თვალები დავხუჭე...

ტელეფონის ზარი. სავარძელი შემოვაბრუნე და პულტზე ტელეფონის ღილაკს დავაჭირე თითი:

— ათას რვაას ოცდამეორე ოთახი გისმენთ.

— ბატონი გიორგი ბრძანდებით? —ხმამაღლა გაისმა ოთახში. ალბათ, დამლაგებელი მტვერს რომ სწმენდდა, ხმის მიქშერი შემოუბრუნდა. ხმას დავუწიე.

— დიახ.

— თქვენთან საუბარი სურს ათას ორმოცდაორს. — მდივანმა ტელეფონი გადართო.

— გისმენთ.

— კუს ტბაზე ცივი ლუდი და ცხელი, შემწვარი ხინკალიაო, ამბობენ.

— არ მშია. ხომ იცი, მანქანით რომ ვარ, წვეთს არა ვსვამ.

— ჩემო კარგო... ჩემო ჭკვიანო... შენ ეი, ათას რვაას ორმოცდამეორე, არც ჩემთან ყოფნა გინდა? — ოთახში მზეზე ახლადმოთიბული ბალახივით ტკბილი, მაძღარი და თბილი ხმა შემოიღვარა.

—როდის მოხვედი? მანდ რას აკეთებ?

— შენ გელოდები. შესვენების დამთავრებამდე კიდევ ორმოცი წუთია.

— სად ჩამოვიდე?

—ჩემს მანქანასთან. ჩრდილოეთის სადგომის მეხუთე რიგში ვდგავარ.

მოძრავმა კორიდორმა, შემდეგ ჩქაროსნულმა ლიფტმა ორ წუთში ჩამიყვანა ჩრდილოეთ გასასვლელთან. მოედანზე უამრავი ნაირფერი მანქანა იდგა. ზანტად გადავჭერი მოედანი. გოგონა „მუძიმურას“ ახალთახალი მარკის მანქანაში იჯდა. ძრავა წყნარად ბუბუნებდა.

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს. — მანქანაში ჩავჯექი. მანქანაშიც გოგონას სუნი იდგა: მაძღარი, ტკბილი და თბილი.

— დაღლილი ხარ?

—ამას არა აქვს მნიშვნელობა, თუ შენთანა ვარ. — ჩემი პასუხი გულწრფელი იყო, რადგან გოგონასთან პირისპირ რომ ვრჩები, სადღაც ჰქრება ჩემი წლოვანება, დაღლა, სიდინჯეც. მეც მასავით ოცი წლისა ვხდები და ალბათ, ალბათ, კი არა — ნამდვილად ისევ ათასგვარ სისულელეს ჩავიდენ,— ათას ორმოცდამეორე სად არის?

— ჩემს ერთოთახიან ბინაში მხოლოდ ბატონი გიორგი ეტევა-მეთქი, — იხუმრა ჩვენს ქალაქში ყველაზე ლამაზი სახლის პატრონმა.

— ეწყინა?

... ძალიან. მდივანს კი გაეხარდა. ხინკლის საჭმელად წავიდნენ. გშია?..

„გაზაფხულის მოახლოვებას პირველად მე ვგრძნობ... არა, ვცრუობ! ჩემს ქუჩაზე, ზუსტად ჩემი სახლის პირდაპირ, ერთი ხე დგას. ის ხე მჯობნის!! მოემატება თუ არა მზეს სითბო — კვირტებით დაიხუნძლება ხოლმე. ერთი-ორი დღეც და იმ კვირტებს საოცრად სათუთ, ნაზ და რბილ მწვანე ფრად გაშლის. თუ გაზაფხული არ გაჭირვეულდა და კვლავ დარიანია, სულ მალე ის პაწაწინა კვირტები პატარა ლამაზ ფოთლებად იქცევა. ცოტა დროც გავა და ხასხასა ფოთლებს უკვე ჩრდილიცა აქვთ და სუნიც; გაზაფხულის სუნი მხოლოდ ახლადგაშლილ ფოთლებსა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, ქალაქში, გაზაფხულის სუნი უპირველესად აფეთქებულ კვირტებსა და ახლადგაშლილ ფოთლებს შემოაქვთ. როცა მერცხლები მოფრინდებიან, ჩემი ხე უკვე საკმაოდ შეფოთლილია და ამაყად შესცქერის ახალგაღვიძებულ ბუნებას. გაზაფხულია! ვერ შევეჩვიე გაზაფხულის დადგომას. საოცარი სურვილები მიჩნდება, ათასგვარი მიზნები ამოტივტივდება, მიფორიაქდება ზამთრის დაუსრულებელ ღამეებსა და ყინვაში მიძინებული სული. გაზაფხულია! ათასჯერ უფრო მეტად მიყვარხარ, ათასჯერ უფრო მეტად გიფრთხილდები, ათასჯერ უფრო მეტად მედარდები, მაგრამ... სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?..“

— ცხელა — ამოიოხრა გოგონამ, — გძინავს?

— ჯერ არა.

გოგონამ მანქანა საკუთარი ორსართულიანი სახლის გარაჟში შეიყვანა. გარაჟიდან ლიფტმა მეორე სართულზე აგვზიდა. გოგონამ დიდი მისაღები ოთახის კარი შეაღო და პირდაპირ აბაზანისაკენ გაიქცა. მე სამზარეულოში გაზქურაზე ჩაიდანი დავადგი.

აბაზანიდან გამოსულ გოგონას უფრო მძაფრად ასდის მზეზე ახლადმოთიბული ბალახის ტკბილი, თბილი და მაძღარი სუნი.

— ჩაი მინდა, ჩაი მინდა, ჩაი მინდა! — გრძელ, ლამაზთითებიან ხელს ჩემსკენ იშვერს მაღალმკერდიანი, კოხტა, გრძელფეხება გოგონა და საწოლი ოთახისაკენ მიმათრევს.

...

საწოლ ოთახში:

— ცოტა ხანს კიდევ დარჩი, რა... მეხვეწება გოგონა.

— კი, ბატონო.

— არა, წადი, ისედაც დაგვაგვიანდა, — მკერდით სახეზე მაწვება, მხუთავს.

არის ასეთი შემბოჭველი ილეთი ძიუ-დოში თუ სამბოში, არ მახსოვს.

— რომელი საათია? — ძლივს ისმის ჩემი ხმა.

— სამის ნახევარი. დარჩი, რა... დარჩი, რა.., გთხოვ... გემუდარები...

...

სასტუმრო ოთახში:

— ჩაი კიდევ გინდა?

— არა.

— არც ხილი?

— არა.

— წასვლა?

— არც წასვლა.

— ხომ არ დაგღალე?

— არა.

...

გოგონამ კარამდე მომაცილა, მერე ხელზე მაკოცა.

— გმადლობ. შენ კარგი კაცი ხარ. გმადლობ. — გოგონამ მანქანის გასაღები მომცა. — მალე მოვალ. მანქანა ისევ იქ დააყენე.

— რა გინდა ამ ჩვენ სამსახურში?! რა დაგკარგვია? ვინ გიშვებს? არ მინდა შენი მანქანა, ტაქსით წავალ.

— არა. მიხარია, როცა შენ მართავ

ჩემს მანქანას. ასე მგონია ჩემი თმები გიჭირავს ხელში... ან ჩემი...

— წავედი.

— ან ჩემი მკერდი...

— კარგი, წავედი.

— გმადლობ.

—ჰო, კარგი, რა მოგივიდა?!

გოგონა კარს კოცნის იმ ადგილას, სადაც ხელი მედო.

ქალაქი სავსეა მანქანებითა და მზით. ქალაქი სავსეა სხვადასხვა ფერის მანქანებითა და ყვითელი ცხელი მზით.

მანქანას ისევ ჩრდილოეთის სადგომის მეხუთე რიგში ვაყენებ და ისევ ავდივარ ათას რვაას ორმოცდამეორე ოთახში. ოთახში სამარისებური, უსიამო სიჩუმეა. პულტზე მაგნიტოფონის ნომერი ავკრიფე. მოსაწყენ სიჩუმეში ჩემი მდივანი ქალის ენერგიული ხმა გაისმა: „თოთხმეტ საათსა და ნოლ ხუთ წუთზე იყო დრამატურგი დევდარიანი (ეტყობა შესვენების დამთავრებას ჩემი კაბინეტის კართან უცდიდა). პიესა მაგიდაზეა. პაუზა. თოთხმეტ საათსა და ოც წუთზე იყო ტელედრამატურგი დუგლაძე. პიესა მაგიდაზეა. პაუზა. თოთხმეტ საათსა და ოცდათექვსმეტ წუთზე იყო გრინბერგი — ქართული რადიოპიესების თაობაზე. გადავეცი თქვენი რეკომენდაციები. წერილი მაგიდაზეა. პაუზა. თოთხმეტ საათსა და ორმოცდათორმეტ წუთზე მოვიდა ტელეტაიპი: გილოცავთ, თქვენს რადიოპიესას მეორე პრემია მიაკუთვნეს ვილნიუსის საერთაშორისო კონკურსში „მეგობრობის ფირი — 75.“ სამი ათასი მანეთი თქვენი მისამართით არის გადმორიცხული. კიდევ ერთხელ გილოცავთ მთელი განყოფილება. შესაფერისი მუსიკალური თანხლება — საზეიმო, ამაღლებული. პაუზა. თოთხმეტ საათსა და ოცდაორ წუთზე დაგირეკათ ქალმა. ვინაობა არ დაუსახელებია. ლირიკული მუსიკა (ეტყობა საქმე არა ჰქონდა რა ჩემს მდივანს და ერთობოდა.). პაუზა. თხუთმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გამოგიძახათ დაწესებულების ხელმძღვანელის მეორე მოადგილემ, ნოზავამ. ალბათ, გაიგებდით, ახლა ნოზავაა მეორე მოადგილე (პირველად მესმის!). ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის შესავალი. პაუზა. თხუთმეტ საათსა და ორმოცდათერთმეტ წუთზე გიკითხათ ათას ორმოცდაორმა.“ სამი წყვეტილი სიგნალი დამთავრების ნიშანია. „რა საოცარი დღეა: ორი პიესის მეტი არ შემოსულა!“ — გავიფიქრე სიხარულით და საათს დავხედე: თექვსმეტი საათი და ნოლ ორი წუთია, როგორც ჩემი მდივანი ქალი ამბობს. სარკმელი გამოვაღე. შორს და დაბლა, ქალაქში მოფუსფუსე გამრჯე ჭიანჭველებივით ირევა ტრანსპორტი, მანქანები, ყველაფერი. სუფთა ჰაერის ნაცვლად, დაგუბებული ცხელი ბუღი შემოიჭრა ოთახში. ხელი სარკმლის მოსახურად გადავყავი... „ნიშნობის ბეჭედი მომძვრა, მინაზე საამო ხმაურით დაეცა და თვრამეტივე სართულის ფანჯრები ეკლესიის უმცირესი ზინზილაკივით ჩაიწკარუნა. ცხადად გავიგონე როდის დაეცა ასფალტზე.“ სარკმელი მოვხურე. სამუშაო მაგიდას მივუჯექი და დრამატურგ დევდარიანის პიესა გადავფურცლე. სათაურის მერე წაკითხვა აღარ მინდოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გახვიდე ბოლოში. აუცილებლად უნდა წაიკითხო ყველა სტრიქონი, თორემ ავტორმა თუ ჩაგავლო ასმეთვრამეტე გვერდზე ზემოდან მეორე სტრიქონში მესამე სიტყვა გამოგრჩენია, პირდაპირ დაწესებულების ხელმძღვანელთან შევარდება ჩივილითა და საყვედურებით („არც დრამატურგიას და არც ცოცხალ კლასიკოსებს პატივს არ სცემენ!“). რაც არ უნდა ბრიყვული იყოს, პიესა კარგად, დაკვირვებით, დინჯად უნდა წაიკითხო. ასევე დინჯად უნდა აუხსნა ავტორს, რატომ არ ვარგა ნაწარმოები. ამის შემდეგ ავტორი მაინც შევა ხელმძღვანელთან და სხვადასხვა გზებით მაინც ეცდება პიესა დაწესებულებას შეასყიდვინოს, მაგრამ ეს უკვე ძნელი საქმეა. პიესას თან ახლავს სამი მოკლე რეცენ-

ზია: ჩვენთან რედაქტორ-ინჟინრის შტატზე მომუშავე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატისა ან დოქტორის, — სამ-ოთხ ფურცელზე, ჩემი შოადგილის შესაბამისი განყოფილებიდან — ერთ-ორ ფურცელზე, და ჩემი — ერთ-ორ წინადადებაში.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიტანჯე ამ პიესის კითხვაში. მერე ცოტა დავისვენე, პულტზე მუსიკის ნომერი ავკრიფე. მელოდია გაისმა თუ არა, დუგლაძის ტელეპიესას ჩავუჯექი...

„— ალო! მანდა ხარ?

— გისმენ.

— ტელევიზორი ჩართული გქონდა? ნახე, რა კარგი ტელესპექტაკლი გადმოსცეს მოსკოვიდან? — მამაჩემი პენსიონერი იყო და არც ერთ მხატვრულ და სპორტულ ღონისძიებას უნახავად არ გაუშვებდა, ტელევიზიით თუ გადმოსცემდნენ, რომელიმე ქალაქიდან ან ქვეყნიდან.

— არა, არ მინახავს, საქმე მქონდა.

— საქმეს შენ რა გამოგილევს!

— რა გინდა, მამა? საქმე მქონდა და ვერ ვნახე, ამაზედაც უნდა გამიბრაზდე?!

— ასეთი სპექტაკლები აუცილებლად უნდა ნახო, ესეც შენი საქმეა და შესაძლოა, უპირველესი საქმე. მაგრამ ნახვაც რას გიშველით? ნორმალური ტელეპიესა რომ დაიწეროს, დიდი ნიჭია საჭირო, დიდი ნიჭი... — მამა, ეტყობა, აღელვებული იყო. ცნობილი სიტყვაძუნწი ახლა ბავშვივით ჭიკჭიკებდა. ამისი საბაბიც იყო, ქვემოთ მოგახსენებთ. ეტყობა ბევრი უფიქრია ჩვენი ტელედრამატურგიის განვითარებაზე და დასკვნა, რომელიც გამოუტანია, ფრიად საყურადღებო ჩანდა. მაგრამ ახლა ამისათვის არ მეცალა.

— მამა, ახლა შენთვის... მამა, პიესას ვკითხულობ.

**პაუზა. ეწყინა.**

— ბრიყვი ხარ შენ, შვილო. მაპატიე, ასე რომ მოგმართავ. მაგრამ ჩვენი საუკუნის ძირითადი პრობლემა, ურთიერთდამოკიდებულების პრობლემაა. ჩვენი მაგალითი არა მაქვს მხედველობაში. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების გადასაწყვეტი პრობლემა სწორედ ეს არის; რადგან ადამიანებს აღარა აქვთ ურთიერთობის ნიჭი... აღარა აქვთ, გაუთავდათ... მორჩა...

— მამა, ერთი ტელეპიესა მაქვს სასწრაფოდ წასაკითხი...

— მერე დახურე, დახურე და დააწერე, როგორც აწერ ხოლმე, ვიროულად — „არ ვარგა". ასე კი იმიტომ აწერ, რომ არ იცი, რა ურჩიო ტელედრამატურგს, რადგან ტელეხელოვნებაშიც ვერ ერკვევი. შვილო, შენც ხომ უყურებ ამ დანჯღრეულ ყუთს და ხომ ხედავ, რომ ტელევიზიას ყოველდღიურად ექიშპება ახალი ამბები. ახალ ამბებს ახალი ამბები იმიტომ ჰქვია, რომ ყოველდღე გადმოსცენ და ფაქტიურად მომხდარი გვიჩვენონ როგორ გინდა აალელვო კაცი, თუ გინდა დედაკაცი, რომელმაც სულ ახლახანს ნახა ვიდეომაგნიტოფონზე ჩაწერილი ან კინოფირზე აღბეჭდილ-დამონტაჟებული კი არა — არამედ რეპორტაჟი, გესმის, რეპორტაჟი, იმ ქვეყნიდან, სადაც ომია ან სამხედრო გადატრიალება. თვალცრემლიანი უბედური ქალი გვიყვება (თან გვიჩვენებენ!), ნახეთ, როგორ მოყვა ჩემი შვილი, ან ქმარი, ან ძმა, და, დედა, მამა ნანგრევებში (მსხვერპლი ნანგრევებიდან გამოაქვთ მაშველ რაზმელებს.) როგორ უნდა აალელვო ამის შემდეგ მაყურებელი? როგორ უნდა შეუტოკო ნერვი მაყურებელს, ტელევიზია რატომღაც მეგობრებს ან ძვირფას ტელემაყურებლებს რომ ეძახის? ხედავ, რასთან უხდება მწერალს შეჯიბრება? დაუკრავენ რაღაც მუსიკალურ ნიშანს თუ ქუდს, არ მახსოვს, როგორ უწოდებთ, და ნახეთ, ესა და ეს სპექტაკლიო. დაიმახსოვრე, შვილო, მწერალს უხდება კონკურენცია სხვადასხვა სახის, ნაირნაირ სინამდვილესთან და ამიტომ ყველაზე ღრმად, ყველაზე ღრმად უნდა გაერკვეს ყოველ მოვლენაში. ადვილი არ გეგონოს, ეს ურთულესი საქმეა. თუ გაერკვევა, მერე გულთან

თუ მიიტანს და აღელდება — ყველაფერს შესძლებს. მაგრამ ვინ გეგულება ახლა ასეთი ნიჭიერი, რომ..

— კარგი რა, მამა...

ეტყობა, ისევ ეწყინა, ყურმილი დაჰკიდა.."

დუგლაძის ტელეპიესა ძალიან ცუდი გამოდგა. არც თავი, არც — ბოლო. ყველაზე ძალიან ასეთი პიესები მაღიზიანებს. ტელესპეციფიკა არ იცის და ტერმინებს კი ხმარობს. ვითომ ეს გახდის ამ „ნაწარმოებს" ტელეპიესად? ახლა ასე ვერავის მოატყუებ. დევდარიანის პიესა თეატრის განყოფილების რედაქტორს დავაწერე, დუგლაძისა კი— ტელედრამატურგიისა. ასე მოითხოვს საქმეთა მსვლელობა. რეცენზიები სუბორდინაციის გათვალისწინებით უნდა დაიწეროს. პულტზე მდივნის ღილაკს დავაჭირე თითი. სიჩუმე. საათს დავხედე: თვრამეტი საათი და ორმოცი წუთია. წასულან.

ჩრდილოეთის სადგომზე მხოლოდ ორი მანქანა იდგა: ჩემი და გოგონასი. გოგონამ დამინახა თუ არა, სიჩქარე ჩართო და მანქანა ადგილიდან დიდი სისწრაფით დაძრა. გვერდით ვიღაც ყმაწვილი იჯდა; ვერ გეტყვით, რამდენი წლისა იქნებოდა; თმები კულულებად ეყარა განიერ მხარ-ბეჭზე...

ცხელა, საშინლი ბუღი დგას, ჰაერი არინძრევა. მანქანაში ჩავჯექი, სარკმელი გავაღე და სრბოლით გამოწვეულ ნიავს გახურებული შუბლი შევუშვირე. მარცხენა ხელიც გავყავი სარკმლიდან. „ნიშნობის ბეჭედი მომძვრა და ასფალტზე გამოგორდა ჩემს გვერდით. ერთ ხანს ასე ვიქროლეთ, პარალელურად. ვიდრე მანქანა გავაჩერე და გადმოვედი, ბეჭედი ხტუნვა-ბზრიალით გაქანდა საკანალიზაციო ორმოსაკენ და სქელტუჩა ცხრილში გაუჩინარდა."

„სულ პატარა, უმცირესი, უნაზესი ზარის ხმა გაისმა. ნეტა ვის უნდა ჰქონდეს ასე პაწია თითები, ამ ცეროდენა ზარის ენაზე გამობმული ღვედი რომ მოსწიოს? თანაც ისე ნაზად, ისეთი მოკრძალებით, რომ დაბადებული ბგერა სულში შეგიფრინდეს, აგაფორიაქოს, აგიშალოს ყასიდად ფერფლმიყრილი მოგონებები. მეტი რაღა უნდა დაგემართოს, თუ ამითღა ცხოვრობ?! უარესი აღარაფერი.

ვრცელ ოქროსქვიშიან უდაბნოში თითქმის დანგრეული სამრეკლო ისე მყუდროდ ჩამჯდარიყო, როგორც გაშლილ ვეება ხელისგულზე — ცისფერბუსუსებიანი სამი-ოთხი დღის წიწილა. ნანგრევები ცისფერი იყო, ცისფერი ქართული აგურით ნაშენი. დროის მიერ ნახევრადშეჭმულ ცისფერ ძელზე პაწაწინა ოქროსფერი ზარი ეკიდა და ძლივსშესამჩნევად ირთოდა, თუმცა ქარი არ იყო. სამრეკლოს გაცვეთილ კიბეზე ერთი მელოტი კაცი უძრავად იჯდა..."

მანქანა ქალაქში საყოველთაოდ ცნობილ რესტორან „ოქროს ვერძთან" შევაჩერე. რესტორნის დირექტორმა იასონმა ჩემი თავი მიმტანს, ულამაზეს მედეას ჩააბარა. ალბათ, არ გაგეცინებათ ამ იაფფასიან ხუმრობაზე, მაგრამ რა ვქნა? „ოქროს ვერძის" დირექტორი ნამდვილად იასონია და მიმტანსაც მედეა ჰქვია. აიეტი აკლიათ. თუმცა ნაკლის შესავსებად მანქანების სადგომთან მეთვალყურე აშოტ კუროპალატი აშოტილა. არც ეს არის სასაცილო: აშოტა — აშოტილა. ერთი სიტყვით, ვერ ვმახვილსიტყვაობ. თუმცა საქმე არც ისე სასაცილოა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ: აშოტამ, როგორც ერთხელ გამომიტყდა, ხუთ თუმნად იყიდა ეს გვარი. რაც შეეხება რესტორანს: „ოქროს ვერძში" გემრიელ კერძებს ამზადებენ.

„ჭამით ისე ვიყავი გართული, ვერც კი შევამჩნიე, როგორ შემომესია თანდარუხი ოფიციანტთა ჯარით. გონს რომ მოვედი გვიანღა იყო: ალყაში აღმოვჩნდი. ოფიციანტებს სურსათ-სანოვაგითა და სხვადასხვა მარკის ნაირ-ნაირი სასმელებით სავსე ლანგრები ძლივს ეჭირათ.

— არ გეწყინოს, დღეს მე ვარ მას-

პინძელი, მარტო შენი არა — ყველასი, — მითხრა თანდარუხმა, — რესტორანს ორი ათასი მანეთი აქვს შეწერილი გეგმით ყოველდღე. შენ რომ შემოხვედი, კარი დავაკეტინე, ის კარი, ალაყაფის. მეტს აღარავის შემოუშვებენ. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. შენთან საუბარი მიყვარს, მართალი კაცი ხარ და იმიტომ. სხვა ჩვენი მეგობრები, გულახდილად გეტყვი, ფეხებზე მკიდია. ხომ ყოველდღე იმათთან ვარ, ისინიც უჩემოდ ლუკმას არ გატეხენ, მაგრამ მაინც შენთან მირჩევნია. როგორც გამოირკვა, შენებურად ჯობს ცხოვრება. ამიტომ ჩემი და ჩემნაირთა საქციელისათვის ბოდიში უნდა მოგიხადო... მთვრალი ვარ და არ მიჭირს, რაც გულში მაქვს, ენაზე დავისვა. — თანდარუხმა ანიშნა და ოფიციანტები ძლივს განთავისუფლდნენ ტვირთისაგან. თანდარუხმა ვიღაცა მორჩილი დამანახა და განაგრძო: აი ის ტიპი ამიხტა, კაცი მყავდა საქმის ჩასაწყობად და პატივსაცემად მოყვანილი და ოფიციანტმა რომ მითხრა, გადახდილიაო, ყველაფერი ჩამეშალა. აბა, ვიღაც უცნობის ხარჯზე ხომ არ ჩავიწყობდი საქმესაო. თუ ძმა ხარ, თუ ოდნავ მაინც გიყვარვარ, ნუ გეწყინება. რა უნდა ჭამო და სვა ერთმა კაცმა იმდენი. გადახდა რომ გაგიჭირდეს, მაგრამ... დღეს მე ვარ მასპინძელი... შეჭამე, ღმერთმა შეგარგოს, და შეგერგება კიდეც... მე კი შუაღამის კაკუნს ველოდები. ვაი თუ ცუდ გუნებაზე დადგნენ და ელოტაოთ, რასაც ვაძლევ. გაუფრთხილებლად იციან, შუაღამისას, მანამ თუ არაფერი დამემართა ინფარქტის მსგავსი. ისე, შენც კაი ტურა ხარ, მთლად ქრისტედ არ გაიჭიმო ჯვარზე, მაგრამ ისეთი არაფერი ჩაგიდენია, ორგანოები რომ დააინტერესო. შენ სხვა სასამართლო გელის. მაგრამ მხოლოდ მე მჯერა, რომ იმაშიაც უცოდველი ხარ, რასაც გაბრალებენ. ამიტომ შენ მინდა მაპატიო! ის, რასაც ახლა ფულის ძალით ვაბინძურებთ, იცოდე, იოლად ვერ გასუფთავდება. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ვიფურთხები. მერე ხომ იცი, რა მიზანი მაქვს? შიგ სულში! შიგ სულში! უნდა გამიგო, ესეც აზარტია, თამაში, ალკოჰოლი, მორფი... რა განსხვავებაა? ამიტომ ყველაფრისათვის ბოდიშს გიხდი: იმ კარგი ლექსებისა და მოთხრობებისათვის, იმ კარგი ფილმებისა და სპექტაკლებისათვის, იმ კარგი ნაშრომებისა და გამოგონებებისათვის შენ და შენმა მეგობრებმა რომ აღმოაჩინეთ და მე რომ ვერც ვნახე და არც გამიგია. დრო არა მაქვს, გეფიცები, დრო არა მაქვს, იმდენი სჭირდება ამ ოხრის გაკეთებას. ვმუშაობ; თუ არ ვმუშაობ, ვქეიფობ, მაგრამ, დროს გასატარებლად კი არა, ესეც საქმეა! იმისთვისაც გიხდი ბოდიშს, შენი სუფთა თეთრი ქაღალდებით სავსე მაგიდის გვერდით ჩემი მაგიდა რომ დგას, დაუთვლელი და დაჭმუჭნილი ფულით სავსე და მოსვრილი. ვიცი, ყველაზე ძალიან შენ გიჭირს, მაგრამ არ გაძლევ. ვისაც ვაძლევ, ყველა იღებს, ხო იცი? ქართული თავმოყვარეობა აძლევს ამის ნებას. ალბათ, შენ არ აიღებ... არ მითხრა, ავიღებო, თორემ ხელმეორედ (ეს სიტყვა, მგონი, არ უთქვამს.) მოვკვდები!

თანდარუხი ისე დათვრა, მანქანა რესტორანში დაუტოვა აშოტას. აშოტამ კერძო მანქანა დაგვიქირავა.

— ბოლო სახლთან გააჩერე! — უბრძანა თანდარუხმა შოფერს, ქალაქის გარეუბნის დაკიდულ აღმართს რომ შევუყევით.

მანქანა რომ გაჩერდა, თანდარუხმა საბარგულიდან ორივე ყუთი შამპანური ამოიღო და კიბეზე ავიდა. გოლიათის ძალა ქონდა, არც უჭირდა ასეთი სიმძიმის ატანა. სანამ შესასვლელთან მივიდოდა, ფანჯრიდან მანქანის ხმით დაინტერესებულმა კაცმა გამოიხედა და სწრაფად გაუჩინარდა თანდარუხის დანახვაზე.

— მოსე!— დაიყვირა თანდარუხმა, — მოსე, გენაცვალოს თანდარუხი, კარი გამიღე, თუ შეიძლება.

კარი გაიღო და მახინჯი ქალი გამო-

ვიდა. შესასვლელთან საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ის დედაკაცი ჯოჯოხეთის მაშხალა იყო. მაშხალა კი ანათებს. ასე რომ, დავინახე. ქალი ბევრს ლაპარაკობდა. თანდარუხი მოთმინებით უსმენდა. ასეთი მთვრალი არავის დაანებებდა ჭკუის დარიგებას, მაგრამ ის ქალი... თანდარუხი ფრიად ზრდილობიანად დაემშვიდობა ქალს, ხელზე ეამბორა. ხელზე კოცნა კი არა, ულამაზესი ქალები დასდევენ და თვალებში შეჰყურებენ, ეგებ რაიმე წამოსცდესო და ყურადღებას არავის აქცევს. თვითონ უყვარს ქალის ამორჩევა. ეს დედაკაცი კი, ალბათ, მოსეს ცოლი იყო; მოსე კი—თანდარუხის გენერალური დირექტორი. ასე, რომ... უკან ისე გაფითრებული და დამცირებული დაბრუნდა, დანა რომ დაგერტყათ, სისხლი არ გამოუვიდოდა. ორივე ყუთი მე შემომიწყო, თვითონ კი წინ ჩაუჯდა შოფერს. — აბა, დიღმის მასივისაკენ! — შესძახა და შამპანურის ბოთლებით შეიარაღდა.

ლამაზად სკდებოდა შამპანურის მსხვილი ბოთლები ხან ასფალტზე, ხან გაზონებში; ქაფდებოდა, ათასფრად ელვარებდა ლამპიონების შუქზე. ვერაფრით ვერ შევაჩერე. მაინც მოუგო ვიღაცას ომი. მეც ძალიან მინდოდა „ყუმბარის“ ტყორცნა, მაგრამ თავს ვიკავებდი. როცა დავრწმუნდი, არ გაჩერდებოდა, ვიდრე ორივე ყუთს არ დაცლიდა, ორი ბოთლი ავიღე, კარგად შევანჯღრიე და ლამპიონის ძირს ვესროლე. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შამპანური მიწიდან ერთ მეტრზე მაინც ავარდა, „აფეთქდა“ და კაშკაშა სინათლეზე სხვადასხვა ფერის ნაპერწკლები აქეთ-იქით გაჰყარა. თანდარუხმა შემომხედა. შურისაგან თვალები გაუბრწყინდა და გადმოეკარკლა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ათჯერ მოვბრუნდით რუსთაველზე დიღმიდან. თითო წრეში სამ მანეთს აძლევდა შოფერს. არ ვიცი, სად იპოვნა ამდენი სამმანეთიანი. შინ წასვლას არ ვაძალებდი, ვუცდიდი — დაღლილიყო. სავსებით ფხიზელს არ მიჭირდა მთვრალის ჭინჭყლობის ატანა. ყველაფერს ვუთმენდი: გინებასაც, შაყირად წოდებულ დაცინვასაც. ბოლოს, დაიღალა და როცა შოფერს ვუთხარი, ქალაქისაკენ აღარ მობრუნდე-მეთქი, წაიყრუა.

— მანანა! — აღრიალდა თანდარუხი, იცნო თუ არა საკუთარი სახლი.

ალბათ, თანდარუხს მეუღლე სადარბაზო შესასვლელში უცდიდა, წამსვე თავზე დაგვადგა.

— წაიყვანე თანდარუხი, ომი დამთავრდა. — ვუთხარი მანანას. .

თანდარუხი ჩუმად გადმოვიდა მანქანიდან.

ზაფხულის ცხელი ღამე იდგა. მანანას ჭეშმარიტად გულახდილი კაბა ეცვა და ძუძუები უჩანდა.“

„ოქროს ვერძიდან“ შინ დავბრუნდი. ნელნელა მოგორავდა ჩემი „თეთრი მარგალიტა“. არ მიყვარს, შინ როცა არავინ მხვდება. გასაღების სამალავიდან გამოღება და ჭრილში ტრიალი ხომ ყოველთვის ცუდ გუნებაზე მაყენებს. მაგრამ ახლა, გემრიელად ნასადილევზე, არც ისე იოლია წონასწორობის დაკარგვა. რა ცოტა ჰყოფნის ხანდახან კაცს?! რა უმნიშვნელო რამ ახარებს ზოგჯერ?! რატომ ხდება ასე? არ ვიცი, არ ვიცი... ნეტავ ამაზე მეტად თუ შეიცნობს ადამიანი ოდესმე თავის თავს? მგონი, დადგა დრო; მგონი, ახლა ყველას ერთადერთი რამ ევალება: დაწვრილებით შეისწავლოს საკუთარი თავი (არავითარი გულის კუნჭულში შეინახაო!) და გულახდილად ხმამაღლა გამოაცხადოს — ასეთი და ასეთი ვარო. არ უნდა შერცხვეს! ეგებ მოსარიდებელი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, უკანდასახევი გზა (უკანდასახევი, რასაკვირველია, მხდალთათვის!), დიახ, უკანდასახევი გზა არის: გენები!! (რაც გენებში დამიპროგრამეს, ის გამოვედი, ბატონო!), მაგრამ რა არის ჩანალმული გენებში? როგორია ინტელექტისა და ფიზიკური ძალის შესაძლებლობები? აქვს თუ არა ადამიანის ფანტაზიას საზღვარი?

ჩემს ოთახში შევედი და დაბალ ტახტზე წამოვწექი. რა სიჩუმეა! ო, რა არასასიამოვნო სიჩუმე დგას ამ ოთახში!

„მაპატიე, გთხოვ, მაპატიე. დაწყნარდი, მშვიდად მომისმინე და თუ არ დამთანხმდები, მერე იტირე. აღარ შემიძლია ეს ბარათი გულით ჩუმად ვატარო. გემუდარები, მომიტევე, სხვებსაც რომ ვახედებ შენ სულში, მაგრამ იმდენი რამ გარდამხდა, ისე დავიღალე ამ სიმარტოვეში, ამ გათოშილ სიმარტოვეში, ამ ტიტველ, ხორკლიან სიმარტოვეში, ამ სიტყვის მომგონს... მაპატიე, მუხლმოდრეკილი გევედრები. მინდა ყველამ იცოდეს, რომ მეც ვიყავი სიხარულით სავსე, აღტაცებული, გადარეული. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს სიხარული შენ მომანიჭე, შენდაუნებურად, ჩემო სულელო ქალო, შენდაუნებურად! (ნუ გეშინია, ამას არავის ვეტყვი.) შენ თავად არ გესმოდა, რას სწერდი. არც ახლა გესმის, რა მომწერე. შენ მაინც დამიჯერე (რატომღაც ყველას ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ვგონივარ...), გულახდილად გეუბნები: მთელ სიცოცხლეში ეს ნახევარი წუთი მქონდა ნათელი... ბედნიერი-მეთქი — მეშინია ვთქვა, მეშინია, არ გავითვალო, მეშინია, ტყუილი არ აღმოჩნდეს, რასაც მწერდი:

„სათევზაოდ თუ ყოფილხარ მთელი დღით? თევზი თუ დაგიჭერია, ღორჯო ან ნაფოტა, მერე კაუჭიანი წკნელი თუ გაგიყრია ლაყუჩებში და მდინარეში ან ღელეში თუ ჩაგიშვია ნაპირზე? ქვით თუ დაგიმაგრებია, წყალს რომ არ წაეღო; სუნთქვის საშუალება თუ მიგიცია ცოტა ხნით, შინ წასვლამდე? დაკვირვებიხარ? წყალი ხან წვდება, ხან— არა. აი, ასე ვარ ახლა! საშინლად მაწუხებს ხახაში გაყრილი წკნელი, მიჭირს სუნთქვა. მიჭირს და მაინც ვსუნთქავ, როცა წყალი მწვდება. საითაც უნდა გავიხედო, სულ ის თევზები მელანდება. ნუ მეტყვი, რომ რაიმე განსხვავებაა ჩვენს შორის! ისე მიყვარხარ... ისე მიყვარხარ... ისე მიყვარხარ... ათას ცხრაას სამოცდაცამეტი წელი, თორმეტი აპრილი."

რა სიჩუმეა...

„წამოწოლილს დამინახავს თუ არა, დედა ფეხთით დამიჯდება. საოცარი მეხსიერება აქვს დედაჩემს! რაც გიმნაზიაში პირველ წლებში უსწავლია, ყველაფერი ზეპირად ახსოვს (ორი თუ სამი წელი ისწავლა: ადრე დაობლდა და ოჯახის რჩენა დაეკისრა. ის ორი თუ სამი წელი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ახლაც უშეცდომოდ სწეროს — რუსულადაც და ქართულადაც.). ოთახში სინათლე არ ანთია, თითქმის ბნელა. რაღაცნაირი განწყობილებაა. დედაჩემსაც ადგილი ვერ უპოვნია. ვიცი, ახლა რომელ ლექსსაც წაიმღერებს; ამ ლექსს, რატომღაც, ყოველთვის მღერის. ეს პირველი ლექსია რომელიც დედაჩემისაგან გავიგონე... მაშინ პირველადვე დავუნახე დედას ცრემლი თვალებზე. პატარა ვიყავი და დედის ცრემლი გულს არ გაეკარა. ახლა დედაჩემის ცრემლიან თვალებს თუ ვუყურებ, ლამის თავის ქალა ამეხადოს, სული დამეხუთოს, გული ამომიბრუნდეს. დედას ძალიან ლამაზი თვალები აქვს. როცა ცრემლებით აევსება და აუკიაფთება, მაშინ ხომ... დედას ნიკაპი ძლივსშესამჩნევად უთრთის:

მარტოდ-მარტოა ობოლი,

ზის და ქვითინებს მწარედა,

დედა არა ჰყავს საბრალოს...

— კარგი, ახლა, რა მოგივიდა! ხომ იცი მეჯავრება, შენ რომ ამ ლექსს მიმღერი! — ვუჯავრდები, რაც შეიძლება ფრთხილად. ხმამაღალი სიტყვა არ შეიძლება. მაშინ ნამდვილად იტირებს. არც მახსოვს, ხმამაღალი სიტყვა მეკადრებინოს, არც მახსოვს... (მახსოვს, ამას ჩემს თავს როგორ დავუვიწყებ, როგორ ვაპატიებ, იყო ერთადერთი შემთხვევა, მაგრამ... არ მახსოვს...).

— რატომ გეჯავრება, შვილო?

— ნუ სტირი.

— ნუ მატირებ...

— არა და ვიღაც ოხერს შემოვუშ-

ვებ, ეს სიმყუდროვე რომ დაარღვიოს?!

— მე რომ მოვკვდები, რა გეშველება? ვინ მოგივლის? ვისი იმედი გაქვს?

— არავისი.

— ჰოდა, შეირთე ქალი, ვიდრე გვიან არ არის.

მე და დედაჩემს საკამათო სხვა არაფერი გვაქვს! ხუმრობით ვუთხარი, მაგრამ მაინც არ უნდა მეთქვა:

— ერთი ისეთი ქალი უნდა მოვიყვანო, თმებით გითრიოთ ყველანი!

— შენ იცი, შვილო.

— დამაძინე რა, ხომ ხედავ, დაღლილი ვარ!

— დაიძინე, შვილო, დაიძინე...

— მოდი, გაკოცო. ნუ გწყინს ხოლმე ყველაფერი. მართლა დაღლილი ვარ და მართლა მეძინება. — დედაჩემისთანა ტკბილი კოცნა და მოფერება ქვეყანაზე არავინ იცის. როგორ ურბილდება გამხმარი, ყოველდღიური შრომისაგან დაკოჟრილი თითები! მთლად გაყინული რომ იყოს, ჩემს მოსაფერებლად გამოწვდილი ხელი თბილი აქვს.

მარტოდ მარტოა ობოლი...“

რა სიჩუმეა... ცხელა... შინ გაძლება აღარ შეიძლება. წავალ, გავისეირნებ!

„კართან დედა დგას.

— არ დააგვიანო.

— არა, დედი. თუ მაინც დამაგვიანდა, დაწექი და დაიძინე, ნუ დამიცდი.

— ხომ იცი, ვიდრე არ მოხვალ, არ დამეძინება.

— არ დავიგვიანებ, ჰო!

— ფრთხილად იარე!“

კარი მივხურე... „ნიშნობის ბეჭედის წკარუნმა გამომაფხიზლა: თითიდან წამძრომია და კიბეზე მიხტუნავდა. მერე კიბესაც ასცდა და სადარბაზოში ჩავარდა. ვიდრე სართულებს ჩავათავებდი, დავინახე, როგორ ეცა ვეებერთელა ვირთხა მოძრავ ბრჭყვიალა საგანს, პირი დასტაცა და ხვრელისაკენ გააქცუნა. იქ შეჩერდა და მიცდიდა. სანამ ჩავირბენდი. მერე თითქოს ნიშნის მოგებით შემომხედა და ხვრელში გაუჩინარდა“.

„თეთრი მარგალიტა“ სადარბაზოსთან იდგა და მიცდიდა, ბზინავდა, კაშკაშებდა. აბა, წავედით. ავგორდით მე და მარგალიტა. სად წავიდე? არ ვიცი. მცხუნვარე მზის ჩასვლის შემდეგ, გაბედეს და გამოვიდნენ ქალაქელები ქუჩებში. ხალხით სავსეა ყოველი სკვერი, ბაღი, გადასასვლელი. ფრთხილად, ჩემო მარგალიტა, ფრთხილად! ყველას თავისი დარდი აქვს, ყველა თავისი ფიქრით არის გართული!

...

— გივი!

— შინ არ გახლავთ! — თავი გამოყო ფანჯრიდან გივის მეუღლემ.

— სად არის?

— სამსახურიდან არ დაბრუნებულა. ეს წუთია დარეკა, შუაღამემდე ვერ მოვალო.

— რა ამბავიაო?

— მანქანას ამზადებენ იზმირის გამოფენისათვის. ამოდი, რა!

— სხვა დროს გამოვივლი. დარეკოს!

— კარგი!

...

— სანდრო!

ოთხივე ბავშვი გამოცვივდა აივანზე.

— მამიკო სად არის?

— გახმოვანება აქვს კინოსტუდიაში, — მოემატა ოთხ გოგონას მეხუთე ქალი, სანდროს მეუღლე, — ძალიან გაციებულია, ხმა სულ დაკარგა და არ ვიცი, როგორ ჩაწერს. თანაც...

— რას ახმოვანებს?

— ამოდი, მანდედან რას მელაპარაკები?!

— მეჩქარება.

— არ ვიცი... რაღაც დოკუმენტურ ფილმს...

— მალე მოვა?

— ახლახან წავიდა, საღამოს ცვლა აქვთ.

— კარგი.

— ამოსულიყავი, რა!

— ნახვამდის.

...

ასეა, ჩემო თეთრო მარგალიტა, გაიოზიც თუ არ დაგვხვდა, აღარც ვიცი, რა შემოგთავაზო. მეტი მეგობარი არა მყავს.

— გაიოზ!

— რომელი ხარ! — ისევ მეუღლე, ესე იგი შინ არ არის.

— რომელი ვიქნები...

— უი, გიორგი, ნეტა მოგესწრო, ერთი ნახევარი საათი მაინც უცდიდა მანქანას. ტაქსი ძლივს დაიჭირა.

— სად ეჩქარებოდა?

— ავადმყოფთან გამოიძახეს.

— კარგი, აბა...

— არ ამოხვალ?

— არა.

— რა გადავცე?

— არაფერი, დავრეკავ.

— ხომ არაფერი გინდა?

— არა, წავედი... — ესეც ასე. ყველა საქმიანობს, ჩემო მარგალიტა, მარტო მე და შენ ვართ უსაქმურები...

„— უკან არ გავცუროთ? ძალიან დაიჭირა!

— მოიცა, აი, ის გოგოები წავიდნენ და მერე.

— ეგენი არ წავლენ.

— რა იცი?

— ჩვენ გვიცდიან.

— რა იცი?

— სამი დღეა რაც ამ პლიაჟზე გამოჩნდნენ. არცერთი ბიჭი არ გაიკარეს. თვალი სულ ჩვენზე უჭირავთ.

— კარგი ერთი... რას არ მოიგონებ ხოლმე.

— მართლა, მართლა. მაგრამ რომ მოდიან, სულ წყალში ვართ. არაფერს გეუბნებოდი. ცდით რომ დაიღლებოდნენ და წავიდოდნენ, მაშინ გამყავდი წყლიდან.

— მართალში რას გაძლევ, ამდენი ტყუილი ერთად რომ დამაყარე? დამცხა, გავიდეთ.

— ზურგზე დაწექი და დაისვენე. საცაა წავლენ, ამ დროს მიდიან.

— საიდან იცი?

— ვიცი. დღის ოთხ საათზე ჩვენნაირი გიჟების მეტი ვინ გაჩერდება ამ გახელებულ მზის ქვეშ?!

— რო არ წავიდნენ?

— წავლენ. ამ დროს სადილი აქვთ.

— რა იცი?

— ვიცი. ხომ გითხარი, თვალყურს ვადევნებდი-მეთქი. კარგი გოგოები არიან. ერთს ალიონა ჰქვია, მეორეს — ნინა.

— სად გაიცანი?

— ჩვენი ბიჭები აქებდნენ...

— ერთი მაგათი... — თენგიზმა გემრიელად შეიკურთხა, — ჩვენი ბიჭები?! ნახა ავტორიტეტები!

ასეთი მშვიდი, ცხელი დღე იშვიათად დგას ხოლმე ზღვაზე. ნიავი რა არის, სიოც არ იძვრის. ვეებერთელა მზე ლამის ჩამოვარდეს, იმხელაა და იმსიმძიმე. სუნთქვა ჭირს.

— აკი წავლენო! თამაზ, ხედავ?

— ჩვენსკენ მოცურავენ!

ბიჭები დელფინებივით ამოიზიდნენ მუქი ლურჯი ტალღებიდან და ლონიერი, ლამაზად დაკუნთული უზარმაზარი მხარ-მკლავები გაშალეს. ისინი ლაღად მიცურავდნენ, მართლაც დელფინებივით ნებივრობდნენ.

შორს თეთრი გემი იდგა რეიდზე და ირწეოდა.

როცა დაიღალნენ, ბიჭები გულაღმა ამობრუნდნენ და მსუბუქად ატივტივდნენ.

— მოვიდნენ! — თქვა თენგიზმა, გოგოების სუნთქვა გაიგონა.

— ჩუმად, ვითომ ვერ ვამჩნევთ.

— გამარჯობათ, ბიჭებო.

— ოჰ, ამ შავ ზღვაშიც ყოფილან ალებში?! — გადმობრუნდა თამაზი, — როგორ შეგვაშინეთ! — განიერ მკერდზე დაიდო გრძელთითება დიდი ხელი, — ხედავთ, გული როგორ მიცემს?

— ეს დევივით ვაჟკაცი ჩემმა სიტყვამ შეგაკრთოთ? — იკითხა ქერათმიანმა და დასძინა, — გამარჯობათ, მე ალიონა ვარ.

— თამაზი. — ისევ დაიდო ხელი თამაზმა მკერდზე და თავი დაუკრა.

— მე კი ნინა ვარ. — ნინას საცურაო ქუდი ეხურა.

— თამაზი. — ახლა ნინას მოუბრუნდა თამაზი და თავი დაუკრა.

— თქვენი მეგობარი მუნჯია?

— არა, თენგიზია.

— მე ვიცოდი. რომ თქვენ ტამაზი გერქვათ, თქვენ მეგობარს კი ტენგიზი. — იხუმრა ნინამ, ძლივს ამბობდა ტამაზსა და ტენგიზს.

— ამ შუა შავ ზღვაში ფანტასტიკური სიცრუეც იოლი მოსასმენია. ჩვენი სახელები აქ არავინ იცის. აი, მე კი ნამდვილად ვიცოდი თქვენი სახელები.

— საიდან? — დაინტერესდა ნინა.

— ჩემს მეგობარს დიდი ხანია უყვარხართ! — არჩევანი დაასწრო თენგიზმა, — ალიონას ჩემს იქით გზა არა აქვს.

გოგოები ჩაბჟირდნენ.

— რა ლამაზები არიან ეს ოხრები! — თვალს არ უჯერებდა თამაზი.

— რა ბრძანეთ? — იკითხეს ერთხმად გოგოებმა.

— ერთი-ორი სიტყვა ვუთხარი მეგობარს მშობლიურ ენაზე. არ შეიძლება?

— შეიძლება, მაგრამ კარგ ტონად არ ჩაგეთვლებათ. — იღიმებოდა ნინა.

— გნებავთ, გადმოგითარგმნით, რაც ვუთხარი?

— გვნებავს.

—ძალიან ლამაზები არიან-მეთქი. — ხაზგასმული აქცენტით ჩაურუსულა თამაზმა.

— ამ შუა შავ ზღვაში ქათინაურებიც საამო მოსასმენი ყოფილა.

— თქვენი მეგობარი მართლა მუნჯია? — იკითხა ალიონამ.

— რატომ? ერთი და ფრიად მნიშვნელოვანი წინადადება ხომ თქვა!

— მეტი რუსული არ იცის?

— იცის, მაგრამ ახლა ცუდ გუნებაზეა.

— გინდათ, გასწავლოთ რუსული? — მიუახლოვდა ალიონა თენგიზს, — უი, როგორ დავიღალე. — ალიონამ ხელი დაადო თენგიზს ვეება მხარზე, — ცოტას დავისვენებ, თუ შეიძლება.

— ამ სიშორეს რამ გამოგიყვანათ ქალაქიდან? — რატომღაც დაიღრინა თენგიზმა, — რამდენადაც ვიცი, ახლო-მახლო ერთი ქოხიც კი არ დგას!

— არა დგას, მართალია, დამშვიდდით, — თქვა დინჯად ალიონამ, — კურორტიდან მოძალადე დამსვენებლებს გამოვექეცით, თუ არ გეწყინებათ, და თანაც აქ ისეთი სიწყნარეა და ისეთი... — გოგოებმა ერთმანეთს გაუღიმეს.

თენგიზმა ორივე ხელი ნაზად და ფრთხილად მოხვია ალიონას წელზე და „დაიღრჩო“, ალიონამ თმებში სტაცა ხელი. ჯერ ხელის ფათურისათვის მოქაჩა, — ესეც შენ, ესეც შენო, მერე კი ამოათრია.

— მეგობარი მეხრჩობა? — იკითხა თამაზმა.

— არა, საიმედო ხელშია, — უპასუხა ნინამ, — ალიონა ოსტატობის კანდიდატია.

— ცურვაში?

— არა, მხატვრულ ტანვარჯიშში.

— მაქებს, მეც ვალში რომ არ დავრჩე. — გაეცინა ალიონას, — თვითონ უკვე ოსტატია.

—მხატვრულ ტანვარჯიშში.?

— არა, ცურვაში. არ ეტყობა? ხომ ხედავთ, რა ლამაზია?

— ჰო, ძალიან. — ამოიოხრა თამაზმა.

— რას ოხრავთ? — იკითხა ნინამ.

— დავიღალე...

— მეც დავიღალე. — თქვა ალიონამ, — გავიდეთ ნაპირზე, თუ შეიძლება.

—გავიდეთ.

ოთხივემ ნაპირისაკენ მოუსვა. გზადაგზა ისვენებდნენ, მხიარულ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ, ზღვის ბინადრებივით ცელქობდნენ წყალში. თენგიზმა დაინახა, რა თვალით უცქერდა ნინა თამაზს, მერე შემობრუნდა, ალიონამ დაუძახა, „მიშველე, ვიხრჩობიო,“ და იმის „გადასარჩენად“ გაეშურა.

— როგორ უნდა მოვიშოროთ ესენი თავიდან? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა თამაზმა.

— აბა, აბა, საიდუმლო არ იყოს... — გაუჯავრდა თამაზს ნინა. უკვე უფლებები აიღო.

— ახლა გულახდილად გეტყვით, ასე პირდაპირ რატომაც მოგადექით, რახან ასეთი კარგი ბიჭები ხართ, — დაიწყო ალიონამ, — სამი დღეა თვალყურს გადევნებთ და არ დაგვინახავს ვინმეს აეკიდოთ ან თავი მოაძულოთ.

— შენ ისა სთქვი, სამი დღეა წყლიდან ამოსული რომ არ გვინახავს არცერთი! — დაამატა ნინამ, — რომ მოვალთ, წყალში ხართ. მივდივართ, წყალში გტოვებთ. აქ ხომ არ გძინავთ, დელფინებთან?

— აბა, თქვენსავით ხომ არ ვიზარმაცებთ! ძალზე გვიან იღვიძებთ და შუადღისას უკვე სასადილოდ გარბიხართ. — უპასუხა თამაზმა და თენგიზს შეხედა. თენგიზი უკვე ლურჯი იყო. ვერცერთმა ვერ შეამჩნია, რომ მზე დიდი ხანია ჩავიდა, აგრილდა და სიოც გაჩნდა ბინდთან ერთად.

გოგოები დაცარიელებულ სანაპიროზე ავიდნენ, ტანი შეიმშრალეს. ბიჭები თვალს ვერ აცილებდნენ ორ უნაკლო, ნავარჯიშევ, ჯანმრთელ სხეულს. გოგოები უკვე ნაპირთან ისხდნენ; ტანსაცმელი გამოეცვალათ და ბიჭებს ელოდნენ.

— ხედავ, რა გოგოები არიან?!

— გამოდით! უკანასკნელი დღე ხომ არ არის, ზღვას რომ ვერ შორდებით?! — ნინას ქუდი მოეხადა და ქერა თმები აბრეშუმის სხივებივით ეყარა ზურგზე.

— ამოდით, რა. ხვალის გეგმები დავაწყოთ! გვეჩქარება, გვშია და გვცივა, — ახლა ალიონა აკრუსუნდა.

— გავალ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ძალიან დავიღალე... — თქვა თამაზმა.

— ცოტაც მოითმინე, წავლენ.. — კანკალებდა თენგიზი, — ერთად გავიდეთ...

— რა შეიცვლება, ახლა გავალთ თუ მერე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთად გავიდეთ...

— რა მნიშვნელობა აქვს...

ბიჭები წყლიდან ამოვიდნენ. კი არ ამოვიდნენ — ამობობღდნენ!!! უზარმაზარ ღონიერ მკლავებს მსუბუქად მოჰქონდათ ტანის გალეული ნახევარი; რაღაც უბედურ შემთხვევას თუ ავადმყოფობას ბიჭებისათვის ფეხები წაერთვა!

გოგოებმა იკივლეს და გაიქცნენ. თავზარდაცემული გოგოები გარბოდნენ, არც კი იცოდნენ, საით. მათ არც შემოსვლის დროს და, მითუმეტეს, არც ახლა არ შეუმჩნევიათ წვრილი მავთულის ფართოუჯრედებიანი ბადე, რომლითაც შემოფარგლული იყო სამკურნალო სანატორიუმის ტერიტორია. გოგოები ბადეს დაეჯახნენ, გადაანგრიეს, მაგრამ დაეცნენ, გაიხლართნენ და ასევე დარჩნენ ბადეზე ოქროს თევზებივით."

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, უკან გოგონა რომ მომდევდა და მანქანის თვალს „მიკრავდა." დიდი მოედნის კუთხეში შევაჩერე მანქანა. გოგონა მომიახლოვდა.

— ვითომ ვერ შემამჩნიე, არა? სად მიდიხარ?

— საქმეზე.

— მეც წამიყვანე.

— შენთვის არ იქნება საინტერესო.

— ჩემთვის დიდი ხანია აღარაფერი არ არის საინტერესო.

— მას აქეთ, რაც თვრამეტ წელს გადააბიჯე, არა?

—დიახ. წამიყვან?

— წამოდი.

გზა გავაგრძელე. ახლა აღარ „მიკრავდა თვალს" გოგონა, მორჩილად მომყვებოდა. როდის ისწავლა მანქანის ასე კარგად მართვა, არ ვიცი.

სასაფლაოზე რომ შევედით, მილიციელსა და დარაჯს ისე გაეცინათ, არ გაგიძნელდებოდათ გამოგეცნოთ, რაც გაიფიქრეს.

— მოდი, ახლა და ამათ ნუ გაუმართლებ. — დამასწრო გოგონამ.

ასე მგონია, გოგონა სულ ერთიდაიგივეზე ფიქრობს მანქანაშიც, საწოლშიც, სასაფლაოზეც, ინსტიტუტის მერხზეც.

— არ ვიცი, შენ რატომ გეუბნები ამას... ვისთანაც ვყოფილვარ, ყველას იმედი მქონია, შენს გარდა. შენ ლაწირაკი ხარ, გოგონა; ლაწირაკი სულითაც და წლოვანებითაც. ვიცი სულ მალე მე კი არა, ჩემი სახელი და გვარიც აღარ გემახსოვრება, მაგრამ მაინც გეტყვი. გიმეორებ, არავისთვის არ მითქვამს, არც ვაპირებ, არც ვეტყვი. რატომღაც შენ მინდა იცოდე. ალბათ იმიტომ, რომ ნამდვილად შენზე ადრე მოვკვდები, თუ ოდესმე მოვკვდი. აი, აქ დამასაფლავეთ. ამ ქალის გვერდით. ხედავ, მარჯვნივ ქმარი უწევს, მარცხნივ კი ადგილია დარჩენილი. აი, აქ, ამ ადგილას. არა თქვათ მერე, ანდერძი არ დაუტოვებია და, გინდა თუ არა, მთაწმინდაზე დავასაფლავოთო! გესმის?

— მესმის. ვისი საფლავია?—უკვე ძალიან ბნელოდა და საფლავის წარწერა კი არა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. — გიორგი, მოდი, რა, ჩემთან; ვერაფერს ვხედავ, მეშინია, მოდი, რა.. აი, აი, ხომ ხედავ...—გოგონა წაბორძიკდა.

ხელი მოვკიდე თუ არა, გოგონა გულზე ამაცოცდა. ტყუილად კი არ გავიფიქრე, რაც გავიფიქრე აქ შემოსვლისას. გოგონამ პერანგი გამიხსნა და ძუძუს ქვემოთ მიკბინა ფრთხილად, სასიამოვნოდ და კიდევ რაღაცნაირად. ვერ ვამბობ, როგორ. მერე ჩაიჩოქა და მუხლებზე მომეხვია...

— ამაღამ ჩემთან დარჩები?—ვკითხე გოგონას, მანქანებს რომ მივუახლოვდით.

— არა, ჩვენები აგარაკზე წასულან და... ერთს... გოგოს ვთხოვე, ჩემთან გათენოს. აი, ამ საფლავზე ამბობენ ოცდაათი წლის უმდიდრესი კაცისაო. ინფარქტით მომკვდარა სამოცდახუთში. ძველი ქართული სახელი ერქვა... მგონი თანდარუხი. ვერ ვიმახსოვრებ... აზრზე ხარ, სამოცდახუთში ათი წლისა ვიყავი...—გოგონა სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და გააქროლა, მეტი რომ არაფერი მეკითხა.

ერთი კი გავიფიქრე, დავეწევი და... აღელვებამ მყისვე გადამიარა. მხოლოდ თითის დაქნევა მოვასწარი. „რას ერჩი გოგონას?!"

„ნიშნობის ბეჭედი მომძვრა და სასაფლაოს კარისაკენ დაგორდა. ვიდრე მივუსწრები, შავი ალაყაფის კარქვეშ გაუჩინარდა. ვინ იცის, რომელ საფლავში გდია?!"

შინ დავბრუნდი. ფანჯრები ღია დავტოვე, მაგრამ ოთახში მაინც ჰირდა სუნთქვა. ლოგინი გადავშალე. ბალიშზე ბზის პაწია ფოთოლი ეგდო. საწოლის თავთან დედაჩემისა და მამაჩემის გადიდებული სურათები მიკიდია. სურათებს შორის ნაკურთხი ბზის ტოტია გადებული. როცა არ უნდა გადავწიო საბანი, ფოთოლი ყოველთვის დევს ბალიშზე. ძალაუნებურად ტოტს ავხედავ. ძალაუნებურად სურათებსაც დავინახავ. „ნუ მიკეთებთ ამას, დედა და მამა! წამი არ არის, თქვენ არ მახსოვდეთ. სულ ასე მგონია, კარი გაიღება და შემოხვალთ... ჩუმად, დინჯად, ტკბილად... ისე, როგორებიც იყავით; ისე, როგორებიც არიან თქვენი ხუთივე შვილი და უამრავი შვილიშვილები, მე რომ არ ვურევდე ცოტას."

ტანსაცმელი გავიხადე, დავწექი, თხელი ზეწარი გადავიფარე. სინათლის ჩაქრობა დამავიწყდება!

„მინდორი წითელია, წითელი ბალახით მოფენილი. მიწაც წითელია, ბუჩქებიც, ხეებიც, ყვავილებიც. წითელი სიო მოქრის მთებიდან და ბიბინა ბალახსა და ყვავილებს არხევს; ბუჩქებსა და ხეებს ვერ ერევა, ისე ნაზია. წითელ მინდორზე სიმშვიდეა. მინდვრის შუაში პატარა ტბაა. ასე გეგონებათ, ვიღაცას პეშვში დაუგროვებიაო ცის გამჭვირვალე ნამი. მინდორზე ქალი წევს და ნებივრობს. შემოუსვია ტიტველა შვილები, ტყუპი ბიჭები, ლომის ბოკვერებივით მსხვილმაჯა და გატიკნილი და ნებივ-

რობს. ბიჭები ისე მკვრივები არიან, ტაკუნებზე ხორცი ეჩხვლიტებათ. ტყუპები დედას ეღლაბუცებიან, ძუძუებზე ჰკბენენ, ხელებს უთათუნებენ, ზედ ახტებიან. ქალი ტბის პირას წევს და ანკარა, ცივი წყლით იგერიებს საყვარელ ლეკვებს. არის ერთი კივილი და კისკისი. მერე ქალი დგება, ბიჭებს ხელში აიყვანს, მკერდზე მიიკრავს და ძლივს აჰყავს გორაკზე: დამძიმდნენ და რა ჰქნას? ტყუპები დედის თმას ეალერსებიან, ჰკოცნიან. ქალი გორაკს თავზე მოექცევა, შეჩერდება და გასცქერის. მერე ტბასთან ბრუნდებიან და ყველაფერი თავიდან იწყება... იქვე თეთრი მტრედი ღუღუნებს."

ტელეფონის ზარი.

— ბატონო?

—მე ვარ, ძია გიორგი.

—რახან ძია დამიძახე, რაღაცა გენდომება. რამდენი გინდა?

— რვაასი.

— არც მეტი, არც ნაკლები?

პაუზა.

— ვინ გითხრა, ფული რომ...

— დედას დაურეკა ვიღაცამ.

— მერე, მამაშენმა, რაო?

— ნუ სთხოვ, მაინც არ მოგცემსო.

— დედაშენმა?

— დედამ იცის, რომ მაძლევ ხოლმე, მაგრამ მამას არ ეუბნება... ეშინია, არ გაბრაზდე და არ...

— კარგი, მოდი.

— სად მოვიდე?

— ვითომ არ იცი. შეშნახველ სალაროსთან, აქ არ მოდიხარ და...

— რომელ საათზე?

— სამზე.

ყურმილი დაკიდა.

„მადლობა, შე მამაძაღლო?!—გავიფიქრე ხმამაღლა. — ერთი შარვალი ან კოსტუმი რომ მეყიდა, არც მე მაწყენდა. დაძველდა ეს ოხერი..."

„—მე მეუბნებით?—შემეკითხა ვიღაც ინგლისურად.

მივიხედ-მოვიხედე: ტელევიზორიდან ულამაზესი დიქტორი მიღიმოდა. ვიდრე ჩარჩოს გადმოაბიჯებდა და ლოგინში შემომიწვებოდა, ტელევიზორიც გამოვთიშე და სინათლეც.

— ღმერთო, მშვიდობის დილა დაუთენე ჩემ შვილებსა! — თქვა დედაჩემმა".

ამინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ კუპრავა

# სირიაჩქონის ტყის სიზმარი

რომანი

* * *

ადილარ გვაზავას და მის მილიციას საქმე გაუჩნდა.

თვითონ ადილარი საპრეზიდიუმოდ იყო გამოწყობილი.

მისი შვილი — პატარა ადილარი ვერიკოს შემოხვდა გზაზე შემთხვევით.

სახეზე სიწითლე მოედო ყმაწვილს.

ვერიკო მიხვდა ამ გაწითლების მიზეზს: ორიოდე დღის წინ პალტოს ჯიბეში წააწყდა ამ ვაჟბატონის სატრფიალო ბარათს. ბოლოში მიხატული იყო ისარგაყრილი გული და რაღაც ძნელადგამოსაცნობი ფრინველი, რომელიც ყველაზე უფრო იხვის ჭუჭულს წააგავდა და ნისკარტით ყვავილის თუ რაღაცის შტო ეჭირა (ნოეს მტრედს თუ გულისხმობდა პატარა ადილარი ამის ხატვისას!). ნახატს გასდევდა ოთხი, ოკრო-ბოკროდ გარითმული სტრიქონი, ეს ვითომ ლექსი იყო.

ბარათს ხელმოწერა არ ჰქონდა, მაგრამ მისი ავტორის გამოცნობა არავითარ კრიმინალისტურ ექსპერტს არ საჭიროებდა, რადგან შიგ ასეთი ფრაზა ერია: თუ შენც შემიყვარებ, მამაჩემს თქვენს დევნაზე ხელს ავაღებინებო...

ეს წააგავდა ჰკუადაბლერტილთა ერთ გამოცანას: თუ მეტყვი ამ კალათაში რა მიწყვია და რამდენი ცალია, ათივე შენი იყოსო.

წერილი ვერ გამოსვლია, თორემ ისე სხვაფრივ რა უჭირს ადილარ-ბიჭს, მამა რომ არ ჰყავდეს ავი?! თუმცა მამის ავკაცობა რა მისი ბრალია!.. მართალია, ცოტა დონდლოც კია, კაბა რომ ჩაალვა, მსუქანი გოგო გეგონება, მაგრამ წამოიზრდება და ულვაშსაც დაიმშვენებს მამამისივით, ოღონდ მამის გზით კი არ წავა...

ეცინება ვერიკოს გულში. მაშინაც იცინოდა, პატარა ადილარი', წერილი რომ წაიკითხა: ლენჩი იყავ, ჩემო ადილარ, და ლენჩი დარჩებიო...

წერილი მაინც არ დაუხევია, შეინახა ყოველი შემთხვევისათვის...

— გამარჯობა, ადი!.. — შეჩერდა ვერიკო გაწითლებული ბიჭის წინ.

კურდღელივით ჰყავდა პატარა ადილარი ახლა გამოჭერილი, ორივე ყურში ჰქონდა მისთვის ხელი ჩავლებული...

პატარა ადილარმა ვითომ ახლა შე-

გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 2.

ნიშნა ვერიკო; მიპარვით თითის შეხებისას რომ იკივლებს ქალწული, ისე იკივლა:

— ა!.. ვერიკო!

ვერიკომ ადილარს გულში დამორცხვებისაგან დანთებულ ცეცხლს პირდაპირ შეუბერა სული გასაღვივებლად:

— შენი წერილი ძალიან გამიხარდა!..

ბიჭს ამ წუთში ერჩია, მიწა და ნაცარი შეეყარა ვერიკოს მისთვის თვალებში.

— მხატვარიც ყოფილხარ და პოეტიც, — ღრმა მნიშვნელობით განაგრძო ლაპარაკი ვერიკომ; თან გაიღიმა, თავი დახარა, ნაწნავის ბოლოს თითებით წვალება დაუწყო და ნამდვილად სიყვარულით დამწვრის სიმორცხვით დასძინა: — ეს კი არ ვიცოდი, დედას გეფიცები...

ვერიკო საერთოდ დედას არ იფიცებდა. მისი ფიცი იყო უმცროსი ძმა: მოსეს გეფიცებით თუ იტყოდა, გათავებული იყო ყველაფერი...

ტუჩი მოიკვნიტა და ასევე, თავდახრილმა ამოხედა ვაჟს დიდი, შუქიანი თვალებით...

პატარა ადილარი მთლად დადნა, დაიფერფლა და გათავდა; რაღაც ამოიბლუკუნა, მაგრამ თვითონაც ვერ მიხვდა — რა...

მერე და მერე იფიქრა: რა ტკბილად მებაასება! ალბათ მასაც ვუყვარვარო...

ვერიკომ ვაჟის ფიქრის გასაღრმავებლად განგებ ამოიხვნეშა.

— რატომ ამოიხვნეშე, ვერიჩკა?..

— შენ მაინც ვერაფერს მიშველი, ჩემო ადი!..

სახელი ისე ტკბილ-სევდიანად წარმოსთქვა ვერიკომ, რომ ადილარს საოცრად მოუნდა მკლავები გაეშალა და ცეკვა დაეწყო.

ცეკვის ნაცვლად ორივე ხელი მლოცველივით გულზე გადაიჯვარედინა და აჩურჩულდა:

— მამას გეფიცები, ყველაფერს გავაკეთებ...

— გასულ პარასკევს რატომ უთხარი მამაშენს, რომ შეკრება გვქონდა?.. დამბეზღებელი ხარ... შენნაირებს კომკავშირში არ ღებულობენ...

ადილარი თავის მაშინდელ უვიცობას ახლა მიხვდა და თავის მართლება სცადა:

— გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს!..

სიყვარულზე მათ შორის არაფერი თქმულა, მხოლოდ დრო და დრო ეშმაკურად რომ ამოხედავდა ვერიკო ვაჟს და თვალებს მიაჟუჟუნებდა, ადილარი მზად იყო მიეტოვებინა მამაც, დედაც და ამ სიზმარეულ შუქში დამდნარიყო წყლის ობოლ წვეთივით.

* * *

კლუბი ხალხით გაიჭედა.

საამდღეოდ მენშევიკები მარტო აფიშების გამოკვრას როდი დასჯერდნენ, ხალხის თავმოსაყრელად ათიოდე კაციც ჰყავდათ დაგზავნილი სოფლებში. თვით ადილარ გვაზავამაც გასარჯა ამ საქმისათვის თავისი მილიციელები. და, აჰა, შედეგიც: მოჯარდა და მოჯარდა ღარიბ-ღატაკთა ლაშქარი...

დღე და ღამე ჯერ გაყრილი არ იყო და სინათლე უხვად ეფინებოდა კლუბის დარბაზს, სცენას...

პრეზიდიუმში ისხდნენ მხოლოდ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები.

ადილარ გვაზავას მაგიდის განაპირა სკამი დაეკავებინა და, ფეხიფეხზე გადადებული, ამპარტავნულად იცქირებოდა.

პრეზიდიუმის უკანა რიგში მჯდომმა ოფიცერმა — ვერიკოს ნათლიაშვილმა — თავის სკამიანად გადმოინაცვლა და მილიციის უფროსს მიუჯდა.

სავლე ბოკუჩავამ დარბაზი დააშოშმინა და სიტყვა მისცა ჯაიანს.

ლექტორმა ჯაიანმა ჭიქაში წყალი წინასწარ დაისხა და, ის იყო, პირველი სიტყვა უნდა წარმოეთქვა, რომ ჩიტის ბუდესავით გადმოკიდებულ, ახლა ხალხის სიმძიმით თითქმის ჩამოსავარდ-

ნად გამზადებულ ქანდარიდან გაბმული სტვენა გაისმა.

პრეზიდიუმის თავმჯდომარემ „სსს"-ო, სიჩუმისაკენ მოუწოდა უხილავ მსტვენელს და ლექტორს ვითომ სალაპარაკოდ გზა გაუხსნა.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — დინჯად და თავაზიანად დაიწყო ჯაიანმა.

ლამაზი კაცი იყო, სუფთად პირმოპარსული (კოწია დალაქის განაპარსს არ ჰგავდა). გახამებული თეთრი, მაღალი საყელო ნიკაპსქვეშოთ ებჯინებოდა და, ალბათ აწუხებდა, წარამარა თითის შეხებით რომ ისწორებდა.

განაგრძო:

— ჩვენი მთავრობა არ იშურებს ძალასა და ენერგიას...

— ტყუილია!.. — ქვასავით გადმოისროლა ვიღაცამ ქანდარის მეორე ბოლოდან.

მილიციის უფროსს, ადილარს ეცნაურა ეს ხმა, მაგრამ ვერ გაიხსენა, ვისი ხმა იყო; წამოდგა: ესაო და, მე აქა ვარ, წესრიგის დარღვევას ვინ ბედავსო!..

— სიჩუმე იყოს და გაგონება! — ხმას აუმაღლა თავმჯდომარემ.

— მართალია! — ისევ წამოვიდა წეღანდელი ხმა მაღლიდან.

ის „ვიღაც" გუგულივით თვითონ არ ჩანდა და ისე კი იძახდა.

„სულელი" — გაიფიქრა ვერიკომ პატარა ადილარის მისამართით (ვერიკო დარბაზის მესამე რიგში იჯდა).

აქა-იქ სიცილი და ფხუკუნი გაისმა.

არევ-დარევა გააღრმავა თვით მილიციის უფროსმა გვაზავამ: წეღან წამომდგარმა, დაჯდომა რომ დააპირა, ბუნებრივია, სკამს დახედა და ზედ ფარატინა ქაღალდი დაინახა. ადილარმა იცნო, რაც იყო ეს ქაღალდი.

აიღო, სტრიქონებს თვალი ჩააყოლა.

ასე იწყებოდა: „რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)"

მერე ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

მიხვდა, რა ქაღალდიც ეჭირა ხელში, ადრეც უნახავს პროკლამაცია. ბოლომით გაიბერა, თვალები სისხლით აევსო... ქაღალდიანი ხელი მაღლა ასწია და უაზროდ დაიძახა:

— ვინ დადო ეს ქაღალდი აქ!..

პრეზიდიუმში მსხდომთ არც შეუნიშნავთ, ადილარმა თავის სკამზე პროკლამაცია რომ ნახა, და უცებ მისი ყვირილი რომ გაიგონეს, გაოცდნენ: ამას კი რაღამ მოუარაო!..

— რაშია საქმე, ადილარ ბატონო? — ჩაეკითხა გვარდიელი — ვერიკოს ნათლიმშვილი, ვითომ არც იცოდა, მის მიერვე სკამზე შეუმჩნევლად დადებულმა ქაღალდმა რომ გააცოფა მილიციის უფროსი.

ადილარს მისკენ არც გაუხედავს, ქშენა აუვარდა.

ნათლიმშვილმა სცენიდან თვალი ჩაუკრა ვერიკოს...

—ძირს მენშევიკური მთავრობა! — ახლა კი სწორად მიჰყვა ქანდარის „გუგული" ვერიკოს მიერ ჩამოწერილ გეგმას; წეღანდელი შეცდომა, თავმჯდომარეს დასტური რომ დაურტყა — მართალიაო, გამოასწორა; ენა შეუბორკა ლექტორს.

ქანდარაზე მსხდომნი პირველნი აყვნენ წამოძახებულ ლოზუნგს. მაღლიდან ერთბაშად წამოვიდა ყვირილი და ღრიანცელი.

კოწია დალაქს ოთხი თითი ჩაედო პირში და წყვეტილად უსტვენდა, რიტმს თითქოს ჯარისკაცთა ფეხის ხმას აყოლებდა.

ადილარ გვაზავას პროკლამაცია მუჭში მოექცია და იმ მუშტით ემუქრებოდა მთელ ქანდარას: — მე თქვენ გიჩვენებთ!.. გაჩუმდით!.. — ბოლო სიტყვა ისე თავგამეტებით წამოიძახა, რომ ყელი ლამის ჩაუწყდა, ხველება აუტყდა.

ლექტორი ჯაიანი პირში სიტყვაგაყინული იდგა და დაბნეული აცეცებდა თვალებს.

ადილარმა სცენაზე მიიხედ-მოიხედა და გვარდიელ ოფიცერს — ვერიკოს

ნათლიაშვილს ბრძანებასავით მიაყარა, — ქანდარაზე ასულიყო და ხალხი გაეჩუმებინა.

მე მხოლოდ ჩემი უფროსის ბრძანებას ვემორჩილებიო, — უპასუხა ოფიცერმა ცივად.

ამბოხებული ქანდარა ოდნავ რომ მიშოშმინდა, ახლა ძირს, დარბაზში გასრიალდა წვრილ ხმაზე, დამარცვლით, აწევ-დაწევით წამოძახებული ერთადერთი სიტყვა:

— მა-ჭუ-ჭი!!.

ეს ქუჩუ იყო, ფედიას ძმა. ვერიკომ გამოაპარა შინიდან.

გიჟმა კირილემ ყურები სცქვიტა თავისი „მიჯნურის" სახელის გაგონებაზე. გვერდით მსხდომთა გარდა ჯერ არავინ იცოდა, რომ ისიც აქ იყო.

— მაჭუჭი გათხოვდა, კირილეეე! — სიმღერასავით გასწელა ქუჩუმ.

— უუუ!. — იყმუვლა კირილემ ერთბაშად და ყველას გააგებინა თავისი აქ ყოფნა; უწმაწური სიტყვების კორიანტელი დაატრიალა...

ახლა ერთი მთავარი მუგუზალი სჭირდებოდა გიჟს და გათავებული იყო საქმე.

ეს „მუგუზალი" ქუჩუს ხელთ იყო. იგი სულ ახლოს მიეპარა კირილეს ზურგის მხრიდან, პირი ზედ ყურთან მიუტანა, მაჭუჭიას ასე და ასე უყვესო, ჩასჩურჩულა და თვითონ გაქრა.

კირილემ ყვირილით ლამის ჭერი ჩამოიღო, ხელები წრიულად მოიქნია და ვისაც მოახვედრა, ყველა დაასისხლიანა.

კლუბის ეზოდან მომღერალთა დაფეთებული ცხენების ჭიხვინი და ფლოქვთა ცემის ხმა ისმოდა.

ხალხი წამოიშალა.

კირილე ბღლვინავდა მებონიას დათვივით...

ვერიკომ დრო იხელთა, თევზივით გასრიალდა სცენისაკენ, მარჯვენა მკლავი ლონივრად აიქნია და პროკლამაციები ჭერისკენ ასტყორცნა.

ტოროლასავით ავარდა მაღლა თეთრი კონა, გაიფანტა და ფურცელ-ფურცელ, ფარფატით წამოვიდა დაბლა. მაგრამ ერთმა წყებამ ალბათ დანაწევრება ვერ მოასწრო და ყველაზე ადრე, მძიმედ ჩავარდა ხალხში. გაფანტული ფურცლები ნელინელ ეშვებოდნენ. ვიწრო და მოგრძო ფორმატისა იყო თითოეული ფურცელი ცალმხარე ნაბეჭდი.

იმავე წუთს ქანდარიდან ავარდა მეორე „ტოროლა", მერე — დარბაზის უკანა მხრიდანაც...

— ვაშაა! — გამომწვევმა შეძახილმა გრგვინვად გადაუარა წამოშლილ ხალხს.

ფურცლებისათვის ომი გაჩაღდა.

ზოგნი ჰაერშივე იჭერდნენ, სხვანი ძირს დავარდნილებს ესეოდნენ.

ზედახორა გაჩნდა.

— ვაშაა!! — გაჰკიოდა კოწია დალაქი და მასთან ერთად მთელი დარბაზი იხლეჩდა ყელს.

კირილე შტერი უკვე არავის ახსოვდა. მისი გაგიჟება მონაგონი იყო ხალხის ხმაურთან.

ადილარ გვაზავამ სასტვენი პირში ჩაიჩარა ,მუცელი რუმბივით გამოზნიქა და ჩაჰბერა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

გარედან სხვა მილიციელებიც შემოცვივდნენ.

ეს ხელისგულის სიფართე კლუბი ვულკანის კრატერად იქცა, ადუღდა და ათუხთუხდა...

ვერიკომ ახლა სცენას შეაფანტა ფურცლები.

მილიციის უფროსმა გარკვევით დაინახა იგი.

მათი თვალები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს და გოგონას მრისხანე მზერამ თითქოს შეაცბუნა ეს ამხელა კაცი...

სადღაც შეხვედრია ადილარ გვაზავას ეს გოგო!..

გაახსენდა, ფედია ფრანგიშვილმა თავის ნათესავად რომ გააცნო ამასწინათ.

მაშინ მღიმარი თვალებით შემოხედა...

სხვა დროსაც უნახავს ეს თვალები სადღაც, ასეთივე მრისხანე, როგორიც ახლა იყო...

ზუსტად ასეთივე!..

ძმები კიზირიების დაპატიმრება და იქ, ჭიშკართან მდგარი პატარა გოგონას თვალები წამოელანდა წამით ადილარ გვაზავას...

ყელში ბურთივით მოაწვა ბოღმა.

აღგზნებული და არეული ხალხი სცენისაკენ მოიწევდა, ადილარი კი დაბლა ჩამოვიდა.

ყვიროდა და თავისივე ხმა არ ესმოდა.

თვალგანრისხებული გოგო თვალის დახამხამებაში გაუქრა მხედველობიდან...

სცენაზე ასულმა ხალხმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა თავის მაგიდებიან-სკამებიანად.

ლექტორი ჯაიანი კულისებში მიიმალა, სცენის ახალო ფარდა ჩამოგლიჯეს ფხრიწინით...

კლუბის გამგემ შორიდან შენიშნა და უნდოდა თავში ხელი შემოერტყა, მაგრამ მკლავი ვერ გაინთავისუფლა, — შეკრული იყო აკვნის ბავშვივით.

ქანდარიდან ბუნტის ამტეხს ახლა მთავარი უნდა გაეკეთებინა და მორჩებოდა საქმე.

იგი არ დაბნეულა, მოაჯირზე შედგა, ცალი ხელით ქანდარის სვეტს ჩაეხუტა, მეორეში პროკლამაციის ფურცელი დაიჭირა და კითხვას შეუდგა; კითხულობდა სიტყვასიტყვით:

„რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს!

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

თქვენ ახლა იცით, რომ მენშევიკური მთავრობა ვერაგულად და მუხანათურად ემზადება ბოლშევიკებისათვის ყელის გამოსაჭრელად. იგი შეუდგა ბოლშევიკების დატყვევებას თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, სამტრედიაში, გურიაში და საზოგადოდ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდა. ქუთაისში სხვათაშორის დაატყვევეს კარგად ცნობილი და ყველასგან პატივცემული რევოლუციის ვეტერანი მიხა ცხაკაია (ამ, პროკლამაციაში ნამდვილად ჩაბეჭდილ გვარს ვერიკოს მიერ ფანქრით ჩამატებული სიტყვები მიჰყვებოდა), აგრეთვე ჩვენი თანასოფლელი ფედია ფრანგიშვილი, ჩვენი ფედია!( მერე ისევ ნაბეჭდი გრძელდებოდა). თბილისში მენშევიკურ ჟანდარმის მიერ დატყვებულთა შორის იყვნენ დედაკაცები ძუძუმწოვარა ბავშვებითურთ. ტფილისშივე (ციხოხულობდა ზუსტად ისევე, როგორც ნაბეჭდში იყო: ზოგან „თბილისი“, ზოგან „ტფილისი“) დახურეს ერთადერთი მუშათა გაზეთი „ტალღა“ — „ვოლნა“ მაშინ, როცა აშკარა კონტრრევოლუციური გაზეთები სრულებით თავისუფლად გამოდიან. საქართველოს მთავრობის ამ უკანასკნელ აქტებიდან აშკარად ჩანს სურვილი არა მარტო თავი მოკვეთონ ბოლშევიზმს ამიერ-კავკასიაში, არამედ ამავე დროს ჩაკლან მუშათა მოძრაობა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს იჩინა თავი ჩვენში...“

მთელი დარბაზი აქეთ შემობრუნებულიყო და ქანდარისკენ თავაწეული ისმენდა აქამდე გაუგონარ სიტყვებს.

ადილარი ქანდარის კიბეზე ადიოდა, ძლივს მიარღვევდა ნიაღვარივით დაძრულ ხალხის ტალღას. მას, ამ გნიასსა და ხმაურში ბუნდოვნად ესმოდა ვილაცის მიერ პროკლამაციიდან ამოკითხული სიტყვები და ეჭვი არ ეპარებოდა ,რომ ახლა კი ნამდვილად ჩაიგდებდა ხელში მთავარ დამნაშავეს.

„მთავარი დამნაშავე“ კი თანდათან ხმას უმაღლებდა და კითხვას განაგრძობდა:

„ამხანაგებო!“

მოაწყვეთ კრებები და მიტინგები და გამოიტანეთ დადგენილებები ყველა დატუსაღებული ამხანაგის განთავისუფ-

ლებაზე და ამიერკავკასიის მუშათა ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ. შეაერთეთ თქვენი ძალები კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და საერთაშორისო იმპერიალისტების აგენტებთან გადამჭრელ შეტაკებისათვის!“

ახლა ლოზუნგები მიჰყვებოდა ტექსტს და ქანდარის მოაჯირზე გადმომდგარი კაცი კითხულობდა:

„ძირს საერთაშორისო იმპერიალისტები — მტაცებლები და იმათი აგენტები!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას საქართველოში!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!“

გემრიელად ჩაიკითხა. ყველაფერი ეს და მხოლოდ ხელმოწერაღა დარჩა წასაკითხი — „კავკასიის საოლქო კომიტეტი. რ. კ. პ. (ბოლშევიკების)“, რომ მილიციის უფროსი ადილარ გვაზავა უკანიდან კისერში ჩააფრინდა და გადმოითრია.

— ჰაიტ, შე ძაღლიშვილო! — დორბლი გადმოჰყარა ადილარმა, დატყვევებული ბიჭი თავისკენ მოატრიალა და თვალები ლამის ბუდიდან გადმოსცვივდა: მის ხელებში ფართხალებდა მისივე შვილი — პატარა ადილარ გვაზავა...

* * *

ლომინ გუგუშვილმა და მისმა მომღერლებმა კლუბიდან ლადი მებონია წამოიყვანეს, მის დუქანში თითო არაყი და ჩარექა ღვინო დალიეს და სიმღერით მოსულნი, ისევ სიმღერით გაბრუნდნენ თავიანთ ეწერში.

ეწერამდე ვერიკო გაჰყვა ცხენოსნებს: ერთმა ჭაბუკმა უბოძა თავისი ახალგახედნილი ცხენი, თავისივე ნაბადიც მოახურა, თვითონ კი მეგობარ ცხენოსანს მოუჯდა უკან.

რაც კლუბში არ ამღერეს, სულ გზადაგზა მოფანტეს მომღერლებმა.

ერთმა „ლაშქრული“ წამოიწყო.

ეს სიმღერა, ალბათ, ცხენთა ფლოქვების თქარათქურის რიტმზეა შექმნილი: „ქართველო ხელი ხმალს იკარ!“..

ვერიკო ცხენს კოხტად მიათამაშებდა და ეგონა, მართლა სალაშქროდ მიდიოდნენ.

სულ წინა ცხენოსანი, ბრძოლის სიმღერა რომ წამოიწყო, ვერიკოს ეჩვენებოდა, რომ ფედია იყო. მის ხელმარჯვნივ ბიქტორი მიაგელვებდა ბედაურს. მათი მომდევნო მხედარი, ნაბადი გვერდზე რომ ჰქონდა მოგდებული, მთლად დავითს წააგავდა. მარჯვენა ხელით მათრახს კი არა, ხმალს მიიქნევდა დავითი. მერე მიდიოდნენ: მამია, სევე, მამანტი, ილო, გერონტი, ავთანდილი... ავთანდილი თეთრონზე იჯდა.

აგერ ერთი ყველაზე ახალგაზრდა მომღერალი, თავის წვრილკანჭება კავშას რომ წარამარა ყალყზე აყენებდა, — ქუჩუ იყო, ფედიას უმცროსი ძმა... „აბა, მედგრად, ჩემო ქუჩუჩია! მიდი!.. გაჰკაფე!..“

ვერიკომ თავისი წკრიალა ხმაც შეუერთა მქუხარე სიმღერას...

მიდიოდნენ საქართველოს მტერთა შესამუსრავად. ნაბდებქვეშ, ვერიკოს ეზოში რომ არის დამარხული, ის თოფები ჰქონდათ შემალული ბიჭებს. უცებ დააძრეს ეს თოფები და მტრის შემზარავად დააქუხეს...

ვერიკოს უნებლიედ ფედიას ნაჩუქარ რევოლვერისაკენ წაუვიდა ხელი...

დააქუხეს ვაჟებმა თოფები და „მგზავრულიც“ უფრო განარისხეს...

მერე, ცა და მიწა იძრა ერთბაშად, ერთმანეთში აირია თოფთა გრიალი, ცხენთა ჭიხვინი, რაზმიდან რაზმზე გმირთა გადაყივლება...

და დააჩოქეს ავისმდომი, საქართველოს მტერი.

ახლა ვერიკოს თვალები მილულული ჰქონდა და, ცხენმინდობილი, ნეტარებდა ფიქრთა ბურანში: გამარჯვებული ქართველთა ლაშქარი საზეიმოდ გუგუნებდა, უცებ, მათ ზემოთ ფედია გამოჩნდა; სამმუხლიან ფერხულში მესამე

კაცი რომ არის, ქვეყნათა მწრებზე შემდგარი. და ამაღლებული, სწორედ ისე ამაღლდა და გამარჯვება მიულოცა მთლად საქართველოს!

ვერიკომ თავისი დროშა ააფრიალა ქარში.

ტკაცუნებდა,
ელვარებდა,
შუქს აფრქვევდა სპარტაკელთა გამარჯვებული ალამი...

* * *

ჯაბა კიზირიას ეზო-კარი ადრე კოხტად გამოკვანწული პატარძალივით იყო.

ახლა ყველაფერი მინებებული ჰქონდა ძიგურას და ლაკარტიას...

სამზადში შუაცეცხლი ენთო. ჭერი, რა თქმა უნდა, აფიცრული არ იყო, შემჭვარტლულ მთავარ ძელზე ნაჭა ეკიდა. უფრო იქით, კედლისკენ, ჩანდა წკნელზე ასხმულ-ამძივებული ხახვი, ნიორი, წიწაკა, კონა-კონა შეკრული ქონდარი, სათესლე ქინძი... ლასტზე გადმოფენილი ტყლაპი... თაროებზე ელაგა ოჯახის ჯამ-ჭურჭელი: დოქები, ქოთნები, კოჭობები, გობ-საცერი...

ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ყველაფერი გემრიელად იყო შებოლილი.

ახლა სად რა იდო, თვითონ ელენემაც არ იცოდა.

ერთი კედლის გაყოლება მთელი ოჯახისათვის საკმარ, ფიცრით ნაგებ ტახტს ეკავა. ზოგჯერ ყველანი აქ იძინებდნენ და კარგი სიზმრებიც ჰქონდათ. მაგრამ ახლა კარგი სიზმარიც დაჰკარგა ჯაბა კიზირიას ჯალაბმა.

მაშინ: შეძვრებოდნენ ლევანი და მოსე კერის კვამლის სურნელებით გაჟღენთილ, პირგადამძნარ საბნებში, შუაში თავიანთ უმცროს დაიკოს ჩაიწვენდნენ და კერის ცეცხლის ცქერაში ნელინელ გადადიოდნენ ლურჯი სიზმრების სამყაროში...

ძმებს ძილშიც სულ იმისი სიფხიზლე ჩაჰყვებოდათ, — ვერიკოს საბანი არ გადახდოდა...

„ძილი" — დიდი ქვეყანაა. მისი მსგავსი ქვეყანა სხვა არ არსებობს.

ერთ კუთხეში ჯაბას ორი ქვევრი ემარხა. ტყემლის ბოთლების მიწაში შესანახი ადგილიც არ ჰქონდა ელენეს. ყელამდე მიწაში ფლავდა ბოთლებსაც.

ყველაფერს ამას სხვა სილამაზე და სხვა სითბო ახლდა, როცა ლევანი და მოსე თავისუფლები იყვნენ...

მოსე და ლევანი შინ რომ იყვნენ, ჯაბას შუბლი მუდამ გახსნილი ჰქონდა, სიღატაკეს არად აგდებდა, გაბედულად უსწორებდა თვალს... ელენე სულ კერასთან ტრიალებდა, ან აცხობდა რამეს, ან ხარშავდა...

მოსე და ლევანი შინ რომ იყვნენ, სხვა ძალა და ღონე ჰქონდა ჯაბა კიზირიას ოჯახს.

ახლა?

ენთო ცეცხლი კერაზე და სითბოს არ უშვებდა....

მზე სამზეოზე იდგა და არ ანათებდა...

მზესაც მოაკლდა სითბო, ცეცხლსაც და საბანსაც...

აქ მჭადი ახლა ისეთი ვეღარ ცხვებოდა, როგორიც წინათ...

ქოთანში ლობიოს არ აკლდა ამოლესვა და სუნელ-საკმაზი, მაგრამ ადრინდელივით გემრიელი მაინც არ გამოდიოდა. ისეთი, როგორიც ლევანის და მოსეს შინ ყოფნისას იყო...

მუხლი მოუდუნდა ჯაბას, მკლავები დაუძაბუნდა, თვალში დააკლდა თითქოს...

* * *

აბაშაში მენშევიკების ლექციის ჩაშლის მეორე დღეს კოდორში, ჯაბას სახლისკენ მიმავალ გზაზე მილიციელი გამოჩნდა.

სოფლის ამ ბოლოში ჯაბას გარდა კიდევ ერთი კომლი იყო — დომე კუციასი.

მილიციელი ან ერთთან მიდიოდა,

ან — მეორესთან. ისინი კი მოსალოც საქმეზე არასდროს არ დადიან.

დომე კუციას ოჯახს სამთავრობო საქმეში არც სადანასისხლო წილი ედო რამე და არც სამოყვრო. ამიტომ ჯაბა არ დაეჭვებულა, რომ მილიციელი სწორედ მისას მოდიოდა.

ჯაბას ადრე სხვებისთვის უთქვამს და ახლა თავისთვის გაიხსენა: შენსკენ მომავალ უბედურებისგან გაქცევას ნუ ეცდები, თორემ მან სირბილი უკეთესი იცის და უფრო გაავებული დაგეწევა, უმჯობესია შეეგებო, ეგება ცოტათი მაინც შეკრთესო.

ჯაბა ჩალის ზვინს დგამდა სწორედ იმ ადგილზე, სადაც თოფები ემარხა; ფიქრობდა: გაზეთილ ბრეზენტში კი არის გახვეული, მაგრამ, ვიდრე წაიღებდნენ, ზამთრის სინესტემ არ ავნოსო.

ავთანდილი ეხმარებოდა მეზობელს, ზევით იდგა და ფიწლით მოწოდებულ კონას კონაზე აწყობდა.

მილიციელი ყველაზე ადრე მან დაინახა.

საზვინე მარგილი შუაწელამდე ჰქონდათ აზვინული; საქმე მიატოვეს და ჭიშკრისკენ წამოვიდნენ.

ჭიშკრის ხის ღერძის ბოლოები ხისავე ძელების ღრმულებში წლობით ტრიალს გაეცვითა და ზედა ბოლო წარამარა უვარდებოდა, ამიტომ დაგრეხილი წკნელის ღვლერჭით იყო მიბმული ჭილკანზე. გაღება-დაკეტვისას მიწაზე ეთრეოდა. ავთანდილა ვერიკოც მიეშველა და ნახევარზე გამოათრიეს.

მილიციელს კარგა მოზრდილი, ჭარხალივით ცხვირი მოუძღოდა წინ. ნიკაპი ოთხკუთხედად ჩამოგრძელებული და სიგრძივ ჩაღარული ჰქონდა; ორი ხალიც აჩნდა სახეზე, თავზე ზღარბის ეკლებივით აძაგრული თმა თითქმის წარბებიდან ეწყებოდა. ეს მაშინ გამოჩნდა, როცა ქუდი მოიხადა და სახელოთი ოფლი მოიწმინდა.

ნოემბრის ამ სუსხიან ამინდშიაც კი ერთთავად გაოფლილიყო ფეხით ნავალი კაცი.

ყეფით მივარდნილ ძაღლს ჩექმიანი ფეხი ამოჰკრა, გამარჯობა არ უთქვამს, მასპინძელს პირდაპირ სეტყვასავით მიაყარა:

— ესაა ჯაბა კიზირიას სახლი? — და პასუხს არ დალოდებია: — რა შორს ყოფილხარ, კაცო!..

— ჩემთვის თქვენი მილიციაა შორს, — სეტყვას ქვა დაახვედრა ჯაბამ.

ჯაბამ, — ბიჭების საქმეზე გაჩხრეკას ხომ არ მიპირებენო, — მაგრამ თვითონვე შეეჭვდა თავის ნაფიქრალში: გასაჩხრეკად ერთ კაცს არ გამოგზავნიდა ადილარ გვაზავა.

მაშ, რად გაურჯიათ ეს საცოდავი ამ სიცივეში?!.

— შენი ქალიშვილი სადაა? — უცებ გაფანტა ჯაბას ორჭოფული ფიქრები მილიციელის ნათქვამმა.

მილიციელი, ჩანდა, სახით არ იცნობდა ვერიკოს, ჯაბას შეეძლო ეთქვა, შინ არ არის, სხვაგანაა წასულიო, და აპირებდა კიდევაც ამის თქმას, მაგრამ...

— მე ვარ!.. — წარმოსთქვა ვერიკომ და უნებლიედ უკან გადადგა ნაბიჯი; მიხვდა, რაშიც იყო საქმე: გუშინ, პროკლამაციების გაფანტვისას ადილარმა გაუყარა თვალი თვალში. ალბათ იცნო კიდევაც და, რა თქმა უნდა, იაფადაც არ დაუსვამდა.

— რაშია საქმე? — ენა აუბორძიკდა ჯაბას.

— მილიციაშია დაბარებული... უფროსი იბარებს...

მილიციელმა იგრძნო, ნათქვამი უკმეხი რომ გამოუვიდა, ადილარ გვაზავასგან კი სხვანაირად იყო დარიგებული — თავაზიანად მოეჩვენებინა თავი — და ახლა იმ უკმეხად წამოსროლილს სითბო დაადევნა:

— პატარა საქმეა გასარკვევი. მაშინათვე გამოვუშვებთ... თუ გეშინია, მე წამოვიყვან აქეთაც...

ჯაბას მილიციელის მიერ იქით წაყვა-

ნილი ბევრი ენახა, აქეთ მოყვანილი — კი არავინ.

— ჩემი ვაჟები დაიჭირეთ. ახლა ამ გოგოსთან რა გინდათ... თუ რამე საქმეა, მე ვეახლები ადილარს... ბავშვმა რა იცის...

— მე ამ გოგოს წაყვანა მაქვს ნაბრძანები, — ისევ ცივად ნათქვამი გამოუვიდა მილიციელს და ისევ სცადა მისი შეთბობა: — შენ თუ გინდა, გამომყევი. გზა ფართოა...

აქეთკენ რომ გზას ადგა, ეგონა, ვინმე ქვეყნის დამაქცევლის დასაჭერად მოდიოდა, აქ კი ბავშვი შერჩა ხელთ და, ცოტა არ იყოს, გაოცებული იყო: ხომ არ მატყუებენ, იქნებ ვერა კიზირია ეს სულაც არ არისო...

ძაღლი ახლა ჩუმად მიუახლოვდა და ის ჩექმა დაუყნოსა, რომელიც წელან მოხვდა.

მილიციელის ყურადღება ძაღლმა რომ მიიპყრო, ვერიკომ დრო იხელთა და მამას ყურში ჩასჩურჩულა: ნუ შიშობ, მე მას მილიციამდე, გზაში გავეპარებიო...

ჯაბამ იცოდა თავისი გამოჩეკილი ჩიტის ამბავი, იცოდა, ვერიკო ძმების გზას რომ ადგა, მაგრამ ასეთ უეცარ რისხვას ჯერ მაინც არ მოელოდა.

ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

— შედი, შვილო, და ჩაიცვი, — თავზე ხელი გადაუსვა ვერიკოს.

ვერიკომ წასვლა რომ დააპირა, მილიციელმა ცალი ხალი მაღლა აისროლა:

— აჰ!.. ახლა თვალიდან არ მომეფარო, გოგო, თორემ სად გსდიო მერე!..

ელენეს წიოკობა არ დაუწყია, — მეზობლებისა მოერიდა. ვინ იცის, რომელი როგორ მონათლავდა ამ ამბავს: რაღა სულ ამასთან დადის მილიციაო... მილიცია კი ქურდების, მაწანწალების, ზნედაცემულთა დასაჭერადაც ხშირად დადიოდა აბაშის კუთხე-სოფლებში...

ჯაბამ მილიციელი შინ შეიწვია:

— მობრძანდით, ბატონო (შენ დაგჭამა და სული გაგაცხებინა ყვავილა-ბატონებმა!), გათბით კერასთან...

სამზადში მესამე ჭიქა ჭაჭის არაყი რომ დაასხა ჯაბამ, მილიციელი უკვე ლაპარაკის ეშხში იყო შესული:

— მე ამნაირი (ვერიკოსკენ გაიხედა), ორი მყავს, შიში ნურაფრისა გექნება...

ჯაბამ: მაინც რაზე ეძახიან, თუ კაცი ხარ, მითხარიო.

მილიციელმა მხრები აიჩეჩა. თქმით კი არაფერი უთქვამს; ჭიქა აიღო და შუაცეცხლს იქით ავთანდილს გასძახა: მოდი, ბიჭო, შენ დალიეო! მერე ჯაბასკენ მობრუნდა:

— შენი ბიჭია?

— ჩემი ბიჭები თქვენ წაიყვანეთ... ეს მეზობელია...

ავთანდილმა წარბებქვემოდან გამოხედა მილიციელს; ვერიკოსთან იდგა და ვითომ ეხმარებოდა ჩაცმა-დახურვაში.

იქვე, საცოდავად დანაღვლიანებულ ელენეს ლოყაზე შემოედო აკანკალებული ხელი, გაშეშებული იდგა. შვილის ხმამ გამოახედა:

— დედა, შენი დიდი შალი მომეცი.

მიხვდა, რომელ შალზეც ლაპარაკობდა ვერიკო, და გაუკვირდა, რადგანაც ვერიკოს ადრე არასდროს მოუსურვებია ამ შალის მოხურვა. თვითონ ელენეც ბაზარში წასვლისას ან სატირალში თუ დაიხურავდა ამ შალს ათასში ერთხელ. მზითევში ჰქონდა მოყოლილი.

თითქმის საბნისხელა იყო, დიდი და მძიმე, ჭრელი ოთხკუთხედებით ნაქსოვი, გრძელფოჩებიანი. ისეთი შალი არავის ჰქონდა აბაშის ახლო-მახლო, ყველა შალში გამოარჩევდა ადამიანი.

ვერიკო ჩუმჩუმად რაღაცას ელაპარაკებოდა ავთანდილს..

ავთანდილი თავს უქნევდა, თანხმობის ნიშნად. იგი ბოლომდე იქ არ დარჩენილა, არაყს მიმსხდართ რომ ჩაუარა, მშვიდობა დაიბარა და წავიდა...

დედამ შალი შემოიტანა, შვილს თვითონვე მოახურა; მკერდზე ჯვარედინად შემოვლებული წკვერტები ზურგსუკან გაუნასკვა...

ასე ფუთნიდა პატარობისას თავის

ერთადერთ ქალიშვილს და სათამაშოდ უშვებდა. მაშინ რას იფიქრებდა ელენე, რომ შავი დღეები წინ იყვნენ დადარაჯებულნი. ახლა კი მილიციაში უნდა გაეშვა.

ტიროდა დედის გული, ცრემლი კი არ ჩამოსდიოდა თვალებიდან.

— მე მალე მოვალ, დედა, — გაუღიმა შვილმა მშობელს.

მილიციელი და ვერიკო გზაზე რომ გავიდნენ, ვერიკომ ერთხელაც მოიხედა: დედა და მამა ერთმანეთთან დაუბრებულებივით იდგნენ ჭიშკართან.

ასევე იდგნენ ისინი მაშინაც, ლევანი და მოსე რომ წაიყვანეს ამ გზით...

გულის რომელიღაც ძარღვი ჩაუწყდა ვერიკოს. მაგრამ ახლა ვიშვიში და თავპირში ხელების ცემა არ სჭირდებოდა...

შალი რომ მოსთხოვა დედას, მაშინ ჰქონდა უკვე მოფიქრებული გეგმა...

გზის იქითა მხრიდან დომე კუციას ცოლი მოახლოვდებოდა ჯაბას ჭიშკარს.

— რა იყო, ელენე? სად მიდის ბავშვი? — მოულოდნელად მოესმა ვერიკოს დედას მისი ხმა და შემობრუნდა.

— რაღაცა ქაღალდიაო მოსული და... — უგუნებოდ უპასუხა ელენემ...

* * *

ვერიკომ და მილიციელმა გზიდან დამბის ბილიკზე აუხვიეს და ბორნისკენ გაემართნენ.

დამბის ქვევით მეურმეებმა ჩაიარეს და თვალი გააყოლეს, მაგრამ ვერც მილიციელი იცნეს და ვერც ჭრელშალიანი...

ვერიკო წინ მიდიოდა, დუმილი მან დაარღვია.

უკანმოუხედავად ლაპარაკობდა, აუღელვებლად, უშფოთველად, ვითომ და აქ არაფერიაო:

— რა უნდა ჩემგან შენს უფროსს, ბიძია?..

— ჩქარა იარე...

სიცივე მხოლოდ სახეში სცემდა მილიციელს, სხეული არყით ჰქონდა გახურებული.

ვერიკოს ფეხებში შესცივდა, ლაპარაკს მაინც მშვიდად განაგრძობდა:

— მიმიყვან ახლა ადილარ გვაზავასთან და მიიღებ მადლობას... ფულზე რომ გადაახურდაო, რა ეღირება მისი მადლობა? შაური!..

ვერიკოსთვის სულ ერთი იყო, უსმენდა თუ არა მას მილიციელი, წინ იხედებოდა და ამ ლაპარაკში თან თავის საქმეზე ფიქრობდა.

ბორანზე რომ გადიოდნენ, შორიდანვე შენიშნა გაღმა ნაპირზე ავთანდილი და მებორნის ქალიშვილი — თავისი თანატოლი გოგონა.

რიონს გაღმა ბორნიდან ილანდებოდა კიდევ: მებორნის ჯიხური, თივის ზვინი, ზვინთან მიყუჟული, აკანკალებული თხა და — მემწვანილე დუტის კაჭარავას ცალხელიანი ორთვალა.

დუტიას ავთანდილი რაღაცას ელაპარაკებოდა; ალბათ აყოვნებდა წასასვლელად გამზადებულს...

მილიციელმა ჭრელშალმოხვეული გოგონა აბაშისკენ დუტიას ორთვალათი წაიყვანა, მაგრამ აზრზედაც არ მოსვლია, რომ იმ ჭრელ შალში, ვერიკოს ნაცვლად, გახვეული იყო მებორნის ქალიშვილი.

თვითონ ვერიკო კი ამ დროს მებორნესთან და ავთანდილთან ერთად, ჯიხურში ცეცხლს უჯდა და მოხარშულ სიმინდის მარცვლებს უგუნებოდ წიწკნიდა.

ნაცრიან წყალში იყო სიმინდი მოხარშული. იმაზე გემრიელს რას ჭამს კაცი!..

საღამოხანს აბაშაში მილიციის უფროსს — ადილარ გვაზავას მოახსენეს: თქვენი ბრძანებით, ვერა კიზირია მოყვანილია და ამა და ამ საკანში ცალკე დამწყვდეულიაო.

## მეორე ნაწილი

სანამ აბაშისწყალს შეუერთდებოდეს ცუდლარი, აბაშაში გავლისას ათასი საქმითაა დატვირთული, ათასი საფიქრალი და საზრუნავი აქვს:

— მაცხოვრისკართან წისქვილი უნდა დაუტრიალოს ჭანტურიებს...

— ტილფო თოფურიას სიმინდის ყანა უნდა მოურწყას...

— გაღმა-გამოღმა ნახირი დაარწყულოს...

— თხის ქურდ მიქას თხები დაურწყულოს...

— დილის ძილი რომ გატკბება, მაშინ წამოხტეს და ფეხშიშველამ ირბინოს იასონ ნოდიას ვენახში...

— მეეტლე ყარამანს ეტლის ბორბლები გაუსუფთაოს....

— აგნია კაჭარავასაგან აკიდებული ყოველნაირი სიბინძურე ზურგზე აიკიდოს და ზიდოს...

— ამბეკია შტერის ანკესს თევზი მოჰგვაროს...

— რომელიმე გოგოსა და ბიჭის დარდი წაიღოს...

— ოლიას, ლოლას, თებრონიას, ვარას, მაჭუტის... სარეცხი დაურეცხოს და საპნის ჰუჭყიანი ქაფის დიბა-ატლასი დაიხუროს...

— ბავშვები აბანაოს და ანებივროს გრილ მორევში (რომელიმე მათგანი არ შემოეხრჩოს, თორემ მთელი სოფელი ფეხით შესდგება ყელზე და გაგუდავს)...

— საწყალ საჩინო ჯანელიძეს, წელში გატეხილი მაღლა რომ ვერ იხედება, თავის წყლის სარკეში დაანახოს:

ცა,

მზე,

მთვარე,

ვარსკვლავები,

ღრუბლები,

ჩიტები...

და შეუცდომლად ამკითხაოს, — როგორი ამინდი იქნება მომდევნო დღეს...

ათასჯერ ათასი საფიქრალი ჰქონია ცუდლარს.

და ვერაფერს ვერ გააკეთებდა, იქ, იმ დიდ მთებში რომ არ ედოს სათავე.

ყველა ლოცავს...

ყველა ეფერება...

მაგრამ ზოგჯერ ხუშტური მოუვლის ცუდლარს და გემრიელად არაფერს არ გააკეთებს: ან მთლად მოდიდდება და გაგიჟდება, ან დაიწრიტება...

მაშინ კი:

— მეწისქვილე ჭანტურიები მიწასთან გასწორებენ...

— ტილფო თოფურია ხატთან სანთელს აანთებს და გადასცემს...

— თხის ქურდი მიქა აქეთ უწოდებს თხის ქურდს, რადგან მისი თხა ეჟოლება დამხრჩვალი და სადმე მისილული...

— გაღმა-გამოღმა ნახირი ცას შებღავლებს მის სამდურავს...

— იასონ ნოდია ვენახში მიქელ გაბრიელს მოუხმობს და მის წინაშე გააწითლებს უნამუსობისათვის, შეარცხვენს, გათათხავს ისე, რომ მერე რიონის წყალმაც ვერ გარეცხოს...

— მეეტლე ყარამანი მათრახს გადაუჭერს გაძვალტყავებულ ზურგზე...

— ანგია კაჭარავა იმ სიბინძურეს მაინც ზედ დააყრის: იყნოსე, სანამ თავი არ გაგისკდება და, როცა გინდა, მაშინ წაიღეო...

— მეთევზე, შტერი ამბეკია ჩააფურთხებს...

— ოლია, ლოლა, თებრონია, ვარა, მაჭუტი წყევლა-კრულვით აიკლებენ...

— ბალღები ქვებს დააყრიან...

და, რაც მთავარია:

საწყალი საჩინო ჯანელიძე, წელში გატეხილი მაღლა რომ ვერ იხედება, მომდევნო დღის ამინდს ვერ გაიგებს...

სათავეს შეუგინებენ და გულს მოუკლავენ ხოლმე ცუდლარს...

მაგრამ მაინც ასეთი ყოფა ურჩევნია.

ურჩევნია იმიტომ, რომ აქ სახელი მაინც ჰქვია...

მერე კი, აბაშის წყალს რომ შეუერთდება, არც სახელი აქვს, არც გვარი...

ჰკუას მას არ დაეკითხებიან და — ამინდს...

მის წამოყვანილ თევზს თუ დაიჭერენ, არავინ იტყვის: დაილოცოს, ცუდლარის თევზიაო!..

მისი მოტანილი მორით ცეცხლს თუ დაანთებენ, არავინ იტყვის: ცუდლარს ღმერთმა უშველაო!..

ასე და ამგვარად, ცუდლარი იწყება და თავდება, ოღონდ — არ იკარგება...

სადღაც მაინც არსებობს, სადღაც მაინც თავის მშობლიურ მიწაში ჩაძარღვულ ფესვებს თავს ევლება...

მხოლოდ ეგაა: არავინ უწყის მისი არსებობა...

და ცუდლარის გზაც მოუბრუნებელი გზაა...

* * *

ზამთრისპირზე გარეული იხვების მოზიდვაც იცის ცუდლარმა.

თავის პატარ-პატარა, ლაქაშიან ჭაობებს გამჭვირვალე ნისლის მაქმანს რომ გადააფენს და ცას აელანდება, იხვები ჯელგად ჩამოეშვებიან დაბლა, — ეგაა, ვიპოვეთ საზრდო და საბადებელიო...

რა ჰქნას ცუდლარმა! იმდენს აკეთებს, რამდენიც შეუძლია.

თავისი გული აქვს, თავისი სიხარული და დარდი.

მხიარულებაც შეუძლია, სულ პატარა რამე ახარებს...მაგრამ სულ პატარა რამეც დაადარდიანებს და მაშინ ტირილიც იცის ცუდლარმა...

ადილარ გვაზავა კი, უცხოელების ბაზარზე კაი ყასაბივით რომ ჩამდგარა დახლში და ჰყიდის საქართველოს ნაწილნაწილ თუ ბითუმად, ნაღდზე თუ ნისიად, — ამ ცუდლარს ზედ დამატებად ადებს, ძვალივით აპარებს სუკის ნაჭრებში...

აბა ისე, მარტო ცუდლარი ვის რა ჭირად უნდა, ვინ იყიდის!..

... ვერიკოს დასაპატიმრებლად ადილარმა მილიციელი რომ გაგზავნა კოდორში, იმ დღეს, თვითონ იხვებზე სანადიროდ წავიდა საველე ბოკუჩავასთან, აბაშაში ჩამოსტუმრებულ ინგლისელ ვაჭართან და იმ ვაჭრის ქალიშვილთან ერთად.

ძნელი გასარჩევია: მასპინძლებს ახლდნენ თუ სტუმრებს ახლდნენ მასპინძლები?!.

ინგლისელი გოგონა თოთხმეტიოდე წლისა იქნებოდა, თვითონ ისურვა სანადიროდ წასვლა, ვაჟურად გამოეწყო, ტყავის ჯუბა და ჩექმები ჩაიცვა... ადრეც ჰხლებია თურმე მამამისს სანადიროდ, თავის ქვეყანაში... მამამისს სპილოებზე და ვეფხვებზეც უნადირნია აფრიკაში, როგორც თვითონ ამბობდა.

ეს ინგლისელი ვაჭარი, თავისი ჯალაბით, უკვე კარგა ხანია სტუმრადაა აბაშაში.

მისი სტუმრობის მიზანი მხოლოდ მთავრობის კაცებმა იციან, „მდაბიო ხალხს“ არავინ ეკითხება „ბაზარში ბალი რა ღირსო“.

ინგლისელი ვაჭრის ოჯახი ალექსი ქოიავას სახლშია დაბინავებული, რადგანაც ალექსი ქოიავაზე უკეთესი სახლი არავის უდგას აბაშაში.

სამი ოთახი უკავიათ ინგლისელებს, ორი — მაღლა, ერთი ქვევით — თავიანთი მოსამსახურეებისათვის. სახლის პატრონს ფულს დოლარებით უხდიან. ეს უფრო აწყობს ვაჭარ ალექსი ქოიავასაც.

ინგლისელის ცოლს თავი უმაღლესი ფენის წარმომადგენლად მოაქვს და ქართველ გლეხის ქალებზე ამბობს: ვერაფერს ვაგებინებ, რა ხალხია, ადამიანური ლაპარაკი არ იციანო, და პაპუასებს უწოდებს მათ.

ერთხელ, — თქვენ პაპუასები ხართო, — სიცილით რომ ჩაუინგლისურა ალექსის მეზობელ ქალებს, იმ ქალებმა პირიქით, გაუცინეს...

... მონადირეებმა ცუდლართან, ერთ შემაღლებულ, მშრალ ბორცვზე ცეცხლი დაანთეს, გოგონა იქ დატოვეს და თვითონ ლაქაშებს ჩაუყვნენ.

ინგლისელ მამაკაცს ჩექმის ყელი მხრებზე ღვედით ჰქონდა აჭიმული და ბარძაყებსაც უფარავდა.

ადილარს თვალი ზედ ჰქონდა შერჩენილი...

თვითონ ადილარ გვაზავას რუსული ჩექმები აცვია, „დრაგუნსკები“. ერთი

რუსი მეგობარი რომ ჰყავს, ეს ჩექმები მან აჩუქა. ადილარს არ უყვარს ის რუსი, რომელმაც თავისი ქვეყანა გადაატრიალა და ახლა საქართველოს გადატრიალებასაც ფიქრობს...

ვერ მიართმევს ადილარ გვაზავა!...

იმ ქვეყნის გადამტრიალებელმა რუსმა აუწონავად რომ დაუყაროს ოქრო, ცუდლარს კი არა, ცუდლარში გაჩენილ ერთ ლიფსიტასაც არ გაატანს.

სად გაგონილა არაფრის მქონემ მართოს ქვეყანა!..

პროლეტარული რევოლუცია არ გააგონონ ადილარ გვაზავას, თორემ თავს არ დაზოგავს.

უცხოელი კაპიტალისტი მდიდარია. რა სჯობია მდიდარ მოყვარეს!

აბა ღარიბს თუ თვითონ ცივი მჭადი ენატრება, შენ რა მოგიტეხოს?

თვითონ თუ შარვალი მუხლებზე გადამსკდარი აქვს და ზურგზე დაკონკილი პერანგი აფარია, შენ რა მოგახუროს?..

ასე სწამს და სჯერა ადილარ გვაზავას.

მისი ძირის მეზობელი, გლეხი შამშე შამუგია კი სულ სხვანაირად ფიქრობს: ეს ადილარი უცხოელებს რომ ეპოტინება, ის კი არ იცის, დედ-მამის საფლავს ჰყიდისო. უცხოელი იმ საფლავზე ვარდს კი არ დასდებს, რბილ სავარძელს დაიდგამს და ზედ დაბრძანდება, თავის სიგარას დააფერფლებსო...

...ლაქაშებში ერთადერთი იხვი დაეშვა, ცაში კი, თოფმიუწვდენელ სიმაღლეზე, უამრავი შავი წერტილი მიყროლიყო საფანტივით.

ინგლისელმა თოფის ლულით ლერწმები გადასწია და დაფრენილ იხვს დაუწყო ძებნა.

— უთხარი ამ სულელს, არ ესროლოს. ეს ერთი სხვებს მოიხმობს-თქო, — გადაუჩურჩულა ადილარმა ბოკუჩავას.

ბოკუჩავამ ბოლო სიტყვები უთარგმნა ინგლისელს.

სამივენი, ერთმანეთის შორიშორ ჩასაფრდნენ და სუნთქვა განაბეს.

დაფრენილი იხვი თავქვე, მათკენ გამოჰყვა ცუდლარს. თავი მაღლა აეწვდინა, მიდამოს ზვერავდა, ხმას კი ჯერ არ იღებდა, დანარჩენთა მოსახმობად. ზედ თოფის სამიზნეზე დაუჯდა მონადირეებს, მაგრამ არცერთს არ უსროლია.

გარეული ფრინველი მოტყუვდა, ირგვლივ არავინ არისო, და ჰყიპ-ჰყიპი დაიწყო.

ცას მიფენილი „საფანტის" შარცვლები თანდათან დაბლა-დაბლა ჩამოეშვნენ, დამსხვილდნენ და იხვებად იქცნენ.

მონადირეებს წყლიდან ნანადირევის გამომტანი ძაღლი არ ჰყავდათ, დიდხანსაც ვერ შერჩებოდნენ ნადირობას, რადგანაც ბავშვი მარტო ჰყავდათ დატოვებული ცეცხლთან და, ვაითუ შეშინებოდა.

(მერე ამ ინგლისელ გოგონას, ბოლშევიკებისა და მენშევიკების შებრძოლებისას, ბრმა ტყვია ჰკლავს.)

ამიტომ მათი ნანადირევი იქნებოდა ის, რასაც ახლა, თითო-ოროლა გასროლით ჩამოაგდებდნენ ჩექმებით მისაღწევ ადგილზე.

ფრთების ტკაცუნი უკვე მოისმა.

ადილარმა იხვების ერთი მოსქელო გუნდი სათოფედ თავისთვის დაიგულა და სწორედ მაშინ ესროლა წყვილად, როცა ფრთოსნები წყალზე დაჯდომის წინ სულ რაღაც ერთ წამს გასწორდნენ და გაიყინნენ ჰაერში.

ესროლა და კარგადაც დაინახა, რომ რამდენიმე იხვი, ნელა დაჯდომის ნაცვლად, მოწყვეტით დაენარცხა ჭაობს.

თითქმის იმავე წუთს დასცალეს თავიანთი თოფები ინგლისელმაც და ბოკუჩავამაც.

ირგვლივ თოფის კვამლი და წამლის სუნი დადგა.

მხოლოდ რამდენიმე იხვი გადაურჩა საფანტს და საგანგაშო ყიპყიპით შეასკდა ცას...

ის პირველი იხვი, რომელიც ჯერ თვითონ მოტყუვდა და მერე, უნებლიედ, სხვებიც მოატყუა, სულ ბოლოს აფრინდა მძიმე-მძიმედ, ფრთებდაწურული, და

ალმა აუყვა დინებას მარტოდ მარტო, სხვა იხვებს არ მისდია.

— ნადირობა დამთავრდა-თქო, — წამოიძახა ადილარმა ბოკუჩავას გასაგონად და საფარიდან წამოდგა.

ბოკუჩავამ ეს სიტყვებიც გადაუთარგმნა ინგლისელს.

მშრალზე გამოვიდნენ და დინებას გაყოლილ დახოცილ იხვებს გასდიეს.

რომელმა რამდენი მოკლა, ამის გარჩევა შეუძლებელი იყო, იხვები კი ბევრი ჩანდა. ზოგი მათგანი მხოლოდ დაჭრილი იყო და წყლიდან ამოშვერილ პატარ-პატარა მეჩეჩებს აფოფხდებოდა.

შესტოპეს მონადირეებმა წყალში, დასველდნენ და არც ერთი ნანადირევი არ დაჰკარგეს.

შვიდი ცალი აღმოჩნდა სათვალავში.

ცეცხლთან დარჩენილი გოგონა იმდენი გასროლის გაგონების შემდეგ ვერ ისვენებდა, ადგილზე მხიარულად ხტუნავდა და დიდრონი, მოუსვენარი თვალებით იქითკენ იცქირებოდა, საიდანაც მონადირეები უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ერთი იხვი ცოცხლად მოუყვანა ადილარმა. მხოლოდ ცალი ფრთა ჰქონდა მოტეხილი, ღონივრად ფართხალებდა ბადეში, იკორტნებოდა...

ახლოს ჩავლილმა ვიღაც სხვა მონადირემ გამარჯობაც სთქვა და ისიც დაინახა როგორი მოწიწებით გადასცა ადილარმა ინგლისელ გოგონას ცოცხალი იხვი...

„ახე, ჩემო ადილარ! სტუმარი უნდა გაახარო, მაშ როგორ!.. მერე, საბოლოოდ რომ მიჰყიდი შენს ადგილ-მამულს, შენს ტყეს და საყანეებს, საჯიხვეებს და წყაროებს... და ცუდლარსაც ზედ დამატებად მიაყოლებ, ძვალივით რომ შეაპარებ ხუკის ნაჭრებში, — მაშინ უცხოელები უდაოდ უფრო დიდ ნადირობას მოინდომებენ. შენც, წინ რა დაგიდგება, ან რა გენაღვლება, შეიყვანე ნაკრძალებში, შენივე ფეხით გამოურეკე შვლები, ნუკრები, ნიამორები... და ახოცინე!..

... ცეცხლს ფიჩხი ბლომად დააყარეს, ნმელ ლერწმებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა და ნაპერწკლებს აყრიდა ნოემბრის სუსხიან სივრცეს...

გაშრნენ, წაიხემსეს, არაყი შესვეს (ინგლისელს ამდენი ხნის სტუმრობაში უკვე მოესწრო აქაური არყის შეყვარება და ყველაზე დიდ უპირატესობას თაფლის არაყს აძლევდა. სცოდნია კაცს პირის გემო და რას ერჩი!) და წამოვიდნენ.

ადილარი რაღაც სულ ზევით-ზევით იყურებოდა; თოფი მარცხენა ხელში ეჭირა, საჩვენებელი თითი სასხლეტთან ჰქონდა, ცერი კი ჩახმახის კინჩხზე ედო.

უცებ, სხვებისთვის სრულიად მოულოდნელად, მაღლა ასწია თოფიანი ხელი, შემდეგ მათრახივით მოიქნია ჰაერში, ნახევარწრე გაავლო და... სროლის გაგონება და ციდან იხვის მიწაზე ბათქანი ერთი იყო. თითქოს ეს იხვი ადილარის თოფის ლულაზე თასმით ყოფილიყო გამობმული და დაქნევას ძირს დაენარცხებინოს. კონდახი მკერდზე არც მიუბჯენია, ისე გაისროლა.

იხვი ორმოციოდე ნაბიჯზე ჩამოვარდა.

— აი, მესმის გასროლა, — გაკვირვებით წამოიძახა ინგლისელმა მამაკაცმა, — ისიც მარცხენა ხელით!..

საწყლე ბოკუჩავას აქ გასაკვირი არაფერი უნახავს, იგი ადილართან ერთად პირველად არ იყო წამოსული სანადიროდ.

ინგლისელმა, ბოკუჩავას მეშვეობით, თავისი ალტაცება გადასცა ადილარს. ადილარმაც, ასევე ბოკუჩავას მეშვეობით, განუმარტა ვეფხვებზე და სპილოებზე ნამონადირევ კაცს: იხვების გუნდი ერთ-ერთს რომ გამოგზავნის დასაზვერავად, ის მზვერავი თუ მოტყუვდა, მერე ახლოს არ ეკარება დანარჩენებს და მარტო დაფრენს, ვიდრე სხვა რომელიმე გუნდს შეეყრებოდესო.

ადილარმა იცოდა, ალმა კენტად გაფრენილი მზვერავი იხვი სადმე რომ გამოჩნდებოდა და ამიტომაც იხედებოდა გზაში ზევით-ზევით... იხვმა სულ დაბლა გადაიქროლა თითქმის ტყვიის სისწრაფით. დაბლა გადამფრენის წამთვლება

კი მხოლოდ სროლის დიდოსტატს თუ შეუძლია...

მოდიოდნენ მხიარული ბაასით, არაყმა და გზამ ძარღვები კარგად გაუთბო ჰაობებში ნახეტიალებ მამაკაცებს.

თავისი კარგი მონადირეობით გამოპარტავნებულმა ადილარმა მოისურვა, სტუმარი კაცისთვის სამსახურებრივი საქმიანობითაც მოეწონებინა თავი. თავი მისკენ გადახარა და გადაულაპარაკა: ხომ არ ინებებთ ისიც ნახოთ, თუ რა საცოდავები არიან მელიები, როცა ხაფანგში გაებმებიანო?

ბოკუჩავამ სიტყვა-სიტყვით თარგმნა ადილარის ნათქვამი, მაგრამ ინგლისელმა მაინც ვერ გაიგო ქარაგმა. მაშინ თვითონ ბოკუჩავამ განუმარტა: ერთი ბოლშევიკი გოგოა დაპატიმრებული — ვერა კიზირია და მის ნახვას თუ ინებებთო?

ინგლისელ გოგონას ვერას ხსენებაზე ღაწვები შეეფაკლა, ხელახლა იკითხა დაპატიმრებულის სახელი, მერე პატარა ხელჩანთა გახსნა, ფოტოსურათი ამოიღო და მასთან ერთად გადაღებული გოგონა აჩვენა „ბატონ ადილარ ძას“. ეს ხომ არ არისო?

ადილარი სურათს დააცქერდა და გაოცებულმა წამოიძახა:

— ესაა!.. მაგრამ თქვენ სად გადაიღეთ მასთან ერთად სურათი?..

— ინგლისელმა გოგონამ ვერიკო ორი თუ სამი კვირის წინათ გაიცნო.

ჰადრიანში სეირნობდა მშობლებთან ერთად. ვერიკომ შემთხვევით თვალი მოჰკრა თანატოლ გოგონას და დააკვირდა მის მდიდრულ ჩაცმულობას... ინგლისელ გოგონასაც თვალში მოუვიდა ეს „ველური ტომის“ ლამაზი წარმომადგენელი და გაუღიმა; დედამას სთხოვა ვერიკოსთვის გაუგებარი ენით: შეიძლება დაველაპარაკოო? დასტური რომ მიიღო, ნელა წამოვიდა ვერიკოსკენ და ხელი გაუწოდა.

— მე მინდა გაგიცნოთ!..

ორივე იღიმებოდა, ორი ფერია იდგა ჰადრების ხივანში.

— არ მესმის, — ქართულად გაეპასუხა ვერიკო უცნობს.

მათ მისასალმებლად ჩამორთმეული ხელები ჯერაც არ მოეცილებინათ ერთმანეთისთვის.

უცხოელ გოგონას რამდენიმე ბეჭედი ეკეთა თითებზე. ვერიკო უნებლიედ დააკვირდა ბეჭდებს. უცხოელ გოგონას ეს არ გამოპარვია. ერთი ლამაზთვლიანი ბეჭედი უმალვე წაიძრო და ვერიკოს გაუწოდა:

— ეს შენი იყოს!..

— გმადლობთ. არ მინდა... — თავი გაიქნია ვერიკომ უარის ნიშნად.

სტუმარი გაიბუტა:

— მე მინდა გაჩუქო! თუ არ გამომართმევ, მეწყინება...

მათ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდათ, მაგრამ მაინც იოლად გაუგეს ერთმანეთს.

უცხოელმა ვერიკოს თვითონ მოარგო ბეჭედი თითზე.

— მე რომ არაფერი მაქვს სამაგიერო საჩუქარი?!.

გოგონებმა გადაიკისკისეს და ერთმანეთს ხელი მოხვიეს.

ინგლისელმა მამაკაცმა აპარატი მოიმარჯვა ბავშვებს სურათი გადაუღო.

ეს სურათი ეჭირა ახლა ხელთ ინგლისელ გოგონას. ადილარმა ფრთხილად გამოართვა და უფრო დაჟინებით დააცქერდა:

— ოოო! სწორედ ეგაა!.. გთხოვთ წამობრძანდეთ!..

ინგლისელი გოგონა მამას ეკრა და შეევედრა:

— წავიდეთ, მამა!.. გთხოვ!.. მე მინდა ვნახო, რა საცოდავები არიან მელიები, როცა ხაფანგში მოემწყვდევიან...

ეს — ადილარის სიტყვები გაიმეორა გოგონამ მის გამოსაჯავრებლად, მაგრამ ბოკუჩავას არ უთარგმნია და ამიტომ ადილარსაც არ გაუგია.

მილიციისკენ წავიდნენ.

„მიდი, მიდი, ადილარ გვაზავა! რა გენაღვლება! მერე, ყველა ბოლშევიკს რომ დააპატიმრებ და დასახვრეტად გაიყვან, სხვებსაც დაუძახე — ინგლისე-

ლებს, გერმანელებს, ფრანგებს... და აყურებინე სეირისთვის... ჰაი, ჯიმააჯამი!.. შენი ასეთი სიყვარული ააშენებს საქართველოს!..“

მილიციის უფროსის კაბინეტში იდგა ორი მაგიდა, ერთი — ადილარისთვის, მეორე — თათბირზე შემოსულთათვის, გრძელი ძელსკამი, რამდენიმე სავარძელი და თუნუქის ღუმელი.

ადილარი სტუმრებს რომ შეუძლვა, მოხუცი, ყრუ დარაჯი კარისკენ ზურგშექცევით ღუმელთან დაჩოქილიყო და ცეცხლს სულს უბერავდა.

ადილარმა მას ტალახიანი ჩექმით პანღური ამოჰკრა და თავით კინაღამ ღუმელში შეაგდო. სტუმრებს კი, ხელგაშლით, მობრძანდითო, მიმართა და სავარძლები მიუჩოჩა.

გაპანღურებულ დარაჯს შუბლი ალბათ ღუმელის ძგიდეზე მოუხვდა, სისხლი გადმოსდიოდა. ზედ ხელი აიფარა და უხმოდ გაეცალა იქაურობას.

ადილარმა თვალი ჰკიდა მოხუცის გასისხლიანებულ შუბლს და, ეჰ, ეს კი ზედმეტი მომსვლიაო...

თავის მაგიდას მიუჯდა, პატარა ზარი აიღო და დააწკრიალა გაბმულად.

მილიციელებმა ადრევე ნახეს უცხოელები და თავი სხვანაირად ეჭირათ, საქმიანად მიმოდიოდნენ აქეთ-იქით, ყური კი ადილარის კაბინეტისაკენ ჰქონდათ.

ადილარმა ზარის ქნევა რომ დაამთავრა, მორიგე მილიციელი უკვე კარგა ხნის შემოსული იყო და კართან გამოჭიმული იდგა.

— მოიყვანეთ! — ხმა დაიბოხა ადილარმა.

— ვის მოყვანას გვიბრძანებთ, უფროსო? — შეჰბედა მორიგემ. მას რატომღაც ეგონა, რომ ადილარი თავის მოადგილეს მოუხმობდა...

— ის ბოლშევიკი გოგო, — ამ სიტყვებს ადილარმა გაჭიმულად მიაყოლა — ვერა კიზირიაო და ბოკუჩავას თვალით ანიშნა, ეთარგმნა სტუმრებისათვის მისი ნაბრძანები.

ბოკუჩავამ თავისებურად თარგმნა:

— ახლა შემოიყვანენ იმ „მელიას“, რომელიც ხაფანგში გაება.

ინგლისელმა გოგონამ ტუჩები ბრაზიანად მოკუმა. მას ახლა ქვეყნად არავინ და არაფერი ისე არ ეზიზღებოდა, როგორც მაგიდასთან ხელმწიფესავით გამოჭიმული ეს წვრილთვალება კაცი. გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი შემოიყვანდნენ ვერას, გვერდით ამოსდგომოდა და არავისთვის მიეცა უფლება მისი აბუჩად აგდებისა; მერე კი მამისთვის ეთხოვა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ პატიმარი.

ინგლისელმა კაცმა ბოკუჩავას ნათარგმნი რომ მოისმინა, კმაყოფილების ნიშნად თავი ოდნავ დახარა, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში ფეხი ფეხზე გადაიდო, ჩამქრალ სიგარას მოუკიდა და წარმოსთქვა:

— ფრიად ჩინებული და ოპერატიული ბრძანდება ბატონი (სახელი დაავიწყდა)... მესმის ასეთი პოლიციელი!.. ჩვენთან კი დონდლოები არიან... გალიაში დამწყვდეული სპილო გაექცევათ...

გაუგებარია: რაში სჭირდებოდა ამ ინგლისელს ადილარ გვაზავას გულის მოგება, თავისი ქვეყნის პოლიცია სამასხროდ რომ აიგდო?!

ინგლისელმა სათქმელი რომ დაამთავრა, სრულიად უადგილოდ გადაიხარხარა.

ადილარმა ბოკუჩავას შეხედა და ვითომ იხუმრა:

— რაო, კაცო? ხომ არ გვაგინებს, ჰა? — და თვითონაც ჩაიხარხარა უგემურად.

კარი გაიღო, ჯერ მორიგე შემოვიდა, მერე ჭრელთავშლიანი გოგონა და ბოლოს — თოფიანი მილიციელი.

ინგლისელმა გოგონამ ჭრელთავშლიანს შეხედა, დააკვირდა, დააკვირდა და დაბნეულად წაიჩურჩულა:

— ეს ის არ არის!..

ადილარი ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას, ნელნელა წამოიწია, პატიმრისკენ დაქაჩა მზერა, თვალი რამდენჯერმე დახუჭა და ხელახლა გაახილა... მერე ისევ ნელნელა ჩაეშვა სავარძელში, მთე-

ლი სხეული მოუდუნდა, ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა...

აქ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაისმა:

ინგლისელმა ვაჭარმა თქვა: მე მეგონა, მართლა ვინმე ალქაჯი გყავდათ დამწყვდეული!.. ეს ხომ ბავშვიაო!..

ბოკუჩავამ:

— ჰმ!.. ჰმ!.. ჰმ!.. ადილარ ბატონო!.. სად არის ის?..

თვითონ ადილარმა ჯერ გამოჯგიმულ მილიციელს შეხედა, მერე — ჭრელთავშლიანს და თითოეულს თავთავისი შეკითხვა მიახალა:

— ვინაა ეს.. ვინა ხარ შენ?..

მილიციელმა მარჯვენა ხელის ორი თითი საფეთქელთან მიიდო, ჩექმის ერთი ქუსლი მეორე ქუსლს მაგრად მიარტყა და უფრო გაიჭიმა, თქმით ვერაფერი თქვა...

ჭრელთავშლიანმა გოგონამ თავშალი უკან გადაიწია, მზით დამწვარი პირისახე ფართოდ გამოაჩინა და აკანკალებული ხმით წარმოსთქვა:

— მე მამაჩემთან ვიყავი ბორანზე, ორთვალას გამოვყევი აქეთ, ეს (მილიციელისკენ ხელი გაიშვირა) ჩემს უკან დაჯდა და აბაშაში რომ ჩამოვედით, არ გამიშვა... არ ვიცი, რას მემართლება...

ეს რომ თქვა მებორნის ქალიშვილმა, ასლუკუნდა...

...მილიციიდან წამოსულ მებორნის ქალიშვილს რკინიგზის გადასასვლელთან შემოხვდნენ ვერიკო და ავთანდილი და კოდორისკენ სიცილ-სიცილით წავიდნენ...

ლურჯად ჩამოთოვა სამეგრელოს მთები და ბარშიც აცივდა.

ვერიკოსთვის უკვე საშიში იყო ადილარ გვაზავას სამფლობელოში გამოჩენა.

ფრიხილობდა, ასი თვალით და ასი ყურით დადიოდა...

ჩიტს სივრცე უნდოდა საფრენად და ფრენისა ეშინოდა, რადგანაც უშქარი სვავი ირეოდა იმ სივრცეში...

ვარდს გაშლა და მზის ქვეშ ლაღი რხევა ენატრებოდა, მაგრამ ბორიოტიქარი სწეწავდა მზის სხივებს...

ზღვას მოანგრევდა ცალ ხელზე დოლაბ-აკიდებული ჭაბუკი. ქალწული სანთელს უნთებდა გზის მანათობლად, მაგრამ ავსული ბებერი უქრობდა სანთელს...

... რკინიგზა გადმოიარა ვერიკომ, ბიქტორის სახლისკენ ტალახიან გზას გაუყვა, ხრეშდაყრილი მშრალი გზა საშიში იყო, რადგანაც იქ მილიციელებს უყვარდათ გავლა-გამოვლა.

ზურგსუკან ფეხის ხმა შემოესმათ, არ მოუხედავს, არც შეშინებია.

მხარზე ვიღაცის ხელი რომ შეეხო, მაშინღა შეკრთა და შემობრუნდა.

თავისი ტოლი, სუჯუნელი ებრაელი — სამუელ იზრაელაშვილი უღიმოდა.

— რა იყო, სამუელა, — წარმოსთქვა ვერიკომ და საკუთარი ხმის კანკალი იგრძნო, — როგორ შემაშინე!..

— სათქმელი მაქვს შენთან, ვერიჩკა!..

ვერიკომ იცოდა, სამუელს მისი მეგობარი გოგონა, — მენშევიკ სავლე ბოკუჩავას ქალიშვილი რომ მოსწონდა. თვითონ სამუელისგან არ გაუგია ეს, მაგრამ ხედავდა და სჯეროდა.

ვერიკო იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ქრისტიანი კაცი — სავლე თავის ქალიშვილს ებრაელს არ გაატანდა, სამუელის მამა კი — თავის ვაჟს ქრისტიანს არ ათხოვინებდა და, რაც მთავარია: სავლეს, გარდა თავისი ქალიშვილისა, ყველა ახალგაზრდა, სამუელიანად, მოთვლილი ჰყავდა ბოლშევიკებად და ბოლშევიკს, ებრაელიც რომ არ ყოფილიყო, სიძედ არ დაისვამდა. ის კი არ იცოდა სავლემ, რომ მისი ქალიშვილიც ჩუმჩუმად სპარტაკელებს ეხმარებოდა...

ვერიკო მიხვდა, რომ სამუელი ახლა სავლეს გოგოზე დაუწყებდა ლაპარაკს.

რაღაცნაირი, შეუცნობელი სიამოვნება იგრძნო შეყვარებულ ჭაბუკთან საუბრის მოლოდინში: აბა, როგორი სიყვარული იციან მამაკაცებმაო.

ფედია წარმოუდგა თვალწინ.

„სად არის ნეტავ ფედია?.. იქნებ

უჭირს რამე ციხის კედლებში გამომწყვდეულს?..“

სამუელს შეხედა:

— რა გაქვს სათქმელი, სამუელ? თქვი, რისა გერიდება!..

— მიმიღეთ თქვენს ჯგუფში! დედას გეფიცები, სირცხვილს არ გაჭმევთ...

ვერიკოს დიდხანს სალაპარაკოდ არ ეცალა, ამიტომ თვითონვე შეუმოკლა სამუელს გზა მთავარი სათქმელისაკენ:

— შენ ჩვენი ჯგუფი კი არ გაინტერესებს, სხვა რამე გაწუხებს... რა ეშმაკი ხარ!..

— რა უნდა მაწუხებდეს?.. დედას გეფიცები...

— ნინოსთან გინდა დაახლოვება...

სამუელმა თავი ჩაჰკიდა.

ვერიკომ ფიქრიანად ჩაილაპარაკა:

— ძნელია სიყვარული, ხომ? — და ღრუბლიან ცას გახედა.

შავ ღრუბლებში ციხის გისოსებიანი სარკმელი გამოიკვეთა და იმ რკინის გისოსებზე თითებით ჩაბღაუჭებული ფედია გამოჩნდა.

თვალები სველი ჰქონდა ტუსაღს, რაღაცას იძახდა...

ვერიკოს თუ უხმობდა გაწამებული!..

... მკლავზე დოლაბ-აკიდებული ჭაბუკი მოანგრევდა მრუმე ღრუბლებს — ზღვის ტალღებს. ქალწული სანთელს უნთებდა გზის მანათობლად...

— ძნელია სიყვარული, სამუელ! — ტუჩების მოძრაობითღა გაიმეორა ვერიკომ.

სამუელს სევდის მარმაში გადაეფინა სახეზე, თვალები მოეჭუტა.

ვერიკო დაბეჯითებით პირველად დააკვირდა ჭაბუკს და მოეწონა შესახედავად.

ადრე არასოდეს დაკვირვებია ასე.

„რჯულის სამართალს რა ვუთხრა, თორემ ეს და ნინო მართლაც რომ შესაფერისები იქნებოდნენო...“ — ეს გაიფიქრა, ისე კი სხვა რამ თქვა:

— სავლე არ გამოგატანს!.. და კიდევ: მამაშენი გათხოვებს ქრისტიან გოგოს? რას ამბობ!..

— მოვკლავ მამაჩემს!.. დედას გეფიცები...

— ქალის გულისათვის მამას კლავ? — გაიცინა ვერიკომ.

— აბა რა ვქნა? მირჩიე რამე!

ვერიკომ ურჩია:

— მოიტაცე!

— კარგი ახლა, ვერიჩკა, ნუ მეხუმრები, დედას გაფიცებ...

მართლა ძნელი გასარჩევი იყო — ეხუმრებოდა ვერიკო სამუელს თუ სერიოზულად იზიარებდა მის გულის ვარამს?! გონების თვალით სულ სხვაგან ტრიალებდა, სხვა საფიქრალი გასჩენოდა და ამ საუბარში ერთოც სულ თავისკენ მოჰქონდა:

—რაღაც საგმირო საქმე უნდა უჩვენო საყვარელს, სამუელ. ისე როგორ შეგიყვაროს!

— მიმიღე და ნახე, რა დღე ვაყარო ადილარ გვაზავას მილიციას.

— ჩუმად! ვინმემ არ გაიგოს, — ხმას დაუდაბლა ვერიკომ, — მე რომ მიგიღო, სხვები უარს იტყვიან. მამაშენი ვაჭარია...

— ვიცი, რატომ არ გინდივართ... ებრაელი რომ ვარ!..

— ეგ რა შუაშია, სამუელ! ებრაელი არ იყო იცკა რიჟინაშვილი?..

— არც გამიგია, ვინაა, — ხელი უიმედოდ ჩაიქნია სამუელმა, მერე თითქოს რაღაც გამოსავალს მიაგნოო, უცებ შემობრუნდა ვერიკოსკენ: — თქვენ ფული გჭირდებათ... მე ბევრს მოვიტან.

— რომ მიგიღოთ, ჯერ უნდა დაიმსახურო...

ვერიკო გრძნობდა, სამუელს მენშევიკური მთავრობისკენ დამიზნებული თოფის ჩახმახი შემართული ჰქონდა და ერთი სიტყვა-ღა იყო საჭირო, რომ სასხლეტისთვის თითი გამოეკრა...

„რა სულელები არიან ზოგიერთნი, გამიჯნურებულნი! სატრფოს გულისთვის მამას კლავენ! იქნებ სამშობლოც გაჰყიდონ?!. არა! ვერიკოს არ სწამს ასეთი ადამიანებისა!..

მაგრამ ახლა, ამ წუთას, ვერიკოს ერთი სიტყვაა საჭირო, რომ სამუელმა იმ

სასხლეტს თითი გამოჰკრას. კამეჩს თუ ვერ მოკლავს, ზეღურას მაინც ხომ ჩამოაგდებს!..“

...სამოქალაქო ომის ცეცხლმოდებულ რუსეთს ერთი ფხიზელი თვალი კავკასიისკენ ჰქონდა მოპყრობილი, რათა კავკასია არ გადაქცეულიყო მის საწინააღმდეგო არენად.

საქართველოს მენშევიკურმა და აზერბაიჯანის მუსავატურმა მთავრობებმა უარი უთხრეს რუსეთს დენიკინელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ხელშეკრულების დადებაზე.

ისინი, პირიქით, ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ საბჭოთა რუსეთს.

ომში თითქმის ტყავგამძვრალ დენიკინის ჯარის ნაწილებს მალულად ხელს უმართავდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა: გზას უთმობდა და საფრთხისგანაც იცავდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ფოთამდე.

რუსეთისათვის თვალის ასახვევად: ჩრდილოეთში განაიარაღებდნენ დენიკინელებს, ფოთში კი კვლავ დაუბრუნებდნენ თავიანთ საბრძოლო საჭურველს, რომ ყირიმში გაეღწიათ და კვლავ ჩაბმულიყვნენ რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკების — საკუთარი, ან მუსავატელებისაგან ნაფეშქაშევი რესურსებითაც უმართავდნენ ხელს დენიკინელებს.

მენშევიკების ასეთი მოქმედება კარგა მოზრდილი ყუმბარა იყო — რუსეთის ჯერ მოუღონიერებელი სახელმწიფო ციხე-სიმაგრის ბალავარში ჩუმად ჩადებული.

ლენინის მრავალჯერად გაფრთხილებას მენშევიკები ცალი ყურით ისმენდნენ და თავიანთ საქმიანობას კვლავ თავისებურად განაგრძობდნენ.

მაშინ, რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ საქართველოს ბოლშევიკებს დაავალა, რამდენადაც მოახერხებდნენ, ხელი შეეშალათ მენშევიკებისათვის ამ მოქმედებაში.

ძნელი და უთანასწორო იყო ბრძოლა. კოლხეთის ბოლშევიკებმა წიგნში ჩასაწერი ორიოდ რამის გაკეთება მაინც შესძლეს ამ მხრივ.

ერთი: ფოთში ბოლშევიკმა ფაჩულიამ ააფეთქა ყირიმისაკენ წასასვლელად ღუზაახსნილი, დენიკინელებისათვის მისატანი ნავთით დატვირთული გემი.

ააფეთქა და პორტიდან ქალაქის ბაღისკენ გაიქცა. მაგრამ მენშევიკმა გვარდიელმა შვიდი ტყვიით დაცხრილა იგი. თვით გვარდიელიც გვარად ფაჩულია ყოფილა...

მეორე დავალების შესრულება ახლა იდგა დღის წესრიგში: თბილისის ბოლშევიკებმა ცნობა მიიღეს, — ფოთისკენ უნდა წასულიყო დენიკინელთა სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული ეშელონი, სულ სამი ვაგონი.

თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დაავალა ხაშურელ ბოლშევიკებს არ გაეშვათ იგი წიფის გვირაბს იქით.

ხაშურში ეშელონის აფეთქება დაევალა სამ ბოლშევიკს: ძმებს — გიორგი და არჩილ სარალიძეებს და ალექსანდრე ტაბატაძეს.

ეშელონთან ერთად, დასავლეთის მიმართულებით მიდიოდა რკინიგზის ტერიტორიული დაცვაც.

დამცველ თეთრგვარდიელებს უფლება ჰქონდათ ნაბრძანები: ეშელონის მოახლოებისას რკინიგზისკენ მიმავალი ყველა უცხო პირი, ურჩობის შემთხვევაში, ადგილზევე, გაუსამართლებლად მოეკლათ...

სამი ხაშურელი ბოლშევიკი, ბომბებით, ლიხთან ჩაუსაფრდა ეშელონს.

და თითქოს ყველაფერი კარგად ვითარდებოდა...

მაგრამ ბოლშევიკები გასცა ვიღაც ჯაშუშმა.

ბომბები არ აფეთქებულა. გიორგი, არჩილი და ალექსანდრე სახალხოდ დახვრიტეს ხაშურის ვაგზლის მოედანზე სადგურის თეთრი ქვის კედელთან.

(მათი დახვრეტის ადგილას მემორიალური დაფა არ არის, თუმცა არც ის ძველი კედელია ახლა იქ, ჩემო თოვლისა!)

ხაშურიდან ეშელონის გასვლა შეყო-

ვნდა. მას სახალხო მატარებელმა გაასწრო და ქშენით შებობლდა წიფის გვირაბში.

ხაშურის ბოლშევიკებს იმედი არ გასწყვეტიათ, სახალხო მატარებელს თავიანთი კაცი გააყოლეს და სენაკის მაზრის ბოლშევიკებს შეუთვალეს: დავალება ჩვენ ვერ შევასრულეთ, ახლა ჯერი თქვენზეღა დარჩაო.

სენაკის მაზრის ბოლშევიკებმა, მიიღეს თუ არა ეს ცნობა, დაადგინეს: ეშელონზე თავდასხმა მოემზადებინათ ორ ადგილას, აბაშისწყალთან და სენაკს იქით, ძნელმისადგომ ჭანჭრობთან.

ვინიცობაა, თუ აბაშისწყალთან აფეთქება ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ჭანჭრობთან გაგზავნილთ უსიკვდილოდ უნდა შეესრულებინათ დავალება, ან დახოცილიყვნენ, რადგანაც ეს იყო უკანასკნელი წერტილი.

აბაშისწყალთან ეშელონის აფეთქება დაევალა ორ ჯგუფს — რკინიგზაზე ორივე მხრიდან თავდასასხმელად.

ერთ ჯგუფში შედიოდნენ: პარტყა შელეგია, ჯოკია შონია და სევე გუგუშვილი. მათ მეოთხე თანამებრძოლად ეახლებოდა სპარტაკელი ბიქტორ კაჭარავა, — ასეთ საქმეში, ბავშვს ზოგჯერ მეტის გაკეთება შეუძლიაო.

მეორე ჯგუფში იყვნენ ბაგრატ კუცია, რაჟდენ სიმონია და იონა ბერიძე.

აფეთქება მოხდებოდა არა ხიდთან, არამედ ხიდს აქეთ, რადგანაც ხიდის აფეთქება თვითონ გლეხკაცობას მოუტანდა ზიანს: მათ ლუკმა-პური ძირითადად ფოთიდან შემოჰქონდათ და დანგრეულ ხიდს, ვინ იცის, როდის აღადგენდა მთავრობა...

ვერიკომ ეშელონის ასაფეთქებლად მზადების ამბავი საიდუმლოდ იცოდა მამანტი ხაბეიშვილისაგან. სწორედ ეს ამბავი არ შორდებოდა ვერიკოს გონებას სამუელთან საუბრის დროს.

ეშელონის აფეთქება ამაღამ უნდა მომხდარიყო.

ვერიკომ სამუელს თვალებში ჩახედა და გამომცდელად ჰკითხა:

— მშიშარა ხომ არა ხარ?

სამუელს გაეცინა:

— რას ამბობ, ვერიკო!..

— აბა მე მოგცემ ერთ დავალებას...

— ისეთი რა იქნება, შემაშინოს?..

ვერიკომ ღრმად ამოისუნთქა:

— ეჰ, სამუელ, სამუელ! ძნელია სიყვარული, არა?.. აბა გამომყევი და ვნახოთ, რა გულადიცა ხარ!.. თუ მჭადი გიყვარს, თოხნაც უნდა გიყვარდეს.

სამუელი სიხარულით ცას ეწია და ვერიკოს გულუბრყვილოდ შეჰპირდა, ოქროს ყელსაბამს გაჩუქებო...

ვერიკოს უკვე ახალი საქმე გაუჩნდა და გზის გეზიც შეიცვალა...

... იმ ღამეს ბიცოლას სახლში დარჩა, ბიქტორის დედასთან. ბიქტორი ფოთში გააგზავნესო, იცრუა, თვითონ კი კარგად იცოდა, რომ ბიქტორი იმ წუთას სადმე რკინიგზასთან იქნებოდა ჩასაფრებული უფროს ამხანაგებთან ერთად...

შუაღამე მოახლოებული იყო, მებონიას დუქნის უკანა კარიდან თეთრგვარდიელის ფორმაში გამოჭიმული, შავულვაშგადაგრეხილი სამუელი რომ გამოვიდა.

მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა, ალბათ ბომბები ეწყო ჯიბეებში; ქუდი გვერდულად ჩამოეწია წარბებზე. ნამდვილ ჯარისკაცს ჰგავდა.

საჭილაოსკენ მიმავალ გზას დაადგა, აბაშისწყლის საპირისპირო მხარეს.

სამუელმა არ იცოდა, რატომ უნდა აეფეთქებინა ეშელონი. არც ის იცოდა, რომ იმავე ეშელონს ასაფეთქებლად მის შემდეგ კიდევ ორ ადგილას ელოდებოდნენ ბოლშევიკები.

სამუელს ჰქონდა ვერიკოსგან მიღებული დავალება და უნდა შეესრულებინა!

მორჩა და გათავდა!

თანდათან ქრებოდა შუქი აქა-იქ მოკიაფე ფანჯრებში. ბოლოს სულ სიბნელეში ჩაეფლო მთელი გარემო.

მისდო აბაშამ დაღლილი თავი ღამის ბალიშზე და გადავიდა სიზმარეულ მხარეს.

ვერიკომ ვერ იქნა და ვერ მოატყუა თვალი.

იწვა და შესცქეროდა ფიქრებით დამძიმებულ სიბნელეს.

ახლა მოეგო გონს: ვინ ავალებდა ასეთი საბრძოლო განკარგულების გაცემას? არავისთან შეუთანხმებია, არავისთვის უკითხავს რჩევა, თავათ აიღო ყველაფერი თავისთავზე.

სამუელი რომ დაიღუპოს, რა თვალით იაროს მერე ვერიკომ სამზეოზე?

ადამიანის ცოდვა მარტო მას დააწვება კისერზე, მარტო მას!..

„ღმერთო, შენ დაიფარე სამუელი!

უფალო ექმენ მწედ სამუელს!..“

იქითა საწოლში ბიქტორის პატარა ძმა სიზმარში რაღაცას ბუტბუტებდა...

ვერიკო წამოდგა, პალტო მოიხურა და აივანზე გავიდა.

გაყინული მდუმარება იდგა გარეთ. ვარსკვლავებით მოკენჭილი ცაც გაყინული ეჩვენა ვერიკოს.

ყურთასმენა საჭილაოსკენ მიაპყრო, სადაც ეშელონს დადარაჯებული სამუელი ეგულებოდა. რატომღაც ღრმად სწამდა, რომ აბაშისწყალთან ჩასაფრებულებზე ადრე ეშელონს სამუელი აუგებდა ანდერძს.

და, მართლაც გამართლდა ვერიკოს ვარაუდი: წუთიც არ იყო გასული, რომ უცებ საჭილაოს მხრიდან მოისმა აფეთქების ხმა.

ვარაუდი გაუმართლდა, მაგრამ ლოცვაც თუ აუხდა, ეს არ იცოდა და ახლა ვერც გაიგებდა...

საჭილაოდან აფეთქების ხმა რომ მოისმა, აბაშისწყალთან თოფების სროლა ატყდა.

ვერიკო დაიბნა, თავგზა აერია გაოგნებულს. მაგრამ გულმა მაშინვე უგრძნო, — კარგი რამ ამბავი არ უნდა ყოფილიყო მისი ამხანაგების თავს...

ტანთ ჩაიცვა და ყორე-ყორე, მინდორ-მინდორ კარგახნის სიარულის შემდეგ მამანტი ხაბეიშვილის ეზოს მიადგა უკანა მხრიდან.

მამანტი ვერიკოზე მეტად იყო გაოგნებული. იგი აფეთქების ხმას მხოლოდ აბაშისწყლის მხრიდან მოელოდა. ვერ მიმხვდარიყო, რა აფეთქდა საჭილაოსთან და ვინ ატეხა სროლა აქეთ, აბაშისწყალთან?!

ვერიკომ ახლა გაუმხილა უფროს ამხანაგს სინამდვილე: საჭილაოსთან ეშელონის აფეთქება მე დავავალე იზრაელაშვილის ბიჭსო...

მამანტი გაშრა...

ორთავეს ერთი ფიქრი და ცეცხლი დაუტრიალდა გულში: „მაშინ, აბაშისწყალთან თოფების სროლა რა იყო?“

ეზოს ბოლოში ჩაღამებულ თხილიანიდან ხმელი ტოტების ტკაცანი და მოკლე სტვენა მოისმა.

— რომელი ხარ! — ნელა გასძახა მამანტიმ.

აბაშისწყალთან ეშელონის ასაფეთქებლად გაგზავნილნი აღმოჩნდნენ, ოღონდ, შვიდის ნაცვლად, ოთხნიღა იყვნენ.

მამანტიმ სამზადში შეიყვანა ისინი.

ჭრაქი არ აუნთიათ, ღია კარიდან შემოსული ღამეული სინათლე იკმარეს.

საუბარში ბუნდოვნად გამოკრთა საქმის ვითარება: ზუსტად დათქმულ წუთზე რკინიგზის ორივე მხრიდან ჩოჩვით დაძრულან შვიდივენი. ყოველგვარი სროლისა და ხმაურის გარეშე უნდა „დაედუმებიათ“ რკინიგზის გუშაგები.

ერთ-ერთ გუშაგს შორიდანვე შეუნიშნავს მისკენ წამოსული საეჭვო ლანდი და ორი თუ სამი შეძახებისა და გაფრთხილების შემდეგ, ტყვია ზედ მიუხლია.

ამ პირველსავე გასროლას წაუქცევია იონა ბერიძე...

... რაჟდენ სიმონიას ერთი გუშაგისთვის მიპარვით, უკანიდან ფეხი გამოუკრავს, ლელობურთში რომ იცოდა ისე, და წაუქცევია. წაქცეულს თვითონ რაჟდენისთვის ამოუცლია დანა ჩექმის ყელიდან და, ჰა და ჰა, უნდა ეტაკებინა მუცელში, — რაჟდენი ყელში სცემია ამ დროს...

— გავგუდე... მოვახრჩვე... — გაიძახოდა ახლა რაჟდენი, — ჩასისხლიანე-

ბული თვალები მუგუზლებივით უღვიოდა დილის გაცრეცილ ბინდში: — ენა გადმოუვარდა, სულ პირდაპირ მიყურებდა. მინდოდა შევშვებოდი, მაგრამ თითები ვერ ავაგლიჯე, გაშლის მაგივრად უფრო მეკუმშებოდნენ.

მერე თითქოს გაიღიმა რაჟდენმა და სათქმელი ჩურჩულით დაამთავრა: — ვიცანი... ჩვენი მარკოზა მეწისქვილის ბიჭი იყო... ბონდო...

კანკალებდა რაჟდენი, ძიგძიგებდა.

... პირველ გასროლას სხვა გუშაგებიც აჰყოლიან და განგაშის ასატეხად კიდევ რამდენჯერმე დაუცლიათ თოფი.

(სწორედ იმ სროლის ხმა იყო, ვერიკოს რომ მოესმა შორიდან.)

იქით მხარეს სხვა ბრძოლა და ჭიდილი გაჩნდა თურმე.

ბიქტორს და ლუკას დრო უშოვიათ, ლომით და უშველებელი გაზით ცალი ლიანდაგის ბოლო — შპალიდან აუძვრიათ და განზე გაუწევიათ.

ეშელონი აქედან გზას ვერ გააგრძელებდა...

მაგრამ მას აქამდე არ მოუღწევია...

უფიქრიათ: ალბათ იგვიანებსო...

მატარებელი კი არა, მზე არ ამოდიოდა და ჩადიოდა მაშინ საქართველოში თავის დროზე, ზუსტად...

მერე?

ბიქტორს და ლუკას უცდიათ დაცემულ თანამებრძოლებთან მისვლა, — მკვდარი მაინც არ დავკარგოთო!..

ვერ მოუხერხებიათ...

ოთხნი მოგროვილან და, აი, ახლა სწორედ ისინი ისხდნენ მამანტის კერასთან — დაღლილნი, ჭირგამოვლილნი...

... რაჟდენი კანკალებდა, ძიგძიგებდა; მამანტის მხარზე მიეკრა: მიშველე რამე, მცივა და გამათბეო. მაგრამ მისი სხეული ცეცხლმოკიდებულივით იყო...

ვერიკო თითებს იმტვრევდა და ტუჩებს იკვნეტდა. მას კი მართლა სციოდა. სციოდა არა ბუნებრივი სიცივით, არამედ ნერვიულობით, მათს თავზე დატრიალებული უბედურების საშინელებით. თავის თავს თვლიდა დამნაშავედ, რომ სამუელს ააფეთქებინა ეშელონი.

რაღა სამუელი გახდა ამ საქმის გმირი? აგერ, გაწამებულან მეგობრები, ერთიც — დაღუპულა. ბარემ მათ მოელოთ ბოლო იმ ეშელონისთვის...

დილის გრილი სული ჯერ არ იყო დაძრული, გვარდიელთა ყაზარმებიდან ბუკის ხმამ სივრცე რომ შესძრა და მთელი არემარე ნაადრევად გამოაღვიძა.

აბაშაში აქამდე გაუგონარი განგაში ატყდა.

ხიშტების მესერში მოქცეული დაბა მოიბუზა...

მამანტიმ რკინიგზიდან მოსულებს თავთავიანთ სახლში წასვლა ან სადმე სხვაგან დამალვა ურჩია, რაჟდენი, რამდენადაც შეეძლო, დაამშვიდა და თვითონ ვერიკოსთან ერთად დაბისკენ გაეშურა.

უკვე მილიციაც ჩაბმულიყო საქმეში.

ადილარ გვაზავა ცხენს ზევით-ქვევით დააგელვებდა და მოკეცილ მათრახს ჰაერში ატრიალებდა.

აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ ყველას, აღვიძებდნენ ჯერ კიდევ მძინარ ოჯახებს და აწიოკებდნენ... იგინებოდნენ, ილანძღებოდნენ...

მოისმა რამდენიმე გასროლაც, მოკვლით არავინ მოუკლავთ, ალბათ ჰაერში ისროდნენ შესაშინებლად.

უდროო დროს წამოყრილი გვარდიელები, ძილაყოლილნი, უაზროდ სხლეტდნენ თოფის ჩახმახს და სადღაც გარბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ, საით. ერთს ფეხსახვევის ბოლო მიწაზე მისთრევდა, მის უკან მიმავალმა შემთხვევით ფეხი დაადგა სახვევს, წინამ ნაბიჯი რომ ვერ გადადგა, წაიხარა და ცხვირპირით შეასკდა საიდანღაც ამ დროს გამომტყვრალ ეტლს; მერე მოტრიალდა და ხიშტით უნდა გაეფატრა თავისი წამქცევი, მაგრამ თანამებრძოლი რომ შერჩა ხელთ, მარტო შეგინება აკმარა...

სამტრედიიდან გვარდიელ ცხენოსანთა რაზმი მოგრიალდა. მათი მკერდდაჯინჯილებული მეთაური პირიდან დორბლს ჰყრიდა: ჩვენ მშვიდობიანად გამოვატარეთ, თქვენს ზონაში ააფეთ-

ქეს, ახლა თბილისთან პასუხიც თქვენ აგეთო...

აქაური რაზმის მეთაურმა სიტყვაზე სიტყვა აუკრა: საჭილაო თქვენს ყურის ძირშიააო...

ასეა, მაგრამ ცხენისწყალს აქეთაა და თქვენ გეკუთვნითო, ეგ დანაშაულიც თქვენს კისერზეაო, — თითს არ კაკვავდა სამტრედიელი.

საჭილაოსთან განლაგებული ნაწილის მეთაური დაეპატიმრებინათ და ოთხმა ხიშტმომარჯვებულმა, მისივე ნაწილის გვარდიელმა ჩამოატარა ქუჩაში.

მეთაურს ქუდი არ ეხურა და ხელები თავისივე ქამრით უკან ჰქონდა გაკრული.

მოსახლეობა ქუჩებში გამოყარეს.

ერთმანეთში აირია ჩოჩქოლი, ყვირილი, ღრიალი, ქალების კივილი...

აპატიმრებდნენ ყველას განურჩევლად და გვარდიელთა შტაბის ერთერთ ყაზარმაში ჰყრიდნენ დაუკითხავად.

აპატიმრებდნენ მხოლოდ მამაკაცებს.

სენაკიდან წამოსული დრეზინი ბიქტორის და ლუკას მიერ გაწეულ ლიანდაგთან შპალებზე გადაგორდა და შეჩერდა. მასზე მსხდომი მაზრის უფროსი და მისი თანმხლებნი ფეხით წამოვიდნენ აბაშისაკენ. მათთვის სამტრედიიდან დაერეკათ და ეცნობებინათ აბაშაში მომხდარი ამბავი.

სამტრედიიდან მოსული რაზმის ერთერთ ცხენოსანს რა აზრად უნდა მოსვლოდა, რომ აქ სადმე დათვი იქნებოდა, და თავისი ცხენი მებონიას დუქანთან თავისუფლად ჩაატარა. დათვმა უცებ იღრიალა, მხედარს ზურგში სწვდა თათებით და ცხენიდან გადმოიღო.

კიდევ კარგი, ალიკაპი ჰქონდა ადებული მხეცს და წაქნილი ბრჭყალებიც ჯერ არ წამოზრდოდა.

მტვერში ამოგანგლული და შიშისაგან ენაჩავარდნილი მხედარი ძლივს გამოგლიჯეს ჯაჭვზე დაბმულ დათვს.

ამ სურათის შემყურე ბავშვები სიცილით იჭაჭებოდნენ, მათ ფეხებზედაც არ ეკიდათ გარშემო დატრიალებული ამბავი, სათვალისეიროს დაეძებდნენ რამეს...

ვერიკო და მამანტი წამით გაეთიშნენ ერთმანეთს ქუჩის ორომტრიალში...

და ვერიკომ შორიდან დაინახა, როგორ ჩაავლეს მამანტის ხელი მილიციელებმა.

ეს მოხდა ადილარ გვაზავას ბრძანებით...

ვერიკოს გული შეუწრიალდა. თანდათან ეცლებოდნენ უფროსი თუ თანატოლი ამხანაგები.

მამანტის დაშორებით მოწოლილი მარტოობის გრძნობა უფრო გაუღრმავდა, როდესაც შენიშნა რაზმელთა რკალში მომწყვდეული, რკინიგზაზე წუხანდელი თავდასხმის ორი მონაწილე — სევე და ბაგრატი...

მხარზე ხელის შეხება იგრძნო და ელდანაკრავივით მოტრიალდა.

მას გაღიმებული თვალებით შემოსცქეროდა სამუელი.

ზლაზვნით გაიარა ვერიკოსთვის რამდენიმე დღემ.

ყველაფერი თითქოს მიწყნარდა...

ადილარ გვაზავას მილიციის საკნებში ცალ-ცალკე, საგანგებოდ გამოკეტილი ჰყავდა სამი პოლიტიკური პატიმარი: მამანტი, სევე და ბაგრატი. საქმეს იძიებდა თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ორი გამომძიებელი. ბინა ამ გამომძიებლებისთვისაც ალექსი ქოიავას სახლში დაიქირავეს, ინგლისელების გვერდით.

ძიება დაძაბულად მიდიოდა.

მამანტიმ სევე და ბაგრატი უცნობებად გამოაცხადა: ამ ადამიანებს პირველად ვხედავო...

სევე და ბაგრატი არ უარყოფდნენ რკინიგზის გუშაგებზე თავდასხმას, რადგანაც ზედ დანაშაულზე იყვნენ შეპყრობილნი, მაგრამ არ ასახელებდნენ მეთაურებს, ვინც წარგზავნა ისინი ამ საქმეზე...

გამომძიებლებმა საფუძვლიანად ხელის ჩასაჭიდს ვერაფერს მიაგნეს. რკინიგზაზე მოკლული ბოლშევიკის — იონა

ბერიძის ცხედარი ძიებისთვის უსარგებლო იყო. გვარდიელებმა დამარხეს სადღაც ჩუმად, ღამით. მენშევიკების დამარცხების შემდეგ გაცხადა საფლავის ადგილი ერთმა ყოფილმა გვარდიელმა.

იონას მაშინ ერთი ძმისშვილიღა ჰყავდა დარჩენილი .ისედაც გულის მანკით დაავადებული დედა იონას მოკვლის მეორე კვირას გარდაცვლილა ,ხოლო მამა 1921 წლის მარტში, აბაშის განთავისუფლების დღეს, სასიკვდილოდ წაუქცევია მოწინააღმდეგის ტყვიას.

ძმიშვილს იონა მამაპაპათა საძვალეში არ გადმოუსვენებია. იქვე გაუწყო საფლავი: წარწერიანი ლოდი დაადო და რკინის ჯვარი გაუკეთა.

ახლა, აბაშიდან სირიაჩქონისკენ მიმავალ ფართო გზას ძიგირის დასაწყისთან თუ დაავდებთ და უგზოდ ორიოდე კილომეტრს გაივლით, ქაცვიან მინდორში წააწყდებით თითქმის ნახევრად მიწაში ჩასულ ლოდს და ჟანგისაგან შეჭმულ რკინის ჯვარს. ლოდს ეტყობა, რომ ადრე რაღაც ყოფილა ზედ წარწერილი...

ეს არის იონა ბერიძის — საქართველოს რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის საფლავი.

ის არც ყვავილების გვირგვინს დაუმშვენებია ოდესმე, არც ვინმეს ცრემლი დასცემია ზედ. მისთვის ყვავილი მიწიდანვე ამოდის და მიწაზევე კვდება, მისთვის ცრემლი — ცის ნამია...

მხოლოდ აქა-იქ უხუცესთა გულშია შემორჩენილი იონას ხსოვნა — აწ ამ ქალაღდისთვის გადაბარებული...

იმ ყოფილმა გვარდიელმა სირიაჩქონთან სხვა მივარდნილი ადგილიც გაამხილა, სადაც მარხავდნენ თურმე დახვრეტილებს მენშევიკები.

იქნებ მიწისმთხრელებმა ოდესმე, შემთხვევით ამოყარონ უპირისუფლო ადამიანთა ძვლები და თავსატეხად იქცეს მათი ვინაობის გარკვევა!..

პარტიული ამხანაგები ბევრნი დარჩნენ აბაშაში, სენაკში, ქუთაისში... მათი ზრუნვა და დარიგება არ აკლდათ აბაშის სპარტაკელებს, მაგრამ ვერიკო შეჩვეულების დაშორებას ვერ ურიგდებოდა.

რაჟდენ სიმონიაც იმ დღიდან ჩამოშორდა ამხანაგებს, — მის გონებას არ შორდებოდა მოკლული კაცის სახე, სიკვდილის წინ მოჩერებული თვალები...

დაგლახდა საცოდავი რაჟდენა, ვერც რევოლუციონერად ივარგა, ვერც მხვნელმთესველად. იმ რკინიგზაზე წასვლამდე კი თქვა ბედშავმა: რამე რომ იყოს, მე ადამიანს ვერ მოვკლავ და სხვა გაგზავნეთ ჩემს მაგივრადო (ვინ იცის, იონა ბერიძის მკვლელი გვარდიელიც ასევე ფიქრობდა თავიდან!). სიცოცხლით კი კარგა ხანს იცოცხლა რაჟდენმა მერეც. დადიოდა სოფელ-სოფელ და თხრილში ქვებით ბაყაყებს ხოცავდა.

მხოლოდ 1922 წელს იძიეს შური მოკლული გვარდიელის უკვე წამოზრდილმა ძმებმა, მარკოზა მეწისქვილის დანარჩენმა ვაჟებმა: ერთ ღამეს ნაჯახით დაჩეხეს და წისქვილის ღარში ჩააგდეს ჯერ კიდევ სულგაუცლელი.

მამანტის, სევეს და ბაგრატის საქმის გამომძიებლებმა ბევრი ოფლი დაიღვრეს, რაღაც-რაღაცეები მიკიბ-მოკიბეს, პატიმრებს დასახვრეტი ქაღალდები გაუშანშალეს და თბილისში გაბრუნდნენ.

დაინიშნა გასამართლების დღეც.

საქმეს არჩევდა სენაკის სამაზრო სასამართლო.

მოწმეებად აბაშიდან რამდენიმე კაცი იყო დასახელებული. მაგრამ მთავარ მოწმედ ძიებას მიაჩნდა ერთი ახალგაზრდა, დიდგვაროვანი ქვრივი თინათინ ჩიქვანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საკუთარი ყურით მოისმინა შეთქმულთა საიდუმლო საუბარი აბაშისწყალთან რკინიგზაზე მომხდარი ტრაგედიიდან მცირე ხნით ადრე. თვალდათვალ დაპირისპირების დროს მილიციაში ქვრივმა გამოიცნო და ხელი დაადო ორს — სევეს და ბაგრატს. მამანტი მათ შორის არ ჰყოლია შენიშნული, თუმცა, — დასძენდა მოწმე, — ამ ორთან სხვებიც იყვნენ და მთვარის მკრთალ შუქში კარგად ვერ გავარჩიეო...

აბაშის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დაპატიმრებულ თანამებრძოლთა სასამართლოდან გაპარების გეგმა წინასწარ შეიმუშავა და დახვეწა.

პროცესის მსვლელობის დროს სასამართლო დარბაზში აურზაურისა და ბუნტის ატეხვა დაეკისრათ აბაშის სპარტაკელებს.

დავით კაჭარავა გაეცნო უფროსი ამხანაგების რჩევა-დარიგებებს. ახლა, ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო იყო სპარტაკელთა გაერთიანებული კრების სასწრაფოდ მოწვევა.

და მოწვეულ იქნა კიდევაც ეს კრება მენშევიკ სავლე ბოკუჩავას სახლში...

... ჩემი თოვლისა თვითონ კომკავშირელია და იმ პირველ კომკავშირელთა ამბავი არ ასვენებს, უკვირს, მენშევიკები ხომ მტრები იყვნენ და მენშევიკის სახლში კრება როგორღა მოიწვიესო...

სავლეს თავისმა ქალიშვილმა, ნინომ, წინა დღით წერილი გადასცა. ამ წერილით სავლე ბოკუჩავას დაუყოვნებლივ იბარებდნენ თბილისში სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით...

წერილის ტექსტი სპარტაკელებს დაუწერა მასწავლებელმა ერლომ გუგუჩიამ. თბილისის საფოსტო ბეჭედი ზუსტად დახატა და კონვერტზე გადაიღო ჰენრი ჟვანიამ, ადგილობრივი ბეჭედი კი კონვერტზე დასვა ერთ-ერთი სპარტაკელის მამამ, ფოსტის თანამშრომელმა ნოე მაშავამ...

სავლეს სრულებითაც არ გაკვირვებია თბილისში გამოძახება, რადგანაც სწორედ ორი თვის წინ თვითონ ჰქონდა გაგზავნილი განცხადება — სამუშაოდ თბილისში გადაყვანას ითხოვდა.

სავლე იყო უცხოეთში განსწავლული, დიდად ნაკითხი და განათლებული კაცი. აბაშა ევიწროებოდა მის გონებასა და შეგნებას სასპარეზოდ. საქართველოს ბედნიერებას იგი დასავლეთის ქვეყნებთან კავშირში წინასწარმეტყველებდა... რუსეთის რევოლუცია კი სულს უღრღნიდა.

და ამ მივარდნილ დაბაში ფრთებს ლაღად ვერ შლიდა საკუთარ თავში ღრმად დაჯერებული კაცის ოცნება.

თბილისში გამგზავრება მეორე დღისთვის არჩია..

და სპარტაკელთა შეკრებაც, თავისთავად, მეორე დღისთვის გადაიდო.

არადა, ყელი და დანა ერთად ჰქონდათ, — ბოლშევიკების სასამართლო მესამე დღეს იყო დანიშნული სენაკში.

ზლაზვნით მოვიდა სავლეს გამგზავრების დრო.

სავლემ სამტრედიიდან გამგზავრება არჩია წინასწარ დაიბარა საუკეთესო ეტლი სამტრედიაში ჩასასვლელად.

ნინო მამას წარა-მარა აჩქარებდა: არ დაგაგვიანდესო:

მეეტლე ბიკიას თავისი დაჯინჯილებული და სარკეებით მორთული ეტლი უკვე მოეყენებინა ალაყაფთან.

წაბლისფერ ცხენებს ყურები მაგრად დაეჩხა, შორ გზაზე სარბენად შეახურა.

— ბიკიას სიცოცხლე და გახარება! — მიესალმა მეეტლეს გზაზე მიმავალი, სუჯუნელი მეწვრილმანე დანიელი და შეჩერდა: — არ წამიყვან სუჯუნაში?

— ვერ ხედავ საითკენ აქვს ცხენებს პირი? — გაეპასუხა ბიკია ისე, რომ არც შეუხედავს.

— ტყუილა გითხარი, ჩემმა მზემ, თორემ კი ვიცი სადაც მიდიხარ. სავლე მოკუჩავას სამსახური არ დაგეკარგება. მთავრობის კაცია. თბილისში უპირებენ თურმე გადაყვანას. მერე, იცოცხლე, არბენინის ბოლშევიკები უშარვლოდ...

ბიკია ფიქრობდა: რას შემომიჩნდა ეს მამაცხონებული ამ სიფთაზეო, და ეტლს მეორე მხრიდან შემოუარა.

დანიელი მართლა შემოჩენილივით არ მოეშვა და ახლა ეტლის ერთ თვალს დაადგა თვალი:

— ეს ბორბალი დაგტოვებს სადმე, ბიკია...

ბიკიამ ახლა კი შეუბღვირა აბეზარ მოსაუბრეს და გულში შეუკურთხა კიდევაც, მაგრამ სიტყვიერად ცუდი ვერ აკადრა ჭადარაწვეროსანს. მწარედ სათქმელ პასუხს ხუმრობა შეუზავა შაქარივით:

— შენმა ინგლისურმა ფეხსაცმელებმა არ დაგტოვოს გზაში...

ალაყაფის კარი გაიღო და სავლე გამოვიდა.

პატარა ჩემოდანი მის ქალიშვილს — ნინოს მოჰქონდა.

მალე სავლეს ცოლიც გამოჩნდა.

სავლემ ქალიშვილს ჩემოდანი ჩამოართვა, შუბლზე აკოცა, ცოლს მხარზე მოხვია ხელი, კარგად იყავითო, დაიბარა და ეტლში ჩაჯდა.

— მივუსწრებთ? — იკითხა.

ბიჭია კოფოზე ავიდა და მათრახი და სიტყვა ერთდროულად მოიქნია:

— მივუსწრებთ, აბა!... ცხენებს დაუწრუპუნა და ადგილიდან დასძრა.

სავლემ სათვალე მოიხსნა და, იდაყვით ხელჯოხს დაყრდნობილმა, ცხვირსახოცით წმენდა დაუწყო; ადგილზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა, თან კმაყოფილებით ამოისუნთქა.

მთავარ ქუჩაზე გავლისას აქეთ-იქიდან თავმდაბლად, ქუდის მოხდით ესალმებოდნენ სავლე ბოკუჩავას და მან უკვე დაწინაურებულად წარმოიდგინა თავი...

ეტლი მალე გასცდა აბაშას და სამტრედიის მტვრიან გზაზე გარახრახდა...

ნინო და დედამისი მალე შებრუნდნენ ეზოში.

სავლეს ჭიშკარს ახლახან დაშორებული, სუჯუნისკენ მიმავალი დანიელი სუჯუნიდან აქეთ მომავალ თავის ვაჟიშვილს — სამუელს შეეფეთა უცებ.

სამუელი სავლეს სახლისკენ მიდიოდა და დანიელს გაუკვირდა: ჩემს შვილს ამ ოჯახთან რა ესაქმებაო!..

დანიელი ამ ბოლო დროს ამჩნევდა, მისი შვილი რაღაც კარგ ფეხზე რომ არ დადიოდა.

— ვისთან მიდიხარ, შვილო? — გამომცდელად ჰკითხა და ცოტა სიბრაზეც გაურია ხმაში: — რჯულის მადლმა, რაღაც ამ ბოლო დროს კარგ ფეხზე მოსიარულეს ვერ გხედავ... იმ ღამესაც დაიკარგე და ძილი არ გვაღირსე (ეშელონის აფეთქების ღამეს სამუელი შინ არ მისულა და სწორედ იმ ღამეს გულისხმობდა ახლა დანიელი)... ქრისტე არ გაწამებულა, ბიჭო, ასე, შენ რომ ჩვენ გვაწამებ...

შვილი მამას სავსებით გულდამშვიდებული შეჰყურებდა:

— გასაყიდლები რაც მომეცი, გავუშვი. რას მემართლები ახლა!..

— ამ ოჯახთან რა საქმე გაქვს მაინც, — სავლეს სახლისკენ გადახარა მამამ თავი.

სამუელმა ფანდი იხმარა, ცალ მხარეს პირზე ხელი აიფარა და მამას გადაუჩურჩულა:

— სამაჯური ჰქონია ედუკის გასაყიდი...

მოხუცმა ებრაელმა გული საგულეს დაიბრუნა: „მართლა რა მაქვს საშიშარი? მიდის ბიჭი და, აი, საქმეც ჰქონია!..“

შვილს გაშორდა: აბა, ხეირი ნახეო!..

სავლე რომ გაემგზავრა, შინ სამნი დარჩნენ: ნინო, დედამისი და ნინოს პატარა და.

... ედუკი მენშევიკობაში თავდადებული ადამიანის — სავლეს უღლის გამწევი იყო, მაგრამ მის გულს და შეგნებას ბოლშევიკური იდეები ანათებდა.

და ეს ნათება მამის რწმენიდან იღებდა სათავეს.

მამამისმა თითქმის ცხრა წელი ხეხა ბორკილები რუს ხელმწიფის კატორღაში. იგი, როგორც საშიში რევოლუციონერი, დააპატიმრეს 1908 წლის 12 აპრილს ეკატერინოდარში, ახლა კრასნოდარად რომ იწოდება. თუმცა, სულ რაღაც ორმოციოდე დღით ადრე, იმავე წლის 1 მარტს (ძველი სტილით) სრულიად რუსეთის იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქვეყნოდ გაიძახოდა: მალე ჩვენ ტუსაღების მოსათავსებელი ადგილი აღარ გვექნება... მაგრამ ედუკის მამისთვის მაინც გამოინახა ერთი ადგილიც და ერთი ბორკილიც. მან ამ ბორკილებით შემოიარა ეკატერინოდარის, ვოლოგდის, ხარკოვის, „ბუ-

ტირკის", კურსკის, შლისელბურგის საკატორღო ციხეები...

ედუკი და მისი ძმა მამის დაპატიმრების დროს მოზრდილები იყვნენ. ედუკის ოთხი წლის ნინოც ჰყავდა მაშინ...

კატორღელს ორი წლის წინათ, 1917 წლის 28 თებერვალს აჰყარა ბორკილები და ცა დაანახა რუსეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ.

შლისელბურგის ციხიდან განთავისუფლების მეორე დღესვე მან შექმნა მებრძოლი პარტიზანული რაზმი. თვითონვე მეთაურობდა... პირადად შეხვედრია ლენინს და უსაუბრია მასთან...

მაგრამ წლობით ნატანჯმა და გვემულმა კაცმა სული ვერ ჩამოიტანა სამშობლომდე...

და დააკლდა საქართველოს ერთი შვილის საფლავიც, ერთი საფლავის ჯვარიც...

მართალია, ედუკი სხვა ბოლშევიკებივით პროკლამაციებს არ ავრცელებდა და იარაღს არ მალავდა, მაგრამ მაინც მამამისის შვილი იყო და სულიერ-ხორციელად რევოლუციის მხარეზე იდგა; მენშევიკ ქმარს პატივს სცემდა და უყვარდა კიდეც, გულში კი ოდნავადაც არ ეთანხმებოდა მის იდეებს.

მამის გზით წავიდა ედუკის ძმაც, ნინოს ბიძა. იგი ადრე სოსო ჯუღაშვილთან ერთად გარიცხეს სემინარიიდან რევოლუციური საქმიანობისათვის. გულმინდობილი მეგობარი იყო სტალინისა და იმხანად მოსკოვში მასთან მუშაობდა.

სავლეს არაფერში ეჭაშნიკებოდა ასეთი ბოლშევიკი ცოლისძმა, ამიტომ არასდროს კითხულობდა მის წერილებს, არც მოკითხვას უთვლიდა...

სპარტაკელებმა თავმოყრა სავლეს სამტრედიაში გამგზავრებისთანავე დაიწყეს.

პირველი სამუელი მივიდა სავლეს სახლში, ბიკიას ეტლს მაშინ აბაშის მთავარი ქუჩაც არ ექნებოდა გავლილი.

ახალ-თახალი, ზოლებიანი ბლუზა ეცვა უმაწვილს და ძალიანაც უხდებოდა.

ნინოს როგორღაც სხვანაირად შეუტოკდა გული მის დანახვაზე, თვალში თუ მოუვიდა განიერ მხარბეჭიანი, გრუზათმიანი ჭაბუკი!..

— რაო მამაშენმა? — ჰკითხა სტუმარს. ეტყობოდა, შორიდან დაინახა მამასთან მოსაუბრე.

შეკითხვა ისე იყო გამოთქმული, რომ პასუხს არ მოითხოვდა.

სამუელს სახე აეწვა, ხელი ჯერ ჯიბეში ჩაიყო უხერხულად, მერე თმაზე გადაისვა.

ნინო გრძნობდა, როგორ იტანჯებოდა ვაჟი მის წინაშე და როგორღაც სიამოვნებდა ეს კიდეც.

ნინომ ისიც იცოდა, რომ იგი, სამუელის გარდა, ფარულად კიდევ უყვარდა ერთ გიმნაზიელს. ნინოს გულის სასწორი იმ გიმნაზიელისაკენ იყო გადახრილი. თუმცა მას წელიწადში ერთხელ თუ ხედავდა, არდადეგების დროს ქუთაისიდან აბაშაში მამიდასთან ჩამოსტუმრებულს...

ჭიშკარში ორი გოგონა შემოვიდა, მაყვალა — ავთანდილის და და ქსენია შალამბერიძე. ორივე ვერიკომ მოიყვანა სპარტაკელთა ორგანიზაციაში.

ნინომ ავთანდილი იკითხა: თქვენთან ერთად რატომ არ მოვიდაო.

სამუელს ეჭვის ჭიანჭველამ გაუარა გულის ძარღვში. გალმა საეჭვიანოს გამოლმა ეჭვიანობდა; რა იცოდა, ნინო ავთანდილისკენ კი არა, ქუთაისელი გიმნაზიელისკენ იყო თვალდაცეცებული.

ავთანდილს დიდხანს არ დაუგვიანია. მალე სამნიც შემოემატნენ და სახლში შესვლა ამჯობინეს.

სოფლებიდან ჩამომსვლელთ შეაგვიანდათ ცოტა. ოციოდ წუთში მაინც ყველანი ადგილზე იყვნენ.

სულ 29 სპარტაკელი მოგროვდა.

(ამ უჯრედის ერთ წევრს სახელად სპარტაკი ერქვა და ყველაზე მეტად მოსწონდა თავი. მას ლექსების წერაც ეხერხებოდა და ფსევდონიმად „სპარტაკ სპარტაკელს" აწერდა.)

ედუკის და ნინოს გაეწყოთ თვალგასახარი სუფრა.

ქოხში გაზრდილ ქალამნიან გლეხის-

შვილებს ეუხერხულებოდათ კიდეც ასეთ სუფრასთან ახლოს მისვლა. მოპრიალებულ იატაკზე ფრთხილად ადგამდნენ სოხანეს შეჩვეულ ფეხს.

მაყვალას, ავთანდილის დას, არასდროს ენახა ამდენი პური ერთად, ისიც ასე თეთრი...

ვერიკო ყველაზე ბოლოს მოვიდა (იქნებ სადმე ახლოდან უთვალთვალებდა მეგობრების თავშეყრას!).

ნინოსეული ნაჩუქარი პალტო ეცვა და ცოტათი მოკლედ ადგა ტანზე, მუხლებს ვერ უფარავდა. ფრანგული პალტო იყო. მამამ ჩამოუტანა ნინოს ბათუმიდან. ერთ წელს ატარა ნინომ, მერე კი მამამ ინგლისური პალტოთი გაახარა ქალიშვილი...

ვერიკოსთან ერთად მოვიდა ერთი უფროსი ბოლშევიკი ამხანაგიც.

ოთახში შემოვიდა ედუკი და სუფრასთან გატრუნული ბავშვები წაათამამა:

— მიირთვით, ნუ გერიდებათ, თქვენი ჭირიმე!..

შაქარი ამოსდიოდა პირიდან.

ყველაზე გამბედავი ბიქტორი აღმოჩნდა, ბარკალი აიგლიჯა შებრაწულ დედალს...

მერე სხვებმაც მიიწიეს სკამი მაგიდისაკენ...

შიოდათ და არ იმჩნევდნენ.

თითო-ოროლა ლუკმამ გული მოუძებნა ახალგაზრდებს და ლაპარაკის გუნებაზე მოიყვანა...

სპარტაკელთა ამ შეკრებას ესწრებოდა ოზურგეთელი ბოლშევიკი, სავლეს მკვიდრი ბიძაშვილი ტარიელ ბოკუჩავა.

ტარიელი და სავლე, მიუხედავად ნათესაობისა, დაუზრებულები იყვნენ და ახლა ტარიელი ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს იდეური მოწინააღმდეგის სახლში. მაგრამ რძალი თავს ევლებოდა და ეს აჩერებდა. თანაც იცოდა, სავლე თბილისში რომ იყო წასული და ერთი-ორი დღე ბიძაშვილის შვილების ფერებით მაინც გაძღებოდა...

კრება გახსნა დავით კაჭარავამ.

თავმჯდომარედ აირჩიეს ვერიკო. მან თავდაპირველად ორ ამხანაგს დაავალა ფანჯარასთან დამდგარიყვნენ, ერთს ჭიშკრისკენ უნდა სჭეროდა თვალი, მეორეს — მეზობლისას გადასასვლელ ალაგესკენ.

თუ უცხო ვინმე შემოესწრებოდათ, სუფრის თამადად დავითი უნდა წამომდგარიყო. ვითომ ნინოს დღეობას იხდიდნენ.

წინ ყველას ღვინიანი ჭიქა ედგა.

ედუკიმ თავისი პატარა ქალიშვილი აიყვანა და სუფრიდან მოშორებით, საქარძელში ჩაჯდა.

გოგონას ხელში ნამცხვარი ეჭირა, მაგრამ ჭამას არ აპირებდა.

ვერიკომ კრებას გააცნო სადღეისო საკითხები და მკაცრად მოითხოვა, ლაპარაკი ყოფილიყო მოკლე და საქმიანი.

სიტყვა მიეცა „სპარტაკის" აბაშის უჯრედის მეთაურს დავით კაჭარავას.

— ამხანაგებო, — ხმადაბლა, მაგრამ გასაგონად დაიწყო დავითმა, — ეს შეკრება ჩვენ მოვიწვიეთ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების, კომუნისტების დავალებით. ალბათ ზოგიერთმა თქვენთაგანმა არც იცის, რომ ხვალ სენაკში ასამართლებენ სამ ბოლშევიკს: მამანტო ხაბეიშვილს, სევე გუგუშვილს და ბაგრატ კუციას, ბრალად ედებათ რკინიგზაზე თავდასხმა და ერთი გვარდიელის მოკვლა. შესაძლოა სასამართლომ დახვრეტის განაჩენი გამოუტანოს მათ...

დავითმა დაწვრილებით იმსჯელა, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ ბოლშევიკები სპარტაკელებს ხვალ სასამართლო პროცესზე, სათითაოდ რომელს რა ევალებოდა...

საუბარში ვერიკო ჩაერია...

მისი საუბარი ჩიქვანის ქვრივს უტრიალებდა — სასამართლო საქმის ერთ-ერთ მთავარ მოწმეს. როგორმე, ან უნდა გადმოებირებინათ ქვრივი, ან სრულიად ჩაეჩუმებინათ...

ამ ქალს ერთი წლის წინ ბოლშევიკებმა მოუკლეს ქმარი ფოთში და ახლა მარტო შურისძიებაზე ფიქრობდა. მას თავისი ყურით მოუსმენია ეშელონზე

თავდამსხმელთა თათბირი აბაშისწყალთან ღამით (რა უნდოდა ღამით ტყეღრეში იმ პატიოსანი დედ-მამის შვილს!). წინასწარი დაპირისპირების დროს პირდაპირ დაადო ხელი ბაგრატს და სევეს: ესენი იყვნენ, გვარდიელი ამათ მოკლესო...

ის იყო ულამაზესი ქალი მთელს სამეგრელოში, მასზე მღეროდნენ ლექსებს და მის ნაკვალევზე გავლას ოცნებობდნენ იქაური რაინდები...

„ქვრივის საკითხის“ მოგვარება თავათ ვერიკომ იკისრა...

სიტყვა ისევ დავითმა დაიბრუნა და შეკრებილთ მიმართა:

— მაშ, ასე, ამხანაგებო. ხვალ ყველანი სენაკში უნდა ვიყოთ...

ერთი ნაესაკოვოელი ბიჭი წამოდგა. მას კრების დაწყებისას პირში ჩადებული ლუკმა აქამდე მივიწყებოდა და ცალი ლოყა გამობურცული ჰქონდა; ლუკმას ახლა დაუწყო ღეჭვა და თან წვრილი ხმით ალაპარაკდა:

— დათიკო, მე ვერ წამოვალ სენაკში. ხვალ შეშაზე თუ არ წავყევი მამაჩემს, მომკლავს და მერე გინდა სპარტაკელი დამარქვით, გინდა სპარტაკი...

ეს რომ თქვა, თავის მეგობარს, სანელად სპარტაკი რომ ერქვა, გადახედა და ირონიულად დაეღრიჯა.

დავითმა სუფრის გარშემო მსხდომთ თვალი გადაავლო:

— კიდევ ვის არ შეუძლია წამოსვლა?

— ოლიკო ვერ წამოვა, — გამოესარჩლა მეზობელ გოგონას ძველაბაშელი ხიტუ ქოიავა და მერე მორცხვად დასძინა: — მე ვიქნები მის მაგივრადაც...

ოლიკო სუსტი, ფერმილეული გოგო ჩანდა; ხიტუს ნათქვამი რომ მოისმინა, მაშინ მოვიდა ცოტა ფერზე.

— კეთილი და პატიოსანი. დანარჩენებიც ვეყოფით, — დაამთავრა საუბარი დავითმა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა.

ცივი ქარი დაწრიალებდა გარეთ და ყვითელ ფოთლებს დააფარფატებდა.

კრება გაგრძელდა.

მეორე საკითხი ეხებოდა სამუელის კომკავშირში მიღებას.

სამუელი ერთხმად მიიღეს, თუმცა ერთი სიტყვაც არ თქმულა მის დამსახურებაზე — ეშელონის აფეთქების ამბავი მხოლოდ ხელმძღვანელმა ამხანაგებმა იცოდნენ.

სამუელი ნინოს გვერდით იჯდა და თავს ბედნიერად გრძნობდა...

ედუკის მძინარე ბალღი გულთან მიეკრა და რაღაც ფიქრებში განაბულიყო; უცებ გამოერკვა და სტუმრებს თავისებურად დაუტკბა:

— მიირთვით, გენაცვალეთ, თან მოირთვით, დანაყრდით...

ამ შეხსენებით ყველაზე ადრე გივიმ ისარგებლა, პურის მოზრდილი ნაჭერი დაითრია თეფშიდან.

მას მთელი ეს დრო კბილი არ დაუკარებია ხორცისთვის, ყველისთვის, არც ფხალეულისთვის. ეტანებოდა მხოლოდ პურს. ლუკმას პირში რომ იდებდა, თითქოს კოცნიდა. სუფრაზე დაცვენილ ნამცეცებს სამი თითით კრეფდა და იმასაც შეექცეოდა.

„ნეტავ დიდხანს გაგრძელდეს ეს კრება!“ — ფიქრობდა სამუელი და ისევ და ისევ მოელოდა ნინოს კაბის კალთის ან მკლავის შეხებას.

ნინო კი სულ სხვა ფიქრებში იყო გართული...

საუბრობდნენ, მსჯელობდნენ...

ედუკის დრო და დრო თავისი მეუღლე გაახსენდებოდა და გულში რაღაც ტკენას იგრძნობდა, ასე რომ მოატყუეს ეს დროული კაცი და თბილისისკენ გააქციეს...

ბიკიას ეტლი უკვე უახლოვდებოდა სამტრედიას.

სავლე თვალდაცეცებული გაჰყურებდა გზას და ინგლისურ სიგარას აბოლებდა.

ცხენისწყალი კარგა ხნის გავლილი ჰქონდათ.

მეეტლე კოფოზე იჯდა და ცხენთა ფეხის ხმას თავის გულის ვარამს აყოლებდა. მეეტლის თანამგზავრი ხომ ფი-

ქრია და ფიქრობდა ბიკიაც თავის წვრილშვილზე, უკუღმართ ცხოვრებაზე, შიმშილზე, უფართლობაზე, უპურობაზე... ათას რამეზე ფიქრობდა...

ცხენები კი თავის კანტურით კეცავდნენ გზას.

ეტლის ცალი ბორბალი პატარა ორმოში ჩავარდა ანაზდად და უგემურად რომ დაიხრჭიალა, დანიელას ნათქვამი გაახსენდა ბიკიას: ამ ბორბალმა გზაში არ დაგტოვოსო.. მერე დანიელას სხვა, ირონიით ნათქვამიც გაახსენდა: ემსახურე მენშევიკებს, ქარვასლას აგიშენებენო...

და რატომღაც ახლაღა ჩაუფიქრდა ამ სიტყვებს. მართლაც და რა მოაქვთ ამ მენშევიკებს გაჭირვებული ხალხისთვის? მეტი გაჭირვება და შიმშილი! უნდათ, უცხოელებს მიჰყიდონ ოფლით და სისხლით მორწყული ქვეყანა!..

ბიკიას რაში ეპიტნავება უცხოელი?!

ბიკიას მიწა მიეცი და, ეს ფაიტონი რომ ჰყავს, იმდენ ბეგარას ნუ დაადებ, ლუკმის ფული არ დარჩეს.

მეტი არაფერი უნდა: მიწა და ორი ცხენი.

დანარჩენს თვითონ იშოვნის; ფეხზედაც ჩააცმევს ბავშვებს და ტანზეც; ძროხასაც იყოლიებს ბიკია, რძეში დამბალ ლუკმას არ მოაკლებს ბავშვებს...

ასე კარგახანს იფიქრა ბიკიამ. ბოლოს აბაშის კლუბში ამასწინათ გამართული კრება გაახსენდა, მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეხლა-შემოხლა.

„შენ ვის მხარეზე ხარ, ბიკია?“ — მოესმა კითხვა ცხენების ფლოქვთა და ბორბლების ხმაურიდან. გზაზე აგორგოლავებულ მტვერში მიხტუნავდა უხილავი ჭინკა და ის ესაუბრებოდა ბიკიას.

„მე, რაღა საკითხავია, ბოლშევიკების მხარეზე უნდა დავდგე, კუდიანო!“ — გასცა პასუხი უხილავ თანამოსაუბრეს.

„ეს მენშევიკი სად მიდის თუ იცი, ბიკიავ, და რა საქმეზე მიდის?“ — ატარტკალდა კუდიანი ისევ და გააბა გაუთავებლად: — ჰო, რატომ მიდის თბილისში? ჩოხას გიყიდის? პურს და შაქარს ჩამოგიტანს? შენი ბავშვების ფეხის ზომის ჩხირები უწყვია მაგ ჩემოდანში თუ რა?.. ა?.. შენი ბიძაშვილი ციხეში რომ იჯდა სამ თვეს, მან არ დააჭერინა?.. არა, თბილისში ჩინს რომ მოუმატებენ; მერე იქნებ შენც დაგიჭიროს, ბიკია უჭკუო!..“

აღვირი აკრიფა ბიკიამ და ეტლი შეაყენა.

შორს მოჩანდა სამტრედიის სადგური.

— რატომ შეჩერდი? — ფიქრებიდან გამოერკვა სავლე ბოკუჩავა.

— ცხენებმა ცოტა შეისვენონ. მერე უფრო ჩქარა წავალთ.

— რა დროს შესვენებაა! გასწი ახლავე! — სავლემ ბიკიას ჯოხის ის მხარე მიუტანა ცხვირთან, რომელსაც მიწაზე აბჯენენ.

„აჰა, ჯოხს მიტრიალებ ცხვირწინ, არა?.. გადმოგიღებ ახლა და იმდენს გირტყამ, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია...“

კოფოდან გადმოხტა და გაცეცხლებულ მგზავრს თავმდაბლად მიმართა:

— არ შეუძლიათ, ბატონო, ცხენებს მეტი...

— ეს ბორბალი რაღაც ვერაა მაგრად, — თითქოს თავისთვის დაიწუწუნა მეეტლემ.

— წადი და ორ აბაზს მოგცემ, — მუქარის ტონის შეცვლა სცადა სავლემ.

„შენი ორი აბაზი მამაშენს დააწეპე საფლავზე“, — ეს გულში გაიფიქრა ბიკიამ, ხმამაღლა კი სხვა რამ სთქვა:

— ახლავე წავალ, ბატონო! ორი აბაზი კაი ფულია!..

მაგრამ წასვლის ნაცვლად ორივე ცხენს ლაგამი გამოაცალა პირიდან და თოფრები მისცა.

ცხენებმა სიმინდი აახრამუნეს.

„შენ რომ მიუსწრებ მატარებელს, ისე არ მოგისწრო შავმა ჭირმა და ხოლერამ“.

შორს, ბათუმის მხარეს, თითქოს მიწამ ყალიონი გააბოლაო, ორთქლმავლის კვამლი აიზლაზნა. მერე ორთქლმავალმაც დაიკივლა.

— სამ აბაზს მოგცემ, ბიკია! არ დამაგვიანო!..

ბიკია ხუმრობის ხასიათზე დადგა: „შენ რომ მანეთამდე ახვალ, ჩემო ბატონო სავლე, ის მატარებელი წიფაში შევა...“

— ოთხი!..

ბიკიამ ცხენებს თოფრები მოხსნა, ლაგამი ამოსდო, კოფოზე მარდად შეხტა და მათრახი ააწივლა.

ეტლი ოკრო-ბოკრო გზაზე თავ-პირის მტვრევით გავარდა.

სავლეს სახლში კრება გრძელდებოდა.

ასეთი მშვიდობიანი და საქმიანი კრება პირველი იყო სპარტაკელებისათვის. მათ ხუთი უჯრედი ჰქონდათ ჩამოყალიბებული ხუთ სოფელში და დღეს ყველანი აქ იყვნენ.

საუბარი წევრთა რიცხვის ზრდას შეეხო.

ლაპარაკობდა დავით კაჭარავა.

ვერიკოს რატომღაც გული აუჩქარდა, რაღაც ცუდი წინათგრძნობა აეკვიატა; ღმერთო, ბოლომდე მშვიდობიანად მიგვაყვანინე ეს კრებაო, — ჩურჩულებდა თავისთვის.

შეკრებილები ამის შემდეგ დიდხანს არ დაყოვნებულან, ორიოდე ჭიქა ღვინო შესვეს მოწყურებულებმა და თანდათან გაიკრიფნენ.

■ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეთერ სახვაძე**

## გულს გაახსენდა

ეს გაზაფხული,
ვით ჭრელი ყდა, არეს გადეკრა,
გადაეფარა ჩემს ლექსებსაც
ეს გაზაფხული,
და ყვავილთა ქვეშ,
და ბალახთა,
და ანარეკლთა,
მოჰყვნენ ისინი,
მტვრიანებში ამოგანგლულნი.
და ჩემი გულიც,
ნეკნებშუა დაბმული სიმწრით,
აყივლდა,
იძრა,
იხმო ძალი, ჯერ არნახული,
თუ გაახსენდა,
ერთ დროს ბელტი რომ იყო მიწის
და წითელ-ყვითლად
ევლებოდა თავს გაზაფხული...

## ფ ა ნ ჯ რ ე ბ ი

მზე ლომსა შინა უდაბურდება
და იბუგება ხვატით თბილისი,
ყველაზე წყნარი ქუჩით ვბრუნდები,
ვნატრობ სიგრილეს, წმინდა ლილისფერს...
ჩამწკრივებულან მიჯრით ფანჯრები,
რომლებიც,
როგორც ჭრელი პეპლები,
სხედან კედლებზე ფრთებით ფარჩების
და ქანაობით
ცეცხლს ანელებენ...

* * *

როგორ აჭრელდა კაფე ახალწელს
ფერად ნაძვისხით,
შუქთა კიდულით,
ახლა სახლამდე ვიღა გააღწევს,
გზებზე თოვლების დგას ცხრაკლიტული.
ისევ იმავე მაგიდას ვრჩეობ,
ჩვენ რომ ვუსხედით,
აპრილო, მაშინ...
ეს მერამდენედ მოგელი, ჩემო,
ასე შორიდან თოვლსა და ქარში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გახსოვს?
...წნელისგან ქოხებს ვრაგვავდით,
გვიმრით ვხურავდით,
ანდა ალერდით,
მაგრამ წვიმასთან ერთად ვკარგავდით
და მერე ცრემლებს ვაღვარღვარებდით.
სუყველა ვპოვე უკლებლივ ბრწყინვით
ხსოვნაში, სადაც ბავშვობის გზა ჩანს,
იქ გაურიყავთ მაშინდელ წვიმებს
და ხელუხლებლად აქამდე **ჩარჩა...**

* * *

ნუ, უნათლესო, ნუ მიკრეფ ყვავილთ,
ჩემს მიმკრთალ დღეში რომ გააზავო,
ვარდთა რატომ ზღონ
ლამაზი თავით
**სიხარულისა ჩემის საზღაო?**
ნუ, ცათა სწორო,
ნუ მიკრეფ ყვავილთ,
დე, მშვენიერნი ყოველნი ცხოვნდნენ,
არამედ როსმე ბედნიერ მყავი
**და ჩემს უბრალო სენაკში მოვედ!**

* * *

**მწვანე ჭადრები**
**ტროტუარზე ჩარიგებულან**
როგორც ტომები,
ერთფერ ყდაში გამომზირალნი,
ხოლო ჩვენს შუა
წვიმის მიწა ბრწყენს დიდებულად,
ასე მგონია,
**კენჭი რომ ვკრა,**
**დაიზრიალებს...**
იქვე ნამდვილი ვიტრინაა,
გადასახვევთან,
და თაროები ჩანს წიგნებით,
მწკრივად ასევე,
რომლებიც ყდებზე
ხეებით და ლამაზ სახლებით
**საყვარელ ქუჩებს გამახსენებენ...**

* * *

თოვლი გალხვა.
ჯერ მწვანემდე შორია
და ქარებში შიშვლად დგანან მთები...
ო, დედიკო,
ახლა ისე მწყურია,
იის ქურქით დავიმშვენო მხრები,
ან ბალახთა მოსასხამით,
**რაც მთებს უყვართ,**
რო წადილით შემომხედონ იმათ,
რაღაც გრძნობა, თუნდაც უხმო,
მინდა ჰქონდეთ კარგებს ჩემდა მიმართ.
მიყურებდნენ ტანზე მთები,
რაღაც ლამაზს მადარებდნენ,
ჩავიქროლო ქარაფები,
**არაფერი მადარდებდეს...**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გადასარევი არც არაფერი:
ღობისპირებზე — ყინულის ჩხორი,
და გასაფრენი თოვლის ფარფლები,
და მზით შემთბარი ბჭყვიალა მორი.
ძველ ნოშოებქვეშ მოფორთხავს სოკო
თუმც სიცივისგან თითები ეზრო,
წიწილებს აჭმევს ლამაზი გოგო
და დიდი, თეთრი ნაფოტებით იცინის ეზო.
ღარზე ივსება ჩაფ☛ ნაჯაფი
და ხმები ყელში თანდათან ეხშვის,
ჩაიღიმილებს თეთრად ნაჯახი
შავ ულვაშებში გაფშეკილ შეშის.
ჩვეულებრივი ეს თვალსამზერი,
ღმერთო, მე რად მძრავს
სხივით, თუ ჭვირით,
უთუოდ სმაში წუთისოფლის გატკბა
სამსალა,
შევთვერ
და ახლა
უმიზეზოდ,
ბალღივით ვტირი.

* * *

იალბუზს შევდექ —
საკვირველი ამბავი. ხდება:
დამათბო თოვლმა,
სუსხმა ქარმა მომგვარა შვება!
გადავიხედე,
გამიბრწყინდა ქედების ქობა,
მოულოდნელად დამეუფლა იმგვარი
გრძნობა,
რასაც განვიცდი,
რუსთაველზე როცა გავიარ,
როცა მზეა და თბილი ქარია...
ღმერთო,
რა არის ის საერთო,
რაიცა მოსდევს
იალბუზსა და რუსთველის პროსპექტს?

* * *

მე ახლა ისე გამეხარდა
ერთი ამბავი,
თუმცა ცხადია და ნათელი,
როგორც ანბანი,
რომ იგი უნდა მომხდარიყო,
მაგრამ ხომ ვხვდებით,
რომ მოსახდენი,
მოელი და,
არასგზით ხდება.
შინ ვიყო ახლა,
მე მოვხდიდი წითელ საფერავს,
ეს იქნებოდა
სიხარულის ჩემის საფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**დოდო ჭუმბურიძე**

* * *

შენ ყველაფერში ცნაურდები — ფოთოლში, ქვაში,
ათასჯერ ათასწლეულობით გაჩენილ ქალში,
ნაღველში, ქარში და მაისის საღამოს ფერში,
შენ ყველაფერში ცნაურდები დღეს, ყველაფერში.
გქონდა ტაძარი, წმინდა პავლეს ტაძარი თეთრი
და ბაზილიკა არა მოსეს, ან მამა ღმერთის,
უცნობი კაცის, ვინც სამყაროს იტევდა მასში
და ედო შენი არსებობა მის თილისმაში...
შენ ყველაფერში ცნაურდები — ფოთოლში, ქვაში,
ათასჯერ ათასწლეულებით გაჩენილ ქალში...

* * *

ეს ეპოქაა ატომების, არა ტაციტის,
არც მწყემს გალებზე არ იმარჯვებს გაიუს ცეზარი,
გალაქტიონი ჩურჩულებს ნელა: ცაში ავზიდეთ
დაღლილი გული — „ედგარი ანუ ქარში მესამედ..."
ჩემი სულია ამ ქალაქს რომ ევლება თავზე,
თებერვლის ბაღებს ყვავილებად რომ ათესავენ...
დგას ჩუმი ლექსით ქალბატონი, ნაღველით სავსე
და ეჭვიანი რაინდივით დრო რომ ჩაუვლის, —
ასე შორეულს, შენს წყნარ სევდას ეძახის ასე
მისი სითბო და არსებობა ნათესაური...
ოცნებობს: ამ დიდ ქვეყანაზე რას იზამს ლექსი
და ფეთქდებიან აჩრდილები ჩურჩულით, კვნესით
ავრელიუსის და სერვანტესის...
ეს ეპოქაა ატომების, არა ტაციტის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შემკრა უცხო ჯადოთი
ცრემლს მაწვეთებს თვალებში,
ჩუმად მითხრა: გადმოდი
ჩემს ჰაერში, მთვარეში.
მიწაში და ქარების,
გაზაფხულით შრიალში,
ფეხი ფრთხილად დამადგი,
როგორც ეკლესიაში...
რა ტკივილზე ვდარდობდი
ამ მშვენიერ მხარეში...
შემკრა უცხო ჯადოთი,
ცრემლს მაწვეთებს თვალებში.

* * *

კვლავ პირველყოფილს მიჩაღებს ხანძარს
სურვილი, მარტის ღამით მოთოვლილს,
კრთის თვითმფრინავის ფერმკრთალი ხაზი
და მშვენიერი ვაშლის ფოთოლი.
რაღაც უმწეოდ დავეძებ თქვენს ჩრდილს,
თვალებს, წყლით ავსილთ ცის ნათელ
რკალში
და გული ისე მოძრაობს მკერდში,
როგორც ოთახში პატარა ბავშვი.

* * *

ადრე, როდის — როდის —
ათასი წლის წინათ.
მკრთალ საღამოს ბინდში
როცა მომეწყინა,
ლამაზ ნაღველს ვქსოვდი
შენი მტკივან ხსოვნით,
ახლა, როცა წყვილად
მოვალთ ზღაპრულ გზაზე,
ისევ მომეწყინა,
ისევ დარდი მავსებს.
რა მინდოდა ნეტავ
მაშინ, როდის —როდის...
და რაც ვპოვე, მასზე
მზე რად არ ამოდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს იყო ცრემლი,
შეღამების ლურჯი ბალახით,
შორს ცაში მთები,
სადღაც თოვლი ძლივს დასანახი.
ეს იყო ჩემი ნაღვლიანი ჩვენება დღეთა,
ამოფეთქება მამულიდან სიზმრიან ხეთა.
რთონთან ფიქრი,
სათიბების ლურჯი ბალახი,
სიზმარი იყო,
სადღაც შორს, შორს
ძლივს დასანახი...

* * *

შენ ვიღაც გიყვარს,
ანდა გინდა გიყვარდეს ვიღაც,
რა სუსტი ფერი დარჩენია ქალალდის
მიხაკს,
ანდა ლარნაკში წყლისფერ ხაზებს,
საითკენ უხვევს
ის ჩუმი ხელი
ათას ფიქრთა უკუნში წუხელ
თავთან რომ გედო
და უგონო სიზმრებით ავსილს
ცაში ვარსკვლავთა ბაღი გქონდა,
გეძინა ცაში,
ბრუნავდნენ თბილი ვარსკვლავები
ნისლების მიღმა,
შენ ვიღაც გიყვარს,
ანდა გინდა გიყვარდეს ვიღაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი ჭედია

## ცისფერი მინდორი

დიახ, არსებობს მინდორი ცისფერი,
როცა ყვავილობს ცისფერი ენძელა,
ამ დროს აქ მიწაც ცისფერზე მღერის
და სხვაგვარია ყვავილთა ენაც...
...ცა შიშველ ფეხებით მიწაზე ამ დროს
ჩამოდის და ფიქრებს თავისას ანდობს
ამ ცისფერ ენძელებს, ამ ცისფერ მინდორს,
და თავს მიწიერ ფერებით ირთობს...

• • •

ჩვენ ყველა ერთურთს რაღაცით ვგავართ,
და რაღაცითვე ერთმანეთისაგან გამოვირჩევით,
ჩვენ ერთურთისთვის ყველანი სხვა ვართ,
თუკი ერთმანეთს გულით, გონებით არ მივეჩვევით.
დიახ, ჩვენ ყველა ერთმანეთს ვგავართ,
ჩვენ ერთმანეთის ყველანი ძმა ვართ, ყველანი და ვართ,
და ჩვენ ყველანი ერთი გზით დავალთ,
ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ ყველანი, კარგად თუ ავად,
და ამიტომაც ერთმანეთისთვის
სხვანი არასდროს ჩვენც არც ვყოფილვართ და არც დღეს არ ვართ,
და ერთმანეთსაც ჩვენ უფრო მეტად,
ამიტომ ვგავართ, ამიტომ ვგავართ, დიახ, ამ ქვეყნად,
ჩვენ ერთმანეთის ყველანი და ვართ,
ყველანი ძმა ვართ, და არა სხვა ვართ, და არა სხვა ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნათელა მამარდაშვილი**

## ს ა ა თ ი

საათის წიკწიკმა გული გამიწყალა
ჯიუტად ჩამძახის დრო, დრო რომ დის,
სულაც არ მჭირდება, სულაც არ
მჭირდები,
დაგამტვრევ, გადაგყრი, მოვიკლავ ჟინს!

ყრუ ხარ და არ გესმის რას გალობს
ბულბული,
არ გესმის მოთქმა და ჩივილი ხის,
ვერ ხედავ ქარმა რომ მოგლიჯა ფოთოლი
და გულწასული აგდია ძირს.

არ გესმის ღრუბლების ზათქი და გრიალი,
არ გესმის ქვითინი დედის თუ დის,
ვერ ხედავ რიონის ტალღათა ღრიალი
მაბრუებს, გარემოს ჭკუაზე შლის.
შენ კი უდარდელად მომდევ და მომძახი
არ მაძლევ უფლებას გადავყვე ფიქრს,
სულაც არ მჭირდები, სულაც არ მჭირ-
დები
დაგამტვრევ, გადაგყრი, მოვიკლავ ჟინს!

## ხმები და ლანდები

*კონსტანტინე გამსახურდიას*

ისევ გავიგონე,
ისევ გავიგონე,
მოსწვდა ისევ სმენას
ხმები საოცარი...
და მივქრივარ გზებზე,
უსასრულო გზებზე,
მარად მეოცნებე
წუთისოფლის მგზავრი.
მომდევს ლურჯი ხმები,
მომდევს ფერი ზეცის,
გუგუნებენ მთები, —
მათ სიმაღლეს ვეტრფი,
— რა შრიალა ტყეა,
და რა თეთრი გზები, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი სამშობლოა,
ჩემი მამულეთი.

. . .

სვეტიცხოვლის ბჭესთან
ჩავიმუხლე წამით...
— ჰოი, ღმერთო ჩემო,
იმ მარჯვენის ძალით —
დიდოსტატს რომ მოსჭრეს, —
დაგაფიცო უნდა,
და მიგიძღვნა ზეცა —
ჩემი სულიწმინდა...
იქით ერეკლე წევს,
აქეთ გორგასალი,
იქ გიორგი მეფეს
გავადევნე თვალი...
ნეტავ სად ხარ თამარ,
სად დაგიდევს ბინა,
მცხეთას განისვენებ,
თუ გელათში გძინავს?..

. . .

ქარს ავასწარ ჯვარში,
გადმოვხედე მცხეთას,
ჩემო საქართველოვ,
შენი შვილი ვბედავ:
დაგიკოცნო მკერდი,
შენზე ფიქრით მოვკვდე...
— არაგვი და მტკვარი,
ღმერთო დამილოცე!

ეს რა ხატი არი,
ეს რა სიმაღლეა,
გაუღიათ კარი
ფერთა სინათლეა.
აღარ მოდის მტერი,
ჯვარზე სძინავთ აფრებს
და მიამბობს ქარი
სევდისმომგვრელ ამბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

# კიდევაც დაიზრდებიან...

მოთხრობა

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

გალაკტიონ ტაბიძე

## პავლეს სიხარული

მშვენიერი ხეობაა ბზის წყლის ხეობა — გაშლილი, ყოველ მხრივ მთებით შემოფარგლული, მდელოიან-ტყიანი, ბალ-ბაღჩიანი. სამხრეთიდან მას ბედენის მთის კალთები ფარგლავს, ქციის ხეობიდან ჩრდილოეთით მანგლისის მთისა და პლატოს ფერდობები. შუა ხეობაზე ბზის წყალი მოჩუხჩუხებს, ალგეთის მარჯვენა შენაკადი.

ამ ხეობაზე რამდენიმე სოფელია, ერთმანეთის მჯობი: ახალსოფელი, გოხნარი, ზირბითი, საფუძრები. მთავარია ახალსოფელი, რომელშიც სოფლის საბჭოც არის. ამ საბჭოში შედის ზემოდასახელებული სოფლები. ხეობის სათავეში გოხნარია (ძველი სახელწოდება აძიკვია), მის შუა წელში დიდი ახალსოფელია (ძველად ბზის სოფელი) საქმე ის არის, რომ ამ ხეობაში, როგორც ვთქვით, ხალხი ახალი მოსულია, სოფლებს მათ ახალი სახელები დაარქვეს. თუ ძველ ნასოფლარზე სოფელი აშენდა, უკვე „ახალი სოფელია". ვინ ეტყოდა, რომ მას ბზის სოფელი ერქვა, აქ ხომ კაცი აღარ ჭაჭანებდა. აძიკვის ადგილას გაშენებულა სოფელი, მას გოხნარი უწოდეს, ახლო არსებულ ლოდნართა გამო. აქ მოსული მთიულები თავის ფუძის ანგელოზს არ ივიწყებენ, ახსოვთ, რომ ლომისის ყმები არიან. რამდენიმე წელიწადში ერთხელ მაინც მიდიან და ძველ ადგილას ლოცულობენ.

ჩვენი მგზავრები მალე ტყის ზოლიკს შეერივნენ. გიორგი შეჩერდა და თქვა: აი ხედავთ, კიდევ ნასოფლარია. აგერ ბაზილიკის ნანგრევიც.

ჯერ ერთი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი... პატარა ბორცვზე კარგად შენახული ბაზილიკა იდგა. მშვენიერი ჩუქურთმებით იყო ნაშენი და კარისა და სარკმლის თავზე მდებარე ზოგიერთ ლოდზე გამოკვეთილი იყო ფრინველებისა და ცხოველების რელიეფები.

— როგორც ჩანს, მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში ნაშენები უნდა იყოს.

ბიჭებმა სურათები გადაიღეს და გარს შემოუარეს ტაძარს.

— აი, შვილდ-ისარი საფლავის ქვაზე.

— მეომარი ყოფილა.

— კიდევ შვილდ-ისარი, მეორე საფლავზეც...

— აქაც! — ახლა ლელას ხმა მოისმა.

— აი ურმის უღე, ეგენი თუ ომში ყოფილან სახელოვანი, ეს გუთნისდედა ყოფილა, ბუღრის მომყვანი.

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 2.

— აი გაშლილი გუთნეული.

ისმოდა აქეთ-იქიდან.

— აბა მივაღწიოთ პეტრე-პავლემდე და გუთნები იქა ნახეთ! — ჩაერთო შალვა.

— შენ რა იცი?

— აქ ნავალი ვარ!

ბზის წყლის მარცხენა ნაპირს მისდევდნენ, მდელოს მუხიან-რცხილნარი სცვლიდა, მერე კი — პურის ყანები გაშლილიყო, ფხიანი წითელი დოლი ეთესა, ერთი-ორგან გიორგიმ დიკაც ნახა და ესიამოვნა.

— კარგი რომ არ დაგვიწყებიათ, — თქვა ხმამაღლა.

ოლეს შეუერთდნენ და აქაც ნასოფლარი აღმოჩნდა, გაღმა გავიდნენ თუ არა, თვალში კოპწია ტაძარი ეცათ, სწორედ ახალსოფლის პირდაპირ მდგარი.

სოფლის მხრიდან რაღაც ღიღინი ისმოდა,.

— ალბათ ხატის სალოცავად მოსულან, — თქვა გიორგიმ და აღმოსავლეთით წავიდა; რაკი ხმა სამხრეთიდან ისმოდა, არ უნდოდა ხელი შეეშალა მოსულთათვის მაგრამ სწორედ აქეთ, ერთ მუხის ძირში სუფრა დახვდა გაშლილი.

სუფრას ოციოდე კაცი უჯდა, ყველა ხანში შესული, ყველა ჭაღარა, მხარბეჭიანი და ჯავარიანი. ფეხზე მდგომნი კი ახალგაზრდები იყვნენ.

— ღმერთო, რამ შეყარა ყველა ასეთი ლამაზი და ვაჟკაცი! — გაიფიქრა გიორგიმ. უცბათ ყველა გაჩუმდა, თანამესუფრეებმა მათკენ მოიხედეს. გიორგიმაც არ დააყოვნა:

— თქვენ სუფრას გაუმარჯოს!

— აი, იცოცხლე, ჩემო გიორგი! — და წამოიმართა ერთი ჭაღაროსანი, რომელსაც პირზე ნათელი გადასდიოდა.

— პავლე ძია, — წამოიძახეს ბიჭებმა და გადადგეს მისკენ ნაბიჯი, გადაეხვივნენ ხელებგაშლილ პავლეს.

— კაცო, საიდან მოგვევლინე?

— მე კი სახლიკაცებთან ვარ, მაგრამ შენ? თქვენი ჭირიმე, ჩემო არწივებო, როგორ დაზრდილხართ, ბიჭებო!

— ემა, განა ტყუილად არის ნათქვამი „ბიჭებო ჩვენებურებო, თქვენი ხმა ჩამოდიოდა“, — და კიდევ მოეხვია ხელი, — ეს თამარ დედოფალი ვილაა, კაცო? პაწაწა ლელა? რას არ მოიგონებს დალოცვილი უფალი! გივი, შენც აქა? — ველარ ისვენებდა სახეგაბადრული პავლე ძია და ხან ერთისკენ იწევდა, ხან მეორისკენ.

— კაცო, შენ მაინც შენსას არ იშლი? — შეჰღიმოდა გახარებული გიორგი.

— აი შენი ნაჩუქარი წიგნიდან ვაჟამ რა მითხრა:

სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს,
კეთილსა ვყვანდე ზიარად,
ვერ მივცემ მტერსა მაჟულსა,
საჯიჯგნად, დასაზიანად,
ნუ გეგონებათ დავლაჩრდი,
ჯერ ისევა ვარ ფხიანად.

— აი იცოცხლე და იდღეგრძელე!

მთელი სუფრა წამოიშალა, პავლეს სიხარული მათაც გადაედოთ, ყველა იღიმებოდა. ახალგაზრდებს სკამებად ლოდები მოზქონდათ, სტუმრები რომ დაესხათ.

— ნუ წუხდებით, თქვენი ჭირიმე, დაბრძანდით! — შეწუხდა გიორგი...

— კაცო, ეს რა შეწუხებაა, ხვალაც კი არ განახავენ. მაგათ იციან ვინცა ხარ. ეს გიორგია, ესენი კი მაგის გოგობიჭები არიან.

— მინდია სად არის?

— მინდია ბზის წყლის შესაყარზე გველოდება!

—მობრძანდით, აბა, დაბრძანდით! მომეცით, ბიჭებო, ჯამი. აი, ჩემო გიორგი, ჩემო ბიჭებო! ლელა, ამათი მამა-პაპა ამ ასიოდე წლის წინათ წამოსულა ჩვენი მხრიდან, აქ დასახლებულან, კერა გაუცოცხლებიათ. მამა-პაპათა ანდერძით ყოველ წელს ვინმე ჩვენებური უნდა წამოვიდეს, წამოიღოს ლომისის ზედაშე და დალოცოს ფუძის ანგელოზი. წლეულს მე და აი ჩვენს გიგას გვერგო აქეთ წამოსვლა, მერმის კი სხვები წამოვლენ.

— შემოდგომაზე, კალოებს რომ გავლეწავთ, ჩვენც ჩავალთ! — ჩაერთო ერთი მეინახეთაგანი.

— მაშ იმ ფუძის ანგელოზს გაუმარჯოს, რომელიც თვითონაც ცოცხლობს და ჩვენც გვაცოცხლებს. — პავლემ ჯამი გემრიელად გამოცალა, ულვაშებზე ხელი გადისვა, ჯამი ისევ აავსებინა, თან ბიჭებს ეუბნებოდა.

— თქვენ კი გენაცვალეთ, ბიჭებო, ეს რამოდენები გამხდარხართ, მა? ერეკლე, ხიზამბარელი რო გაცოცხლდეს, მგონი დაეჭიდო კიდეც.

ამ დროს წამოიმართა ერთი ჭარმაგი მოხუცი, წყლისფერი ჩოხა ეცვა, კალთები ქამარში ჩაეკეცა, პავლეს ჯამი გამოართვა.

— ასე აიკეცავდნენ ხოლმე ჩოხას, ომში რომ შევიდოდნენ, არა? — უჩურჩულა ვახტანგმა გივის. პასუხი ველარ მიიღო, რადგან მჭექარე ხმამ დაფარა ყველაფერი.

— ხმენა იყოს და გაგონება. ძმებო, იმ ძალას გაუმარჯოს, რა ძალამაც დღეს აქ შეგვყარა. არაგვიდან ასი წლის წამოსულები ისევ ძმები ვართ ერთმანეთისა. აი უცბათ რომ მოხვედით, უცხონი მეგონეთ. თქვენც ჩვენი სისხლი ყოფილხართ, სხვა არა იყოს რა, პავლეს ძმა და ძმისწულები ყოფილხართ; აი ამ პეტრე-პავლეს, ბზის წმინდა გიორგის, აძიკვის წმინდა გიორგის, საქართველოს დანარჩენ სამასსამოცდასამ წმინდა გიორგისა, ღვთაებისა და ღვთისმშობლის ტაძრებსა და მათ ძა-

ლას ვთხოვ, რომ ეს ჩვენი ძმობის და ერთიანობის წყარო არა ძალამ არ დაშრიტოს. ახალგაზრდებმა არ დამძრახონ, რომ წმინდანები დავასახელე. ეს ჩვენი ძველი წესი და ჩვეულებაა, ახალი წესი კი განათლებაა, რომელიც დღეს ჩირაღდანივით ანთია. ეხეც ვიცი, ეს ახალი უფრო ძლიერია და ხანამ ენთება, ქვეყანაც ძლიერია. იცოცხლეთ!

და ჯამი გიორგის გადააწოდა.

— გიორგი, იცოდე დევის ნამუხლარის ღვინოა!

— ნუ გამოლევს იმ მადლს თქვენში ნურავითარი ძალა, მე გამახალისა თქვენმა ნახვამ, თქვენმა თავყრილობამ, ნება მიბოძეთ თქვენ პირდაპირ გითხრათ, რასაც სხვას გადაკვრით ვეუბნებოდი ამასწინათ, თქვენ ისე შემიყვარდით, რომ არ შემიძლიან მთლიანად არ გაგანდოთ გულის ფიქრები.

მომავალ ახალ წელს მუხის დედაბოძივით უნდა შევუდგათ ჩვენი შრომის ნაყოფი. ხორბალი იმდენი უნდა დახვავდეს კალოზე, რომ ბელელმა ვერ დაიტიოს, მარცვალი შვინდის კურკას უნდა ჰგავდეს და გაცხრალვის შემდეგ ნაკმაზი არ უნდა რჩებოდეს; ზვარმა კი ისეთი მტევნები უნდა დაისხას, „ვერ ჩავიდეს გოდრის პირსა". ტკბილი ქვევრებისაკენ ისე მისჩქეფდეს, როგორც წისქვილის ღარში მიგდებული წყალი; ჩაის ფოთოლი უნდა იკრიფებოდეს და ვერ თავდებოდეს. ნაირფერი ხილი შემოდგომის მზის სხივებზე ათასფრად ელავდეს, „ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერიაო", იძახდეს დიდი და პატარა; მთიდან ჩამოდიოდეს გალაღებული ხარ-ძროხის ყვირილი, ჰაერში იდგეს სურნელება ვარდისა და ხილისა, ტკბილისა, ბზუოდეს ფუტკარი და ახარებდეს ყოველივეს, ჩვენი ხალხის სულსა და გულს; ერთმანეთს არ უნდა ჩამორჩნენ ქალაქი და სოფელი, ხან ერთი უნდა სჯობდეს და ხან მეორე, მაგრამ ორივე შემთხვევაში იმაზე მეტს ვაკეთებდეთ, ვიდრე დათქმული გვქონდა. აი მაშინ ერთმანეთს თვალს თამამად გავუსწორებთ, წელში გავიმართებით, არავისგან დასამალებელი არა გვექნება-რა.

ბევრი მომდის?

არა, ქართველი კაცი სხვის ხელში შემყურე არასდროს ყოფილა.

როცა აღმოსავლეთ საქართველოს ავბედობა დაატყდებოდა თავს, ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა მესხეთ-ჯავახეთს მიაწყდებოდა ხოლმე. იქა რჩებოდა ხშირად რამდენიმე წელსაც კი. და დღეს რომ გვიკვირს მესხეთ-ჯავახეთის ოთოკების (ტერასების) სიმრავლე, ეს იმდროინდელი ნაშთია, რაც უპირველესად სოფლის მეურნეობის დიდ კულტურაზე მეტყველებს. ამ დიდ კულტურას ისიც ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის სავარგულები სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით დახარისხებული იყო (სახნავ-სათესი, საბოსტნე, სავენახე, საიონჯე და სხვა.) ესეც კულტურის მაღალ დონეს მოწმობს. მთიან და ხრიოკ მესხეთს, რამდენიმე საუკუნის წინათ, შეეძლო იმოდენა მოსავალი მიეღო, რომ თვითონაც ჰყოფნოდა და სხვისთვისაც გაენაწილებინა, ავბედობაში ჩავარდნილი მოძმე წლობით შეენახა; ხშირად ერთ ოჯახში ორი ოჯახიც იყო შეხიზნული, და დღეს, ჩვენს დროში რაღა უნდა ვლაპარაკობდეთ მცირე მოსავალზე?!

ბოლო დროს უცნაური რამ დაგვჩემდა, ავსა და კარგს ვერ ვარჩევდით. ველარ ვხედავდით და ველარ ვგრძნობდით, როგორ გვეუფლებოდა უდარდელობა, არხეინობა, გულდამშვიდებულობა და ხელიდან გვეცლებოდა არა მარტო დოვლათი, არამედ ჩვენი კაი თვისება — ვაჟკაცობა.

ყანას მოერეოდა თუ ბოსტანს სარეველა, არად ვაგდებდით, „დაე იცოცხლოს, ეგეც ღვთის შვილიაო". მიწა ზერელედ იხვნებოდა, მხვნელს ჭკუას არ ვარიგებდით, დიდ უბედურებად არ მიგვაჩნდა, გამეჩხერდა ვენახი და, — რა ვუყოთო; იხოცებოდა საქონელი და, — გულს არა ხვდებოდა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ გვერდში მდგომი ქურდობდა, სხვის ნალვაწს ითვისებდა და თვალსა ვხუჭავდით. გამრავლდა დამპატიჟე ხალხი, რომელიც სხვის ნაოფლარზე პარპაშებდა, ზოგჯერ ასეთის გვერდით ვიდექით და ხმას ვერ ვიღებდით, ან არ ვიღებდით.

„დამპატიჟეზე" რამდენიმემ გაიცინა, ენიშნათ.

ყველაზე დიდი უბედურება ერს მაშინ დაატყდება, როცა თავის ღირსებას და თავმოყვარეობას ჰკარგავს. ქართველები კი ყოველთვის თავისი ვაჟკაცობისა და ღირსების ვაჟკაცური დამცველნი იყვნენ. და ეს თვისება ყველაზე საუკეთესო თვისებად იყო მიჩნეული. ქართველი დაჩაგრულს არასდროს არ აწყენინებდა, მოეფერებოდა, ფეხზე დააყენებდა; უკულმართობას შეამჩნევდა, — ხმას აიმაღლებდა, დაარიგებდა. თუ დარიგება არ გასჭრიდა, საქმეს სასოფლოდ გახდიდა და სოფელი განსჯიდა, თუ ესეც არ უშველიდა, სოფლიდან მოკვეთდნენ, გააძევებდნენ.

სოფელს, ქვეყანას პატიოსნება ყველაფერს ერჩივნა.

ამასწინათ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრების გამო ჩვენი კოლმეურნენი ერთმანეთს შეხვდნენ. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა, მაგრამ განსაკუთრებით ერთი თიანელი გოგონას სიტყვა ჩამრჩა გულში. უბრალოდ თქვა დიდი გარდატეხის ამბავი:

„მე წლეულს ოქროს მედლით დავამთავრე საშუალო სასწავლებელი, მაგრამ დამთავრების დღესვე ფერმაში წავედი სამუშაოდ და დღესაც იქ ვმუშაობ", მერე მოუწოდა თანატო-

ლებს მომბაძეთო, კარგად დაუსაბუთა მათ სიმშვენიერე მიწასთან დაბრუნებისა.

თუ ვისმე სჭირია ალერსი და სიყვარული, მიწას სჭირია, არ არის არაფერი მიწაზე სათუთი და საყვარელი.

მიწაა საფუძველი ყოველივესი. თუ მიწა გამოგვეცალა ხელიდან, შეწყდება განვითარება და წინსვლა და ეს იქნება დასასრული ჩვენი არსებობისა. მიწა მარტო იმიტომ კი არ არის ფასდაუდებელი, რომ იგი მამა-პაპათა სისხლით არის მორწყული. არამედ იმიტომაც, რომ, ჯერ ერთი, ცოტა გვაქვს, მეორეც იმიტომ, რომ ჩვენს მოვლასა და სიყვარულს დიდად აფასებს, სიუხვით გვიბრუნებს, რასაც მივაბარებთ, მესამეც, იმიტომ რომ მთიანი ქვეყანა ვართ და თუ არ მოვუარეთ, მას ნიაღვარი და ღვარცოფი წაიღებს, და მეოთხეც იმიტომ, რომ „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა“.

სწორედ ამიტომ უნდა მოვიგონოთ ჩვენი საუცხოო თვისება, ღირსების გრძნობა, რომელიც კვლავ დაგვანახებს ჩვენს თავს, გარემოს, ქვეყანას და ყველას თავისას მივუზღავთ. სწორედ ამის შედეგად იმატებს ბარაქა.

როდესაც ეს თვისება კვლავ აღდგება, მაშინ, ოდნავი გახედვაც სხვისი ხელისკენ, თავმოყვარეობის შელახვა იქნება. და ვგრძნობ, რომ ყველამ, ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ კვლავ თამამად შევძახოთ ძველი სიმღერა:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლით წლობამდე გამყოლია.

აქ „პურსა და ღვინოში“ ნაგულისხმევია დოვლათი, ბარაქა, ის, რაც ადამიანის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, ე. ი. ადამიანი ისე იცხოვრებს, რომ ვალი არავისი ჰქონდეს.

აი ამ დროს შესძლებს კაცი თვალი გაუსწოროს თანატოლს, უფროსს და უმცროსს. მე მიხარიან, რომ დღეს თქვენ შეგხვდით. მე ერთხელ კიდევ ვნახე, რომ ჩვენი ძირი კვლავ ღონიერია, თქვენ რომ გიმზერთ, ვრწმუნდები, რომ არავის ექნება ოდნავი უფლება უსაყვედუროს ჩვენს ხალხს, შენ სხვაზე ნაკლები მოგაქვს კულტურის საერთო საგანძურშიო.

საბჭოთა კავშირი თხუთმეტი ძმის ერთიანი ოჯახია. რაც უნდა სიამტკბილობით ცხოვრობდეს თხუთმეტი ძმა, რაც უნდა გაუტეხელი ძმობა ჰქონდეს, თუ ჩამორჩი და ბოლოსკენ მოექეცი, დანარჩენებს მხარი ვერ აუბი, გისაყვედურებენ...

ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა ჰპუამახვილობით, სიდარბაისლით, თავისი მოვალეობის შეგნებით. ჩვენ ვალდებულნი ვართ ისე ვიმუშაოთ, რომ მომავალი წლისათვის არ გვქონდეს საზრუნავი ჩვენი ადამიანური ღირსების დაბრუნებისათვის, არ იყოს ჩვენს შორის ისეთი, ვისაც არ შეეძლოს თვალი გაუსწოროს ვაჟკაცს, პატიოსანს, შრომისმოყვარეს, ქვეყნის მოჭირნახულეს.

როდესაც ადამიანი კვლავ იქნება „ამაყი და თავმომწონე“, მაშინ კვლავ გაივსება მარანიც და ბეღელიც, გაივსება ალალი შრომით მოპოვებული დოვლათით, რომელიც ჩვენს ხალხს, საბჭოთა სამშობლოს განვითარებას მოხმარდება.

აი რა მომინდა ერთხელ კიდევ მეთქვა თქვენთვის ჩემო ძვირფასებო. თქვენმა კაი კაცობამ მათქმევინა. იცოცხლეთ, იხარეთ.

— იცოცხლეთ, იცოცხლეთ, ჩვენო გიორგი! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— შენი ტკბილი სიტყვა არ მოგვაკლოს ღმერთმა.

— აბა ბიჭებო, — შესძახა პავლემ, — ერთი არაგვული ვთქვათ:

მამათქვენს კარგად ვიცნობდით,
თავთხელს უგებდა ბადესა...

წამოიწყო პავლემ და მალე ძველი სიმღერა ცაში აიჭრა.

გიორგი წამოდგა, ბიჭებიც მხარში ამოუდგნენ, პავლეს რჩევით ბზისხეველებმა ძალა აღარ დაატანეს დარჩითო.

— ეს ისეთი კაცია, რომ შეეძლოს დარჩენა, დარჩებოდა, — დაატანა, გულითადად დაემშვიდობნენ. პავლე დაჰპირდა ქალაქში გნახავთო.

ახალგაზრდებმა გზა დაუთმეს. ერთმა, ულვაშაკოკრებულმა, ერეკლეს მაინც უთხრა.

— შარშან თქვენი სადიპლომო შრომის დაცვას მეც ვესწრებოდი.

— შენ?

— დიახ, მეორეკურსელი ვარ, აი ეს, ავთანდილი კი, წლეულს შედის...

ამაზე კარგს ამჟამად ერეკლე ვერას გაიგონებდა; როცა მარტო დარჩნენ, ვახტანგმა ვერ მოითმინა და მამას უთხრა:

—კაცო, რას ერჩოდი იმ ხალხს, ეს ამოდენა სიტყვა რა იყო?

— ყველაზე კარგად ეგენი გამიგებდნენ და იმან მათქმევინა, — უცბად ვახტანგი შედგა და წამოიძახა: — ჩასაქოლი ვარ ბიჭებო!

— რა იყო, რა დაგემართა?

— სურათი ვერ გადავიღეთ.

— ეგ იმის ბრალია, რომ გაგვიტაცა მათმა შნომ და ჭავარმა.

— რომ მივბრუნდეთ, არ ივარგებს; ერთი ორი ბაზილიკაც ვნახოთ და მოვათავოთ, — ამითლა დაამშვიდა უფროსმა ახალგაზრდები.

პეტრე-პავლეს ტაძარი ერთნავიანი, დარბაზული ბაზილიკაა. იგი კოპწიაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანგრეულია, გარემორთულობა შემოძარცულია, მარტო ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი სამხრეთის კედლის თაღის თავზე

ლომის ბარელიეფი. ლომი გამოსახულია ინტერიერის ჩრდილოეთის კედელზეც. მოჩუქურთმებული კარნიზი ლამაზია, საუცხოოა.

როგორც პირველადვე შენიშნეს, საფლავის ქვებზე იმ კაცის პროფესიის მთავარი ნიშანია გამოსახული, რომელიც აქ მარხია. თუ მეომარია — მშვილდისარი ამოუკვეთავთ. ასეთი საფლავის ქვა მრავლად არის. ისეთ მხარეში ცხოვრობდნენ, რომ მოისარნი ბევრი უნდა ჰყოლოდათ. რენე შმერლინგს ერთ-ერთ თავის შრომაში მოჰყავს ბ. ხ. უვაროვის მოსაზრება საფლავის ქვის სიმბოლიკაზე. მარტო ძველ რომსა და საბერძნეთში კი არ იყო საფლავის ქვაზე პროფესიის მაჩვენებელი იარაღის გამოსახულების ამოტვიფრა, არამედ ეს წესი აზიის ყველა ხალხს აქვსო.

გარდა მშვილდისრისა, ხმლისა და ჩაჩქანისა, საფლავის ქვებზე ნაქანდაკევია ურემი, გუთანი. ამ მეგუთნეს ცალ ხელში გუთანი სჭერია და მეორეში მშვილდისარი, აგერ საფლავის ქვაზე მეცხვარის კომბალია გამოსახული. ეს სასაფლაოც ძალიან წააგავს გომარეთის სასაფლაოს, მაგრამ ეს უფრო ძველი ჩანს; გომარეთში თუ თოფი და დამბაჩა გვხვდებოდა, აქ მშვილდისარი და ხმალი სჭარბობს. შეიძლება ამ სოფელში სიცოცხლე მონღოლების დროს შეწყდა..

ახალსოფლის მეორე ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა; გარეთა მოპირკეთება შემორჩენილა, მუქი ქვის ფილებია ნახმარი. ჩუქურთმა აქ უფრო მცირეა, ვიდრე პეტრე-პავლეს ტაძარზე, მაგრამ ყურადღებას იქცევს სარკმელების სიუჟეტიანი მორთულობა, ლომები, ხარები და სხვა ცხოველები. ირგვლივ ყრია ტაძრის მორთულობის მრავალი ქვა, სვეტის თავი, იშვიათჩუქურთმიანი სარკმელი; ესეც მეათე-მეთერთმეტე საუკუნისა უნდა იყოს; მიაქციეთ ყურადღება — მეცამეტე საუკუნეში წყდება მშენებლობა. შემდეგშიც იყო, მაგრამ ასე უხვად არა.

დიდმონღოლობა ისე ჩაივლიდა?!

— ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ...

ბზის წყალი გამოტოპეს, წინადღის ნაწვიმარი იყო, წყალი მუხლზე მოადგათ. ალმა წამოვიდნენ. გზა ახალი ნაკეთები იყო და თავისუფლად მოდიოდნენ.

— ქართველებს უცხოელები გეორგიანელებს გვიწოდებდნენ. „გეო" ხომ ბერძნულად მიწაა, მხვნელ-მთესველებად ვიყავით დასახული; მართლა კარგი მიწათმოქმედნი ვიყავით, ამიტ ıმ იყო ძველ საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდა გიორგი; საქართველოში იმდენი ტაძარია აგებული გიორგის სახელზე, რამდენიც დღეა წელიწადში. კაცის დალოცვა რომ უნდოდათ, იტყოდნენ — სამასსამოცდახუთი წმინდა გიორგი შეგეწიოთო. გიორგი იმიტომ სწამდათ, რომ ნამდვილი რაინდი იყო.

— პავლე ძიამ რაღა თქვა სამასსამოცდახამით.

— შენ პავლე ძიას ვერ ასწავლე, როგორ თქვან, ორი წმინდა გიორგი იმ ხეობისა, თქვა მერე დაატანა: „დანარჩენი სამასსამოცდასამით"

— საოცარია, ამ პატარა ხეობაში ამდენი ტაძარია მისი სახელობისა.

— ქართველი პატივს სცემს რაინდს, დაჩაგრულის დამხმარეს. მან ხომ გველეშაპი მოკლა, რომელსაც წყალი შეკრული ჰქონდა და ამით სოფელს სასმელი და სარწყავი წყალი მისცა.

— ხალხმა წმ. გიორგი იმისათვის იწამა, რომ ახსნა წყალი, მოირწყო ყანა და მინდორი, ბოსტანი და ბაღი, ხილნარი და ვენახი, ნიგვზნარი და თუთნარი, აყვავდა კვლავ მიწა, გაცოცხლდა, სული ჩაიდგა. ცოცხალი მიწა ყველას ახალისებს. ეს სიყვარული ჩვენ ხალხს დღემდე გამოჰყვა.

შარშან ხომ დიდი გვალვა იყო, წყალი ყანასაც დააკლდა, ვენახსაც, მაგრამ ჩვენი მეზვრე იმდენს ეცადა, რომ ვაზს მტევანი მაინც შეარჩინა და მარცვალი დაამსხვილებინა. ქართველ კაცს რომ ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში გუთანი. ცნობილია, რომ საფლავის ქვებზეც ბევრჯერ გინახავთ ეს. გაუთავებელ ბრძოლებში თავის ღირსებას არ კარგავდა ქართველი კაცი. ამბობენ, გაფრინდაულმა ომში თორმეტი ყიზილბაში რომ მოკლა, ხმალი ჩააგო, ომიდან გამოვიდა, მეტის მოკვლა არ შეიძლებაო, მკვდარი ყირაზე დადგებაო. მოკლული მტერიც ებრალებოდა. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს. მოვიგონოთ მოყმისა და ვეფხვის ბალადის ფინალი: მოკლული მონადირის დედა ამბობს:

იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა.

ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „ალუდა ქეთელაური" ჰიმნია ქართველი კაცის რაინდული სულისა, რაინდული ქცევისა, ვერავითარმა შეგონებამ და მუქარამ ვერ გატეხა ალუდა, რადგან მტრებშიც ვაჟკაცი დაინახა: „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო... კარგი გყოლია გამდელი, ღმერთ გიდღეგრძელოს გვარიო!".

1962 წელს ანა კალანდაძემ დაწერა ლექსი, რომელიც ნამდვილ შემთხვევაზეა აგებული.

— რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ,
მათ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით...
— რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
— ამღას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,
— ახიელაშიც უზომო ხოცეს.
— რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!

— რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. ეს მოხუცი წარსულ დროთა ილუზიებით მცხოვრები ქალია, მაგრამ მტრისას მაინც ვაჟკაცობას აფასებს, ეს კი შეუძლიან მას, ვისაც კარგად ესმის ღირსების ფასი: უბრალოდ არ დაახურდავებს, არ გასცვლის მას, მაგრამ აწი მივანათოთ სანთელი ზოგან და ზოგან, ჩვენში არისღა ეს ღირსება?

სად დაიკარგა?

შეიძლება მინელებულიც იყოს, მაგრამ მაშინ ახეთი შეძახილი იყო საჭირო:

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ? — შემატყობინე,
ან ბარს დაგხვდები ან მთასა.

ან კიდევ:

სწორს, სწორის მოლალატესა,
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან,
მშვილდიმც გაუგლეჯს საგბურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან!

ამაზე დიდი წყევლა წარმოუდგენელია.

„ხიდნიც წყლად ჩაუცვივიანო“. მეტი ავბედობა რაღა იქნება?

— მხოლოდ რამდენიმე ლექსი ვთქვით, არა? და მერე რა კარგად არის ქართველი კაცის ხასიათი გამოთქმული? რად დაივიწყეთ „სოფლად ტირიან ქალებიო“? — აქამდე გატვრინულმა ლელამაც ხმა ამოიღო.

— აბა, ნაბიჯი, გაშალეთ — შეეხმაურა ამ დროს გიორგი.

— ეჰე, „მუხლი შეიბი მგლისაო“! — წამოიძახა ვახტანგმა და წინ გახტა.

## სამშვილდეში გაზრდილი ხე და სისხლი

მონღოლური ანგელოზი
დაადგება თბილისს...
ქალაქის გულს დაბეჭდავს,
გულში სიკვდილს დათესს
და ქართლი განქვართული,
ნაპრალებში, მღვიმეებში
ჩააყენებს ნათელს.

გიორგი ლეონიძე

დღევანდელ სოფ. სამშვილდის პირდაპირ, მდ. ჭივჭივას ხევგალმა ძველი სამშვილდეა. ქ. სამშვილდე საქართველოს ერთგული დარაჯი იყო სამხრეთიდან. დმანისის ციხექალაქივით, იგი ორი მდინარის შესაყარზეა აგებულია მდინარე ქციას მარცხნიდან ჭივჭივასწყალი უერთდება. ორივე მდინარე აქ ღრმა ხრამიანია, ლავების კანიონები თითქმის შვეულად არის ჩაწყვეტილი მდინარეთა ფსკერისაკენ. პლატოს სამკუთხედია შექმნილი. სწორედ ამ სამკუთხედის ქვედა ნაწილია გამოყენებული ციხექალაქის ასაგებად.

აქ ორი ზღუდეა შემორჩენილი: ერთი განიერი, სქელი კედელია, მეორე კი მარტო კედელი კი არ არის, არამედ ციხეა, რომელიც გადამკვეთიც გახლავთ. დასავლეთისკენ მიქცეული კედელი ხუთი-ექვსი მეტრის სისქეა. ამ კედლებს მიღმა კი მრავალი ნანგრევია, რომელიც ამ ქალაქის წარსულ დიდებაზე და შემდეგ მის ავ ბედზე მეტყველებს.

მანქანა ჭივჭივას ნაპირამდე ჩავიდა, ხრამის კედელზე ნაკეთებ გზაზეც ასვლა შეიძლებოდა, მაგრამ გზა ლადალუდა იყო და ამიტომ მანქანა დაინდეს, ფეხით გასწიეს. კედლებში ფესვი გაედგა მუხას, ჯაგრცხილას, აკაკის ხეს, განსაკუთრებით აკაკი იყო საინტერესო, მისი ძლიერი ფესვი კლდეში ჩაზრდილიყო, ორისამი მეტრის შემდეგ ისევ მზის სინათლეზე გამოდიოდა და კვლავ კლდეებში ბრუნდებოდა.

გალავნის კედელს რომ უახლოვდებოდნენ, სამშვილდელი კოლმეურნე დაინახეს, ბოსტანში ფუსფუსებდა, გამარჯობაზე გამარჯობა დაუბრუნათ. საუბარში სიტყვამ მოიტანა და თქვა: ამ ადგილს კრწანისი ეწოდებაო. ერთმანეთს გადახედეს. გიორგი მიუხვდა გაკვირვებას და უთხრა:

— თბილისშიც ხომ კრწანისი განჯის კარის წინ არის, აქაც ციხის წინა მინდორს ეწოდება.

— ყოველ შემთხვევაში, ვკითხოთ ენათმეცნიერებს, — თქვა ვახტანგმა და თავის წიგნაკში შეიტანა.

გალავნის შიგნით ნანგრევი ნანგრევს მისდევდა, მათ შორის ქუჩებიც კარგად ისახებოდა.

მსხვილი ქვით ნაშენი სახლების ბალავარი კარგად მოჩანდა; ეხლანდელ სამშვილდელებს ისღა მოეხერხებინათ, რომ სახლების გული, ყოფილი იატაკი მოესუფთავებინათ, ქვები ან იქვე დაეხროვებინათ ან ქუჩის გასწვრივ ყორეებზე დაეწყოთ, განთავისუფლებული ადგილი კი ბოსტნად ექციათ. ყორეებზე აქაც აკაკი ამოზრდილიყო და მის მძლავრ ფესვებს ძველ ნამოსახლართა ქვები ჩაებღუჯა. ეს უცნაური მკლავები მათ ქვებს შემორტყმოდა, თითქოს გაშვებას არასდროს აპირებსო. ზოგან კი ერთს ან ორ-სამ ლოდს რამდენიმე ფესვი შემოხვეოდა ზღვის უზარმაზარ რვაფეხასავით. ქვები დაფარული იყო მრავალნაირი ქარაგოზით: თეთრი, ცისფერი, ყვითელი, წითელი ფერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ამ ნანგრევთა თავისებურ კოლორიტს.

— აგერ, ხედავ იმ წითელ ქვას? ეს სისხლია იმ ბავშვებისა, ამ სახლში რომ ცხოვრობდნენ, — ჩურჩულით ეუბნებოდა ვახტანგი ლელას, რომელიც გატრუნული ისე უსმენდა, თითქოს მართალ ამბავს ისმენსო.

— ბიჭო, ვახტანგ, მათი სისხლი დიდიხნის წინათ აორთქლდებოდა ან მიწად იქცეოდა.

—თუ მიწად იქცა, აი ამ მიწაში ხომ არის,

ან აქ ამოზრდილ ყოველ მცენარეშია. მცენარე ხომ არ ქრება, ხმება და მიწასავე უბრუნდება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც.

— ეგრე რომ ვიანგარიშოთ, მთელი ჩვენი მიწა-წყლის მცენარეული საფარი ჩვენს წინაპართა სისხლს შეიცავს.

— მართლაც რომ...

— რას ჩურჩულებთ მანდ, — გამოსძახა ერეკლემ, — მოდით აქ, აი ძველი არხის ნაშთები...

— დიახ, ეს ძველი არხია, თამარ დედოფლის გამოყვანილი, — თავი დაუქნია სამშვილდელმა და მიუთითა ნარუალზე, რომელიც უკვე კარგად დაყამირებულიყო.

ნაქალაქარის დასავლეთით რამდენიმე აბანოს ნანგრევი ჩანდა. შუაში კი ტაძრის ერთი კედელიღა დარჩენილიყო. ეს ერთი კედელიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კაცს წარმოედგინა, რა გრანდიოზული უნდა ყოფილიყო ეს კათედრალი.

თუ თვითონ ქალაქი ერთ-ერთი უძველესია და მისი საწყისი სადღაც ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებში იკარგება და მეთვრამეტე საუკუნემდე მოსდევს, მაშ მისი ტაძარიც ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლთაგანია — მერვე საუკუნეშია აგებული. მართალია, ტაძარი დანგრეულია, მაგრამ გადარჩენილ კედელზე წარწერის ფრაგმენტია და ამ წარწერაში მოხსენებულ პირთა მიხედვით დადგინდა, რომ ტაძარი 759-777 წლებშია აშენებული. ტაძრის დამფუძნებელნი კი ვარაზ ბაკური და იოვანე ყოფილან, ქართლის პიტიახშთა შთამომავალნი.

ჩვენს მგზავრებს ზურგს უკან სახედრის ფლოქვების ბაკუნი მოესმათ. მიიხედეს და დატვირთული სახედარი მოადგათ, რომელსაც სამშვილდელი კაცი და დედაკაცი მოსდევდნენ.

— მართალი ყოფილა. მე და ჩემმა ღმერთმა, ვირს რომ უთქვამს: ფეხის გადამტვრევისა რომ არ მეშინოდეს, ქალაქს ავიკიდებდიო, — თქვა გივიმ.

— თქვენში, სამუხრანოზე სახედრები არა გყავთ, არა?

— ეხლა, ამ ბოლო დროს, ალაგ-ალაგ გამოჩნდა, საკარმიდამო ნაკვეთზე ამის სამუშაოც მოიპოვება, რადგან, მოგეხსენებათ, ხარურემი უკვე იშვიათია. პატარა ტვირთისთვის კი ავტომანქანას ვერც გარჯი და ვერც ხელად იშოვი.

— თქვენ საით, მეგობრებო? — შეეკითხა მინდია.

— ძირს, ჭალაში, პატარა ბოსტანი გვაქვს.

— მერე ამოდენა ბარგი რა ამბავია?

— მეზობელმა გვთხოვა, ჩემიც წაიღეო და...

— ცოტა ცოტას მიემატა, ბევრი გახდა, არა?

და სახედარმა ჩადგა ფეხი დაკიდულ ბილიკზე. შედგა. თითქოს ფიქრობდა, მეორეც ჩავდგა თუ არაო. ამ დროს ქალმა ერთ პატარა ტომარას სტაცა ხელი, ააცალა ვირს ფალნიდან და თავის ქმარს ზურგზე დაადო, რომელსაც უამისოდაც არც თუ ცოტა ბარგი ჰქონდა უკვე.

— ეს რად გააკეთე? — შეეკითხა ერეკლე.

— იცი რა, შვილის სწორო? დაღმართი დიდია, ძალიან დაკიდულია და ცოდოა.

— მაშ მე რა დავაშავე? — გაჯავრებით შეეკითხა სამშვილდელი...

— სარქისჯან, შენ არა გიშავსრა, ჩაჰყე!... — თითქოს უბრძანა კიდეც. ბიჭებმა კი ამაზე ხარხარი ატეხეს, პირველად ნახეს, რომ საქონელი დაინდეს და ადამიანები კი არა.

დედაკაცის აზრით, ადამიანი აიტანდა. თუ ვერ აიტანდა, — მოიხსნიდა, ძირს დადებდა, სახედარი კი ვერ იზამდა ამას. ქალმა ამათ სიცილზე თავი გადაიქნ-გადმოიქნია და თქვა:

— თქვენ რა იცით, შვილო, მიწასთან არა გქონიათ საქმე.

სახედარი მართლაც ფრთხილად ადგამდა ფეხს და მიდიოდა ქვემოთ.

— იცით რა, მოდი ჩვენც ჩავყვეთ. მინდია კი ჩავიდეს თემურთან, და იქ ამოვიდნენ, სადაც ცხენის ძეგლია, ვახშამიც მოამზადონ და ამ ხნის განმავლობაში სამშვილდის ხრამს მოვათვალიერებთ, — ყველას აზრი გამოთქვა ერეკლემ.

ასეც მოიქცნენ.

ბილიკი ბაზალტსა, ანდეზიტსა და სხვა ქანის ლოდებს შორის მიიკლაკნებოდა.

— ეს, რა ხეა? — ჰკითხა გივიმ, — ამისთანა ხე არსად შემხვედრია!

— ეს კი ნამდვილად სარკმლის ხეა. აქ შეიძლება ლეღვი და ბროწეულიც ვნახოთ. აი ხედავთ? ხრამის ეს კედელი სამხრეთს უცქერის, მზისგან ხურდება, მზვარეა; აგერ მეორე, გალმა კედელი, ჩრდილოეთს უცქერის, ის მთლიანი ტყით არის დაფარული, იქ ხარობს რცხილა, ქართული მუხა, ნეკერჩხალი, იფანი... ჩრდილის კედელია და ამიტომ უფრო ნესტიანია. ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ კანიონზე იზრდება ამ მხარის შუა სარტყელისათვის დამახასიათებელი მცენარეები. გამოღმა კედელი კი მშრალია, უწყლო, ამიტომ აქ მშრალი ადგილების მცენარეები იზრდება: ხეც, ბალახიც, საკმლის ხეც, თუთუბოც, აკაკიც, ლეღვიც, ქართული ნეკერჩხალიც, ბეგქონდარაც და სხვებიც... აბა თუ გახსოვთ, სად ნახეთ ასეთი?

— შირაქსა და ელდარში, ვაშლოვანში, პანტი-შარაზე...

— მაშ ვახუშტი რომ წერს, აქ, ნახიდურამდე ზეთისხილი, ლეღვი და ბროწეული მოდისო, ეს უეჭველად ქციის მარცხენა ნაპირზეა, არა? — შეეკითხა ახლა ვახტანგი.

— სწორედ ეგრეა... აბა ჩავყვეთ. კიდევ რას იცნობთ აქ შირაქულს?

მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. აი ჯერ ერთი წითელ-წვერა, აბზინდა.

— აგერ ხურხუმოც. აქ მარილებიც ყოფილა.

— ასე ღრმად, მთებისაკენ როგორ შემოიჭრნენ?

— თავისებური მიკროკლიმატური და ნიადაგობრივი პირობები რას არ იზამს!

ამის შემდეგ დიდხანს ხმა არ ამოუღიათ, სანამდე წინ მიმავალი ვახტანგი არ შეჩერდა.

— ჩამაწყდა, ბიჭებო, მუხლები. დაღმართში უფრო ძნელია სიარული.

— შენ ეგ მაშინა თქვი, ზევით რომ წამოვალთ, — გაუცინა მამამ და იმისთვის, რომ მუხლში ქარი ამოელოთ, მარჯვენა მხარეზე მიუთითა და საუბარი წამოიწყო.

— იქ, გაღმა, დიდი ზეგანია, ტაფანი ჰქვიან, მშვენიერი ვენახებია ბოლნისის საბჭოთა მეურნეობისა. ახალი ბოლნისიც ამ ტაფანის გადაღმაა.

—აი, ეს გადაიღე, ვახტანგ! მე ფირი გამითავდა, — ერეკლე ერთ საკმაოდ დიდ სარკმლის ხესთან იდგა, რომელიც კლდის ნაპრალიდან ამოზრდილიყო და ერთ ლოდს მისი ფესვი სანახევროდ შემოხვეოდა.

ეს სარკმლის ხე მარტო ვახტანგმა კი არა, გიორგიმ და შალვამაც გადაიღეს.

როგორც იყო, ჩააღწიეს მდინარის ჭალაში და პირდაპირ მდინარეს მიაშურეს. წყალი ანკარა და წმინდა იყო, გაიძრეს შარვლები და ერთ მორევში დგაფანი მოადინეს, ფეხებისა და ხელების ქნევით მდინარე პირდაპირ ააქაფეს.

— ბიჭებო! კალმახს ნუ მიფრთხობთ, მანდ ჩემი ქარავანია, — გამოვიდა ერთი მათი ტოლი ტირიფნარიდან სიცილით, — გამარჯობათ ბ-ნო გიორგი!

— გაგიმარჯოს, — დაუბრუნა გამარჯობა გიორგიმ და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შეხედა, ჩანდა ვერ იცნო.

— ოჰ, სანდრო, საიდან? — გამოსძახა ერეკლემ.

— ერეკლე, შენც აქ? აგერ ტაფანზე ვმუშაობ, გეოლოგიურ საძიებო ჯგუფში.

— იპოვეთ რამე?

— ჯერ ცოტაოდენი...

— შენ აქ მუშაობ, თუ თევზაობ?

— მე და თამაზი დღეს მორიგეები ვართ, ის ზევით დარჩა, ქვაბებს ურევს, მე ჩამომგზავნა, თევზი ამოიტანეო, შენ უფრო იცი ეგ საქმეო.

— მერე?

— ცბლავე! — შებრუნდა ტირიფიანში, საიდანაც კალმახით სავსე პარკები გამოიტანა, — ბატონო გიორგი, ჩვენი წესის მიხედვით, თუ მონადირეს უცხო შეესწრებოდა, ნახევარ ნანადირევს უნაწილებდა...

— ჩვენ ისე არა ვართ მოწყობილი, რომ თევზში შეგეცილოთ, — უპასუხა ღიმილით გიორგიმ და მადლობა უთხრა.

— მამი, მამი! ხომ გვაქვს ქვაბი, ხვა არა იყოსრა, შამფურზე მწვადივით შევწვავთ, — ეს ვახტანგი იყო.

გიორგის გულიანად გაეცინა, ბიჭები უკვე ჰყოფდნენ სანდროს ნანადირევს.

— აგერ, რამდენი სასულებია, — მიუთითა სამხრეთის კედელზე სანდრომ.

— კარგი კი იყო ასვლა ერთ-ერთში. ეგენი ხომ სამალავებიც იყო, იქნებ ვნახოთ რამე.

— წერაყინი გაქვთ?

— ფრთხილად, ბიჭებო, — შესძახა გიორგიმ, რომლისაც კანიონის ძირში ბიჭებმა მიწაყრილი აირბინეს და, როგორც გამოცდილმა მეკლდეურებმა ზევით ასვლა დაიწყეს, სადაც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული სასულეგამოქვაბული ჩანდა.

მალე ჩამობრუნდნენ.

— ობხიდიანის ისრის წვერების მეტი ვერა ვნახეთრა.

— იქნებ ეს ისრის წვერი იმ ისარს ჰქონდა, რომელიც ძოხძლახვეული და ანთებული გამოსტყორცნა მონღოლმა ამ სამალავში მყოფებისაკენ.

— იმდროინდელი ცეცხლის გამჩენი ყუმბარა?

— სწორედ.

— ასე ადვილად ახახვლელ გამოქვაბულში ვინ რას დატოვებდა? — თქვა ლელამ.

გამოეთხოვნენ სანდროს და შეუდგნენ აღმართს. გიორგიმ სანდროს კიდევ უთხრა მადლობა, გადამახლევინოსო.

მზე გადახრილი იყო როდესაც დათქმულ ადგილს მივიდნენ და კალმახებით მინდია გაახარეს.

## გამომზეურებული დარბაზი

გზაზე სიდაც ცაცხვებია
და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
ადგილები უკეთესი.

გალაკტიონ ტაბიძე

მეორე დღეს, დილით თეთრიწყაროს ბაზარზე შეიძინეს სანოვაგე, ხილი, მწვანილეული და დაადგნენ ტბის გზას. გზა თანდათან მაღლა იწევდა და ანეროიდმა მალე 1.400 მეტრი აჩვენა. მანქანა გზის პირას დააყენეს. მინდია მანქანაში დარჩა, ხოლო თემური სხვებთან ერთად აჰყვა დამრეც ფერდოს. მალე აიარეს რცხილნარ-მუხიანი და მათ წინ პატარა ტბა გამოჩნდა; ვახუშტის შემდეგ ამ ტბას ფერი უცვლია. „ლულუფრისაგან კიდევ მას შინა არარაი არისო — რომ წერს ვახუშტი, ასე აღარ არის — ტბა დაბერებულა, ნაპირები დაჭაობებულია. იქ ახლა ლიხი, ჭილი, ლელი და

სხვა წყალქარბი ჭაობის ჩვეულებრივი მცენარენი სჭარბობენ. ტბის გულზე წყლის შროშანა ჩანდა, მაგრამ მასთან მისვლა ჭაობის გადაულახავად არ შეიძლებოდა. გზისკენ უკან დაბრუნებისას მუხნარ-რცხილნარში ნასოფლარს წააწყდნენ. როგორც ჩანს, ძველისძველი იყო, რადგან ძლივს შესამჩნევ ბალავარებზე და ყორეებზე უზარმაზარი წიფელი, რცხილა და მუხა ამოსულიყო, მუხის ხნოვანება სამასი წლისა მაინც იყო. მინდიას რჩევით გადაწყვიტეს ამ დღეს ტყე კარგად მოეჩხრიკათ, ვახტანგს და ერეკლეს ნასოფლარები, ნასახლარები აღერიცხათ, დანარჩენებს მცენარეული საფარი, ღამე კი ქივქივის შენაკადის ნაპირზე გაეთიათ.

გზაზე მანქანა ნელა მიირყეოდა. დაახლოებით 1.500 მეტრის სიმაღლეზე გააჩერეს, ტყის პატარა მდელოზე დაიდეს ბინა.

ისადილეს და ტყეს შეერივნენ. ვახტანგმა და ერეკლემ მართლაც ბევრგან ნახეს ნასოფლარი, ტაძრის ნანგრევი, ბევრგან მაჟალო და პანტა ისე იყო არიგებულ-ჩარიგებული, რომ ბაღსა ჰგავდა იქაურობა. როდესაც შეგროვდნენ, ყველა კმაყოფილი იყო, ბევრი რამ ნახეს.

— მაინც მეტისმეტია ამდენი ნასოფლარი! — დაასკვნა ვახტანგმა., როდესაც საძილედ ემზადებოდა.

დილით რომ აჰყვნენ ბედენის ფერდობს, დარწმუნდნენ, რომ ბედენის საძოვრები ძირითადად ნატყევარია. ტყე აქ წიფლნარით მთავრდებოდა, რომელსაც აღმოსავლეთის მუხაც ერია. ტყე 1.700-1.800 მეტრის სიმაღლეწყდება.

რასაკვირველია, აქაც ნახეს ლეუკანთემუმი, რომელიც საძოვრებს აქა-იქ მოსდებოდა. პირველად მისკენ დაიხარნენ, დაწვრილებით აწერეს, ნიმუშებიც აიღეს.

ნელი ნაბიჯით აუჩქარებლად მიდიოდნენ და თვალწინ აქაური მცენარეულობის ისტორია ეშლებოდათ. მართალია, მცენარეულობის ერთი ჯგუფით მეორეს შენაცვლება სხვა ადგილებშიც ჰქონდათ ნანახი, მაგრამ ეს პროცესი აქ საკმაოდ მკაფიოდ ჩანდა.

გიორგი ამ მხარეში ადრეც იყო ნამყოფი და ამიტომ გეზი ერთი საკმაოდ მაღალი გორაკისაკენ აიღო. აქ კი ასეთი გორაკები მრავალია.

მალე მიადგნენ გორაკს, სადაც გიორგის აკლდამა ეგულებოდათ; გორაკი ეთხარათ, მიწა გადაყრილ-გადმოყრილი იყო, აკლდამაზეც წაეყარათ.

დიდი ყორღანის შორი-ახლო მომცრო ყორღანი ჩანდა, ისიც გათხრილი. ეს ყორღანიც კონსერვირებული იყო.

— აბა, ვახტანგ, შენ რას გვეტყვი, ბედენიც შენი წილია, — უთხრა მინდიამ ვახტანგს.

— ამის თაობაზე ჯერჯერობით ბევრი არაფერია გამოქვეყნებული, გერმანე გობეჯიშვილის წერილის გარდა. იგი ამ წერილში პირველ ცნობებს გვაწვდის, მეტრეველი კი შენობა-დარბაზს აღწერს. ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ სამარხთა შესახებ.

ეს სამარხები გერმანე გობეჯიშვილმა გათხარა და პირველი მასალაც მან გამოაქვეყნა. პატარა გორაკი თერთმეტია. სიმაღლე ერთორი მეტრი აქვს თვითეულს, დიამეტრი კი — ოცი-ოცდაათი მეტრი. მთავარი ყორღანის, ე. წ. „გადაჭრილი გორის“ სიმაღლე ექვსი მეტრია, დიამეტრი — 100. როდესაც გადაჭრილი გორა გათხარეს, ნახეს, რომ გორის ქვეშ ამოთხრილია ვეებერთელა ორმო. ორმოს გვერდები საკმარისად დამრეცია. ფსკერზე აგებული დახვდათ მუხის აკლდამა, ოცდაათი კვადრატული მეტრი ფართობით. კედლების სიმაღლე (ბოძებისა) ოთხ მეტრს მაინც უდრის. ყველა ნიშნებით ჩანდა, რომ ამ სამარხში ტომის ბელადი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული. სამწუხაროდ, სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, შვიდას-რვაასი წლის წინათ გაუძარცვავთ. ოქროს ნივთებიდან დარჩენიათ თუ თხრის დროს მიწაში გადამყოლიათ ორი დიდი ოქროს ქინძისთავი.

აკლდამაში აღმოჩნდა ხორბლისა და ფეტვის მარცვლები, წაბლი, თხილი და სხვადასხვა ხილის (ტყემლის, კვრინჩხის, ბალის) კურკები.

ჭურჭლეულობიდან ბევრი იყო შავპრიალა თიხის ნამტვრევი, ჯამი, ტაბაკი, ხონჩა და სხვა ამგვარი.

სამარხში აღმოჩნდა იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ისრის წვერი. აღმოჩენილია ტილოს, შალის და ერთი ფრიად ნაზი ქსოვილის ნაშთები.

რაც მთავარია, სამარხში აღმოჩნდა ოთხთვლიანი ურემი. ურემი ნახმარია — ღერძიც გაცვეთილია, მორგვის ნახვრეტიც და თვლებიც. ეს კი იმის დამადასტურებელია, — დაასკვნის გ. გობეჯიშვილი — რომ იმ დროისათვის, ესე იგი, ძველი წელთა აღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასასრულისათვის, გზები შედარებით კარგი ყოფილა, ოთხთვალა ურმებს შეეძლოთ სიარული.

საინტერესოა, რომ ჯერ პატარა გორაკი გაუთხრიათ, მაგრამ შიგ არც ჩონჩხი აღმოჩენილა, არც სხვა ნივთი. ფიქრობენ, გარდაცვლილი აქ დროებით დაუმარხავთ და შემდეგ, როდესაც დიდი აკლდამა და სამარხი მოუმთავრებიათ, ამ სამარხიდან იქ გადაუსვენებიათ. დიდი აკლდამის მომზადებას დრო სჭირდებოდა, თერთმეტიათასი კუბმეტრი მიწის ამოღება და გადატან-გადმოტანა ხუმრობა საქმე როდია.

ამ ორმოში აშენებულია დიდი დარბაზი-აკლდამა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია

მუხა, შესაძლებელია აღმოსავლური მუხა, რომელიც ამ გორაკის ახლო უნდა ყოფილიყო.

## ოცნება ხრამის პირზე

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ გაკოცებ... ჩაგცქერი,
წიგნი კი არა, ყრყოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

გიორგი ლეონიძე

ქციის ხრამი ანდამატივით იზიდავდა ბიჭებს. საქმე ის არის, რომ ვახტანგის თრიალეთის სიზმარი ბიჭებს ხუმრობის საბაბს აძლევდა; მაგრამ აქ ხუმრობისათვის როდი იყვნენ წამოსული.

ქციის ხრამზე მრავალი ქვაბია, ხელოვნური თუ ბუნებრივი. ამას თავის დროზე ვახუშტიმაც მიაქცია ყურადღება: „არამედ ხრამთა ამათა შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკვეთილნი სახიზრად; ვიეთნი აწ კაცთაგან მიუსვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან გამოედინებიან თაფლნი“.

გაციებულ ლავაში დარჩენილი გამოქვაბულები გამოიყენეს ადამიანებმა: ზოგი ხელუხლებლად დატოვეს და ზოგი შეაკეთეს, გააღრმავეს. დაამშვენეს. ეს თანდათანობით ხდებოდა; რამდენადაც ადამიანი განვითარების მაღალ საფეხურზე ადიოდა, იმდენად ამ გამოქვაბულებს მეტად ემჩნეოდა ადამიანის ხელი.

ქციის ხრამი ძნელად მისადგომი იყო და ამიტომ ზედ გამოჭრილი იყო სახიზრად. რასაკვირველია, ეს ქვაბები მარტო სახიზრად არ იყო გამოყენებული, ზოგან მონასტრებსაც აშენებდნენ და გამოქვაბულებს კი ბერების საცხოვრებელ საკნებად იყენებდნენ.

ჩვენმა მგზავრებმა სოფ. სამღერესს გვერდით ჩაუარეს და ნახნავებს შეერივნენ, რომელიც უფრო მეჩხერ ბაღსა ჰგავდა.

— ამ მხარეს სამღერეთი ჰქვიან, ვახუშტი ასე უწოდებს. ეხლა კი — სამღრეთიო, ამბობენ. საიდან გაჩნდა ეს დამახინჯებული სახელი?

— ეგეც ავბედობის ხარჯზე ვიანგარიშოთ? — ჩაერია შალვა.

მალე გაებნენ მუხიანში. ბილიკებიც დაკარგეს. ერთ ბექობზე გადადგნენ. მათ წინ ხევგალმა შესანიშნავი ტაძარი იყო ამართული.

— ეს, ბიჭებო, ფიტარეთია. ესეც, ბეთანიის მაგვარად, ორბელიანთა საძვალეა.

— პირღებულის ტაძარს კარგა შორს დავცილებივართ.

— მართალია, ის სამხრეთისკენ არის.

— კიდევ კარგი, შეგვცდა, თორემ ამას ხომ ვერ ვნახავდით, — თქვა ერეკლემ.

ნახევარი საათი მაინც ტკბებოდნენ მისი სიმშვენიერით.

„ნუღარ ვიგვიანებთო“ და გაჰყვნენ სამხრეთით ხრამის ნაპირს. კარგა ხანი ეძებეს, ხანამ ისევ გიორგიმ არ მოისაზრა: გივი აგზავნა ერთ მაღალ მუხაზე და დაავალა, სამხრეთით კაკლები უნდა იდგეს და მონახეო.

— აქვე ყოფილა, — ჩამოსძახა ზევიდან.

ბედად მეღორე ბიჭიც შეხვდათ, რომელმაც ბილიკზე დააყენა. „ეგრე იარეთ და მალე ჩახვალთო“ — გაატანა იმედიანი სიტყვა. მართლაც, ოციოდე წუთის შემდეგ კაკლიანში იყვნენ. ჩანდა, რომ ნავენახარი იყო, რცხილაზე რამდენიმე ბაბილოც ასულიყო, აქა-იქ ტყემალიც ჩანდა, რამდენიმე გოხა მსხალიც.

ცოტაც გაიარეს და ქციის ხრამს გადაადგნენ.

პირღებულის ფასადი მოლურჯო ალგეთური ქვით არის აგებული (უკანა მხარით კი ხრამის კარნიზს არის მიდგმული), ტაძარი ქვითვეა დახურული, ზედ ნეკერჩხალი და მუხა გაზრდილა, ჩრდილოეთით კედელი სუროთია დაფარული. იატაკი ქვისაა.

მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისაა, პირღებულიც საბარათიანოს კუთვნილება უნდა იყოს. ამას ის მრავალი წარწერა ადასტურებს, რომელიც კედლებზე დღემდეა შემორჩენილი, კერძოდ ხშირად იხსენიებიან ბარათაანთ ერთი შტო — აბაშიშვილები.

აქვეა ორსართულიანი სასახლის ნანგრევი, ცოტა ზევით კი პატარა საყდარია.

ჩრდილოეთით წყარო გადმოჩუხჩუხებს და აქედან იწყება მრავალი გამოქვაბული. ზოგის წინა მხარე ქვითკირით არის ამოშენებული..

მამა აფრთხილებდა ბიჭებს, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ და ფოფხავდნენ კლდეებში. ერეკლესთვის რომ გეკითხა: „ვახტანგი თამარ დედოფლის ბიბლიოთეკას ეძებდა“ და ისიც შველოდა.

მზე უკვე ჩაწვერილი იყო, როდესაც გიორგიმ თავისი ხალხი მოაგროვა, დაანთებინა ცეცხლი, გააშლევინა საძილე ტომრები და გამოაცხადა, ღამე აქ ვრჩებითო.

ტყიდან ორი უზარმაზარი წაქცეული ხის მორი ჩამოიტანეს და დაუდეს ცეცხლზე.

დილაადრიან აი რას უამბობდათ ვახტანგი:

— ხომ მაინც ვიპოვე..

— რა იპოვე, ბიჭო! — შეეკითხა მამა.

— აგერ, ჩრდილოეთით, ხრამის პირას რომ მუხა დგას, იმის ძირში გამოქვაბულია. ხვრელში ძლივს შევძვერი და...

— იქ ბიბლიოთეკაა, ხომ? — დაამთავრა მამამ.

— იმას ჯობს, წინათ რომ ნახე?

— სწორედ! და მერე როგორია იცით? წიგნები, ვერცხლისა და ოქროს ყდებშია აკინძული. სამი ვეფხისტყაოსანია, ერთი პირადად თამარის წიგნია, ოქროს ყდა აქვს, ბექა ოპიზარის ნაკეთები, ერთადერთი ლალი აქვს მარცხნივ, ზემო კუთხეში, სხვები თვალმარგალიტით არის შემკული. თერთმეტი სახარებაა.

ესენიც ძვირფას ყდაშია ჩასმული, ზოგი ბეშქენ ოპიზარის ნახელავია, ზოგი ბექასი, ზოგი მორკინალისა. ახლა შავთელი? ჩახრუხაძე?

— მერე და, რატომ ერთი მაინც არ წამოიღე?

— არა, რას დამცინით, ხომ შეიძლება იყოს ასეთი ბიბლიოთეკა?

— რასაკვირველია, შეიძლება.

— თუ შეიძლება იყოს, უნდა ვეძებოთ.

— ახლა ამ ხრამის კლდეებზე დაიმტვრიე თავპირი, — შეუტია მამამ, — ადე, მოიტა წყალი. შენ კი, ერეკლე, ცეცხლი გააჩაღე!

— ეჰ, კარგია ოცნება, მით უმეტეს, სინამდვილესთან რომ ახლოა.

## ᲡᲐᲛᲦᲔᲠᲔᲗᲘ

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი;
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, როგორც ხომალდი.
გიორგი ლეონიძე

ჩააქრეს ცეცხლი, მიალაგ-მოალაგეს ნაბინავარი, აკრიფეს ქაღალდის ნაგლეჯები, მოეწყნენ და ფიტარეთისკენ გამოსწიეს.

— აბა, ბიჭებო, გზა ყივის წარმავალისა, და მწოლელისა ლოგინი, — გივის გემრიელად გაეცინა.

ფიტარეთამდე, სწორი ხაზით, შორი არ იყო, მაგრამ ფერდოზე გზა დახვეული იქნებოდა და მანძილიანი. კილომეტრი არც კი გაევლოთ, რომ ლორის კოლტი დახვდათ; ყველა გაჩერდა და ღორებს დაუწყო მზერა. წამკრავდნენ დინგს მიწას, შეატრიალ-შემოატრიალებდნენ, ამოაბრუნებდნენ, დასუსხავდნენ და რალაცას შესანსლავდნენ.

— რაჲ უცქერით ჩემ ღორებს, — შეეხმაურა ბუჩქებიდან გამობოტებული მეღორე, რომელსაც იღლიაში ვეება ჯოხი ამოედო, ხელში დანა და დიდგულის ტოტი ეჭირა, ეტყობოდა სტვირის გაკეთებას ლამობდა.

— სტვირს აკეთებ?

— მაშ, დასდურაკს! ხო ვერ გავაკეთებ?

— იცი მერე?

მეღორემ საყვედურით გადმოხედა, დანა დაკეცა, ქამარში დაკიდულ ქარქაშში ჩადო, დიდგულის ტოტის ნაჭერი უბეში ჩაიდო, იქიდანვე უენო სალამური ამოიღო და ყელი მოიღერა ამ დროს იერი შეეცვალა, დამშვენდა გალამაზდა, გაამაყდა და თავისებური სათნოების სვეტი ჩაუდგა თვალებში.

ჩაბერა სალამურსა და გამიჯნურებული მტრედივით აღუღუნა.

ღუღუნებდა სალამური და მისი ხმა ეფინებოდა მუხნარ ტყეს, გეგონებათ ათასი მტრედი და ძიგვინი, გვრიტი და ქედანი მოსულა და ყველა ერთად ეალერსება ერთმანეთსო. ბიჭები გაქვავებულნი, სმენად გადაქცეულნი, მისჩერებოდნენ ამ ტყის მომღერალს და ნატრობდნენ ადრე არ დაემთავრებინა.

— ვიცი?! ესეც ჩემი გაკეთებულია!

ბიჭებმა ვერა უპასუხეს რა.

— ჰო და ეგრე! — და გაეღიმა.

— მე ვიცი ვინცა ხართ. წელან მანქანით ბატონმა მინდიამ ჩაიარა. ეგ უფროსი კი გიორგია. ტელევიზორით მინახავს ორივე.

— საიდან, მეღორევ!

— მეღორე, შე კაი კაცო, ბატონყმობის დროინდელი მეღორე კი არა ვარ, ეს ღორი კოლმეურნეობისაა, მეათე კლასში გადავედი, ამ თვეში მე მერგო წილად და მე დავდივარ...

— მაშ გამარჯვება შენი, ჩემო...

— არჩილი მქვიან...

— ჩემო არჩილ!

ამის შემდეგ ტკბილად ისაუბრეს. არჩილისაგან გაიგეს, რომ ეს ფერდო ხილიანი ფერდოა.

— აი, გახედეთ, ორი-სამი მუხის შემდეგ ან პანტაა ან მაჟალო, ბევრია ზღმარტლი, თხილი, ტყემალი, რკოსა და წიწიბურას გარდა, ძირნაყარი ხილი ღორისთვის კარგი საკვებია. როდესაც დამწიფდება, ზოგ ძირ პანტაზე ავდივარ და ვბერტყავ, მაგრამ ყველას კი არა, აი ამას ჯვარი აქვს, ეს ტკბილია. ტკბილი ძირები სასოფლოდ არის შენახული, მაგისთანა ძირებს, კარგად რომ დამწიფდება, დავბერტყავთ და შინ წავიღებთ, ან ხილად ვხმარობთ, ან ჩირად ვაკეთებთ, ან არაყსა ვხდით.

როდესაც არჩილს გამოეთხოვნენ, მისამართი გამოართვეს, წიგნებს გამოგიგზავნითო. გიორგი ერთ კარგა დიდ ახოზე გაჩერდა, ერთ ჰექტარზე მეტი იყო.

— აი, ხედავთ, ოცდაათი ძირი პანტა დგას, ხუთი მაჟალო, ყველა ესენი ალბათ, ტკბილი და გემრიელია, შერჩევის შედეგად არის დატოვებული.

— თქვენ გქონდათ უკვე სადღაც ლაპარაკი ბუნებაში პირველადი ბაღების გაშენების, უფრო სწორად, დატოვების შესახებ. ტყეს რომ აახოვებდნენ, ტოვებდნენ ყველა ხილეულს. შემდეგ და შემდეგ კი მხოლოდ კარგს, ლამაზ ნაყოფიანსა და გემოიანსა ხტოვებდნენ. საბოლოოდ ჰექტარზე დაახლოებით

---

დასდურაკი — საკრავია. არსებობს ხალხური ლექსი — ანდაზა:

მაღლა ღმერთი ქნარს უკრავდა,
დაბლა კაცი დასდურაკსა,
მე ჩემ სურვილს ავისრულებ,
რას დავეძებ სანდურავსა.

მუსიკის მცოდნენი (პროფ. გრ. ჩხიკვაძე) ფიქრობენ, რომ დასდურაკი — სანდურაკი დამახინჯებული სანთური — სანთურაკი უნდა იყოს. სანთურა კი სახელწოდებაა ერთ-ერთი ძველი საკრავისა.

10-15 ძირი რჩებოდა. ეს კი ბალიც იყო და ხახნავიც.

ერეკლემ რამდენიმე ძირ პანტაზე და მაჟალოზე მოკრიფა ნაყოფი.

— გეგონებათ სანერგე ბაღში ხართო, ყოველნაირი ფორმის ნაყოფია.

— ისე გამოდის, რომ ბევრი კულტურული ხილი, მსხალი თუ ვაშლი თავის სათავეს პირდაპირ ტყიდანაც იღებს.

— ასე გამოდის. ამის საუკეთესო მაგალითი ეს ველური ბალიც არის.

ვახტანგმა მომწვანო ყვავილი აჩვენა გიორგის.

— ეგ იშვიათია, ძიმწარაა, ანუ ძირმწარე, ასეც იტყვიან:

წუთისოფელმა დღე ჩემი
ძირმწარე დამალევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა?!

— აგერ ფიტარეთი, — წამოიძახა ერეკლემ. მათ წინაშე შუა სოფელში ყელმოღერებული გედივით ამართულიყო ფიტარეთის ტაძარი.

ბიჭებმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალეს გიორგის და დაეშვნენ სოფლისკენ. „ქვემორ მისა არს მონასტერი ფიტარეთს მშვენიერ ნაშენი, გუნბათიანი, მშვენიერ ადგილს, ზის წინამძღვარი“, მაშასადამე, დაახლოებით 1730-40 წლებში, როდესაც ვახუშტი წერდა თავის წიგნს, მოქმედი ტაძარი ყოფილა. ტაძარი [illegible]-თორმეტე-მეცამეტე საუკუნეების არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია. კარიბჭის წარწერა გვაუწყებს, რომ იგი აშენებულია გიორგი ლაშას ამირაჯიბის ქავთარის მიერ. ტაძარი შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებით. მას ვერ უვლიან ისე, როგორც შემფერის ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლს.

— ქციას გავიდეთ და გაღმა დავისვენოთ, — ურჩიათ მინდიამ.

— მერე, გავალთ? — იკითხა თემურმა.

— თუ ყოჩაღად მოიქცევით, უნდა გავიდეთ.

ქციის მარჯვენა ნაპირს ჩამყვნენ, საურმე გზას ჰალის ტყის ვიწყო ზოლი გასდევდა (ვერხვი, ტირიფი) და გზა ფონს მიადგა. თემურმა მანქანა დააყენა. გაღმა კაცი გოდორსა სწნავდა, წამოიმართა.

— ეგრე, გეზად გამოდით, — გამოსძახა.

მათ წინ, გამოღმა ორასიოდე მეტრზე, ქციის მარცხენა ნაპირზე, ამართული იყო ორბელიანთა ციხე-სიმაგრე, ხულუტის ციხე, გული როგორ მოუთმენდათ, რომ არ ენახათ. ვახტანგი გაენთო იქითკენ. ხულუტის ციხე მე-17 საუკუნეშია აგებული. ციხე მკრავს ხეობის ვიწრო ყელს. ადვილად მისდგომია, მაგრამ სიმაგრედ მაგარია, მტკიცედ ნაგებია, საცხოვრებელი კოშკები უფრო საბრძოლო კოშკებს წააგავს. ეზო მცირე აქვს. წყალთან კარგად დაფარული გვირაბი ჩადიოდა, შეიძლება ეგეც არ ყოფილიყო საჭირო. ღრმა ჭა გრუნტის წყლამდე ჩააღწევდა და გარედან წყლის მოჭრაც შეუძლებელი იქნებოდა.

მანქანასთან რომ დაბრუნდნენ, თემური კოპებშეკრული თავს აქნევდა.

— რა იყო, თემურ?

— წყალმა იმატა!

— ოჰო, კაშხალი გაუხსნიათ, — დაურთო მინდიამ, — გული გადამიქანდა, ორი საათის შემდეგ იციან ასე წყლის აშვება.

— იციან თუ არ იციან, უნდა გავიდეთ.

— ვახსენოთ ღმერთი? — და თემურმა ჩახსნა საქარის ღვედი.

— გეზად, გეზად, — იძახოდა გაღმელი კაცი, მაგრამ შუამდინარეში მანქანამ ერთი მაგრად დაახველა და გაჩერდა.

სამივე ბიჭი წამოიმართა და გაიხადეს ტანისამოსი. ერეკლემ სამარაგო ჩანთიდან ორივე ალპური თოკი ამოიღო. კარის გახსნა გაუჭირდა.

— ნუ გახსნი, ფანჯრიდან გადადით, როგორმე. ბარგს სკამებზე შევაწყობთ... — ეს გიორგი იყო.

ბიჭები უკვე წყალში იყვნენ და თოკებს აბამდნენ მანქანის წინა ნაწილებს. წყალი ზურგზე გადასდიოდათ და ამიტომ თავს მალიმალ მაღლა სწევდნენ.

აი ჩააბეს და გავიდნენ კიდეც. ნაპირზე, გარდა მეგოდრისა, ერთი კაცი კიდევ იყო, უფრო ახალგაზრდა.

—ყოჩაღ, თოკი რომ ორივე მხრივ ჩააბი!

—ჩემი ხელობა ეგ არის, — უპასუხა ერეკლემ.

— აი ეს ერთი კეტი, მეორეს ეხლავ გამოვჭრი, — და მართლაც ერთი მეტრნახევარი რცხილის კეტი გამოჭრა.

— მართალია, შენი ხელობაა და მეც დამიჯერე, ეს ერთი თოკი ამას გამოვედოთ, რცხილას, მეორე ამ მუხას, კეტები კარგად ჩავაბათ, ჰო, სწორედ ეგრე. თქვენ ორმა ეგ თოკი გამოსწიეთ, ჩვენ ამას გამოვწევთ. მზად არის? მძღოლო, მოუშვი, აბა, გავწიოთ...

მანქანა თითქოს ატივტივდაო და წამოვიდა ნაპირისაკენ.

დაჰკრეს ყიჟინა და მთელი ძალით გამოსწიეს.

— აბა, ერთი კიდევ! — და წინა თვლებ დადგა ნაპირზე.

— ახლა, სანამ ვისაუზმებთ, მოტორი და სანთლები გაშრება...

გაიშალა სუფრა და ახალი მეგობრები მიიწვიეს.

— ე რამოდენა საგზალი წამოგიღიათ, კაცო! თუმცა ჩვენში ითქმის, ერთი დღით რომ სადმე წახვიდე, სამი დღის საგზალი წაიღეო.

— სწორი ნათქვამია. ეგ კვერნა რომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიტყავებია, განა შეიძლება? — უცბად შეეკითხა მინდია.

— ე, მანდ, ზეით, საქათმეა, აიკლო იქაურობა. ხაფანგი ფოცხვერს დაუგე, ეგ მომყვა, აგერ ფოცხვერიც, — და მუხის ტოტებისაკენ მიუთითა ფოცხვერის ტყავზე. — აი აქეთ მობრძანდით, ამ კონაზე დაბრძანდი, — შესთავაზა მინდიას კარგი ადგილი.

მართლაც, მუხის ძირას შვინდანწლას ხუთიოდე კონა წნელი იყო, თხილისა — სამი, მანეულის — ორი-სამი...

— ეს რამოდენი წნელია, კაცო?

— რა ვქნა, აქაო და კარგი გოდრების წვნა იციო, ჩვენმა თავმჯდომარემ აქეთ გამომისტუმრა, — და ტყის პირისკენ გაიხედა, სადაც სამი-ოთხი გოდორი იყო მიყუდებული.

ერეკლე წამოხტა და ერთი გოდორი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, გაზომ-გამოზომა.

— ბექა ოპიზარს მართლა გაუკვირდებოდა, ასეთი მოსაკიდი გოდორი რომ ენახა.

— შენ რა იცი, რომ ეგრეთ გოდორს მოსაკიდი ჰქვიან.

ერეკლემ მინდიას გახედა.

— აგერ ჩემი მასწავლებელი!

— ჩვენი თავმჯდომარე ამბობს, ეს ამოდენა ვალის ტყე რად გვინდა, თუ გოდორსაც არ დავწნავთო.

— სწორედ უთქვამთ.

— თანაც ამოდენა ფიცარი რადა ვხარჯო, როცა გოდრებითა და კალათებით შეიძლება ბოსტნეულის გამოტანაო.

— ჭკვიანი თავმჯდომარე გყოლიათ.

— ჰო, არაუშავსრა. მაშ იცი რა გითხრათ? ყველა იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ქვეყნისათვის წალმართობს, რომელიც ისეთ ხიდს გადებს, მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები გაივლიან; არ ვარგა ისეთი კაცი, რომელიც იმაზე ფიქრობს, ფარა რომ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო. კარგისა კარგი მოკვდება, კარგივე წამოიზრდება; არ ვარგა კაცი, რომელიც ერთი ჯიხვივით ფიქრობს, ჩემი რქის ზევით მარტო ღმერთიაო. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, საითაც წახვიდ-წამოხვიდეთ, გამარჯვებული გატაროთ ღმერთმა, — და სიამოვნებით გადაჰკრა ღვინო, — სწორედ გითხრათ, ეს კაი მეხი დამეცა, ერთი კაცისა არ იყოს, თავში რომ ლვიძლი მოხვდა, ნეტავი ასეთი მეხი ყოველდღე დამეცესო. რას ვიფიქრებდი, რომ ორბელან ჭალაში ასეთ ღვინოს დავლევდი.

ვახტანგი თვალდაჭყეტილი უცქეროდა. მომარჯვებული ეჭირა უბის წიგნაკი, მაგრამ ვეღარას წერდა, რადგან ვერ გაეგო ანდაზებით ლაპარაკობდა თუ ისე, ჩვეულებრივ ქართულს ამბობდა.

— რაო, ვის ჭალაში?

— ორბელან ჭალაში. ამას ოსები და თათრები ორბელან ჭალას ეძახიან, მაგრამ ეს ორბელიანთ ჭალაა, აი იმათი, ამ ათიოდე წლის წინათ ტანძიაში რომ მარმარილოს ძეგლი დაუდგეს.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო სანდრო, შენს მარჯვენას გაუმარჯოს...

— განა მარტო გოდრებსა სწნავს? ისეთ ჯამ-ჭურჭელს გააკეთებს როო!.. — ჩაერთო ახალგაზრდა.

— თუ გავაკეთებ სახალისოდ, თორემ მაღაზიაში ჯამ-ჭურჭელი ბევრია, — და სანდრომ ამოიოხრა.

— ეს ორბელიანთ ჭალა დიდია?

— დიდი გახლავთ, აგერ სადამდეა გადაჭიმული! გაივლით და ნახავთ. მეც გამოგყვებით, თუ ადგილი გაქვთ.

თემური მანქანაში ავიდა. მოტორი ჩართო და ნაპირზე ადვილად ამოვიდა, ჩახსნეს თოკები და აკეცეს.

საუზმის შემდეგ ჩალაგდნენ მანქანაში და ჭალა-ჭალა ქვევით დაეშვნენ.

დიდი ჭალა იყო, მშვენიერი ვერხვნარი. ზოგან შვინდანწლა ჩანდა.

— ეს შვინდანწლიანი განზრახ არის დარჩენილი, სამანეულედ. აგერ ნაპირას მდგნალია, ისიც მანეულია, მაგრამ მისგან წმინდა გოდორი და კალათი ვერ დაიწვნება.

—აგერ სქლად რომ ჩანს, ის თხილიანია. იმის ყლორტს ვთლით, შუაზე ვხლეჩავთ და პწკალით კალათებს ვწნავთ, აი ეს კი პწკლის კალათია.

— კარგი იქნება, რომ ამ ჭალას გაუფრთხილდნენ.

— დანიშნეს ერთი დარაჯი, ხეირი არ დააყენა, მეორემ უარესი ქნა. ზედ გამოჭრილია, ალბათ გაგეგონებათ:

„თხას უთხრეს მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა, თხაო, რა გაგხარებია, განა სამგლეთი დაიქცა, იმას რომ დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად გადაიქცა?. — დააყენეთ, თქვენი ჭირიმე, იცოცხლეთ და გაგიმარჯოთ.

სანდრო სოფლისპირში ჩამოვიდა.

მანქანა სოფელში აღარ გაჩერებულა. გამოვიდნენ შარაზე. გაჩერდნენ. თემურმა მინდიას შეხედა.

— თბილისისკენ! ღმანისში ავბრუნდებით მე და გიორგი და ქვეშელ მეგობრებს მაშინ გავუვლით. ნოჰათსაც წამოვიყვანთ რასმე.

და მანქანამაც აღმოსავლეთისაკენ გაიქროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაროსლავ ივაშკევიჩი
პოლონეთი

# მოხუცი პოეტი

1

ცოლს ეუბნება პოეტი:
— ხედავ,
ფანჯრის რაფაზე
ორი ბუზი აგდია მკვდარი,
ამ უზარმაზარ სამყაროში
ისინი ახლა
ისე არიან,
როგორც ბაღში ხის ქვეშ ჩაფლული
ჩვენი ერთგული მეგობრები —
ჩვენი ძაღლები.

გახსოვს
ტროპეკის გამომეტყველება
როცა რაღაცას ეუბნებოდნენ
და არ ესმოდა,
შუბლს იჭმუხნიდა,
დაძაბული მოგვჩერებოდა
და არ ესმოდა,
რადგან ცხოველი იყო...

ჩვენც არა გვესმის...

ღრუბლები გვესაუბრებიან,
ვარსკვლავები,
ქარები,
ჩვენ კი არ გვესმის...

დაუსაბამო ცის სივრცე
რაღაცას გვეუბნება,
ხეები იზრდებიან
და რაღაცას გვეუბნებიან,
ყვავილებიც გვეუბნებიან რაღაცას,
იზრდებიან
და გვეუბნებიან,
ჩვენ კი არ გვესმის...

და ასე იქნება —
ჩვენც ამ სამყაროში ვიქნებით,
როგორც ორი მოკლული ბუზი,
როგორც ორი უსულო ძაღლი,
როგორც ორი არარა...

მათაც უყვარდათ
და მათაც სურდათ
გაგება.

2

პოეტი ამბობს:
— არ წახვიდე ,ქალო,
ცოტა ხანს ჩემთან დარჩი,
სულ მარტო მინდა ვიყო...

შენ თუ წახვედი,
იმ წუთშივე გამომეცხადებიან ისინი...

ტუვიმი მოვა,
ვაშლებით დახუნძლული ტოტით
ჩვენს ბაღში რომ მოტეხა
იმ დღეს,
ვერცხლის ქორწილი რომ გადავიხადეთ
მე და შენ...

ჩესლავი მოვარდება,
ისეთივე ახალგაზრდა, მაშინ რომ იყო,
ვილნოდან როცა გვესტუმრა
და გაღმერთებთო,
მითხრა.

ტოლეკი მოვა
ისეთივე ახალგაზრდა, მაშინ რომ იყო,
როცა მარისიას ზღაპრებს უყვებოდა.

მოვა ოლეკი თავისი თუთიყუშით,

ის ფარვანაც მოფრინდება,
საძინებელ ოთახში რომ შემოგვივარდა
ერთხელ —
დიდი და არაჩვეულებრივი...

ხალხით გაივსება ოთახი,
არ წახვიდე,
ცოტა ხანს ჩემთან დარჩი,
სულ მარტო მინდა ვიყო,
მარტო,
სულ მარტო.

პოეტი ამბობს:
— ქალო!
ოდესღაც ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით,
ოკეანეს ვუყურებდით,
ბარსელონაც ვნახეთ,
მატერხორიც და დან დიუ მიდიც,
მეგობრებიც გვყავდა,
ლეხონს ვესაუბრებოდით,
ვიტკაცს, სარტრს,
პრუსტით ვიყავით გატაცებული,
ვკითხულობდით „წყვდიადის ბირთვს“,
„ანა კარენინას“
„ფერფლს“...

ახლა კი მოხუცები ვართ,
მარტონი დავრჩით,
წამდაუწუმ ვჩხუბობთ,
წამდაუწუმ ვეძებთ,
სადღაც დადებულ და დავიწყებულ
წიგნებს,
ცხვირსახოცებს,
ასანთის კოლოფებს,
სათვალეს...

და როცა
ორივენი წარვსდგებით
მისი უწმინდესობის არარაობის წინაშე,
მაშინ აღარ ექნება
არავითარი მნიშვნელობა იმას,
რომ ლამაზები ვიყავით,
რომ ვცეკვავდით გლეხის ქორწილშიც
და სამეფო დარბაზებშიც...

და აღარავინ მოიკითხავს
ჩვენი ბუზების,
ჩვენი ძაღლების,
სადღაც დატოვებულ წიგნების,
ცხვირსახოცების
და სათვალეების
ამბავს...

პოლონურიდან თარგმნა
მიხეილ ქვლივიძემ

**სარმენი**
**სომხეთი**

# ჰაოსი და ქართლოსი

## პოემა

ისიც წაიქცა, თარგამოსი —
მუხა ბებერი,
მოკვდა მოხუცი —
ბრძენი, გვარის ფუძემდებელი.
მთა მასისისა
აღარ მოჩანს პირმომცინარე,
ყინულად იქცა ნაკადული,
ზღვა და მდინარე.
გლოვამ მოიცვა კაპუტანი,
ვანი, სევანი,
მინდვრებს ბალახი შემოაჭკნათ,
ვაზებს — მტევანი.
მზეც კი ტიროდა
მუდამ ლაღად სხივმოელვარე,
არაქსიც შავად მოდიოდა,
მღვრიე, მღელვარე...
ღრუბლიდა არაქსი აღრენილი
მთებსა და კლდეებს,
მზე ვერ აკლებდა ვეღარაფერს
ღრუბლიან დღეებს.

როცა მოხუცი
უკანასკნელს ითვლიდა წამებს,
ლურჯ ტბას უცქერდა,
კაეშნის მეტს არ გრძნობდა რამეს.
გულს მოხუცისას
ის წყეული სიკვდილი ხძლევდა,
იმ გულს, რომელშიც მძიმედ იწვა
სამშობლოს სევდა.

როცა გაიგო:
მამას სიცხის ალმური ანთებს,
ჰაოსი რაშით გადმოევლო
მასისის კალთებს
როცა გაიგო:
მამას უჭირს, გამხდარა ავად,
გმირი ქართლოსი გაეშურა
მის სანახავად.
როგორც არწივი,
მოსწყდა მთას და ნაპირებს მტკვრისას,
სევდა გულს, დიდ გულს, ვაჟკაცურ გულს
თუთქავდა მისას.
ცრემლი თვალს შვილთა, შვილიშვილთა
სწყდებოდა ნამად,
გარს ეხვეოდნენ სასთუმალთან
მომაკვდავ მამას.
ირგვლივ მეფობდა
საშინელი დუმილის წუთი.
აჩუყებოდა მამას გული,
გული სათუთი.
და დუმდნენ ახე, ვით გლოვის დროს,
და დუმდნენ დიდხანს...
ელოდებოდნენ მდუმარენი
მოხუცის სიტყვას.
დუმდნენ ყველანი,
ვით ქვა, ვით კლდე არაფერს ამბობს...
ელოდებოდნენ მამის ანდერძს,
მხურვალე ამბორს.
ლოცვა-კურთხევას უკანასკნელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელოდნენ ასე,
და ყველა მათგანს
გული ჰქონდა ნაღველით სავსე.
წამოიწია,
აბრეშუმის მიეყრდნო ბალიშს,
სნეულს ძალღონე ღალატობდა,
წამოჯდა ძალით...
და უთხრა ჰაოსს
(ვისაც ედო მკერდს სევდის ლოდი):
„მომიახლოვდი, შვილო, ჩემო,
მომიახლოვდი".
ჰაოსმა გულში შეიკავა
ტკივილი დიდი
და დაიჩოქა სარეცელთან
კრძალვით და რიდით.
დინჯი ქართლოსი,
რომ შვენოდა ფოლადის მკერდი,
ადგა და კრძალვით დაიჩოქა
ჰაოსის გვერდით.
და ასე, უფროს-უმცროსობის
რიგით და წესით
მისუსტებულმა შვილებს უხმო
მოხუცმა კვნესით.
თითქოს წამს გული
სასწაულით აღევსო ლხენით,
ზეშთაგონებით,
ნეტარებით და აღმაფრენით.
დიდს და პატარას
სათითაოდ აკოცა ყველას
და სიჩუმეში
სნეულის ხმა გაისმა ნელა:
„უზენაესის ასეთია,
შვილებო, ნება:
ამ ქვეყანაზე ყველაფერი
ყვავის და ჭკნება,
დასაბამიდან,
ეს ქვეყანა რაც გაჩენილა,
აბა ვინ არის
მოსულა და სულ დარჩენილა?
ღვთისგან ყველასა და ყველაფერს
ერთი აქვს ბოლო...
სახელი რჩება ქვეყანაზე,
სახელი მხოლოდ.
მაგრამ სახელი ორგვარია:
კარგი და ცუდი.
გზაც ორგვარია ქვეყანაზე:
სწორი და მრუდი.
ცუდი სახელი არ დატოვოთ,
ეცადეთ ამას,
ნუ შეაშფოთებთ სამარეში
თქვენს მოხუც მამას.
მარტო კაცი ხომ
შეედრება უღონო ლერწამს,
რომელსაც ქარი, თუნდ ნიავიც
დაჰქროლებს ერთ წამს
და წელში ტყდება,
ძირს ვარდება და ისე ჭკნება,
ფეხზე ვერაფრით
ვერასოდეს ვერ წამოდგება.
თუ ერთურთს იძმობთ
და მარადჟამს იქნებით ერთად,
გულში ძალღონეს გაიკაჟებთ,
იქცევით ღმერთად
არ მოიხაროთ არავის წინ
უდრეკი ქედი,
ავს და მუხანათს
აწყევლინეთ, ანანეთ ბედი,
ბრძოლაში მედგრად მიდიოდეთ
ბუკით, ნაღარით,
ვინც ერთი დაგკრათ, —
მოუქნიეთ, ათი დაჰკარით!
ეს ჩემი ნატვრა შეასრულეთ
გულით გთხოვთ ამას,
ნუ შეაშფოთებთ სამარეში
თქვენს მოხუც მამას".
თქვა და დადუმდა.
შეეყინა წარბები მკაცრად,
გათავდა, მორჩა.
გაშეშდა და გადიქცა ნაცრად.

* * *

ჯერ ის კი იყო, რომ დაკრძალეს
მოხუცის გვამი,
არ დამდგარიყო გამოგლოვის,
სიმშვიდის ჟამი,
რომ შორეული საზღვრებიდან
სწრაფად, ვით ელვა,
მოფრინდა კაცი,
ეტყობოდა შფოთვა და ღელვა.
ჰაოსს დაადგა უცხო კაცი —
შიკრიკი თავზე,
და გულმღელვარემ მოახსენა
შიკრიკმა ასე:
„დღეს შენს შვილიშვილს

კოდმოსს გული აქვს დასერილი.
აი, ბატონო, მოგიტანე
მისი წერილი".
ჰაოსი შიკრიკს უცქეროდა
ერთხანს მდუმარე,
შიკრიკის გულზე გადაესხათ
თითქოს მდუღარე.
ბოლოს ჰაოსმა ჩამოართვა
შიკრიკს ბარათი,
შეაჟღრიალა
აბჯარი და ფარ-მუზარადი.
— მოსისხლე ბელი აჟღარუნებს
ჩვენთვის იარაღს?
სურს, რომ ჩვენს მამულს
გულს დაასვას მტერმა იარა?
მოდის, არ იშლის,
გვემუქრება ბილწი, ვერაგი?
მაშ, აბა, ძმებო,
ტანთ ჩავიცვათ რკინის პერანგი!
„აბა აისხით იარაღი,
მეც მანდ მიგულეთ,
მტრებს ერთად დავხვდეთ,
დავცხოთ ლაჩრებს, თუმცა დიდგულებს.
ამ შავ დღეს გლოცავ
და გისურვებ მტრის ძლევას, ლხენას,
დევგმირის ძალას,
გამარჯვების შეურყევ რწმენას!"
ჰაოსი ბარათს კითხულობდა
ბრაზით და რისხვით,
ბარათი რწმენით მთავრდებოდა:
„სამშობლოს ვიხსნით!"

• • •

ქართლოსს და ჰაოსს
გულს იმედის უნთიათ შუქი,
გაცხარდა ბრძოლა,
დაჰკრეს დაფდაფს,
აჟღერდა ბუკი.
აღმდგარა ხალხი.
ბედაურთა ჭიხვინი ისმის...
აღმდგარა ხალხი,
რომ სამშობლოს აშოროს ნისლი.
მამულს შავი დღე დასდგომია —
დღე განსაცდელის,
თავისუფლებას დაცვა უნდა,
მოსპობა ელის.
ძმებო, მტერს დავცხოთ! —
ბრძოლის ველზე გაისმის ხმები.
ბავშვებსაც ხელში აუღიათ
ელვარე ხმლები.
მხარბეჭიანი, თმახუჭუჭა,
ტანბრგე ვაჟკაცი —
გმირი ჰაოსი გულმრისხანე,
თვალთა კაშკაშით
და ფაფარაყრილ რაშზე მჯდარი
გმირი მედგარი —
ქართლოსი ვისაც ამშვენებდა
ხმალი, ბექთარი,
ქართლოსი —
მუდამ უშიშარი და გულმართალი,
ომში უებრო,
უძლეველი, დიდი სარდალი,
დიდ ბრძოლის ველზე გამოვიდნენ,
დასცხეს ნაღარას,
მათმა ყიჟინამ
დიდი მთები შეაზანზარა.
ჰაოსის მამარჯვნივ ვაჰაგნი დგას,
მარჯვნივ — კოდმოსი,
საგმიროდ უხმობთ,
გულს უძგერებთ ხმა სამშობლოსი.
ჰაოსი ღელავს,
მზეს გასცქერის წყლის პირას მდგარი,
მის ხმას რომ ისმენს,
რწმენას გულში ინერგავს ჯარი.
— მტერი მოგვადგა,
რომ დაგვადგას მონის უღელი,
ძმებო, ვყოფილვართ და ვიქნებით
ქედმოუხრელი!
არ ვართ ჯაბანნი,
და არც შიშით ვართ ფერმიხდილი,
სხვა გზა არ არის:
გამარჯვება ანდა სიკვდილი!
მაშ წინ, მამაცნო!
არ ვაჩვენოთ მტრის მახვილს ზურგი
წყეულიმც იყოს
ლაჩარი და სამშობლოს ურგი!
წინ! აბა მედგრად!
არ ვაჩვენოთ ზურგი მტრის ტყვიას —
და აიტაცეს,
ჰაოსის ხმა ქარიშხალს მიაქვს...
დაიძრა ჯარი,
ცაში დროშას ნიავი არხევს,
სიმღერა მიწას აქანავებს,
მთებსაც კი არყევს.

• • •

ზათქით, გრიალით და მუქარით
მოსულა ბელი,
ავი მრისხანე,
გულბოროტი და ულმობელი,
სადაც მისწვდება, სიცოცხლეს სპობს,
შავ სიკვდილს თესავს,
დედები ძაძით რომ შემოსოს,
ისმოდეს კვნესა.
უთვალავია ბელის ჯარი
და უძლეველი,
მთებს მოეფინნენ.
მთლად დაფარეს ვრცელი ტყე-ველი.
ყველა კაცმა რომ სათითაოდ
ისროლოს ქვები,
აღიმართება ცადაწვდილი,
მაღალი მთები.
ცისკენ შვილდისარს რომ იჭერენ
მებრძოლნი ბელის,
მზე ეფარება შავბნელ ფარდად
კედელი ბნელი,
მრისხანედ მოდის ბელის ჯარი,
ზვრებს ყანებს თელავს,
ბელის შუბი და მუზარადი
მზის სხივზე ელავს,
შეჭკვრია შუბლი,
დირეს უგავს სქელი კისერი,
თვით გულმოშხამულს
შხამიანი მოაქვს ისრები.
როგორც სალი კლდე,
ჯარს ბელისას დახვდნენ გმირები,
სამშობლოს
მუდამ ერთგულებას შენაპირები.
ქართლოსი კლდეა,
ცეცხლი — მისი თვალთა გუგები,
კლდეს რას დააკლებს,
მიემსხვრევა ბელის შუბები.
ჰაოსი არვის არ უნახავს
დამარცხებული,
და დაეცემა
მტერი მის წინ დანარცხებული.
დაჰკრეს დაფდაფებს,
ბუკს ჩაჰბერეს,
გაჩაღდა ბრძოლა,
ცხენთა ჭიხვინი,
დაჭრილთ კვნესა,
შვილდისრის სროლა...

ბრძოლის წადილი არ უქრებათ
გულში მეომრებს,
ერთი ეცემა და მის ადგილს
იჭერს მეორე,
გაშლილ ბრძოლის ველს —
ტრიალ მინდორს გვამები ჰფარავს,
გაჩაღდა ბრძოლა,
სისხლი მოდის ღვარად და ღვარად.
არცერთი მხარე
დანებებას აღარ აპირებს,
დაჭრილთა სისხლმა
მიაღწია ლურჯ ზღვის ნაპირებს.
სეტყვის სიმრავლეს მოგაგონებთ
სიმრავლე ისრის,
ორივე მხარე გამეტებით
ისვრის და ისვრის...
შეხეთ, ვინ არის,
რომ შეიჭრა მტრის ჯარში სოლად,
მტერს თავს დაჰკივის,
გაშმაგებით ატეხა სროლა?
ვინ არის იგი —
შევარდენზე სწრაფი და მალი,
დუშმანს რომ თავზე დაატეხა
რისხვის გრიგალი?
ვინ და ქართლოსი,
რომ ბობოქრობს ქარიშხლის მსგავსად,
მისებრ ვაჟკაცი არ უნახავს
არავის არსად!
აგერ, გმირ ქართლოსს მოუღერა
დუშმანმა შუბი,
მაგრამ არამმა
მრისხანებით შეიკრა შუბლი
და ელვის უმალ წააცალა
მოსისხლეს თავი,
გულში ჩაუკლა, ბინძურ გულში
განზრახვა ავი.
ის ვინღა არის,
რომ ამხნევებს მებრძოლ ვაჟკაცებს,
სამშობლოს დროშა
მზესავით რომ თავს დაჰკაშკაშებს?
გმირი ჰაოსის ქალიშვილი
ანაჰიტია,
ისე ტურფაა, საყვარელი,
თითქოს ვერიტია.
მკერდში დაჭრილი,
კვლავ მოსისხლეს უმალ ჰკაფავდა,
მის მახვილისგან
მუხანათი სულსა ღაფავდა,

„ვაგლახ, დაეცა, დაიძახა:
„ვაიმე, დედავ“.
მამულს გმირულად შეეწირა,
ვინ იყო ნეტავ?
ის მწყემსი იყო —
ჰოვნათანი, მწყემსი კეთილი,
ხალხისთვის მოკვდა,
არ მომკვდარა გულდაწყვეტილი.
დღე მიილია,
დღე მრისხანე და სისხლიანი,
ბრძოლა არ ცხრება,
ემატება მტრის ჯარს ზიანი.
ბელი კანკალებს,
ძრწის, ბნელ გულში შიშს ვეღარ იქრობს,
სანამ ახალი ჯარი მოვა,
დამალვას ფიქრობს,
ჩუმად მიცოცავს გორაკისკენ.
სამალავს ზვერავს,
მაგრამ მისწვდება
არწივული ჰაოსის მზერა.
ქართლოსთან ერთად
წინ გაიჭრა გმირი ჰაოსი
და მტერს ადგილი-მიუზომა
სასაფლაოსი.
მკერდი გაუპეს მუხანათ ბელს
ნატყორცნი ისრით,
წითელ მდინარედ
მის გულიდან მოჩქეფდა სისხლი.
თავგზა დაებნა,
უკან გარბის მტერი მზაკვარი,
შედრკა,
დამარცხდა,
აერია დუშმანს გზა-კვალი.
უკან მოხედვის ეშინიათ,
ისე გარბიან...
მტერმა მამული ვერ აიკლო,
ვერ დაარბია...

• • •

აი აქ არის დამარხული
გვამი ბელისა —
მსურველის უღლის,
მონის უღლის, სახრჩობელისა.
ფრიალო კლდეზე დგას ჰაოსი
და ჯარს დასძახის:
„მტერი მიწასთან გავასწორეთ
ავი, ნაძრახი.
თავი ვიხსენით,
კვლავ ვართ მძლე და თავისუფალი,
დიდება გმირებს,
შემწედა გვყავს მამაუფალი!
ბელის სამარემ დაე ამცნოს
დღეს მთელ ქვეყანას,
რომ კიდევ სადმე
თუ გაჩნდება ვინმე მკვეხარა,
და ჩვენს მონობას განიზრახავს
მსგავსად ბილწ ბელის,
მასაც ამგვარი
სამარცხვინო სიკვდილი ელის
ახლა კი, ძმებო,
მივაბაროთ მიწას გმირები,
თავისუფლების დიად საქმეს
შენაწირები.
მათ ქვეყნის ტრფობა გულში ენთოთ
კუბოს კარამდის,
მათი სახელი უკვდავია
აწ და მარადის!
არ გვიჭამია ჩვენ არავის
სირცხვილი ომში,
ახლა კი, ძმებო,
შინ დავბრუნდეთ, მივხედოთ ცოლშვილს.
ყველა ჩვენგანი სამშობლოს და
კაცობას ჰფიცავს,
ფეხს ვერ დაადგამს სისხლისმსმელი
ჩვენს წმინდა მიწას!“
ბავშვი, მოხუცი
სიხარულმა ერთად შეყარა,
შვიდი დღე-ღამე ზეიმობდა
მთელი ქვეყანა.
დინჯად მღეროდნენ მოხუცები,
ნაზად — ქალები,
დიდს და პატარას,
უბრწყინავდა ყველას თვალები.
დილის სისხამზეც,
მწუხრზეც, როცა მზე ჩადიოდა,
როგორც არაზი,
ლალისფერი ღვინო დიოდა...

• • •

ცას ამშვენებდა
დღე — მზე, ღამე — ვარსკვლავთ
კრებული...
და იდგა ორი გოლიათი

ჩაფიქრებული...
დუმდნენ,
ნიავი უბერავდათ შორი მთებიდან...
ბოლოს ჰაოსი გამოერკვა
ღრმა ფიქრებიდან
და უთხრა ქართლოსს:
„შენს ძვირფას გულს,
შენს დიდ სარდლობას;
ძვირფასო ძმაო,
მინდა ვუძღვნა დიდი მადლობა!
მადლობა, ძმაო,
გასაჭირში რომ გვექეც ფარად,
მე შენი დიდი მადლობელი
ვიქნები მარად!“
ქართლოსმა უთხრა:
„რომ მქონოდა სიცოცხლე ასი,
ასივეს შენ ერთს შეგწირავდი,
ძმა ხარ ძვირფასი
მზად ვარ ყოველთვის
შენს მოსისხლეს ისარი ვტყორცნო;
ახლა კი, ძმაო,
მსურს ჩაგიკრა და გადაგკოცნო“.
გადაეხვივნენ ღვიძლი ძმები
ერთმანეთს თრთოლვით...
თითქოს ამ ერთ წუთს
მთის კალთებზე სულ დადნა თოვლი,
და თითქოს ციდან
ჩამოვიდა ძირს მზეც კი თავად,
მამაცი ძმების საამბოროდ
და სანახავად.
და თქვა ჰაოსმა:
„ერთმა დედამ რომ გვშობა, ვიცი,
მოდი აქ, ახლა, ამ მიწაზე
ჩვენ დავდოთ ფიცი;
ჩვენი ქვეყნების სიყვარულის
გულს გვენთოს ძმობა
და არასოდეს არ ჩაგვექროს
ეს დიდი გრძნობა.
ჭირში მოსისხლეს შევაგებოთ
ჩვენ ჩვენი მკერდი,
ცრემლიც და ურვაც ერთი გვქონდეს,
სიცილიც — ერთი.
ერთურთის მტრისთვის
მუდამ ვიყოთ რისხვის დამტეხი,
წყეულიმც იყოს
ჩვენი ძმური ფიცის გამტეხი!“
„ვფიცავ! კვლავ ვფიცავ! —
დაიჭექა ქართლოსმა გრგვინვით.
— ვფიცავ! კვლავ ვფიცავ! —
— თქვა ჰაოსმა თვალების ბრწყინვით.
ვფიცავ! — დასჭექა ქართლოსმა და
ლურჯას ჰკრა დეზი.
ძმას ეამბორა
და ქართლისკენ აიღო გეზი.
გმირი ჰაოსი დიდხანს იდგა
ძმის ტრფობით მთვრალი,
ვერა, ვერ იქნა,
ვერ მოსწყვიტა შორს ქართლოსს თვალი.
მიდის ქართლოსი,
მიაჭენებს ქურანს მხედარი,
მუდამ მხნედ იყო,
მტერი მოსრა, ახლაც მხნედ არი.
თვალი უბრწყინავს
არწივული ვაჟკაცს, მზიანი,
წელზე მახვილი
შვენის ოქროსქარქაშიანი.
მიჰქრის,
მიელავს,
მიაგელვებს ბედაურს სწრაფად,
მთებს, კლდეს მიარღვევს
და გაუვალ ადგილებს კაფავს.
მიჰქრის ვაჟკაცი,
მძლავრი, განა მუხლმოკვეთილი,
ჰაოსი ლოცავს:
— კეთილი გზა,
სულ გზა კეთილი!

თარგმნა ალექსანდრე ბეგაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# წინაპარი და შთამომავალი

ჰაუ, რა ცაა! რა მიწაა! ჰაუ რა მზეა! რა მათრობელა სიცოცხლე და სილამაზეა! მათრობელაა ჰაერიც და მზეც მათრობელა, მთვრალივით მღერის აქ უბრალო ჭრიჭინობელა. შენც არ დაგბანგოს... არ ჩაგთვლიმოს... სულ ამას ვშიშობ, ჩემო მამაცო, მშვენიერო, ამაყო ჯიშო. შეიბ მახვილი, შეისმინე მგოსნის ძახილი, ოღონდ ფუნჯი და ნამგალია შენი მახვილი! დღეა თუ ღამე — მე გიღვიძებ სიხარულს, ტკივილს, თავწასაგდები მამალივით ვყივი და ვყივი: არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, შეიბ მახვილი. შეიბ მახვილი! შეისმინე მგოსნის ძახილი — ოღონდ ფუნჯი და ჩაქუჩია შენი მახვილი, შეიბ მახვილი! შეიბ მახვილი!

ყოველი პოეტი ცდილობს შეეხმიანოს თავის დროს, თავისი დამოკიდებულება გამოხატოს. მისი ფიქრები დასტრიალებს „უმნიშვნელო" დეტალსა თუ მასშტაბურ მოვლენებს, ფართოვდება პოეტის თვალთახედვა ამ მოვლენებთან შეხვედრით, საკუთარი სიცოცხლის ნაწილად აქცევს ყველაფერს, რის აღქმასა და შეცნობასაც კი მოასწრებს. ყველაფერი ნიჭის ძალაზეა დამოკიდებული — რამდენად მრავალმხრივი იქნება შემოქმედება, რამდენად უპასუხებს ცხოვრების რიტმს, მფეთქავ პრობლემებს და სიკვდილ-სიცოცხლის გულისგამაწვრილებელ მარადიულ კითხვებს. შემოქმედის სულში იკრიბება ადამიანთა ვნებათაღელვის ათასგვარი დინება, ზოგი ნაკადულივით სუსტი, მაგრამ კამკამა, ზოგიც ოკეანის ზვირთის ბადალი. პოეტის ხედვა მოევლება ურიცხვ საგანს და მისი პასუხი, უფრო სწორად, მისი აღქმა პასუხი ამ შეხვედრის მასშტაბებით იძენს მრავალმხრივობის ნიშანს. ზოგჯერ გვიჭირს დავთმოთ ამ მრავალმხრივობის მომხიბვლელი შინაარსი და ჩვენს წარმოდგენებში ერთმანეთთან ვაწონასწორებთ შემოქმედის სულის თვისებებს, თანაბარი ზომისა და ძალისხმევის ფრთებად გვეჩვენება ისინი. იქ კი, ჭეშმარიტი პოეტის სულის სიღრმეში, მუდამ ფხიზლობს საკუთარი „მე", — პოეტის თავისთავადი სულისკვეთება, რომლის დამოკიდებულებაც გარესამყაროსადმი, დროის ყოველი მოვლენისადმი შემოქმედებით პრინციპად კრისტალდება. მრავალფეროვნებისა თუ მრავალმხრივობის ნიშნებში იგია უმთავრესი, მასში ჩანს არსი პოეტის ბუნებისა. ეს არსია სხვათაგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგია ნიჭის კაპიტალი. და აი, ამ არსს ჰქვია კონკრეტულ შემთხვევაში შოთა ნიშნიანიძე.

ქვემოთ, ბუნებრივია, საუბარი მომიწევს დროსთან შოთა ნიშნიანიძის პოეტური ნიჭის დამოკიდებულებაზე, მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საგულისხმო ნიშანზე. ამჯერად კი სიტყვა ჩამოვაგდე იმაზე, თუ შოთა ნიშნიანიძე პოეტ შოთა ნიშნიანიძედ რა თავისებურების წყალობით გამოიკვეთება ჩვენს წარმოდგენებში. ნიჭის ორიგინალურობა მჟღავნდება იმით, თუ საით მიიდრეკს თავს პოეტის სულისკვეთება, რას დასტრიალებს მისი ფიქრი უმთავრესად, რა არის მისი არსებისაგან განუყრელი. ამ ფიქრის მიმართულება ერთი შინაარსის საგნებს ამწკრივებს თავის გზაზე და ასე მკვიდრდება პოეტის გაუბზარავი განწყობილება, რაც გულისხმობს შემოქმედებით პრინციპსაც, პოზიციასაც და თავისთავადობასაც. და ეს მთლიანი განწყობილება, მთავარი სულისკვეთება, პოეტის „მე", თვალთაგან არ უნდა და-

გვეკარგოს, რამდენ საკითხს, რამდენ მოვლენასაც არ უნდა გაეხმიანოს პარალელურად შემოქმედის სული. ლიტერატურის ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც თვით მწერლებს დავიწყნიათ საკუთარი მოწოდება, თავისი ნიჭის მიმართულება. ყოველდღიური წვრილმანებით გართულებს ხელში უქრებოდათ საკუთარი სულის სანთელი, ხოლო ფიქრს გეზი ეკარგებოდა.

შენც არ დაგბანგოს... არ ჩაგთვლიმოს... სულ ამას ვშიშობ, ჩემო მამაცო, მშვენიერო, ამაყო ჯიშო.

ზემოთ მოტანილი ციტატიდან ეს სტრიქონები მინდა გამოვყო არა თვითნებურად, არამედ თვით ლექსის არქიტექტონიკის კარნახით. თუმცა, ეს სტრიქონები აზრობრივი ფუნქციით თავისთავად არიან გამოყოფილი სხვათაგან. სულ უბრალო დაკვირვება დაგვარწმუნებს ამაში. პოეტმა იცის თავისი დრო, მისი რიტმის სიმძლავრეც და სისწრაფეც, ის არავის არ აპატიებს თვლემას. ასე გაჩნდა შოთა ნიშნიანიძისათვის სიფხიზლის გრძნობა, როგორც უმთავრესი საგანი ფიქრისა, დაბადა იგი საქართველოს წარსულზე პოეტურმა განსჯამ, ციხე-ტაძრებთან მოფუსფუსე დარდმა, იმავე ციხე-ტაძრებზე გარდმომავალმა წარსულის გზამ. იმ გზაზე შემართების, ვაჟკაცური ბრძოლის, მდიდარი ფანტაზიის და, ამავე დროს, ორგულობის, სულიერი დაცემულობის ნიშანსვეტები დგანან. დაბადა ეს სიფხიზლის გრძნობა წარსულსა და აწმყოს შორის უწყვეტი ძაფის გაბმამ; თითქოს შიში დარაჯობს ფიქრს, რათა ამ უწყვეტლობით წამომართული ნათლის სვეტი ვერცხლის წყლის წვეთებივით არ ჩაეშალოს მამულის ბალახში.

სულ ამას ვშიშობ, —

გაისმის სტრიქონის გაბმულ ზარში მთავარი ნოტი, იგია გამამჟღავნებელი უმთავრესი განცდისა; რაღაც მწარე გამოცდილება, ხანგრძლივ ისტორიას რომ მოიცავს თავისთავში, წარმოშობს ამ ნოტს —

სულ ამას ვშიშობ,—

ძნელი დასადგენია, სად ჩაიკარგა ამ განცდის ფესვი, რა სიღრმეს უწია მან; ძნელი დასადგენია, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს მისი ხანდაზმულობა. შორიდან იძვრის შიშის განცდა, ბევრჯერ ჰქონია მიზეზი ქართველ კაცს ეგრძნო შიში სიფხიზლის გრძნობის გაქრობისა.

ჩემო მამაცო...

პაუზა აუცილებელია, მარტოოდენ ეპითეტების დაჯგუფების გამო კი არა, არამედ აზრობრივი აქცენტების ნებით არის პაუზა საჭირო. პოეტი ვერ ელევა საკუთარი ხალხის ღირსებისაგან აღძრულ სიამაყეს. მაგრამ სიფრთხილით წარმოთქვამს ამ ღირსების შესატყვის ეპითეტებს:

მშვენიერო...

სიფრთხილით, რადგან ღირსებებმა მაინც ვერ შესძლეს და ვერ აირიდეს თვლემა, სიფხიზლის გრძნობის დაკარგვა, არაერთხელ წასილულან ამ სენით. ვერ აირიდეს ღირსებებმა! —

ამაყო ჯიშო.

ყველაფერი სიმართლეა, სიმამაცეც, სიმშვენიერეც, ჯიშით თავმოწონებაც, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ:

სულ ამას ვშიშობ:<br>
შენც არ დაგბანგოს...<br>
არ ჩაგთვლიმოს...

იცის ისტორიამ გაწყვეტილი სუნთქვის, მოდუნებული მკლავის, დაარხეინებული თვლემის შედეგი, იცის პოეტმაც ეს ყველაფერი და წინაპრების მსგავსად რეკს სიფხიზლის ზარს.

არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, შეიბ მახვილი!

პოეტმა თავისი დროც მშვენივრად იცის, ღრმად აქვს გააზრებული დღევანდელი მსოფლიოს წიაღში რა მახვილია უმთავრესი, — ფუნჯი და შრომის იარაღია შემქმნელი ხალხის ცხოვრებისა, კულტურასა და არსებობას რომ აერთიანებს. გონების ცხოველმყოფელ შრომას გულისხმობს ფუნჯი. იქნებ არც სჭირდებოდა ლექსის სათქმელს დაკონკრეტება, მაგრამ უწყინარია სიზუსტის განცდა. ხელს არ უშლის სიმბოლიკის ზემოქმედებას.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში უმთავრესია ქართველი ხალხის მიერ გამოვლილი გზის პოეტური გააზრება. მისი სტილისათვის არ არის დამახასიათებელი განსჯის სიმძიმე, რომელიც შესაძლოა, მეტ სიღრმეებს მოახილვინებდა, მაგრამ, ალბათ, პოეტი მაშინ თავისი ფრაზის მსუბუქ ფრთებს უნდა შელეოდა. მისი სტიქია კი ფრთიანი სტრიქონებისაკენ ილტვოდა მუდამ. ამიტომ თავისთავად მძიმე აზრსაც და ღრმა ტკივილსაც თითქოს უფრო შემსუბუქებულად განიცდით მის ლექსებში, რადგან, ფრთიანი სტრიქონების სიღრმეში ჩაბუდებულ ფიქრსა და ტკივილს ლოგიკური თანმიდევრობის კანონი მართავს. ტკივილის სიმსუბუქე დაკვირვების შემდგომ წმინდა წყლის ილუზიად გარდაისახება. მთლიანობაში გააზრების შემდეგ რწმუნდებით, რომ შოთა ნიშნიანიძის მთავარი ფიქრი ლექსიდან ლექსში გადადის, მთებზე გადაჭაჭვული ციხე-ტაძრების მწკრივს ემსგავსება. მისთვის კვალდაკვალ მიყოლა თუ შეგვაძლებინებს პოეტის ღრმად შეცნობას.

მითებში, სიზმრებში დავეძებ ფესვებს: ვინა ვარ, საიდან მოვდივარ? გენეალოგიის ბიბლიურ ხეზე რომელი, რომელი ტოტი ვარ? ტოტი ვარ! — გაფოთლილი სტრიქონი — ბუნების ძლევენი და ტარიგი. ბუდედ ჩანს ქორონიკონი, — ჩემი დაბადების თარიღი, კურთხეულ

იყავ, კურთხეულ, სულ დევის პეშვივით იზრდები, შენ გამიმრავლე ბუდეო, ჩემი სიმღერები — ჩიტები... („საგვარეულო ხე“).

წარსულისაკენ ხედვა, შემდეგ წარსულიდან გამოხედვა პოეტის უმთავრეს საგნად არის ქცეული და იგი ამ საგანს არ ეხსნება, ვერ ეხსნება! გადამღერების საფრთხეც კია დავიწყებული ზოგჯერ, იმდენად მძლავრად მიუჯაჭვავს პოეტის სული უმთავრეს საგანს.

ვინა ვარ, საიდან მოვდივარ?

კითხვა არ უსვენებს ფიქრს, თუმცა პოეტური სილაღე წონიანი კითხვების წიაღში ახერხებს მეტაფორით დამუხტოს ლექსი — „ბუდედ ჩანს ქორონიკონი — ჩემი დაბადების თარიღი“.

მაგრამ ჩემი მიზანი ამჯერად შოთა ნიშნიანიძის უმთავრესი გზის წარმოჩენაა, მისი ნათელი სულისკვეთების დანახვაა. ამიტომ მხატვრულ ხერხებზე სათქმელს ბოლოსათვის მოვიტოვებ. მისი პოეზიის მეტაფორულობა, ფერწერული სიუხვე თავისთავად მინდა მკითხველმა იგულისხმოს გზადაგზა, როდესაც უმთავრეს საგანზე დაკვირვება გვიწევს.

ვინ იყო პირველი მომწვნელი ფაცხების, გვარის წინამძღოლი თუ გვარის დამწყები. ვინ იყო, სად იყო, ან როდის სახლობდა, რომელ მდინარესთან, ან რომელ მაღლობთან, ვხედავ ურარტუდან მოდენის თქმულებებს... და გზებს ხარებივით მტკვარზე არწყულებენ... ნეტავი შენს ტოტებს რა მოდგმა მოსავდა მხედართა, მღვდელთა, ბერთა თუ მგოსანთა? („საგვარეულო ხე“).

და ეს არ არის მხოლოდ ერთი ლექსის საფიქრალი, დახურავთ წიგნს და დარწმუნდებით, რომ იგი მთელი წიგნის საფიქრალია („მწვანე წელიწადი“). გაიხსენებთ ადრე გამოცემულ კრებულებს და დარწმუნდებით, რომ მათშიც ის ყოფილა უმთავრესი სუნთქვა, მისი რიტმი მართავს პოეტის ქვეყანას.

პატარა ფარზე წევს ლეგენდებად, ძველი ომები და ისტორია, ყველა საქმე და შემოქმედება, რითაც ვსუნთქავდით და გვიცხოვრია.

(უსათაურო „მე რა ვიცოდი“).

გეჩვენებათ, თითქოს თავის შემოქმედებაზე სწერს ამ სიტყვებს პოეტი, მის შემოქმედებას კიდევ უფრო ზუსტად ახასიათებს სხვა ლექსის სტრიქონები;

შენ ისტორია ტანზე გაცვია და თუ გაიხდი,
რჩები ფიტული.

შოთა ნიშნიანიძეს არასდროს არ მოღუნებია თავისი დროის შეგრძნების ნიჟი და არც წარსული განუცდია არასდროს, როგორც მკვდარი ქვეყანა. იგი გარდასული ცხოვრების სუნთქვას აწყვილებდა მუდამ დღევანდელი საქართველოს სუნთქვასთან, წარსულის ცოცხალი ფორმების ფეთქვაზე მიგვანიშნებდა ჩვენში, სიამაყით ალავსებდა ლექსებს და ჩვენც გვმუხტავდა იმ სიამაყის გრძნობით.

წარსული თავისი გმირობით, უმაგალითო ზნეობის გამოვლენით მის სტრიქონებში სულიერი ენერგიის კარგახსნილ სალაროდ იქცევა, საიდანაც გარეთ გამოდის და სივრცეს ედება გამამხნევებელი ხმა წინაპრისა.

წარსულისკენ გულისყურის მიბრუნება არ არის, რა თქმა უნდა, მხოლოდ შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ნიშანი. თანამედროვე ქართული პოეზიის არაერთ წარმომადგენელს გადაუწევია ის სათუთი და საყვარელი ფარდა. გადაუხედავს მოგონების ღრმა, უძირო ქვეყანაში, სადაც ნისლებს შორის ციხის კოშკებივით ამოშვერილან სინათლის სვეტები. მაგრამ ცოტა თუ დამდგარა მთელი არსებით იმ ქვეყანასთან, ცოტასთვის თუ ქცეულა ნამდვილ პოეტურ გააზრებად და, აქედან მომდინარე უმთავრეს საგნად იმ ფერგაუხუნებელ ქვეყანაზე ფიქრი.

შოთა ნიშნიანიძე იქ დგას, როგორც თანამედროვე პოეტი. რადგანაც იცის, ყოველ დღევანდელ ფიქრში წარსულის ქონგურები ამოჰყოფენ თავს. ასეთი განცდა მისი შინაგანი ცხოვრებაა და საკმარისია ყური მიუგდოს ამ ცხოვრებას, რომ უმალ, „თევდორესა“ და „წინაპართა საგალობელის“ დინებამ გადაუაროს ყველა დანარჩენ მოტივს.

საკუთარი ფესვების დანახვისა დ მეობის შეცნობის მძაფრი სურვილი არაერთხელ მიაბრუნებს ხოლმე პოეტის ფიქრს გარდასული დროის მოსაგონებლად.

ოღონდ, მოგონება მეტისმეტად პირობითად არის თქმული. წუთისოფელი წარმავალია, მაგრამ უკვალოდ და უაზროდ წარმავალი როდია. წარსული მირიადი ფორმით ფეთქავს შთამომავლობაში, ხელოვნება კი ამ ფეთქვის პულსს ზოგჯერ ისეთი სიმძაფრით აღადგენს, რომ უხერხულიცაა დაეჭვება იმაზე, ჩავლილია თუ არა წარსული. ჩვენს სინამდვილეში რამდენიმე მწერალმა ამ უფლებამოსილებით აღადგინა გარდასული ვნებანი პროზაში. რაც შეეხება პოეზიას, მას მაგალითები არ დაელევა, აქ ყოველი სუნთქვა გვაგრძნობინებს ფარულ კავშირს, გაუთიშველ მთლიანობას, რაც ორ დროს შორის მუდამ ივარაუდება.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში იგრძნობა არა წარსულის პოეტური განცდა, არამედ თვით სიცოცხლე წარსულისა, ამიტომ მძაფრდება ნაგულისხმევ თემებზე მისი ფიქრი, სულ სხვა ვნებათაღელვით და რიტმით იმუხტება. პოეტის ფიქრი ვერ ეგუება დროისაგან დამარხულ ცხოვრებას, მიწისა თუ წყლის ქვეშ მოქცეულ ქალაქებს. მათ ფიზიკურ გარდასვლასაც კი ვერ ეგუება, არ სჯერდება იმას, რომ ფიქრში ისედაც ცოცხლობს იგივე ქალაქები და იგივე ხალხი.

შენ, ზღვის ფსკერზედაც — სიკვდილშიაც, ვხედავ, აზროვნებ! ფსკერზე მარხია საიდუმლოს ვერ გამეტებით ხბოს ტყავის მძიმე გრაგნილები, პერგამენტები.

(„დიოსკურია")

თითქოს აქ წყდება მოთმინების ძაფი, უფრო სწორად შეგუების ძალა იშრიტება, მეტაფორული აზროვნებით ერთმანეთზე დაფენილი, იავარქმნილი ქალაქის ნაშთი სადღაც ქრება თანმხლები წარმავლობის სევდითურთ. დროსთან შეურიგალი შთამომავლის მძაფრი სურვილი იჭრება ლექსში:

ანძის ნატეხი, ხმლის ნატეხი, გუთნის ნატეხი ყვირის ადექი, ო, ადექი, გეყო, ადექი! გაექეც სიკვდილს — ყრუ დედაბერს, კბილებმოცვეთილს, გადაიხსენი, ამოდუღდი და აღმოცენდი! მითხარ, რა ვიყავ, რისი მომსწრე, რისი მიმგნები, მერე მე გეტყვი, დღეს რა ვარ და ხვალ რა ვიქნები!

პოეტის ფიქრს ცხოველ ხატად აღუდგენია დიოსკურიის მკვდრეთით წამოდგომა, მთელი თავისი მომხიბვლელობით, ზღაპრულობით, გრანდიოზულობით. არ გინდათ დაიჯეროთ, რომ ეს მხოლოდ ოცნებას ნაყოფია. არც იქნება მართებული, ეს პოეტის შინაგანი სიცოცხლეა, მისთვის დიოსკურია არასოდეს არ იქნება წყლის ქვეშ საუკუნოდ დამარხული. იგი არ შორდება პოეტის ცხოვრებას. პოეტის გულისყური მიბრუნებულია იქით, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შინაგან ცხოვრებას ვერ ეხსნება, არამედ იმიტომაც, რომ შეიცნოს საკუთარი ფესვების გამძლეობის უნარი, იწამოს მათი სიძლიერე და დღევანდელი ქართველი კაცის შესაძლებლობაც ამით განსაზღვროს.

მითხარ, რა ვიყავ, რისი მომსწრე, რისი მიმგნები, მერე მე გეტყვი დღეს რა ვარ და ხვალ რა ვიქნები!

წარსულის პოეტურად გაცნობიერებას თავისი ფუნქცია აქვს. ამ შემთხვევაში შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების ფუნქციად განზოგადდება იგი. პოეტმა უნდა იგრძნოს გარდასული დიდების ცხოველმყოფელობა თუ სილატაკის საცოდაობა, რომ აწმყოში თავისი ქმედების მიმართულება განსაზღვროს. საბედნიეროდ, დიდების ცხოველმყოფელობაა საგრძნობი, გმირული სულის შემართებაა საცნაური ისტორიის მაგისტრალურ გზაზე, და უმალ აშენდება მოვალეობის გრძნობა, უმალ იგრძნობ ჩვენი მხრები დიდი ვალის სიმძიმეს:

ვალად დამადე დიდგორი, ვალად დამადე მარაბდა, ფრესკები, ციხე-კოშკები, ვეფხის და მოყმის ბალადა. ვალად დამადე სიცოცხლე, ვალად დამადე სიკვდილიც, შენთან, ჩემთან და ღმერთთანაც სამმაგად მიწევს ჰიდილი. („ოსტატი").

როდესაც შინაგან სიცოცხლედ ასეთი შეგრძნება იქცევა, შემდეგ სავსებით ბუნებრივია იმ უწყვეტი ჯაჭვის გაჩენა, რაც ისტორიის უმთავრეს მოვლენებს იკრებს თავის თავში. მაშინვე უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი გმირობის ენერგია გამოტეხს წყვდიადის კედელს, რათა ურიცხვი მაგალითიდან საუკეთესონი შეგვახსენოს. ჩნდება ცოტნე დადიანის, თევდორეს, პაატას, დავითის, თამარის, სამასი არაგველის, ზოგადად წინაპრის სახეები ლექსებში. და გეჩვენებათ, მნათობებივით ამოდიან წყვდიადიდან ეს სახეები. ერის წარსულში მათი სახეებისაგან ახლეტილი სინათლე საუკუნეობით ჩაბნელებულ ჯურღმულებსაც ჩაწვდენია და გაუნათებია. ჩნდება ლექსების ერთგვარი მთაგრეხილი, ერთი მასალისაგან რომ არიან ჩადუღაბებული, ერთი სუნთქვით რომ აქვთ ფილტვები გაგანიერებული: „მე რა ვიცოდი თუ წინაპარნი", „ციხე-ტაძართა საგალობელი", „ხევსური", „წინაპართა საგალობელი", „მე აქ ვბინადრობ", „მონღოლები", „სიზმრად მაქვს ნახული", „მშურს", „მეხარბება", „მამელუკები", „მცხეთის ქალაქს"... „ხმათა ქარაგმა", „იოანე ბერი", „დიოსკურია", „მიტოვებული ბუდეები", „ხარი", „ცოტნე დადიანი", „თევდორე", „გიორგი სააკაძის სამი ცხენი", „მდუმარე ლაშქარი", „ჯუჯა ხე", „ბროწეულა",..

მოდის ცოტნე დადიანი ისტორიის გზაზე, სინათლის ფართო ზოლი მოჰყვება თან. ჩვენ ვიცით, ამ ადამიანის გმირობის ამბავი, გმირობის შედეგიც. ვიცით, მისი ნაბიჯი არ ყოფილა მხოლოდ ტანჯვისათვის განწირულ შეთქმულთა გადარჩენა, არც საქართველოს აოხრების თავიდან აცილება კონკრეტულ სიტუაციაში. ვიცით: ეს იყო ერის პატიოსნების, ქვეყნისადმი ერთგულების, შემართების, ღირსების და რწმენის გადარჩენა! ამიტომაც ცოტნე დადიანი პოეტისათვის იმ წერტილიდან არის საინტერესო, უბრალოდ მონღოლთა ყაენისაკენ კი არა, არამედ ჩვენსკენ რომ შემობრუნდება, — როგორც სულის სიღრმიდან დაუმარხავი რწმენის ნათელი. მთავარი ეს წამოსვლაა — ჩვენსკენ სინათლის ფართო ზოლის წამოსვლა, ჩვენ გარინდულნი ვუყურებთ ათინათს, გმირს რომ ადგას თავზე, ფართო ზოლს — სულის ზეიმი რომ მოაქვს ჩვენთვის. თითქოს ჩვენ გვჭირდება დარწმუნება, მზეზე სატანჯველად დაყრილი იმედები უცოდველნი რომ არიან.

იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან, ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა? მთვარის ყაბალახიანი, ღამის ნაბდიანი, მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი. რა ხანია ეკლესიებს შესევია ჰილყვავი, და სიმღერებს აზიური სიმღერებით ჰირხლავენ, ცას უყეფენ კოცონები და კარვები მონგოლთა... ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!..

ჰოჭენაობს, მოგელავს თოხარიკით... ჩორთით... ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი... („ცოტნე დადიანი“).

და საქართველოს ახსოვს ამ ათინათით მოძრავი სინათლის ზოლი. მას საქართველოს ყოველი კუთხისაკენ აუღია გეზი, არ ისვენებს, არც ქრება, ყოველი გასაჭირის დროს გამოჩნდებოდა იგი შორიდან, როგორც გადანახული რწმენის ნაწილი, წამოვიდოდა წერტილივით პატარა, თანდათან გაიზრდებოდა, ამაღლდებოდა, ძარღვებში სასოწარკვეთისაგან ჩაყინულ სისხლს გაუთბობდა მთებს და სიხარულის ტალღებით აავსებდა მიდამოს. და აი, სინათლის ამ ფართო ზოლის კიდევ ერთი წამოსვლა დაინახა პოეტმა („მდუმარე ლაშქარი“). იგი ჩუმად, ისევე როგორც „ცოტნე დადიანში“, ბაგეგაუხსნელად მიემართება იქითკენ, სადაც უხმო ქვეყნის კვნესამ და უხმოდ აღასრულებს თავის მისიას. გზა უნათდება ქვეყნის სიმხნევეს ამ სინათლის დანახვისთანავე, სამასი არაგველის გმირობა, „მდუმარე ლაშქრის“ იდუმალ მშვენებაში რომ გარინდულა, თითქოს ერის ბეჭედდასმულ სიმტკიცეს ჰკიდებს ცაზე მამულის დროშად.

— „ჰეი, საით მიდის მდუმარე ლაშქარი, სისხლიან აბჯარში მჯდარი, არაგვის ტოტივით დამშრალი, ფეხქალამნიანი ჯარი.—ბატონი არ ჰყავდათ ერთგულებს მეფეთა და ლაშქარს მედროშედ ვინ უდგას თავში? — სამასნი არიან... და სამას ლეგენდას შავი ანგელოზი მიუძღვის ცაში. მამულო, — ეგების სიკვდილშიც ფხიზლობენ, ლაშარის, ლომისის, გუდანის ყმები, შეგუებულნი მარადისობას, როგორც ქარქაშებს ხმლები...

ალბათ ძალიან დიდი ხნის წინათ უნდა დაწერილიყო ქართულ პოეზიაში „ციხე-ტაძართა საგალობელი“. ჩვენს ციხე-ტაძრებზე სათქმელის ფრაგმენტები კიდეც გაბნეულა ქართულ ლექსში, მაგრამ საგანგებო სიტყვას გვთხოვდა მათი არსებობა. ქართველი ხალხის ცხოვრებაშია გამწკრივებული ეს ციხე-ტაძრები იმედის სვეტებად, მთებსა და გორაკებს როდი ამშვენებენ მხოლოდ, კულტურის ძეგლები როდი არიან მარტოოდენ! მათზე დაფიქრებისას ჩვენ ვხედავთ ურიცხვი მტრებისაგან შეშფოთებული ხალხის არეულ წყებას, ციხის კედლებისათვის ისევე რომ წაუპოტინებია ხელი, როგორც დედის კალთისათვის... შემდეგ დარჩნენ ისინი მარტოდმარტონი მიუვალ მთებსა და კბოდეებზე, გზაჯვარედინებზე თუ ხეობათა უბეებში. დამშვიდებულნი! — აღარ ისმენენ აწიოკებული ხალხის გნიასს, სახეშეშლილი დედის ხატს არ უცქერენ, შიშისაგან თვალებგაფითრებული ბავშვების მუხლების თახთახს აღარ გრძნობენ. მოუხდიათ თავიანთი ვალი, მაგრამ სიცოცხლე არ დაუმთავრებიათ, არ გადაქცეულან დამთვალიერებლის სანიშნედ. იმ ბრძოლების ცეცხლი და ვნება მოუმწყვდევიათ კედლებშუა და სანამ დგანან, არც გაუშვებენ მკლავებიდან. იდუმალ გასძახიან ერთმანეთს ლეგენდებსა და მითებს, მთიდან მთაზე გადაუწვდენიათ ერთმანეთისათვის ხელი. და მართლაც არიან გამძლეობის სიმბოლო, ხატი ქვეყნის სულისა, რომელიც სწორედ გამძლეობის თვისებით იდგა სვეტივით წელში გამართული. ჰქონდა და აქვს ქართველ კაცს მუდამ სულიდან განუყრელად ამ სიმბოლოს განცდა, გრძნობდა ვალს მათ წინაშე, ზოგჯერ მათკენ მიხედვისაც ეშინოდა — „უქმად“ ყუდებით ზარავდნენ ციხე-კოშკები! მაგრამ ფიქრებს მუდამ ზღუდედ ევლნენ გარშემო. იქ, მათ ხერხემალზე, თავისი ამტანობის სათავე ეგულებოდა და გულისფიქრი დროდადრო მიიწევდა იმ სათავისაკენ. მადლიერების გრძნობა კი იხედაც მოითხოვდა გამჟღავნებას, ვალმოხდილი დევკაცების პირქუში ხედი ავალებდა.

ნეტა, ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება — ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად. წევს ვეფხისტყავზე საქართველო — მზის წილხვდომილი, თავს დადგომია იალბუზი ხელაპყრობილი, თითქოს ლოცულობს ცად აღავლენს ხმათა ხავერდებს და საქართველოს დღეგრძელობას გამჩენს ავედრებს. თრთის ვენახები— თრთის ყანები... თრთის გალავნები... თრთის საფლავები წმინდანების და ფალავნების... ზოგი ციხეა შეკივლება, ზოგი გაფრენა, ზოგს აუშვია ხომალდივით ნისლი აფრებად. ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი — გინება. ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება! ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი — გასროლა, ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს სასწორად. წლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს შეება: ხავსად, დუმილად, ჰილყვავებად და ბუდეებად. ქვებზე დგაფუნობს, სხივჩაშლილი, მოჩანჩქარე მზე. ო, ამ გოდლების, ქონგურების საჩეჩელებზე, მრავალი ზეცა დაიჩეჩა, დროშაც მრავალი, საქართველოზე ღრუბელივით გადმომავალი.

(„ციხე-ტაძართა საგალობელი“).

შოთა ნიშნიანიძემ ხალხის სათქმელი უთხრა საქართველოს ციხე-ტაძარს. თითქოს მას ხვდა წილად გაემჟღავნებინა ჩაქუფრული ჩონგურებისათვის და ყურებგაფაციცებული კედლებისათვის ჩვენი ნაფიქრალი; ლექსს ამ საერთო სათქმელის ელფერი დაჰკრავს, საერთო განწყობილება უდგას ძარღვებში. მხატვრულობის თვალსაზრისით უფრო სხვა ლექსებია ძლიერი, მაგრამ სათქმელის ერთგვარი შენივთებით „ციხე-ტაძართა საგალობელი“ გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, პოეტმა მშვენივრად იცის, სად დგას მისი წარსული.

გადამთიელი აქ ავჩეხე მეზვრემ, მეხრემა, აქ ჩავეგლისე გადამსხვრეულ ციხის ხერხემალს.

(„მე აქ ვბინადრობ“)

„ჩავეგლისე" მეტი სიმკვეთრისათვის არ არის გამიზნული. მასში უფრო სისხლისა და ხორცის იმ ციხის ხერხემლისაგან განუყრელობაა ნაგრძნობი.

ფიქრი, როგორც კი წონასა და მიმართულებას შეიძენს იგი, თავის მსგავსს გამოიხმობს. ესაა ნიჭიერი პოეტის შემოქმედებითი გზის თავისებურება. მას ერთი გარკვეული სათქმელი აქვს და, როგორც ზემოთ ვთქვით, ამის შესაბამისად განწყობილებაც მთლიანი, გაუბზარავია. სავსებით ბუნებრივია, რომ ციხე-ტაძართა საგალობელის" გვერდით ჩნდება ლექსი „წინაპართა საგალობელი". ისევ განუყრელობის განცდა ბატონდება ჩვენში. სათქმელი ყოველი წახნაგით გამიშვლებას ესწრაფვის.

დიდია ადამიანში წინაპრის განცდისა თუ დანახვის სურვილი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც გრძნობს მის მაღალ კულტურას და გმირულ სულს, როდესაც ხედავს დევურ კვალს, იმ წინაპარს საწუთროს ზედაპირზე რომ დაუტოვებია. გონება არ ისვენებს, სურს წარმოიდგინოს მათი სახე, მათი ბუნება, მათი ხასიათი, სურს მადლობა უთხრას. დროისაგან გადაშლილი ცხოვრების სურათები მტვრის გადაყრას გვთხოვენ. უძლურია ჩვენი ფიქრი საამისოდ, მაგრამ სურვილის სიმძაფრე ანეიტრალებს უძლურებას. ქართველ კაცს ისევე მძაფრად ულვივის წინაპართა წარმოდგენის სურვილი, მათი ცხოვრების დანახვის წყურვილი. ზედაპირულია ყოველი წარმოდგენა, მაგრამ რაკი ძლიერ ნებას ამჟღავნებს, სრული ილუზია იქმნება, თითქოს დავინახეთ ის — წინაპარი — თავისი ყოველდღიური საზრუნავით მოფუსფუსე, რომელიც ცდილობდა თვალი ერთი წამითაც არ მოეხუჭა საწუთროსათვის. ჰყოლია ერისკაცი. დიდი მეფე, მწიგნობარი, ხუროთმოძღვარი, მწერალი, მხატვარი, აგებდა, აშენებდა. წერდა, ხატავდა, იბრძოდა და იმარჯვებდა, მარცხდებოდა და არ ტყდებოდა. პატიოსანი იყო, გამტანი, სტუმართმოყვარე, ცოდვებიც ჰქონდა, ადამიანის არც ერთი ნაკლი არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ რამდენს ქმნიდა! როგორ ქმნიდა! გწამს, რომ დიდი იყო წინაპარი, გულით, სულით დიდი კაცი იყო. ამ წინაპარს იმავე ციხე-ტაძრებთან ხედავს შოთა ნიშნიანიძე და ეს ბუნებრივიცაა. ეს ციხე-ტაძრები ხომ მისი სახნავი ველმინდვრებისაგან ორიოდ საათში გადასარბენ მანძილზე იყო აგებული.

ბულბულის ხმებს ხარის ტყავში ფუთნიდა
და სიჩუმეს აიქშევდა გუთნიდან.

ასე ხატოვნად შემოგვეგებებათ სათქმელი სტრიქონებიდან. შოთა ნიშნიანიძეს უყვარს საერთოდ დედააზრის ან თვით ცალკეული პოეტური სახის დაქუცმაცება, ერთგვარი გამარტივება მეტი სინათლისათვის, მაგრამ ჩემთვის მისი პოეტური ნიჭი გაცილებით ძლიერი საგრძნობია სიმბოლოსავით მკვრივ სახეებში, რომელიც დროდადრო სწორედ იმ დაქუცმაცებულ სათქმელს შეჰკრავს თავის თავში („და სიჩუმეს აიქშევდა გუთნიდან"). აი ასეთ მეტაფორაში იწნიხება ერთბაშად მრავალი და ყველა დანარჩენი ყოფითი დეტალიც, რაც ქვეყნის მდუმარებას ებრძვის, რაც სიჩუმეს „აიქშევს" გუთნიდან.

და ჩნდება კეთილშობილური შურის გრძნობა. დიახ, შურს, ისევე როგორც ყველაფერს ამქვეყნად, აქვს თავისი მეორე მხარე, სინათლით გაცისკროვნებული. შურსაც აქვს იგი. კეთილი ადამიანის შური სჭირდება კიდეც ქვეყანას, ცხოვრებას. ამ შურს გრძნობს შოთა ნიშნიანიძე, პოეტი, რომელიც მზად არის თავისი დროისათვის ლექსი არ დაიშუროს, მაგრამ წინაპრისადმი პატივისცემის გამოხატვასაც უნდა ყოველი პოეტისაგან თავისებური კუთხის გამონახვა. წარსულს ბევრმა უთხრა მადლობის სიტყვა, ბევრმა გაუმჟღავნა დიდი სიყვარული. შოთა ნიშნიანიძე ახერხებს თავისებურად თქვას:

მშურს, მეხარბება ჩემი წინაპრის, სანთლებს ანთებს თუ ციხის ქინქილებს, ხარებს მიდენის თუ ცხენს მიაფრენს, ტაძარს აგებს თუ მტერს მიჰყიჟინებს.

ეს არ არის წინაპრის ან წარსულის გაიდეალება. დიდი პატივისცემის გამოხატულებაა, საკუთარი თავისათვის წინაპრისებურად შექმნისა და მოქმედების დავალებაა.

წინაპართა ცხოვრება ეკლის გზაზე გადიოდა. დრომ გაფანტა ჰაერში ის გმინვა, კვნესა, ტირილი და შეცხადების ხმები, სოფლის სამდურავი, რომელითაც იყო დამძიმებული სამშობლოს მთები და ველ-მინდვრები. აქ იდგა ეს ხმები ჩვეულებრივ. უცხოეთში გაყიდული შვილების, ძმების, მეგობრების ჭირს დასდევდა კვალდაკვალ. დახასიათებაც კი არ უხერხდება, იმგვარ სევდას ჩალექავდა მშობლებისა და მახლობლების გულში მამელუქებად გატაცებული ქართველი ბავშვების ამბავი. საქართველოს ისტორია ხომ ამოურწყავი დარდის საჭურჭლეა. ფსკერი რომ არა აქვს, კედლები რომ არ გააჩნია. ასეთ დარდშია ჩაშვებული შაოსანი დედების გახევებული სხეულები და ამაოდ აფათურებენ ხელებს კედლებისა და ფსკერის მოსაძებნად.

სხვის ქვეყანაზე სხვისი დიდებისათვის დაღვრილი სისხლი კი ერთი ათად იტანჯება, ქვესკნელის გახვრეტას ცდილობს, რათა სამშობლოს მიწას დაუბრუნდეს. შემმართებელი, წამლეკავი ენერგია უდაბნოს ფარდაზე ირეკლება. ეს მოტივი მრავალი პოეტის სტრიქონებში გახმიანებულა. შოთა ნიშნიანიძის თაობის პოეტებსაც, ბუნებრივია, აწუხებს იგი. უპირველეს ყოვლისა, ტარიელ ჭანტურიას პოემა „სპილოების სასაფლაო" მოგვაგონდება.

ბუნებას არაფრის კვალი არ ეკარგება. გვეჩვენება, თითქოს ყველაფერი ალიგვება პირისაგან მიწისა, სინამდვილეში ზედაპირი წაირეცხება მხოლოდ. არ მომკვდარა, არ დაკარგულა არც მამელუკების სევდა ეგვიპტის უდაბნოს უბეში რომ ხუჭავდა თვალს საბოლოოდ. მე არ ვგულისხმობ მარტოოდენ ლექსში, ან საერთოდ ხელოვნების ნაწარმოებში გაცოცხლებულ სევდას, თუმცა ესეც დიდი სალაროა. მე ვგულისხმობ ფიქრში მომწყვდეულ მამელუკთა სევდას, და მამელუკთა ნიშანდობლივი სევდაც ცოცხლობს. იგი ნამდვილად ეკიდა „იავნანას ნაფლეთებად" მამელუკთა „ცხენების ძუა-ფაფარს, უნაგირს, ალვირს". კარგად გამოხატა ეს სევდა შოთა ნიშნიანიძემ:

აჰა, გრიგალი მოგელაობს ცხენზე შემჯდარი,
სამეფოები
ეცემიან, უკან იხევენ... შორს კი პატარა
საქართველოს
აკლია ჯარი და მტერი არბევს ქართულ
ციხეებს...
მათი ცხენების ძუა-ფაფარს, უნაგირს,
ალვირს, მათ ფიქრებს,
ხსოვნას, მოგონებებს, ცხენივით დაღლილს,
ისევ ეკიდათ
„იავნანას" ნაფლეთები, ცხელი სიზმრები,
როგორც ბრძოლიდან
გამოსულებს ბლუჯა ისრები. და მიჭქრის
ჟამი სიკვდილივით
დაუურველი, ქვიშაში ჰყრია ლეგენდები
და სულს ღაფავენ,
მზე კი ტორებს სცემს არაბული
ბედაურივით მამელუკების
დაუტირალ უცხო საფლავებს...
(„მამელუკები").

იქ დაინახება დიადი სევდის ჩაუკვლელი ბუნება. იმ სტრიქონებში: „მათი ცხენების ძუაფაფარს, უნაგირს, ალვირს, მათ ფიქრებს, ხსოვნას, მოგონებებს ცხენივით დაღლილთ, ისე ეკიდათ „იავნანას" ნაფლეთები, ცხელი სიზმრები". პოეტმა შეძლო სევდის მთელი სიღრმე ეგრძნობინებინა ჩვენთვის.

შოთა ნიშნიანიძის პოეტურ ნიჭს აქვს კიდევ ერთი ღირსება, რომელიც გვავალებს ყურადღების გამახვილებას, ეს ღირსება, უფრო თვისება, ყველაზე სრულად გამჟღავნდა ლექსში „ჭუჭა ხე" — სიფრთხილის ძვირადღირებული განცდა, რასაც ისტორიის რიტმის შეგრძნება ბადებს. თავისთავად ცხადია, აქ არ იგულისხმება ისტორიის მოქმედი, ობიექტური კანონების გარდუვალობაზე წაკითხული ლიტერატურა, არ იგულისხმება ცოდნა ადამიანის წარსულისა, არც ის ლოგიკური შედეგი, რაც ჟამთა ბრუნვას ახლავს. მხედველობაში მაქვს პოეტური შეგრძნება რიტმისა და სიფრთხილისა, რასაც სტრიქონები პირველყოფილი უშუალობით გვიცხადებენ. ამავე დროს ეს რიგითი მამულიშვილის სიფრთხილეა, მის შინაგან ცხოვრებად ქცეული წინათგრძნობაა, ან იქნებ ზარების რეკვა თავისი მოძმის შესაფხიზლებლად. და ეს თვისება ძალადაუტანებლად მჟღავნდება თვით უბრალო საგანზე დაფიქრებისას. ალეგორია მთელი დატვირთვით „მუშაობს", აზრს ხელში აძლევს მისი გადატანითი შინაარსი. „ჭუჭა ხეში" მოქცეულია გადაშენებული ერების მთელი ცხოვრება.

მაგრამ ის ჭუჭა სადაურია, მინდორში რომ ჩანს ოჩან ცხენივით, განმარტოებით მდგარი სრულიად, ბერწი და ფოთლებჩამოცვენილი. ხანდახან ღამით აჰიხვინდება ოდესღაც დიდი ტყის ნაშიერი, ალბათ, საცოდავს თუ ესიზმრება აჩეხილ ხეთა მოდგმა ძლიერი. უძლებს წლების და ქარების გვემას. ნუთუ ის ძველად ტყე იყო ჩვენი? თითქოს წარსულში მონღოლურ რემას ჩამორჩენია ბეხრეკა ცხენი...

„მონღოლური რემის" ასოციაცია აგრძელებს გზას, არ გვამშვიდებს, სურათს ჩვენს წინ არ ასრულებს, საგანგაშო ზარებისაკენ გადააქვს მზერა, მუდმივი სიფრთხილის ფასს შეახსენებს მამულიშვილს. სხვა ხალხის ტრაგედიას სხვათა შორის როდი ამწყვდევს ფიქრში, იგი ჩვენი სიმშვიდის კედლებზე სცემს გაძვალტყავებულ მუშტებს.

ზნეობა, რომლითაც ამაღლებულან შოთა ნიშნიანიძის წარსულის ლანდები, მისი პოეტური ქვეყნის განწყობილება, თავისთავად მეტყველებს თანამედროვე შემოქმედის მიმართულებასა და თანამედროვე ადამიანის ჯანსაღ პოზიციაზე. და იმ ტრაგიკულ ტონებში. რომლითაც მისი ლექსების სუნთქვაა აღბეჭდილი, უნდა ვიგულისხმოთ არა დაცემა, სკეპსისი, არამედ გმირობისა და შემართების აპოლოგია. ტრაგიკულის გზით ამაღლებულან ის გმირები, სამშობლოს გადარჩენისა და ღირსეულად არსებობის საწინდარიც ეკლიან გზაზე სიარული აღმოჩენილა ბოლოს. ამიტომაც შთამომავალი პოეტის გაფაციცებული სუნთქვა დრამატულ ისტორიებში ქვეყნის გმირულ სულს აყურადებს და წარსულს ჩვენთვის სულიერი ენერგიის, ვაჟკაცობის, კეთილშობილური თვისებების წყაროდ აქცევს. აი, ასეთ შემოქმედებაში ივარაუდება სიჯანსაღე აზრისა და განწყობილებისა, რისი განცდაც შოთა ნიშნიანიძის ლექსების კითხვისას საერთოდ არ გტოვებთ.

„თევდორეს" წაკითხვა ერთგვარი შვებაა, მიუხედავად იმისა, რომ იცი, თუ რა სასტიკი წამებით ამოხადეს სული შენს წინაპარს. ყველამ ვიცით, რად უჯდება ადამიანს ნერვებს თავგანწირვა, უნდა ვიცოდეთ! — ან წარმოდგე-

ნით ან ხელოვნების წყალობით, რომელსაც არაერთხელ აღუდგენია თავგანწირვის წამი ღვთაებრივი კვერთხით. და მაინც „თევდორეს" მთელი ექსპოზიცია, შემდეგ ბერის მოკვდინების განცდა შვებად აღიქმება. ეს უფრო სულისა და ხორცის დღესასწაულს გავს: რწმუნდები, რომ შენს ხალხს შეუძლია გმირობა, ქვეყანას ძალუძს შემართება. იქნებ ამის გააზრება გახდა პოეტისათვის აუცილებელი, ამიტომაც აღიბეჭდა ზოგი სტრიქონი მსჯელობის ნიშნით. მაგრამ სწორედ ამ სტრიქონებშია ჩადებული დედააზრი — ჩვენი, შთამომავლობის დამოკიდებულება წარსულისადმი:

— თევდორე!.. თევდორე!.. ეს რა ძალამ გაასულდგმულა, მომავალი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან. — თევდორე! თევდორე!.. შენისთანა მეკვლე გვინდა, შენი ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს ლეგენდიდან.

* * *

და სიფხიზლე, ამოზრდილი უთვალავი განცდისა და ფიქრის ოქროს ქსოვილიდან, აი ამ გზით, შოთა ნიშნიანიძის შთაგონების უმთავრეს ბიძგად იქცა. ახლახან გამოქვეყნებულ ლექსში — „შეიბ მახვილი", რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე, ამ გრძნობამ სრული გამოხატულება ჰპოვა. სიფხიზლე ჭირდება არა წარსულს, არამედ აწმყოს და მთელი ძალა წარსულიდან გამოხედვისა, რაც შოთა ნიშნიანიძის ლექსებშია შეგუბებული, აწმყოში სიფხიზლისათვის არის დახარჯული. დღეს კი ფხიზლობენ ერები — ფხიზლობენ ტერიტორითა და რიცხვით უდიდესი ერები, ფხიზლობენ ე. წ. პატარა ქვეყნები. დღეს ბავშვმაც იცის, რატომ და რისთვის არის საჭირო სიფხიზლე! უპირველეს ყოვლისა ომის თავიდან ასაცილებლად, ე. ი. დაღუპვის ასაცილებლად. მაგრამ ამასთან ფხიზლობენ, რათა ერთა ინტენსიური ურთიერთობის საუკუნეში შეინარჩუნონ საკუთარი სახე, თავისთავადი კულტურა, ხასიათი და ღირსება. ურბანიზაცია და მისი უპირველესი ნიშანი — ტექნიკური რევოლუცია იწვევს ათას წვრილმანად დატოტვილ ცვლილებებს. ამ ცვლილებაზე ფიქრობენ არა მარტო სოციოლოგები, არამედ პოეტებიც. ფიქრობს, ბუნებრივია, შოთა ნიშნიანიძეც — ორიგინალური ხელწერისა და კოლორიტის პოეტი. „არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, სულ ამას ვშიშობ, ჩემო მამაცო, მშვენიერო, ამაყო ჯიშო" — ჩნდება ეს სტრიქონები. ხოლო უფრო ადრე დაიწერა „ბროწეულა":

წუხელ სიზმარში ვნახე, ველზე ეგდო ხვითო,
ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ.

პოეტი მოერიდა საქართველოს ხსენებას ბროწეულას სადგურის ნაცვლად. ვფიქრობ, გონივრული გადაწყვეტილებაა. სალოცავი ხატის პირდაპირ დასახელება ლექსისათვის იქნებ წამგებიანი აღმოჩენილიყო ამ შემთხვევაში. ჩვენი დიდებული წინაპრებიც ერიდებოდნენ პირდაპირ დასახელებას. სხვა სახელს მოუძებნიდნენ ხოლმე, წვეთში იგულისხმებდნენ მთელს და უფრო საგრძნობი ხდებოდა ამით ქვეყანაზე თქმული ან განცდილი. „ბროწეულა" სიზმარს გადმოგვცემს — მხოლოდ სიფხიზლის გრძნობას აჯილდოებს განგება ასეთი სიზმრებით.

ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ.

მძიმდება განწყობილება.

ვითომ ჩემი სახლ-კარი იყო, აღარ იყო,
მოხვეოდა ჭილყვავი ბაღის სარს და ჭიგოს.

პოეტი უფრო აკონკრეტებს განცდას, — ჯერ ბროწეულა, შემდეგ სახლ-კარი. თითქოს იყო და აღარც იყო! არაფერი არ ჰგავს თავისთავს. გაქრობის ზღვარს მიახლოებია.

ცხრა ღელე და რიონი გადმოვლახე ცურვით,
ვერ ვიცანი მიდამო ამომიჯდა გული.

„ვერ ვიცანი მიდამო" — კარგა ხანია, რაც ეს სევდიანი კილო გამოსდევს ქართულ პოეზიას. ბევრი პოეტის ფიქრს სალარო გამოიარა, მათ განწყობილებაში ინებივრა, დროდადრო ტკივილიანი სიტყვების ქსოვილში იყვავილა და ქართველი მკითხველიც აზიარა პოეტთა მძიმე სევდას. ზუსტი და ღრმა განცდა გამოსჭვივის შოთა ნიშნიანიძის ლექსში. წარმოსახვა ამკაცრებს სურათს, ყველაზე მუქ საღებავებს ურის თითქოს თავს ამ სურათზე:

არსად იყვნენ მოყვრები.. მეზობლებიც
არსად, ვიღაც უცხო კაცები არ მიღებდნენ
კარსა.

ეს შიში აგერ აქამდე არ გაიცრიცა ძლიერი, წელგამართული ხალხისა და ქვეყნის ხსოვნაში. წარსული ამოუშლელია და ლანდიც შიშისა სულის ლაბირინთებში აგრძელებს თავის ხეტიალს — ვიღაც უცხო კაცები არ მიღებდნენ კარსა! — ასეთი განცდიდან გული შეიძლება უსაშველოდ დათრგუნვილი და დაბეჩავებული გამოგყვეს.

ვაი, სადაც დავბერდი, ველარავინ ვიცან,
დასაკლავი ხარივით ჩავბღაოდი მიწას.
ხავსიანი ჭიშკრები ჩაეკეტათ მაკრად...

განცდა თითქმის მკვრივდება ამ სტრიქონებში, უკიდურესად იძაბება, უკანასკნელ სუნთქვას გაილებს და ქვავდება...

ღმერთო მე ის სიზმარი ამიხდინე კარგად!

პაუზაში, რომელიც ამ სტრიქონის წარმოთქმას უძღვის წინ, პოეტური სულის ხანგრძლივი თრთოლვა ივარაუდება. პოეტის ვედრება გრძელ ღამეს ათენებს, განგებისადმი აღვლენილი მზერა წყვდიადის ფარდას ხევს და იმ ღამეში, რაც ლექსის განწყობილებამ პოეტის სულში ჩააგუბა, სინათლის ჩქერალი იღვრება. განზოგადებული წარმოსახვაც, გაფართოებული მასშტაბებიც, სიცხადის ძალით

მოვარდნილი ტკივილიც სადღაც იკეტება.

ზემოთ გაანალიზებული ლექსები მეტყველებენ, რომ წარსული შოთა ნიშნიანიძის ლექსებში ერთი წამითაც არ რჩება თავის ლოკალურ საზღვრებში. წარსული დგება ჩვენს გვერდით, როგორც თანამედროვე.

ეს არის შოთა ნიშნიანიძის პოეტური მუზის გზა. სხვა ლექსებიც იგულისხმება თავისი განწყობილებით ამ გზაზე — ისეთები, ერთი შეხედვით გარდასულზე არაფერს რომ არ მოგვითხრობენ. ვთქვათ: „იმერეთი... გიორგობისთვე", „ვეფხვი", „ილია მურომეცი", „რომი", „უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლები", „მიქელანჯელოს „მოსე", „მაფშალია მომკვდარა", „ბონდოია, ბიჭო", „ჩემო საყვარელო ადგილებო", „ვაზის სიმფონია", „ნახევარზღაპარი", „სიცოცხლედ შემიტკბია", „ლხინი კახელებთან", „საქართველოს ფალავანი", „მკვიდრნო, მარადისობის", „შეიბ მახვილი", და კიდევ მრავალი. „ციხე-ტაძართა საგალობელის" და „წინაპართა საგალობელის" ავტორი შეიცნობა მათში ყოველთვის და იმიტომ! ამ პიროვნების განწყობილება ჩანს ყველგან, სხვა ფიქრებსა და ოცნებებში ჩაფლულს არც უნდა შეეცვალა და არც შეუცვლია ხასიათი. ნაცნობი ფერები, ნაგრძნობი სურნელი შემოხვდება მზერას თუ შემოეგებება სუნთქვას.

გიორგობის თვეში ნუნუა წვიმს ჩვენში, გალეშილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში.

ან:

ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხნე რიონო, როცა დავბერდები, სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო.

ან კიდევ:

მაფშალია მომკვდარა, მგალობელი მაფშალია, ცხრავე მუზა სტირის, ანგელოსი გამშრალია.

თვით გარეგნული ნიშნებიც თან ხვდება ერთმანეთს, ნათესაობას გვიმჟღავნებენ აქსესუარები. მაგრამ მთავარია ღრმადდაფლული განწყობილების ნათესაობა.

და ჩემი აზრით ეს უწყვეტი შინაგანი კავშირია უმთავრესი ნიშანი შოთა ნიშნიანიძის პოეზიისა. იგი და მხოლოდ იგი იძლევა სრულ გარანტიას პოეტი წარსულის უბრალო მეხოტბედ არ დარჩეს. ეს შინაგანი კავშირი გვევლინება პრინციპისა და პოზიციის საყრდენადაც. მისი წყალობით ჩვენს თვალწინ სრულად გამოიკვეთება პოეტის ბუნება, მისი პოეტური გზა. ჩვენს წარმოდგენაში კონკრეტდება ის ძირითადი ნიშნები, რითაც შოთა ნიშნიანიძის პოეზია თავის განუმეორებელ იერს ატარებს.

ჩვენც და პოეტსაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს უმთავრესი გზა. მისი გაგრძელება უნდა გვაინტერესებდეს, რადგან ის არის ახალი, თავისთავადი და გამორჩეულიც. ეს იმიტომაც არის აუცილებელი, რომ პოეტი თავისი დროის უამრავ საფიქრალს სცემს პასუხს. ინტენსიურად ეხმარება მნიშვნელოვან მოვლენებს და გროვდება სოლიდური რაოდენობის ლიტერატურული პროდუქცია, რომელსაც გარკვეული ხვედრითი წონა აქვს და კუთვნილ ყურადღებას მოითხოვს. შოთა ნიშნიანიძემ მრავლად დაწერა ასეთი ნაწარმოები — მოქალაქეობრივი პოზიციითა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ლექსები. მოქალაქეობრივი პოზიცია ყველა ზემოთდასახელებულ და განხილულ ლექსებშიც გარკვეულია, მაგრამ სიღრმეშია ჩატანილი. ბოლოდროინდელ ლექსებში, თემამ, პუბლიცისტურმა პათოსმა მოითხოვა უფრო პირდაპირ გაემჟღავნებინა იგი. და პოეტიც პირდაპირ ამბობს:

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც — და მსახური ხარ რახან, აწერ მაგიდას კი არ უზიხარ — ბარიკადებზე დგახარ.

ან:

რომ კომუნისტის სახელი გერქვას, ყველა როდი ვართ ღირსი, დაფერილია ეს სიტყვა ყველგან სისხლით, გმირული სისხლით. თუ კომუნისტი გქვია სახელად, ძალა არ არის შენი მომრევი, შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად, არამედ მთელი ცხოვრებით.

შოთა ნიშნიანიძის ბოლოდროინდელ ლექსებში იგრძნობა განსაკუთრებული მონდომება დღევანდელობის ასახვისა. მან მრავალი ლექსი დაწერა ჩვენი ცხოვრების საგულისხმო მოვლენებზე. მისი თვალი ყველგან დაეძებდა პატიოსნების, ერთგულების, შრომის, სიყვარულის მაგალითებს. მუდამ დიდი იყო ცდა, რაც შეიძლება უკეთესი მხატვრული სამოსი მოერგო სათქმელისათვის. დაეფარა იგი ზედაპირულობის საშინელი საფრთხისაგან. და მისი ლექსები ინარჩუნებენ თავისებურ მიმზიდველობას, ჩვეული ინტონაციებით გვხიბლავენ, ნაცნობ კოლორიტს განგვაცდევინებენ.

გაფართოვდა შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების თემატური რკალი.

ამ სიფართოვემ, ხედვის მრავალმხრივობამ ვერ უნდა დაფაროს პოეტის კუთვნილი გზა. ნაგულისხმევი მშვენიერი ლექსები უნდა ალიქმებოდეს გარკვეული პერიოდისაგან მოტანილ სათქმელად, იმავე დროისათვის გაცემულ კეთილსინდისიერ პასუხად, რამეთუ მოვლენებით დატვირთული დრო მოითხოვს პოეტის პასუხს. მას მოქალაქეობრივი ვალი აკისრია, დროდადრო შედგეს თავის გზაზე და პოეტური სიტყვა შეაგებოს ცხოვრების ფაქტებს.

როდესაც პოეტს გაცნობიერებული აქვს ხალხის სამსახურში დგომის აუცილებლობა, მაშინ სიწრფელე და დამაჯერებლობა ემატება სტრიქონებს. ასეთი გაცნობიერების კვალი ჩანს სწორედ „ბარიკადაზე" დამდგარ ლექსებში.

შოთა ნიშნიანიძის ბოლოდროინდელ ლექ-

სებში ერთმა სასიამოვნო თვისებამ იჩინა თავი. მათში აღარ დგას თავბრუდამხვევი სახეების კორიანტელი, უფრო სადა და დახვეწილი გახდა სტრიქონი; პოეტური სახე უფრო ზუსტია, თავის ადგილზეზის. ეს შეიმჩნევა თითქმის ყველა ლექსში და ამდენად არის საინტერესო. დახვავებული პოეტური სახეებით გამართული ლექსი, მართალია, ავტორის სულის სიმდიდრეზე მეტყველებდა, მაგრამ სრულყოფის დაუწერელ კანონს ვერ პასუხობდა — ზომას არღვევდა, განწყობილებას ელობებოდა, პლასტიკურ ხედზე იჭერდა ჩვენს მზერას. ვფიქრობ, პარალელის გავლება თვალნათლივ დაგვანახებს ამ მოსაზრების სისწორეს:

წყალქვეშა ზღაპარს ქამი ლოკავს ქვამარილივით და უცხო ხილვებს ლანდებივით გააქვთ ლივლივი. კუს ბაკნებია ახორხლილი თუ ქვითკირია, ერთმანეთზე რომ ფიქასავით ჩაუკირიათ? ეს დაყანგული ჯაჭვია თუ მზის ქერეჭია? ზღვისქვეშ დამარხულს აღსასრული ცის ქვეშ ერჩია, ბნელ ჯურღმულებში ოქროს თევზი გაიკომეტებს და გაანათებს ქვირითივით დაყრილ მონეტებს ლაზის შუბივით წამახული ციხე წოწოლა გაფოფრილია ბალახების ყვითელ კოცონად, ქვიშად დაქნილა უამრავი ციხე-ტაძარი, ტალღებისაგან ბლუჯა-ბლუჯად დანატაცარი.

(„დიოსკურია)

**ახლახანს დაწერილ ლექსებში პოეტური სახე უფრო გამიზნულად არის მოხმობილი და ამდენად არც არღვევს ლექსის შინაგან მთლიანობას. „დიოსკურია“ თავისი ტკივილით უფრო ღრმა და შთამბეჭდავი ლექსია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ იგი გადატვირთულია სახეებით, ქვემოთ მოტანილი ლექსი კი ამ ნაკლისაგან დაზღვეულია.**

არც კაცი ვარგა, არც ფრინველი უწინამძღოლოდ, უწინამძღოლოთ წუთი რაა, ნუმც კი გვაცხოვროს, თითონ წეროთა წინამძღოლიც სიზმრებს ნახულობს, წვალობს, ჯახირობს, და გზებს ეძებს საგაზაფხულოს, როცა ღამეულ კოცონებთან ვღრეობთ და ვტოკავთ, ან როცა ქალის თმა გვიგრილებს ალანძულ ლოყას. იგი კარავში განისვენებს კარს მიწოლილი და მკლავზე უწევს მარტოობა მკაცრი ცოლივით.

(„წინამძღოლი“)

ამ პარალელმა შეიძლება ერთგვარი წინააღმდეგობის ილუზია შექმნას. ლექსები, რომელთა პოეტური სახეებით გადატვირთულობაზე ითქვა, წარმოადგენს სწორედ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების იმ ღირებულ ნაწილს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. პოეტური სახეების სიუხვე, ბუნებრივია, ლექსის მხოლოდ ერთი ნიშანია. მაგრამ უამრავი სხვა კომპონენტი იმ ლექსების სასარგებლოდ მეტყველებს.

იქნებ მეჩვენება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებით გზაზე ერთი მნიშვნელოვანი ხანა დასრულდა. თითქოს რაღაც შეჯამდა პოეტისათვის და გამოვლილი გზაც მუშტრის თვალით გაზომვას მოითხოვს.

სიმაღლეებიცა და დაღმართებიც უკომპრომისო შეფასებას ავალებს პოეტს, **ხანამ ახალი სიმაღლისაკენ გადაიტანდეს მზერას და მის მომქანცველ აღმართს შეუდგებოდეს.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲓᲣᲓᲣᲩᲐᲕᲐ

# „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ"

## ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲖᲔ

იაკობ ნიკოლაძე ჭეშმარიტად დიდი მასშტაბის ხელოვანია. იგი ჩვენი საუკუნის ქართული ეროვნული მხატვრული კულტურის ერთ-ერთი მწვერვალი და ნამდვილი მშვენებაა. ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანი სახით ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთ მის ამ განსაკუთრებულობას, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ზედმიწევნით ახლოს ვართ მასთან, — ის ხომ, არსებითად, ჩვენი თანამედროვეა.

იაკობ ნიკოლაძის ასეთი შეფასებისას მხედველობაში მაქვს მისი არა მარტო ძალზე დიდი მხატვრული ტალანტი და ბრწყინვალე ოსტატობა, მისი ხანგრძლივი, მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი ამაგი, არამედ ის ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიული როლიც, რომელიც მან შეასრულა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

როგორც ცნობილია, ქართული მხატვრული კულტურის არც ერთ დარგს არ ხვდენია წილად ისეთი უბედობა, როგორც ქანდაკებას. მთელი საუკუნეების მანძილზე შეჩერდა მისი მაჯისცემა, გარკვეული რელიგიური პრინციპის გამო. მხოლოდ ბარელიეფის, ჰორელიეფისა და ხალხური ხელოვნების რამდენიმე ჟანრის სახით ვლინდებოდა იგი გზადაგზა, მაშინაც შეზღუდული სახით.

იაკობ ნიკოლაძე აღუდგა წინ ქართული სახვითი ხელოვნების ასეთი ცალპირი განვითარების ტრადიციას. მან აღადგინა ქართული ქანდაკების გზა და თავისი დროის ეროვნული მხატვრული კულტურის ერთ-ერთ ძირითად მხარედ აქცია. მან ერთადერთმა შექმნა და ეპოქის საერთო მხატვრულ დონემდე აამაღლა ახალი ქართული ქანდაკება, ამავე დროს, იგი ქართული საბჭოთა ქანდაკების ფუძემდებელი და უდიდესი მესიტყვე, ნამდვილი მეთაური და მამა, მთელი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების უშესანიშნავესი გამომხატველი იყო.

მაგრამ ამ შემთხვევაში მისი შემოქმედების მხატვრულ-ეროვნული არსისა და ისტორიული მნიშვნელობის განხილვას არ ვისახავ მიზნად. აქ იაკობთან შეხვედრების მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი მინდა გავიხსენო, კერძოდ, ის შეხვედრები და საუბრები, რომლებიც ჩემს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომში („იაკობ ნიკოლაძე") არ არის ასახული და ერთგვარად მაინც გარკვევით ავლენს მოქანდაკის, როგორც ადამიანისა და მხატვარ-მოაზროვნის, პორტრეტის ზოგ შტრიხს.

იაკობ ნიკოლაძე მეტად საინტერესო, კოლორიტული და დახვეწილი ქცევის ადამიანი იყო. მას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, მიმზიდველი და ენამახვილი საუბარი ახასიათებდა. მაგრამ ხელგაშლით, შედარებით, იშვიათად საუბრობდა; უმეტესად სიტყვაძუნწობდა, მოკლე პასუხებით კმაყოფილდებოდა. გამომეტყველება ამ უაღრესად ცოცხალი და მოძრავი ნატურის ადამიანს, მუდამ ზომიერი ჰქონდა: მასში ვერ ამოიკითხავდით დამოკიდებულებას, პოზიციას თვით გაცხოველებული კამათის პროცესშიც კი, იგი მოქანდაკის ემოციების, სულისა და აზრის ერთგული მესაიდუმლე იყო. ოღონდ, თუ ღელავდა, ან დიდად გახარებული იყო, ან რაიმე მნიშვნელოვან ცნო-

1 იხ. ჩემი „სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, ესთეტიკა", წიგნი I, 1973, გვ. 183-260.

ბას ელოდა, ამას იმით ამოიცნობდით, რომ ნიკაპზე წვერს დაუწყებდა გრეხას.

მსჯელობდა კატეგორიული ტონით. დათმობა არ უყვარდა. სიყვარულიც და სიძულვილიც ერთნაირად ძლიერი ახასიათებდა. ამავე დროს, იყო მეტად გულითადი და მგრძნობიარე, ზოგჯერ გულჩვილიც. რასაც ამბობდა, ნამდვილად სწამდა. და თუ დარწმუნდებოდა, რომ ვინმეს მიმართ უსამართლოდ მოიქცა, მაშინვე დაიხევდა უკან და დაუყოვნებლივ გამოისყიდდა თავის აჩქარებას.

ერთ დღეს, თბილისის სამხატვრო აკადემიაში მუშაობის პერიოდში, ჩვეულებრივზე ადრე მივედი სამსახურში. იაკობი ჩემზე ადრე მოსულიყო და ჩემს კაბინეტში მიცდიდა. მისალმებაზე არ მიპასუხა. თავისთავად ცხადია, ხელის ჩამორთმევა აღარ მიცდია. წვერს გრეხდა, აწვალებდა, მაშასადამე, რაღაცის გამო აღელვებული იყო. მიზეზის კითხვა დავაპირე, მაგრამ მან დამასწრო:

— აკაკი მოხუცებულობაშიც წერდა კარგ ლექსებს, ხომ? რენესანსის არა ერთი უდიდესი ხელოვანი მოხუცებულობაშიც გენიოსი იყო, არა? მაშინ გამოდის, რომ მოხუცებულობა ყოველთვის არ ნიშნავს შემოქმედებაშიც დაუძლურებას.

— რა თქმა უნდა, არა, — ვუპასუხე მე ასეთი მოულოდნელი შეკითხვით გაოცებულმა.

— მოდა, მეც არ ვგრძნობ შემოქმედებით დაუძლურებას!

ჩემთვის ამ საუბრიდან მხოლოდ ერთი იყო გასაგები — მათრახი მე მხვდებოდა.

— რატომ ბრძანებთ ამას, ბატონო იაკობ? განა უარყოფს ვინმე, რომ თქვენ უბერებელი ხელოვანი ბრძანდებით, და არა მარტო უბერებელი, არამედ თანდათან კიდევ უფრო მაღლა მიიწევთ, როგორც შემოქმედი.

— ამას აქ მეუბნებით, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კი გუშინ სხვა თქვით და...

დანარჩენის თქმა აღარ დავაცალე, რადგან ახლა უკვე მივხვდი, რის თქმა უნდოდა. ისიც ცხადად წარმოვიდგინე, რომ მთელი ღამე ნერვიულობაში ჰქონდა გატარებული მას და დიდად შეწუხებულმა სწრაფად ავუხსენი, თუ რის გამო და ვისზე იყო ნათქვამი, ის სიტყვები, რომლებიც მას თავისთავზე მიუღია, რამდენიმე წუთი გაშეშებული მიცქეროდა, შემდეგ თანდათან გაეხსნა სახე, ღიმილი მოერია, ახლოს მოვიდა ჩემთან, ხელზე ხელი მომიჭირა, მაკოცა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— როგორ არ დავუკვირდი?! უკაცრავად, ჩემო მამია!

* * *

იაკობს უშუალოდ **1984** წელს გავეცანი. იმ საღამოს სამხატვრო აკადემიამ შეხვედრა მოუწყო მიხეილ ჯავახიშვილს. მე მაშინ აკადემიის ასპირანტი ვიყავი და სიტყვის თქმა მეც დამავალეს.

როდესაც საღამო დამთავრდა, როგორღაც იაკობის ახლოს მოვხვდი დარბაზიდან გამოსვლისას. მან ხელი ჩამჭიდა და სიცილით მითხრა: — მეორე დუდუჩავა მოგვემატა, არა? დუდუჩავების ყოფილა ეს ქვეყანა და ეს არის.[1]

მერე მომეფერა და დამარიგა:

— ჩვენს ხელოვნებას არ შეუძლია განვითარდეს, თუ მისი თეორია, კრიტიკა და ისტორიაც არ განვითარდება. ამიტომ ახალი თაობის წარმომადგენლებმა უნდა ივარგოთ ამ დარგებში. სხვათა შორის, მეც მინდა რაიმე გავაკეთო ამ დარგში. ამჟამად განზრახული მაქვს, ბარელიეფის შესახებ დავწერო. თქვენ თუ დამეხმარებით მის ლიტერატურულ დამუშავებაში, ძალზე კარგი იქნება.

მე, ცხადია, დიდი სიამოვნებით მივიღე ეს დავალება. ოღონდ, თვით იაკობმა ამ შრომის დასაწერად ველარ მოიცალა. ჩვენი კეთილდამოკიდებულება კი უამისოდაც თანდათან მტკიცდებოდა. ბოლოს კი გულითადი მეგობრები გავხდით. ოღონდ, ბარელიეფის შესახებ შრომა რომ ვერ დაწერა, ამას ხშირად იხსენებდა და „დამნაშავედ“ მე მთვლიდა, სიცილით მეტყოდა:

— რა მიქენი, რა შრომა დამაკარგვინეო.

სწორედ ჩემი ამ „დანაშაულის“ გახსენებით დაიწყო ჩვენი საუბარი, (როგორც მახსოვს, 1946 წელს) ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც იმ დროს მე ვმუშაობდი. იაკობი ხშირად ესწრებოდა სპექტაკლებს და, ცხადია, მეც ყოველთვის მომინახულებდა. მაგრამ ამჯერად დღისით მეწვია. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მითხრა, რომ აკაკის ბიუსტს პედესტალს უცვლის, ხოლო ამისათვის ჩემი თანხმობაც არის საჭირო. მან მაჩვენა ახალი პედესტალის ნახაზიც, რომელიც თავიდანვე არ მომეწონა.

— ბატონო იაკობ! რა ვიცი, მე რომ მკითხოს კაცმა...

— ხო, აი გეკითხები!

— ის ხომ არ ჯობს, რაც არის?

— ასეა, დირექტორებმა ხელი რომ არ შეგვიშალონ, როგორ იქნება...

ამ დროს ისეთი სტუმრები მეწვიენ, რომ ამ საგანზე საუბრის გაგრძელება აღარ მოხერხდა. გულში კი მე მაინც ამ პროექტის შესახებ ვფიქრობდი და თანდათან კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ძველი უკეთესი და უფრო შესაბამისი იყო. თან ისიც მაკვირვებდა: რა საჭირო იყო ჩემი აუცილებელი

---

1. პირველის სახით მხედველობაში ჰყავდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ალექსანდრე (შურა) დუდუჩავა.

ეროვნული

თანხმობა? ეს ხომ თბილისის საბჭოს კომპეტენციას შეადგენდა?! მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩემგან თანხმობის მოთხოვნის ძირითადი მიზეზი თურმე ის იყო, რომ თეატრის ბაღის რამდენიმე დეკორაციული მცენარე და ვარდი უნდა ემსხვერპლა ამ შეცვლას.

მეორე დღეს დილით კვლავ მესტუმრა იაკობი. უკვე გადაწყვეტილი მქონდა კატეგორიული უარი მეთქვა, ცხადია, არა ვარდისა და მცენარეების გამო, არამედ იმიტომ, რომ ძველი პიედესტალი, მისი უპრეტენზიო ხასიათის მიუხედავად, ნამდვილად უკეთესი იყო. მაგრამ იაკობი ისე მომექცა, რომ უარის თქმა ველარ მოვახერხე. ვხედავდი, რომ იგი მთელი თავისი არსებით იყო მოწადინებული თავისი განზრახვის განხორციელებისათვის და უკიდურესად განიცდიდა ჩემს ორჭოფობას. და როდესაც საოცარი გულითადი გრძნობით მითხრა:

— თუ კაცი ხარ და თუ ოდესმე მაინც რაიმე გრძნობა გქონია ჩემს მიმართ, ნუ შემიშლი ხელსო, — მე საბოლოოდ დავმარცხდი.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც იაკობის შესახებ ნაშრომი გამოვაქვეყნე, ჩემი ეს აზრი აკაკის ბიუსტის ძველი და ახალი პიედესტალის შესახებ მაინც საგანგებოდ აღვნიშნე (სხვათა შორის, შემდეგ ეს აზრი გამეორებული იქნა ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ რუსულ ენაზე გამოცემულ ერთ წიგნში, მაგრამ როგორც, თითქოს, ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორის „აღმოჩენა“).

50-იანი წლების შუა პერიოდში საგრძნობლად დაიწყო დაზიანება აკაკის ბიუსტმა — ქვა დასკდა. საჭირო იყო მისი მუზეუმში დაუყოვნებლივ გადატანა. მხატვართა კავშირმა და კულტურის სამინისტრომ, მათ წინაშე საკითხის არაერთხელ დასმის მიუხედავად, ვერ მოახერხეს ამ საქმის მოგვარება. ბოლოს მივმართე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანს დ. მჟავანაძეს... 

მაშინდელ მდივანს დ. მქედლიშვილს, რომელმაც სასწრაფოდ განახორციელა ბიუსტის შეცვლა. ცხადია, უფრო შესაბამისი იქნებოდა ბაღში მარმარილოში შესრულებული ასლის დადგმა, რადგან ამ ნაწარმოების შექმნისას მასალის ფერიც და საერთო ხასიათიც აუცილებლად ქონდა გათვალისწინებული მხატვარს. მაგრამ ავტორისეული დამუშავების გარეშე ასეთი ასლი ვერასოდეს ვერ მაღლდება ორიგინალის დონემდე. ამიტომ მე ბრინჯაოში ჩამოსხმა მოვითხოვე. პირველად რომ ვნახე თეატრის ბაღში დადგმული ბრინჯაოს ბიუსტი, შევკრთი: ზოგიერთი დეტალი მეტად გამოკვეთილად იკითხებოდა და, საერთოდ, პორტრეტს ერთგვარად შეცვლილი ჰქონდა თავისი პირვანდელი იერი შუქ-ჩრდილის სხვაგვარად ამეტყველების გამო. მაგრამ შემდეგ ბრინჯაოს დაჟანგვის შედეგად, პორტრეტი, შეიძლება ითქვას, სავსებით დაუბრუნდა თავის თავს.

* * *

1949 წელს მხატვართა კავშირის საგამოფენო კომისია მხატვრების მიერ წარმოდგენილ ნაწარმოებებს იხილავდა სურათების გალერეის საგამოფენო დარბაზში. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები კედელზედაც იყო ექსპონირებული. იაკობი და მე ერთად ვათვალიერებდით. დათვალიერების შემდეგ კომისიის სხდომა დაიწყო. კომისიის ერთ-ერთი წევრი ხშირად გამოდიოდა სიტყვით და აშკარად სუსტ ნაწარმოებებს ესარჩლებოდა. ზოგჯერ „იმარჯვებდა“ კიდეც. იაკობმა წამჩურჩულა:

— საწყალი, მთლად უვარგისი კაცია!..

— რატომ, ბატონო იაკობ!

— უნდა ყველას ასიამოვნოს და კეთილი კაცის სახელი დაიმსახუროს... ამ საცოდავს ჰგონია, კეთილი კაცი ის არის, ვინც ყველას გაცინებული ხვდება და თავს უქნევს, ყველას აქებს, ცუდსაც და კარგსაც ერთ სახელს უწოდებს... ის კი არ იცის, რომ ყველაზე დიდი ბოროტება სწორედ ასეთი ქცევაა... მით უმეტეს ხელოვნებაში... განა აქ დასაშვებია ლაქუცი... მხატვრისათვის სიკეთე ისაა, რომ პირდაპირ უთხრა მისი ნაწარმოების ავ-კარგი...

ამ დროს, კომისიის ამ წევრმა კიდეც დაამთავრა თავისი მორიგი სიტყვა, რომელიც ერთი ნამდვილად სუსტი ნაწარმოების დასაცავად იყო წარმოთქმული.

იაკობი გახელებული წამოვარდა ადგილიდან:

— რადგან თქვენ ასე მოგწონთ, მე ვყიდულობ ამ ნაწარმოებს თქვენს საჩუქრად, ოღონდ ერთი პირობით: თქვენს სახლში უნდა გამოფინოთ...

საერთო სიცილი ატყდა. „კეთილი“ ორატორი დაიბნა. მაინც მოინდომა პასუხის გაცემა.

— სახლი, სახლი რა შუაშია...

— ჰო, მაშასადამე, თქვენი სახლის ღირსი არ არის... მთელი საზოგადოებისათვის კი კარგია. თქვენ დათვურ სამსახურს უწევთ მის ავტორსაც და ხელოვნებასაც...

მერე კომისიის წევრებს მიუბრუნდა:

— თქვენც უპრინციპოდ იქცევით. გეკადრებათ ასეთი აშკარად მიკერძოებული გამოსვლების მოთმენა? ნუ დაივიწყებთ, რომ ხელოვნება სინდისის ტაძარიც არის!..

მართალი გითხრათ, მე დიდად ნასიამოვნები დავრჩი იაკობის ამ გაბრძოლებით. ეს იმიტომ, რომ მეც ყოველთვის იმავე აზრის ვიყავი და ვარ ახლაც.

ხელოვნებაში ყოველგვარი დათმობა და უსაფუძვლო ქება-დიდება ნამდვილი ბოროტებაა. და, საერთოდაც, კეთილი კაცი ის არ არის, ვინც ღიმილს არ იშორებს ტუჩებიდან, ავსაც და კარგსაც ერთნაირად აფასებს და ყველას მიმართ ერთნაირ კეთილ დამოკიდებულებაშია.

ასეთი ადამიანი, არსებითად, ბოროტებას უფრო ემსახურება და, საერთოდ, საზოგადოებრივ გრძნობას სავსებით განრიდებული ეგოისტია.

კეთილი მხოლოდ ის არის, ვინც კარგს იცავს და ცუდს ებრძვის.

მე განსაკუთრებით მომეწონა აგრეთვე სიტყვები: „ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა  ს ი ნ დ ი ს ი ს  ტ ა ძ ა რ ი ც  ა რ ი ს“. სამწუხაროდ, ახლაც არც ისე იშვიათად არის საჭირო ამ ჭეშმარიტების გახსენება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას.

საგამოფენო კომისიის სხდომის დამთავრების შემდეგ იაკობმა ფეხით მოისურვა სახლში წასვლა. მეც გავყევი.

როცა გალერეას გავცილდით, იაკობი შეჩერდა სწორედ იქ, სადაც მისი ეგნატე ნინოშვილი დგას, და ქანდაკების სირთულეზე დაიწყო საუბარი:

— ჩვენი ამოცანაა ვიმღეროთ ის, რაც არის, მაგრამ უფრო ხმამაღლა. ხომ გახსოვს, ეს არსებითად როდენის სიტყვებია. სიმღერას კი მუნჯ მასალაში ვერ ჩაასახლებ, თუ მთლად არ დაიმორჩილე და აიყოლიე იგი. აი, ჩვენ ახლა სახვითი ხელოვნების ყველა დარგის ნამუშევრები ვნახეთ და ჩემი ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ ყველაზე უტყვი, მუნჯი მასალა მოქანდაკეებს გვაქვს. ენაც, ფერიც, ხაზიც, ბგერაც, ყველა ესენი თავისთავადაც მეტყველია. თიხას, ქვას, ბრინჯაოს კი ქანდაკება აძლევს ენას, სითბოს, გამოხატვის უნარს. ხელოვნების სხვა დარგის ოსტატები მეტყველთ ამეტყველებენ, ჩვენ, მოქანდაკეები კი — მუნჯებს. ამიტომაა ძნელი ქანდაკება. ცხადია, მე მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტი ქანდაკება, თორემ ზოგი მოქანდაკის შემოქმედებაში ყველა მასალა ისეთივე მუნჯად რჩება, როგორიც ბუნებაშია, მოქანდაკე, რომელიც მხოლოდ ამსგავსებს, მაგრამ არაფერს არ გამოხატავს, შემოქმედი არ არის. განა ვინც მღერის, ყველა მომღერალია? ასევეა აქაც. მოქანდაკემ, უწინარეს ყოვლისა, თიხასა და ქვას ენა უნდა ჩაუდგას და ალჭურვოს იმის გადმოცემის უნარით, რასაც ბუნება კარნახობს, ამასთან, რაც თვით ხელოვანის სულსა და გონებაშია დასადგურებული. რა თქმა უნდა, ნამდვილი ხელოვნებისაგან ასევე შორს დგას რაღაც, თითქოს, თავისთავადი ფორმისათვის მოკირკიტე ხელოსანი. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, არსებითად, ხელოვნების უარყოფაა.

ამის შემდეგ საუბარმა საკუთრივ პორტრეტზე გადაინაცვლა. გამოსაფენად წარმოდგენილ ნაწარმოებებიდან ყველაზე სუსტ შთაბეჭდილებას სწორედ ამ ჟანრის ქმნილებები ახდენდა. ამან დიდად შეაწუხა იაკობი. ნათლად დამამახსოვრდა მისი ნათქვამი:

— პორტრეტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიცვალებულებს ჰგავს. ხელოვნების სახელით კლავენ ამდენ შესანიშნავ ადამიანს.

განსაკუთრებით აღშფოთებდა იაკობს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების პორტრეტები.

— მთლად ცარიელია ეს პორტრეტები. აქ გარეგნული მსგავსების გარდა ვერაფერს იგრძნობ. მეორე უბედურება გარეგნობის სრული უარყოფაა. „სულის პორტრეტიო“ ლაყბობენ. სინამდვილეში სული კი არა, შუბლი ვერ დაუხატავთ. ადამიანის სული სახვით ხელოვნებაში სწორედ გარეგნობის მეშვეობით უნდა გამოვლინდეს. გარეგნობას ისევე გააჩნია თავისი ნიშანდობლივი თვისებები, როგორც შინაგან სამყაროს. ამ ნიშანთა არსებითი ნაწილის გამოყოფა და ერთობლივი მხატვრული გარდასახვა შეადგენს რეალისტური პორტრეტის საფუძველს. ყველამ იცის, რომ ჭეშმარიტი პორტრეტი გაცილებით უფრო მკვეთრად და ყოველმხრივ უნდა გამოხატავდეს ადამიანს, ვიდრე თვით ამ უკანასკნელის ბუნებრივი გარეგნობა გამოხატავს.

— მაგრამ გამონაკლისიც არის, — მაშინვე დაუმატა იაკობმა, — ზოგის ნატურალური გარეგნობა გენიალურად გამოხატავს მის ბუნებას... — აქ სიტყვა არ გააგრძელა, მაგრამ მინიშნებით და გულითადი სიცილით მაგრძნობინა, რომ მხედველობაში ჰყავდა ერთი უაღრესად თავისებური გარეგნობის მქონე საერთო ნაცნობი.

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საუბარი კვლავ იაკობმა დაიწყო. სხვათა შორის, საგანგებო ხაზგასმით შემდეგიც თქვა:

— ეს ნამუშევრები იმასაც ადასტურებს, რომ ბოროტი და ჩხირკედელა კაცი ნამდვილი ხელოვანი ვერასოდეს ვერ გახდება.

ამასობაში ოპერის თეატრს გავუსწორდით. ალბათ, ამის გამო, იაკობმა სავსებით შეცვალა ჩვენი საუბრის თემა.

— არც ჩვენთან არის ადვილი, მაგრამ ამ თეატრის დირექტორობა ბევრად უფრო ძნელი იყო, არა?

— არა, იაკობ ბატონო, ძირითადად იქაც შესანიშნავი კოლექტივია. მე ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ ამ თეატრში მუშაობას. ნერვიულ ატმოსფეროს კი იქაც იგივე ფაქტორი იწვევს, რაც მხატვართა შორისაც გვხვდება. ეს არის მისწრაფება — იყო პირველი და ყველაზე მეტად დაფასებული. და ისე როგორც მხატვრებში, მათ შორისაც, ხშირად ყველაზე მეტად პირველობისათვის სწორედ ის იბრძვის, ვისაც ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის იგი.

ამ დროს მომაგონდა ერთი შემთხვევა, რომელიც დირექტორობას ეხებოდა და რადგან

საუბრის განწყობილებაზე ვიყავით, მოკლედ მოვუყევი იაკობს. ბევრი იცინა. აქაც გავიმეორებ.

1947 წლის შემოდგომაზე გარდამეცვალა მამა, რომელიც სოფლად (ჩოხატაურის რაიონი, სოფ. ქვემოხეთი) ცხოვრობდა. დასაფლავებაზე ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივიდან (მაშინ მე ამ თეატრში ვმუშაობდი), მესტუმრა ყველასათვის საყვარელი მომღერალი სანდრო ინაშვილი. ვინც ახლო იცნობდა მას, დამეთანხმება, რომ იგი იყო ბრწყინვალე მოქალაქე და მაღალი კლასის ინტელიგენტი. რაც შეეხება, როგორც მომღერალს, ამ მხრივ მისი ღირსება და დამსახურება ხომ ყველასათვის ცნობილია. სანდრო პირველად იყო აღმოსავლეთ გურიაში და იმდენად მოიხიბლა ამ კუთხის სილამაზით, რომ უყოყმანოდ დამთანხმდა ჩემს თხოვნაზე — რამდენიმე დღით დარჩენილიყო.

მაშინ რთველი იყო გაჩაღებული. მესამე დღეს ჩემი სახლის წინ კოლმეურნეობის ნაკვეთშიც დაიწყეს ყანის ალება. სანდროს, ეს რომ დაუნახავს, გადასულა კოლმეურნეებთან, მისალმებია მათ და დიდი მორიდებით უთხოვნია:

— ბატონებო, თუ შეიძლება, მომეცით ნება, თქვენთან ერთად, მეც მოვტეხო სიმინდი! კოლმეურნეები პატივისცემით შეხვედრიან და მიუწვევიათ მათ რიგში.

როდესაც სანდრო ამ ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე დავინახე, რა თქმა უნდა, მაშინვე მივედი მასთან და ჩემს მეზობლებთან. ცხადია, გზაზე სიცილს ვერ ვიკავებდი, როდესაც ვხედავდი, თუ როგორი არტისტული მანერითა და სინაზით ეხებოდა სანდრო სიმინდის ყოველ ტაროს. აქ მომუშავე მეზობლები იმ დღეებში ჩემს ირგვლივ ტრიალებდნენ, მანუგეშებდნენ, მეფერებოდნენ, მაგრამ ახლა მაინც ისე მივესალმეთ ერთმანეთს, თითქოს, დიდი ხნით არ გვენახოს ერთმანეთი. რამდენიმე წუთით მუშაობაც შეწყვიტეს.

— ბიძია მამია, — შემეკითხა ერთი მათგანი, — იმ თეატრში, სადაც შენ მუშაობ, რამდენი თანამშრომელია?

მე ზუსტი პასუხი მივეცი, სრულიად გულუბრყვილოდ. ამ შეკითხვის რაიმე საგანგებო ქვეტექსტს არ მოველოდი.

— მე მეგონა, ასეთი ნასწავლი კაცი რაღაც დიდ მოვალეობას ასრულებდი! შე კაი კაცო, ასეთ ღვთიხნიერ კაცს, მე რომ მე ვარ, ასიათასს მოვუვლიდი, 600-700 კაცი რაა! შენ ამათი მოვლა თქვი, — მიმითითა კოლმეურნეებზე, — იქეთ რომ ეხვეწები იმუშავეო და მაინც არ მუშაობენ.

და ეს ისეთი მოქცეული და თან გულმართალი კილოთი იყო ნათქვამი, რომ სიცილი, რომელიც პირველად სანდროს აუტყდა, სწრაფად გადაედო ყველას და დიდხანსაც გაგრძელდა.

— რა თქმა უნდა, ბატონო იაკობ, თეატრის ყველა თანამშრომელი სანდრო ინაშვილი არ იყო, მაგრამ იმის შეგნება, რომ დიდ ეროვნულ საქმეს ვემსახურებოდი, ყველაფერს აადვილებდა.

— ჰო, სანდრო დიდებული ადამიანია. მას ბევრი მისცა იტალიამ, ისე როგორც მე...

შემდეგ საუბარი იაკობმა კვლავ ქანდაკებაზე გადაიტანა.

— საერთოდ, მუსიკა, კერძოდ კი სიმღერა და ქანდაკება ზედმიწევნით ახლოა ერთმანეთთან. ქანდაკებაც სიმღერაა, ოღონდ აქ მელოდია შუქ-ჩრდილია. ქანდაკება, რომელიც სიმღერაც არ არის და ისიც უფრო ხმამაღალი, ვიდრე ბუნება მღერის, ხელოვნება არაა. ზოგს კი ყოველი ვილაცაზე დამსგავსებული თიხა ქანდაკება გონია.

ცოტა კიდევ ვისაუბრეთ. შემდეგ ჩემი გაცილება აღარ ისურვა:

— უკვე გეყოფა, მე განთავისუფლებ პატიმრობისაგან და ახლა კვლავ შენს ნამდვილ საპატიმროში დაბრუნდი (მე მაშინ მეტეხის ყოფილი ციხის, შენობაში ვცხოვრობდი).

იმ დღეს ამ მეგობრული ჩანისკარტებით გამოვეთხოვეთ ურთიერთს.

* * *

1950 წლის დასაწყისში იაკობმა გადმომცა მისი ცნობილი მოგონება როდენთან მუშაობის შესახებ, რუსულ ენაზე გამოცემული, და მთხოვა მისთვის „მკაცრი რედაქცია" გამეკეთებინა.

— საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემია სცემს ამ წიგნს და მინდა ყოველმხრივ გამართული ტექსტი წარვადგინო. შენ რომ უნდა იყო რედაქტორი, ეს შეთანხმებული მაქვს. გთხოვ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო იმპრესიონიზმისა და, კერძოდ, როდენის შემოქმედებითი პრინციპების შეფასებას, საერთოდ, მათთან ჩემს დამოკიდებულებას. როცა ამ წიგნს ვწერდი, მაშინ სხვა სულისკვეთება იყო და მწერალთა ერთი ჯგუფის გავლენაც განვიცადე. შედეგად ზოგი უზუსტობა გამეპარა. ახლა რომ წავიკითხე, ისიც აშკარად ვიგრძენი, რომ ზოგ ადგილს შემცირება, ხოლო ზოგს მეტი განათება სჭირდება. მე ვამაყობდი და დღესაც ვამაყობ, რომ შედარებით სრულიად ახალგაზრდა მოქანდაკემ შევძელი როდენის სტილში შემესრულებინა ამ იმდროინდელი უდიდესი მოქანდაკის დავალებები, განსაკუთრებით უკანასკნელი დავალება. მე მაშინ როდენის მოსაწონი არა მარტო მხატვრული დახელოვნება გამოვავლინე, არამედ მხატვრული ხედვაც, მანერაც. რა თქმა უნდა, ასეთი ტიტანი ხელოვანის გავლენას ვინ გადურჩებო-

და, მით უმეტეს, თუ მის სახელოსნოში მუშაობდი და მის დაკვეთას ასრულებდი. მეც დავემორჩილე. ეს სავსებით ბუნებრივიცაა. მაგრამ მე როდენთან რეალისტი მივედი. ქართული ქანდაკების ხასიათის ძიების გარკვეული გზაც მქონდა განვლილი. და ისიც კარგად ვიცოდი, რომ ხელოვანი, რომელიც მიმბაძველია, განსაკუთრებით სხვა ქვეყნის ხელოვანის მიმბაძველი, იგი იმთავითვე მკვდარია ნამდვილი ხელოვნებისათვის. მე იტალიის გიგანტებს გამოვექეცი იმის შიშით, რომ ეპიგონი არ გავმხდარიყავი. ზოგი კრიტიკოსი და მოკრიტიკოსო კი ბიოგრაფიის მიხედვით ასკვნის, ვინ რომელი სტილის ხელოვანია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩემს ეგნატეს, აკაკის, „მწუხარე საქართველოსა“ და იმ პერიოდის არა ერთ პორტრეტს, ზოგ შემთხვევაში საბჭოთა პერიოდისა და, ასე გასინჯეთ, როდენის გაცნობამდე შექმნილ ნაწარმოებებსაც კი, როდენისეულად მიიჩნევენ. ალბათ, რომელიმე უკიდურეს დეკადენტთან რომ მემუშავა, მაშინ ფორმალისტად გამომაცხადებდნენ. ერთი სიტყვით, ნაწარმოებებს კი არ სწავლობენ და ამის მიხედვით კი არ სჯიან, არამედ ჭორაობენ... ჩემი ეს მოგონებაც ვერ გაიგეს მათ, და ამიტომ მინდა ისე გავაკეთოთ, რომ არა მარტო ხალხმა, არამედ ასეთმა კრიტიკოსებმაც გაიგონ იგი. ერთ დღეს რომ დაგახველოს, ამიტომ ექიმმა ავადმყოფობის ისტორიაში ის უნდა ჩაწეროს, რომ ამ კაცს ყოველ დღე, მეტიც, დაბადებამდეც კი ახველებდა და ახლაც ახველებსო?!

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისიც გაიხსენა, რომ ზოგი ავტორი მთელ ახალ ქართულ ხელოვნებასაც მიბაძვად თვლიდა.

— თუ იგი ნამდვილი ხელოვნება იყო, ეროვნულიც უნდა ყოფილიყო. თუ არა და, ახალი პერიოდის ხელოვნება არ გვქონია ჩვენ და ესაა. ევროპულთან და რუსულთან არის დაკავშირებულიო... კეთილი, მაგრამ ჩვენი შუა საუკუნეთა მხატვრობა უფრო მეტად არის დაკავშირებული იმ ეპოქის ქრისტიანული სამყაროს მხატვრობასთან. მაგრამ განა ეს ეროვნულობას გამორიცხავს? საქმე ისაა, შენი დროის მსოფლიო ხელოვნებასაც ეპასუხებოდე და, ამავე დროს, შენივე დროის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდე.

იაკობი ისე დაბეჯითებით და საინტერესოდ ამბობდა ყველაფერ ამას, რომ კიდეც მეწყინა, როცა დაამთავრა თავისი თხოვნის კომენტირება.

მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე ეს დავალება, ყურადღებით წავიკითხე მოგონება და ჩემი შენიშვნები სტრიქონ-სტრიქონ მოვახსენე იაკობს. მან ყველა შენიშვნა მიიღო და უკლებლივ შეიტანა ტექსტში. წიგნის დამამთავრებელი სტრიქონები კი მთლიანად შევცვალეთ (ახალი ვარიანტი, ცხადია, მან მიკარნახა). სამწუხაროდ, მოგონების ამ ვარიანტის გამოცემა ვერ მოასწრო. ამჟამად მოგონების ეს ეგზემპლარი მოქანდაკის არქივში ინახება.

იაკობის გარდაცვალების შემდეგ მოგონება ქართულად გამოიცა. მასში წიგნის მხოლოდ ბოლო სტრიქონებია გასწორებული ახალი რედაქციის მიხედვით.

* * *

1950 წლის შემოდგომიდან განსაკუთრებით გაუარესდა იაკობის ჯანმრთელობა. მის თვალებში თანდათან ქრებოდა ადრინდელი სიხალისე.

ექიმებმა სოხუმში ურჩიეს დასვენება და მკურნალობა. გამგზავრების წინა დღეს თავის სახლში მიხმო. დიდხანს დავრჩი, მაგრამ გაბმული საუბარი ვერ ავაწყვეთ. ყოველმხრივ ცდილობდა არ შემემჩნია, რომ უკვე შიშით იყო შეპყრობილი. და მაინც ყველაფერი აშკარად ჩანდა. ესეც კი წამოსცდა:

— ნეტავი თვით ეს სიკვდილი არასოდეს არ მოკვდება?

ეს, ცხადია, სევდაც იყო და ირონიაც. მაგრამ მაინც ძნელი იყო ამ სიტყვების მოსმენა. პასუხი კი უნდა გამეცა:

— თქვენთვის სულერთია, ბატონო იაკობ. იგი თქვენთვის არაა გაჩენილი...

— ეჰ, სანუგეშო სიტყვებია, ჩემო კარგო!

გამომშვიდობებისას ბოდიში მომიხადა — სასწავლო წლის შუა პერიოდში გღალატობთ. რა თქმა უნდა, ეს ღალატი არარაობას წარმოადგენდა თვით იაკობის ავადმყოფობასთან შედარებით. მეც ყველაფერი გავუადვილე.

სოხუმიდან ორი წერილი გამომიგზავნა. ორივე მისი მეუღლის ხელით იყო დაწერილი, ცხადია, კარნახით ხელს თვითონ აწერდა, ერთს ქართულად, ერთს რუსულად.

პირველ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1950 წლის 15 დეკემბრით, იაკობი მატყობინებდა:

«Я постепенно поправляюсь, правда, медленно; в общем чувствую себя гораздо лучше».

ამასთან, იმედს გამოთქვამდა, რომ იანვრის ბოლოს დაბრუნდებოდა თბილისში.

მეორე დაწერილია 1951 წლის 4 თებერვალს. აქ, შედარებით, უფრო მუქი ფერებით გადმოსცემს იაკობი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას:

«Что касается меня — я до сих пор болею, иногда лежу, иногда встаю, но из комнаты еще не выхожу... Ожидаю сил, которые возвращаются очень медленно».

ეს იყო იაკობის უკანასკნელი პირადი წერილი საერთოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი სილოგავა

# ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში

აკად. ივ ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ქართული პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა წარმოდგენილია გამოცემული ნაშრომების და პირად არქივში დაცული მასალების სახით. გამოცემული ნაშრომები, რომლებშიც პალეოგრაფიის და ეპიგრაფიკის საკითხებია განხილული, ორი რიგისაა: ერთია, საკუთრივ პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის საკითხებზე დაწერილი. შრომები და მეორეა, ეპიგრაფიკული მასალის გამოყენების შემთხვევები სხვადასხვა ნაშრომებში რომელიმე საკითხის განხილვისას. არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალები ასევე ორი რიგისაა: ერთია, თვითონ ივ. ჯავახიშვილის მიერ შეკრებილი მასალები (წარწერათა ტექსტები, შენიშვნები და ჩანაწერები ცალკეულ საკითხებზე) და მეორეა, სხვადასხვა ავტორთა მიერ მისთვის გაგზავნილი, ან გადაცემული ეპიგრაიფკული მასალებას (წარწერათა ტექსტები, ცალკეული ცნობები). აქვე შემოდის არქივში დაცული მდიდარი საილუსტრაციო მასალა: წარწერათა ფოტოსურათები, გრაფიკული მონახაზები, დიაპოზიტივები და ნეგატივები.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი ეპიგრაფიკას პალეოგრაფიასთან არ აიგივებდა, უფრო სწორად, არ იყო იმ აზრისა, რომ პალეოგრაფია გულისხმობს და მოიცავს ეპიგრაფიკასაც. „დამწერლობათმცოდნეობა ორ მთავარ დარგად იყოფა, — წერდა ის, — ეპიგრაფიკად, ანუ წარწერათმცოდნეობად, და საკუთრივ პალეოგრაფიად, ანუ ხელითნაწერთამცოდნეობად." „ეს გარემოება, — განაგრძობს ის, — სახელდობრ, წარწერათა და ხელნაწერთათვის სახმარი მასალა-იარაღის სრული სხვაობა, — ეპიგრაფიკასა ანუ წარწერათმცოდნეობასა და პალეოგრაფიას ანუ ხელითნაწერთამცოდნეობას ზოგადი დამწერლობათამცოდნეობის ცალცალკე სპეციალობად ქმნის". ასევე, თვით ივ. ჯავახიშვილის ცნობით, ჩვენ ვიცით, რომ 1914 წ., თავისი „ქართული პალეოგრაფიის" კურსის შექმნამდე, ის პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის ცალკე კურსს კითხულობდა. ამავე დროს, როგორც მოსალოდნელია, პალეოგრაფიის საკითხების შესწავლისას, კერძოდ „ქართულ დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფიაში" მას ფართოდ აქვს მოხმობილი ეპიგრაფიკული მასალა ქართული დამწერლობის ადრეული ხანის (ე. ი. მის დროს ძირითადად ეპიგრაფიკული ძეგლებით წარმოდგენილი პერიოდის) განხილვისას.

ქართული ეპიგრაფიკის საკითხებით ივ. ჯავახიშვილი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე დაინტერესებულა. ეს ბუნებრივია, რადგან ნებისმიერი ქართველოლოგიური საკითხის საფუძვლიანად შესწავლა ქართული ეპიგრაფიკის მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

1912 წელს, ნ. მარის მიერ დაარსებულ ცნობილ ორგანოში „ხრისტიანსკიი ვოსტოკ" ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა რეცენზია „კავკასიის არქეოლოგიის მასალების" მეთორმეტე ტომზე. ეს ტომი მთლიანად დათმობილი ჰქონდე ექ. თაყაიშვილის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ჩილდირის, არდაგნის და ოლთის

ოლქებში აღწერილი ქართული სიძველეების, ძირითადად, ეკლესიების აღწერასა და მათი წარწერების პუბლიკაციას. ივ. ჯავახიშვილის რეცენზია ამ ტომზე ამჟამად ჩვენთვის ძირითადად საინტერესოა მის მიერ ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის საკითხებზე გამოთქმულ თეორიული მოსაზრებების თვალსაზრისით. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მეცნიერეული შესწავლა ის-ის იყო იწყებოდა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას თუ რა გზით, რა ამოცანების დასახვით და რომელი საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებით წარიმართებოდა ეს შესწავლა. ივ. ჯავახიშვილი მოითხოვდა, რომ საჭიროა ყოველი ეპიგრაფიკული ძეგლის დეტალური აღწერა, მისთვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებისა და თავისებურებების საგანგებოდ გამოყოფა და არამარტო გარეგანი ნიშნების ზოგადი აღნიშვნა. ივ. ჯავახიშვილი 1912 წელს წერდა:

«Грузинская палеография — дело будущего, и она может создаться, если археологи и эпиграфисты будут тщательно изучать издаваемые надписи, как в отношении начертания, так и по части орфографических особенностей, сравнивая их и базируясь на датированных и хорошо обследованных эпиграфических памятниках».

ივ. ჯავახიშვილის მიერ 65 წლის წინათ დასახული ეს გეგმა ამჟამადაც საპროგრამო ამოცანად რჩება; ჩვენ დღესაც არ მოგვეპოვება ისეთი სახელმძღვანელო, ან თუნდაც ეპიგრაფიკული ძეგლების ტაბულების სახით შედგენილი პალეოგრაფიული ალბომი, რომელშიც ზუსტად დათარიღებული ძეგლები წარმოდგენილი და განხილული იქნება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და რომელიც საშუალებას მოგვცემს უთარიღო ეპიგრაფიკული ძეგლები მტკიცედ დავათარიღოთ მათი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა რბილ საწერ მასალაზე შესრულებული წერილობითი ძეგლების, ხელნაწერების შესწავლის საქმეში, სადაც ასეთი სახელმძღვანელოს როლს ასრულებს; ილ. აბულაძის მიერ შედგენილი პალეოგრაფიული ალბომი — „ქართული წერის ნიმუშები“.

ასევე დღემდე გადაუჭრელია ივ. ჯავახიშვილის მიერ ნახევარი საუკუნის წინ დასახული ამოცანა ქართული წარწერების კორპუსის გამოცემისა: „ქართულ წარწერების სრული ახალი კრებულის“ გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიად საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელიო“, წერდა ის 1926 წელს.

1912 წელსვე გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი ატენის ტაძრის აგების თარიღზე, რომელიც საგანგებოდ ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისადმია მიძღვნილი. ამ ნაშრომში განხორციელებულია პირველი მეცნიერული პუბლიკაცია ისეთი ძვირფასი ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორიცაა ატენის სიონის ფრესკული წარწერა 853 წლისა ბუღას შემოსევის შესახებ და იმავე ტაძრის სამხრეთი კედლის ლაპიდარული წარწერისა — დაწერილი გურგანელისა, რომელშიც მოთხრობილია ბაგრატ IV-ის მიერ ატენში ქალაქის მშენებლობის, გურგანელის — მირიან თარხუნის ძის ყმის, ამ მშენებლობაში მონაწილეობისა და აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილია ორივე ამ წარწერის დაწვრილებითი პალეოგრაფიული და ეპიგრაფიკული აღწერა, მათი დახასიათება, მათში დაცული ცნობების შეჯერება სხვა სახისა და ხასიათის წყაროების მონაცემებთან. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი ამჟამადაც სანიმუშოა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ნაშრომია ივ. ჯავახიშვილისა, რომელიც ეპიგრაფიკული ძეგლების საგანგებო პუბლიკაციისადმია მიძღვნილი და ეს პუბლიკაციაც ამ ნაშრომში დაქვემდებარებულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხის — ატენის სიონის აგების თარიღის გარკვევისადმი.

1918-1921 წწ. თბილისის უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ქართული პალეოგრაფიის კურსს. ეს კურსი 1926 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად „ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფიის“ სახელწოდებით, ავტორის მიერ გადმოსაცემად განზრახული სერიის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ მესამე წიგნის პირველი ნაკვეთის სახით. როგორც ცნობილია, 1949 წელს გამოიცა ამ წიგნის მეორე გამოცემა, მომზადებული დასაბეჭდად ილ. აბულაძის მიერ.

ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ გამოცემით საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართველოლოგიურ სამეცნიერო დისციპლინას — ქართულ პალეოგრაფიას. საქმე აქ მარტო ნაშრომის სათაურში არ მდგომარეობდა. როგორც ცნობილია, ნაშრომი ასეთივე სახელწოდებით დაბეჭდილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1885 წ. დ. ბაქრაძეს 1884 წელს თბილისში ჩატარებული V არქეოლოგიური ყრილობის შრომებში. ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი წარმოადგენს საეტაპოს ქართული წერილობითი ძეგლების დამწერლობათმცოდნეობის თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. მასში შეჯამებულია ამ სფეროში იმ დროისათვის არსებული ცოდნა და ამასთანავე, ქართული პალეოგრაფიის მეთოდოლოგიური საკითხები განხილულია საერთო, ზოგადი დამწერლობათმცოდნეობითი თვალსაზრისით. „ქართული პალეოგრაფია“ საყურადღებოა სამი თვალ-

საზრისით: უმდიდრესი ტერმინოლოგიური მასალის გაანალიზებით, ქართული დამწერლობის განვითარების ძირითადი საფეხურების დადგენით და ქართული დამწერლობის წარმოშობის პირველი მეცნიერული თეორიის შემუშავებით.

განმაზოგადებელი ნაშრომი ქართულ ეპიგრაფიკაში, მსგავსი „ქართული პალეოგრაფიისა", ივ. ჯავახიშვილს არ შეუქმნია; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტში ის კითხულობდა ქართული ეპიგრაფიკის კურსს, მაგრამ ჩანაწერები ამ კურსისა არ შემონახულა; როგორც ჩანს, ის დაიღუპა 1918 წელს ივ. ჯავახიშვილის სხვა მასალებთან ერთად, რომლებიც პეტერბურგიდან თბილისში იქნა გაგზავნილი. შეიძლება ამ კურსის ერთი ნაწილი „ქართულ პალეოგრაფიაში" იქნა ჩართული ავტორის მიერ. კერძოდ, IV თავის მეორე პარაგრაფში, რომელშიც ეპიგრაფიკული ძეგლებია საგანგებოდ განხილული. მაგრამ ფაქტია, რომ განმაზოგადებელი ნაშრომი ქართულ ეპიგრაფიკაში მას არ დარჩენია. სამაგიეროდ ქართული ეპიგრაფიკის მონაცემები ფართოდ არის მოხმობილი და გამოყენებული ივ. ჯავახიშვილის მიერ მის თითქმის ყველა ნაშრომში. „ქართველი ერის ისტორიაში" ქრონოლოგიური ცნობების დასაზუსტებლად, სხვა წყაროებით ცნობილი ფაქტების შესამოწმებლად, ან უცნობი ფაქტების გამოსავლენად სხვადასხვა ადგილას განხილულია შემდეგი წარწერები: ატენის სიონისა ბულას შემოსევის შესახებ, სამთავისის ტაძრისა, ბორჯომის ხეობის ს. დაბისა, რკონის მონასტრის პატარა ეკლესიისა და სხვ. ნაშრომში „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XII საუკუნეებში" ივ. ჯავახიშვილის მიერ საგანგებოდ არის შესწავლილი და გაანალიზებული ეტიფანე კათალიკოსის წარწერა ანისიდან; ბასილი ზარზმელის თხზულების „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ერთი ცნობის „სრული სიმართლის" დასამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს სამწერობელის წარწერას ზარზმის მონასტრიდან, ხოლო ჟამთააღმწერლის ცნობას აბრამ კათალიკოსის შესახებ ივ. ჯავახიშვილი ავსებს გუდარეხის მონასტრის სამრეკლოს წარწერით. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი ძველი ქართული სამშენებლო ტერმინოლოგია შესაბამისი წარწერების ნაწყვეტებთან ერთად ფართოდ აქვს ივ. ჯავახიშვილს მოხმობილი ორ სპეციალურ ნაშრომში.

ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია მდიდარი მასალა ქართული ეპიგრაფიკის შესახებ. აქ არის, როგორც მის მიერ შეკრებილი წარწერების ტექსტები, ასევე სხვა პირთა მიერ მისთვის საკონსულტაციოდ გაგზავნილი გადმონაწერები ეპიგრაფიკული ძეგლებისა. არქივში 606 ნომრით დაცულია ცალკე შეკრული ფურცლები, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილის ხელით აწერია: „ქართული ეპიგრაფიკა (მასალები)". სამწუხაროდ, მასში რამდენიმე ქართული წარწერის მხოლოდ ტექსტის გადმონაწერი და ფოტოსურათია მოთავსებული. ეს წარწერებია: დავით ეპისკოპოსისა ბოლნისის სიონზე; სტეფანოსის, დემეტრესი, adნერსეს და ქობულისა მცხეთის ჯვრის ტაძარზე; ელია ბოლნელისა ბოლნისის სიონზე; ქობერის ტაძრის 2 წარწერა: შანშე მანდატურთუხუცესის და მისი ცოლის სადუნის ასულის ვანენისა (1279 წ., იქვეა ფოტო) და მეორე წარწერა თვითონ შანშესი (იქვეა ფოტო); ალ. ფასადის წარწერები სამთავისის ტაძარზე და ფოტო ვეჟან ატენელი მამასახლისის წარწერისა. 658 ნომრით არქივში დაცულია მცირე ფორმატის სამი საერთო რვეული, რომელიც წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფულ დღიურს და რომელთაგან პირველს მისივე ხელით აწერია „წარწერების რვეული". წარწერები არც ისეთი დიდი რაოდენობითაა, ყველა ისინი გადმოწერილია ივ. ჯავახიშვილის ხელით და ამიტომ ყველა მათგანს დავასახელებთ: ვეჟან ატენელი მამასახლისის წარწერა, მელქისედეკ კათალიკოსის წარწერა მცხეთის სვეტიცხოვლის დას. შესასვლელის კარიბჭეზე, ცხორებას წარწერა კაცხიდან, ხოშელი მთავარეპისკოპოსის ზაქარია ჩხეტიძის წარწერა ვერცხლის საწინამძღვრე ჯვარზე, საორბისის ეკლესიის კანკელის ფილის წარწერა, იკვის ეკლესიის აღწერა და მისი წარწერები, რკონის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერები და გრაფიტები, რკონის მონასტრის პატარა ეკლესიის წარწერა ლანგთემურის შემოსევის შესახებ 1400 წ., იქვე იმავე ეკლესიის გრაფიტები ვინმე ანასი და იოვანესი, წმ. თევდორეს ეკლესიის გრაფიტები ხოვლეს მახლობლად; მათ შორის გრაფიტები ამირსპასალარ ალბუღასი, სარგისის, ბექასი, შალვასი და სხვათა მოხსენიებით; საორბისის ეკლესიის წარწერა კახა ერისთავთ-ერისთავისა 1152 წლის თარიღით, ატენის სიონის წარწერები: ზღუდის აშენებისა 945 წელს, ბულას შემოსევისა 858 წელს, გურგანელის XI ს. შუა ხანებისა და ბობნევის ეკლესიის მხედრული წარწერა 1671 წლისა ტფილელი მთავარეპისკოპოსის იოსებ სააკაძის მიერ იოვანე მახარებლის სახელზე ეკლესიის აშენების შესახებ. ამათგან ვეჟან ატენელი მამასახლისისა და ლანგთემურის შემოსევის შესახებ წარწერების პირველი პუბლიკაციები მან თვითონვე განახორციელა და ეს წარწერები ამჟამად ფართოდ ცნობილი და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული წერილობითი ძეგლებია. რაც შეეხება საორბისის ეკლესიის კანკელის ფილის წარწერას მისი ასომთავრული ნაკლული ტექსტი გამოსცა გ. ჩუბინაშვილმა, ოღონდ მხედრული გაშიფვრის გარეშე. წარწერის ტექსტი არც ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერშია გაშიფრული. ივ. ჯავახიშვილის არქივ-

ში ინახება ამ წარწერის დიაპოზიტივი მინაზე, რომელზედაც დედანი ტექსტის შესწავლაცაა შესაძლებელი. წარწერა XI ს-საა და შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე დედაი ქავთარისაჲ და შვილნი მისნი“. ივ. ჯავახიშვილის მიერ გადმოწერილი და ზემოდასახელებული წარწერებიდან აქამდე გამოუცემელია ხოვლეს მახლობლად მდებარე წმ. თევდორეს ეკლესიის გრაფიტები ამირსპასალარ აღბუღასი და მისი ოჯახის წევრებისა. ეს გრაფიტები საგანგებო შესწავლასა და აუცილებელ პუბლიკაციას საჭიროებენ. ასევე გამოუცემელია ხონელი მთავარეპისკოპოსის ზაქარია ჩხეტიძის წარწერა, ხოლო ტფილელი მთავარეპისკოპოსის იოსებ სააკაძის წარწერის სრული ტექსტის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის დღიურში გადმოწერილი მასალის მიხედვით. კიდევ ერთი წარწერის ტექსტია ივ. ჯავახიშვილის მიერ გადმოწერილი და მის არქივში დაცული; 1910 წ. სოფია ათანასეს ას. ვახვახიშვილ-ჯავახიშვილის მიერ მისთვის გაგზავნილი ერთი კერძო ბარათის თავისუფალ ფურცელზე ივ. ჯავახიშვილს მიუწერია: ატენის მხატვრობის ასომთავრული წარწერა“ და იქვე მოყვანილი აქვს ამ წარწერის მხედრული ტრანსკრიპცია გაშიფვრის გარეშე. ეს არის ატენის სიონის ფრესკული წარწერა მოთავსებული ბაგრატ მეფის (როგორც ჩანს, ბაგრატ IV) გამოსახულებასთან. ამ წარწერის ტექსტი ამჟამად დაზიანებულია. ასევე დაზიანებული იყო ის, როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის მიერ მისი შესწავლის დროსაც. მაგრამ, შემონახული ტრანსკრიპციის მიხედვით მაშინ იმაზე გაცილებით მეტი იკითხებოდა, ვიდრე დღეს არის. წარწერის ტექსტის არსებული პუბლიკაციები ძალზე განსხვავდება ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული გადმონაწერისაგან, თანაც პრინციპულად მნიშვნელოვან ადგილებში. ამის შესახებ ახლა აქ მსჯელობას არ გავმართავთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აუცილებელია ამ საკითხის უფრო გულდასმით შესწავლა და ორივე ტექსტის შეჯერება.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მხედრული ტრანსკრიპციით გადმოწერილი ტექსტი შემდეგი სახით უნდა გაიშიფროს: „მ(ა)მ(ა)ჲ გ(იორგ)ი მ(ე)ფისაჲ ბ(ა)გრ(ა)ტ, [მ[ფლ]ობელი] [ყ(ოველ)]ი [სა აღ]მ(ოსავა)ლისაჲ; ხოლო არსებულ პუბლიკაციებში ამ წარწერის ტექსტი ასეა წარმოდგენილი: „მამაჲ გიორგი მეფისაჲ, შემომწირველი ჯუარიმეწამულისაჲ.

1910 წელს ეტიფანე კათალიკოსისეული წარწერის (ანისიდან) პუბლიკაციის შესავალ ნაწილში აკად. ნ. მარი წერდა:

**«Минувшим летом, в свободное от раскопок часы, я занимался проверкою фотографического снимка большой, но дефектной грузинской надписи Саһмадина 1288 года, издание которой взял на себя князь И. А. Джавахов. Она находится снаружи на южной стене грузинской церкви с барельефами. Надпись очень много теряет от недостатки целого ряда камней, и я решил поискать под нею обломки. По прекращению главных раскопок последней кампании на эту разведочную раскопку 10 августа поставлены были четыре лучших, наиболее опытных рабочих. Надпись Саһмадина приращения не получила, но отрыты были несколько новых грузинских надписей или их фрагментов».**

და მათ შორის აღმოჩნდა ეტიფანე კათალიკოსის წარწერაც. ივ ჯავახიშვილის არქივში დაცულია სამადინის ნაკლული ქართული წარწერის ტექსტის სამი გადმონაწერი; ერთი მათგანი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფს, ხოლო ორი — ნ. მარისას; აქვე დაცულია ამ წარწერის ფოტოსურათი. ივ. ჯავახიშვილისა და ნ. მარის გადმონაწერები წარწერის ნაკლული ტექსტისა უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ძირითადად ისინი ავსებენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, წარწერის ტექსტი იმდენად ნაკლულია, რომ თუნდაც ერთი გაბმული წინადადების წაკითხვა არ ხერხდება. შესაძლებელია მხოლოდ დასკვნითი ფორმულის სრული სახით აღდგენა („ვინცა ესე შეუცვალოს, კრულია სახელითა [ღმრთისაჲთა და მისთა წმიდათა] მადლითა. ქრონიკონსა ფჱ“). წარწერა, როგორც ჩანს წარმოადგენდა ისტორიულ საბუთს დოკუმენტს. ეს ჩანს, როგორც დასკვნითი ფორმულიდან, ისე ტექსტის ცალკეული ნაწყვეტებიდან და მასში დადასტურებული მეტად მდიდარი ტერმინოლოგიური მასალიდან. ამიტომაც, ეს წარწერა გამოსაცემად ჩართულია „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომში, რომლისთვისაც ის ჩვენ მოვამზადეთ ხელოვნების სახ. მუზეუმში მიკვლეული წარწერის ნეგატივის (№11653-1804) მიხედვით, ივ. ჯავახიშვილისა და ნ. მარისეული გადმონაწერების შესწავლამდე. წარწერის ტექსტი იმ მხრივაც არის ჩვენთვის ძვირფასი, რომ მასში ბევრი ისეთი ტერმინი გვხვდება, რომელიც სხვა ქართულ წერილობით ძეგლებში არ დასტურდება. წარწერაში ორჯერ გვხვდება საკუთარი სახელი სამადინი, რომელიც, როგორც ჩანს, რაღაც იურიდიულ აქტს ასრულებს; მასში გვხვდება შემდეგი ტერმინები: პატრონი, თალარი, ყაფჩერი, მალი, იამი, ნამარი, ბაჟ-ტამღა, ბაჟ-ტამღის მიცემა. ტამღაჩი ქალაქისაჲ, სესხი, თეთრი, თეთრის თხოვა, წელიწადი. სამწუხაროდ, ამ წარწერის პუბლიკაცია, რომელიც მას ნ. მარმა მიანდო, ივ. ჯავახიშვილს არ განუხორციელებია, მის არქივში მხოლოდ ტექსტის გადმონაწერი და ფოტოა დაცული.

როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია მისთვის სხვადასხვა პირთა მიერ გაგზავნილი წარწერათა ტექსტები გასაცნობად, ან საკონსულტაციო მიზნით. ეს მასა-

ლა ძალზე საყურადღებოა, რადგან მასში ხშირად უცნობი, ან ამჟამადაც გამოუცემელი წარწერებიც არის მოყვანილი. დავასახელებთ ამ მასალას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: **1916 წ. 22. VII** დ. ყიფშიძეს ივ. ჯავახიშვილისათვის ს. სიმონეთიდან გაუგზავნია წერილი. წერილში ის დაწვრილებით აღწერს სურამის ციხის ეკლესიას და მოჰყავს ორი წარწერა: ერთი ფრაგმენტული, ასომთავრული და მეორე — მხედრული **1656** წლისა, მოთავსებული ეკლესიის აღ. კედელზე. წარწერა ეკუთვნის წინამძღვარ ნიკოლოზ ჩხეიძეს, ის გამოუცემელია. ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია ს. მ. მჭედლიძის ჩანაწერები სათაურით „მანგლისისა და კავტის-ჯვრის რაიონების ზოგიერთ ისტორიულ ნაშთთა აღნუსხვა მოკლე აღწერილობით“. ის წარმოადგენს ავტორის მიერ ლ. მელიქსეთ-ბეგთან ერთად **1923** წლის აგვისტოში ალგეთის ხეობაში მოგზაურობის ჩანაწერებს. სიძველეთა აღწერილობასთან ერთად ამ ჩანაწერებში მოიპოვება ქართული წარწერების გადმონაწერებიც. წარწერების დიდი ნაწილი იმ დროსაც გამოცემული იყო ექ. თაყაიშვილის მიერ და ამჟამადაც გამოცემულია სხვადასხვა ავტორების მიერ. მაგრამ აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ნაშრომის თავი „ქვის ჯვრები მანგლისის რაიონში“. ავტორი წერს, რომ მანგლისის მახლობლად ათამდე ქვის ჯვარიაო. გარდა ამისა, მიუთითებს სამი ჯვრის შესახებ ს. არხოტის მიდამოებში და სამიც ე. წ. „გაქვავებულ სასძლოსთანაო“. როგორც ჩანს, ყველა ესენი, ან მათი უმეტესობა ქელებია, რომლებიც შემდგომმა შესწავლამ ასე მრავლად გამოავლინა ამ მიდამოებში.

**1924 წ. 24. XII** მღვდელ დიონისი კალატოზიშვილს წერილი გაუგზავნია ივ. ჯავახიშვილისათვის, რომელშიც სთხოვს აცნობოს ტექსტი წერილის მეორე მხარეს მოთავსებული ასომთავრული წარწერისა. „ეს წარწერის პირი მომივიდა ლორის ს. შახნაზარიდან, — წერს ის, — სადღაც იქ ახლომახლო ქვაზე ყოფილა (რაიმე ნანგრევზე ალბათ). დაწვრილებით კი შემდეგში გავიგებ“. ეს ტექსტი იქაურმა მოძღვარმა გამომიგზავნა, რომელიც რომში ნასწავლია და მეკითხება შიგ რა სწერიაო, იწერებოდა მღ. დიონისი. ეს არის **1035** წლის წარწერა, ოთხთა ძმათა ძნელაჲსძეთა. იქვეა მოთავსებული მზის საათის გადმონახაზი სათანადო რიცხვების აღმნიშვნელი ასოებით. ივ. ჯავახიშვილმა დიონისის გაუგზავნა თუ არა წარწერის გაშიფრული ტექსტი, არ ჩანს. არქივში დაცულია დიონისის მეორე წერილი, გამოგზავნილი მომდევნო **1925** წლის **11. V**, რომელშიც იგი ისევ სთხოვს ამ წარწერის გაშიფრული ტექსტის გაგზავნას და მოჰყავს დამატებითი ცნობები მის შესახებ. ის წერს: „ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წარწერაზე რომ მზის საათი არის, თურმე ეგრე ერთად არ ყოფილა ერთ ქვაზე, არამედ პირველი ნაწილი სხვა ქვაზეა და მზის საათი სხვა ქვაზედ. ეგ ქვები კი თურმე სადღაც ტყეში რაღაც ნანგრევი (ძველი ნასოფლარი) ყოფილა, იქიდან მოტანილია და საფლავებზე დაფარებული. ამის ამბავს უფრო დაწვრილებით გაიგებთ შემდეგში“. წარწერა საკმაოდ ვრცელია და ძალზე საინტერესო. როგორც აღვნიშნეთ, იგი **1035** წლისაა. მისი ტექსტი ასეთია: „ქ. სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისაჲთა, თანამდგომობითა ნათლისმცემლისაჲთა და ყოვლით წმიდათა მისთაჲთა ღირს ვიქმენით ჩუენ. გლახაკნი და უნარჩევესნი ყოველთა კაცთა ოთხნი ძმანი ძნალაჲსძენი შენებად ამას წმიდასა საყდარსა; დასხმად ორ წელ ორთა ბალავართა, აბხაზეთს მეფობასა დემეტრესა, მღდელთმოჴლურობასა ადდევლა(?) — ღმრთისა, სალოცველად მშობელთა ჩუენთა., ქრონიკონი სმიე იყო“. წარწერის ტექსტი, მასში დემეტრე აფხაზთა მეფის მოხსენიების გამო უაღრესად მნიშვნელოვანია და ის ცალკე სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

**1935** წლის **19. X** ლენინგრადიდან გამოგზავნილ წერილში ვ. დონდუა ივ. ჯავახიშვილს შემდეგ საყურადღებო ცნობებს აწვდის იქ არსებული ქართული წარწერების ბედის შესახებ „...გაწვდით მოკლე ინფორმაციას: რამდენიმე დღის წინეთ გახლდით ნეველის ლავრაში, სადაც დღეს მუშაობს, სავანეების მომწესრიგებელი კომისია. თევდორეს საყდარში დღემდე დაცული საფლავის ქვებიდან და ლითონის დაფებიდან გადაუტანიათ ლაზარეს საყდარში ერთი ქვა, იმერთა მეფის წულის გიორგის (**1809-1819**) საფლავზე აღებული. 4 ლითონის დაფა-წარწერა: 1. დავით[ის] და თეიმურაზის ეპიტაფიების შემცველი, 2. მარიამ იმერთასი, 3. ნინო მეგრელთასი და 4. ელენე ოთარ ამილახვრის ქალისა (**1767-1866**); იატაკში ჩაფენილი ეპიტაფიები კი დაუფარიათ ახალი ზევიდან დაგებული იატაკით. ეს უმჯობინებიათ კომისიის თანამშრომლის უსპენსკის რჩევით, იმ განზრახვით, რომ საინტერესო ქვები უტილ-ნედლეულად არ გამოეყენებინათ“. შემდეგ წერს, რომ ეს უსპენსკი ძალიან დაინტერესდა იონა ხელაშვილის დაკარგული საფლავით და მზადაა თუ სახსარი ექნა გათხაროს სასაფლაოს ზოგიერთი კუნჭული.

ივ. ჯავახიშვილის არქივში **1046** ნომრით დაცულია ალ. კალანდაძის მოკლე ანგარიში (რუსულ ენაზე) მცხეთის ჯვარზე ჩატარებული არქ. გათხრების შესახებ **1938** წლის **19. X**-ის თარილით. ეს ანგარიში ამჟამად მთლიანად გამოქვეყნებულია გ. ჩუბინაშვილის ნაშრომში **«Памятники типа Джвари»** (გვ. **42—43**), მაგრამ მის შესახებ ორიოდე სიტყვით აქ მაინც

უნდა აღვნიშნოთ. ანგარიშის თანმხლებ მასალებში დაცულია გათხრების ამსახველი ფოტოსურათები და ჯვრის სადგარზე მოთავსებული ცნობილი წარწერის გრაფიკული გადმონახაზი ცალკე სქელ ქაღალდზე ტექსტის ნაკლული ადგილების აღდგენით. აქვე მოთავსებულია ორი ფოტოსურათი გათხრების დროს აღმოჩენილი მეორე წარწერისა. წარწერა შესრულებული ყოფილა 7 თუ 8 სტრიქონად. ქვის ზედაპირის ძლიერი გაცვეთის გამო იგი თითქმის მთლიანად გადასულია. შემორჩენილი ასოების მოხაზულობის მიხედვით ეს წარწერაც ტაძრის აგების დროს, ე. ი. VI-VII სს. მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს. ეს წარწერა გამოცემული არ არის. ალ. კალანდაძის ანგარიშში ამ წარწერის აღმოჩენის ადგილის შესახებ აღნიშნულია შემდეგი:

**«Сфотографирована новооткрытая надпись асомтаврули на средней палочке внизу между полуколонок западной доли портала (северной) церкви по ее южному фасаду».**

2919 ნომრით ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია ლ. მუსხელიშვილის მიერ გადმოწერილი ტექსტი სეფისკვერის ბეჭდისა წალკიდან. ნაწერია მხედრულით, შეიძლება თვითონ წარწერა ასომთავრული იყო. ის გამოუქვეყნებელია; თანაც არც ანალოგიური წარწერაა ცნობილი. ამავე დროს, ტექსტი საინტერესო რეალებს შეიცავს თუნდაც ტერმინების თვალსაზრისით. ამიტომ მოვიყვანთ წარწერის გაშიფრულ ტექსტს, რომელიც ლ. მუსხელიშვილის გადმონაწერში მხოლოდ ტრანსკრიპციითაა წარმოდგენილი. წარწერის ტექსტი ასეთია — ზემოდან: „ქ. ხორცისა და სისხლისა ქრისტესა შემწირველნო, ტრიალეთისა პატიოსანო მღვდელნო, ერთარსებისა სამებისა შემწენო, არიანოსთა წვალებისა დამქსნელნო. ესე ტჳფრა შეიწირეთ, კრებულნო": ქვემოდან (დიდი საბეჭდავი): „ქ. მიიღეთ და ჭამეთ. ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთუს განხმული მისატევებლად ცოდვათა".

ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია ერთი ასეთი საბუთიც — სამხრეთ ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ძუცოევის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი 1934 წლის 2. III-სა ძუცოევი წერს:

**«Профессору Госунта тов. Джавахишвили Ивану: Препровождается при сем старо-славянская надпись XII в. НКЗ Юго-Осетии просим вас расшифровать таковую и по расшифровании вернуть нам по следующему адресу: гор. Сталинир, Юго-Осетия, Наркомзем (лично) Дзуцоеву.**

ამ მიმართვასთან ერთად დევს ივ. ჯავახიშვილის მიერ კალკაზე გადაღებული პირი წარწერისა მისივე მინაწერით: „წარწერის გამოგზავნილი პირის ჩემ მიერ გადაღ[ებული] პირია". იქვეა შენიშვნა, რომელიც, როგორც ჩანს, გადმოწერილია თავდაპირველი პირიდან:

**«Старинная церковь в Кударо».** როგორც წარწერის აქ წარმოდგენილი ასომთავრული ტექსტიქსტიდან ჩანს, ეს **«Старославянская надпись XII в».** სხვა არაფერია თუ არა კუდაროს ეკლესიის ერთ-ერთი ქართული წარწერა, რომელიც გადმოღებული პირის მიხედვით ასე იკითხება: „არსენს და მშობელთა მისთა შეუნდოს ღმერთმა".

მართალია, უშუალოდ ქართულ პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკას არ ეხება, მაგრამ ქართული სიძველეების შესწავლისათვის საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული კიდევ ორი დოკუმენტი. ერთია, აკ. შანიძის მიერ საისტორიო საზოგადოების საბჭოსათვის გადაცემული წერილი ჯავახეთის ს. კოთელიას მცხოვრების ქრისტეფორე ლუკას ძე ლაზარიშვილისა (1921 წლის 6. IX-ის თარიღით), სადაც ის იტყობინება, რომ 35 წლის წინათ (ე. ი. დაახლოებით 1880-იანი წლებში), ს. საროში, კლდეში გაკეთებულ ხვრელში, რომლისთვისაც საბძელი მიუშენებიათ (თვითონ საბძელი 1918 წ. დამწვარა) აღმოჩენილა ტყავზე ნაწერი წიგნები. აქვე დაწვრილებით გადმოსცემს აღმოჩენის ვითარებას და ამ ხვრელთან დაკავშირებულ ლეგენდას. საჭიროა ამ მიდამოების დაზვერვა, ვინ იცის იქნებ ეხლაც რაიმე აღმოჩნდეს. მეორეა, გ. გოგოლაძის წერილი გამოგზავნილი ივ. ჯავახიშვილისათვის 1929 წლის 31. V ახალქალაქის რ-ნის ს. ბარალეთიდან. სხვათა შორის აი რას წერს ის: „...ახალქალაქის რ-ში (ჯავახეთში) საქართველოს კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილებას რწმუნებული არა ჰყავს, რის გამოც ნადგურდება ძვირფასი ისტორიული ძეგლები, რაც დღემდის გრძელდება და მერე ისეთ ხალხის ხელით, რომელნიც საბჭოთა აპარატში მუშაობენ; დავასახელებ მაგალითებს: ს. ბარალეთში საძირკვლიანად დაანგრიეს ძველი ეკლესია. დანგრევაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ბარალეთის საბჭოს თავმჯდომარემ არდაშ თოროსიანმა, რომელიც ასეთ ძეგლებს ძალიან აღმაცერად უყურებს, ასეთივე „აქტიობა" გამოიჩინა პარტორგმა აშიკ ხეჩუმოვმაც. გარდა ბარალეთისა, 1936-37 წლებში და ნაწილობრივ 1938-შიც დაანგრიეს და დააზიანეს შემდეგი ძველი ქართული ეკლესიები: ნელრეკისა (ნახევარზე მეტად), ს. არაგლისა (მთლიანად), ს. არაკუისა (თითქმის მთლიანად), ს. ფოკას ძველი ქართული ეკლესიის წარწერები, ნახევარზე მეტი გადუთლიათ, და ალბათ სულაც მოსპობენ თუ პატრონი არ გამოუჩნდათ. ს. სალამოს სამი ძველი ეკლესიიდან ორში საქონელს აბინავებენ და სხვა...". შემდეგ სთხოვს — ბარათი მოიწერეთ კულტურის ძეგლთა განყოფილებაში, რომ კულტურის ძეგლთა დაცვის რწმუნებულად დამნიშნონ ახალქალაქის რაიონში და მოვუვლი ამ საქმესო.

ქართული ეპიგრაფიკის შესწავლისათვის სა-

ინტერესო მიმოწერა ლ. მუსხელიშვილსა და ივ. ჯავახიშვილს შორის. ამ წერილებში საინტერესო საკითხებია დასმული და კონკრეტული გეგმებიც არის დასახული. მათ აქ არ შევეხებით, მით უმეტეს, რომ ეს მიმოწერა გამოქვეყნებულია („მნათობი", 1975, № 9)

ივ. ჯავახიშვილის არქივში ქართული წერილობითი ძეგლების შესახებ სხვა მასალებიც არის დაცული. კერძოდ, ქრ. შარაშიძის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოწერების შესახებ, ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და გადმოწერის წესი" და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული უმდიდრესი საილუსტრაციო მასალების შესახებ. არქივში დაცულია 61 წარწერის ფოტოსურათი, 24 წარწერის დიაპოზიტივი მინაზე და რამდენიმე ქართული ისტორიული საბუთის დიაპოზიტივი, ახევე მინაზე, ამათგან აღვნიშნავთ მხოლოდ იმ წარწერებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა და სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობია: წალკის ს. დარაკევის წარწერის ფოტო, გადაცემული ივ. ჯავახიშვილისათვის ბ. კუფტინის მიერ 1937 წ. წარწერას უზის თარიღი 1052 წ. შესრულებულია 10 სტრიქონამდე; საჭიროა მისი საგანგებო შესწავლა. ფოტო ახალქალაქის წარწერის ესტამპისა; წარწერა XIII ს-საა, ტექსტი საკმაოდ ვრცელია (10 სტრ.); საჭიროა მისი ახევე საგანგებო შესწავლა; ფოტო კვირიკეს ეკლესიის XIII ს-ის წარწერისა თიანეთის მახლობლად. ფოტო მეორე წარწერისა იმავე ეკლესიიდან; ფოტო აწყურის ბიეთის ეკლესიის წარწერების ფრაგმენტებისა; ფოტო თეთრიწყაროს რ-ნის ს. პირღებულის ეკლესიის ორი (მხედრული და ასომთავრული) წარწერისა; ფოტო უცნობი ნუსხური წარწერისა, 6 სტრ. XIV-XV სს. ფოტო ძელიცხოველის ვერცხლის კარედი ხატისა და მისი წარწერისა მცხეთიდან; ფოტო ალექსანდრე მეფეთ-მეფის ჭედური წარწერისა საწინამძღვრე ჯვარზე; გრაფიკული გადმონახაზი, შესრულებული უცნობი პირის მიერ წალკის მცირე ბაზილიკის სამხრეთი ფასადის ფრაგმენტულად შემონახული ასომთავრული წარწერისა; დიაპოზიტივი თიხის მოჭიქული ჯამის ნატეხის გამოსახულებით (ჯამის ფსკერი), რომელზედაც მოთავსებულია ჩაჭედვით შესრულებული მხედრული წარწერა XIII ს-სა; ფოტო ვარდანისძე მარუშიანის და ხათუთა სამძივართა ასულის ჭედური წარწერისა წმ. იაკობის ხატის ზურგზე; ფოტო ღვთისმშობლის ხატისა და მისი წარწერისა მარტვილიდან. წარწერა ვრცელია, 5 სტრ. ასომთავრული, უზის თარიღი 1644 წელი და ეკუთვნის მამა ჭყონდიდელს აფაქიძე გედემონს; ფოტო ოქონის ხატის ზურგის წარწერისა, ასომთავრული, 4 სტრ. მისი ტექსტი ასეთა: „ოქონის ხატო, შეიწყალე კათალიკოზი ევდემონ, ულირსი, ამინ".

ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული ძველი ქართული საბუთების დიაპოზიტივებიდან უნდა აღინიშნოს სამი დიაპოზიტივი. მათზე წარმოდგენილია ნაწილი იმ საბუთებისა, რომლებიც 1914 წელს ჩრდ. კავკასიაში იქნა გადაგზავნილი შესანახად და იქ დაილუპა სამოქალაქო ომის დროს. ესენია გიორგი II-ის სიგელის, დავით აღმაშენებლის ანდერძის, ანტონ ჭყონდიდლის დაწერილის და ლაშა გიორგის ბრძანების დედნების დიაპოზიტივები. ამათგან პირველი სამი საბუთის ნეგატივს ჩვენ მივაკვლიეთ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოტეკაში 1972 წელს, ხოლო ლაშა გიორგის ბრძანების დედნის ასეთი სახის ნეგატივი აქამდე უცნობი იყო. ლაშას ამ საბუთის დედნის ფრაგმენტი (ტექსტის 1-8) შემოგვრჩა მხოლოდ მეორე კეფის სახით და იგი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში (№1448-1728). ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულია ამ საბუთის ძლიერ შემცირებული ფოტო, რომელიც ტექსტის წაკითხვის საშუალებას არ იძლევა. ივ. ჯავახიშვილის არქივში მიკვლეული დიაპოზიტივიდან კი შესაძლებელი გახდა საბუთის დედნის ნატურალური ზომის ფოტონაბეჭდის დამზადება და ეს ანაბეჭდი ამჟამად სცვლის საბუთის დაღუპულ დედანს.

ასეთია, ძირითად, ქართულ პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში, მის ნაშრომებში და პირად არქივში, წარმოდგენილი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

# ილია ჭავჭავაძის პირველი იუბილე

1897 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" (№ 260) დაიბეჭდა საინტერესო წერილი „ილია ჭავჭავაძის იუბილე და სრულიად საქართველოს ცენტრალური დეპო". წერილს ხელს აწერდა „ძველი ეკალი".[1] წერილში აღნიშნული იყო, რომ ჩვენმა ქვეყანამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მეტნაკლებად იცნო თავისი თავი, შემდეგ ავტორი სვამდა კითხვას: მერედა ვისი წყალობით: „აქ მომქმედნი ძალიან ბევრნი იყვნენ. დრო, სწავლა, ჟურნალისტიკა, რეფორმები და ან კი ვინ მოთვლის ყველაფერ იმას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენს გამოფხიზლებას. სწორედ ისე, როგორც ასპინძის ომი თათრებს მოუგეს ყველა იქ მონაწილე ქართველებმა, მაგრამ მიუხედავად ამ უეჭველობისა, ისტორია ასპინძის გმირად სცნობს მეფე ერეკლეს, ყარსის ციხე რუსის მხედრობამ აიღო, მაგრამ ისტორიამ ეს სახელი დაუკავშირა გრაფის ლორისმელიქოვის სახელს. აი, რა არის მიზეზი, და უმადურობა იქნებოდა, რომ განვლილ 40 წელსაც არ ვუწოდოთ ხანა ილია ჭავჭავაძისა და ჩვენი გამოღვიძების სულისჩამდგმელად და მეთაურად ის არ ჩავთვალოთ, როგორც მეფე ერეკლეს ვთვლით „ასპინძის ომის" მომგებად. მივცეთ კეისრისა კეისარს".

„ჩემის ფიქრით, — განაგრძობდა ავტორი,— ილია ჭავჭავაძის ხანას ის დიდი ღირსება დარჩება ისტორიაში, რომ მან გამოაღვიძა ქართველობა მავნებელი და მომაკვდინებელი ძილისაგან. აი, სწორედ ახლა ჩვენ ასეთს სულიერი ზრდის ხანაში ვართ. სარბიელი, რომელიც მოითხოვს ახალ ჭავჭავაძეებს, ახალს მუშაკებს, მხოლოდ მომეტებულად მუშაკებს პრაქტიკულს. ჩვენ გვწყურია ახლა საქმე ჭავჭავაძის ხანამ თავისი საქმე გააკეთა, თავისი სიტყვა სთქვა. ჭავჭავაძე-პოეტი, ჭავჭავაძე-ბელეტრისტი გახდა — ჭავჭავაძე-ეკონომისტი, ჭავჭავაძე-ფინანსტი, ჭავჭავაძე-ბანკირი, ჭავჭავაძე-ქალაქის საქმეებში მებრძოლი".

ავტორი დაასკვნის: საუკეთესო ძეგლი, შესაფერი ჭავჭავაძის წარსულის და აწმყოს მოღვაწეობისა იქნებოდა ის, რომ დავუმტკიცოთ მას. ჰო, შენმა ღვაწლმა მუქთად არ ჩაიარა, დიახ, ჩვენ გამოვფხიზლდით სწორედ, რომ ჩვენ ახლა საქმის ხანაში შევედით და აი, შენს სამარადისოდ სახსოვრად გიდგამთ ძეგლს, რომელიც სავსებით შეეფერება და პირდაპირ ნაყოფია შენის მოღვაწეობისა, ვიწყებთ საქმეს საეროს, დიდს, ეკონომიურად ჩვენს მშველელს და წელში გამასწორებელს და ვნათლავთ მას შენის უკვდავის სახელით".

მიხეილ ნასიძე თავის წერილში, რომელიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, უბრალოდ როდი მოითხოვს, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილე გადაიხადონ. ავტორი თავის წერილში ღრმად აანალიზებს ილია ჭავჭავაძის იმ დიდ ღვაწლსა და დამსახურებას, რომელიც მას ქართველი ხალხის, ქართველი ერის წინაშე მიუძღვის. ამიტომ აყენებს ავტორი წინადადებას—გადახდილი იქნეს „ჩვენი მშველელის", „ჩვენი წინამძღოლის" — ილია ჭავჭავაძის იუბილე.

მიხეილ ნასიძის ამ წერილს სწრაფად გამოეხმაურა მთელი ქართველი ხალხი — მუშები, ხელოსნები, ინტელიგენცია, ყველა ის, ვისაც საქართველო და მისი ხალხი უყვარდა. აი, რახ

1. „ძველი ეკალი" და „მე გახლავარ" ჟურნალისტ მიხეილ ნასიძის ფსევდონიმები იყო.

წერდა 1897 წლის 30 ივლისის იმავე გაზეთში მუშა-ხელოსანი მიხა ჩოდრიშვილი:

„ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წავიკითხე ყოვლად სასიხარულო და სასარგებლო აზრი ბ-ნ ძველი ეკალისა ამ სათაურით: „ილია ჭავჭავაძე და სრულიად საქართველოს ცენტრალური დეპო“. აზრი ბ-ნ ეკალისა მართლაც რომ მოსაწონი და სასარგებლო იქნება ჩვენის ეკონომიურად დაქვეითებული ერის გაუმჯობესებისათვის და ღირსშესანიშნავი ძეგლიც იქნება აგებული ჩვენი სასიქადულო იუბილარის სახელზე. მეც ერთი ხელოსანთაგანი, და მრავალი ჩემი მოძმე მუშა-ხელოსნებიც თანავუგრძნობთ ამ კეთილ საქმეს და დიდი პატივისმცემელნიც ვართ იუბილარის დაუვიწყარი სახელისა, მით უმეტეს, რომ იუბილარის გრძნობით სავსე მოძღვრებამ ჩვენ მუშა-ხელოსნებსაც აგვიხილა თვალები, ჩაგვახედა ქვეყნის სარკეში, დაგვანახვა და გაგვაცნო ჩვენი თავი ადამიანებად. მისმა კეთილშობილურმა გულშემატკივრობამ ჩვენს ბედშავ და დავრდომილ გულშიაც ჩაიხედა და ჩვენი ჭირ-ბოროტის განკურნებაც გაუზიარა ჩვენთვის გულშემატკივარ ერსა ამ სიტყვებით: „კაცი ის არის, მას ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულიაო“. და აი, სწორედ ამისთანა ღვთისნიერი კაცნი არიან საჭირო საქმის სათავეში, რომელთა მოქმედებაც — ბედშავ და ქონება-გონებრივად დაჩაგრულების ცხოვრების მალამოდ დაედება. ჩვენ გვჯერა,— განაგრძობს მუშა-ხელოსანი მიხა ჩოდრიშვილი, — რომ ძეგლიც და დიდებაც პატივცემული იუბილარისა და მისი მოღვაწეობისა, თუ საქმის სათავეში თვითონვე ჩადგა (იგულისხმება დეპო — ა. ს.), მალე საქმედ გადაიქცევა“.

მიხეილ ნასიძის წერილს „ცნობის ფურცელში“ გამოეხმაურა აგრეთვე თ. მთავრიშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „ეს დეპო იქნება საუკეთესო ძეგლი ილია ჭავჭავაძისათვის, რომელმაც მთელი თავისი ზეციური მადლით მოსილი ნიჭი მჩაგვრელების დასათრგუნავად და დაჩაგრულთა სახსნელად მოახმარა და ახმარს“.

„ილია ჭავჭავაძის იუბილე, — წერს 1897 წლის 8 თებერვლის „ცნობის ფურცელში“ შავიზღვისპირელი,[1] — მეტად სერიოზული საქმეა. ამ იუბილეში ბევრი რამ იგულისხმება და იგი მთელი საქართველოს დღესასწაულია. 40 წელიწადი ილია ჭავჭავაძის სახელოვანი მოღვაწეობისა ნათელი ისტორიაა თვით ქართველი ერისა, მისი მწერლობისა, განვითარებისა, სწავლა-განათლებისა, ხელოვნებისა, სხვადასხვა სასარგებლო და საშვილიშვილო საქმის დასაწყისისა, წინსვლისა, გამოფხიზლებისა, ზნეობრივი, გონებრივი, ქონებრივი განმტკიცებისა და სხვა“.

თედო სახოკია წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძესთან და კარგად იცოდა მისი უდიდესი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე; ამიტომ ის სასწრაფოდ უერთდება მიხეილ ნასიძის მიერ წამოყენებულ წინადადებას ილია ჭავჭავაძისათვის იუბილეს მოწყობის შესახებ და გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ათავსებს წერილს: „40 წელიწადი ილია ჭავჭავაძის სახელოვანი მოღვაწეობის ნათელი ისტორიაა თვით ქართველი ერისა“.

„ცნობის ფურცელი“ კვლავ განაგრძობს ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი წერილების გამოქვეყნებას. 1897 წლის ორი მარტის ნომერში გაზეთის ფურცელზე დაბეჭდილია გ. თოიძის წერილი, სადაც ავტორი წერს: „პატივცემული მამა-მოღვაწე, რომელმაც მთელი ორმოცი წელიწადი გვზარდა და დაგვავაჟკაცა, ეხლა აგვიგებს ძეგლს ძმა ერთობისა და მით წარმოვათქმევინებთ იმედებით სავსე ბაგეთა „სამშობლო, საყვარელო, ეხლა კი აყვავდები!“

„ცნობის ფურცელი“ აგრეთვე აქვეყნებს თოთხმეტი მუხლისაგან შემდგარ წინადადებას, თუ როგორ უნდა იქნეს აღნიშნული ქართველი ერის დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის იუბილე; იუბილეს დროს შემოსული თანხით უნდა დაიდგას რუსთაველის ძეგლი სათავადაზნაურო ბაღში, ქარვასლის ზევით. ძეგლს უნდა გაუკეთდეს წარწერა „შოთას — ილიასაგან“, ან კიდევ „უმცროსისაგან — უფროსს, მამამთავარს ქართული პოეზიისა შოთას“.

საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, რომელიც არ გამოხმაურებოდეს ილია ჭავჭავაძის იუბილეს.

1897 წელს „კვალი“ წერდა: „პარასკევს, 17 ოქტომბერს, ქართულ თეატრში შედგა კრება ილია ჭავჭავაძის იუბილეს შესახებ, რომელსაც ანტონ ფურცელაძე თავმჯდომარეობდა. სხდომა გაგრძელდა ნაშუადღევის სამ საათამდის. საიუბილეო კომიტეტი აირჩიეს შემდეგი პირებისაგან: რევაზ გაბაშვილი, პეტრე გრუზინსკი, იოსებ მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი, ანდრია ღულაძე, გრიგოლ აბაშიძე და ვალერიან გუნია.“ „კვალმა“ რამდენიმე დღის შემდეგ მკითხველს აუწყა, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილე გადახდილი იქნება გაზაფხულზე, მაისში, დიდუბის ეკლესიაში.

ასევე გამოეხმაურნენ ილია ჭავჭავაძის იუბილეს უცხოეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც იწერებოდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილე უნდა გადაიხადოს მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, როგორც თავისი ეროვნული დღესასწაულიო.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, მუშები

---

1 „შავიზღვისპირელი“ ფსევდონიმია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიასა.

და ყველა ის, ვისაც ესმოდა და გაეგებოდა ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე, დიდი ენერგიითა და მონდომებით შეუდგნენ ილიას სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მზადებას, რომელიც უნდა აღენიშნათ 1898 წლის 24 მაისს. ამ დღისათვის გამოვიდა „მე გახლავარ“-ის ფსევდონიმით ხელმოწერილი ილიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნაკი, რომელიც „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ გამოსცა. ავტორი თავის წიგნაკში აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გამეფდა ქართულ მწერლობაში. იგი გახდა მამა ახალი ქართული ლიტერატურისა“.

1897 წელს ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის ფართო მასშტაბით დაწყებულმა მზადებამ და მაშინდელი პრესის გამოხმაურებამ ნათელყო, თუ როგორი სიყვარულით იყო გარემოსილი ილია ჭავჭავაძის პიროვნება, მისი შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ილიას დიდი ავტორიტეტი, ხალხზე მისი გავლენა მეფის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა პოეტის საიუბილეო კომიტეტისათვის და ქართველ ხალხს არ გადაეხადა ილიას იუბილე. მეფის მოხელეებს ეშინოდათ მწერლის იუბილე არ გადაქცეულიყო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად. ამიტომ, როგორც ამას „კვალის“ რედაქცია იტყობინება, ილიას ბინაზე მუქარისა და დაშინების ბარათებს უგზავნიდნენ. ვინ იქნებოდა ამ ბარათების გამგზავნი, ჩვენთვის ნათელია: ეს იყო მეფის ნაძირალა აგენტები. შემდეგ როგორც გამოირკვა, მთავრობამ უარი უთხრა ილიას საიუბილეო კომიტეტს იუბილეს გადახდაზე. ამას ადასტურებს ის მოგონებები, რომელსაც ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ.

ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საიუბილეო მზადებაში თავის საინტერესო მოგონებაში წერს: „ერთ საღამოს სხდომაზე, როდესაც აღტაცებული ბაასი იყო იმის შესახებ, რომ უკვე დროა ვითხოვოთ მთავრობის ნებართვა, კვლავ შემოვიდა ილია კრებაზე, უჩუმრად დაჯდა კუთხეში და როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მწარე ღიმილით სთქვა: ტყუილად ნუ ირჯებით, ბატონებო. მე წინადვე ვიცოდი, რომ ნებას არ მოგვცემდნენ და არც მოგვცემენ. დღეს დილით, როცა ბანკში მოვდიოდი, გოლოვინის პროსპექტზე ჩვენი პოლიცმეისტერი ჩვეულებრივ მიაფრენდა თავის „დროშკას“. დამინახა თუ არა, უცებ მოსწია მეეტლეს ხელი და მანამ ის შეაჩერებდა გასუქებულ იორღას, საჩქაროდ გადმოხტა, ჩემკენ გამოეშურა. ეს არის თქვენთან მოვდიოდი, კნიაზ ილია გრიგორიჩ, თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს: თქვენ უნდა იქონიოთ გავლენა და გადაადებინოთ თქვენი იუბილე. დიდი არეულობაა ხალხში, დიდი მღელვარებაა, დიდი შეხლა-შემოხლა პარტიათა ბანაკში. ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი სახელი გაქვთ მთელ საქართველოში, აუარებელი ხალხი შეიყრება თქვენ პატივსაცემად, შეიძლება რაიმე ინციდენტი მოხდეს და თქვენ და ხალხსაც უსიამოვნო შეტაკება მოუხდეთ რაიმე. ხომ მოგეხსენებათ, ბრბოს შეკავება ძნელია... რაღა გავაგრძელო, — დაუმატა ილიამ,— მე იძულებული ვიყავი აღმეთქვა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ გადადებული იყოს იუბილეს ყოველი სამზადისი“.

„1897 წლის ნოემბერში, — წერს თავის მოგონებაში სეით იაშვილი, — ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ არაოფიციალურად (რაკი იუბილეს ოფიციალურად გამართვა აკრძალეს) გიმნაზიის შენობაში მოაწყო ილია ჭავჭავაძის 40 წლის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის იუბილე. როცა იუბილარი ილია შემოვიდა შენობაში, ზ. ჩხიკვაძის მიერ გაწვრთნილი გიმნაზიის მომღერალთა გუნდი მას „კახური მრავალჟამიერით“ შეხვდა (მაშინ ამ გუნდში მღეროდა გიმნაზიის მოწაფე, შემდეგ „საქართველოს ბულბულად“ წოდებული ვანო სარაჯიშვილი). ამ შეხვედრამ ილია ისე აალელვა, რომ კარგა ხანს გარინდებული იდგა და ბოლოს თქვა: ამ შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ სიტყვა შემეკრა და მადლობის თქმაც ველარ მოვახერხეო.

შემდეგ გაიმართა საღამო-კონცერტი, რომელზეც გიმნაზიის მოწაფეები დიდი გრძნობით კითხულობდნენ ილიას ლექსებსა და პოემის ნაწყვეტებს[1].

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი წერს:

„ილიას საიუბილეოდ კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილეს მოწყობისა. იმხანად მე სათავადაზნაურო სკოლას განვაგებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომელზედაც სკოლის შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა, თუ პროზას კითხულობდნენ. განვიზრახე, ერთი ასეთი საღამო საგანგებოდ მოგვეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შევიტანე უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებები. კომიტეტის ყველა წევრი მოვიწვიე სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ჯამბაკურ-ორბელიანის) ასული, საშიკო ორბელიანის მეუღლე. რა თქმა უნდა, მარიამსაც გაუგზავნეს მოსაწვევი წერილი, მაგრამ მან მომწერა, სამწუხა-

1 სეით იაშვილი — „ჩემი წარსულიდან“, გვ. 91, 1965 წ.

როდ ვერ დავესწრები, რადგან შეუძლოდ ვარო. მერმე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და საერთოდ ის საღამო ილიას პატივსაცემად იყო მოწყობილი და საუცხოვოდაც ჩატარდა, მომწერა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატყობინეთ თუ ილიას პატივსაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდიო.

საღამომ მეტად კარგად ჩაიარა, ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებული; მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებსა და ადგილებს მისი „განდეგილიდან", „კაციაადამიანიდან", „გლახის ნაამბობიდან", „ოთარაანთ ქვრივიდან" და სხვა თხზულებებიდან.

ილია მეტისმეტად მხიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: „მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამიწერიაო; მაგრამ ჩემ დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მითქვამსო".

საღამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მოვიწვიე მცირე სერობაზე, გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში, სერობაც ძალიან მხიარულად ჩატარდა".1

იმ აუტანელმა ატმოსფერომ, რომელიც მეფის ხელისუფლებამ შექმნა ილიას უბილეს ირგვლივ, მწერალი მიიყვანა დასკვნამდე, რომ უარი ეთქვა თავის იუბილეს გადახდაზე, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის იუბილეს ჩატარებას მთელი ქართველი ხალხი მოითხოვდა.

„განათლებულმა ევროპამ, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ (ლაპარაკია აკაკი წერეთელზე. ა. ხ.) პატივისცემისა და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო, ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიცვალა? ვის არ ახსოვს ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაულობა საფრანგეთში, ვიქტორ ჰიუგოს ოთხმოც-წლოვანების იუბილე".

„ინგლისში, — განაგრძობდა ილია, — ცალკე სასაფლაოა, საცა ვერც სიმდიდრე, ვერც გვარიშვილობა, ვერც დიდკაცობა ადგილს ვერ შოვობს, და საცა მარტო სახელოვანთა ინგლისელთა, გამოჩენილთა — ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში, — უკანასკნელი სადგური ეძლევათ ხოლმე მადლობელის ერისაგან, საცა დასაფლავება ყოველს ინგლისელს სანატრელად და სასახელოდ მიაჩნიათ და საცა ყოველი ინგლისელი თაყვანებით თავს იხრის ხოლმე და მუხლს იდრეკს თავისი ერის დიდებულთა წარმომადგენელთა მტვერის წინაშე".1

ილიას იუბილესთან მზადების დღეებში ყოვლად რეაქციული პოზიცია ეჭირა ჟურნალ „მწყემსის" რედაქციას. 1898 წელს ამ ჟურნალის მეცხრე ნომერში ვკითხულობთ: „სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ დღესასწაულობით და ქებითი ადრესებით შემდგომ დროში მემატიანე ვერ შეადგენს ნამდვილ აზრს, ვინ იყო ღირსი ქებისა და ვინ დიდებისა, რადგან ერთი ყალმით სრულდება ეს დღესასწაული და ქებითი შესხმანი განურჩევლად იუბილარის მსახურებისა". და იქვე ჟურნალი, ნასიამოვნები დასძენს, რომ როგორც შევიტყვეთ, მთავრობა ნებას არ იძლევა, ილიას იუბილე გადაუხადონ.

რა უსუსური მოსაზრებაა! ნაცვლად იმისა, რომ ჟურნალს ხალხისათვის ჭეშმარიტება ეთქვა, თუ რატომ არ აძლევს მთავრობა ქართველი ერის მამას — ილია ჭავჭავაძეს იუბილეს გადახდის უფლებას, ის წერს, რომ „შემდგომ დროში მემატიანე ვერ შეადგენს ნამდვილ აზრს, ვინ იყო ღირსი ქებისა და ვინ, დიდებისაო".

ჯერ ერთი, პირველი იუბილე 1895 წელს გადაუხადეს ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს (ეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობა იყო). ღირსეული ადამიანის ამ ღირსეულ იუბილეზე 1895 წლის 24 ოქტომბერს გაზეთი „ივერია" წერდა: „თუ რა მადლით, რა ნიჭით და ძალით არის აღბეჭდილი იუბილარის „გულიდან აღმონათქვამი კეთილი სიტყვა", ამას ცხადჰყოფს დღევანდელი, სიყვარულით აღვსილი, პატივისცემით აღფრთოვანებული, მადლობის გადახდის სურვილით გატაცებული კრება, ამიერ-იმიერნი, ბარელ-მთიელნი, მღვდელნი და ერი თანაბრად შევტრფით ნიჭიერს მგოსანს ნიშნად იმისა, რომ მის ნაწერებს დიდად უმოქმედნიათ ჩვენზე, მისი მადლიანი სიტყვა ჩაგვწვდომია ყველას გულის სიღრმემდე". და მეორეც, განა იუბილე იუბილარს აძლევს იმის მოწმობას, რომ შენ ამ კატეგორიის მოღვაწე და შემოქმედი ხარ და შენ კი ამისიო. ამას ისტორია, ხალხი განსჯის და არა იუბილეს დროს ნათქვამი ქების სიტყვები და ადრესები; ეს ვერ გაითვალისწინა „მწყემსის" რედაქციამ.

მაგრამ განა ჟურნალ „მწყემსის" რედაქციას ის აწუხებდა, რომ მემატიანე ვერ დაადგენს ნამდვილსა და ცრუ მოღვაწესო. მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა და აი რა: „სიტყვამ მოიტანა და არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ

---

1 ექვთიმე თაყაიშვილი, „რჩეული ნაშრომები", ტომი I, გვ. 264-265.

1 ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. V, გვ. 183; 1955 წლის გამოცემა.

იუბილეს დღესასწაულობის გამო ჩვენში,—აღნიშნავდა „მწყემსი“ — ის პირები, რომელთაც კითხვა აღძრეს ბ. ი. გ. ჭ-ის 41 წლის იუბილეს დღესასწაულობაზე, ნეტავი რას ფიქრობენ სხვა პირების იუბილეს დღესასწაულობის შესახებ? ნუთუ სხვებს არ შესრულებია 41 წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწყებიდან? ზოგიერთები ლამის ხელიდან გვეცლებიან და არავინ არ ფიქრობს მათ იუბილეს დღესასწაულობაზე! დიახ, პურღვინოს და სადილებს ბევრი შეუძლია .. მრავალს აბრმავებს და მრავალს თვალს უხვევს“.

ჩვენ მიერ აქ მოყვანილი თითოეული სიტყვა მოწმობს, რომ მათ ავტორს ისინი დაუწერია ღვარძლით, ყოველივე ამას მაბეზღრობისა და ჯაშუშობის სუნი დაჰკრავს. სად წაიკითხა ავტორმა, რომ თითქოს უნდა გადაეხადათ ი. ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 41 წლისთავი, როგორც ამას ჟურნალ „მწყემსის“ რედაქცია წერს. ცნობილია, რომ 1897 წელს მწერლებმა, ჟურნალისტებმა და მუშა-ხელოსნებმა გაზეთის საშუალებით აღძრეს საკითხი, რომ გადაეხადათ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილე. ავტორი ამას აღუშფოთებია და წერს: „ნეტავი რას ფიქრობენ სხვა პირების იუბილეს დღესასწაულების შესახებ? ნუთუ სხვებს არ შესრულებია 41 წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწყებიდან?“

ნეტავ ვინ იყვნენ ის მოღვაწეები, რომლებიც შეიძლებოდა დიდი ილიას გვერდით დაგვეყენებინა და იუბილე გადაეხადა მთელ ქართველ ხალხს. თუ მართლა „მწყემსის“ რედაქციას ეგულებოდა ქართველი ერის სხვა რომელიმე დიდი მოღვაწე, მაშ რატომ ვერ ასახელებდა ამას ჟურნალის რედაქცია თავის წერილში! ჩვენთვის კი ცხადია, რომ ისინი გულისხმობდნენ არა ქართველი ხალხის მოჭირნახულეებს, არამედ რეაქციის ხელის შემწყობებს, რომელთა ორგანოც ჟურნალი „მწყემსი“ იყო.

როდესაც მთავრობამ არ დართო ნება მოწინავე საზოგადოებრიობას აღენიშნა დიდი ილიას მოღვაწეობის 40 წლისთავი, მაშინ სკოლებმა მოუწყვეს მას იუბილე, რომელიც ძალიან გულთბილად და ერთსულოვნად ჩატარდა და რომლითაც ილია ჭავჭავაძე დიდად კმაყოფილი იყო.

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის მზადებამ უფრო დააჩქარა პოეტის ვერაგული მკვლელობის სამზადისი, ვინაიდან იუბილეს მზადების პროცესში უფრო ნათლად გამოჩნდა ქართველი ხალხის ერთიანობა, ერთგულება და სიყვარული პოეტის შემოქმედებისა და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი. ყოველივე ამან რეაქციის მესვეურებს ბიძგი მისცა დაეჩქარებინათ თავიანთი ბნელი განზრახვის აღსრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯემალ აფციაური**

# იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი მომენტი უძველეს ქართულ მწერლობაში

როგორც ცნობილია, VI საუკუნე ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდია ჩვენს ქვეყანაში... სწრაფი ტემპით გრძელდება თავისუფალ მეთემეთა დარჩენილი ნაწილის დაყმევება-გაგლეხების პროცესი. ფეოდალი ხარბი თვალით უყურებს მისგან ჯერ კიდევ „აუთვისებელი" თავისუფალი მიწის ნაჭრებს, რაც იწვევს „წვრილი ერის" საწინააღმდეგო რეაქციას, რომელიც გარკვეულ იდეოლოგიურ ფორმებში ვლინდებოდა... ირანული პოლიტიკა შესანიშნავად იყენებდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ და ეკონომიურ ძვრებს თავისი მიზნებისათვის — მას შეუნიშნავი არ დარჩებოდა, რომ ქრისტიანობა, როგორც ოფიციალური იდეოლოგია, ძირითადად ემსახურებოდა გაბატონებული აზნაურების სოციალურ-ეკონომიური ინტერესების განხორციელებას, ამიტომ მას სწორედ „წვრილი ერის", საზოგადოების უკმაყოფილო ელემენტი ამოუღია მიზანში. გარდა ამისა, სიკვდილის დასჯის შიშით, შეძლებისდაგვარად ალუქვეთავს მაზდეანთა მოქცევა ქრისტიანობაზე, რადგან კარგად ესმოდათ ასეთი აქტის დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა. „წვრილი ერი" ზუსტად შერჩეული სამიზნე იყო სპარსული იდეოლოგიისათვის, მისი მაზდეანობაზე მოქცევა ეთანხმებოდა სპარსელთა პოლიტიკურ მიზნებს, რამდენადაც დაბალი ფენების სოციალური უკმაყოფილება ზოგჯერ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენდა თავს.

იმის დასადასტურებლად, თუ როგორ იყო გადაჯაჭვული იდეოლოგია ამა თუ იმ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესებთან, მოვიტანთ ერესიარქ ნესტორის სიტყვებს, მიმართულს კონსტანტინეპოლის პატრიარქობის პერიოდში იმპერატორებისადმი: „მომეცი, მეფევ, მწვალებელთაგან (ვინც ნესტორიანობას არ ეთანხმება — ჯ. ა.) განწმენდილი ქვეყანა და ამისათვის მე შენ მოგცემ ზეცას, მიშველე წვალების განადგურება და მე შენ გიშველი სპარსელების განადგურებას".[1] ეს სიტყვები მრავალმხრივ არის საინტერესო ჩვენთვის; უპირველეს ყოვლისა, ნესტორს ესმის, რომ იდეოლოგია მხოლოდ მაშინ არის ძლიერი და უკიდურესად ქმედითი, როდესაც იგი გაბატონებული იდეოლოგიაა.

იდეოლოგიური ბრძოლის დუღილში იქცა მონოფიზიტობა ანტიბერძნული, ხოლო დიოფიზიტობა ანტიირანული ძალების დროშად. ასე გრძელდება ქართლშიც VI საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია მალე იცვლება — ბიზანტია ძალას იკრებს, ძლიერდება, განსაკუთრებით მავრიკე და ჰერაკლე კეისრების დროს. ირანი სუსტდება, ქართლის წარჩინებულთათვის ირანი აღარ წარმოადგენს სერიოზულ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც გამოიყენებდა თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, როგორც ადმინისტრაციულ მანქანას, ამიტომ ის ესწრაფვის შექმნას უკვე დამოუკიდებელი ადმინისტრაციული უჯრედი, ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს დაწყებული საქმის — სწრაფი ფეოდალიზაციის წარმატებით დაგვირგვინებას. მაშასადამე, საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფო აპარატი, მაგრამ არა „მეფობის" ინსტიტუტით. ეს ისტორი-

ის ჩარხის უკან შემობრუნება იქნებოდა, საჭიროა „პირველი თანასწორთა შორის...“ ასეთი ეკონომიური ნიადაგი თავის დაკვეთას უყენებს ზედნაშენს და იცვლება იდეოლოგიის შინაარსი, ხოლო ფორმა იგივე, რელიგიური რჩება — ქართველები ამიერიდან მიემხრობიან დიოფიზიტობას, როგორც სპარსელების წინაალმდეგ მიმართულ იდეოლოგიას. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ 574 წელს ქართველებსა და ალვანელებს მონოფიზიტ სომხებისათვის უარი უთქვამთ მათ თხოვნაზე, დახმარებოდნენ ქელკედონიტების წინაალმდეგ ბრძოლაში.[2]

მთელი სამოცდაათწლიანი პერიოდი, საუკუნის დასაწყისიდან მის სამოცდაათიან წლებამდე, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ქართლში მონოფიზიტობის მშვიდი მეუფების პერიოდი.

და აი, ასეთ პირობებში მოუმართებიან საქართველოში სირიელი მამებიც, რომლებსაც უდაოდ მნიშვნელოვანი როლი უთამაშიათ საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის გამძაფრების საქმეში. სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული ქართლში სამონასტრო მშენებლობის დაწყება და აქტივიზაცია. ჩვენი შეხედულებით, მონასტრების რელიგიურ ინსტიტუტს ორმხრივი მიდგომა სჭირდება — პირველ რიგში, იგი ყალიბდება ახალ ფეოდალურ ერთეულად, რომელიც კიდევ უფრო აჩქარებს „წვრილი ერის“ დიფერენციაციისა და დაყმევების პროცესს, მეორეც — „ძმათა“ უჩვეულო სიმრავლე ამ მონასტრებში, რაც განსაკუთრებით პირველ ხანებში შეინიშნება, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს — მონასტერი იქცა საიმედო თავშესაფრად ქვეყნის სწრაფი ფეოდალიზაციით უკმაყოფილო ელემენტისათვის, რომელიც გაურბოდა სოციალურ ჩაგვრას. ტყუილად არ არის ჩართული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ეპიზოდი ძარღველ კაცზე, რომელიც ცდილობს მონასტერში თავის შეფარებას. „კაცმან მან, ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა, მაშინ აღიღო ევლოგიაჲ იგი და, რაჲ ეძლო, სახლით. თვისით, სივლტოლვაჲ იხუმია, ვინაჲცა დევნა უყვეს უკუნა მისსა და შეწევნითა წმიდისაჲთა ვერ ეწინეს“.[3] მეორე შემთხვევაში თვით მონასტერი კისრულობდა ფეოდალის ფუნქციას — იტაცებდა მიწებს და „წვრილ ერს“ განაწყობდა თავის საპირისპიროდ როგორც იდეოლოგიურად, ისე ფიზიკურადაც, ასე რომ მწარმოებელი ფენა, რათა შეენარჩუნებინა თავისუფალი მეთემის უფლებები, გააფთრებით ექიდებოდა წარმართობას და სხვადასხვა ერესს, როგორც საბრძოლო იდეოლოგიას, რის მაგალითიც საკმარისად გვაქვს იგივე ასურელ მამათა „ცხოვრებაშიც“: ზედაზნის მთაზე დამკვიდრებულ იოანეს ადგილობრივი მცხოვრებნი აუმხედრდნენ. მათ ბერს შემდეგი პრეტენზია წაუყენეს: „იოანე, იოანე, რაჲსათვის გუაწყევ ჩუენ და ვინაჲ მოხუედ აქა დამტევებელი ადგილისა თვისისა? აწ უკუე მსწრაფლ, წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ შემძლებელ ხარ ჩუენ თანა ყოფას... ვერ უწლო წინა — აღდგომაჲ ძალისა და სიმრავლისა ჩუენისაჲ“.[4] წარმართნი ჯერ კიდევ ისე ძლიერნი ყოფილან, რომ აშკარად, დარაზმულად გამოდიან სამონასტრო ცხოვრების დაფუძნების წინაალმდეგ. თუ ფეოდალიზმი იყენებდა თავისი სოციალური მიზნებისათვის ქრისტიანობას, მას იყენებს ეკლესიაც, რაც მეტად შიშვლად არის თხზულებაში წარმოჩენილი. იოანე მშვიდად პასუხობს წარმართებს: „და ვითარ მეტყვით მე ვითარმედ: თქუენი არს ადგილი ესე? ანუ არა უფლისა არსა ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი, სოფელი თანად და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა, რომელიცა სამკვიდრებლად ჩუენ კაცთათვის მიუნიჭებია“[5].

წარმართნი იძლივნენ, პოზიციები დათმეს და გადაწყვიტეს:

„მოვედით, ვივლტოდით ამიერ და წარვიდეთ უშინაგანესთა წარმართთა მიმართ და დავემკვიდრნეთ მათ თანა“.[6] ე. ი. მათ მიუმართავ ქვეყნის სიღრმისათვის, სადაც ჯერ კიდევ იყო შერჩენილი თავისუფალი მეთემეობა და მისი ოფიციალური იდეოლოგია.

როგორც არ უნდა მივუდგეთ ასურელ მამათა ქართლში მოსვლის ფაქტს, ერთს მაინც ვერ გამოვრიცხავთ — მათ უდაო სამისიონერო მიზანს, მამების სამისიონერო მიზნით გამომგზავრებას საქართველოში აშკარად მიგვანიშნებს, ჯერ ერთი რიცხვი 13 და მეორეც ღვთისმშობლის ფიგურირება — გავიხსენოთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, თვით ღვთისმშობელს ხვდა წილად საქართველოში სამისიონერო ღვაწლი, რის შედეგადაც იგი ამ ქვეყნის მფარველად იქნა მიჩნეული. სწორედ ღვთისმშობელმა უბრძანა იოანე ზედაზნელს საქართველოში გამომგზავრებაც. ცამეტ ასურელ მამას საკუთარი ინიციატივით კი არ შეურჩევია სამოღვაწეო სფერო, არამედ კათალიკოს ევლავიოზთან შეთანხმებით; როცა შიომ მარტოდმყოფობა გადაწყვიტა, მან თავის მოძღვარს იოანეს მიმართა ნებართვისათვის, როგორც ასურელ მამათა მეთაურს, მაგრამ იოანემ იგი კათალიკოსთან გაგზავნა „თვინიერ კათალიკოსისა კითხვისა ნუ ხელ-ჰყოფ საქმესა მაგას, რამეთუ მისი გვილირს მორჩილებაჲ, ვითარ საყოველთაოსა“.[7] ჩანს მცხეთის საკათალიკოსო კათედრალი მათ მიავლენდა ქართლის იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით უხვი სამკალი იყო სამისიონერო მოღვაწეობისათვის.

„ასურელ მამათა“ სამისიონერო მოღვაწეობა უნდა შევაფასოთ ხელისშემწყობ ფაქტორად ქრისტიანობის, როგორც გაბატონებული იდეოლოგიის შემდგომი განმტკიცებისათვის და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ფეოდალიზაციისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი რუდუნებითა და გულისხმიერებით ცდილობდნენ ქართველები IX საუკუნის შემდეგ ადრე შექმნილ წერილობით ძეგლებში აღმოეფხვრათ ყოველგვარი მწვალებლობის კვალი (თავის მხრივ, ესეც იდეოლოგიური საჭიროებით იყო განპირობებული), და მით უფრო უცნაურად გვეჩვენება, რომ ასურელ მამათა ცხოვრებაში აშკარად, სრულიად დაუფარავად ესმება ხაზი ქართული ეკლესიის ცდომილებას, რაღაცა ერესს VI საუკუნეში. მაგალითად, დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრების“ ავტორი აღნიშნავს, რომ დავითმა „უკუნსა წყუდიადისა შინა მსხდომარე ერი ქართველთა განანათლა მოძღურებითა მიერ და სწავლათა თვისთა და საკვირველებათა და ნიშთა“.[8] საეჭვოა, რომ ამ სიტყვებში იგულისხმებოდეს წარმართობა, რადგან ხაზი ესმება მთელი ერის ყოფნას წყვდიადში.

აკად. კ. კეკელიძე იცავდა ასურელ მამათა მონოფიზიტობის აზრს და სათანადო ადგილიც მოჰყავდა დავით გარეჯელის ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია, რომ დავით გარეჯელი გაემგზავრა იერუსალიმისაკენ, მაგრამ „მადლის ქედიდან“ უკან გამობრუნდა. დიდი მეცნიერი ამას ხსნიდა დავით გარეჯელის მონოფიზიტობით. იერუსალიმში მაშინ დიოფიზიტური რწმენა ჰყვაოდა და დავითს იქ არ შეესვლებოდა. ვფიქრობთ, საამისო აზრის გამოსატანად ტექსტი არ იძლევა საფუძველს — განა დავით გარეჯელი მარტო გაემგზავრა იერუსალიმს? მას თან ახლდნენ მოწაფეებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც თავიანთი მასწავლებლის რწმენისა იყვნენ, მაგრამ ისინი არა თუ შეუშვეს იერუსალიმში, იქ დიდი ხანიც დაყვეს, მოილოცეს წმინდა ადგილები და დაბრუნდნენ. აქ თქმულს ისიც უნდა დაემატოს, რომ იერუსალიმის პატრიარქის გამოგზავნილი კაცები ევედრებოდნენ დავითს, შესულიყო ქალაქში. გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებაც, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა გაუსვა ხაზი — ასურელ მამათა ცხოვრების გვიანდელი რედაქციების ავტორები აღნიშნავდნენ მოსული ბერების მიერ „მართალი სარწმუნოების“ დაცვა-განმტკიცებას, ხოლო XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი მათ მიიჩნევს ქართული ქრისტიანობის განმწმენდებლად. ფაქტი ფაქტად რჩება — X-XI საუკუნის ქართველი ორთოდოქსისთვის „მართალი სარწმუნოება“ მხოლოდ დიოფიზიტური მოძღვრება შეიძლება ყოფილიყო და ნუთუ არ არის ნიშანდობლივი, რომ ამ ეპოქის ფრთხილი მოღვაწენი კატეგორიულად უსვამენ ხაზს VI საუკუნეში სჯულის განწმენდის ფაქტს ჩვენს ქვეყანაში? ჩანს, იყო უეჭველი საბუთი ერესის არსებობისა, რომლის გვერდის ავლა არც შეიძლებოდა და არც უფიქრიათ. სწორედ აქედან გამომდინარეობს „ასურეთელთა“ სამისიონერო მოღვაწეობაც, რომლის უგულვებელყოფა არ შეიძლება; თუ მივყვებით აკად. კ. კეკელიძის შეხედულებას, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ — მონოფიზიტი ბერები მოდიან მონოფიზიტურ საქართველოში და წმენდენ რჯულს, ხელს ჰკიდებენ სამისიონერო საქმეს, აარსებენ მონასტრებს მრავალრიცხოვანი ბერებით, რაც მეტად სცილდება მის მისწრაფებას მარტოდმყოფობისაკენ — აღსანიშნავია ისიც, რომ „კენობია“ შეინიშნება ასურელ მამათა ცხოვრებაში არა მარტო საქართველოში, არამედ ასურეთშიც.

როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოშიც და სომხეთშიც მონოფიზიტობის აღიარების შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას დიოფიზიტობა.[9] რატომ არ უნდა მივიჩნიოთ შესაძლებლად ამავე მიზნით მისიონერრჯულის განმწმენდელთა მოსვლა საქართველოში? დგება საკითხიც, რომ VII საუკუნის დამდეგს სომეხ-ქართველთა ეკლესიის გათიშვა მომზადებული იყო ასურელ მამათა დიოფიზიტური მოღვაწეობით საქართველოში. მათი მოღვაწეობის წარმატებას უდავოდ განაპირობებდა სპარსთა უღლის სიმძიმე, მწარმოებელი ფენის კლასობრივი ბრძოლა — გამოვლენილი გარეშე მტრისა და იმ რელიგიური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომალსაც გარეშე დამპყრობელი ძალა უჭერდა მხარს; როგორც აღვნიშნეთ, 574 წელს ბიზანტიიდან სომხეთში დაბრუნებულმა მონოფიზიტმა სომხებმა ქართველებსა და ალბანელებს სთხოვეს მათთან ერთად წინ აღსდგომოდნენ ქალკედონიტობას, მაგრამ უარი მიიღეს, აკად. კ. კეკელიძის გამოანგარიშებით კი უკანასკნელი ასურელი მამა ამბროსი ნეკრესელი 571 წლის შემდეგ უნდა მოსულიყო საქართველოში, რაც ზემოთმოტანილ აზრს უთუოდ საფუძველს უმაგრებს.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ „ასურელ მამათა ცხოვრებაში“ მოხსენებული „სარწმუნოების განმტკიცება“ ნიშნავს ბრძოლას წარმართული და მაზდეანური რელიგიების წინაალმდეგო. ეს სწორი არ იქნება და აი, რატომ — აშკარად ჩანს, რომ ასურელთა მოღვაწეობაში „სარწმუნოების განმტკიცება“ არ გულისხმობდა ზემოთხსენებულ ბრძოლას, მაგალითად, როცა იესე წილკნის ეპისკოპოსად დაადგინეს, მან „არა კმა — იყო მახლობელთა მხოლოდ განმტკიცებად სარწმუნოებასა ზედა მართალსა, არამედ“... — მოაქცია ჩრდილოე-

თით მცხოვრები მთიელნიც, რომლებიც ჯერ კიდევ წარმართები ყოფილან.

ასურელ მამათა ცხოვრებაში ხაზი ესმება სამღვდელოებისა და სამეფო ხელისუფლების ზოგადად, ხოლო კერძოდ ასურელ მამათა და სამეფო ხელისუფლების უაღრესად ახლო და ურთიერთშეთანხმებულ დამოკიდებულებას. ასურელი მამებისათვის უცხოა ის ამპარტავნული, უაღრესი ასკეტიზმით შებურვილი პრეტენზიები საერო ცხოვრების, სამეფო ხელისუფლების მიმართ, რომელიც შემდგომ ცხადად გამოიხატა საბა იშხნელის პასუხში ბაგრატ კურაპალატისადმი. პირიქით, ასურელი მამები გამოხატავენ საერო ხელისუფლების უმაღლესობის აპოლოგიას. წმინდა შიო ასე პასუხობს ევაგრის, რომელმაც მას მეფე ფარსმანის სტუმრობა აცნობა: „შვილო ჩემო, ფრიად მძიმე არს ჩემ ზედა მოსვლაჲ მეფისაჲ და ვინ ვარ მე — მიწა ესე და ნაცარი — არამედ მე თვით განვიდე წინაშე ცხებულსა ღმრთისასა“.[10]

აქვე არის გატარებული მეფის ღვთაებრიობის იდეა. დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ჯერ არ ჩანს. რაც შეეხება მეფის „ღვთისაგან ცხებულობის“ თეორიას, ამასაც თავისი საფუძველი აქვს — ქვეყნის სრული ფეოდალიზაცია ჯერ არ დამთავრებულა, არ დამთავრებულა მისი ქრისტიანიზაცია, რაც საჭიროდ ხდის საერო ძალის დახმარებას ეკლესიისადმი. ამიტომ ისიც გუნდრუკს უკმევს მეფის პიროვნებას, მის „ცხებულობას“, მაგრამ განამტკიცა თუ არა ეკლესიამ პოზიციები, სიტუაციაც მკვეთრად შეიცვალა და ეს მოხდა არც თუ ისე გვიან, მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან. მართალია, ეს ეპიზოდი უმეფობის, ერისმთავრობის პერიოდს ასახავს, მაგრამ ამით პრინციპულად ბევრი არაფერი იცვლება...

როგორც ცნობილია სტეფანოზ ერისთავი გაანაწყენა იმან, რომ შიო მღვიმეში სტუმრობისას ბერებმა ეპისკოპოსს უფრო მეტი პატივი მიაგეს, ვიდრე მას, რამაც გამოიწვია, არა მარტო სტეფანოზისათვის, არამედ ახალი ისტორიული მომენტისათვის საინტერესო და საჭირბოროტო კითხვა — „უმეტეს არსა საყდარსა ჩემსა — ეპისკოპოზისა? მე მეფეთა საყდართა ვზი“. სტეფანოზს ესმის თავისი როლი, ერისმთავრობის სპეციფიკა უმეფობის პერიოდში. მართალია, იგი არის „პირველი თანასწორთა შორის“, მაგრამ ცდილობს თავისი მამულის გაზრდას, რაც მას კიდევ უფრო გამოარჩევს, როგორც პირველს, „მეფის საყდარზე“ მჯდომს. იქნება მისი ზემოთხსენებული პრეტენზია ეპისკოპოსთან უპირატესობაზე, სამისოდაც იყო გამოთქმული, რომ გამოეწირა მონასტრისათვის თავისი წინაპრების მიერ შეწირული მიწები? ამის ეჭვს ბადებს ის, რომ მან მართლაც ჩაიდინა ეს, გამოსწირა მამულები შიომღვიმეს და შიოს სასწაულებრივი მხილების შედეგადაც კი შეიკავა თავი სტეფანოზმა ამ მიწების უკან მთლიანად დაბრუნებაზე (მხოლოდ ერთ აგარაკს უბრუნებს). ცოფდება სტეფანოზი და მისი ოჯახი. დიდია სწრაფვა ეკონომიური და სოციალური გამორჩევისაკენ, რაც არ მოსწონთ სხვა მთავრებს. მას „ძალით იპყრობდეს ხელებითა მთავარნი და ყოველი ერი... გულისხმაჰყვეს ესე უკუე წარჩინებულთა მათ ქართლისათა“.[11] მაშასადამე, წარჩინებულებმა ხელი გამოიღეს და ჩააქრეს სტეფანოზის სეპარატისტული მისწრაფების ცეცხლი.

სტეფანოზი დამარცხდა. იგი იძულებული გახდა ორი ურჩეულესი აგარაკი ებოძებინა შიო-მღვიმისათვის და, რომ მართლაც იძულებული გამხდარა და საკუთარი სურვილით არ ჩაუდენია ეს, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „აჰა, მამაო, პატიჟი ბრალისა ჩემისა“ (აი, ჩემი დანაშაულისათვის სასჯელიო). რატომ იყო მიწების დაბრუნების პატიჟი, სასჯელი? ვინ დასაჯა, — რატომ დასაჯა სტეფანოზი? — ამ კითხვებზე პასუხი ზემოთ იყო წარმოდგენილი. საყურადღებოა შეწირულის გამოწირვის შემთხვევაც, რომელიც შემდეგში, მონღოლთა ბატონობის დროს განახორციელა ბასილი ქუონდიდელ-უჯარმელმა, და რამაც მაშინაც ეკლესია-მონასტრების თავდადებული საპასუხო, რეაქცია გამოიწვია. ყურადღებას იპყრობს ეს ფაქტი იურიდიული თვალსაზრისითაც — XIII საუკუნეში გამოსწირეს მონასტრებს მამულები, რადგან მათით სარგებლობა ეკლესიას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ სიგელი ძველი პატრონის მემკვიდრისაგან განახლებული იქნებოდა. მაშასადამე, „გამოწირვის“ დროს სტეფანოზი იურიდიულ უფლებასაც იყენებს. მამულების მონასტრისთვის უკან დაბრუნებისას სტეფანოზმა უკვე დაამტკიცა „ხელითწერილი იგი ხელითა თვისითა და მასვე ჟამსა დასწერა ჰროასტავი და დაამტკიცა ხელითა თვისითა და წარსცა ყოველსა შინა ქვეყანისა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლენ მძლავრებისაგან და ხარკის მოცემისა“.[12]

ფეოდალს სურდა თავის სამფლობელოში არსებულიყო მოქმედი იდეოლოგიური ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობდა მისი უფლებების განმტკიცებას, დარჩენილ თავისუფალ მეთემეთა შემდგომ დაყმევებას. გიორგი ჩორჩანელი ზარზმის მონასტერს უხვად ალჭურავს ქონებით „...მდიდარ მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე სახედართა და მრაწეულთა“.[13] ჩვენი ფიქრით, სიტყვა „თავისუფლებით“ ტყუილად არ არის აქ ნახსენები. იგი დიდი სოციალური შინაარსის მატარებელია. ჩანს, ამ აგარაკის მუშაკნი უკვე

ყმები არიან, რომლებიც შრომობენ ჩორჩანელისა და მისი მცირე მთავრებისათვის. ამ აგარაკების მონასტრებისათვის გადაცემით კი იცვლება საკუთრების ფორმა — ყმა თავისუფლდება ერთი ბატონისაგან და გადადის მეორე, ამ შემთხვევაში მონასტრის ხელში. ამავე თხზულებაში თითქოს უნდა შეინიშნებოდეს სოციალური წინააღმდეგობების ფაქტიც დიდ მთავარს—გიორგი ჩორჩანელსა და მასზე დაქვემდებარებულ მცირე მთავრებს შორის—გ. ჩორჩანელი სერაპიონისა და მისი თანმხლები ბერების მეგზურს, თავის მსახურს ასე მოძღვრავს: „და უკეთუ ვინმე იპოოს დამახრწნეველ მათდა უცხოებისათვის, ყოველივე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისამებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა[14]" — ეს „დამახრწეველნი", ვფიქრობთ, მარტო მწარმოებელი ფენა არ უნდა ყოფილიყო, მათში შესაძლებელია იგულისხმებოდეს ეს წვრილი მთავრებიც, რომელნიც იხსდნენ ჩორჩანელის, როგორც სიუზერენის მამულზე და არავითარი სურვილი არ გააჩნდათ მათი სავარგული, დაბა, ტყე შეეზღუდა მონასტერს. „მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოველითურთ მხეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არ ინებეს კურთხევაჲ წმინდათა მათგან".[15] ამ კონკრეტულ ეპიზოდში იდეოლოგიური ბრძოლის უკვე სხვა ფორმასთან უნდა გვქონდეს საქმე — როდესაც თვით ქრისტიანი მოსახლეობა წინ აღუდგება მონასტრების გადაქცევას ფეოდალურ ერთეულად და, რადგან აღარ გააჩნია ქმედითი საბრძოლო იდეოლოგიური იარაღი წარმართობის სახით, ცდილობს არც სასულიერო პირებს მისცენ ქრისტიანობის, როგორც იდეოლოგიური საჭურველის გამოყენების საშუალებაც, უარს ამბობენ წირვაზე.

თავისუფალ მეთემეთა და ეფიდალთა მონასტერთან ბრძოლის დროს, ბუნებრივია, ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა განსხვავებული სამართალი, განსხვავებული ეთიკური და კულტურული ნორმები, განსხვავებული ეკონომიური წყობა. ის, რაც სამართალი იყო ერთისთვის, უსამართლობა იყო მეორისთვის და ა. შ. ბასილი ზარზმელი, ფეოდალური წრის იდეოლოგი „ბოროტებს" უწოდებს ბერების მოწინააღმდეგეებს, მათ საქციელს მიიჩნევს უსამართლობად, ღმერთისა და დიდი მთავრის გ. ჩორჩანელის წინააღმდეგ, ადამიანის ქცევის ეთიკური ნორმების დარღვევადაც კი, მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, მეორე კი საიმედოდ არის შენიღბული აგიოგრაფის მიერ, თუმცა კი ჩვენთვის მეტად ადვილი ამოსაცნობი ხდება.

ქართული აგიოგრაფიული მწერლობა, რომლხი ძირითადი მოქმედი პირებიც წმინდანები არიან, ქრისეტს მეოხნი და მბაძველნი, რა თქმა უნდა, საკმაოდ მდიდარია სასწაულებით. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა, თავისი განვითარებისა და იდეოლოგიური დამკვიდრების საწყის ეტაპზე პრიორიტეტს რწმენის ფაქტორს ანიჭებდა. ეს, სხვათა შორის, კარგად ჩანს „შუშანიკის წამებიდან": დედოფალი უაღრესად კრიტიკულ მომენტში ვარსქენის განსაქიქებლად, მისი კრიტიკისათვის არ მომართავს არავითარ მტკიცებას, არ ეძებს ლოგიკურ ფორმებს ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმართ ქრისტიანობის უპირატესობის დასამტკიცებლად, არამედ უბრალოდ აღნიშნავს, რომ არშუშამ, ვარსქენის მამამ, „ღმერთი ცათაჲ და ქუეყნისაჲ აღიარა და ჰრწმენა". აქ შესანიშნავად არის გამოხატული მთელი იდეოლოგიური კრედო, რომელიც არ სცილდება „აღიარებისა" და „რწმენის" ფარგლებს. შემდეგი პერიოდისთვის ვითარება შეიცვალა, საჭირო შეიქმნა ქრისტიანულ რელიგიას მხარში ამოსდგომოდა ანტიკური ფილოსოფია, თეოლოგიზირებული ფორმით გადამუშავებული, მაგრამ ამ საინტერესო პერიოდშიც კი შეინარჩუნა სასწაულმა თავისი ადრინდელი ძირითადი ფუნქცია — ჩაენერგა მორწმუნეებში ღვთისადმი შიში და იტვირთა ახალი მოვალეობაც — ებრძოლა როგორც წარმართობის, ისე სხვა საპირისპირო რელიგიური დოგმებისა და ქრისტიანული ერესის წინააღმდეგ, განემტკიცებინა ეკლესიის მსახურთა ეკონომიური ბაზა და მათი მორალური ავტორიტეტი, ასე რომ სასწაული მუდამ მოქნილი იარაღის როლს ასრულებდა ეკლესიის ხელში; მაგრამ აქ მეორე ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი — საეკლესიო დოგმების მიხედვით, ღვთიური სიბრძნის, ჭეშმარიტების შეგრძნება, გაგება შეუძლებელია, მისი შეცნობა მხოლოდ მისი გამოცხადებით არის შესაძლებელი. სასწაულიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოცხადებაა ღვთაებრივი სიბრძნისა; ამრიგად, სასწაული ქართული აგიოგრაფიის ბუნებრივი კომპონენტია და სავსებით ორგანულად ზის „ორგვარი სიბრძნის" შესახებ მოძღვრების იდეურ რკალში. მიუხედავად ამისა, ჩვენი ფიქრით, მხოლოდ ეს არ უნდა იყოს ქართულ აგიოგრაფიაში სასწაულის ფეხმოკიდების ერთადერთი მიზეზი — საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართული აგიოგრაფიული ძეგლები უხვად სარგებლობდნენ ქართული ფოლკლორული ნიმუშების და კონკრეტულად ჯადოსნური ზღაპრის ელემენტებით. ამ მოვლენასაც თავისი იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სასწაული ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში თავისი ფესვებით ფოლკლორთანაც უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ ის, რაც „სარწმუნოა" რომანტიზებულ, ჰიპერბოლურ ზღაპარში, შეუძლებლად მოეჩვენება კაცს აგიოგრაფიულ

ტექსტში, რომელიც დოკუმენტური პროზის ნიშნებსაც ატარებს.

და აი, სწორედ აქ პოულობს ახსნას აგიოგრაფიის, როგორც „რომანტიკული ეპოსის“ მხატვრული გააზრებაც; წმინდანი რომანტიკული გმირია, იგი სასწაულის მექანიკური შემსრულებულია, მისი მოქმედი კი თვით ღმერთი, მისი ნებაა, რომელიც სულით მასთან ახლოს მდგომ წმინდანს მიანიჭებს ღვთაებრივი ბუნების ზოგიერთ ატრიბუტს და ხდის მას რომანტიკულად, მაგრამ, აზროვნებისა და მისი განვითარების კვალდაკვალ სასწაული თანდათან ჩიხში მოექცა — მას ვერ მიუდგა ფილოსოფიის თეოლოგიური ფორმით გადამუშავების შედეგად მიღებული მტკიცების ნორმები, იგი ძველი დარჩა როგორც შინაარსით, ისე ფორმით, მაშინ, როცა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ეკლესიამ წარმართი ფილოსოფოსის მანტია წამოისხა ყოველივე ამან განაპირობა მისი „დასაბუთების“ ახალი ფორმის მონახვა ფილოსოფიის გარეთ. ამას კი დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წმინდანი თავისი პრაქტიკული ღვაწლით იყო მხოლოდ „მოქალაქე“, „ერისკაცი“, და მებრძოლი, მეურნე და იდეის ერთგული, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის „ქვეყნის ანგელოზობას“, მის წილნაყრობას ღმერთთან, მის მიერ ღვთაებრივი სიბრძნის წვდომას, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ-დამხოლოდ სასწაულში უნდა გამოვლენილიყო.

როგორც ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, სასწაულის დასაბუთების მოვალეობა აიღო სწორედ აგიოგრაფიის თეორიულ-ლიტერატურულმა ფორმამ და მხატვრულმა სპეციფიკამ. თხზულებათა ავტორები, როგორც ცნობილია, ნაწარმოების დასაწყისშივე არწმუნებენ მკითხველს, რომ მათ მიერ მონათხრობი სრული ჭეშმარიტებაა, ან თვალით ნანახია, ან „უტყუველ“, ნაფიც კაცთა მონათხრობი, ან კიდევ „დოკუმენტაციაზე“ დაყრდნობით შეთხზული. რა თქმა უნდა, ავტორიც „უტყუველია“, რადგან იგი წერს წმინდანზე და პასუხისმგებელია როგორც მსმენელის, ასევე ღმერთის წინაშეც, იგი „უნარჩევესია“, „მდაბალი“ და ა. შ. ყოველივე აქედან გამომდინარეობდა ავტორისადმი, მისი მონათხრობისადმი ნდობის ტენდენცია, რაც, ვფიქრობთ, სათანადოდ გამოიყენა სასწაულმა და შენარჩუნებულ იქნა, როგორც იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელშიც ქრისტიანული იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა ბანაკი უნდა ვიგულისხმოთ, ალმაცერად უყურებდა წმინდანთა ცხოვრებაში ჩართულ სასწაულებს და მას უნდობლობას უცხადებდა, რასაც, სხვათა შორის, იწვევდა ამ სასწაულთა სიმრავლეც, აი, ასეთ ვითარებაში გაჩენილა სასწაულთა „ცხოვრებისა“ და „წამებებში“ ჩართვისას ზომიერების აუცილებელი დაცვის ტენდენცია, როგორც ამას „ცხოვრებაჲ პეტრე ქართველისა“ გვიდასტურებს.

ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებზე დაკვირვებისას შეიმჩნევა სასწაულის გამოყენების ტენდენცია იმ შემთხვევაშიც, როცა აგიოგრაფს სურს მიჩქმალოს იდეოლოგიური წინააღმდეგობის ნამდვილი მიზეზი ან მისი ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყვეტის რეალური ფაქტორები და ყველაფერი ღვთის ნებას მიაწეროს. საამისო მაგალითები უხვად დაიძებნება ჯერ კიდევ ქართლის ქრისტიანობაზე მომქცევის წმ. ნინოს „ცხოვრებაში“, რომლის რამდენიმე რედაქცია არსებობს. მოციქულის წარმატებანი მიეწერება სასწაულთა ძალას, ნინოს სწორედ ღმერთისგან ეძლევა „კურნების მადლი“, რომელსაც იგი მოხერხებულად იყენებს თავისი სამისიონერო მიზნებისათვის. ასეა აგიოგრაფების მიერ მიჩქმალული ის დიდი იდეოლოგიური წინააღმდეგობანი, რომელიც თან სდევდა ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრებას. ჩვენ შორს ვიქნებით ჭეშმარიტებისაგან, თუ ვიტყვით, რომ აგიოგრაფებს არ ესმოდათ ამ წინააღმდეგობათა ნამდვილი შინაარსი, მაგრამ ისინი, ასრულებდნენ რა გაბატონებული ფეოდალიზმის სოციალურ დაკვეთას, როგორც ვთქვით, განგებ ჩქმალავენ მას და ქმნიან ფეოდალურ იდეოლოგიას, რომელიც მკაცრად თეოლოგიზირებულია.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასწაული აგიოგრაფის მიერ ითხზვებოდა, როგორც ღმერთისადმი შიშის ჩამნერგავი ფაქტი, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამა თუ იმ წმიდანის სასწაულებრივი აქტის გავრცელებას, მის აგიტაციას. როგორც ვთქვით, იოანე ზედაზნელს ზედაზნის მთაზე დამკვიდრების შემდეგ საკმაო ბრძოლის გადატანა მოუხდა იქ დამკვიდრებულ წარმართ მოსახლეობასთან, რომლებიც, საბოლოო ჯამში, აიყარნენ თავიანთი ადგილებიდან და მთის სიღრმეებს შეაფარეს თავი. იოანე ზედაზნელი მათთან კამათში განაქიქებს წარმართობას, როგორც „მზაკუარ და მტყუვარ“ რელიგიას და მას უპირისპირებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას — ქრისტიანობას. წარმართნი თვით აღიარებენ თავიანთ ძლეულებას.

წარმართებს მოევლინა „ბნელი“, „ვითარცა ნისლი“ და ისინიც გაქრნენ, „წარვიდეს“, გადაიხვეწნენ, მთას მიმართეს, მაგრამ როგორ ნათლად ჩანს ამ სასწაულის სოციალური და იდეოლოგიური შინაარსი. წარმართნი აღნიშნავენ, რომ მათ სდევნის არა მხოლოდ ქრისტე, არამედ მისი მოსავნიც, რომლებშიც მხოლოდ იოანე არ იგულისხმება. ამ ფრაზაში ისინი აერთიანებენ ქრისტიანობაზე მოქცეული ერის ნაწილს, რომელიც უკვე მყარად შეება ფეო-

დალიზმის უღელში. და, ამრიგად, წარმოების ფეოდალური წესი დაუპირისპირდა წინარე ფორმაციის წარმოების წესს — ირღვევა ძველი, იბადება ახალი.

იგივე იოანე ზედაზნელი, თუ ზოგ შემთხვევაში, უბრალოდ წარმართთა განდევნას სჯერდება, რაც, ბუნებრივია, სწორედ ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით მოხდებოდა, მეორე შემთხვევაში ცდილობს დაარწმუნოს ისინი მამაპაპური სარწმუნოების სიცრუეში, მის „საცთურში". აქ უკვე გზა ეხსნებოდა მისიონერის ნებისყოფის გარდა მის სხვა თვისებებსაც: მჭევრმეტყველების დიდ უნარს, დარწმუნების ძალას, სილოგისტურ დასკვნებს. იოანეს ძირითადი იდეოლოგიური იარაღი ამ შემთხვევაშიც ქრისტიანული რელიგია და მისი ოფიციალური „წმინდა წერილია".

საინტერესოა შემდეგიც: თუ სხვა რელიგიასთან ბრძოლის დროს ქრისტიანობა მოიმარჯვებს ხოლმე ფილოსოფიურ სიბრძნეს, წარმართობასთან კამათში, იგი ამ იარაღს მოკლებულია. აქ უკვე მეცნიერული დასკვნის ადგილს იჭერს „ვედრება", „კეთილი სწავლა", „სიმშვიდით და სიტკბოებით ზრახვა" და, რაც მთავარია, ამქვეყნიური „საცთურის", (რომელსაც ტაბუს არ ადებდა წარმართობა) განქიქება, აგიოგრაფიის ენაზე რომ ვთქვათ, მისი „ნაგევად შერაცხვა". ეს კი სწორედ ფეოდალიზმის დაკვეთის პირდაპირი შესრულებაა და გამიზნული იყო იქითკენ, რომ იდეოლოგიურად დაემუშავებინა წარმართები, შეემზადებინა ისინი სათემო მიწების ფეოდალიზაციისათვის, „კონსტანტი კახაძე წამების" სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეოდალიზმის „მსუბუქ უღელში" შესაბმელად. წმინდანები არ სჯერდებიან მხოლოდ ერის ქრისტიანობაზე მოქცევას, მიზნად ისახავენ „სარწმუნოებასა ზედა" მათ განმტკიცებასაც", რასაც აღწევენ კიდეც. აი, იოანე ზედაზნელის ნამდვილი იდეოლოგიური არსენალი, რასაც კეთილსინდისიერად აღნიშნავს კიდეც მისი აგიოგრაფი, მაგრამ ის ხარკს მაინც იხდის წმიდანის წმიდანობის წინაშე და რეზიუმის სახით უმატებს: „მოაქცივნა იგინი სარწმუნოებად სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა".

გულუბრყვილობა იქნებოდა ვიფიქროთ ,რომ წარმართობა ქრისტიანობასთან ბრძოლაში არ ეყრდნობოდა თავის იდეოლოგიას. იგი უდაოდ სკეპტიკურად უყურებდა ქრისტეს მოსავთა მოციქულეობრივ ღვაწლს, მათ სასწაულებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქრისტიანობამ პირწმინდად მოსპო ქართული წარმართობის „იდეოლოგიური არსენალი" და მკვლევარსაც მოუსპო მასზე მსჯელობის საშუალება. ამ საკითხით დაინტერესებული პირი მხოლოდ ჰიპოთეზებს უნდა დასჯერდეს. სწორედ ამ ჰიპოთეზის სახით შეიძლება წამოვაყენოთ მოსაზრება, რომ წარმართობა უპირისპირებს ქრისტიანობას არა მხოლოდ ფოლკლორს, მის რეალისტურსა და კრიტიკულ ტენდენციებს, რომელიც მან შეინარჩუნა ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე და აისახა ოფიციალურ საერო მწერლობაშიც, არამედ წარმართულ ბერძნულ ფილოსოფიასაც და უფრო მის მატერიალისტურ ნაკადს, ეგრეთწოდებულ „გარეშე სიბრძნეს", რომელსაც ეკლესია „ჰბასრობდა" და რომელიც მრავალსახოვნად და მრავალისმეტყველად გამოჩნდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში".

როგორც ცნობილია, „ორგვარ სიბრძნეზე" მოძღვრება ქრისტიანული იდეოლოგიის ხერხემალი, მისი იდეოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზია, სალმრთო ჭეშმარიტების შემეცნება შეიძლება, მაგრამ არა გონების ძალით, არამედ გამოცხადებით; ამ უმაღლესი სიბრძნით ტკბობას პიროვნებამ სულიერი განწმენდის, კათარზისისა" და „თეოზისის" გზით უნდა მიაღწიოს — ეს არის არეოპაგისტური თეზა ღვთაებრივი სიბრძნის წვდომის შესახებ, რომელიც სავსებით განსხვავდება კლიმენტი ალექსანდრიელის თვალსაზრისისაგან, რომლის მიხედვით უარყოფილია ამ სიბრძნის წვდომის შესაძლებლობა. „თეოზისი" იყო მხოლოდ წმინდანთა წრის პრივილეგია, და, ამგვარად, სასწაულიც, როგორც ღვთაების სიბრძნის ერთგვარი კონკრეტული გამოცხადება, მხოლოდ მათთვის იყო ბოლომდე გასაგები, ხოლო სხვისთვის, რა თქმა უნდა, „გაუგებარი" და გაუგებარი არა თვით სასწაულის შინაგანი ალოგიკურობის, არც პიროვნების ადამიანური გონების შეზღუდულობის, არამედ მისი სულის შეზღუდულობის გამო, რომელმაც ვერ მიაღწია თეოზისს, განწმენდას, ღმერთთან ახლო დგომას, ვერ გახდა მისი უმაღლესი და უცნაური სიბრძნის თანაზიარი. ამგვარად, სასწაულმა შეიძლება დაბადოს კრიტიკის სურვილი, სკეპსისი, მაგრამ ეს ლაპარაკობს არა კრიტიკის ობიექტის სიცრუეზე, არამედ მის უმაღლეს სიბრძნეზე და სკეპტიკოსის სულის განუვითარებლობაზე — ასე შემოავლო ქრისტიანულმა იდეოლოგიამ ღობე სასწაულს და დაახშო ყველა გზა თავისი ერთ-ერთი წამყვანი იარაღის საწინააღმდეგოდ.

აგიოგრაფები ხშირად აღნიშნავენ, რომ მრევლი ურწმუნოდ იყო განწყობილი სასწაულთა შინაარსის მიმართ, უკვირდათ და არ სჯეროდათ ის. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების" ავტორი მრავალ სასწაულს ჩამოთვლის, რომელნიც შიოს მიეწერება, მათ შორის არის კარაულთა მწყემსად მგლის დაყენებაც. ავტორი გრძნობს, რომ აქ ფანტასტიკამ კულმინაციას მიაღწია და საჭიროდ თვლის მკითხველს განუმარტოს ასეთი სასწაულის შესაძლებლობა, შექმნას ფანტასტიკურის რეალობის ილუზია—

მისი „ლოგიკა“ კვლავ დოგმატურია — „ღმერთის სარწმუნოებით“ ყველაფერი შესაძლებელია. წმიდანის სასწაულთქმედებაში, თვით სასწაულის რეალობაში ეჭვის შეტანა ღმერთის ყოვლისშემძლეობაში ეჭვის შეტანას ნიშნავს და მკრეხელი დაითრგუნება ღვთიური სამართლის ძალით. ასეთი ტერორის ქვეშ აყენებდა აგიოგრაფი ყველას, ვინც გონების ძალას გარჯიდა შეუცნობელის შესაცნობად.

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ სასწაულთა ფეიერვერკია — ერთი ცვლის მეორეს. შიო, ერთ შემთხვევაში, ილუზიონისტის ოსტატობით იდებს ნაკვერჩხალს ხელზე და ზედ საკმეველს ასხამს, მეორე შემთხვევაში სავსე ჭიქა თავისით ჩერდება ჰაერში და ა. შ. — აგიოგრაფი კვლავ ქრისტიანული დოგმატიკის პოზიციებიდან უტევს „ურწმუნოთ“ და გულდიად კითხულობს. „რაჲსა განკვირვებულ ხართ, ძმანო!?“ „ვინაჲთგან არა რომელი საქმე შეუძლებელ არს ღმრთისა მიერ და მისი არს აწ ქმნილიცა ესე სასწაული“.[16] აქ აშკარად გამოთქმულია სახარების აზრი, რომ ადამიანი თვით არაფრის შემოქმედია. წმინდანიც ადამიანია, მაგრამ იგი წმინდაა, ღმერთის მადიდებელია და თვით ღმერთი აძლევს თავის რჩეულს საკვირველთმოქმედების ძალას „სადიდებლად მონისა თვისისა“.

აგიოგრაფები წმინდანის მოქალაქეობას და მის სასწაულთმოქმედებას წინა პლანზე აყენებდნენ მის ბიოგრაფიულ მომენტებთან შედარებით: დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრების ავტორი არას გვეუბნება დავითის მშობლებისა და საერთოდ ბავშვობის პერიოდზე, აღზრდის გარემოზე. ამაზე ლაპარაკი არც დავითის ცხოვრების პირველდამწერელს ჰქონდა, რადგან, პირველ რიგში, აინტერესებდა წმიდანის სწორედ საქმენი და სასწაულნი. „სასწაულთა და ნიშთა მხოლოდ სასწრაფო იყო მისა მითხრობად, ხოლო სხუანი ყოველნი ვითარ ნამეტნავნი დაეტევნეს“.

ზოგ შემთხვევაში აგიოგრაფები შეთხზული სასწაულის რეალობის ილუზიას ქმნიან, მათ უკავშირებენ მატერიალურ საგნებს, ე. ი. სასწაულს თან სდევს მოჩვენებითი რეალობის შტრიხი — მაგ. იმ ადგილას, სადაც ღმერთმა ელვით დახწვა გველეშაპი, დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მიხედვით, იხილვება მოტიტვლებული, დამწვარი ადგილი, სადაც ბალახი აღარ ამოდის, გ. ათონელის პატარა მოწაფე, აწ დავაჟკაცებული პანტელეიმონი თვით მოუთხრობს მსმენელებს სასწაულს, რომლის ტრაგიკული პერსონაჟიც თვით იყო და ა .შ.

ქრისტიანული რელიგიის ქადაგების და დამკვიდრების პერიოდში, მის ბრძოლაში წარმართობასთან, მისი იდეოლოგიის დამკვიდრებაში სათანადო როლი უნდა ეთამაშა „კურნების ხელოვნებას“, როგორც წარმართ მასაში ნდობის მოპოვების ერთ-ერთ ხაშუალებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ხელოვნება ზოგჯერ „სასწაულად“ აღიქმებოდა.

აგიოგრაფები მოხერხებულად იყენებენ სასწაულს არა მარტო ქრისტიანული რელიგიური დოგმების დასამკვიდრებლად, არამედ მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიზნებისთვისაც — წმინდა ნინო თვით ღვთისმშობელმა წარმოგზავნა საქართველოში, რათა წარმართული, „ბნელისაგან“ დაეხსნა მისი წილხვდომილი ერი. ავტორი არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას ამ მომენტის აღნიშვნისთანავე ერთხელ კიდევ შეახსენოს მკითხველს თუ მსმენელს ქართველი ხალხის ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დიდი ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობა. ჩვენი ფიქრით, სწორედ ნაციონალურ პლანში უნდა იქნეს განხილული საყურადღებო სასწაული, რომელიც „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშია“ ჩართული და პატარა ექვთიმეს გადარჩენას, ასევე მის მიერ ქართული ენის სასწაულებრივად დაუფლებას ეხება. როგორც ცნობილია, ექვთიმე პატარა წაიყვანეს საბერძნეთში, მაგრამ იგი მალევე მოხვდა ათონის ივერის მონასტერში და, უნდა ვივარაუდოთ, იოანეს და სხვათა მიერ იწაფებოდა, პირველ რიგში, ქართულსა და შემდეგ და შემდეგ ბერძნულ ენაში, ასე რომ მისგან მივიღეთ ორენოვანი მწერალი, რის ტრადიცია ადრევე იყო ქართულ კულტურაში, მაგრამ გ. ათონელი საჭიროდ მიიჩნევს ეს უაღრესად რეალური ფაქტი სასწაულებრივად წარმოადგინოს და, ამავე დროს, წინა პლანზე ღვთისმშობლის დამსახურება წამოსწიოს — სწორედ ღვთისმშობელმა იხსნა გადაგებული ექვთიმე, იხსნა, რადგან იგი სჭირდებოდა ქართული კულტურის ხვალინდელ დღეს, გარდა ამისა, მას ქართული „ხსნილად უბნობა“ ასწავლა, მაშინ, როდესაც ექვთიმეს მანამდე დავიწყებული ჰქონდა დედა ენა. ღვთისმშობლის კულტის წარმოჩენა ქართული ენის სასწაულებრივი შეთვისების პროცესში ჩვენ შემთხვევით მოვლენად არ გვეჩვენება და უდაოდ გამოძახილი უნდა იყოს გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნებისა და იოანე-ზოსიმეს მიერ ქართული ენის საზეო ენად, ბერძნულის თანასწორ ენად გამოცხადებისა.

მეტად საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იდეოლოგიური ცილობა, რელიგიურ დოგმათა დაპირისპირებულობა სასწაულებრივ ასპექტში აქვს აგიოგრაფს გადაწყვეტილი — გ. მთაწმინდელი გვაცნობს ერთ ეპიზოდს ექვთიმე ათონელის ცხოვრებიდან, რომელსაც ამ უკანასკნელმა „სიტყვის გება“ მოუგო „შჯულის-მეცნიერ ჰურიას“. როგორც ჩანს, ექვთიმეშ ჩიხში მოაქცია იუდეველთა სარწმუნოების მესვეური, „ულონო იქმნა ჰურიაჲ იგი წინაშე ნეტარისა მამისა ეფთიმესა და “იწყო

გმობად ქრისტიანეთა უბიწოსა სარწმუნოებასა“. ასეთივე გამარჯვება მოუპოვებია ექვთიმეს სხვა „ჰურიაზეც“, რომელიც ყოფილა „შჯულის — მეცნიერი და სწავლული ფრიად და განთქმული ცილობასა ზედა“. ამანაც, პირველის მსგავსად, ქრისტიანობის ლიტონი ლანძღვა დაიწყო, რადგან ექვთიმეს ლოგიკა ულმობელი იყო, „განუმარტებდა ყოველსავე უალრეს ცნობისა“. საქმე აქაც სასწაულით დამთავრდა და ღვთისმგმობელმა მას „დაუყო პირი“.

მოხერხებულად იყენებდა ეკლესია სასწაულს არა მარტო როგორც იდეოლოგიური ბრძოლის იარაღს, როგორც ტერორის საშუალებასაც სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა და „წვრილი ერის“ მიმართ, არამედ იგი მჭრელი იარაღი გამოდგა მისი ეკონომიური ბაზის განმტკიცებისათვის. საამისო მაგალითები მრავლად დაიძებნება ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში — პეტრე იბერის (ქართველის) ცხოვრებაში ბერების ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა ერისკაცი — ფეოდალი, რომელიც შეშფოთებას მოუცავს, რადგან ბერები არღვევენ მისი მამულის მიჯნას. სავსებით სწორად აღნიშნავს პროფ. რ. ბარამიძე, რომ „ბერები ღვთაებრივი ტერორის ქვეშ დაყენებით აიძულებდნენ ფეოდალებს, რათა მათ დათმონ „აგარაკნი“ და „სახნავსათესი“ თუ ტყის მონაკვეთი. ისინი მორიდებულად მოწყალებას კი არ ითხოვენ, არამედ „ურჩეულეს“ დაბებზე აცხადებენ პრეტენზიას.“17

ფეოდალიზმის ეკონომიურ ბაზას მიწა და ამ მიწაზე მსხდომი ყმები წარმოადგენენ, ისევე, როგორც ეკლესია-მონასტრისა. წვრილი ერის „შრომა იყო ამ ორივეს სარჩო-საბადებელი, სწორედ ამიტომ ერთეულ შემთხვევებში სასწაულთა დანიშნულება კონკრეტული, პრაქტიკულია. მოუსავლიანობა, გვალვა ერთნაირი უბედურება იყო როგორც საზოგადოების სხვა ფენებისათვის, ისე ეკლესიისთვისაც, ამიტომ ჯვრით სვლა, წირვა, ლოცვა-ვედრება უხვი წვიმისა და მოსავლის გადარჩენისათვის იშვიათი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ჩანს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“.

რაც უფრო დიდი იყო წმინდანი ,მით უფრო მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო მის მიერ ჩადენილი სასწაულები. ხშირად სასწაულის საფარქვეშ უნდა ვეძიოთ მოვლენათა ნამდვილი მიზეზი, რომლის დაფარვასაც ამა-თუ იმ იდეოლოგიური მოსაზრებით საგულდაგულოდ ცდილობენ აგიოგრაფები — მოისარს, რომელმაც ხელი აღმართა გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად, მარჯვენა მყისვე შეახმა, ცქირი, რომელმაც წვრილი ერი და (განა მარტო წვრილი ერი?) დარაზმა გრიგოლის მიერ აშენებული მონასტრების დასანგრევად, უმალ მოკვდა და ა. შ. გულუბრყვილობა იქნება, ასეთ ფაქტებში არ დავინახოთ მათი რეალური შინაარსი, რომელიც აგიოგრაფის მიერ მიჩქმალულია, რა თქმა უნდა, თუ სინამდვილეა ამ სიტყვებით გამოხატული და არა ეპიზოდური, შეთხზული თვით სასწაულისათვის, თუმცა ასეთი დაშვება ჩვენ ძალიან გვეეჭვება. აქ სწორედ რეალურ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე, თორემ სხვა შემთხვევაში აგიოგრაფი უდაოდ ეცდებოდა მხედველობის არედან გაეშვა მონასტრისადმი, თვით მისი იდეოლოგიისადმი შეუსაბამო ფაქტი — „წვრილი ერის“ ბრძოლისა სარწმუნოების წინააღმდეგ, სოციალური ბრძოლისა.

## შენიშვნები

1. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 112.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928, I, გვ. 321.
3. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 178.
4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, 1971, გვ. 97.
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, 1971, ცხოვრება იოვანე ზედაზნელისა, გვ. 97.
6. იქვე, გვ. 97.
7. იქვე, გვ. 153.
8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, 1971, ცხოვრება დავით გარეჯელისა“, გვ. 171.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 376.
10. ძველი ქართული აგიორაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, 1971, გვ. 141.
11. საქართველოს სამოთხე, 1882, თხრობა სასწაულთაავის შიოსთა, გვ. 257 — 258.
12. იქვე.
13. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 173.
14. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, 1975, იხ. ტექსტი, გვ. 161.
15 იქვე, გვ. 156.
16. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, 1971 წ, III გვ. 148 — 149.
17. რ. ბარამიძე ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბარამიძე

# მოგონებათა ფურცლები

## 1. ჩემი სოფელი

მე დავიბადე გურიის პატარა, მშვენიერ სოფელ ჯუნჯუათში (ლანჩხუთიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული), 1902 წლის 27 მარტს, თუმცა მეტრიკის წიგნში იმავე წლის 25 ნოემბერია ჩაწერილი. ჯუნჯუათი ორი უბნისაგან შედგება: მერე და ეწერი, მათ ჰყოფს ორაგვისღელე (ეს ღელე სოფელ ორაგვეში იღებს სათავეს, აქედან მოდის მისი სახელწოდება). მერე ორაგვისღელის დაბალ ნაპირზეა, ეწერი—მაღალ ნაპირზე. ჩვენი სოფლიდან იწყება აღმართი, რომელსაც აგვირგვინებს ნიგოითის მთების უმაღლესი მწვერვალი — სამების მთა. ჩემი ბავშვობა მიმდინარეობდა ორაგვისღელისა და სამების მთის კალთების მიდამოებში.

მამაჩემი, გიორგი მათეს ძე ბარამიძე, სოფლის მღვდელი იყო და საღვთო სჯულის მასწავლებელი, დამთავრებული ჰქონდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, იყო წიგნიერი, რუსულის კარგი მცოდნე, იცოდა ბერძნული ენაც. რვა და-ძმანი ვიყავით, ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით. მამაჩემი უპირატესად მიწისმოქმედებას მისდევდა, დედა (სოფიო მიხეილის ასული იმნაძე) იყო გამრჯე დიასახლისი, ყოველგვარი საოჯახო საქმე მას ეკითხებოდა. მამაჩემს მიწა ცოტა ჰქონდა. მიწის პატარ-პატარა საზიარო ნაკვეთები გაფანტული იყო სამების მთის კალთებზე და მის ხევებში (ღარდებში) — გუგულას, კვანტასოულში, ტომაყველში, ტუტკიეთში, ბაკანაში და ზედა-ვაკეზე (უკანასკნელი სამების მწვერვალის ძირას). ჩვენი მოზიარენი იყვნენ ქაიხოსრო და რაჯაბ ბარამიძეები (რაჯაბის შვილია გრიგოლ ბარამიძე, შვილიშვილი რევაზ ბარამიძე). მე და ჩემი უმცროსი ძმა ვანო, ქაიხოსროს შვილი ბენია (ჩემი კბილა და სკოლის ამხანაგი) და ვანოს სკოლის ამხანაგი გრიგოლი ვიყავით სადილის მომტანნი. ჩემი უფროსი ძმა ბენო (შემდეგ დიდხანს სკოლის დირექტორი და თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე) მამას შველოდა ყანაში. ხალისითა და ჟრიამულით ავყვებოდით ხოლმე მთის ბილიკებს, მიგვქონდა კალათებში სუფთად ჩალაგებული სანოვაგე, ჩვეულებრივ ეს იყო კეცზე გამომცხვარი ცხელი მჭადი, ტარანი ტყემლის წვენით, დერგის ყველი და მწნილი, „ხაპებით" ვეზიდებოდით ნაკადულის ცივ წყალს, ზოგჯერ ჩაცივებული იზაბელას („ადესის") ღვინოც აგვიტანია დოქით. ცხელი მჭადი კაკლის ხის ფოთლებში იყო გახვეული და განუმეორებელ სასიამო სუნს გამოსცემდა. რა მადიანად შევექცეოდით ყანის ნაადრევ სადილს!

დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ღომის „წყობა" აჭინარში, ღამის თევა ნელ ცეცხლთან ნალიის ქვეშ (ნალიაში ახლად მოჭრილი ღომის-ღომის ძნები იყო დახვავებული და გასაცეცხვავად მზადდებოდა). ნალვერდალში იწვებოდა ჭყინტი სიმინდი და ხაპი (ხაპერა), უხვად იყო ტკბილი მაჭარი და ახლად შემოსული ნიგოზი. ბავშვები გულისყურით ვუსმენდით უფროსების საინტერესო სათავგადასავლო ამბებს, მახვილგონივრულსა და მახვილ სიტყვიერ ოხუნჯობას...

კვანტასოულში რამდენიმე ძირი იზაბელა გვქონდა თხმელის ხეზე გაშვებული. კარგ მოსავალს იძლეოდა. საამო სანახავი იყო შავი მტევნებით დახუნძლული ვაზის ტოტები, სუროსავით რომ ეხვეოდა ხეებს ძირიდან კენწერომდის. ახლა საკვირველად მეჩვენება, მაგრამ ფაქტია, მწიფე ყურძენს არავინ გარეშე ხელს არ ახლებდა, თუმცა კვანტასოული ჩვე-

ნი სახლიდან კარგი მანძილით იყო დაშორებული და მცველი არასოდეს ჰყოლია.

ადრე ორაგვისღელე არ შრებოდა, წვიმების დროს ადიდდებოდა ხოლმე, ნაპირებს წყლით დაფარავდა და დიდ ზარალს აყენებდა პატარ-პატარა წისქვილებს, რომლებიც კოხტად იყვნენ ჩამწკრივებულნი ჩვენი სოფლიდან ზევით ორაგვისღელის სათავემდის. ორაგვისღელე მდიდარი იყო წვრილი თევზით. განსაკუთრებით განთქმული იყო ორაგვისღელის ქაშაპი. ო, რა მიყვარდა ამ ღელის დაგუბებულ ტბაში ბანაობა და ხელით თევზის ჭერა. რა სიამე შეედრებოდა ამას. ახლა ორაგვისღელე თითქმის მთლიანად შრება ზაფხულ-შემოდგომაზე ჩვენი სოფლის ქვემოთ და ველარ აღწევს ფიჩორამდის, რომელსაც წინათ უერთდებოდა. მიზეზი — ტყეების გაჩეხა სამების მთის კალთებზე და ღარდებში (ხევებში). ეს ღარდები სავსე იყო ყინულივით ცივი ნაკადულებით, რომლებიც თავს იყრიდნენ ორაგვისღელეში და მის მუდმივ მასაზრდოებელ წყაროს შეადგენდნენ. ეს კია, რომ რამდენიმე ნაკადული მილების საშუალებით ახლა გემრიელი წყლით ამარაგებს ლანჩხუთსა და ჯუნეწერს.

ჩემმა სოფელმა და ბავშვობისას იქ გატარებულმა წლებმა შემაყვარა მშობლიური მიწა და მშობლიური ხალხი, მშობლიური ენა („სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი... ჩემი სამშობლო ის არი“), შემაყვარა შრომა და გარჯა, მაგრძნობინა მშრომელი კაცის გამრჯე მარჯვენის ძალა და მისი ზნეობრივი სიფაქიზის მნიშვნელობა. ჩემს სოფელში და მის ახლო არე-მარეში (გეოგრაფიული ფარგალი, მართალია, ძალიან ვიწრო მქონდა) მაშინ ძალიან იშვიათი იყო ქურდ-ბაცაცობა, კაცისკვლის შემთხვევა კი მე საერთოდ არ მახსოვს. უზნეო და უქნელა კაცი თითით საჩვენებელი იყო და საყოველთაო გაკიცხვას იწვევდა. ჩემს ცნობიერებაში ყრუდ იჭრებოდა ერთობის კაცის იდეალური სახე. „სტრაჟნიკისა“ და „პრისტავის“ გაგონება შიშს მგვრიდა და მათდამი სიძულვილის გრძნობას იწვევდა.

სასკოლო ასაკისა (შვიდი წლისა) ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში გაიხსნა სკოლა. ეს დიდი ბედნიერება იყო, რადგან ჩემს უფროს ძმას საკმაოდ შორს მანძილზე უხდებოდა სასწავლებელში სიარული. სწავლის ფასი ერთგვარად შემეცნებული მქონდა მამაჩემისა და უფროსი ძმის წყალობით. მამა, როგორც ვთქვი, წიგნიერი იყო, გამოწერილი ჰქონდა ქართული ჟურნალ-გაზეთები („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“). ჩვენი სახლის კედლები აჭრელებული იყო შპალიერად გამოყენებული გაზეთების ფურცლებით. კითხვა სწორედ ამ „კედლის გაზეთებით“ შევისწავლე.

მამა ბევრს მიამბობდა სწავლა-განათლების სარგებლობასა და სიკეთეზე, მიღვივებდა სწავლის სურვილს. სწავლა წარმატებით დავიწყე და მალე „პირველი მოწაფე“ გავხდი. გაჭირვება მაშინ ვიგრძენი, როცა რუსულზე გადავედით (ყველა ტიპის სახაზინო სკოლაში სწავლა რუსულად წარმოებდა.) რუსულის არა გამეგებოდა რა. ამის სამწუხარო შედეგი მალე ვიგრძენი. ერთხელ ჩვენს სკოლას ეწვია რევიზორი, ვინმე გასპარიანცი. რევიზორი დაგვესწრო სღვთოსჯულის გაკვეთილზე (სღვთოსჯულს მამა გვასწავლიდა). ტექსტებს ზეპირად ვსწავლობდით მექანიკურად, უმეტეს წილად მათი შინაარსი სრულიად არ გვესმოდა. მამაჩემმა გამომიძახა და დამავალა მომეთხრო «Вход господень в Иерусалим». მეც სხაპასხუპით შევუდექი გაზეპირებულის „მოყოლას“. მივადექი ფრაზას «Господь наш Иисус Христос сидел на осле». ფრაზის პირველი ნაწილი წარმოვთქვი გამომეტყველად, მაგრამ უცებ ვიგრძენი მოულოდნელი ხიფათი. სადღაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად საშინელი ეჭვი აღმეძრა. ეს როგორაა, რომ, ძე-ღმერთი იესო ქრისტე იჯდა ვირზე («на осле»). ჩემს წარმოდგენაში „осел“ იყო სალანძღავი სიტყვა (სკოლის გამგე, პარმენ ბარამიძე, რომ გაგვიჯავრდებოდა „осел“-ს გვეძახდა). ჩვენც, ბავშვები, ზოგჯერ ვთამაშობდით რაღაც უხეშ „ვირობანას“ (ამ თამაშის მიხედვით ვინც ვირი გახდებოდა, უმოწყალოდ ვურტყამდით და ვიძახოდით „აცე, ვირო!“). როგორც ვთქვი, წამიერად კრიტიკული აზრი დამეუფლა, როგორ შეიძლებოდა, რომ იესო ქრისტე ვირზე მჯდარიყო? ალბათ, მე ვცდები-თქო, და «на осле» მომენტალურად შევცვალე სხვა გამოთქმით: «Господь наш Иисус Христос сидел на отце». რევიზორის სახეზე განცვიფრება გამოიხატა, «повторите еще раз последние слова», — შემომიბღვირა. ცალი თვალი მამაჩემისკენ გავაპარე, მის სახეზედაც შეშფოთება ამოვიკითხე. მივხვდი, რომ რაღაც მიუტევებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ რა? ჩემი გონება უძლური იყო გადაეწყვიტა ეს ამოცანა. სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ისევ დავიწყე «...Иисус Христос сидел... сидел... на...» და ველარ დავამთავრე, ღრიალი მოვრთე. ასე ვასახელე ჩემი თავიც, მამაჩემიც და სკოლაც, რა თქმა უნდა, ბევრი საყვედური მივიღე მამაჩემისა და სკოლის გამგისაგან.

მწარე გაკვეთილმა ორი რამ აშკარად მაგრძნობინა: პირველი, თუ რა განუზომელი სიკეთეა მშობლიურ ენაზე განათლების მიღება; მეორე, რამდენად საჭიროა რუსული ენის ბავშვობიდანვე დაუფლება. ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიღრმავა და განმიმტკიცა მამაჩე-

მის შეგონებამ. მან ბევრი მიამბო მშობლიური ენის სიყვარულის თაობაზე, მაგრამ მარტო მშობლიური ენით შორს ვერ წახვალო. მამაჩემის ეს სიტყვები ღრმად აღმებეჭდა გულში, თუმცა მაშინ არ დავიმჩნიე.

მამაჩემი ბევრს გვიამბობდა მე და ჩემს უფროს ძმას ბენის საქართველოს სახელოვან წარსულზე, გვაყვარებდა ამ წარსულს, თანაც გვაფრთხილებდა, საზოგადოებისა და ქვეყნისათვის რომ სასარგებლო გამოხვიდე, წარსულის სიყვარული საკმარისი არ არისო. მამა სულ იმას გვასწავლიდა, რომ ადამიანის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა ემსახურო საზოგადოებას, შენს კუთხესა და მშობლიურ ქვეყანასო. მამა ძლიერ მორწმუნე იყო, ოღონდ თავის ფანატიკურ მორწმუნეობას თავზე არ გვახვევდა. ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, რომ სარწმუნოებრივი გრძნობის გამო ერთხელ მამაჩემს ძლიერ ვაწყენინე. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, გაზეთში დავბეჭდე წერილი აღდგომის დღესასწაულის შესახებ აღდგომას აღმოსავლური ლეგენდა ვუწოდე. იმ წელს სააღდგომოდ სოფელში წაველი და მამაჩემს გაზეთი ჩავუტანე და მივახარე, რომ წერილი დამიბეჭდეს. ასე მეგონა, რომ ამით მას ვასიამოვნებდი. მამაჩემმა წერილი გულდასმით წაიკითხა, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, თავშეკავებულად და მორიდებით საყვედური მითხრა. „შვილოო — მომმართა, — მე ჩემს რწმენას თავზე არ გახვევ, რაც გინდა წერე და ბეჭდე, მაგრამ ერთ რამეს კი გთხოვ, ჩემს გრძნობებს ნუ შეურაცხყოფ და მსგავსი ხასიათის წერილებს მომავალში ნუ მაჩვენებ“. შემრცხვა, რომ მამაჩემს უნებლიეთ გული ვატკინე.

ჩვენი სკოლის გამგის პარმენ ბარამიძის ორივე ვაჟი ფოთის გიმნაზიაში სწავლობდა. არდადეგებზე სოფელში ჩამოდიოდნენ და ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. უმცროსი ვაჟი, მიშა, ჩემი ტოლი იყო. მომწონდა მათი სასკოლო ფორმა. ავიტეხე, მეც გიმნაზიაში მასწავლეთ-მეთქი. მამას უჭირდა თანხმობის მიცემა ხელმოკლეობის გამო, მირჩევდა უფროს ძმასთან ერთად სწავლა გამეგრძელებინა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ორივე ერთად იქნებით, უფრო იოლად გამოხვალთო. ჯიუტური დაჟინებით მე ჩემი გავიტანე. 1912 წლის სექტემბერში გამოცდები ჩავაბარე და ფოთის გიმნაზიის უფროსი მოსამზადებელი განყოფილების მოწაფე გავხდი. მამაჩემმა ერთი შორეული ნათესავის ოჯახში მიმაბარა, რიონის სანაპიროს ახლო, მიყიდა წიგნები, ფორმის ტანსაცმელი, ათი შაური ჩამიდვა ჯიბეში, დამარიგა როგორ დამეჭირა თავი სკოლაში, შინ და გარეთ, მაგრად გადამკოცნა და გამომეთხოვა. მარტოდ დავრჩი უცხო ოჯახში და უცხო გარემოში, თვალებზე ცრემლი მომადგა, მაგრამ რა გაეწყობოდა, მამაჩემმა ხომ სურვილი შემისრულა! იმ ღამეს (შემდეგაც ბევრჯერ) ჩუმად ვიტირე; მალე „ღრუბელმა გადაიარა, თან გაიტანა ჩემი ნაღველი“. ასე თუ ისე შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. ცხოვრების ახალი ხანა დამეწყო.

## 2. გიმნაზიაში

ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მეექვსე კლასამდის (1912-1918 წლები) ვსწავლობდი. შემდეგ ხაშურში გადავედი და საშუალო სასწავლებელი 1920 წელს იქ დავამთავრე.

ფოთის გიმნაზია იყო ერთ-ერთი მოწინავე საშუალო სასწავლებელი. იქ საუცხოოდ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზკულტურას, მოწაფეთა ჯანმრთელობას, პირად ჰიგიენას, ყოფა-ცხოვრებას, ჩაცმა-დახურვას, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ქუჩაში თავის დაჭერას.

კარგად ისწავლებოდა ენები (გერმანული, ფრანგული, ლათინური), განსაკუთრებით რუსული. სამაგიეროდ სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული, იგი არასავალდებულოდ ითვლებოდა და ნებაყოფლობით საფუძველზე მხოლოდ ბოლო საათები (მეექვსე გაკვეთილები) ეთმობოდა.

თებერვლის რევოლუციამდე გიმნაზიას ხელმძღვანელობდა განათლებული პედაგოგი, პირქუში, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ადმინისტრატორი ალექსანდრე იოსების ძე იაგულოვი. გვიან გავიგეთ, რომ იგი თურმე ქართველი იყო, იაგულაშვილი (კათოლიკე მესხი). იაგულოვმა ფოთის გიმნაზიაში თავი მოუყარა მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებს. დიდი სიამოვნებით ვიგონებ ალექსანდრე მიხეილის ძე ნერონოვს (მათემატიკოსს, ჩვენი კლასის დამრიგებელს), ისტორიკოსებსა და ლათინისტებს ანდრეი ივანეს ძე ვოლობუევსა და იური ფერდინანდის ძე გილერტს, ანატოლი ალექსანდრეს ძე იასტრებოვს (გეოგრაფს), ჰენრიხ ვაცლავის ძე ბოურს (გიმნასტიკის მასწავლებელს, ჩეხს.)

ნერონოვი ხშირად სიამაყით ახსენებდა თავის უნივერსიტეტის ამხანაგს, შემდეგ განთქმულ ქართველ მათემატიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის წევრს ანდრია რაზმაძეს. ნერონოვი იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი, კეთილი, ჰუმანური, ზრდილი, ტაქტიანი, ბილწსიტყვაობას ერიდებოდა (სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებელი ხშირად ხმარობდა უწმაწურ სიტყვებს). ერთხელ ნერონოვმა საკლასო ჟურნალი გასინჯა და შეამოწმა, თუ ვინ არ ესწრებოდა ქართულის გაკვეთილებს. მან სასტიკად დატუქსა ის ქართველი ბავშვები, რომლებიც მშობლიურ ენ-

ას არ სწავლობდნენ, სამაგიეროდ ძალიან შეაქო ვანო აფენდოპულო (ბერძენი), რომელიც ქართულ გაკვეთილს არ გააცდენდა. სხვათა შორის, ნერონოვმა ქართველი ქალი შეირთო ცოლად და მყუდრო ოჯახი შექმნა. სამწუხაროდ, ადრე დაიღუპა (რიონში ბანაობისას დაიხრჩო).

1914 წელს, ომის დასაწყისში, შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები, მათ შორის ფოთი, დაბომბეს გერმანიის სამხედრო ხომალდებმა „გებენმა" და „ბრესლაუმ". ამის გამო ფოთის, ბათუმისა და სოხუმის გიმნაზიები გახიზნეს. ფოთის გიმნაზია ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ შეიკედლა, 1914-1915 სასწავლო წელი იქ გავატარეთ. თუმცა მაშინ მეორე კლასის მოწაფე ვიყავი, კარგად ვხედავდი, როგორი განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა ქუთაისის გიმნაზიაში. მე ბევრჯერ მინახავს ამ გიმნაზიის სახენათელი დირექტორი იოსებ ოცხელი (ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი, ჭაღარა წვერ-ულვაშით დამშვენებული სანდომიანი კაცი) ტკბილი ქართულით რომ ემუსაიფებოდა მის გარშემო თავმოყრილ მოწაფეებს. როგორ შევნატროდით მათ! ასეთი რამ ჩვენთვის საოცნებოდ რჩებოდა.

განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მოვიგონო ფოთის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი. დაწყებითს კლასში ამ საგანს გვასწავლიდა ლადო გაგუა, ფრიად სიმპატიური ადამიანი. იგი ძალღონეს არ იშურებდა და ყოველმხრივ ცდილობდა ჩაენერგა ჩვენთვის მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარული. სახელმძღვანელოდ გვქონდა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი". უფროსკლასელები გვიქებდნენ მელიტონ კელენჯერიძეს (ლიტერატურათმცოდნესა და ფოლკლორისტს, მწერლობაში ცნობილი იყო ტონკმელის ფსევდონიმით). იგი რუსულ ენაზე საღვთო სჯულს გვასწავლიდა და ამ საგნისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა. როცა შემთხვევით ილიასა და აკაკიზე სიტყვას ჩამოაგდებდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გამოცოცხლდებოდა, ჩვენც აღტაცებით ვუსმენდით.

თებერვლის რევოლუციამ მეოთხე კლასში მომისწრო, მეხუთე კლასიდან დაიწყო სკოლის ეროვნულ ლიანდაგზე გადაყვანა. ქართულმა ენამ და ლიტერატურამ ამ დროიდან ცენტრალური ადგილი დაიჭირა. საბედნიეროდ, პედაგოგიც ღირსეული დაგვინიშნეს — გიორგი ჩიტაია, აწ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მან პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილთან მუშაობაში გაიწაფა, მასწავლებლობა ფოთის გიმნაზიაში დაიწყო და თავის საგანს მშვენივრად უძღვებოდა. ბევრს გვაკითხებდა და გვაწერინებდა. ერთხელ მან საკონტროლო თემა დაგვაწერინა — „სამშობლოს სიყვარული ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების მიხედვით". რამდენიმე დღის შემდეგ რვეულები მოიტანა. ჩემი ნაწერი მოსწონებოდა, შენგან კრიტიკოსი გამოვაო, მითხრა. მისი პროგნოზი თითქო ნაწილობრივ გამართლდა.

რევოლუციის შემდეგ ერთხანს გიმნაზიაში დისციპლინა შეირყა, ამან უარყოფითი გავლენა იქონია აკადემიურ წარმატებაზე. მოწაფეთა კომიტეტის ხელში ბევრი უფლება გადავიდა. კომიტეტის პირველი აქტი ის იყო, რომ დირექტორობიდან მოხსნეს იაგულოვი (ვითომ ძველი რეჟიმის მომხრეაო). მის ნაცვლად მოიწვიეს სერგი დანელია (იგი ადრე, იაგულოვის დროს, ფოთის გიმნაზიაში მასწავლებლობდა), შემდეგ ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. ს. დანელია დიდად განსწავლული, ბრწყინვალე პედაგოგი იყო. თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე პედაგოგი მეცადინეობას გააცდენდა, მას თვითონ ცვლიდა. ს. დანელიას არაერთხელ ჩაუტარებია ჩვენთან გაკვეთილი-საუბარი ისტორიაში, გეოგრაფიაში, რუსულ სიტყვიერებაში, უცხო ენებში. ყველაფრის კარგ ცოდნას და გადაცემის იშვიათ უნარს იჩენდა. დაუზარელი იყო, ბეჯითი, ენერგიული, მომთხოვნი, ოღონდ ზომაზე მეტად ნერვიული. ჩემი აზრით, ადმინისტრაციული საქმე არ იყო მისი მოწოდების სფერო. ს. დანელია ფოთიდან მალე წაიყვანეს, დააწინაურეს, რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლების მთავარ ინსპექტორად დანიშნეს.

ოჯახური პირობების გამო VI კლასიდან ფოთის გიმნაზია დავტოვე და ხაშურში გადავედი. მერვე, დამამთავრებელი კლასის მოწაფე ვიყავი, როცა სარევიზიოდ მთავარი ინსპექტორი სერგი დანელია გვეწვია. მასწავლებელმა გამიძახა, კითხვები დამისვა და პასუხის გაცემას შევუდექი. ინსპექტორმა შემომხედა, მიცნო, გამიღიმა. შესვენების ზარი რომ დარეკა, ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მომესალმა, მომიალერსა, აქ რა გინდაო, მკითხა. მერე დირექტორს (შალვა სიმონის ძე ჩხეიძეს) და მასწავლებელს (კონსტანტინე გეგელიძეს) მიუბრუნდა და უთხრა: ხომ ხედავთ, ფოთის გიმნაზიის მადლი გამოჰყოლიაო. ინსპექტორის ყურადღებამ ჩემი ავტორიტეტი ძალიან აამაღლა.

ფოთის გიმნაზიის თანაკლასელთაგან ვმეგობრობდი იასე ცინცაძეს (შემდგომში უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი), სიკო დოლიძეს (ცნობილი კინორეჟისორი), გიორგი ბედელაძეს (ერთ დროს თვალსაჩინო პარტიული მუშაკი იყო), ძმებს ლევან და დავით კელენჯერიძეებს (ლევანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია, დავითის ბედისა არა

ვიცი რა), კაკო მარს (ცნობილი ალპინისტია, ნიკო მარის ნათესავი). კაკო მარი ბევრს გვიამბობდა თავისი ბიძის, პეტერბურგელი სწავლულის შესახებ.

სხვათა შორის, მეხუთე კლასში ვცემდით იუმორისტულ ხელნაწერ ჟურნალს „მელაკუდას" (ჟურნალს რედაქტორობდნენ სიკო დოლიძე და ჩემი მოგვარე მიხეილ ბარამიძე). ერთი თუ ორი კლასით ჩემზე წინ იყვნენ. ეგნატე ფიფია (გამოჩენილი დასტაქარი), ვლადიმერ ზამბახიძე (პედაგოგიკის პროფესორი, მწერალი-კრიტიკოსი), კ. ხოშოლავა (ბიოლოგიის პროფესორი), ნიკო ხოშტარია (მათემატიკოსი, დოცენტი). ყველა ამათთან, ისე როგორც გიორგი როგავასთან (ენათმეცნიერების პროფესორი), რომელიც მომდევნო კლასელი იყო, ამხანაგობა და მეგობრობა მქონდა.

ფოთის გიმნაზიას ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებ. ამ სასწავლებელს უკავშირდება ჩემი პირველი ოცნება, გატაცება, პირველი შეუცნობელი ნაბიჯები რთული ცხოვრების გზებზე.

1918 წლის სექტემბრიდან სასწავლებლად გადმოვედი ხაშურის გიმნაზიაში. შემიკედლა ჩემმა უფროსმა დამ ქსენიამ, რომელიც ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალ თადეოზ სხილაძეს მითხოვდა, საჭმელ-სასმელი და ბინა გარანტირებული მქონდა. ჩასაცმელ-დასახურავსა და სასწავლო ნივთებს ჩემი შრომით მოპოვებული გროშებით ვიძენდი (ვამზადებდი მოწაფეებს, რაც მცირე შემოსავალს მაძლევდა). საბუთები რომ წარვადგინე და შესაფერის (მეექვსე) კლასში ჩარიცხვა ვითხოვე, ხაშურის გიმნაზიის ინსპექტორმა (ის მაშინ დირექტორის მოვალეობას ასრულებდა) გიორგი ჯანაშვილმა (ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის შვილმა) გაიკვირვა, ფოთის გიმნაზიიდან ხაშურში რამ მოგიყვანაო, ალბათ რაღაც დანაშაული ჩაგიდენია, ან ცუდად სწავლობდი, და გარიცხვის მუქარით ჩვენთან თავის შეფარება განგიზრახავსო. ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა. დაეკითხნენ ფოთის გიმნაზიის ადმინისტრაციას, მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ შეიწყნარეს ჩემი თხოვნა. მართლაც, ფოთის გიმნაზია ჩინებული სასწავლებელი იყო და კარგ ცოდნასაც იძლეოდა. მალე ხაშურის გიმნაზიის „პირველი მოწაფე" გავხდი. საქმე იქამდის მივიდა, რომ მეექვსე კლასიდან პირდაპირ მერვე, დამამთავრებელ კლასში გადამიყვანეს. გვქონდა სალიტერატურო წრე, ვცემდით ხელნაწერ ჟურნალს, ვაწყობდით ლიტერატურულ გასამართლებებს, ვდგამდით სპექტაკლებს... ამ საქმეებში ბევრს გვეხმარებოდა გეოგრაფიის მასწავლებელი პეტრე ჭაბუკიანი (შემდგომ სათაფლიის მღვიმის აღმომჩენი), რომელიც ჩემი მაშინდელი წარმოდგენით კარგ ლექსებს წერდა.

ჩემი დროის მოწაფეობა პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში იყო ჩაბმული. გამონაკლისს არც მე შევადგენდი. თავიდან უფრო ფედერალისტებს თანავუგრძნობდი, შემდეგ ჩემი სიმპათია გადაიხარა ე. წ. მაშვრალთა ანუ რევოლუციურ სინდიკალისტთა კავშირის მხარეზე. საბოლოოდ იქაც გული გამიცრუვდა. ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა ხაშურელ მოწინავე, ხელმძღვანელ კომუნისტებთან, კერძოდ, მემანქანე გრამიტონ მოწონელიძესთან და მასწავლებელ არჩილ გიორგაძესთან (არჩილ გიორგაძე პერსონალური პენსიონერია, ახლაც კეთილ მეგობრულად ვხვდებით ერთმანეთს). ბევრჯერ მათთან ერთად გამოვსულვარ პოლიტიკურ თავყრილობაზე, ზოგჯერ არალეგალური ხასიათის დავალებებსაც ვასრულებდი. ორგანიზაციულად კი პარტიაში არ ვყოფილვარ.

ჩემი მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი მხოლოდ ბუნებრივ ალღოს ემყარებოდა. მასულდგმულებდა ეროვნული გრძნობა, მიტაცებდა სოციალური რადიკალიზმი. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ასეთი შემთხვევა. 1918 წლის ზაფხულში მოწაფეთა პატარა ჯგუფს ვამზადებდი დედულეთში (დაბა ლანჩხუთში). ბინად მქონდა ბაბუაჩემის, მიხეილ იმნაძის სახლი. იმ სახლში დროებით ცხოვრობდა იმდროინდელობის კვალობაზე საკმარისად შეძლებული ერთი მემამულე. ადრე ზაფხულის ერთ საღამოს მისი ბინიდან გამოვიდა შეზარხოშებული საზოგადოების მაღალი ხმა. „მეჯლისის" ზოგიერთი წევრი სიხარულს გამოთქვამდა თურქების შემოსევის გამო (თურქებს დაკავებული ჰქონდათ მთელი აჭარა და ოზურგეთშიც შემოიჭრნენ), შესვა მომავალი ბეგების სადღეგრძელოები. ბაბუაჩემი აღაშფოთა ბეგობის მოტრფიალეთა საქციელმა. მთხოვა ეს ამბავი ამეწერა და გაზეთში გამომექვეყნებინა, პასუხს მე ვაგებო მითხრა (მაშინ რამდენიმე საგაზეთო წერილისა და კორესპონდენციის ავტორი ვიყავი). მართლაც შევამზადე წერილი და ქუთაისის გაზეთ „ხალხის მეგობარს" გავუგზავნე. წერილი სწრაფად დაიბეჭდა („ჩვენი მხარე: წერილი ლანჩხუთიდან", გაზ. „ხალხის მეგობარი", 22. VI. 18.) და მხილებულთა მხრივ საშინელი რეაქცია გამოიწვია, სიკვდილითაც დამემუქრნენ, მაგრამ ბაბუაჩემის შეეშინდათ (საზოგადოებრივ აზრსაც უწევდნენ ანგარიშს). ბაბუა წარმოსადეგი ვაჟკაცი, უდრეკი და მებრძოლი ხასიათის გლეხკაცი იყო. ატყდა ერთი აურზაური, მითქმა-მოთქმა, ჩივილი, მიწევ-მოწევა. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ვნებათა ღელვა დაცხრა. ჩვენი კუთხის მასშტაბით მე საშიში ჟურნალისტის სახელი მოვიპოვე (პატარ-პატარა

წერილებს, ნარკვევებს და კორესპონდენციებს არა იშვიათად ვბეჭდავდი მოწაფეობისას და სტუდენტობის დროს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, უმეტესად „მებრძოლთა ხმაში", „ხალხის მეგობარში", „სახალხო გაზეთში", „ახალ ნაკადში", „მაშვრალთა ხმაში"...). იმავე ქუთაისის „ხალხის მეგობარში" (31. VII. 1918) გამოვაქვეყნე კორესპონდენცია, რომლითაც ვილაშქრებდი მთავრობის აგრარული რეფორმის წინააღმდეგ და მოვითხოვდი, რომ უმიწაწყლო გლეხებს უფასოდ გადასცემოდა მემამულეთა მიწები.

ხაშურელი მასწავლებლებიდან კმაყოფილებით ვიგონებ კონსტანტინე ეგელიძესა და ფრანც (ფერენც) ფრანცის ძე პავლატას (1918 წლის შემოდგომაზე ცოტა ხნით ქართულს გვასწავლიდა უკვე ძლიერ მოხუცი ცნობილი პედაგოგი და მწიგნობარი გიორგი იოსელიანი). ფრანც პავლატა, ეროვნებით ჩეხი, გვასწავლიდა გერმანულ ენას, ცოტა უცნაური და ახირებული კაცი იყო, მაგრამ განათლებული, კეთილი, უბრალო, გატაცებული პატრიოტი. პირველ გაკვეთილზე გამოგვიცხადა, რომ ის ჩეხია, ჩეხის ეროვნული მოძრაობის ერთგული მიმდევარი, პრეზიდენტ მასარიკის თაყვანისმცემელი. გერმანელები არ მიყვარსო, გერმანია დიდხანს ჩაგრავდა ჩემს სამშობლოს, მონობაში ჰყავდა ჩეხი ხალხიო. ნუ გაგიკვირდებათ, რომ გერმანულს გასწავლით. მართალია, გერმანია ბატონობას ჩვეული, პატარა ერების მჩაგვრელი გულზვიადი ქვეყანაა, მაგრამ გერმანელები ევროპის მოწინავე კულტურული ხალხია. ჩვენ ჩვენივე ეროვნული ინტერესების გამო გვჭირდება მათი ენის დაუფლება. ცოდნაზე დამყარებულ შრომასა და ბრძოლას ყოველთვის კარგი ნაყოფი მოაქვს, ამიტომ თქვენ, ქართველ ახალგაზრდებს, ჩეხი კაცი გულწრფელად მოგიწოდებთ დაეუფლოთ გერმანულ ენას.

სწავლის დამთავრებამდე რამდენიმე თველა რჩებოდა, რომ გიმნაზიასთან გაიხსნა მოზრდილთა საშუალო სკოლა. მიმიწვიეს ამ სკოლის მასწავლებლად. ნივთიერი მდგომარეობა საგრძნობლად გამიუმჯობესდა, თუმცა ეს არ მახარებდა. წინ ახალი საზრუნავი მქონდა — თბილისი, უნივერსიტეტი, სტუდენტობა. უნივერსიტეტი ახლა ახლოს იყო, ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ ჩემს ოცნებას ფრთები ეკვეცებოდა, როდესაც საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დგებოდა. მამაჩემს აღარ შეეძლო ნივთიერი შემწეობის აღმოჩენა. თვითონვე უნდა მეშოვა თავშესაფარი და რაიმე სამსახური თავის სარჩენად. ღმერთმა უშველოს ვანო ჩახავას, ჩემი სკოლის ამხანაგს, რომელმაც თბილისში ელისაბედის (აწინდელ კლარა ცეტკინის) ქუჩაზე თავისი ოთახის კუთხე დამითმო დროებით საცხოვრებლად. მანვე მიშოვა გაკვეთილები ევგრაფ მ-ლის გადასამზადებელ კურსებზე. გასამრჯელოს იმდენს ვიღებდი, რომ შავი პურისა და მჟავე კიტრისათვის მყოფნიდა. მეტის პრეტენზია არც მქონდა. მთავარი ის იყო, რომ უნივერსიტეტის სტუდენტად ჩავირიცხე და საოცნებო მატრიკულის პატრონი გავხდი. სექტემბრამდის უზრუნველყოფილი ვიყავი, მერე კურსები რომ დაიხურებოდა?

უნდა მოვიგონო ერთი უსიამოვნო დეტალი კურსებზე მუშაობის ისტორიიდან. ბ-ნმა ევგრაფ მ-მა გაკვეთილები რომ შემომთავაზა და შვიდი გოგონასაგან შემდგარი ჯგუფი გადმომაბარა სამეცადინოდ, დასძინა, რომ ორი გოგონა ძალიან ღარიბია და სწავლის ქირას მათ არ ვახდევინებო (ჩემი გასამრჯელო მოწაფეთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული). სეზონის შუაგულში იმ გოგონებმა რამდენიმე გაკვეთილი გააცდინეს. მიზეზი გამოვკითხე. გამოტყდნენ, ფულის შემოტანა დაგვაგვიანდა, ბ-მა ევგრაფმა სამეცადინოდ არ დაგვიშვაო. ამ ამბავმა ძალიან მატკინა გული, გამაოცა მასწავლებლის ყოვლად ულირსმა საქციელმა. ჩემი გაოცება მით უფრო დიდი იყო, რომ ევგრაფს თავი რევოლუციონერად მოჰქონდა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი თანამდებობა ეკავა განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში.)

გასაჭირი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, უთქვამს ჩვენ ხალხს. გაჭირვებამ და არსებობისათვის ზრუნვამ გამახსენა, რომ ერთ დროს მამაჩემთან ერთად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა მაშინდელი სახელმწიფო კონტროლიორი (მინისტრი) და უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი. გადავწყვიტე ბედი მეცადა და ბ-ნ ფილიპესაგან მეთხოვა დახმარება. მაგრამ მინისტრთან ვინ მიმიშვებდა?

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს ჩვენს ქვეყანაში? და აი, ერთმა ასეთმა კეთილმა ადამიანმა, მუშა ჟურნალისტმა ბესო ქელბაქიანმა მომიხერხა არზის გადაცემა ბ-ნ ფილიპეს მდივნისათვის (ესეც დიდი დახმარება იყო!). სამიოდე კვირის შემდეგ მიხმეს. სასწრაფოდ გავჩნდი სამინისტროში. კარისკაცმა ნელა შეაღო მინისტრის კაბინეტის კარი და მანიშნა შევსულიყავი. მორცხვად გადავლახე ზღურბლი, ძალზე ვღელავდი. დარბაზს მაინც შევავლე თვალი. ბ-ნი ფილიპე ვერ დავლანდე, შევცბი, ნირი წამიხდა. ფართო საწერ მაგიდას უჯდა მკაცრი გარეგნობის უცნობი კაცი. იგი მიხვდა ჩემს გაჭირვებას. მაგიდასთან მიმიწვია. სკამზე მიმითითა და ოდნავ გამიღიმა (რამაც უზომოდ გამამხნევა). კონტროლიორი საზღვარგარეთ ბრძანდებაო, მითხრა. შემდეგ გამომკითხა, თუ რამ გამაბედვინა ბ-ნი მინისტრის შეწუხება. რთგორღაც არეულად ავუხსენი სა-

ქმის ვითარება. უცნობს ისევ ღიმი დაეტყო ბაგეებზე. კარგიო, რამეს ვიღონებთო, დაბალი ხმით წაილაპარაკა (ამის გაგონებაზე სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა მთელს სხეულში). ღილაკს თითი დააჭირა, მდივნის პირით ვიღაც მოხელე იხმო. „ამ ახალგაზრდის მამა ბატონ ფილიპეს ამხანაგი ყოფილა წარსულში. გვთხოვს სამსახურს, იქნებ რკინის გზის სამმართველოში გავგზავნოთ ინჟინერ კარპოვიჩთან, ჩემი სახელით ბარათიც მისწერეთ". ასეთი დავალება მისცა პირველმა უცნობმა მეორე უცნობს (შემდეგ გავიგე, რომ პირველი უცნობი ყოფილა სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი.) უცნობის სიტყვებმა საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი ბედი. კეთილმყოფელს მოკრძალებით თავი დავუკარი (მადლობის თქმა ვერ მოვახერხე) და მოწყვეტით გავედი კაბინეტიდან. მაშინ დაახლოებით ის მომივიდა. რაც ერთ დროს ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილ დავით გურამიშვილს გადახდა — „მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექმნა ზანზარი..."

ასეთი სიკეთე მიყო ბ-ნ ფილიპე გოგაჩიშვილისა და მამაჩემის ძველმა მეგობრობამ („სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო", ამბობს დიდი ილია).

ასე და ამრიგად, 1920 წლის აგვისტოს მიწურულში რკინიგზის სამმართველოს მე-14 რანგის უმცროსი მოხელე გავხდი. ჩემი კლასის ამხანაგისა და მეგობრის გიორგი თურმანიძის წყალობით პატარა (მართალია, ბნელი) ოთახიც ვიშოვე მატინოვის (აწ კალანდაძის) ქუჩის მეხუთე ნომერ სახლის სხვენზე. თითქო ყველაფერს მივაღწიე: მაქვს საკუთარი საცხოვრებელი კუთხე, სამსახური, სტუდენტის მატრიკული. ჩემს ბედში მყოფი სხვას რას ინატრებდა?!

### 8. სტუდენტობის წლები

1920-1921 სასწავლო წლის პირველმა სემესტრმა ისე გაიარა, რომ დასამახსოვრებლად მნიშვნელოვანი რამ ჩემთვის თითქო არა მომხდარა რა. ყველაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ უშუალოდ ჩემი პროფილის ლექციებს ვერ ვესწრებოდი. ლექციები უმთავრესად დილის საათებში იკითხებოდა, საღამოობით კი ნაწილობრივ სემინარული მუშაობა წარმოებდა. ვერ ვესწრებოდი ვერც კ. კეკელიძის, ვერც ა. შანიძის და ვერც ი. ჯავახიშვილის ლექციებს. ვუსმენდი მხოლოდ დ. უზნაძეს (პედაგოგიკის ისტორიას) და შ. ნუცუბიძეს (ფილოსოფიის შესავალს). ორივე გვხიბლავდა ცოდნის სიღრმითა და იშვიათი ორატორული მჭევრმეტყველებით. ლექციებზე დაუსწრებლად როგორ უნდა დამეძლია ძველი ქართული ენა, ძველი ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია? სპეციალური ლიტერატურა ცოტა იყო. რაც იყო, ისიც ხელმიუწვდომელი რჩებოდა. მთელი დღე ვუნდებოდი სამსახურს, ლუკმა პურისთვის ზრუნვას. ფეხით მიხდებოდა სიარული მატინოვის ქუჩიდან რკინიგზის სამმართველომდის, იქით და აქეთ, ცოტათი ბორანი მიმოკლებდა გზას. არ იქნა და არა, გემო ვერ გავუგე სტუდენტურ ცხოვრებას. ეს ცხოვრება ადრე ძალიან რომანტიკულად და იდილიურად მესახებოდა. სინამდვილე სულ სხვა აღმოჩნდა, თურმე ოცნების ტყვეობაში ვიყავი. შევეცადე კიდევაც დამეხატა მაშინდელი ქართველი სტუდენტის ულიმღამო პორტრეტი (გაზ. „მაშვრალთა ხმა", 21. IV. 21). კაცმა რომ თქვას, ავტოპორტრეტი გამომივიდა.

ამასობაში პირველი სემესტრი მიიწურა. დადგა 1921 წელი, ჩვენი ხალხის ისტორიის უდიადესი წელი. ჩემს პირადულ განწყობილებას სავსებით ესალბუნებოდა მოვლენათა სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი; ამ განწყობილების შესაბამისი წერილიც გამოვაქვეყნე („მაშვრალთა ხმა" 10. IV. 21).

თებერვალმა თავისი თავი იმითაც მაგრძნობინა, რომ ჩემი საცხოვრებელი სახლის მეპატრონემ, ფრიად სიმპათიურმა ხანდაზმულმა დიასახლისმა ქ-ნმა იულია ალექსანდრეს ასულმა ჯანდიერ-ჩერქეზიშვილმა მეორე სართულზე შემომთავაზა პატარა, კოხტა, ორთვალიანი ოთახი. სახლი ქ-ნ იულიას სახელზე ითვლებოდა, მისი მეუღლე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კარგი შესახედავი მოხუცი, ქ-ნ იულიას, — მისი სიტყვით, — „მოურავად" ჰყავდა აყვანილი (ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ცნობილი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნათესავი იყო). დიასახლისი თურმე თვალ-ყურს ადევნებდა ჩემს საქმიანობას და ყოფა-ცხოვრებას. მოსწონებია, როგორც თვითონ ამიხსნა, ჩემი ბეჯითობა და აკურატობა, რატომღაც „ფრანცუზას" მეძახდა (პარიზში კი იყო ნამყოფი). საერთოდ ძალიან მფარველობდა. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება უცნაური, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი. გავიდა კარგი დრო, ქ-ნი იულია აღარ იყო ცოცხალი, როცა შემთხვევით მისი შვილიშვილი გულნარა ცოლად შეირთო ჩემმა უფროსმა ვაჟმა არჩილმა, ხოლო ჩემი ყოფილი სავანე მის სამუშაო კაბინეტად გამოცხადდა. „საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი!"

...ამრიგად, სხვენიდან დაბლა ჩამოვედი. დავსადგურდი ახალ ბინაში. მართალია, შესაშური ავეჯი არ მქონდა — ერთი დანჯღრეული სკამი და ძველი, უხეირო მაგიდა. სამაგიეროდ ბინას „ამშვენებდა" ვეებერთელა სკივრი, რომელსაც ზომაზე დიდი ადგილი ეჭირა ჩემს საბრძანებელში. სკივრს უნივერსალური დანიშნულება ჰქონდა, ღამით იგი საწოლი ტახტის როლს ასრულებდა, დღისით კი საწყობად

მქონდა (შიგ ვინახავდი ქვეშსაგებს, ჭურჭელს და სხვადასხვა ხარახურას) და წარმატებით ვიყენებდი სავარძლად. და, ბოლოს, ჩემი ოთახის ნამდვილ სამკაულს შეადგენდა შუშის ძველებური (მოდიდან უკვე გამოსული) საყვავილე ვაზა, რომელიც დიასახლისმა მისახსოვრა. როდესაც ელიაშვილებთან გადაველი საცხოვრებლად, ეს ვაზა „მზითვად“ წავიღე თან. სამწუხაროდ, მას მალე სარდაფში უკრეს თავი... ერთი სიტყვით, გამიჩნდა საკუთარი მყუდრო სადგომი. მერე რა რომ სადგომი იყო მოუწყობელი და საჭმელ-სასმელიც მაკლდა. მზე და სინათლე მქონდა თავსაყრელი. ეს იყო დიდი ღვთის წყალობა და ფასდაუდები ავლა-დიდება ახალბედა პროვინციელი სტუდენტისათვის...

კვირაობით დროს ვატარებდი უფროს ძმა ბენოსთან. იგი ჯარში მსახურობდა, არტილერისტი იყო. ბენო და მისი ამხანაგები გულუხვ მასპინძლობას მიწევდნენ, თავიანთ მწირ ულუფას მინაწილებდნენ და ზოგჯერ შინაც კი მატანდნენ შაქრის ნატეხს თუ პურის ყუას. კუჭ-მაძღარი ვბრუნდებოდი შინ (რასაკვირველია, ფეხით) და ხალისით ველოდებოდი მომავალ კვირას. მაგონდება ერთი კურიოზული შემთხვევა. გათენდა 1921 წლის პირველი იანვარი. ადრე დილით ძმასთან გავეშურე. შევუდექი ციციანთ აღმართს, წინ ორი ყარაჩოხელი (თუ კინტო) შემომეგება. არღანს აწრიპინებდნენ და იმპროვიზებული სუფრიდან გამვლელ-გამომვლელთ სასმისით ღვინოს სთავაზობდნენ, ახალი წელია, დაგვლოცეთო. მეც შემომაჩეჩეს ხელში სავსე სასმისი. ხათრი ვერ გავუტეხე, ვადღეგრძელე, ჭიქა დავცალე, მადლობა მოვახსენე და წასვლას ვაპირებდი, რომ ზორბა მეარღნე წინ გადამეღობა, მადლობა რის მაქნისია, შე დალოცვილო, ღვინო რომ გადაჰკარი, მუქთა ქეიფში ხომ არ ყოფილხარო. შევცბი. გავწითლდი. ჯიბეები მოვიქექე, უკანასკნელი გროში ამოვიღე, ჩემს კეთილისმყოფელ მასპინძელს მორცხვად ხელში ჩავუდე და სასწრაფოდ გავშორდი იქაურობას. ბენომ და მისმა ამხანაგებმა ბევრი იცინეს ჩემს გულუბრყვილობასა, ახალი წლის ნავსიან დასაწყისსა და ყარაჩოხელთა ხელგაშლილობაზე...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბენო ჯარიდან გაანთავისუფლეს. სოფელში წავიდა, ცოტა ხორაგი მოიმარაგა, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, სტუდენტის უფლებები აღიდგინა (ჯარში გაწვევამდე უნივერსიტეტში ჩაირიცხა სტუდენტად), მე შემომეკედლა და სწავლას დაუდო თავი. მეც გარკვეული შეღავათი მომეცა: ამიერიდან ჭირ-ვარამს (ხან სიხარულსაც) ერთმანეთს ვუზიარებდით, ლუკმა პურს ძმურად ვიყოფდით და ცხოვრების ჭაპანს ერთად ვეზიდებოდით ჩვენი ძალღონის შესაფერისად. სიამოვნებით ვიგონებდით იმ დღეებს და ხშირად ვნატრობდით შაქრის ნატეხებს.

გაზაფხულის სემესტრის ბოლოს პირველი გამოცდა ჩავაბარე ძველ-ქართულ სასულიერო მწერლობაში პროფესორ კორნელი კეკელიძეს. გამოცდის დროს იგი ჩვეულებრივ თვალებს ხუჭავდა ხოლმე და სმენად გადაიქცეოდა (ზოგს კი ეგონა პროფესორს რული მოერია და პასუხს ყურს არ უგდებსო.) სტუდენტს საუბარს არ აწყვეტინებდა (თუ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა), საკითხებში ჩაძიება და ჩაცივება არ იცოდა. სასწავლო ლიტერატურა ცოტა გვქონდა. უმთავრესად კონსპექტით ვხელმძღვანელობდით (კონსპექტი კარგად იყო შედგენილი და ერთგვარად შემოწმებულიც პროფესორის მიერ). აგიოგრაფიის საკითხებზე რომ სიტყვა ჩამოვაგდე, „კიმენი“ ვახსენე, რომელიც იმ ხანებში კ. კეკელიძის მიერ იყო გამოცემული. პროფესორმა ერთბაშად თვალები გაახილა, დაკვირვებით ამათვალიერჩამათვალიერა, არაფერი უთქვამს, ქესტით მატრიკული მომთხოვა და ნიშანი ჩამიწერა. ეს იყო პირველი ნათლობა, პირველი ფრიადი, პირველი სიხარული. იმ სიხარულს რა შეედრება!

საზაფხულოდ ბენო სოფელში ადრე წავიდა. მამას შეეხიდა, მერე ცოტათი მეც მიეეშველე. მოწაფეებიც ვიშოვე მოსამზადებლად (ახლა ავტორიტეტიანი რეპეტიტორი ვიყავი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი!). თბილისში რომ დავბრუნდი, ჩემი ხაშურელი მასწავლებელი შემხვდა, ალექსანდრე გარდაფხაძე, გულიანად მომესალმა, ხელი ჩამომართვა, ამბავი გამომკითხა, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ვარო, მითხრა, და კარგი სამსახური შემომთავაზა, გამგეობის საქმეთა მმართველობა. ცოტა შემეშინდა, საამისო გამოცდილება მაკლდა, მაგრამ სახარბიელო შემთხვევის ხელიდან გაშვებაც არ მინდოდა. მადლობით თანხმობა მოვახსენე, რკინიგზის სამმართველოს გამოვეთხოვე და რუსთაველის პროსპექტზე, პროფკავშირების სასახლეში (აწინდელი სასტუმრო „თბილისის“ შენობა) დავიწყე მუშაობა. ალექსანდრე გარდაფხაძემ ის სიკეთეც მიყო, რომ ჯარისკაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფში (ნიკოლოზ ოკუჯავას უწყებაში) გაკვეთილები მიშოვა. იმ დროის კვალობაზე ეს დიდი მიღწევა იყო, ჯარში მასწავლებლობა კარგ ე. წ. მშრალ ულუფას იძლეოდა.

სამუშაო ბევრი მქონდა. ენერგიას არ ვზოგავდი რომ არც თავი შემერცხვინა და არც ჩემი კეთილისმყოფელი მასწავლებელი. ბენო გულმოდგინედ სწავლობდა და ჩვენს „მეურნეობას“ უძღვებოდა. ჯარში ყოფნისას „მზარეულობის ხელოვნებას“ დაეუფლებოდა და,

თუ სანოვაგეს ვიშოვიდით (გვშველოდა სამხედრო სასწავლებლის ულუფა), გემრიელ კერძებს ამზადებდა (ყოველ შემთხვევაში ბენოს მომზადებული კერძი გემრიელად მეჩვენებოდა). განსაკუთრებით ოსტატურად იცოდა მოლესილი ლობიოს შეკმაზვა. ბენოს მზარეულობის ამბავი განთქმული იყო ჩვენი ამხანაგების წრეში.

ამრიგად, საორგანიზაციო-საოჯახო საქმე მოგვარდა. შრომის „რაციონალურმა განაწილებამ“ ნაყოფი გამოიღო. ამის მნიშვნელობა უფრო მაშინ ვიგრძენი, როცა უნივერსიტეტში სემინარული მუშაობა დამეწყო. რახან ლექციებს ვერ ვესწრებოდი, დავეწაფე სემინარს, თუმცა თავდაპირველად მოულოდნელი დაბრკოლება გადამეღობა წინ. კ. კეკელიძემ ისეთი თემები დაგვირიგა, რომლებიც ხელნაწერი მასალების ცოდნას ითვალისწინებდა. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი კვირა-უქმე დღეებში იხურებოდა. ღია იყო და ისიც მხოლოდ დამთვალიერებელთათვის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, სამეცადინოდ არც აქ უშვებდნენ. სამუშაო დღეებში მე არ მეცალა. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გამგის ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სერგი გიორგაძის და მისი მოადგილის ეთნოგრაფისა და მწერლის იროდიონ სონღულაშვილის კაიკაცობის ამბავი გაგონილი მქონდა. ნავსი გავტეხე, იროდიონ სონღულაშვილს ვეახელი, ჩემი გასაჭირო ავუხსენი, თავი შევაცოდე და დახმარება ვთხოვე. ჩემი თხოვნა სულგრძელად შეიწყნარეს, მყუდრო კუთხე მომიჩინეს და კვირაობით ხელნაწერებზე მუშაობის ნება დამრთეს. მუშაობას რომ გემო გავუგე, დრო არ მეყო. ამიტომ ასე ვიქცეოდი, ხელნაწერიდან ამოსაწერ ადგილებს ვინიშნავდი, ტექსტებს კი შემდეგ იწერდნენ ბენო და ჩემი ამხანაგი სტრატილატე ჭანტურია. ასე ვაივაგლახით მოვამზადე სამი მოხსენება. სამივე სემინარის სხდომაზე წავიკითხე, ერთი ლიტერატურულ წრეში გავიმეორე (წრეს ხელმძღვანელობდა უფროსი კურსელი, მწერალი სავლე აბულაძე, მე მდივანი ვიყავი).

კ. კეკელიძე ყურადღებით მეპყრობოდა. მოხსენებები მომიწონა. მირჩია ნაშრომი თეიმურაზ პირველზე სადიპლომოდ წარმედგინა. ბ-ნმა კორნელიმ პატივი დამდო და სემინარის მამასახლისობა შემომთავაზა. მევალებოდა თემების განაწილება (თემები გვირიგდებოდა ბილეთების სახით, არჩევანი ნებაყოფლობითი იყო), მოხსენებათა გრაფიკის შედგენა, გრაფიკის დაცვის კონტროლი და ოქმების წარმოება, ამის გამო ამხანაგები ხუმრობით ბ-ნ კორნელის „ასისტენტს“ მეძახდნენ.

ჩვენი სემინარის შემადგენლობა, ისე როგორც საერთოდ მაშინდელი სტუდენტობა, ძალიან ჭრელი იყო. რამდენიმე სასულიერო პირიც კი იყო. მახსოვს, „ვისრამიანზე“ მოხსენება წაიკითხა ბერმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, მომავალმა კათალიკოსმა. იგი რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით აანალიზებდა „ვისრამიანის“ პერსონაჟთა ქიშიანი ვნებების ამბავს. ჩვენთან იყვნენ ხანდაზმული მანდილოსნები და ჭაღარაშერეული მამაკაცები, რომელთაგან ზოგს რუსეთში თუ უცხოეთში უკვე ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას ხელახლა მოეზიდა სტუდენტის მერხთან. სასემინარო მოხსენებები დიდ ინტერესს იწვევდა, იმართებოდა საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცხარე კამათიც. სემინარული მუშაობა იძლეოდა საკითხის ცოდნისა და დამოუკიდებელი აზროვნების გამომჟღავნების საშუალებას, ხელს უწყობდა კვლევა-ძიებითი ჩვევების შეძენას. სემინარი იყო მეცნიერულ მუშაობაში წრთობისა და დახელოვნების პირველი სკოლა-უჯრედი. პირადად მე კეკელიძის სემინარებმა ბევრი რამ მომცა, უწინარეს ყოვლისა კვლევაძიების ინტერესი გამიღვიძა და ერთგვარად მომავლის გეზიც გამიკვლია.

სამეცნიერო წრის სხდომებს სტუდენტობა ხალისით ესწრებოდა. ერთხელ მოხსენება მქონდა თეიმურაზ პირველის შესახებ. აუდიტორია გაჭედილი იყო. სხდომა მიმდინარეობდა პირველი სართულის პირველ აუდიტორიაში, ახლა რომ მეცნიერ მუშაკთა სამკითხველო დარბაზია. როგორც შემდეგ გამოირკვა, დამსწრეთა მოზღვავებას თურმე იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხმა დარხეულიყო სხდომაზე რაღაც ექსცესები მოხდებაო. შუა მოსხენება იყო, რომ ერთბაშად კარები გაიღო და აუდიტორიაში საშინელი ხმაურით შემოცვივდნენ უცნაურად მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდები, რომლებსაც ხელში ვეება წითელი ბოლოკები ეჭირათ და მადიანად ილუკმებოდნენ. მომხდურებს წინ მოუძღოდა არლეკინის ტანსაცმელში გამოწყობილი პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა. აშკარა იყო, რომ თავს დაგვესხნენ ფუტურისტები (თურმე ამას ელოდნენ სასეიროდ მოსული მსმენელები). „ძირს თეიმურაზები და მათი დამქაშები“, ჩახლეჩილი ხმით იყვირა ერთმა მომხდურმა, „ძირს დამყაყებული მეცნიერება“, ბანი მისცა მეორემ, შეიქმნა აუწერელი ხმაური, ყიჟინა, უწმაწური შეძახილები, ერთი ვაი უშველებელი, აურზაური, ისტერიული სიცილ-ხარხარი... განსაკუთრებით აქტიურობდნენ (ნიკოლოზ ჩაჩავას გარდა) ნიკოლოზ შენგელაია, ჟანგო ღოღობერიძე, პალიკო ნოზაძე, გრიგოლ ორაგველიძე. შედარებით თავდაჭერილად იყვნენ სიმონ ჩიქოვანი და ბესარიონ ჟღენტი. დებოშში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, დერეფნიდან იცქირებოდნენ და იცინოდნენ დემნა შენგელაია და ლევან ასათიანი. ძლიერმა ხმაურმა ლექციები ჩაშალა მეზობელ აუდიტორიებში. ახლა სტუ-

დენტობის ახალი ტალღა მოაწყდა ჩვენი აუდიტორიის კარებს. გზა შეიკრა. ხმაურმა კიდევ უფრო იმატა. გვესმოდა პროფესორ გრიგოლ წერეთლის აღშფოთებული სიტყვები (მას ლექციები ჩაშლოდა) — «Это безобразие. Кто позволил каким-то клоунам бесчинствовать в университете и срывать лекции?!»
მოცვივდნენ დარაჯები და საკმაოდ ხანგრძლივი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ დებოშიორები გააბრძანეს შენობიდან. ასე დამთავრდა ფუტურისტების პირველი (და, რამდენადაც ვიცი, უკანასკნელიც) საჯარო დემონსტრაცია უნივერსიტეტის კედლებში.

მოხსენებისათვის ვისღა ცხელოდა? იმ დღეს ბევრი ლექცია ჩაიშალა. ამას რომ ვიგონებ, მაკვირს. ნიკოლოზ ჩაჩავას შემდგომში ყველა ვიცნობდით როგორც იშვიათად დარბაისელ კაცს, მშვიდსა და უწყინარს. მაშინ კი იგი მეთაურობდა ფუტურისტების თითქმის ყველა დებოშს მწერალთა კავშირში თუ სხვაგან. საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ფუტურისტების ჯგუფი არ იყო ერთფეროვანი. ქართველ ფუტურისტებს ფაქტობრივ არ ჰქონიათ ერთიანი ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალები, ერთიანი სამოქმედო პროგრამა. აბა, რა ჰქონდა ფუტურისტული, მაგალითად, დემნა შენგელაიას, ან ლევან ასათიანს, ან თუ გინდ აკაკი ბელიაშვილს?.

სამსახური თავისას ითხოვდა. ბეჯითობასა და გულმოდგინებას არ ვაკლებდი. უფროსები შრომას და ერთგულებას მიფასებდნენ. სიამოვნებით ვიგონებ იმ ოთხ წელიწადს, რომელიც პროფკავშირებში მუშაობას მოვანდომე. მაინც საგანგებოდ მინდა მოვიგონო მასწავლებელთა (განათლების მუშაკთა) კავშირის თავმჯდომარე სუსანა ნიკიტას ასული შავერდოვა, ეროვნებით სომეხი, რომელმაც ქართული პრაქტიკულად კარგად იცოდა (სხვათა შორის, მას ეკუთვნის საიათნოვას მთელი რიგი ქართული ლექსების პწკარედი რუსული თარგმანი). სუსანა შავერდოვა განათლებული ქალი იყო, ტაქტიანი, წინდახედული, აუჩქარებელი, მომთმენი, გარეგნულად საკმარისად სანდომიანი, ხნოვანებით — ბალზაკის დარბაისელ მანდილოსანთა ასაკისა. ერთი შეხედვით თითქო ძალიან მკაცრი და ცივი, ისე კი კეთილი, მზრუნველი, მოყვარული. მე მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს, ადამიანური კეთილშობილებისა და სულგრძელობის ბევრი მაგალითი მიჩვენა, ბევრი დასამახსოვრებელი რჩევა-დარიგება მომცა და ზოგი უნებლიე „შეცდომაც“ მაპატია.

მას შემდეგ რაც პროფკავშირებში სამსახური დავტოვე და უნივერსიტეტში გადავედი, სუსანა შავერდოვა აღარ მინახავს. 1945 წლის ადრე შემოდგომაზე სომხეთში ვიყავი სტუმრად. საიათნოვას დაბადების 150-ე წლისთავს აღნიშნავდნენ. საქართველოდან დელეგაცია გაიგზავნა საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისალებად (იოსებ გრიშაშვილი, ლეონ მელიქსეთბეგი და ამ სტრიქონების ავტორი). მე მოხსენება მქონდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. სხდომა რომ დამთავრდა და დამსწრე საზოგადოება აიშალა, ჩემთან მოკრძალებით მოვიდა, მორცხვად გამიღიმა და „საშა ძვირფასო, ვერ მცნობო“, მომმართა ხანდაზმულმა და, როგორც ეტყობოდა, ჯანგატეხილმა ვიღაც ჭაღარა ქალმა. კარგად რომ დავაკვირდი, ვიცანი, სუსანა შავერდოვა იყო, უკეთ, სუსანა შავერდოვას ლანდი. მას საშინელი განსაცდელი დატყდომოდა თავს, ოჯახი დანგრეოდა, მარტოხელა დარჩენილიყო, ტრაგიკული თავგადასავლის შემდეგ დამკვიდრებულიყო ერევანში და ერევნის უნივერსიტეტში გამწესებულიყო რუსული ენის მასწავლებლად. სომხეთში ხშირად მიხდებოდა ყოფნა. იქ არაერთი კარგი ამხანაგი და მეგობარი მყავს. ერთხელ მონაწილეობა მივიღე თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე. სესიას ბანკეტი მოჰყვა. ბანკეტზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა ითქვა და ბევრი სადღეგრძელო შეისვა ხალხთა მეგობრობის თემაზე, კერძოდ, სომეხი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის ტრადიციებზე, მეც მომიხდა სიტყვის წარმოთქმა. ჩვენი ხალხების მეგობრობის რამდენიმე ფაქტი დავიმოწმე შორეული თუ ახლო წარსულიდან, დავძინე, რომ ხალხების ძმობა-მეგობრობას მყარ ნიადაგსა და მტკიცე საძირკველს უქმნის ამ ხალხთა შვილების კონკრეტულ-ინდივიდუალურ ძმობა-მეგობრობის მაგალითები, აღვნიშნე, თუ რა სიკეთე მიყო, რამდენჯერ მომანიჭა სიხარული და თავისი მაგალითით როგორ შემაყვარა სომეხი ხალხი ერთმა განათლებულმა მანდილოსანმა, ჭკუისა და ცხოვრების მასწავლებელმა, რომლის მეურვეობით ხდებოდა ჩემი მოქალაქეობრივი სახის ფორმირება სტუდენტობის წლებში. ეს მანდილოსანი ახლა აქ იმყოფება, ჩვენი სუფრის წევრია, ერევნის უნივერსიტეტის დოცენტი, მისი სახელია სუსანა ნიკიტას ასული შავერდოვა. მე დიდ გულითად მადლობას მოვახსენებ მას საჯაროდ, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ-თქო, დავასრულე სიტყვა და სასმისი დავცალე. ჩემი გამოსვლა და სიტყვა ძლიერ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. სუსანა შავერდოვა მოიჭრა ჩემთან, გადამეხვია და გადამკოცნა. მის მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. მეგობრული განწყობილების სითბომ იმატა და ხალისიანმა პურობამ ხალხთა ძმობის ნამდვილი დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# ჰაინე, შილერი, გოეთე ქართულად

მოგონება

თბილი, თბილი დღეები იდგა სექტემბრისა, გავარვარებული მზე ჩადიოდა ზღვაში და სულ ხხვადასხვანაირად ჩადიოდა, იმ დღეს მაინც გადაჭრილიყო თუ გაჩეხილიყო: რკალი რამ ჰფარავდა ქვემო ნაწილსა, თითქოს თუ ზღვიდან მოზიდული რკალი, ანათუ მშვილდი, მშვილდი-მოზიდული; ჯერ ასე ჰფარავდა და უეცრად აიმართებოდა, თითქოს საბელი გაწყუდა მშვილდისაო, აიმართებოდა, ასჭრიდა, მზესა, შუა გააპობდა, მერე ქანაობდა, ქანაობდა, თითქოს ვილაცას ედავებაო, ანთუ რაღა ვილაცასაო — მზესა თუ ზღვას ედავებაო; იქ ისა ქანაობდა მზეზე აკრული, აქეთ ჩრდილი წამოსულიყო, დაგრძელებულიყო, გამოწელილიყო, გადმოწვდილიყო პარკის შუამდისა, სვეტებიც გამოევლო, სვეტები პარკისა; და გამქრებოდა ჩრდილი იგი ისევ უეცრადა, ისევ რკალად მოიქნეოდა ზღვიდან მზემდისა, ისევ ასხლტებოდა და ედავებოდა ისევ და ისევა, — მზესაო უფრო თუ ზღვასაო უფრო, არცთუ ადვილად გაირკვეოდა, ლაპლაპებდა მზეი იმგვარადა, ზღვაცა ლაპლაპებდა, სჭრიდა თვალსა, და რკალი იგი თუ ჩრდილი იგი მისტიკური მოვლინება გეგონებოდა.

უკეთუ მე მეგონა: უეცრად ასე წარმომესახა ზღვაზე დასული მობურბურე მზეი და ლანდი იგი, გამოტყორცნილი იმა ბურბურიდანა, წარმომესახა ერთი წამითა, მერე გაირკვა, რომ კაცი იყო და მეტი არაფერი, კაცი იყო და მოჩვენებას დამსგავსებოდა იმა ალერსში მზისა და ზღვისა, იმა სიყუჩეში, სიმყუდროეში, გარინდებაში მზისა და ზღვისა, კაცი იყო და თავი მარტო დაეხელთებინა, კენჭებსა ჰკრეფდა და ესროდა მზესა, მზესა სტყორცნიდა და იქვე უცვივოდა, იქვე, ფეხებთანა, იქვე რიყეზედა, ეგრე ახლოდაც ვერ მისდგომოდა ზღვასა, ისევა ჰკრეფდა და ისევ ესროდა, ისევა და ისევა, — ეს იყო სულა, ეს გამოირკვა, მისტიკური მოჩვენება რომ გეგონებოდა. უკეთუ მეგონა, მე მეგონა, და გამოვბრუნდი, მაშინვე, მყისვე, ცივცხლად გამოვბრუნდი, ხელი რომ არ შემეშალა სიმარტოვისათვისა, ადამიანის სიმარტოვისათვისა.

თბილი, თბილი დღეები იდგა სექტემბრისა, თბილი და წყნარი, და მაინც მოცარიელებულიყო პარკიცა, სანაპიროცა, ომის შემდგომ, მახლობელ ხანებშია, ისევ რომ იგრძნობოდა სუსხი ომისა, ამითაც იგრძნობოდა, ჯერაც არ გამოფენილიყო ხალხი, ჯერ ისევ შინ ერჩივნა, ჯერ კიდევ გროვდებოდნენ, ჯერ კიდევ ელოდნენ შინა, ჰოდა, ჯერ კიდევ მოცარიელებულიყო პარკიცა-მეთქი, სანაპიროცა, ბათუმში, იქავე, ინტურისტის სასტუმროს წინა; მოცარიელებულიყო რესტორანიცა ინტურისტისა, მიჯდებოდი, საითაც გენება, მყისვე მოგხედავდა ოფიციანტიცა. და არც დიდი დრო გვეკარგებოდა სადილისთვის. საქმეც არ გვიშვებდა დიდი ხნობითა. იმ დღეს მაინც შემაგვიანდა და მერე რამდენიმე დღე წაება ასე, იმ დღესამეთქი, უკეთუ მეორე დღესა, — იმა მისტიკური მოჩვენებისა თუ ნათლად წარმომდგარი კენჭობანას მომდევნო დღესა. თბილი, თბილი დღეები იდგა სექტემბრისა, კრიალებდა ცა, ზღვაცა კრიალებდა, მალე წვიმები ატყდებოდა უსათუოდა, ახირებული, მომაბეზრებელი ბათუმური წვიმები, ჯერ მაინც თბილი და მშრალი დღეები იდგა-მეთქი. სადილობისას რესტორანშიცა ჩახჩახებდა მზეი და ნელნელა ეშვებოდა ვეება მაგნოლიების იქითა, მაცდურად იჭვრიტებოდა მაგნოლიის ფოთოლთა შორისა, ზღვაც ასევე იჭვრიტებოდა, იჭვრიტებოდა და მოაფრქვევდა ყვავილთა ფერებსა, სურნელსა

თავისებურსა შემოდგომური ყვავილობისა, მოაფრქვევდა უცნაურადა, მომხიბლავადა და საამოდა. ოღონდ და რაო, შემაგვიანდაო, რომ მოგახსენებ, განა ამიტომა? — არა, რა თქმა უნდა, ეს ახლა ჩემთვის მოგონებაა, ასე იყო და ასედაც ვიგონებ, ასევე იქნება, ისევ ისე, ჩვეულებრივა თუ ისეთივე სექტემბერია, ისევე თბილი, ისევე მშრალი, აღუშფოთველი, რომ არცა თრთიან მაგნოლიები, არცა თრთის ზღვაი, არცა მზეი, არა, რა თრთის, ისე ჩადის, მიიპარება.

ოღონდ ჯერ მაინც ჩახჩახებდა რესტორანშიმეთქი.

და ის შევნიშნე, შევედი თუ არა, ახლა იქ შევნიშნე: წინა ფანჯარასთან მიმჯდარიყო იმა ვეება, ოვალური დარბაზისა, მიმჯდარიყო და ზღვას გაჰყურებდა, ზღვასა და მზესა, ალბათ თუ ელოდა მზის ჩასვლის ჟამსა. ელოდა და მაშინ გავიდოდა, ალბათმეთქი, გავიდოდა და კენჭებს წამოჰკრეფდა, წამოჰკრეფდა და დაუშენდა ანათუ მზესა ,ანათუ ზღვასა, ანთუ ორივესა. ჰო. მე შევნიშნე, ის ჩემსკენ არც მობრუნებულა, არც შერხეულა. მე აქეთ მივჯექი, ბუფეტთანავე. ოფიციანტიც გაეშურა უკითხავადა, ომი ის იყო დამთავრებულიყო, ასარჩევიც არაფერი გახლდათ, რაც იყო, იყო, ვფაციფუცობდი, ვეშურებოდი და ვფაციფუცობდი, საქმე არ გვაცდიდამეთქი, ოღონდ იმ დღეს მაინც შემაგვიანდამეთქი.

ის იყო უნდა წამოვმდგარიყავ და მომესმა ხმაი, მკრთალი თუ მფრთხალი, უფრო მეტად მოკრძალებული:

— შეიძლება?.. — ასე მომესმა და სკამიც დაიძრა ჩემს წინა, გაიწია, ისევე უხმოდა, როგორც იგი მომახლოვებოდა, იგი, ვისაც თუ სკამისთვის ჩაევლო ხელი.

— დაბრძანდით!.. — თითქოს ველოდიო, ასე შევეგებე, ოფიციანტს ღვინო ვანიშნე.

— მიწყრებით? — დამეკითხა იმავე ხმითა, იმავე ხმითა და გამომცდელადა.

— არა!.. რასა ბრძანებთ!.. — მართლაც შევწუხდი.

— მაშ რად მომერიდეთ?!

— იქა?

— დიახ...

— მყუდროება არ დაგირღვიეთ. დაბრძანდით, დაბრძანდით! — შევძახე უფრო მხნედა, „მუკუზანი" რომ მოარბენინა ოფიციანტმა.

— ჰა, ჰა, ჰა... — გაიცინა ისე ხმიერადა, გამიკვირდა, მართალი გითხრათ, გამიკვირდა ასეთი სიცილი, იმა კრთომისა და მოკრძალების მერე.

... მაშინ გამიკვირდა და გამიკვირდა მერეცა, კარგა ხნის მერე, როცა ის უკვე აღარ იყო ამ ქვეყნადა და მაინც მომესმა, ისევე მომესმა, იგივე სიცილი, ისევე ხმიერადა, ისევე მკაფიოდა, 6 ოქტომბრის ფურცელი რომ ავახიე 1975 წლის კალენდარსა: იქ ის ეხატა, შემოეხაზათ სახეი იგი, გამხდარი სახეი, ცხვირი მოგრძოი, თხელი, თხელი ნიკაპიცა, ყელი გაწვრილებული, შემოეხაზათ და მიეწერათ, — შესრულდა 80 წელი ხარიტონ ვარდოშვილის დაბადებისაო. 80 წელიო, საგულისხმო თარიღი გახლავთ, რადა თქმა უნდა, საიუბილეო თარიღი გახლავთ და აღნიშნავენ მეტ-ნაკლებადა, გააჩნია ღვაწლსა და დამსახურებასა სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, პატრონსაც გააჩნია, გააჩნია გულშემატკივარსა, ვინ როგორ გასწევს, როგორ გაიტანს, რანაირად გააზვიადებს, — რაც უნდა იყოს, მკრთალად მაინც აღინიშნება, ვინმე მაინც გამოეხმაურება მითუმეტესადა, თუ ახლო ხანის მიცვალებულია, გამოეხმაურება და გამოემშვიდობება ერთხელ კიდევა. ასეა ხოლმე, კალენდარი ამას მიანიშნებდა, აჰყვებიან ჟურნალ-გაზეთებიცა, სხვა საშუალებანიცა. შენც არ მომიკვდე, აგერ აქამდე არც არავის გახსენებია, არავის აღუნიშნავს, არ გამოხმაურებია არავინა, გულშემატკივარი თუ არ დარჩენია სალიტერატურო საზოგადოებაში, მემკვიდრეც არა. შვილი არცა ჰყოლია, ოღონდ და რაო, ყური მომიკრავს, რაღაც კონფლიქტი წარმოშობილა მისი ღარიბი, ყოვლად ღარიბი და უმნიშვნელო მემკვიდრეობისა გამო, ყური მომიკრავს და მართალიც იქნება, — ახლა ისინიც არ გამოჩენილან, სხვაც არავინ გამოჩენილა, წავიდა ყრუდა 80 წელია, — იყო და არა იყო რაო.

მაგრამ რომ იყო?

რომ იღწოდა?

იღწოდა და საგულისხმოცაა მისი ნაღვაწი, საგულისხმოა განსაკუთრებით ომის წინა წლების პოეზიაში, როცა გრიშაშვილი რომ გრიშაშვილი გახლდათ, სატრფიალო ლირიკა იმანაც მიივიწყა, ისიც გამოეთხოვა ანთებასა სიყვარულსა, სევდასა სიყვარულისა, გატაცებასა და თავბრუდახვევასა სიყვარულის სიმღერებითა, გამოეთხოვა, ვითარცა ძველ თბილისსა და მხარი აუბა თბილისსა ახალსა, ახალი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოვლენების თემატიკასა; მხარი აუბა და კრიტიკოსები მიესალმებოდნენ ამა გამოთხოვებასა, მიესალმებოდნენ გამდიდრებასა გრიშაშვილის პოეტური პალიტრისა; აქ არ ვედავები იმ კრიტიკოსებსა, არა, რა თქმა უნდა, ოღონდ მოვიგონებ, მოგონება მაინც მოგონებაა და მოვიგონებ, სტუდენტი გოგონები მაინც მიეტანებოდნენ გრიშაშვილის ლექსთა ძველ კრებულსა, უკვე დაფურცლულსა, დალაქებულსა, მიეტანებოდნენ და ხელიდანა სტაცებდნენ ერთმანეთსა, ანთუ გადაიწერდნენ, ავრცელებდნენ ხელნაწერებსა; გადაეწერათ „არტისტული ყვავილებიცა" გალაკტიონისა, შეედგინათ ანთოლოგიაცა, ხელნაწერი ანთოლოგია სატრფიალო ლირიკისა, დიახ, შეედგინათ, თუმცა არ ვიცოდით თუ ვის შეედგინა, კარგად შეედგინა, ვინც უნდა ყო-

ფილიყო, ჰლირდა გამოცემადა, კარგი იქნება თუ გამოცემა ახლა მაინცა, თუ მოიძებნება და გამოიცემა, ანთუ სხვა შესდგება და გამოიცემა, — კარგი იქნება, მე ასე მგონია და სხვისა არ ვიცი.

თუმცა ჰო, იმას მოგახსენებდით, საგულისხმოამეთქი ნაღვაწი მისი ასეთ პირობებში, სატრფიალო ლირიკის ნაკლებობის პირობებშია, სატრფიალო ლირიკის მონატრების პირობებშია, საგულისხმოა იმითი, რომ ჰაინე თარგმნა, თარგმნა და გამოსცა მხოლოდ სატრფიალო ლირიკა თარგმნა, მხოლოდ და მხოლოდა. ხხვას სხვა მხარე მიიზიდავდა ჰაინრიჰ ჰაინეს პოეზიისა, პოლიტიკურ-პუბლიცისტური ლექსები მიიზიდავდა, პამფლეტები მიიზიდავდა, მაგრამ ისედაც ალვსებულიყო ასეთი ლექსებითა მაშინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთები თუ პოეტური კრებულები და მთარგმნელმა ჰაინესი სევდას მიმართა სიყვარულისა, ვნებას მიმართა ჰაბუკურსა, ვნებასა და სევდასა, ასე რომ ალელვებდა თუ აფანცქალებდა ახალგაზრდობასა ყველა დროისა, ყველა ეპოქისა, ყოვლად დაძაბული ეპოქებისაცა; და უცებ შეენაცვლა ვეება წიგნი დაფურცლულსა თუ ხელნაწერ კრებულებსა, მოზრდილი, ყავისფერი წიგნი, სატრფიალო ლექსები ჰაინესი, გადმოღებული ქართულადა ვარდოშვილის მიერა. და ეს მოვლენა გახლდათ, პოეტური მოვლენა იმა წლებშია, პოეტური თარგმანის ნიმუში გახლდათ, ლირიკის თარგმანისა, ნიმუში მეტად საძნელო საქმისა. სხვა არის ის თუ რა ნაკლს მოსძებნიდნენ ანთუ მაშინვე, ანთუ მას შემდეგა, შედარებისა თუ წმინდა მხატვრულ-პოეტური თვალსაზრისითა, სხვა არის მეთქი, ნაკლი მართლაც გამოიძებნება, ოლონდ და მაინც შთაბეჭდილება მაშინდელი, მხატვრულ-ესთეტიკური ზეგავლენა მაშინდელი, მეტად საგულისხმო, მეტად თვალსაჩინო გახლდათ. და თუნდაც ახლაცა, თვალს თუ გადავავლებთ პოეტურ თარგმანებსა უახლოესი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სულ რამოდენიმე თუ წარმოგვიდგება საგულისხმო და შთამბეჭდავ მოვლენადა ვარდოშვილის ჰაინესა და შილერთან ერთადა, — მე ჩემდა თავად, ასე ხელდახელ, მომაგონდება პაოლო იაშვილის პუშკინი, გრიგოლ აბაშიძის პეტეფი და თამარ ერისთავის ბერნსი, — აბა თქვენ რაღა მოგაგონდებათ?

ორიგინალურ მოვლენად იქცა ეს თარგმანები ქართულ პოეზიაში და თავისებური მიბაძვანიც გამოიწვია, უკეთუ თავისებური ზეგავლენაც მოახდინა თვითეულმა ამათგანმა.

ოლონდ იქა ვარ, ისევ იქა რაღა თქმა უნდა, კალენდრის ფურცელი რომ ავახიე და სიცილი მომესმა, უცნაური სიცილი, სიცილი იგი, მაშინდელი, „მუკუზანი“ რომ მოგვართვა ოფიციანტმა: თურმე გემოც დავიწყებოდა ღვინისა, მკაცრ დიეტას იცავდა, ავადმყოფობდა თუ აშინებდა ავადმყოფობანი, უფრო აშინებდა, უფრთხოდა ყველაფერსა, გარდა მაწონისა და ისიც წყნეთური მაწონისა, თიხის ქილებში რომ ადედებდნენ, ყელყელა ქილებში, და ვირებით შემოჰქონდათ ქალაქში; სწუხდა, რომ აღარ უშვებდნენ ვირებსა ქალაქშია, მაწვნის ქილები რომ დამძიმებოდათ წყნეთელებსა და თიხის ქილები შუშისათი რომ შეეცვალათ. ეს ყველაფერი მაშინვე მითხრა და ჰიქა შორს გაწია, მე არ დამისხაო. ეს არ ვიცოდი, მართალი გითხრათ, თუმცა შევხვედროდი მანამდისაცა, — შევხვედროდი და მიწყრებიო, — ამიტომაცა მკითხა.

არ ვუწყრებოდი, არა, ცხადია, არად მიმაჩნდა თუ ერთი მოთხრობა არ დამიბეჭდავს ამის მიზეზითა, — იმდენსა ვწერდი იმ ხანებშია, იმდენსა ვწერდი და იმდენსა ვხევდი, ერთი მოთხრობა არად მიღირდა; ესეც არ იყოს, რასაც თუ ვბეჭდავდი, ისიც არ მოსწონდა ერეკლე ტატიშვილსა, ჩვენს მასწავლებელსა, და იმის რისხვას რომ გამოვაღწევდი, სინანულს ვეძლეოდი თუ რად მაცდუნებდა სურვილი დაბეჭდვისა. და რის წყრომაო, მადლობაც მეთქმოდა, კიდევ ერთ რისხვას თუ გადამარჩინა, ერთ სინანულსაცა. ამან რა იცოდა? მაშინ პროზის განყოფილება ებარა „მნათობისა“, მცირე ხანს ებარა, მეტად მცირე ხანსა, და ვგონებ, მეტი არც არა მიუციათ შესაფასებლადა იმ ერთი, ჩემი საცოდავი მოთხრობის გარდა. მივაკითხავდი და ის ედო წინა, მეტი არაფერი, მივაკითხავდი და იგივეს მომიგებდა: „მე ვეუბნები... ვნახოთ ამ ნომერში. ისე კი... მე ვეუბნები და მაგათ იციან...“ — მომიგებდა აუჩქარებლადა, თუმცა უნდოდა მალე მოვეშორებინე თავიდანა, მალევე რომ ჩაბრუნებულიყო თავის ფიქრებშია, თავის საღელველშია. ჩაბრუნებულიყო. გამოვშორდებოდი. — მივხვდებოდი და მივხვდი, ვერაფერს გადაწყვეტდა, თუ არ მომეშველებოდა რედაქტორი. და მივაკითხე რედაქტორსა. ხარიტონი რასა ბრძანებსო. ის თურმე გეუბნებათმეთქი. რას გვეუბნებაო. ეს აღარ ვიცოდი და დავიბენი. მაშ მოიცადეო, მირჩია რედაქტორმა, ისიც მოვა და ერთად მოვუსმინოთო. და მოვიცადე. და მოვიდა. და მოვუსმინეთ, თუმცა ჯერ ნელნელა შემოვიდა, ისე შემოვიდა, თითქოს მოიპარებაო, ნელა გამოსწია ხკამიცა, ნელნელა ჩამოჯდა, თითქონ არც უნდა რომ ჩამოჯდესო, უჯრაც გამოსწია ნელა, სულ ნელა, ჩემი მოთხრობაც ნელნელა ამოიღო, — მეტი არც არა ედო უჯრაშია, თორემ ვინ იცის როდის იპოვნიდა, — ციოდა მაშინ რედაქციაში და პალტოც ნელნელა გადაიწია, არ გაუხდია რაღა თქმა უნდა, გადიწია და შემოიტმასნა, შეიკრა ღილები სულერთიანადა, ნელნელა შეიკრა რაღა თქმა უნდა, ხელთათმანებიც ისევ ჩაიცვა, უჯრა რომ გამოსწია. მაშინ გაიხადა, ნელნელა ჩაიცვა რაღა თქმა უნ-

და და ვერც ჩაიცვა, ვერა და ვერ ჩაიცვა, წინწინ გაუძვრა სალოკი თითი, თათი გაჰხეოდა, ჰო, ვერ ჩაიცვა და თუ დაიღალა, რამდენჯერმე ამოისუნთქა,, ღრმად ამოისუნთქა და თვალი მიაყოლა ამონასუნთქსა, — იცოდა, ციოდა, ცვივოდა ორთქლი გათოშილი... და როგორც იყო, ჰო. როგორც იქნა მოახსენა რედაქტორსა:

„შეიძლება... შეიძლება დაიბეჭდოს, შეიძლება არ დაიბეჭდოს... შეიძლება“. — მოახსენა ისე, თითქოს ამას არც შეეხებოდა, ვითომ და რაო, მე რად მაწუხებთო.

„მაინც უფრო როგორ მოვიქცეთ?“ — კითხვა შეუბრუნა რედაქტორმა.

„როგორც ინებებთ: შეიძლება დაიბეჭდოს, შეიძლება არ დაიბეჭდოს“.

და აღარც მომიცდია, გამოვტრიალდი, ჯანდაბასმეთქი. და არც მენანებოდა, აღარც მახსოვდა, არც ის მინდოდა, მივბრუნებოდით და ახლაც იმაზე გველაპარაკა, ამიტომ ავუქციე, შორს ავუქციე, გოეთე ვიკითხე, გამეგონა გოეთესა თარგმნიდა, — გოეთეს მისდგომოდა ჰაინესა და შილერის მერე. პწკარედები ეთხოვა ერეკლე ტატიშვილისათვისა, უარი მიელო. უამისოდ ვიცოდით, ერეკლესგან ვიცოდით. მიგეცათო, ვუთხარით. რა უნდა იყოს მაგისი გოეთეო. ჰაინე და შილერი გამოუვიდაო, ცოტას ვეურჩეთ. გოეთე სხვააო, მოსჭრა ერეკლემა, და ჩვენც ავყევით, რაღა თქმა უნდა, სხვა არის, სხვაო. გოეთე მართლაც არ გამოუვიდა, მართლაც სხვა გამოდგა ამისთვისაცა, გაუჯიუტდა, არ დამორჩილდა, ნათელი გახდა, წიგნი რომ გამოსცა. მაშინ ჯერ თარგმნიდა, მაშინამეთქი, თბილი, თბილი, საამური დღეები რომ იდგა შემოდგომისა და მზე რომ ჩადიოდა, ვარვარა მზეი, სხვადასხვანაირად რო ჩადიოდა ყოველ საღამოსა, იმ საღამოსაც რო უნდა ჩასულიყო კიდევ სხვაგვარადა, სულ სხვაგვარადა, ოღონდ მანამდე ჩახჩახებდა რესტორნის დარბაზში, ვეება დარბაზში, საგანგებოდ რომ მოევარაყებინათ, მოერთოთ, მოელამაზებინათ, იმიტომაო, როგორც ამბობდნენ, — აქ იყო ნავარაუდევი იალტის კონფერენციაო, ბათუმის კონფერენციად იყო ნავარაუდევიო, ოღონდ მერე გადაიტანესო; აქ იქნებოდნენ, ამ სასტუმროშიო, აქ ითათბირებდნენ, ამ დარბაზშიო. და დარბაზისათვის ამიტომაც თუ მოევლოთ საგანგებოდა, სასტუმროსათვისაც მოევლოთ საგანგებოდა, განეახლებინათ შიგნით-გარეთა, ავეჯიანადა, საფენებიანადა, ყველაფრიანადა, თანამშრომლებიანადაცა, — სანიმუშო იყო ყველა და ყველაფერი, სანიმუშო და გასაკვირველი, იმ ხანად მაინცა, ჯერ კიდევ რომ იდგა სუსხი ომისა... თუმცა ჰო, რაო, ჩამომთბარიყო, ჩამომთბარიყო.. ჰო მართლა, ერთი ადმინისტრატორი რამდენიმე უცხო ენასა ფლობდა, ხარიტონს რატომღაც ფრანგულად მიმართავდა, მერე გაიგო, ჰაინე უთარგმნია, უთარგმნია შილერიცაო, გოეთესაც მისტანებიაო, გაიგო და ელაპარაკებოდა გერმანულადა. არ მიუგებდა ხარიტონი რაღა თქმა უნდა, არცა ფრანგულადა, არცა გერმანულადა და უკვირდა იმა ადმინისტრატორსა, რა უკარება, რა ჩუმი კაციაო, უკვირდა და ვერც წარმოიდგენდა, გერმანულისა გაკვნეტაც რომ არ იცოდა ხარიტონმა, და თუ თარგმნიდა, თარგმნიდა პწკარედითა, გიორგი ნადირაძის პწკარედითა. გოეთეს პწკარედიც იმას მოემზადებინა. და წუწუნებდა ხარიტონი, ერთი სტროფიც ველარ გავმართეო, ველარც იქაო, თბილისშიო, აქ ჩამოვედი და ველარც აქაო, ძილი გამიტყდა, გავწამდი და დავძაბუნდიო, ასეთი დარები მეკარგებაო, სულ ამაოდ მეკარგებაო, წვიმები ატყდება და მერე მორჩა, მთლად წავხდებიო, — და წუწუნებდა, წუწუნებდა, მართლაც გატანჯული, გამომშრალი თუ გამოფიტული. თვალები მაინც მთლად გამომშრობოდა, ჩამქრობოდა, ჩანავლებოდა, წამოენთებოდა უცებ იმგვარადა, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო. რა მემართებაო, ესეც აწუხებდა, ხან თითქოს ბინდი გადამეკვრება, აგერა აქვე ვერას გავარჩევო, ხან ბეწვსაც დავინახავ შორით შორსაო. ერთხელ ბერსი ბიშ შელიც ამნაირადვე მოსთქვამდამეთქი. სიმამრს შესჩიოდა, ცხოვრება ასწეწოდა, ავადობას დაერთა ხელი, უძილობა სჭირდამეთქი. ახ, ეს უძილობაო, უბედურებაა, უბედურებაო.

ნეტავ ერთი დამაძინაო.

ღვინო უნდა დალიოთმეთქი.

მომკლავსო.

გამოგაცოცხლებთმეთქი.

ვიცი, რაც არისო, ვიცი და ჩამოვეხსენიო.

მიუბრუნდით და ძილს გიბოვითმეთქი.

შეიძლებაო, მაგრამ თუ მომკლა, ღვინოს მაინც ვერ მოვეკვლევინებიო.

წამლად გექცევათმეთქი.

და გაგრძელდა ეს დიალოგი, ასე გაგრძელდა, გაგრძელდა კარგახანსა, მთლად ვერც აღვადგენ რაღა თქმა უნდა, არც საჭიროა, რამეთუ აქ მაინც მთავარი ისაა, ერთი ჭიქა ღვინო რომ დალია ბოლოსდაბოლოსა, დალია ნელნელა, წრუპვით დალია, კრთომითა, შიშითა, ჩემის მხრით ბევრი შეძახილითა, რაღა თქმა უნდა, სადღეგრძელოებითა, ცხადია, და ცხადზე ცხადია, ოღონდ თუ რაც იყო, მხოლოდ ის ერთი ჭიქა დალია და გამეცალა, ამოწრუპა თუ არა, მაშინვე გამეცალა შეხალისებული, ცოტა აჩქარებული თუ აცმუკებული, — მზე უკვე დასულიყო ზღვაზედა, დასულიყო და ჩადიოდა, ესეც მიუსწრებდა და, რომ არ იცოდა თუ რა ჩაედინა იმა დიდებულ სურათის წინა, ალბათ თუ ისევ კენჭებს წამოჰკრეფდა, წამოხვეტავდა და მიაყრიდა ანათუ მზესა, ანათუ ზღვასა, ანთუ ხელიდან დაუცვივოდა თავისთავადა და იდგებოდა ეგრე გაბრუებული, მაღალი, გამხდარი,

აწოწილი, — ის იქ იდგებოდა, ზღვის ნაპირასა. ჩრდილი უწევდა მაგნოლიებსა.

თბილი, თბილი დღეები იდგა, თბილი და წყნარი, წყნარი და მშვიდი, მშვიდი და უკაცრიელი, მას მერე აღარა, ის სანაპირო აღარ მინახავს ისეთი მშვიდი და უკაცრიელი.

იკითხავ ალბათა, ხარიტონს მაინც რა დაემართაო, — არგო ღვინომა, არგო მართლაცა, არგო იმ ერთმა ჭიქა ღვინომა, წითელმა ღვინომა, ნამდვილმა „მუკუზანმა“, — მაშინ ჯერკიდევ არც ისე აფუჭებდნენ ღვინოსა, — არგო და შემოდიოდა სადილობისასა, ისევ ისე წრუპავდა თავის ჭიქასა, ნათალ ჭიქასა, უკეთუ უფრო ხალისიანადა წრუპავდა, და ჰყვებოდა თუ ახალგაზრდობაში როგორა მეგობრობდა გალაკტიონსა, როგორ განშორდა, როგორ არ დაესწრო გალაკტიონის კურთხევასა პოეტთა მეფედა, როგორ წააწერა მოსაწვევ ბარათსა: მე სოციალ-დემოკრატი გახლავართ და მეფეებს არა ვცნობო, როგორ წააწერა და როგორ დაუბრუნა ბარათი, მაინც როგორ არ დაიშალა გალაკტიონმა და როგორი რა გამოვიდა მეფედ კურთხევაი იგი, ჰყვებოდა ამასა და სხვა ამდაგვარსა, ჰყვებოდა ამბავსა გარდასული პოეტური ბოჰემისა, რომლის შუაგულში არცა ტრიალებდა და არც მოსწონდა. ამ შემთხვევაში ეთანხმებოდა ომის წინადროინდელ კრიტიკულ თვალსაზრისსა, ოღონდ ესაა, არც ის კრიტიკოსები მოსწონდა, თუმცა ამას ვერ გამოსთქვამდა მაინცდამაინც გაბედულადა, სულაც ვერ გამოსთქვამდა, ვიდრე ბოლომდის არ გამოსწრუპავდა თავის ჭიქასა. მერე მზის ჩასვლას მიაშურებდა, მერე გოეთესა, — უკვე ჩემთანაა, აღარ გამირბისო. მერე ერთხანს აღარ გამოჩენილა ხარიტონი, მეგონა გოეთემ ჩაითრიამეთქი, მაგრამ არაო, ასე არ გამოდგა, ისევ გასტეხოდა ლამეები, უარესად გასტეხოდა, გოეთეც გამქცეოდა და აღარც „მუკუზანი“ უნდოდა, აღარცა მრჩეველი „მუკუზანისა“.

მაინც გამომიჩნდა ერთხელ კიდევა, იქავე, იმავე დარბაზში შემობრძანდა, იმა დარბაზშია. დიდი კონფერენცია რომ უნდა გამართულიყო თურმე, ბედი რომ უნდა გადაწყვეტილიყო დიდი ომისა, — შემოვიდა თუ შემოფარფატდა, გაცრეცილი, გაწამებული, თვალგამომშრალი, შემოფარფატდა და ჯერ ოფიციანტს მიმართა თუ დაემუქრა, ღვინო აღარ დამანახოო, მერე ჩამოჯდა ჩემს მაგიდასთანა, ჩამოჯდა თუ ძლივას ჩამოჯდა, და როგორღაც უცნაური, როგორღაც იდუმალი თუ გატეხილი თუ დაფშხვნილი ხმით წარმოსთქვა:

— თქვენ უნდა გითხრათ...

ბრძანეთმეთქი.

— ოღონდ უნდა მჯეროდეს, რომ არავის გაუმხელთ.

ეს თქვენ უნდა გჯეროდეთმეთქი.

— მაინც მითხარით, რომ არავის გაუმხელთ.

მაინც ნუ მეტყვით ისეთს ნურაფერსა, მერე თქვენვე რომ ინანოთმეთქი.

— რომ აღარ შემიძლიან?! რჩევა მინდა.. მარტო ველარაფერი გავაწყე.

ვაი თუ ვერ გამოგადგეთ მრჩევლადამეთქი.

— გამომადგებით. თქვენ მხოლოდ მირჩიეთ თუ რა აჯობებს: ჰო თუ არა, ჰო თუ არა!... მეტი არაფერი მინდა თქვენი.

ძნელიც ეგაამეთქი.

— ჩემთვის ძნელია, თქვენთვის არ იქნება ძნელი, თქვენთვის ეს ჰო სხვისი ჭირია.

რა ვუყოთ მერე, თანაგრძნობაც არსებობსმეთქი.

— სამაგისოდ არ შეგაწუხებთ, ცივად განსაჯეთ და ცივადვე გადამიწყვიტეთ: ჰო თუ არაო...

მაინც იფიქრეთ სინანულზე, სინანულიც მტანჯველიამეთქი.

— რაც უნდა იყოს, ლამეები გამტეხია, ველარას ვაკეთებ, გავწამებულვარ, მეტი რაღა უნდა დამმართოს სინანულმა?! ნუ მეუარებით, ცოტახანს მომისმინეთ, ყველაფერს არც გეტყვით, არ შეგაწუხებთ წვრილმანებითა, გეტყვით მხოლოდ რომ... აი რამ მომშალა, მოსვენება რამ დამიკარგა. რა ვქნა აღარ ვიცი, დავაბრუნო, — არ შემიძლიან, არ დავაბრუნო და არ შემიძლიან, რა ვქნა, რა ვილონო, რა წყალს მივეცე, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, ისე ეტყობა, ვერც ვერას გადავწყვეტ, მე მარტოდმარტო ვერას გადავწყვეტ, მრჩეველი მინდა და შენ უნდა მირჩიო, მივწერო თუ არა?.. არც ერთი მინდა და არც მეორეი, მომკლავს ერთიცა და მეორეცა, ეს იცოდე, შენ კარგი თვალით აღარ შემოგხედავ, რაც უნდა მირჩიო; მაინც უნდა მირჩიო, რაღაც უნდა მირჩიო, აღარ შემიძლია, ფიქრმა გამათავა, გამათავა უძილობამა, ღვინო აღარ მიხსენო, მხოლოდ ეს მირჩიე, მივწერო თუ არა? მივწერო თუ არა?..

უნდა მეპასუხა რაღა თქმა უნდა, საძნელო გახლდათ ცხადია ესეცა, ოღონდ პასუხი მაინც მაშინვე მომადგა ენაზედა, მაინცა ვდუმდი, ვდუმდი და ვფიქრობდი თუ როგორ გაწამებულიყო ადამიანი, როგორ ვერ მორეოდა საკუთარ თავსა. საკუთარ ხასიათსა, ანთუ როგორ უფრო ვართულებთ ჩვენს ცხოვრებასა, ისედაც რთულსა, ისედაც გაუტანელსა; ვდუმდი და ვფიქრობდი იმაზეცა, ადგილი თუ არ გამოეცვალათ, აქ თუ როგორ შეიყრებოდა დიდი ხამეული, თავთავიანთი ამალებითა, — როგორ შეიყრებოდნენ, როგორ შემოუსხდებოდნენ მრგვალ მაგიდასა, სწორედაც აქა, ჩვენ რომ ვისხედით, როგორ იტყოდნენ, როგორ განბჭობდნენ ურთულეს პრობლემებს ჩვენი პლანეტისა, ჰო აქამეთქი, ჩვენც რომა ვბჭობდით და ვერ გადაგვეწყვიტა უმარტივესი პრობლემაცა... თუმცა პასუხი ენაზე მადგა, ოღონდ პასუხი იგი არ იყო ჩემი, რა ვუყოთ მერე, აქ სხვა პასუხი არც ივარგებდა.

და ვდუმდი, ვდუმდი.

ის საოცარი სიხარბით ელოდა ჩემს პასუხსა, ხსნას თუ ელოდა, ანთუ ნანობდა თუ რად გამომიტყდა, უკვე ნანობდა. მე ვდუმდი, ვდუმდი, ეგება სხვა რამ მომფიქრებოდა, უფრო მოსწრებული, უფრო გონივრული, ეგება მართლაც მომფიქრებოდა, მაგრამ არ მაცდიდა, ველარ იცდიდა:

— მივწერო თუ არა? მივწერო თუ არა? — იმეორებდა წამდაუწუმ.

— იცით, რა...

— რა? რა?! — ველარ ითმენდა, — მივწერო თუ არა?

და ველარ მოვასწარი მეტი რამ მომეფიქრა, გარდა იმისა, რაცთუ მაშინვე მომადგა ენაზედა:

— შეიძლება...

— რა? რა? რა?

— შეიძლება მისწეროთ, შეიძლება არა...

ვთქვი და ჩაიფუფქა, მოეშვა, მოდუნდა, მაშინვე ვინანე, ოღონდ ახლაც არ ვიცი, სხვა რაი მეთქვა, — შემომყურებდა ეგრე დუნედ, ეგრე ჩაფუფქული, რაღაცას იხსენებდა თუ ვერც იხსენებდა, ეცნობოდა თუ არა თავისივე სიტყვები, ძნელი სათქმელია, შემომყურებდა უფრო იმედგაცრუებული, იყო ეგრე, ეგრე მდუმარედა, ეგრედნაირად შემომყურებდა, მერე წამოდგა, გამეცალა, მდუმარედ გამეცალა... მერე თბილისში თუ შემომხვდებოდა იშვიათადა, შორით-შორიდან თუ მომესალმებოდა და აღარც გამიგია თუ როგორ გადასწყვიტა თავისი ბედი. ეს მერემეთქი, ხოლო იმჟამად იდგა თბილი, თბილი დღეები სექტემბრისა, კამკამებდა ცაი, ზღვაცა კამკამებდა და, მზე რომ ჩადიოდა, სულ სხვადასხვანაირად ჩადიოდა ზღვაში. თუმცა და რაო, მზე არ ჩადისო, ილუზიააო, წარმოსახვააო, იყოს, რაც არის, იყოს, როგორც უკეთესია, როგორც ლამაზია, მომხიბლავი როგორიც არის. და იდგა თბილი, თბილი დღეები, და მზე ჩადიოდა, ჩადიოდა მზეი, ჩადიოდა სხვადასხვაგვარადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხო აკოგაშვილი

# მოგონებანი ილო მოსაშვილზე

მენშევიკების ბატონობის წლები იყო. მე მყავდა სიყრმის მეგობარი, პოეტი სოსო დაროშვილი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსები იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ავიტეხა, მაინცდამაინც სიღნაღში უნდა წავიდე მილიციის უფროსადაო, და დახმარებისათვის სანდრო ახმეტელს მიმართა, რომელიც მაშინ გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში მუშაობდა. ჩვენც იქვე ვმუშაობდით, ექსპედიციაში.

სანდრომ სოსო წაიყვანა შინაგან საქმეთა მინისტრთან, ნოე რამიშვილთან და შუამდგომლობა გაუწია დაენიშნათ მაზრის მილიციის უფროსად, მაგრამ უარი უთხრეს: — ვერ დავნიშნავთ, ჩვენი პარტიის წევრი არ არისო. ეროვნულ-დემოკრატი იყო.

სანდრომ უთხრა, მაგაზე ადვილი რა არისო, მეორე დღესვე მიაღებინა პარტიაში და ორი სამი დღის შემდეგ მაზრის მილიციის უფროსად დაამტკიცებინა.

ეს იყო 1919 წლის შემოდგომაზე.

1920 წლის იანვარში წერილი მივიღე სოსოსაგან, მწერდა, საჩქაროდ ჩამოდი, სიღნაღშიო. შენთვის ადგილი მაქვს ნაშოვნიო. მეც არ დავაყოვნე და წავედი. სანამ შესაფერის ბინას ვიშოვიდი, სოსოს ოჯახში ვცხოვრობდი. ორსამ-დღეში მუშაობაც დავიწყე „ერობის" საადგილმამულო განყოფილებაში რამანა ახმეტელაშვილთან და იოსებ ცისკარიშვილთან; იოსები თუში იყო, საადგილმამულო საქმის დიდი სპეციალისტი.

ერთ დღეს სახლიდან ერთად გავედით მე და სოსო სამსახურში წასასვლელად. „ერობის" შენობასთან რომ მივედით, იქ ბლომად ხალხს მოეყარა თავი. სოსომ მოშორებით ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი, ფიცხლავ მიუხტა და უყვირა: — როგორ გაბედე და ჩემს მილიციელს სცემეო.

— მომშორდი აქედან, თორემ იქნებ შენც ზედ მიგაყოლოო, — უპასუხა დამხვდურმა და მაუზერზე წაივლო ხელი.

სოსომ არც აცივა, არც აცხელა და მაგარი ცილა სტკიცა სახეში. კაცს თვალთ დაუბნელდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა თქრიალით, მაგრამ მაუზერი მაინც გაიძრო, სოსომაც მაუზერზე იტაცა ხელი, მაშინ კი მივცვივდით და დიდი წვალების შემდეგ გავაშველეთ.

მერე გავიგე, რომ ეს კაცი იყო თავზე ხელაღებული გვარდიელი, ძველი ტერორისტი, ამაყი ქიზიყელი გლეხი. სოსოც ქიზიყელი იყო, უშიშარი და ზვიადი.

სოსო მალე დამშვიდდა, თითქოს არაფერი არ მომხდარაო, წაგვავლო ხელი მე და ერთ სხვა კაცს და წაგვიყვანა ცნობილ გევლოს სარდაფში ხაშის საჭმელად

სუფრას რომ მივუსხედით, სოსომ გაგვაცნო ერთმანეთი და თან შესავალი გაუკეთა: — თქვენ კარგად იცნობთ ერთმანეთს. მაგრამ აზრზე ვერ მოსულხართ, — ეს ილო მოსაშვილია, მომიბრუნდა და მითხრა მე, ეს კი ვეფხო-ფშაველიო, უთხრა ილოს.

ასე გავიცანით ერთმანეთი ილომ და მე და ასე ჩავუყარეთ პირველი საფუძველი ჩვენს განუყრელ მეგობრობას.

მალე ჩვენ სუფრას შემოემატნენ „ერობის" თავმჯდომარე მათე ახმეტელაშვილი და სიღნაღელი რადიკალ-დემოკრატების ლიდერი, ცნობილი პუბლიცისტი კოტე ტყავაძე, რომლის რედაქტორობითაც გამოდიოდა გაზეთი „ხმა კახეთისა".

ილო მოსაშვილმა წარმადგინა მათ წინაშე, გააცნო ჩემი თავი და დააყოლა: — აქამდე

ორი პოეტი ვიყავით სიღნაღში, მე და სოსო, ახლა სამნი ვართ და გვიფრთხილდითო.

— სამ პოეტს ერთი ეკონომისტი ყოფილიყო ისა სჯობდაო, — უპასუხა კოტე ტყავაძემ და მოფერებით ხელი გადახვია ილოს.

თვითონ კოტე ტყავაძე სწავლული ეკონომისტი და ბანკის თავმჯდომარე იყო. იყო პურმარილიანი კაცი, იშვიათი თამადა, იცოდა რიხიანი ლაპარაკი და ზორბა ტანიც ხელს უწყობდა დაეპყრო მსმენელთა ყურადღება. მისი გაზეთი „ხმა კახეთისა" გამოდიოდა 1912-1917 წლებში და მასში მონაწილეობდნენ: იროდიონ ევდოშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, ნიკო ფაშალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორი იოსებ იმედაშვილი. ისტორიკოსი ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი) და სხვები.

მინდა აღვნიშნო ერთი ამბავი, დაკავშირებული აკაკი წერეთლის მოგზაურობასთან

აკაკი სამჯერ (1882, 1898 და 1911 წლებში) ყოფილა კახეთში — თელავსა და სიღნაღში. აკაკი ალავერდობასაც ყოფილა ღამისთევით; სიღნაღში წმინდა ნინოს ტაძარიც მოუნახულებია. სიღნაღელებს მამაპაპური ლხინი გაუმართავთ ტაძრის ეზოში, ბადრებქვეშ, სადაც პოეტს სიტყვით მისალმებია სიღნაღის მაზრის მარშალი რევაზ ვაჩნაძე და მეორე დღეს თავის ოჯახში მიუწვევია ძვირფასი სტუმარი. ამ მოგზაურობისას, აკაკის იხეთი პატრიოტული სიტყვა უთქვამს, რომ აღფრთოვანებულ ილიას ასე შეუფასებია: „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზე".

როგორც დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი მართა ტყავაძე (კოტე ტყავაძის მეუღლე) იგონებდა, 1915 წლის 14 ივნისს სიღნაღის საზოგადოებას განზრახული ჰქონია საზაფხულო კლუბში მოეწყო აკაკის სალამო შალვა დადიანის, ელო ანდრონიკაშვილისა და ილო მოსაშვილის მონაწილეობით. მაგრამ ეს სალამო რაღაც მიზეზით არ შემდგარა, მიუხედავად იმისა, რომ აფიშებიც კი დაბეჭდილი ყოფილა.

* * *

კოტე ტყავაძემ პირველად თავის გაზეთში დაუბეჭდა ლექსები გლეხ პოეტებს — გიო კანანელსა და ისაკო მირიანაშვილს.. ისაკო განსაკუთრებით ნიჭიერი პოეტი იყო. წერა-კითხვა არ იცოდა, ზეპირად იტყოდა ლექსს და რახაც იტყოდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ისაკოს და გიოს კარგი მეგობრობა ჰქონდათ. უკეთესი მეგობრობა ექნებოდათ, მაგრამ ერთი რამ უშლიდათ ხელს, ისაკო ფედერალისტი იყო, გიო — რადიკალ-დემოკრატი, თუმცა სინამდვილეში ერთსა და მეორესაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ამ პარტიების პროგრამაზე. და ამ ნიადაგზე ხშირად უხდებოდათ კინკლაობა.

— გადავყევი მაგათ შერიგებასაო, — იტყოდა ხოლმე ილო.

ერთხელ გიო კანანელი თურმე თბილისშია. დამფუძნებელი კრების გახურებული არჩევნებია ვინ იცის რამდენი პარტია იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ყველა პარტიას თავისი ნომერი ჰქონდა. მენშევიკები, მაგალითად, პირველი ნომრით გამოდიოდნენ, შემდეგ სხვა პარტიები მისდევდნენ, მეხუთე ნომერი რადიკალ-დემოკრატებისა იყო. იყო დიდი გაწამაწია, ჩხუბი და ხელჩართული ბრძოლაც. ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე ნახავდით ცალ-ცალკე წარწერებს: ხმა მიეცით № 1-ს, ხმა მიეცით № 5-ს, და ასე აცხადებდა ყველა პარტია. მთელი კედლები ასეთი განცხადებებით იყო აჭრელებული.

გიო კანანელი თურმე ქალაქის მრავალ მოედანზე დგას და ტრამვაის ელოდება. გამოიარა პირველმა ნომერმა, არ ჩაჯდა, იფიქრა ეს მენშევიკებისააო; გამოიარა მე-2 ნომერმა, არც იმაში ჩაჯდა, ელოდება როდის გამოივლის თავისი პარტიის ნომერი 5. ამ დროს ილო მოსაშვილს მოჰკრა თვალი, მივიდა და უთხრა თავისი გაჭირვება:

— მატარებელზე მიგვიანდება სადგურზე, მინდა წასვლა, ამდენი ხანია ველოდები და ჩვენი პარტიის ტრამვაი არ მოდის, არ ვიცი როგორ მოვიქცე, რით წავიდე.

— რის პარტია, რა პარტია პირველ ნომერში უნდა ჩაჯდე და წახვიდე, სადგურზე მხოლოდ პირველი ნომერი მიდისო, — უთხრა ილომ.

— ფეხით წავალ და პირველ ნომერში კი არ ჩავჯდებიო, — ეთქვა გიოს და მართლაც ასე მოქცეულიყო, ფეხით წასულიყო.

— აი ასეთი თავდადებული წევრები ჰყავს კოტეს თავის პარტიაშიო, — თქვა ილომ.

ბევრი ვიცინეთ, ყველაზე მეტს კოტე იცინოდა, თან ამბობდა;

— ასე უნდა, აბა რა გგონია, შე დურაქო!

კოტე ამ სიტყვას ხმარობდა მოსაფერებლადაც და საგინებლადაც სხვა ლანძღვა-გინება მან არ იცოდა, ძალიანაც რომ გაგებრაზებინათ, „დურაქოს" მეტს ვერაფერს გეტყოდათ.

ამ დროს სად იყო, და სად არა, მოულოდნელად თავს დაგვადგა სანდრო ახმეტელი და თავის ბიძაშვილს მათე ახმეტელაშვილს მიმართა:

— ვერ გამიგია, სად არის შენი სამუშაო კაბინეტი, გევლოს სარდაფში თუ „ერობაშიო".

ყველას გაუხარდა სანდროს მოსვლა, განსაკუთრებით მე და სოსოს.

გამოირკვა, რომ სანდრო ვიღაც პატიმრის თაობაზე იყო მოსული თბილისიდან და თავმჯდომარეს სთხოვა, ის კაცი მე უნდა მაჩუქოო.

— მაგაზე უარს როგორ გეტყვიო, — უთხრა „ერობის" თავმჯდომარემ, — თუნდაც მთელ ციხეს შენ გაჩუქებო, — და მართლაც მალე

ჩვენ სუფრას შემოუერთდა ეს პატიმარი.

სანდრომ მხურვალედ გადაკოცნა იგი და უთხრა:

— შენ მე სიცოცხლე მაჩუქე, მე მხოლოდ ამ მცირედით გიხდი სამაგიეროსო.

და გაგრძელდა ქეიფი. ქეიფს ცხარე კამათი მოჰყვა მაშინდელ საჭირბოროტო საკითხებზე, დროდადრო მხოლოდ „ერობის" თანამშრომლები შემოდიოდნენ და თავმჯდომარესთან შემოჰქონდათ ქაღალდები ხელმოსაწერად. მალე „ერობის" ადმინისტრაციული განყოფილების გამგე იოსებ კრაწაშვილიც შემოვიდა და აღელვებულმა თავმჯდომარეს მიმართა:

— შენ აქ ქეიფობ და ლაგოდეხში გლეხებს რომ გამოსვლები მოუწყვიათ, ეგ სულაც არ გადარდებს, წამოდი, სასწრაფო სხდომა უნდა მოვიწვიოთო.

იოსებ კრაწაშვილი ნოე რამიშვილის პოლიტიკის გამტარებელი იყო სიღნაღის მაზრაში. მთელ მაზრას ეს ერთი კაცი ატრიალებდა.

მათემაც უპასუხა:

— თუკი ჩვენი სხდომა რამეს უშველის, მივდივარო, — და უმალ წამოდგა.

ასე დამთავრდა ჩემი პირველი შეხვედრა ილოსთან სიღნაღში.

* * *

სიღნაღი ჯერ კიდევ ძველად და შემდეგ მენშევიკების დროსაც მაზრად ითვლებოდა, სიღნაღი მაზრად ითვლებოდა აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, 1928 წლამდე.

სიღნაღის მაზრაში შედიოდა გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელი წყაროს, კაჭრეთისა და თვითონ სიღნაღის რაიონები.

სიღნაღი გაშენებულია მაღალ მთაზე, საიდანაც კარგად მოჩანს, ალაზნის თვალმიუწვდომელი ველი და უფრო თვალშეუწვდენელი კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები, შაქრის თავებივით რომ წამომსხდარან ცადაზიდულ თხემებზე.

სიღნაღის ციხეს ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის თავდაცვისათვის. აქ საიმედოდ თავს აფარებდა ხალხი და სწორედ ამიტომ შერქმევია მას სიღნაღი, რაც თურქულად თავშესაფარს ნიშნავს.

ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი და მრავალ დროებათა მომსწრე სიღნაღის ციხე დღესაც ამაყად დგას წინაპართა დანთხეული სისხლისა და გმირული ბრძოლების მოსაგონრად.

ვის არ უყვარს თავისი მშობლიური კუთხე, თავისი სოფელი, მაგრამ ილოს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა სიღნაღი და მის კალთებზე გადაშლილი თავისი სოფელი ვაქირი, თუმცა ჩარგალიც ძალუმად იზიდავდა თავისკენ. ილო ჩარგალში დაიბადა და ცხრა წლამდე იქ იზრდებოდა.

ილოს დედა მოქრისი ჩარგლელი ქავთარ რაზიკაშვილის ქალი იყო, ბიძაშვილად ერგებოდა ვაჟას

როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ილოს მშობლები — ვაქირელი ონისიმე მოსაშვილი და ჩარგლელი რაზიკაანთ ქალი მოქრისი? სად ვაქირი, სად ჩარგალი?

ილოს მამა ონისიმე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ვაქირიდან ჩარგალში გაუმწესებიათ ჯერ მთავარდიაკვნად და შემდეგ მღვდლად უკურთხებიათ, რომელიც ვაჟას მამა პავლესთან ერთად ათ წელზე მეტ ხანს იქაურ მრევლს ემსახურებოდა.

ონისიმემ მალე იქ ცოლად შეირთო მოქრისი, ჯვარიც თვითონ პავლე რაზიკაშვილმა გადასწერა და ამ დღიდან ონისიმე ზედსიძედ ჩაუსახლდა რაზიკაშვილებს.

ილოს მშობლებს იქ შეეძინათ შვიდი შვილი: ელისაბედი, თამარი, კატო, ნინო, მოსე, ილო და ანდრო.

1905 წელს ონისიმე მთელი ჯალაბობით აყრილა ჩარგლიდან და თავის მშობლიურ სოფელ ვაქირში დაბრუნებულა, მაგრამ აქ დიდხანს აღარ უცოცხლია, მალე გარდაცვლილა.

ილო ჯერ ათი წლისაც არ იყო, მამა რომ მოუკვდა.

დაქვრივდა მოქრისი და შვიდი ობოლი წვრილ-შვილი დარჩა დასაზრდელი, დასაპურებელი.

მაგრამ ფშაველმა ქალმა გული მაინც არ გაიტეხა, ვაჟკაცურად ჩაუდგა ოჯახს, ყველა დაზარდა, ყველას სწავლა მიაღებინა, ყველა თავის გზაზე დააყენა, თვითონაც ოთხმოცდაათ წლამდე მიაღწია და პატიოსნად ვალმოხდილმა დედამ ისე უდრტვინველად მიატოვა ეს წუთისოფელი, ნირიც არ შეუცვლია, თითქოს ეს აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო, მოკვდა და ამით თავისი წესი ალასრულა, ეს იყო და ეს.

დედას თავისი შვილებიდან ყველაზე მეტად ილო უყვარდა, ილოსაც განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დედისა, სადაც არ უნდა დაღამებოდა, ღამე მაინც სახლში მივიდოდა, დედაჩემს უნდა მივხედოო, იტყოდა ხოლმე.

დედა ყოველთვის თავისთან ჰყავდა. არავის არ ანებებდა, ვისაც ნახვა გინდათ, მოდით და ნახეთო, ეტყოდა ხოლმე.

ამიტომ იყო, რომ ილოს ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ მისი დები, ძმები, სიძეები, რძლები, სუფრა თითქმის ყოველდღე აულაგებელი იყო.

ილო მოსაშვილი დაიბადა 1896 წლის 7 იანვარს, სოფელ ჩარგალში. ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ თბილისის სემინარიაში.

1914 წელს ცოლად შეირთო ნუკრიანელი

დიაკვნის ლადო მესტიაშვილის ქალი თამარი და იმავე წელს გაემგზავრა პეტერბურგს სასწავლებლად. ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ერთი წლის შემდეგ იქიდან ხარკოვის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც **1917** წლის რევოლუციამ მოუსწრო, დაბრუნდა საქართველოში და თავის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში შეუდგა მასწავლებლობას, რეჟისორობას, პოეზიის მწვერვალებთან ჭიდილს.

უბადლო მასწავლებელი იყო ქართული ენისა და ლიტერატურისა, რისთვისაც მან უდიდესი სიყვარული დაიმსახურა თავის მოწაფეთა შორის, რომლებიც მან სამშობლოს ერთგულ, თავდადებულ პატრიოტებად აღზარდა. ილო ამიტომ უყვარდა იქაურ მასწავლებლობას, მთელ ინტელიგენციას.

ილო მოსაშვილმა ჯერ კიდევ თავის მოწაფეობის დროს გაიცნო ვანო სარაჯიშვილი.

ეს გაცნობა ასე მოხდა:

ილო სასულიერო სემინარიის ორ მოსწავლესთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა ვერაზე. ყველა კარგად მღეროდა. მათი ხშირი სტუმარი იყო ვანო ბიწკინაშვილი, რომელსაც იშვიათი პირველი ხმა ჰქონდა. ის რომ პირველს იტყოდა და ილო მეორეს, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა.

ერთხელ მათი სახლის პატრონმა, თავადიშვილმა, დიდი წვეულება გამართა. ვანო სარაჯიშვილიც ამ ოჯახის საპატიო სტუმარი იყო. დაიწყო ლხინი, სიმღერას სიმღერა მოსდევდა.

ილო და მისი ამხანაგები უკმაყოფილონი დარჩნენ, რომ სახლის პატრონმა ესენიც არ მიიწვია სუფრაზე, სად იყო და სად არ იყო; მოძებნეს ვანო ბიწკინაშვილი, გაშალეს თავისი ღარიბული სუფრა და კახური „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს. „მრავალჟამიერს“ „ჩაკრულოს“ — „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ იმას — „გაფრინდი შავო მერცხალო“ და როცა ვანო ბიწკინაშვილმა „პატარა კახიდან“ ქვაბულიძის „დაიგვიანეს“ შემოსძახა, განცვიფრებულ ვანო სარაჯიშვილს გულმა ვეღარ მოუთმინა, წამოდგა, ჩავიდა ამ ახალგაზრდებთან, თამამად შეუხსნა კარი, გახარებულმა ყველა გადაკოცნა და მათ სუფრას მიუჯდა.

მალე ყველა თავის მასპინძლის ოჯახში გადაიპატიჟა და შესვლისას აღფრთოვანებით შესძახა: — ახლა კი ღრმად მწამს, რომ ჩემ საყვარელ საქართველოს ჩემს შემდეგ ღირსეული მემკვიდრე დარჩებაო. კიდევ ერთხელ გადაეხვია ვანო ბიწკინაშვილს და გულში ჩაიკრა.

მასპინძლები წარამარა ბოდიშს უხდიდნენ ახალგაზრდებს — თავის დროზე ვერ მოგიპატიჟეთო.

ვანო სარაჯიშვილმა კი სწორად მიაგნო თავის ღირსეულ მემკვიდრეს — ვანო ბიწკინაშვილს, მაგრამ მემკვიდრემ არ გაუმართლა იმედი: იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და უცოლშვილი ჭაბუკი ადრე გამოესალმა ამ ცოდვილ ქვეყანას.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიგონო ეს უდროოდ დაღუპული, ახალგაზრდობაშივე სახელგანთქმული მომღერალი ვანო ბიწკინაშვილი, რომელსაც დიდი მომავალი ელოდა.

ვანო ბიწკინაშვილი თელავის რაიონის სოფელ შაშიანიდან იყო. მოხდენილი ტანი და ლამაზი სახე ანდამატივით მიგიზიდავდათ. თელავში იმ ლხინს რა ეშხი და ლაზათი ჰქონდა, სადაც ვანო ბიწკინაშვილი არ იყო.

ვანოს ოჯახში ყველა მღეროდა: დედაც, მამაც, დებიც, ძმებიც, სიმღერით უთენდებოდა და სიმღერით უღამდებოდა ოჯახს.

და-ძმანი ბიწკინაშვილები ხშირად მართავდნენ კონცერტებს თელავში და კახეთის სხვა სოფლებში.

**1918** წლის ზაფხული იყო. მე, ჩემი სიყრმის მეგობარი პოეტი სოსო დაროშვილი და იმ დროს განთქმული მეთარე სოსო სალირაშვილი (მასწავლებელი) თბილისიდან თელავს ვეწვიეთ, იქ მე ბიძა მყავდა—მღვდელი პეტრე დეკანოზიშვილი, მას ვესტუმრეთ, მოვილხინეთ, დავწექით და დავიძინეთ.

შუაღამისას ვიღაცამ გაგვაღვიძა და თელავის საზოგადოების მიერ მოწყობილ ნადიმზე მიგვიპატიჟა. ნადიმი ბულვარის გადასწვრივ, პატარა ბაღში იყო მოწყობილი. თბილისიდან ჩამოსული ლექტორის პატივსაცემად.

ჩვენი ამბავიც გაეგოთ, ჩამოსულანო, და ჩვენც მიგვიპატიჟეს.

თელავის მთელი ინტელიგენცია აქ იყო, იქ იყვნენ აგრეთვე ცნობილი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი და ვანო ბიწკინაშვილი. ნიკოც და ვანოც პირველად იქ გავიცანი, პირველად იქ მოვისმინე ვანოს სიმღერა.

სოსო დაროშვილმა ჯერ თავისი ლექსები შეაწია სუფრას, მერე გრიშაშვილის ლექსები წაიკითხა გრიშაშვილისებურად, მერე მე წავიკითხე ჩემი ლექსები (მაშინ მეც პოეტი გახლდით, ყოველ შემთხვევაში, ასე მეძახდნენ), სოსო სალირაშვილმა თავისი თარი ააკვნესა და ამასობაში საზეიმო ნადიმმა გათენებამდე გასტანა.

მაგრამ სუფრის სული და გული მაინც ვანო ბიწკინაშვილი იყო.

მეორე დღეს ნადიმი ცნობილ ჭადრის ქვეშ გაიმართა, ხოლო საღამოს ნადიკვარზე მდებარე სკოლის დარბაზში მოეწყო დიდი საღამო—კონცერტი, რომელშიც ნიკო სულხანიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. ვანომ აქაც ბევრი იმღერა და თავისი ხმით დაატკბო და მოხიბლა ყველა.

მახსოვს, ნიკო სულხანიშვილიც დიდ მომავალს უქადდა ვანოს და ყოველნაირად ხელს უწყობდა მის დახელოვნებას.

აქვე ერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ.

ვანო ყვარლიდან თელავში მოდენილა ცხენით, შაქრიანის ხიდთან ყაჩაღები დახვედრიან, ხელები მაღლა აუწევინებიათ და უკითხავთ:

— ვინ ხარ და სადაური ხარ?

— ბიწკინაშვილი ვარ, შაშიანიდან.

— ვანო ბიწკინაშვილისა რა ხარ?

— მე თვითონ ვარ ვანო ბიწკინაშვილი.

— სტყუი, შენ ვანო ბიწკინაშვილი არა ხარ!

— რა ვქნა, აბა როგორ დაგიმტკიცოთ?

— აბა მაშ იმღერე.

— სად გინახავთ, ხელებაწეული კაცი მღეროდეს, ტიკჭორაში ღვინო მაქვს, გადავიდეთ, მოვულხინოთ და სიმღერაც იქნებაო.

მაგრამ მათ ღვინოც ბევრი ჰქონდათ და მცვრიანი მწვადებიც, გზიდან მოშორებით გადავიდნენ ტყეში და იქ მწვანეზე რა საჭმელი და რა სასმელი გინდა, რომ იქ არ იყო.

იქ კიდევ ორი კაცი დახვდათ, მათივე ამხანაგები, ძალიან მოილხინეს, დაღამებამდე დრო ატარეს, გამომშვიდობებისას ვანოს ბრაუნინგის რევოლვერი აჩუქეს, ძველი უნაგირის მაგივრად ცხენს ახალი, ძვირფასი უნაგირი დაუდგეს და დიდი ხვევნა-კოცნით გამოისტუმრეს.

ვაჟა, როცა კი მთიდან შირაქში მიემგზავრებოდა, ან იქიდან უკან ბრუნდებოდა, უეჭველად თავის ბიძაშვილ მოქრისს შეუვლიდა ვაქირში, დახედავდა მის წვრილფეხობას; ბალღებს პატარა რამით მაინც გულს მოუგებდა, ოჯახს გაამხნევებდა, მტერსა და მოყვარეს დაენახვებოდა.

მოქრისს უსაზღვროდ უხაროდა ბიძაშვილის სტუმრობა, ყველაფერს დაწვრილებით გამოჰკითხავდა, საკადრის სუფრას გაუშლიდა და მოასვენებდა. როგორც კი შებინდდებოდა, ვაჟა შეკაზმავდა ცხენს და თავის გზას გაუდგებოდა.

— ბიჭო, ნუ იცი ღამე სიარული, ღამე ფათერაკიანია, — ეტყოდა მოქრისი მუდარით, მაგრამ ვაჟას სწორედ ღამე უყვარდა მგზავრობა, მით უმეტეს ღამე თუ მთვარიანი იყო.

რაკი არ დაიშლიდა, მაშინ ხელდახელ გაუმზადებდა საგზალს და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრებდა. ჩარგალში დაზრდილ ბალღებს ჩარგლის ნახვა მონატრებოდათ და ყველა ცალცალკე მოკითხვას აბარებდა თავისტოლ გოგობიჭებთან.

მოქრისი და მისი შვილები დიდხანს გაჰყურებდნენ ვაჟას გზას და ნაღვლიანები მაშინ გაბრუნდებოდნენ შინისკენ, როცა ვაჟა თვალს მიეფარებოდა.

ილოს პირველი ლექსი დაიბეჭდა 1911 წელს გაზეთ „სინათლეში“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ივანე როსტომაშვილი. ამ ლექსს ილო ვაჟას უძღვნიდა.

ილომ, როგორც ნიჭიერმა პოეტმა, აქედანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და შემდეგ ხშირედ იბეჭდებოდა მისი ძარღვიანი ლექსები ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“.

ერთ დღეს, როცა ილო უკვე 16-17 წლისა იყო, დილით ადრე ვაჟა ეწვია მოსაშვილების ოჯახს. ვაჟას წაეკითხა ილოს ლექსები, ძალიან მოსწონებოდა და ეხლა აქ შეაქო, მოატანინა დაუბეჭდავი ლექსების რვეული, ისინიც მოუწონა და უთხრა: შენში რაზიკაანთ ნიჭია ჩასახული და ეცადე არ შეგვარცხვინოო. თან შენიშვნა მიეცა: შენს ლექსებში გოგოებს უფრო გაუტაცნიხარ, ვიდრე შენს ბეჩავ სამშობლოს საქართველოსაო.

ამ დღიდანაო, იტყოდა ხოლმე ილო, ჩემი ლექსების ტრფიალი მხოლოდ სამშობლო იყოო.

ილო მოსაშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მრავალნაირ მოღვაწეობას ეწეოდა სიღნაღში. მის სახელთანაა დაკავშირებული სიღნაღისა და ანაგის თეატრალური საქმიანობის აღორძინებაც.

აი, როგორ იგონებდა მას სიღნაღის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი, აწ განსვენებული მართა ტყავაძე:

1913 წლის ზაფხულში ანაგაში დასადგმელად ვამზადებდით ვალერიან გუნიას „და-ძმას“. ილო მოსაშვილი მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. ილო თამაშობდა გაიოზის როლს. მე მარინეს როლს. ილო ორი კვირის განმავლობაში ვაქირიდან ანაგაში გადმოდიოდა ამ პიესის დასადგმელად, რომლის რეჟისორიც თვითონვე იყო. ისეთი გატაცებითა და მშვენიერი დიქციით ასრულებდა გაიოზის როლს, რომ მის სანახავად რეპეტიციებზეც ბევრნი მოდიოდნენ.

ერთხელ თვით ვალერიან გუნიაც დაესწრო „და-ძმის“ დადგმას და ისე მოიხიბლა გაიოზის როლის შესრულებით, რომ უღრმესი მადლობა გადაუხადა ილოს, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა თეატრალურ ასპარეზზე და უთხრა: „შენ განსაკუთრებულ ელფერს აძლევ პიესას შენი საუცხოო თამაშით. სწორედ ასეთი უნდა იყოს გაიოზის როლის შემსრულებელიო.

და ეს მაშინ, როცა ილო ჯერ მხოლოდ 17 წლის ჭაბუკი იყო.

შემდეგშიც ხშირად უთქვამთ სანდრო ახმეტელს, შალვა დადიანს და სხვა ამხანაგებს ილოსთვის. — შენ რომ სცენას გაჰყოლოდი, დღეს დიდი მსახიობი იქნებოდიო, მაგრამ ილოს მოწოდება მაინც პოეზია იყო.

დღესაც არ შეიძლება სიტყვა ჩამოაგდო სიღნაღზე და არ გაიხსენო ილო მოსაშვილი. იგი იყო სიღნაღის კულტურული ცხოვრების დედაბოძი: ქართული ენისა და ისტორიის უბადლო მასწავლებელი, ნიჭიერი რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი და ბოლოს რაზიკაანთ ჯილაგით მირონცხებული პოეტი; იშვიათი მასპინძელი, იშვიათი თამადა და მომღერალი, მოხდენილი ვაჟკაცი, ფშაური ტრადიციების მატარებელი ადამიანი, სინდის-ნამუსის კაცი.

უმისოდ არ ვარგოდა სკოლა, თეატრი, სუფრა, უმისოდ თითქოს თვით სიღნაღსაც თავისი შნო და ლაზათი ეკარგებოდა.

უცნაური სტუმართმოყვარე იყო. ზოგჯერ ფული არ ჰქონია, ბანკიდან სესხი აუღია და სტუმარს კი საკადრისად დაჰხვედრია.

მასთან სტუმრად ვიდა არ ყოფილა: ვაჟა და მისი ძმა ბაჩანა, ვანო სარაჯიშვილი და სანდრო შანშიაშვილი, სოსო გრიშაშვილი და გიორგი ქუჩიშვილი, ვალერიან გუნია და სანდრო ახმეტელი, შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და რაჟდენ გვეტაძე, ნიკო გვარაძე და ისაკ შმერლინგი; გერონტი ქიქოძემ თავის მშვენიერს ეტიუდში; „არიფიონი ჰერეთში“, დაწვრილებით აღწერა როგორ ესტუმრა ქართველი მწერლების დიდი ჯგუფი ილოს ოჯახს ვაქირში და როგორ დაუნვდათ მათ ეს შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე (ალმანახი „არიფიონი“).

სიღნაღის ბევრი ღირსეული სტუმარი უეჭველად მისი ოჯახის სტუმარიც იყო ვაქირში. სიღნაღიდან ვაქირამდე კი სულ ათი-თხუთმეტი წუთის სავალი იყო ფეხით. გასცილდებოდით სიღნაღს, გადახედავდით თვალუწვდენელ ალაზნის ველსა და ქალებს და ბუნების ამ განუმეორებელი სილამაზით მოჯადოებული მიადგებოდით ილოს მამაპაპეულ სახლ-კარს, ახვიდოდით მაღლა ფართო აივანზე და თვალწინ იგივე მომხიბლავი სურათი გადაგეშლებოდათ, მხოლოდ უკვე მუქ ფერებში.

წინ ფაქიზად მოვლილი ვენახი ჰქონდა და ქვევრებში თავისი ხელით დაყენებული ღვინო წლიდან წლამდე მისდევდა.

სტუმარს ჯერ მარანში, ქვევრის პირას, გაახინჯებდა ჰაშნიკს და შემდეგ მაღლა აივანზე აიყვანდა მოსალხენად.

მოგალხენდა არა მარტო ღვინითა და პურმარილით, მოგალხენდათ სადღეგრძელოების მდიდარი შინაარსით, სიმღერით, ლექსებით, მოხწრებული ქარაგმებით, ახალი თუ ძველი ისტორიული ამბებით, თავისი პატრიოტული გაქანებით, წინაპართა გმირულ ბრძოლებზე მხატვრული თხრობით.

1924 წლის 21 ივნისს სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ მოწინავე სოფელ ანაგაში გაიხსნა სახალხო თეატრი, ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე ილო მოსაშვილი იყო.

საზეიმო გახსნაზე თბილისიდან მოწვეული იყვნენ ვანო სარაჯიშვილი, ნიკო გოცირიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, იოსებ იმედაშვილი და სხვები. ბევრი სტუმარი იყო აგრეთვე თელავიდან, ყვარლიდან, გურჯაანიდან. დადგეს ტრიფონ რამიშვილის პიესა „მეზობლები“. პიესის შემდეგ გაიმართა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი, ბაჩანა, ნიკო გოცირიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ილო მოსაშვილი, ნიკო გვარაძე, კომპოზიტორი გიორგი ჩუბინიშვილი.

ვანომ ბევრი იმღერა, გადაიღალა, ხალხი მაინც არ ეშვებოდა, შემდეგ სცენაზე გამოვიდა ანაგელი ახალგაზრდა სალამურით, მაგრამ შეცბა, კარგად ვერ დაუკრა და შერცხვენილი გავიდა სცენიდან, ვანომ გამოართვა სალამური და თავისებურად ააკვნესა, ხალხი გაინაბა, მოიხიბლა, მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა, ამ დროს გამოვიდა ილო მოსაშვილი და დაიწყო ლექსის კითხვა, ხოლო ვანომ მის ხმას სალამურის ხმა აადევნა.

ტაშის გრიალმა შესძრა დარბაზი.

იმ ღამეს დიდი ნადიმი გაიმართა, ქალები ადგილობრივ მცხოვრებ ექიმ სანდრო ძიძაძესთან იყვნენ სტუმრად, კაცები—შალვა დარჩიაშვილთან, იქ იყვნენ ვანოს ძმები—ილია, გიორგი და ანდრო, ესენიც საუკეთესო მომღერლები. აქ იყვნენ აგრეთვე მთელ მაზრაში განთქმული მომღერლები: სიკო შავლიაშვილი, დათა ნანობაშვილი, ნიკო ციციშვილი და სხვები.

ჩემთვის დღესაც დაუვიწყარია იმ ღამის ამბავი: ოთხნი ძმანი სარაჯიშვილები ცალკე მღეროდნენ, დანარჩენები ცალკე. იყო ერთიმეორის შეცილება, ერთმანეთისგან სიმღერების ჩამორთმევა, დიდი ლხინი და ნადიმი.

ვანოს არ უყვარდა ღრეობა და უთავბოლო ღვინის სმა, წესიერ ქართულ სუფრაზე კი სიამოვნებით მოილხენდა და სხვასაც მოალხენდა.

ვანომ აქაც ბევრი იმღერა, გიტარაზეც დაამღერა. ბაჩანასაც ხალერდელი აეშალა სიმღერისა, ჩონგური მოითხოვა და ტკბილი ღიღინით ვანოს მიმართა:

„ჩანგი შენთვის ამიწყვია,
ტკბილად ამიჟღერებია,
ზედ რუსთველის ლექსი მითქვამს,
შენთვის დამიმღერებია“ და სხვ.

ვანომ მადლობა გადაუხადა და გადაკოცნა. თამადად ილო იყო, რომელმაც თავისებური შნო და ზავთი მისცა ამ ზეიმს და როცა ვანოს სადღეგრძელო დალია, ექსპრომტად ლექსი დააყოლა:

სალამი, ვანო სარაჯიშვილო,
გისმენ და ამ გულს დარდი სცილდება,
შენზე ყოველთვის მსურს ვიოცნებო,
შენთან სიკვდილიც მიადვილდება.

იმ ღამეს ილომ თავისთან ვაქირში წაიყვანა ვანო სტუმრად. მეორე დღეს ჩვენც ჩავედით სიღნაღიდან და შორიდანვე ყური მოვკარით ვანოს სიმღერას. ახლოს რომ მივედით, მთელი ეზო და კარ-მიდამო ხალხით იყო სავსე. ყველა მოჯადოებულივით სმენად გადაქცეულიყო. ვანოს თილისმა ხმა მთელ სოფელს ეფინებოდა.

იმავ საღამოს კვლავ გაგრძელდა ზეიმი თეატრში, იმავე პროგრამით და როცა ყველაფერი დამთავრდა, ადგილობრივმა მცხოვრებმა მირიანაშვილმა თავის ოჯახში მიიწვია სტუმრები და მარანში ქვევრის პირას გაუმასპინძლდა.

დადგა გამომშვიდობების ჟამი, მაგრამ ვანოს გული აღარ მიუწევს წასასვლელად, აღარ ეთმობა აქაურობა ყველას კოცნის და გულჩათხრობილი ემშვიდობება, ილოს სთხოვს გააცილოს თბილისამდე, საშინლად მოიწყინა, თითქოს ტირილს აპირებსო, თითქოს გულმა უგრძნო, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ყოფნა თავის საყვარელ მშობლიურ მხარეში.

ასეც მოხდა: რამდენიმე თვის შემდეგ ძაძითმოსილმა საქართველომ უდიდესი მწუხარებით დაიტირა თავისი საყვარელი შვილი და გულზე გადატეხილი სალამური დაადო.

1925 წლის მაისიდან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სიღნაღიდან თბილისში გადმომიყვანა და დამნიშნა ახლად დაარსებული საგლეხო გაზეთ „ახალი სოფლის“ პასუხისმგებელ მდივნად და სარედაქციო კოლეგიის წევრად. მანამდე ამ გაზეთს რედაქტორობდა ძველი ბოლშევიკი, ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი პავლე საყვარელიძე, იგივე იყო გაზეთ „მუშის“ რედაქტორიც.

გაზეთ „ახალი სოფლის“ ტირაჟი ორი ათასს არ სცილდებოდა, არ ჰყავდათ გლეხკორები, კორესპონდენციები სხვა გაზეთებიდან იბეჭდებოდა.

ასეთმა მდგომარეობამ დააყენა საკითხი გაზეთის ყოფნა-არყოფნის შესახებ; ამიტომ იყო, რომ რედაქცია მოუწოდებდა გლეხობას—გამოიწერეთ თქვენი გაზეთი „ახალი სოფელი“, თორემ იძულებული ვართ დავხუროთ გაზეთიო.

სიღნაღის სამაზრო გაზეთი „სიმართლე“ მაშინ 4 ათასი გამოდიოდა, ჰყავდა ასზე მეტი გლეხკორი და ყოველ ნომერში 20-30 კორესპონდენცია იბეჭდებოდა.

ეს იყო მიზეზი ჩემი აქ გადმოყვანისა. მაშინვე დავისახე მიზნად ამეწია გაზეთის ტირაჟი, შემომეკრიბა გლეხკორები და უფრო მეტად დამეხვეწა გაზეთის ენა.

სწორედ იმ ხანებში ილოც თბილისში გადმოვიდა და ჩვენთან რედაქციაში დაიწყო მუშაობა. აქვე მუშაობდნენ მწერლები: გიორგი ქუჩიშვილი, სეზმან ერთაწმინდელი, შალვა ჯანბერიძე, ტერენტი გრანელი, კოკი ებრალიძე, სერგო კლდიაშვილი, ბორის ჩხეიძე, იოსებ ტატიშვილი; მხატვრები: ოსკარ შმერლინგი, რევაზ რევაზიშვილი; ი. სტალინის თანაკლასელი მეგობარი სემინარიიდან სიმონ ნატროშვილი, უნივერსალური ცოდნის აგრონომი ნიკო ალნიაშვილი; ჟურნალისტები: ბიძინა ბარათაშვილი, ვახტანგ სიხარულიძე, ვალოდია ბუაჩიძე; ფოტოკორესპონდენტი ვანო ჯაფოშვილი და სხვ. ერთხანობას პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს რედაქციას მოამაგრა ახალგაზრდა პოეტები — კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ალიო მაშაშვილი (მირცხულავა); ჩვენი გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა საქვეყნოდ ცნობილი ექიმის ივანე გომართელის წერილები და საექიმო რჩევა-დარიგება. მისივე თაოსნობით გამოიცა „გლეხის კარაბადინი“.

ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმრები იყვნენ და თანამშრომლობდნენ: ბაჩანა, შიო მღვიმელი, სანდრო შანშიაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, სიკო ფაშალიშვილი, მხატვრები ელექსანდრე ციმაკურიძე და იოსებ ქოქიაშვილი, აგრონომები ვანო ჯაში, გერმოგენ ბრეგვაძე, ხოხლოვი, ალექსანდრე ბედიაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, ბუჩუკური და სხვ.

რედაქცია ასეთი განახლებული კოლექტივით შეუდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალების განხორციელებას და უკვე 1927 წლისათვის, ესე იგი, წელიწადნახევარში გაზეთის ტირაჟმა მიაღწია 55 ათასს, გლეხკორთა რიცხვმა—1500, კორესპონდენციებს დღეში ასზე მეტს ვღებულობდით, გაზეთი ყოველ ხელის მომწერს ინდივიდუალურად, თავისი მისამართით ეგზავნებოდა, უფრო მეტად დაიხვეწა გაზეთის ენა და ამგვარად პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება რედაქციამ პირნათლად შეასრულა.

ამის გამო საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა რა მოხსენება გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქციის მუშაობის შესახებ, რედაქციის მუშაობით მეტად კმაყოფილი დარჩა მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გაზეთმა მშრომელ გლეხთა ფართო მასებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ გასაგებად და მისაწვდომად აშუქებს სოფლის ცხოვრების ძირითად საკითხებს და საერთოდ ღირსეულად ასრულებს პარტიის მიერ დასმულ ამოცანებს.

გაზეთის ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ილო მოსაშვილის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ. პრესაში მუშაობის პარალელურად, პოეტი აქტიურად იღწვის პოეზიის ფრონტზე, იქიდან იწყება მისი შემოქმედების ახალი აღმავლობა.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

## წიგნის თაროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღაპრები ლექსებად

ზღაპრებს კეთილი მეოცნებენი თხზავენ, კი არ თხზავენ, თავიანთ ოცნებებს ჰყვებიან ხმამაღლა და ჩვენ კი ზღაპრები გვგონია.

მახსოვს, ბავშვობაში, შემოდგომის მიწურულზე, სოფელში ნადობა იწყებოდა ხოლმე სიმინდის გასარჩევად. ნადობას თან ახლდა ზღაპრების თხრობა.

იწყებდა მეზღაპრე ზღაპარს, ნელნელა იხსნებოდა ჭარგვლის გამჭვარტლული კედლები, რომლის იქით ჯადოსნური, მომხიბვლელი ქვეყანა იდგა. თვითონაც ჯადოქარს ჰგავდა ახოხოლავებულ სიმინდებზე ჩამომჯდარი, ჭრაქის ნაღვლიანი შუქით იდუმლად განათებული მეზღაპრე.

ერთი მეზობელი გვყავდა — სოლომო. დაამთავრებდა თუ არა ვინმე თხრობას, ის ერთს ჩაიცინებდა, თავს გადააქნევ-გადმოაქნევდა, თითქოს მეზღაპრეს საყვედურობდა — ბოლომდე არ გცოდნიაო და ამ სინამდვილეში დასრულებულ ზღაპარს დასასრულიდანვე იწყებდა.

ზღაპარს არა აქვს დასასრული. მას წერტილი არ დაესმის — ეს კარგად იცოდა იმ ჩემი ბავშვობის კეთილმა მეზღაპრემ.

დიახ, ზღაპარს განუსაზღვრელი შესაძლებლობები აქვს, ის თავისუფალია დროისა და სივრცის არტახებისაგან. უსაზღვროა მისი მოქმედების ასპარეზი. ზღაპარი შლის ზღვარს რეალურსა და ირრეალურს შორის, ოცნებასა და სინამდვილეს შორის.

ქართული ფოლკლორი უაღრესად მდიდარია შთამბეჭდავი, კოლორიტული ზღაპრებით. ქართველი კაცის ბავშვობას ეს ზღაპრები ავსებდნენ და ალამაზებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ზღაპარს მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული, მან შესაფერისი ლიტერატურული ფორმა ვერ ჰპოვა ჩვენს მწერლობაში. ზღაპარს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, რატომღაც გულგრილად ეკიდებიან ჩვენი მწერლები. თითებზე ჩამოსათვლელია ისინი, ვინც ამ დარგში მუშაობს.

არც ისაა დასამალი, რომ მავან-მავანნი საბავშვო მწერლობას ალმაცერად უყურებენ, რატომღაც იგი უნიჭოთა და ხელმოცარულთა საქმედ მიაჩნიათ. საბავშვო მწერლობა თითქოს გერია „დიდი“ მწერლობისა, არადა არ არსებობს უფრო საპატიო მისია, ვიდრე ის რომ, ბავშვში პიროვნება აღზარდო. ეს მისია კი ყველაზე მეტად მწერლობას ევალება.

ხანდახან გვავიწყდება, რომ ზღაპრით მარტო პატარებს კი არა, დიდებსაც შეგვიძლია ვუთხრათ ისეთი რამ, რისი თქმაც მოთხრობით, ლექსით თუ რომანით ჭირს ხოლმე...

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების წიგნი, რომელზეც ამ რეცენზიაში გვექნება ლაპარაკი, არა მარტო პატარებისთვის არის გათვალისწინებული, არამედ დიდებისთვისაც.

„ამ წიგნს ჰქვია „წვიმა პატარა ქალაქში“.

აქ მოთხრობილ ამბებში ხშირად მოდის წვიმა.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ წვიმა თუმცა უბრალო წყალია, მაგრამ წყალია ციდან მოსული; ამიტომაც ამოჰყავს ფერად-ფერადი ყვავილები და ცისარტყელებს ანთებს ქალაქის თავზე.“

და მართლაც, წვიმას აქ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. წვიმა-სიკეთის, სიცოცხლის სიმბოლოა და ამას წიგნის პირველი ზღაპრიდანვე ვიგებთ:

„ერთ დროს მიწის ზედაპირი მთლად მოტიტვლებული და უნაყოფო იყო — არც მცენარე ჩანდა სადმე, არც ცხოველი და არც ფრინველი.

ვინ იცის, ასე უსიცოცხლო დარჩებოდა კოდეც დედამიწა...

მაგრამ ერთხელ მოვიდა წვიმა“.

წვიმა, რომელიც ამ ქალაქში მოდის, იმ სიცოცხლის მომტანი, პირველყოფილი წვიმის თავისებური გამოძახილია.

დავიწყოთ იმით, რომ მწერლის ენა, თხრობა უაღრესად პოეტურია და ეს არც არის გასაკვირი. გ. პეტრიაშვილმა ლექსებით დაიწყო. მისი ლექსების პირველი წიგნი ინტერესით მიიღო ლიტერატურულმა საზოგადოებამ.

გ. პეტრიაშვილი არც პროზის წერის დროს ღალატობს პოეზიას. ეს წიგნიც თავისუფალი ლექსების ერთგვარი ციკლივით იკითხება.

„ყვავილმა დაინახა, როგორ ამოვიდა მზე.
—მზე! — თქვა ყვავილმა.

უცებ მოსწყდა მიწას და აფარფატდა ჰაერში.

ასეა, მზის პირველი დანახვისას, თუ მოისურვებ, აფრინდები აუცილებლად“.

„ყოველ დილით გარიჟრაჟზე წამოვხტები და გავხედავ ცას. ლურჯია ცა... და ამოვისუნთქავ შვებით: სადღაც კვლავ თამაშობს ცისფერთვალა გოგონა და როდისმე აუცილებლად მომიკაკუნებს კარზე.

ოღონდ ამას გთხოვთ ყველას, მზის ჩასვლისას თქვენს თვალწინ ცისფერთვალა გოგონა ყვავილად თუ გადაიქცა, ყვირილს ნუ ასტეხთ და ქვეყანას ნუ შეყრით. ამას ისა სჯობს, იქვე ჩამოჯდეთ და გათენებას დაელოდოთ, რათა ღამით ყვავილს ფეხი არ დაადგას ვინმემ“.

დამეთანხმებით, რომ თავისი შინაგანი სათქმელით, განწყობილების ლირიკულობით, ხატვის ხერხებით ეს ლექსებია.

ეს წიგნი, როგორც ზემოთ ვთქვით, პატარებისთვისაც არის დაწერილი და დიდებისთვისაც. წიგნი, ასე ვთქვათ, ორ პლანშია გადაწყვეტილი.

პირველ პლანში, სამყარო რომელსაც გ. პეტრიაშვილი უხატავს ბავშვს, უბრალოდ საინტერესო, ზღაპრული სამყაროა, სადაც ნაჩვენებია როგორ გაჩნდნენ პეპლები, როგორ ცხოვრობდნენ ხეზე კაცუნები, როგორ ჩამოვიდა ერთხელ ციდან უცნაური მხატვარი და ასე შემდეგ. პატარა ადამიანი მას თავისებურად, თავისი ბავშვური თვალთახედვით აღიქვამს.

მაგრამ ამ პირველი პლანის მიღმა მოქცეულია მეორე პლანი, რომლის დანახვა და შემჩნევა მხოლოდ გამოცდილ, დაკვირვებულ მკითხველს ძალუძს; წიგნი უაღრესად ქვეტექსტურია. მწერალი ყოველთვის უტოვებს მკითხველს განსჯის, ფიქრის საშუალებას. ის მხოლოდ უჩვენებს სიტუაციას, მიანიშნებს მასში არსებულ შინაგან არსზე, ამ არსის გახსნას კი თვით მას ანდობს.

ხატვის ასეთი მეთოდი ძალზე რთულია და დიდ ოსტატობას მოითხოვს. უნდა გქონდეს ზომიერების მახვილი გრძნობა, რომ თავი აარიდო ხელოვნურობას, ბუტაფორულობას და ნაწარმოები ბუნებრივი, დამაჯერებელი გამოვიდეს.

გ. პეტრიაშვილს ისე სისხლხორცეულად აქვს შეთვისებული ეს მეთოდი, რომ შეიძლება ითქვას, წერის მისეულ მანერადაა ქცეული.

როდესაც ადამიანები მშვიდ, მაძღარ ცხოვრებას დასჯერდებიან, მშვენიერების უცხო, იდუმალი საუფლოსკენ ლტოლვის სურვილს დაჰკარგავენ, ქვეყნიერებაც მეშჩანების ბრბოთი დასახლებულ უსახურ, შემაძრწუნებელ ადგილად იქცევა. ადამიანს ოცნება ამშვენებს და აქცევს ადამიანად. ოცნება ალამაზებს და აფერადებს იმ გარემოსაც, სადაც ის ცხოვრობს.

აი, როგორაა გადმოცემული ეს აზრი, ზღაპარში:

„სულ ცაზე ფიქრობენ პეპლები, ამიტომაც არიან ლამაზები. და ყვავილებმაც არ იციან, მიტომ არიან ფერადნი, რომ მუდამ ცაში ფრენაზე ჩასჩურჩულებენ მათ პეპლები.

და თუ როდისმე გაქრება ცად გაფრენის სურვილი და მზის ამოსვლისას აღარც ერთი ყვავილი აღარ იქცევა პეპლად, უბედურება მოხდება მაშინ: დაკარგავენ ფერს ყვავილები და ულამაზო და უსახური დარჩება ველი“.

ადამიანებსაც ისე, როგორც ყვავილებს, თავს დასტრიალებს კეთილი პეპელა — ოცნება, რომელიც ცისკენ, სინათლისკენ, სიმშვენიერისკენ გადაქცევას ჩასჩურჩულებს მათ დღენიადაგ. ამითაა ადამიანის ცხოვრება ლამაზი და მიზანსწრაფული.

პატარა მკითხველი, რა თქმა უნდა, ვერ ჩასწვდება ამ აზრს, მაგრამ მას მიიზიდავს ზღაპრის ემპირიული მხარე — როგორ გაჩნდნენ ყვავილები ქვეყანაზე, როგორ იქცა ყვავილი პეპელად და ასე შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, აქ პატარა მკითხველიც იპოვის საზრდოს თავისი გონებისთვის.

გ. პეტრიაშვილი ბავშვებს ოცნების, სილამაზის სიყვარულს ასწავლის, ხოლო დიდებს ყოველივე ამის ფასს და მნიშვნელობას.

მიფრინავს ჩიტი, აიტაცებს ჩამოვარდნილ ვარსკვლავებს და მიაქვს ცაში.

განთიადზე კი კვლავ უბრუნდება მევიოლინეს.

ამიტომაც არ აკლდებაო ვარსკვლავები ცას“.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, თუ რა აზრს გამოიტანდა მოზრდილი მკითხველი ამ ზღაპრიდან. არ შეიძლება ნორჩი მკითხველიც არ ააფორიაქოს ზღაპარმა. პატარა აუცილებლად მევიოლინისა და ვარსკვლავებზე შეყვარებული ჩიტის მხარეზე დადგება, იმ ბოროტი კაცის წინააღმდეგ, რომელიც ვერ იტანდა. ეს კი ცოტას არ ნიშნავს აღზრდის თვალსაზრისით.

ჩემი აზრით, წიგნში შემავალ ზღაპართაგან ერთერთი საუკეთესოა „უცნაური მხატვრის ამბავი“. აზრის სიღრმით, ფრაზის ტევადობით და ლაკონიურობით, სიუჟეტური ქარგით იგი უთუოდ გამოირჩევა.

იყო ერთი მხატვარი... თუმცა სჯობია თვითონ წაიკითხოთ, იმიტომ რომ სიუჟეტის მშრალი გადმოცემა ამ შემთხვევაში გაუმართლებელია, ისევე როგორც გაუმართლებელია ლექსის შინაარსის გადმოცემა.

ზღაპარი ალეგორიული ხასიათისაა. კაცი, რომელმაც საკუთარი ჩრდილის ხატვაში მთე-

ლი ქალაქი გააფერადა, მღებავი, რომელიც რუხი საღებავით ცდილობდა ამ ფერადი ნახატების წაშლას და ბოლოს ისევ წვიმა — აქ სიმბოლო დროისა, მომავლისა, რომელმაც რუხი საღებავი ჩამოარეცხა უცნაური მხატვრის ნახატებს და მათ თავისი წინანდელი სახე დაუბრუნა.

გ. პეტრიაშვილი ბავშვებს ისე ესაუბრება, როგორც თანატოლს, ბავშვებს უყვართ, როცა მათ დიდებივით მიმართავენ. ეს კარგად იცის მწერალმა.

ბავშვის გონებას აუცილებლად მიიზიდავს ამბავი ძველი პიანინოსი, რომელიც ზღაპრებს უკრავს. არის თვითონ ამბავში რაღაც ლამაზი და მიმზიდველი. საერთოდ, მწერალი ცდილობს წინ წამოსწიოს და ბავშვს ოცნების, სილამაზის, სიკეთის სიყვარული გაუღვივოს. ბავშვს ცხრათავიანი დევებით და ჯოჯოებით კი არ აშინებს (საერთოდ, არა მგონია მსგავს ზღაპრებს რაიმე სიკეთე მოჰქონდეთ ბავშვის ფსიქიკისათვის), არამედ მშვენიერების და სილამაზის არსებობაში არწმუნებს და აჯერებს. ზღაპრულია ღრუბელზე მფრინავი მხატვრის თუ ზღაპრის დამკვრელი პიანინოს, ცისკენ მიმფრინავი ბავშვების, მოცეკვავე ყვავილების ქვეყანა; სასწაულებრივია იგი, მაგრამ ამ სასწაულის უნდა გჯეროდეს და გწამდეს, მას უნდა გრძნობდე და ხედავდე შენს ირგვლივ:

„თქვენ? თქვენ გჯერათ სასწაულების?

შეგმთხვევიათ სასწაული?

თუ არ შეგმთხვევიათ, ალბათ იმიტომ, რომ არ გჯერათ სასწაულების“ — ასე მიმართავს მწერალი ბავშვებს.

ზღაპარი „პეპელა“ ზღაპარი კი არა, მწარე სინამდვილეა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რომ ვაწყდებით. მწერალმა მხატვრული ფორმა ზღაპრის სახით მოუძებნა ამ სინამდვილეს.

ქალაქში პეპელა დაფრინავს, რომელსაც ცალი ფრთა მანეთიანისა აქვს. მთელი ქალაქი გამოეკიდება პეპელას, პეპელას კი არა, მანეთიანს. პეპელას ჰგონია, ლამაზი რომ ვარ, იმიტომ მომდევენო. პეპელა იმ კაცის ბინაში შეფრინდება, რომელმაც დაზიანებული ფრთის ნაცვლად უკანასკნელი მანეთიანი მიამაგრა მას. კაცმა თავისი ფრთა დაუბრუნა პეპელას. პეპელას ჰგონია, უფრო მეტ ყურადღებას მომაქცევენ, რადგან ორივე ფრთა ასე უჩვეულოდ ლამაზი მაქვსო.

მანეთიანის დევნაში დაქანცულ ხალხს ყურიც არ შეუბერტყავს მის დანახვაზე. ისინი დაკარგულ მანეთიანზე ნაღვლობდნენ მხოლოდ.

მწერალი პირდაპირ არსად არ ამბობს, რომ სიხარბე, გაუმაძღრობა დამღუპველია ადამიანისთვის. მწერალი სიტყვას არ ძრავს იმაზე, რომ მანეთიანებს გამოდევნებული ქალაქი ფაქტიურად მეშჩანთა ქალაქია, რომელსაც დაკარგული აქვს მშვენიერების დანახვისა და შემჩნევის ნიჭი. ჩვენ ყოველივე ამას მხატვრული სახეების ლოგიკური თანწყობის მეოხებით ვგრძნობთ.

გ. პეტრიაშვილის წიგნში სათქმელი გამომსახველ კომპონენტთა მჭიდრო ურთიერთკავშირშია გადმოცემული. ერთი ფაქტი ხსნის მეორეს, მეორე მესამეს და ასე შემდეგ.

სიღრმე, მთლიანობა, ლაკონიურობა, სიზუსტე — აი, რისკენ ისწრაფვის მწერალი და მიზანსაც უმრავლეს შემთხვევაში აღწევს.

მისი ზღაპრების ყველა გმირი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს. მოქმედების გეოგრაფიულად ერთ ადგილზე მსვლელობა ხელს უწყობს წიგნის მთლიანობაში, ერთობლიობაში აღქმას, გმირთა ხასიათების დაპირისპირებას, მკითხველის ყურადღების მობილიზებას.

ჩვენ ამ ქალაქს თითქოს ვიცნობთ, თითქოს გაგვივლია კიდეც მის ქუჩებში და უამრავჯერ შევხვედრივართ მის მოქალაქეებს. ეს ჩვენი ქალაქია. ასეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს და ეს უთუოდ გამარჯვებაა მწერლისა.

წიგნი მთავრდება მშვენიერი ზღაპრით „ხეები“, რომელიც ადამიანთა წინაშე პიროვნების დიდ ადამიანურ მოვალეობაზე გვიამბობს.

მწერალი იწყება სტილით. გურამ პეტრიაშვილს უკვე ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი ხელწერა — რბილი, ოდნავ ნაღვლიანი ტონი თხრობისა, აუჩქარებლად მდინარი რიტმი, ნარნარი გადასვლები, შინაგანი მუსიკალობა და რაც მთავარია, პოეტურობა — აი, ძირითადი დამახასიათებელი კომპონენტები მისი სტილისათვის. „უკრავდა მევიოლინე და ბოლოს დაქანცულმა თვალები რომ გაახილა, დაინახა, მთელ ქალაქს მოეყარა თავი მოედანზე.

საოცარი ჰანგებით მოხიბლულნი იდგნენ ადამიანები. უცქერდა აღფრთოვანებულ სახეებს და მიხვდა მევიოლინე: ტყუილად ვეძებდი საოცარ ხეს ვიოლინოსთვის, საუცხოო ჰანგებს მხოლოდ დიდი წუხილი ბადებსო“.

მწერალს უაღრესად გამახვილებული აქვს სიტყვის გრძნობა. იცის, სად რა თქვას და როგორ თქვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული მწერლობა ღარიბია ზღაპრებით. გურამ პეტრიაშვილმა თავისი წიგნით საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა, გააკეთა პროფესიულად უნაკლოდ, საინტერესოდ. ჩვენ მისგან აუცილებლად ველოდებით ახალ-ახალ ნაწარმოებებს, რადგან მას უეჭველად შესწევს ძალა და უნარი ამ სფეროში მუშაობისა.

ვახტანგ ხარჩილავა

б 164/55

ფასი 60 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ